

ნუგზარ პაპუაშვილი

მსოფლიო რელიგიები საქართველოში

თავისუფლების
ინსტიტუტი
2002

ნუგზარ პაპუაშვილი

მსოფლიო რელიგიები საქართველოში

თავისუფლების ინსტიტუტი

თბილისი 2002

ამ წიგნის მიზანია, რომ მკითხველთა ფართო წრეს იმ რელიგიების ანალიზი მიეწოდოს, რომლებსაც ჩვენი ქვეყნის წარსული და დღევანდელობა იცნობს; რომლებმაც საქართველოს ისტორიაში, ზეპირსა თუ წერილობით სიტყვიერებაში და ეთნოგრაფიულ ყოფაში კვალი დატოვეს ან ტოვებენ. განსაკუთრებული ადგილი ქრისტიანული მოძღვრებისა და ღვთისმსახურების, მათი პირველწყაროების: ბიბლიისა და ეკლესიის მამათა მემკვიდრეობის ზოგად მიმოხილვას ეთმობა. ყურადღება იმ თეორიებზე, აღმსარებლობებსა და ტრადიციებზეც მახვილდება, რომლებიც თვალსაჩინოა როგორც თავისთავად, ისე საქართველოს რეალიებთან მიმართებაში. აქვე ლაპარაკია არაქრისტიანულ რელიგიებზე და რელიგიათმცოდნეობის ზოგად საკითხებზე. ავტორი ცდილობს, საღვთისმეტყველო და სპირიტუალური შემეცნების ესა თუ ის სისტემა მიუკერძოებული ანალიტიკოსის თვალით დაინახოს და წარმოაჩინოს, თუმცა საკუთარი პოზიციების გამოხატვისა და სხვათა თვალსაზრისების გადმოცემასაც არ არიდებს თავს.

რედაქტორი:
სოზარ სუბარი

„წმიდაჰყავით ქრისტე, როგორც უფალი, თქვენს გულში და
მუდამ მზად იყავით, რომ სიმშვიდით და მოწიწებით უპასუხოთ
ყველას, ვინც თქვენი იმედის გამო ახსნა-განმარტებას მოგთხოვთ“.

1 პეტრე 3:15

შესავალი

„რელიგია“

Religio ლათინური სიტყვაა და ნიშნავს **ყურადღებას, მოწიწებას, თაყვანისცემას, სინდისიანობას, ღვთისმოსაობას, მორწმუნეობას, მოწმინდარობას** და იმას, რასაც **რელიგიას** ვეძახით.

რელიგიის წარმომავლობისა და თავდაპირველი მნიშვნელობის შესახებ რამდენიმე თვალსაზრისი არსებობს. ცნობილი რომაელი ორატორი, მწერალი და პოლიტიკური მოღვაწე **ციცერონი** (106-43) ამ ტერმინს ეტიმოლოგიურად ლათინურ ზმნასთან **Relegere** აკავშირებდა, რომელიც **შეკრებად, შემოკრებად** ითარგმნება, ხოლო გადატანით **კრძალულებას, რაიმეს ან ვინმეს მიმართ განსაკუთრებული რიდის გამოჩენას** ნიშნავს. იგი რელიგიურობის არსებით ნიშნად იდუმალებით მოსილ და უმაღლეს ძალთა, ე.ი. ღვთაებათა თაყვანისცემის წესთა მცოდნეობას ასახელებს. მისი სიტყვებია: „ვინც გულმოდგინედ დაამუშავებს და შემოკრებს ყველაფერს, რაც ღმერთების თაყვანისცემას („კულტს“) განეკუთვნება, იწოდება როგორც რელიგიოსუს (რელიგიური)“.

მეორე ლათინურენოვანი მწერალი და ქრისტიანი თეოლოგი **ლაქტანციუსი** (+330) მიიჩნევდა, რომ სიტყვა „რელიგია“ წარმოდგება ლათინური ზმნიდან **Religare** რაც ნიშნავს „დაკავშირებას“, „შეერთებას“. ამდენად, რელიგიის არსება, მისი განმარტებით, არის ადამიანის ღმერთთან კავშირი. იგი ამბობს: ჩვენ, ქრისტიანები, „ღვთისმოსაობის საბელით დაკავშირებულნი ვართ ღმერთთან და ამგვარ ურთიერთობას რელიგია ეწოდება... რელიგია ნიშნავს ღვთისმოსაობას და ღმერთთან კავშირს“. ამ სიტყვაში რელიგიის არსება სრულყოფილადაა წარმოჩენილი – ადამიანის ცოცხალი კავშირი ღმერთთან, რომელიც მორწმუნის გულის სიღრმეში აღესრულება.

რელიგიის განმარტებას **ნეტარ ავგუსტინესთანაც** (+ 430) ვხვდებით. ამ სიტყვას იგი აკავშირებს ზმნასთან **Reeligere, ხელახალი კავშირი, კვლავშეერთება, გაერთიანება**, რაც მიგვანიშნებს, რომ რელიგია ადამიანსა და ღმერთს შორის ოდესღაც არსებული და აწ დარღვეული კავშირის განახლება, კვალადგებაა. იგი წერს: „ჩვენ ვესწრაფვით, რომ სიყვარულით აღვადგინოთ კავშირი ღმერთთან და, როგორც ჩანს, აქედან წარმოდგება სახელწოდება რელიგია, რათა ღმერთში ვპოვოთ მშვიდობა“.

ასე რომ, სიტყვა „რელიგია“ ეტიმოლოგიურად ლათინურ ზმნებს უკავშირდება – **რელიგერე, რელიგარე, რეელიგერე,** რომლებიც ერთმანეთს ფორმითაც და მნიშვნელობითაც ენათესავებიან – შემოკრება, დაკავშირება, ხელახლა დაკავშირება, ხოლო გადატანით, მეორეული აზრით – ღვთისმოსაობა, თაყვანისცემა (კულტმსახურება), კრძალულება.

აღნიშნული ეტიმოლოგია და სემანტიკა რელიგიის ორ ელემენტს, ორ ძირითად შინაარსს უსვამს ხაზს – კავშირს და კრძალულებას, ღვთის ხმობას და მისდამი თაყვანისცემას, რაც მეტად თუ ნაკლებად, ასე თუ ისე ნებისმიერ რელიგიას ახასიათებს. ისინი ურთიერთშემავსებელი ელემენტებია. კრძალულების გარეშე რელიგიურობა ფარისევლობად, მლიქვნელობად, პირმოთნეობად და ცარიელ მოწესეობად გადაიქცევა, ხოლო რწმენა მშრალ, უსულგულო დოქტრინას დაემსგავსება.

შეგვიძლია ვთქვათ: **Religio** რთული სიტყვაა და შედგება ორი ნაწილისაგან: წინსართისაგან **Re,** რაც განმეორებითობას აღნიშნავს, და ძირისაგან **Ligo** (დაკავშირება).

რელიგიას ორი მხარე აქვს: იგი არის 1) ადამიანის ცნობიერების გარკვეული მდგომარეობა. – აღმატებული და ზებუნებრივი რეალობის განცდა, უხილავისა და დაფარულის რწმენა, ყოველგვარი ღვთისმსახურება ანუ საიდუმლო, მისტიური, საკრალური ქმედებანი და 2) სინმინდე, რისკენაც ისწრაფის ადამიანი და რასაც თაყვანს სცემს. მეორე მხარის გარეშე რელიგია რელიგია არაა. იგი არის უბრალო მისტიკა ანუ საიდუმლოებრიობა, როგორიცაა შამანიზმი, ოკულტიზმი, სატანიზმი და სხვა. მათ რელიგიას ვერ დავარქმევთ. ისინი ფსევდორელიგიებს წარმოადგენენ, რომლებიც რელიგიის ცალკეულ ელემენტებს შეიცავენ: სწამთ სულები და ზებუნებრივი ძალები, მაგრამ სინამდვილეში ისინი რელიგიის დაცემის, დეგრადაციის, გაუკუღმართების შედეგია.

იმ დარგის აღმნიშვნელად, რასაც რელიგიას ვეძახით, სხვა სიტყვებიც გამოიყენება: **კონფესია**, რაც ლათინური სიტყვაა და **აღმსარებლობას** ნიშნავს; **კულტი (კულტმსახურება)**; **სარწმუნოება** (ბერძ. „პისტის“, ლათ. „ფიდეს“), მაგრამ სიტყვა **რელიგია** მოცემული დარგის შინაარსს ყველაზე მარჯვედ და სრულყოფილად გამოხატავს. „ხელახალი კავშირი“ ანუ ადამიანსა და ღმერთს შორის ურთერთობის აღდგენა წუთისოფლის იდეალია. „რელიგია“ ქვეყნიერების თავგადასავალზე მიგვანიშნებს, მარადიული ცხოვრების წუთისოფლად გადაქცევაზე, ადამიანის დანაშაულსა და პასუხისმგებლობაზე, ცოდვასა და სინანულზე, გამომსყიდველი მსხვერპლის აუცილებლობაზე და ამ გზით ზეციერი მამის სამკვიდრებელში – ჭეშმარიტ სამშობლოში – დაბრუნების შესაძლებლობაზე. ამ სიტყვის ენაში არსებობა ცხადყოფს, რომ ადამიანის მეხსიერებაში არასდროს წაშლილა ხსოვნა ოდესღაც ღმერთთან ერთად ცხოვრებაზე, მასთან უშუალო კავშირზე, სამოთხეზე. დღეს კი, წუთისოფელში, აღნიშნული კავშირი დარღვეულია, ამქვეყანასა და იმქვეყანას, ღმერთსა და ადამიანს შორის ბზარია გაჩენილი, ხიდია ჩატეხილი, რასაც ცნობიერად თუ ქვეცნობიერად ყოველი ადამიანი გრძნობს და განიცდის და ეძიებს „ტივს“ ხიდის გასამთელებლად, კავშირის აღსადგენად. სწორედ ამ ძიების, უმაღლესი იდეალის სრულყოფის გზად და მალამოდ გვევლინება რელიგია, რომელმაც უნდა გარდაქმნას, გაასხივოსნოს პიროვნება, გახადოს ღირსი ღვთის საუფლოში დაბრუნებისა, განაახლოს ცისა და მიწის კავშირი.

რელიგია როგორც ცხოვრების, აზროვნებისა და შემეცნების ფორმა, ზოგადად ასე განიმარტება: **იგი არის ადამიანის გარეთ არსებული ძალების ანუ მიღმიერი, ზებუნებრივი, ზეცნობიერი რეალობის რწმენა**. იმის მიხედვით, თუ როგორია ეს რწმენა: რა სწამთ და როგორია ის სამყარო, რომელიც სწამთ; როგორია ფორმები, რითაც ამ სამყაროსთან ურთიერთობა მყარდება, ან ვინ ამყარებს ამ ურთიერთობას, – რელიგიის გარეგანი მხარე, ე.ი. რელიგიური პრაქტიკა, – კულტმსახურება (იგივე ღვთისმსახურება) განისაზღვრება. ასე იქმნება რელიგიური დოგმატიკა (თეორია, მოძღვრება), რელიგიური კულტი, რელიგიური თემი და რელიგიური იერარქია.

რწმენა

რელიგიის საფუძველი არის რწმენა. რელიგიას ხალხის (სოციუმის) რწმენა წარმოშობს. ამის გამო რწმენა, მორწმუნეობა და სარწმუნოება რელიგიისა და რელიგიურობის სინონიმებია.

რწმენას ღრმა ანთროპოლოგიური საფუძვლები აქვს. ეს ის თვისებაა, რომელსაც **იმედს და ნდობას** ვუწოდებთ. იგი ადამიანის შინაგანი ბუნების ნაწილია და არა შეძენილი, მეორეული, გარედან შემოსული. შეიძლება ითქვას, რომ რწმენა ბაზისია და არა ზედნაშენი. ეს ნიშნავს, რომ რწმენა ანუ რწმენის უნარი ადამიანის სპეციფიკური ნიშანია, – ისეთივე ძირითადი მახასიათებელი ანუ განზომილება, როგორც აზროვნება, იარაღის კეთება, მორალურობა, პოლიტიკურობა (მოქალაქეობრიობა). ამ ხუთი ძირითადი ნიშნის გარეშე (აზროვნება, ვითარებასთან ადაპტაცია ანუ იარაღის კეთება, ზნეობა, საზოგადოებრიობა და რელიგიურობა) ორფეხა, ვერტიკალურად მავალი და მეტყველი არსება ადამიანად ვერ ჩაითვლება. თითოეული მახასიათებელი ყოფიერების განსაზღვრულ დარგს ქმნის: აზროვნება – მეცნიერებას (ფართო გაგებით), იარაღის მკეთებლობა ანუ, გნებავთ, თავის დაცვის იმპულსი – სტრატეგიასა და ტაქტიკას, პოლიტიკურობა – პიროვნებათა, კოლექტივთა, ერთა და სახელმწიფოთა ურთიერთობის ნაირფეროვნებას, მორალი – ეთიკას, ე.ი. ქცევის ნორმებს, რწმენა – რელიგიას.

ჩამოთვლილი მახასიათებლებიდან ამა თუ იმ პიროვნებისათვის ზოგი მეტადაა ნიშანდობლივი, ზოგი ნაკლებად, მაგრამ არ არსებობს ადამიანი, მით უფრო – საზოგადოება, მათგან ერთიც რომ აკლდეს. ეს ნიშნები ერთმანეთზეა გადაჯაჭვული. ისინი ერთმანეთს ავსებენ, ერთმანეთს აპირობებენ და ხელს უწყობენ ერთიმეორის განვითარებას, დახვეწას, ურთიერთპროგრესს. იარაღის კეთება ანუ ნებისმიერი შემოქმედებითი აქტი (თავდაცვისათვის იქნება განკუთვნილი, თუ თავდასხმისათვის, იგულისხმება ნებისმიერი შრომა) თავისთავად და უცილობლად გულისხმობს აზროვნებას, მორალს, საზოგადოებრიობას (ზოგადად – გარესამყაროსთან დამოკიდებულებას) და მსოფლმხედველობას, მსოფლგანცდას, რელიგიურობას. აქედან ცხადია, რომ რელიგიური განცდები და ოცნებაწარმოდგენები ცხოვრების ორგანული ნაწილია. ადამიანი რელიგიურია მუდამ და ყველგან. ეთნოგრაფია არ იცნობს ისეთ საზოგადოებას, თავისუფალი რომ იყოს რწმენის ამა თუ

იმ, თუნდაც უმარტივესი, ფორმისაგან. და ეს არცაა გასაკვირი, რადგან რწმენის იმპულსი პიროვნების სულშია ჩანერგილი და ვლინდება ყოფიერების ნებისმიერ უბანზე. სწორედ ამ იმპულსის შედეგია ადამიანის უნარი, გასეროს მიწიერი გარსი, გააღწიოს ხილული სამყაროს ფარგლებს, იხილოს და განიცადოს მიღმიერი სამყარო ანუ აღმოაჩინოს რელიგიური ფასეულობა და ჭეშმარიტებანი.

იმედი და ნდობა, როგორც რწმენის საწყისი საფეხურები, აზროვნებისა და ცხოვრების, გნებავთ, მეცნიერების ნებისმიერ დარგს, თვით უკიდურესად ზუსტსა და რაციონალურსაც კი, უდევს საფუძვლად. ამის საუკეთესო ნიმუშია ამოსავალ დებულებათა ანუ აქსიომათა სიმრავლე და თითოეული ჩვენგანის დამოკიდებულება მათდამი. მოაზროვნე არსება, რა ზომითაც არ უნდა იყოს იგი რელიგიისაკენ მიდრეკილი, ნდობას უცხადებს მათ, ვითარცა თავისთავად ცხად და უდავო ჭეშმარიტებას, რადგან მხოლოდ ამგვარი ნდობის საფუძველზეა შესაძლებელი ნებისმიერი ლოგიკური პროცესის გაღრმავება, პრობლემების გადაჭრა და ამა თუ იმ თვალსაზრისის დასაბუთება.

პავლე მოციქული ამბობს: „სასოებით ვცხონდებით“ (რომ. 8:25), რითაც იგი რწმენის მნიშვნელობას უსვამს ხაზს. ესაა მომავლის, ხვალინდელი დღის უდრტვინველი და უშფოთ-ველი ლოდინი. ჩვენ არ ვიცით, რა მოხდება ხვალ, რას გვიმზადებს ულმობელი ბედი, მაგრამ გვჯერა და გვწამს მისი. და ვინც მეტად სძლევს ეჭვსა და უნდობლობას, მეტადაა იგი **homo religiosus** (რწმენის კაცი, რელიგიური ადამიანი).

პავლეს ზემოხმობილი სიტყვები იესო ქრისტეს შეგონებასა და მოწოდებაზეა დაფუძ-ნებული: **შენი სარწმუნოება გაცხოვნებს** ანუ გადაგარჩენს შენ! ამ სიტყვებით მაც-ხოვარმა მიმართა წიდოვან დედაკაცს (ლუკა 8:48), სინაგოგის წინამძღვარს (ლუკა 8:50), სამარიელ კეთროვანს (ლუკა 17:19), შობითგან ბრმას (მარკოზი 10:52; ლუკა 18:52), რომაელ ასისთავს (ლუკა 7:9) და ბევრ სხვას, რომლებიც მასთან რწმენით მოვიდნენ და რწმენა არ გამტყუნებიათ. მათგან ზოგი იუდეველი იყო, ზოგი სამარიელი, ზოგი წარმართი (ელინი). აქ, ცნება „სარწმუნოების“ ქვეშ, რელიგიურ-დოგმატური სისტემა, ე.ი. კონკრეტული სარწმუნოება (რელიგია) არ იგულისხმება. რა დოგმატურ-თეოლოგიური რწმენა, გნებავთ მცოდნეობითი, გნებავთ მჭვრეტელობითი, უნდა ჰქონოდა ან წიდოვან დედაკაცს, ან სამარიელ კეთროვანს, ან რომაელ ასისთავს? ცხადია, აქ იგულისხმება და ლაპარაკია ნდობაზე, მინდობაზე, ერთგულებაზე, ერთი სიტყვით, – შეუორგულებელ სარწმუნოებაზე, რომელიც მაცხოვარმა მდოგვის მარცვალს შეადარა და გვითხრა: „თუ გექნებათ მდოგვის მარცვლის ოდენა რწმენა, უბრძანეთ ამ მთას: გადაადგილდიო, და ისიც გადაადგილდება, და არაფერი იქნება შეუძლებელი თქვენთვის“ (მათე 17:20). ასე რომ, როდესაც სახარებაში რწმენის მეშვეობით ადამიანთა გადარჩენაზეა ლაპარაკი, მინდობის, ერთგულებისა და სასოების სიმტკიცე, უეჭველობა, გაუბზარავი და უხინჯო იმედი იგულისხმება.

სული

რელიგიის განუყოფელი ნაწილი სულისა და სულეთის რწმენაა. ცნობილია ისეთი რელიგიები (მაგ. ბუდიზმი, კონფუცის მოძღვრება), სადაც შემოქმედი ღმერთის იდეა არაა, მაგრამ სულის აღიარებისა და სულთა სამყაროს განცდის გარეშე რელიგია არ არსებობს.

რწმენა, რომ მატერიალური სამყაროს ყველა ელემენტს (მცენარეს, ცხოველსა თუ ნივთს) თავ-თავისი სული და ძალა აქვს, კეთილი ან ბოროტი, ანგელოზური ან დემონური, ძირითადად წარმართობას ანუ ბუნებით რელიგიას ახასიათებს. რელიგია, რასაც რელიგიას ვუწოდებთ, ასეთ რწმენებს (ფეხების, თვალებისა და ჯადოების „ძალას“) ცრურწმენებს უწოდებს.

როდესაც სულის შესახებ ვსაუბრობთ, უნდა გავმიჯნოთ, ერთის მხრივ, სტიქიური და პრიმიტიული წარმოდგენები, რაც რელიგიის ველური, თვითნაბადი ფორმების საკუთრებაა და, მეორეს მხრივ, თეოლოგიური და ფილოსოფიური თეორიები, რომლებიც განვითარებული და სისტემაში მოყვანილი რელიგიების რწმენა-წარმოდგენებს ეყრდნობა.

რელიგიის პირველყოფილი ფორმებისათვის, როგორიცაა ფეტიშიზმი, ანიმიზმი, ტოტემიზმი და მაგია, ზოგადად – წარმართობა, ნიშანდობლივია მატერიალური სამყაროსა და სულის, სულისა და ნივთის, სულისა და სხეულის განუყოფლობა. ამ მოვლენას, პანთეიზმის ანალოგიით (იხ. ქვ. გვ. 9), **პანპნევმატიზმი** უნდა ვუწოდოთ, სული ყველაფერშია და სულია ყველაფერი. როდესაც თაყვანს ვცემთ, მაგალითად, სამარიის თუ იერუსალიმის მთათა სულებს, თაყვანს ვცემთ სამარიისა და იერუსალიმის მთებს. ასე ფიქრობდნენ სამარიელებიც და იუდეველებიც (იოანე 4:20), რაც მათ რელიგიურ რწმენა-წარმოდგენებში წარმართულ ელემენტთა სიჭარბეზე მიუთითებს. რწმენა, რომ სული მთაშია და მთა სულში, სულის შესახებ წარმართული რწმენაა. ამ რწმენას უპირისპირდება რელიგიური რწმენა, ჩამოყალიბებული იესო ქრისტეს მიერ (იქვე: 21-23), რომლის თანახმად ჭეშმარიტი თაყვანისცემის საგანი არც ერთი მთაა და არც მეორე, არამედ თვითთავადი სული, ზეციური მამა, რომელიც არის ღმერთი – **ყოველი სულისა და ყოველი არსების მაარსებელი**.

სული და სხეული

ადამიანი სამი ელემენტისაგან შედგება: **სხეულისაგან** (ბერძ. სომა, რუს. ტელო), **სამშვინველისაგან** (ფსიხე, დუშა) და **სულისაგან** (პნევმა, დუხ). ამდენად, იგი ერთდროულად არის სომატური, ფსიქიური და პნევმატური.

სულის არსებითი ნიშანი აზროვნება და ზნეობრიობაა, ე.ი. სიკეთის შეგნებულად და გააზრებულად ქმნა. სამშვინველი ის რეალობაა, რასაც ხასიათს, ემოციას, ზნეს, ინსტინქტებს ვუწოდებთ, სხეული კი მხოლოდ მატერიაა, ე.ი. არსებათა უქვემოესი საფეხური. სული ადამიანს ციურ არსებებთან, ღმერთთან და ანგელოზებთან ანათესავებს, სამშვინველი – ცხოველებთან, სხეული – ყველაფერთან, რასაც გარემომცველ სამყაროში ვხედავთ. ადამიანს ადამიანობას და პიროვნებას (ინდივიდუალობას) სული ანიჭებს და იგი მას ამ ნიშნით (პიროვნულობით) ცხოველთა სამყაროსაგან გამოარჩევს. ცხოველებსაც

აქვთ სამშვინველი და, მაშასადამე, იციან, ადამიანების მსგავსად, სიყვარული, სიძულვილი, შფოთი, სიმშვიდე, ლაქუცი და სხვ. მაგრამ არ გააჩნიათ ცნობიერება, შესაბამისად – თვითკონტროლის უნარი.

აზროვნება (შემოქმედებითობა) არის ელემენტი, რომელსაც ზოგჯერ, გარკვეული აზრით, ღვთის ნაპერწკალს (ღვთიურ ელემენტს) უწოდებენ. ამის საფუძველს იძლევა ბიბლია, სადაც აღნიშნულია: „გამოსახა უფალმა ღმერთმა კაცი – ადამი – მიწის მტვერისაგან და შთაბერა მის ნესტოებს სიცოცხლის სუნთქვა და იქცა ადამი ცოცხალ არსებად“ (დაბ. 2:7). სულის ღვთიური წარმომავლობა (ოღონდ არა იმ აზრით, თითქოს სული ღვთის ნაწილია) არის მისი, ე.ი. ადამიანის, უკვდავებისა და ხორციელი სიკვდილის შემდეგაც კი პიროვნების დაუშლელობის, ინდივიდუალობის შენარჩუნების რწმენის საფუძველი. ეს რწმენა, თავის მხრივ, საიქიოს რწმენას, მეტიც, – მკვდართა სხეულით აღდგომის და საუკუნო ცხოვრების რწმენას განაპირობებს.

ღმერთი

სულისა და ღმერთის იდეები როგორც რელიგიურ, ისე არარელიგიურ სამყაროს მსჭვალავს. განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ რელიგიური მსოფლმხედველობის თანახმად ისინი რეალურად არსებობენ, ათეისტური ცნობიერება კი მათ მხოლოდ თეორიულად წარმოსახავს, – გონების, ოცნებისა და იმედის პროდუქტად მიიჩნევს.

თეოლოგიური განმარტების თანახმად, ღმერთი არის უზენაესი სახელი, აღმატებულთა შორის უაღმატებულესი სიტყვა და ცნება, რომელსაც უკავშირდება ადამის ტომის ნათელი და წმიდა სასოება. იგი „ყოველთა არსთა მაარსებელი“, მფარველი და პატრონია. მისი მეშვეობით პოულობს ქვეყანა ახსნას და გამართლებას, ყოფიერება – საზრისს. იგი გვეგულვის შემოქმედად, ხილული და არახილული სამყაროს მწედ, სანუკვარ მიზნად და იდეალად.

ღვთისმეტყველება (თეოლოგია) ფართო გაგებით ანუ „სწავლა ღვთაებისათვის და პატივისცემისათვის მისისა“ (ნ. ჩუბინაშვილი) არის ამ განმარტების განვრცობა და მეცნიერული დასაბუთების მცდელობა.

მეცნიერება ენისა და ეთნოსის შესახებ (ლინგვისტიკა და ეთნოგრაფია) გვარწმუნებს, რომ უზენაესი ცნება ღმერთი და მისი აღმნიშვნელი სიტყვები დამკვიდრებულია ყველგან, ნებისმიერი ხალხის ცნობიერებასა და მეტყველებაში. ეს ფაქტი მიგვანიშნებს, რომ უზენაესი არსის ცნება და ამ ცნების აღმნიშვნელი სიტყვა ცნობიერების ისეთივე ორგანული ელემენტია, როგორც რელიგია („ღმერთ“-ის ეტიმოლოგია შედარებით ვრცლად იხ. ჩვენს წიგნში „რელიგიის კარიბჭე“, გვ. 22-23).

საფიქრებელია, რომ ბუნების მრავალსახეობამ და ადამიანის სწრაფვამ მრავალმხრივობისაკენ პირველყოფილი საზოგადოების შეგნებაში ღვთაების ერთიანი, მთლიანი სახე დაანაწევრა და ბუნების თითოეულ მოვლენას, ცხოვრების ყოველ უბანს საკუთარი საწყისი და მფარველი განუჩინა. ასე ჩამოყალიბდა **პოლითეიზმი** (მრავალღმერთიანობა) და **პან-**

თეიზმი (ღმერთისა და ბუნების ერთიანობა, იგივეობა). მათ საპირისპიროდ აღმოცენდა **მონოთეიზმი** (ერთღმერთიანობა), **დუალიზმი** (ორმაგობა, ორი დაუსაბამო საწყისის, კეთილისა და ბოროტის, რწმენა) და **დეიზმი** (ბუნებისაგან ღვთის სრულად გამიჯნულობა, აბსოლუტურად ტრანსცენდენტულობა). ამ მოძღვრებათა მიხედვით, რომელთაგან ზოგი რელიგიურ-ფილოსოფიურ სისტემად წარმოგვიდგება, ღმერთი ან აბსოლუტურად იმანენტურია, ე.ი. ბუნებისაგან განუყოფელია (ასეთია, მაგალითად, ინდუიზმი), ან აბსოლუტურად ტრანსცენდენტური, ე.ი. სამყაროსაგან ისევე გამიჯნული და შორს მდგომი, როგორც, მაგალითად, ხელოვანი ნახელავისაგან. მათ შორის, როგორც ზომიერება, დგას **თეიზმი**, რომლის თანახმად ღმერთმა არა მარტო შექმნა ყოველივე ხილული და არახილული, არამედ უყვარს თავისი ქმნილება, ზრუნავს მასზე და გზადაგზა ეცხადება კიდეც. თეისტური რელიგიები გამოცხადების რელიგიებია. ღმერთი სამყაროს მიმართ იმანენტურიცაა და ტრანსცენდენტურიც, რის გამოც იგი ადამიანს თავისუფლებასაც ანიჭებს და, მზრუნველი მამის მსგავსად, წვრთნის და სჯის კიდეც. თეიზმის, უფრო ზუსტად, – **მონოთეიზმის სრულყოფილი სახე არის ტრიადა** (ერთარსება-სამების დოგმატი, ტრიადოლოგია), რაც ქრისტიანული რელიგიის განუყოფელი ნაწილია.

ღვთის არსებობის ლოგიკურ მტკიცებას პირველად ვხვდებით სოკრატეს (469-399) ნააზრევში. იგი აღნიშნავს, რომ სულიერ არსებათა შემოქმედი გაცილებით მაღლა დგას პოემებისა და ქანდაკებების ავტორებზე. მისი აზრით, ადამიანის ორგანიზმის მიზანშეწონილობა და ჰარმონიულობა შეეძლო შეექმნა მხოლოდ უმაღლეს გონებას, რადგან შემთხვევა მიზანშეწონილობას ვერ წარმოქმნიდა.

პლატონი (427-347) ამტკიცებს, რომ რეალური სამყარო თავისთავად არ არსებობს. მას მყოფობას იდეალური, უზენაესი სამყარო ანიჭებს. იქ იდეები იერარქიულ სისტემას ქმნიან. ამ სისტემის სათავეში დგას სიკეთის იდეა, რომელიც ღმერთის იდეის იდენტურია. ჩვენს გარემომცველ სამყაროში შედარებითი სიკეთის არსებობა აბსოლუტური სიკეთის რეალურ არსებობაზე მიგვანიშნებს. შედარებითი სილამაზე, რომელსაც მიწაზე ვხვდებით, გვაფიქრებინებს, რომ არსებობს აბსოლუტური მშვენიერება, რომელიც სრულიად თავისუფალია ხორციელისა და გრძნობადისაგან. ეს არის მშვენიერება თავისთავად, რომლისაგან იღებს დასაბამს ყოველგვარი სილამაზე, მშვენიერება, რომელიც უცვლელი და მარადიულია.

პლატონის მოწაფის, არისტოტელეს (384-322) შრომები ერთი ღმერთის არსებობის პირდაპირ მტკიცებას შეიცავს. მისი აზრით, წმინდა მატერია მხოლოდ პოტენციაა და მეტი არაფერი. მატერია რეალური ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოძრაობს და ფორმას იძენს. გარშემო ყველაფერი მოძრავია და ამავე დროს მამოძრავებელიც. ვერაფერს ვხედავთ ისეთს, რომ მხოლოდ მამოძრავებელი იყოს. მიზეზთა რიგს სხვა მიზეზთა რიგი მიჰყვება უკან, რაც არ შეიძლება დაუსრულებელი იყოს. აუცილებლად უნდა არსებობდეს ძალა, რომელიც ამოძრავებს და თავად არ მოძრაობს. ესაა წმიდა ფორმა, სრული რეალობა, რომელიც აბსოლუტურად თავისუფალია მატერიისაგან. ესაა ყოველთა მამოძრავებელი და თავად უძრავი ძალა – ღმერთი (პირველმამოძრავებელი).

ბერძნული ფილოსოფიის მიღწევები აითვისეს და განავითარეს რომაელებმა. მათი

სკოლის თვალსაჩინო წარმომადგენელმა, ციცერონმა, ე.წ. ისტორიული არგუმენტი შეიმუშავა. ყველა დროის ყველა ხალხს სწამდა და სწამს ღმერთის არსებობა. საიდან გაჩნდა ადამიანების შეგნებაში განუზომლად აღმატებული რეალობის იდეა? ამ არგუმენტთან მჭიდროდაა დაკავშირებული ღვთის არსებობის ფსიქოლოგიური და ზნეობრივი არგუმენტები.

ღვთის არსებობის რაციონალურ მტკიცებულებებს რელიგიურ ტექსტებშიც ვხვდებით. ყველაზე ძლიერ არგუმენტად ქვეყნიერების სიდიადესა და სილამაზეს მიიჩნევდნენ: „ცანი უთხრობენ დიდებასა ღმრთისასა და ქმნულთა ხელთა მისთასა მოუთხრობს სამყარო; დღე დღესა აუწყებს სიტყვასა და ღამე ღამესა მოუთხრობს მეცნიერებასა... ყოველსა ქვეყანასა განხდა ხმა მათი და კიდეთა სოფლისათა სიტყვანი მათი“ (ფს. 18:2-5). „... უთხრეს ცათა სიმართლე მისი, დი იხილონ ყოველთა ერთა დიდება მისი“ (იქვე, 96:6). ასე რომ, წინასწარმეტყველ დავითის თქმით, სამყარო ანუ კოსმოსი, როგორც ერთიანი და მთლიანი ორგანიზმი, თავად ღაღადებს შემოქმედზე. „შესაქმის დიდმშვენიერებით ცნაურდება მიზეზი ქვეყნიერების არსებობისა“ – ამბობს ძველი აღთქმის ეპოქის უცნობი სასულიერო მწერალი და მიანიშნებს, რომ სამყაროს ჰყავს მამა, რომელმაც სიცოცხლე ყოვლისშემძლე სიყვარულის ძალით შექმნა. ამიტომაც ადამიანის თავისუფალი სწრაფვა სულის უზენაესი მოთხოვნილებებისაკენ – ჭეშმარიტების შემეცნება, სიკეთის აღსრულება, დედამიწაზე მშვიდობის გამეფება და სხვა – ყოველგვარ შემწეობასა და თანამოქმედებას პოვებს ზეციერი მამისაგან. ეგევე აზრი ცხადადაა გამოთქმული ახალ აღთქმაში. პავლე მოციქული ასე მიმართავს კერპთაყვანისმცემლებს: „კაცნო, რას სჩადით? ჩვენც თქვენივე მსგავსი კაცნი ვართ და გახარებთ თქვენ, რათა ამ ცრუ ღვთაებათაგან ცოცხალი ღმერთის მიმართ მოიქცეთ, რომელმაც შექმნა ცა და მიწა, ზღვა და ყველაფერი, რაც არის მათში, და რომელმაც გარდასულ თაობებში ნება უბოძა ყველა ხალხს, ევლოთ თავიანთი გზით. თუმც უმოწმებლად არასოდეს დაუტოვებია თავისი თავი, ქველმოქმედებდა, და გაძლევდათ ზეცის წვიმებსა და უხვნაყოფიან ალოსთავთ, და საზრდოთი და სიხარულით გივსებდათ გულებს“ (საქმ. მოც. 14:15-17). ამავე აზრს იგივე მოციქული სხვაგან ასე აყალიბებს: ღმერთი „სამყაროს შექმნიდან მისსავ ქმნილებებში ცნაურდება და ხილული ხდება“ (რომ. 1:20).

ემპირიული შემეცნების გზით ღვთის არსებობის დასაბუთება ფილოსოფიის პრობლემა და პრეროგატივაა (მორწმუნეთა წინაშე ეს ამოცანა არ დგას). ამიტომ რაციონალური ფილოსოფიის აღორძინების ჟამს ღვთის არსებობის მტკიცებულების სასარგებლოდ დასავლეთ ევროპის ბევრმა მოაზროვნემ საყურადღებო სიტყვები თქვა. მათგან აღსანიშნავია: ანსელმ კენტერბერიელი (1033-1109), თომა აქვინელი (1225-1274), დეკარტე (1596-1650), პასკალი (1623-1662), ბოსსუეტი (1627-1694), ფენელონი (1651-1715), ლაიბნიცი (1646-1716), ნიუტონი (1643-1727), კანტი (1724-1808), ჰეგელი (1770-1831), მენ დე ბირანი (1756-1824) და სხვა. ამჯერად ყურადღებას მხოლოდ რამდენიმეზე შევაჩერებთ.

ანსელმ კენტერბერიელი, ავითარებდა რა ნეტარი ავგუსტინეს არგუმენტს, აღნიშნავდა: როგორც მადლის სხვადასხვა ხარისხი გვაფიქრებინებს უზენაესი, აბსოლუტური მადლის არსებობას, ასევე სიდიდეთა სხვადასხვა საფეხურებს უსაზღვრო სიდიდის ცნებამდე

მივყავართ და ბოლოს, კონტიგენტურ და ცვალებად ქმნილებათა არსებობა გვაიძულებს დავუშვათ უზენაესის, უცვლელის, მარადიულის არსებობა. იგი უსაზღვრო სიდიდეცაა და უსაზღვრო მადლიც. ესაა ღმერთი.

დეკარტე ასე მსჯელობს: მე არასრულქმნილი არსება ვარ, მაგრამ ჩემში ვიტევ სრულყოფილის არსებობის იდეას და ამდენად იძულებული ვარ ვაღიარო, რომ ეს იდეა მომანიჭა არსებამ, რომელიც სრულყოფილებას ფლობს და რომელსაც ღმერთი ეწოდება. ფილოსოფოსის ფიქრით, ადამიანი, თავად სასრული არსება, თავისთავად ვერ შექმნიდა სრულყოფილების იდეას. ვერც სასრული სამყაროს კანონები შთააგონებდნენ ამას. მხოლოდ უსასრულო არსებას შეეძლო შთაენერგა მისთვის ეს იდეა.

ნიუტონი ასე მსჯელობდა: პლანეტების მოძრაობა მხოლოდ მზის მიზიდულობის ძალით რომ იყოს განპირობებული, ისინი მზეზე დაეცემოდნენ. მათ ბრუნვითი მოძრაობის შესასრულებლად ღვთის ხელი სჭირდებათ, რომელიც ბიძგს აძლევს პლანეტების მოძრაობას ორბიტის ტანგენსზე.

აღნიშნული დებულებების არასრულყოფილება შეუმჩნეველი არ დარჩენილა. ისინი კრიტიკის ქარცეცხლში გაატარეს მისტიკოსებმა და ზოგიერთმა მორწმუნე ფილოსოფოსმაც კი. მე-18 ს-ის ევროპელი მოაზროვნის არისტე ჰემსტერჰუის თქმით, „მომავალზე, ამაღლებულსა და სრულყოფილზე ფიქრის დროს ერთი სულისმიერი ამოოხვრა უფრო მძაფრი დამტკიცებაა ღვთის არსებობისა, ვიდრე გეომეტრიული დასაბუთება“.

პასკალმა შექმნა ალბათობის ორიგინალური თეორია: ადამიანი, თავისი შეზღუდული ბუნების გამო, ვერასდროს იტყვის დაბეჯითებით, არსებობს თუ არა ღმერთი, მაგრამ მან აუცილებლად უნდა მიიღოს რომელიმე ვარიანტი. უმჯობესია დაუშვას, რომ არსებობს ღმერთი. თუ ასეა, მას სანუკვარი ნეტარება მოელის, წინააღმდეგ შემთხვევაში კი ფაქტიურად არაფერს კარგავს. „თუკი ჩვენ ვცდებით კიდეც იმაში, რომ ქრისტიანობას ჭეშმარიტებად აღვიქვამთ, თითქმის არაფერს ვკარგავთ. უბედურება ის იქნება, რომ იგი სიცრუედ მივიჩნიოთ და ამაში შევცდეთ“. მისი თქმით, ღვთის არსებობას ყველაზე უკეთ სასწაულები, ბიბლია და ქრისტიანობის ისტორია ასაბუთებს.

კანტმა დაუნდობლად გაანადგურა ყველა მანამდე არსებული კონცეფცია, მაგრამ, მისივე თქმით, თუ ვერ დავამტკიცებთ (და ვერც უარვყოფთ) ღმერთის არსებობას, უნდა ვაღიაროთ და ვირწმუნოთ იგი. კანტი ზნეობრივ დებულებას გვთავაზობს: ადამიანი სრულყოფისაკენ ისწრაფვის და აქვს ბუნებრივი მოთხოვნილება, რომ სრულყოფა ბედნიერებასთან შეაზავოს. მართლაც, გონიერი არსება ბედნიერი მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება, თუ ყველაფერი მის გარშემო მისსავე ნებასა და სურვილთანაა შეთანხმებული. ზნეობრივად განვითარებული ადამიანი უბედურებისა და სიღატაკის გარემოცვაში ვერაფრით იქნება ბედნიერი. ბედნიერების, სრულყოფისა და ჰარმონიის წარმოქმნა მხოლოდ ღმერთს ძალუძს. მხოლოდ ღვთის რწმენა წარმართავს სწორად ადამიანის ლტოლვას სრულყოფისაკენ.

„ღვთის ძიების“ გზაზე ცნობილია სხვა არგუმენტებიც. შინაარსთა მიხედვით ისინი დაჯგუფებულია შემდეგი სახელწოდებების ქვეშ: კოსმოლოგიური, ტელეოლოგიური, ონტო-

ლოგიური, ისტორიული, ზნეობრივი, რელიგიური გამოცდილებისმიერი (იხ. ჩვენს წიგნში „რელიგიის კარიბჭე“, გვ. 28-29. უფრო ვრცლად – ა.ი. ოსიპოვის წიგნში „ძირითადი ღვთისმეტყველება“, გვ. 29-60).

რელიგიის წარმოშობა

რელიგიისა და ღვთის იდეის წარმოშობის საკითხში თეისტური და ათეისტური თვალსაზრისები ერთმანეთს მკვეთრად უპირისპირდება. ათეისტები უარყოფენ რელიგიური იდეებისა და ღვთის ცნების ადამიანში იმანენტურად არსებობას. ლ. ფოიერბახის (XIX) მტკიცებით, ღმერთმა კი არ შექმნა ადამიანი, არამედ ადამიანმა შექმნა ღმერთი. ჰომო საპიენსს (მოაზროვნე ცხოველს) თავიდან არავითარი რელიგია არ ჰქონდა. ეს ინსტიტუტი თავისი მარტივი და რთული ფორმებით, ათეისტების მტკიცებით, გვიან, 30-40 ათასი წლის წინათ, ჩამოყალიბდა. ადამიანი კი ცხოველთა სამყაროს მილიონი წლის წინათ გამოეყო.

რელიგიისა და ღვთის იდეის წარმოშობის შესახებ რამდენიმე ჰიპოთეზა არსებობს: 1) **ნატურალისტური**, რომელიც რელიგიური ცნობიერების აღმოცენების მიზეზად ბუნების დამთრგუნველ მოვლენათა წინაშე ადამიანის შიშს ასახელებს; 2) **ანიმისტური**, რომლის თანახმადაც სხვა (ზებუნებრივი) სამყაროს რწმენა ადამიანს ისეთმა ფსიქიურმა მოვლენებმა გაუჩინა, როგორიცაა სიზმარი და ჰალუცინაციები; 3) **სოციალური**, რომ რელიგიური იდეალები, სანატრელი სამყაროს რწმენა, თითქოს წუთისოფლისაგან გაწამებული ხალხის მხოლოდ პრიმიტიული ოცნებების ნაყოფია.

ამდენად, ხსენებული ჰიპოთეზების თანახმად, შვებისმომგვრელ და მწყალობელ ღმერთზე რწმენის აღმოცენების მიზეზი უძველესი ეპოქის ადამიანების განვითარების დაბალ დონეში უნდა ვეძიოთ.

ეს თეორიები, რომლებსაც „უარყოფით კრიტიკას“ უწოდებენ, დასაბამს ანტიკური ეპოქიდან იღებს (მაგალითად, ლუკრეციუსი). რელიგიის უარყოფითი კრიტიკა საზოგადოებაში ყოველთვის არსებობდა, მაგრამ მათ განსაკუთრებით XVIII-XIX სს-ის დასავლეთ ევროპელმა და რუსმა ე.წ. განმანათლებლებმა გაუწიეს პროპაგანდა. მართალია, აღნიშნულ საუკუნეებში და შემდეგშიც ათეიზმი და ნიჰილიზმი ფართოდ გავრცელდა, მაგრამ ამ ფაქტმა თეოლოგებსა და იდეალისტური ფილოსოფიის წარმომადგენლებს კონტარგუმენტების მოძიებისა და დამუშავებისაკენ უბიძგა და სტიმული აპოლოგეტიკის განვითარებას მისცა. ასე რომ, „უარყოფითმა კრიტიკამ“ „დადებითი კრიტიკის“ აქტივიზაცია გამოიწვია; ზემომოყვანილი თეორიები კრიტიკის ქარცეცხლში იქნა გატარებული. მთავარი არგუმენტი იმ ჭეშმარიტების აღიარება გახლავთ, რომლის თანახმად, ადამიანი, მით უფრო დაბალ საფეხურზე მდგომი, განუზომლად აღმატებულ სფეროს ვერ წარმოიდგენდა, ვერ განიცდიდა და ვერ გაიაზრებდა. ველურის შეზღუდული გონება, რომელიც ცნებებით აზროვნებასაც ვერ ახერხებს, სრულყოფილების იდეას როგორ შექმნიდა? ადამიანს, რაც აშინებს, გაურბის კიდეც. პრიმიტიული ხალხები აღმერთებენ არა მტაცებლებს, არამედ შინაურ ცხოველებს (ძროხას, სპილოს).

რელიგიის წარმოშობის შესახებ დადებითი თეორია ასეთია:

არსებობს ღმერთი, რომელიც ადამიანზე განსაკუთრებული ფორმით ზემოქმედებს. ადამიანს გარკვეული პირობების წყალობით მასთან კონტაქტში შესვლა ძალუძს. ცნობილი რუსი ფილოსოსოფისა და ღვთისმეტყველის დეკ. **სერგეი ბულგაკოვის** (1871-1944) თქმით, „რელიგია ღვთის განცდის შედეგად წარმოიშვა“ და ეს იმის გამო გახდა შესაძლებელი, რომ რელიგიურობა ადამიანის განუყოფელი ნაწილია, რომ ადამიანი რწმენის კაცია, რომ ღვთის სიტყვის მოსმენისა და აღქმის უნარი მას მომადლებული აქვს. სხვადასხვა სისტემის რელიგიებისა და რელიგიის ისტორიის არსებობა ცხადყოფს, რომ ეს უნარი სხვადასხვა ადამიანში და სხვადასხვა კოლექტივში სხვადასხვა ხარისხითა და დოზითაა მოცემული - ისე როგორც სხვა უნარები: აზროვნება, იარაღის მკეთებლობა, სოციალურობა, მორალურობა. ეს სხვადასხვაობა ანუ ამ უნარის აქტივიზაციის ხარისხი განსაზღვრული ფაქტორებითაა გაპირობებული. ადამი სამოთხეში ღმერთს მანამ უმზერდა, სანამ სულიერად სუფთა იყო. მისი შთამომავალნიც უზენაესს ზნეობრივი და სულიერი ჯანმრთელობის კვალობაზე შეიმეცნებდნენ. ღვთის იდეა თაობიდან თაობას მემკვიდრეობით გადაეცემა, მაგრამ მისი ცხოველმყოფელობა კონკრეტულ ადამიანსა და საზოგადოებაზეა დამოკიდებული, კერძოდ, – აღზრდაზე, განათლებაზე, გარემოებაზე და სხვა. ადამიანი მაშინ ხდება რელიგიური, როდესაც უჩნდება სურვილი და პირადად მიმართავს ღმერთს (შდრ. მათე 7:7-8).

რელიგიის გენეზისი საიდუმლოებით არის მოცული, ისევე როგორც წარმოშობა ენისა, რომელიც ადამიანშია, ეკუთვნის ადამიანს, იყენებს ადამიანი, მაგრამ მის შექმნაში თავად არ ან ვერ მონაწილეობს. ისტორია არ იცნობს პერიოდს, რომელიმე ხანას, ან ადგილს, თუნდაც ყველაზე მიუვალ და ველურ მხარეში, ენისა და რელიგიის გარეშე. უნდა ვაღიაროთ, რომ **რელიგია არსებობდა საზოგადოების განვითარების ყოველ ეტაპზე, ყოველ ფორმაციაში, სოციალურ-ეკონომიკური წყობის ნებისმიერ დონეზე.**

რელიგიათა კლასიფიკაცია

რელიგიების, ე.ი. ზებუნებრივი ძალების რწმენისა და შესაბამისი წეს-განგებების სისტემათა რიცხვი სპეციალურ ლიტერატურაში მკაცრად განსაზღვრული არაა. მაგალითად, დაისმის კითხვა: მართლმადიდებლობა, კათოლიკობა და პროტესტანტობა თავ-თავიანთი განშტოებებით მსოფლიო რელიგიათა ნუსხაში ცალ-ცალკე უნდა იქნან წარმოდგენილი თუ ერთ ერთეულად? რელიგიათმცოდნეთა, თეოლოგთა, ანთროპოლოგთა და სოციოლოგთა პოზიციები ერთმანეთს არ ემთხვევა. მართლმადიდებელი და კათოლიკე თეოლოგები თავიანთი აღმსარებლობების პარალელურად იეჰოვას მოწმეების, ადვენტისტების თუ მორმონების მოხსენიებას ვერ ეგუებიან და აპროტესტებენ. რის საფუძველზე დავაყენოთ ერთმანეთის გვერდით, თუნდაც, ინდუიზმი და ბუდიზმი? ერთი პანთეიზმია, მეორე – მისტიციზმი, რომელიც შემოქმედი ღმერთის იდეას არ იცნობს. ეგევე ითქმის, ვთქვათ, შამანიზმისა და ისლამის, ქრისტიანობისა და კრიშნაიზმის ერთსა და იმავე გრაფაში

მოთავსების შესახებ. რამდენად ესადაგება მათ ერთი და იგივე ტერმინი? ეს თეოლოგების პრეტენზიებია. რელიგიათმცოდნეებისათვის კი ზებუნებრივი რეალობის ყოველგვარი რწმენა რელიგიაა.

რელიგიათა დაჯგუფების სხვადასხვა ტრადიცია და კრიტერიუმი არსებობს. პავლე მოციქული ამბობს: „წარმართები, რომელთაც რჯული არ გააჩნიათ, ბუნებით რჯულისმიერს აკეთებენ“ (რომ. 2:14). ამით იგი ხაზს უსვამს, რომ არსებობს **1) ბუნებითი რჯული** ანუ ბუნებითი რელიგია და **2) გამოცხადებული რჯული** ანუ გამოცხადებული რელიგია. „გამოცხადებული რჯულის“ ქვეშ მოციქული ძველსა და ახალ აღთქმას გულისხმობს, მაგრამ მოცემულ კრიტერიუმს თუ განვაზოგადებთ, ასეთ პარალელს მივიღებთ: **1) ბუნებრივი, თვითნაბადი, იმპულსური რწმენა-წარმოდგენები,** რასაც მოციქული თვითრჯულს ეძახის, და **2) სისტემაში მოყვანილი, ე.ი. ცივილიზებული, კულტურული რწმენა-წარმოდგენები**, რომელთაც, როგორც წესი, „ავტორი“ ჰყავთ.

ბუნებითი რელიგია, როგორც სახელწოდება მიგვანიშნებს, სარეველა ბალახს ჰგავს, რომელსაც დათესვა არ სჭირდება. ესაა რელიგიის დაბალი საფეხური, რელიგიურობის პირველყოფილი ანუ ველური ფორმები, რაც მეტ-ნაკლებად ყველა ეთნოსს და ნებისმიერ საზოგადოებას ახასიათებს. ესენია:

1) ანიმიზმი (ლათ. ანიმა „სული“) – რწმენა, რომ ყველა საგანს აქვს სული;

2) ფეტიშიზმი – უსულო საგნების თაყვანისცემა, ნივთების გაიდეალება, კერპთაყვანისმცემლობა. „ფეტიში“ პორტუგალიური სიტყვაა და „გაკეთებულს“ ნიშნავს. ასე უწოდებდნენ პორტუგალიელი მოგზაურები საგნებს, რომელთაც აფრიკელი აბორიგენები თაყვანს სცემდნენ;

3) ტოტემიზმი – გვარისა თუ ტომის წინაპრად რომელიმე ცხოველის ან მცენარის აღიარება („ტოტემი“ ინდიელთა ერთ-ერთი ტომის ენაზე გვარს ნიშნავს);

4) მაგია – კეთილი ან ბოროტი ძალების მომადლიერება სანაცვლოს მოზღვევის მიზნით. მაგიის ორი სახე არსებობს: თეთრი და შავი. პირველი კეთილია (შელოცვები კეთილწარმატებისათვის), მეორე – ბოროტი (შელოცვები გზათა გამრუდებისათვის).

წარმართობა (მრავალღმერთიანობა და კერპთაყვანისმცემლობა) რელიგიურობის, უფრო სწორად – სპირიტუალობის ჩამოთვლილ ფორმებს ეფუძნება. რადგან იგი ბუნებით „იკვებება“, ხოლო ბუნების არსებითი ნიშანი ცვალებადობაა, წარმართობის შინაგანი და გარეგანი სამყაროც ცვალებადია. ამის საუკეთესო მაგალითია წარმართობა საქართველოში, უფრო – ქართული წარმართული პანთეონი, რომლის შესახებაც ჩვენს მატეანეში ნათქვამია: მოვიდა აზო, მოიტანა კერპნი ღმრთად გაცი და გა; დადგა ფარნავაზ, – აღმართა კერპი არმაზ; დადგა საურმაგ – აღმართა კერპი – აინინა; მეფობდა მირვან – აღმართა დანინა; მეფობდა ფარნაჯორ – აღმართა ზადენ...

რელიგიების კლასიფიკაციის სხვადასხვა სისტემა არსებობს. ყველაზე გავრცელებული ის სისტემაა, რომელსაც საფუძვლად ქრონოლოგიისა და ევოლუციის პრინციპი უდევს (პრიმიტიულიდან თანამედროვე რჯულმოძღვრებებამდე). ამ პრინციპს ემყარება, მაგალითად, მე-20 ს-ის ამერიკელი სოციოლოგისა და რელიგიათმცოდნის **რობერტ ბელახის**

სისტემა, რომელშიც რელიგიათა ხუთი ისტორიული სტადიაა გამოყოფილი: **პრიმიტიული, არქაული, ისტორიული, ადრემოდერნისტული და მოდერნისტული.** პირველი მოიცავს ავსტრალიის აბორიგენთა მისტიციზმს, მეორე – პოლინეზიელთა და აფრიკელთა პოლითეიზმს, მესამე – ძველებრაელთა მონოთეიზმს, მეოთხე – რეფორმაციის ეპოქის პროტესტანტობას, მეხუთე – თანამედროვე რელიგიებს.

მეორე სისტემა, რომელიც თანამედროვე რელიგიათმცოდნეობაში ასევე გავრცელებულია, ეკუთვნის **მაქს ვებერს**. მისთვის ამოსავალია ორი კითხვა: 1) რა არის საჭირო სიკვდილის შემდეგ სულის ნეტარებისათვის? და 2) ჭეშმარიტ ნეტარებას ამქვეყნად ეზიარება სული თუ იმქვეყნად; ხორცშესხმული კაცის შინაგან სამყაროში თუ ხორციელი სიკვდილის შემდეგ? პასუხები, რომლებსაც სხვადასხვა რელიგიაში ვიპოვით, ორამდე დაიყვანება: ცხონებისათვის საჭიროა: ა) პასიური მჭვრეტელობა (მისტიციზმი) და ბ) ნებისყოფის აქტიური მართვა (ასკეტიზმი); ადამიანი ცხონდება ა) ამქვეყნად და ბ) იმქვეყნად. საკითხის ასე დასმის შედეგად რელიგიები ორ ნაწილად იყოფა: აღმოსავლური (ინდუიზმი, ბუდიზმი, კონფუციანელობა, სინტოიზმი და სხვა) და დასავლური (ზოროასტრიზმი და ბიბლიური რელიგიები). მაგალითად, აღმოსავლეთის რელიგიათა უმრავლესობის თანახმად სულის ხსნა მისტიციზმის საფუძველზეა შესაძლებელი. ამისათვის ინდუსები მედიტაციას ან იოგას მიმართავენ, ბუდისტები – გასხივოსნებას. დასავლეთის რელიგიებში წამყვანი როლი ასკეტიზმს უჭირავს, რომელიც უმაღლესი იდეალის მისაღწევად თვითშეწირვას და თვითკონტროლს მიიჩნევს.

რელიგიური სისტემების დაყოფა, ცხადია, სხვა ნიშნებითაც შეიძლება. ასე მაგალითად – თეისტური და ათეისტური, როგორიცაა ბუდიზმი. ზოგიერთი სპეციალისტი, კერძოდ, გერჰარდ ლენკი კომუნიზმს, სოციალიზმს, საბჭოთა ჰუმანიზმსა და, ალბათ, ფაშიზმსაც, რელიგიათა სიაში ათავსებს (იხ. ნეილ სმელზერის წიგნი „სოციოლოგია“, გვ. 461-476).

მთავარი კრიტერიუმი, რითაც რელიგიათა კლასიფიკაცია ხდება, არის წერილი, წიგნი. **წერილის არმქონე რელიგიები** იგივე ბუნებითი ანუ წარმართული რელიგიებია, რომელთაც ჩვეულებრივ ადგილობრივი კულტები ეწოდებათ. მათ უპირისპირდება **გამოცხადების, წერილის, წიგნის რელიგიები**, რომელთაც **მსოფლიო რელიგიებს** ვუწოდებთ.

რელიგიური ორგანიზაციები

რელიგიური ორგანიზაციების კვალიფიკაციის მყარი კრიტერიუმი მოძებნილი არაა. შეფასებები სუბიექტურია და შემფასებლის პირადი პოზიციით გაპირობებული. სახელმწიფოს ენა და თეოლოგიის ენა აქ ერთმანეთს არ ემთხვევა. თანამედროვე დემოკრატიული სისტემა და იურისპრუდენცია ტერმინს „სექტა“ (გაუკუღმართებული მრწამსისა და რიტუალის მნიშვნელობით) არ იცნობს. მისთვის ყველა რელიგიური ორგანიზაცია ეკლესიაა. მაგალითად: საკონსტიტუციო ფრაზაში „ეკლესია გამოყოფილია სახელმწიფოსაგან“ „ეკლესიის“ ქვეშ ნებისმიერი რელიგიური ორგანიზაცია მოიაზრება – ქრისტიანული, მუსლიმანური თუ, ვთქვათ, წარმართული.

თანამედროვე სოციოლოგი **ნეილ სმელზერი** რელიგიურ ორგანიზაციებს ოთხ ჯგუფად ყოფს: **ეკლესია, სექტა, დენომინაცია და კულტი.**

ეკლესია ბერძნული სიტყვაა და ორი მნიშვნელობა აქვს: ძირეული, პირველადი და მეორეული, გადააზრებითი. თავდაპირველი და ჩვეულებრივი აზრით იგი ნებისმიერი რწმენისა და სოციალური ფენის წარმომადგენელთა კრებულს (საზოგადოებას) აღნიშნავს. მეორეული შინაარსით, ე.ი. ქრისტიანული თეოლოგიის ენაზე, ეკლესია გულისხმობს მორწმუნეთა და (და მხოლოდ მორწმუნეთა) კრებულს, საზოგადოებას, გაერთიანებას. ჩვენ სწორედ მეორე შინაარსი გვაინტერესებს. ეკლესიის წევრები არიან როგორც მართალი, ისე ცოდვილი მორწმუნეები. მაშასადამე, ეკლესია ფაქტობრივად და რეალურად შესაბამისი ქვეყნისა და საზოგადოების ყველა უბანს მოიცავს. **ეკლესია ის რელიგიური ორგანიზაციაა, რომელსაც მჭიდრო კავშირი აქვს საზოგადოების ფართო ფენებთან და მის წიაღში მოქმედებს**. ეკლესიის არსებითი ნიშანი არის ჰარმონიული ურთიერთობა სახელმწიფოს კულტურასთან და ტრადიციებთან. მნიშვნელობა არა აქვს, ოფიციალურად რა სტატუსი ექნება მას მინიჭებული. ეკლესია, როგორც წესი, ამა თუ იმ მხარის, ერისა თუ ეთნოსის ძირითადი სარწმუნოებრივი გაერთიანებაა.

სექტა ლათინური სიტყვაა და ძირეული შინაარსით გამოყოფას, ჩამოჭრას, მოკვეთას ნიშნავს, მეორეული აზრით – სკოლას, მიმდინარეობას. ანტიკურ ეპოქაში სექტებს უწოდებდნენ ფილოსოფიურ სკოლებს, რომელთა შეხედულებები განსხვავდებოდა საყოველთაოდ აღიარებული და გაზიარებული მოძღვრებისაგან. თეოლოგიური და ეკლესიოლოგიური პოზიციითაც, **სექტა ეწოდება ეკლესიასთან დაპირისპირებულ ორგანიზაციას, რომელიც უგულვებელყოფს დანარჩენი საზოგადოების ღირებულებებს და კონფლიქტშია ქვეყნის კულტურასა და ტრადიციებთან.**

სექტანტობის საფუძველი არის **ერესი** (მწვალებლობა) და **სქიზმა** (რასკოლი). პირველი ეკლესიის ერთიან მოძღვრებასთან (დოგმატთან) დაპირისპირებას, ე.ი. ახალ თეორიას, ახალ თვალსაზრისს, წვალებას ნიშნავს, მეორე – კანონიკისა და ლიტურგიკის, ე.ი. სარწმუნოებრივი ცხოვრების (პრაქტიკის) წეს-განგებათა საფუძველზე აღმოცენებულ უთანხმოებას, რომელიც ეკლესიის გაყოფით მთავრდება (იხ. ქვემოთ „დიდი სქიზმა“). სექტა, როგორც წესი, ერესის ნიშნებსაც შეიცავს და სქიზმისასაც ანუ ეკლესიასთან მოძღვრებითაც დაპირისპირებულია და ორგანიზაციითაც. რადგან სექტა წინააღმდეგობაშია იმ საზოგადოებასთან, სადაც ეკლესია ბატონობს, მისი წევრები საზოგადოებრივ საქმიანობაში მეტწილად არ მონაწილეობენ; ემიჯნებიან განათლების სისტემას (სახელმწიფო სასწავლებლებს), ზურგს აქცევენ კულტურულ ღონისძიებებს, უარს ამბობენ თეატრზე, მუსიკაზე, სპორტზე და ა.შ. ასე ყალიბდება სექტანტური ცნობიერება, რაც, ცხადია, მხოლოდ კონკრეტული სექტების პრობლემა არ არის. ასეთი ცნობიერება ეკლესიაშიც ადვილად იკიდებს ფეხს და მის წიაღში სექტანტურ ჯგუფებს აყალიბებს, – სექტანტურ ცნობიერებას ნერგავს. ნ. სმელზერი სექტის კლასიკურ ნიმუშად „იეჰოვას მოწმეებს“ ასახელებს, აგრეთვე – მორმონებს.

დენომინაცია ლათინური სიტყვაა და „გადარქმევას“ ნიშნავს, მეორეული (რელიგიათ-

მცოდნეობითი) აზრით კი – იმ ორგანიზაციას, რომელიც **ეკლესიისა და სექტის შუალედურ რგოლს, ე.ი. გარდამავალ საფეხურს წარმოადგენს**. დენომინაციების არსებითი ნიშანი აქტიური მისიონერული მოღვაწეობაა, რითაც ისინი ერთმანეთს და ეკლესიას კონკურენციას უწევენ. ამის მიუხედავად დენომინაციები საზოგადოებასთან და სახელმწიფოსთან ნორმალურ ურთიერთობას ინარჩუნებენ, თუმცა სახელმწიფო რელიგიებს არ წარმოადგენენ. ისინი ქვეყნის კულტურასა და ტრადიციებთან ისე გაშინაურებული არ არიან, როგორც ეკლესიები, მაგრამ, სექტებისაგან განსხვავებით, არ უპირისპირდებიან მათ. მაგალითად: ჩვენს სინამდვილეში, საქართველოს ქრისტიან მოსახლეობაში, მიღებული ნორმაა ქელეხი, დაბადების დღეები, სადღეგრძელოები ღვინით, ნათესავების (მეშვიდე თაობამდე) უქორწინებლობა და ა.შ. დენომინაციები ამ ნორმებს იცავენ, სექტები – უგულვებელყოფენ. ნ. სმელზერის სქემით, პროტესტანტული დენომინაციებია: ბაპტისტები, პრესბიტერიანელები, ეპისკოპალური ეკლესიის წევრები, მეთოდისტები, კონგრეგაციონალისტები და სხვა. მართლმადიდებლურ დენომინაციად სტაროვერები (ძველმართლმადიდებლები წვრილ-წვრილი განშტოებებით) უნდა ჩაითვალონ.

კულტი ასევე ლათინური სიტყვაა და რელიგიურ სამსახურს ნიშნავს. რელიგიათმცოდნეობაში კი ამ ტერმინით სექტის ის სახეობა აღინიშნება, რომელიც **ექსტრემიზმით და რადიკალურობით გამოირჩევა და რომელსაც ხშირად ტოტალიტარულს ეძახიან.** მისი არსებითი ნიშანი პიროვნების შთანთქმის, ინდივიდუალობის წარხოცვის და კოლექტიურ ცნობიერებაში გათქვეფის მცდელობაა. ამერიკაში ასეთ სექტებს მიეკუთვნებიან მუნიტები („ერთობის ეკლესია“), „ქრისტიანული მეცნიერება“, „ღვთიური განათლების მისია“ და სხვა. ისინი ახალი წევრების მოზიდვისა და შენარჩუნების მიზნით არაზნეობრივ მეთოდებს მიმართავენ, რის გამოც საზოგადოებასთან, სახელმწიფოსთან, ეკლესიებთან, დენომინაციებთან და ჩვეულებრივ სექტებთან კონფლიქტი აქვთ; ჰყავთ ქარიზმატული („სულიწმიდით მოლაპარაკე“) ლიდერები და თავიანთ თავს ქარიზმატებს ეძახიან.

რელიგიური ორგანიზაციები როგორც სტრუქტურით, ისე გარემოსთან მიმართების თვალსაზრისით ცვალებადობის კანონს ემორჩილებიან. ეს ნიშნავს, რომ თითოეულ მათგანს მოცემული კატეგორიიდან სხვაში გადასვლის შანსი და შესაძლებლობა აქვს. ასეც ხდებოდა და ხდება. ეკლესია, რომელიც ქრისტემ და მისმა მოციქულებმა დააფუძნეს, იუდეველთა თვალსაწიერით სექტა იყო და თავდაპირველად ასეც აღიქმებოდა. VII ს-ის 20-30-იან წლებში ისლამსაც სექტად იცნობდნენ, მაგრამ მალე იგი მთელი რიგი ქვეყნებისა და სამეფოების ძირითად სარწმუნოებად იქცა. ეკლესია, რომელიც 1517 წელს ლუთერის თეზისების საფუძველზე შეიქმნა (იხ. ქვ. გვ. 157), იმხანად დემონინაციად გამოიყურებოდა, მაგრამ დღეს ლუთერული ეკლესია გერმანიასა და სკანდინავიის ქვეყნებში სახელმწიფო რელიგიაა.

რელიგიურ გაერთიანებათა აღნიშნული ტიპები ყველა მსოფლიო რელიგიაში დასტურდება.

საქართველო რელიგიების გზათშესაყარზე

საქართველოში, მისი გეოპოლიტიკური რეალობის გამო, ძველთაგანვე ერთმანეთს სხვადასხვა შინაარსის კულტურა და რელიგია ხვდებოდა; ადგილობრივი მოსახლეობის ბუნებითი რწმენა-წარმოდგენების, – ქვათა, ხეთა, ტყეთა თუ მთათა მისტიკის პარალელურად ბერძნულ-რომაული და ქანაანურ-მესოპოტამიური პოლითეიზმი, ე. ი. მეზობელი ქვეყნების კერპები და რიტუალები იკაფავდა გზას. XX ს-ის ვანის, ნოქალაქევის, მცხეთა-არმაზისა და სხვა არქეოლოგიურმა აღმოჩენებმა ქართლისა და კოლხეთის ტერიტორიებზე როგორც დასავლური, ისე აღმოსავლური კულტების არსებობა დაადასტურა. ჩვენი წინაპრების ნაწილი ქრისტესშობამდე მონოთეისტურ და დუალისტურ თეოლოგიასაც ეზიარა იუდაიზმისა და ზოროასტრიზმის სახით. სავარაუდებელია, რომ მოსახლეობის გარკვეული რაოდენობა, ელიტარული საზოგადოება მაინც, ინდუიზმსა და ბუდიზმსაც იცნობდა.

საკუთრივ ქართული კულტურა, როგორც საკაცობრიო კულტურის ინდივიდი, ძირითადად ქრისტიანული რწმენისა და ტრადიციის ნაყოფია. მართლმადიდებელმა სარწმუნოებამ არა მარტო ჩვენი ქვეყნის საეკლესიო წარსული, არამედ სამოქალაქო ისტორიაც განმსჭვალა. ვერ დავუპირისპირდებით აზრს, რომ ქართული ეთოსის (ხასიათის) და ეროვნული ცნობიერების არტერია ჯვრისა და ხატის თაყვანისმცემელი რელიგიაა. ამ საგანზე მკვლევრები არ დავობენ, მაგრამ შეცდომა იქნება იმის თქმა, რომ ჩვენი ქვეყნის კულტურის, ქართული ეთნოსისა და ეთოსის შექმნასა და ფორმირებაში მხოლოდ და მხოლოდ ქრისტეს მოძღვრება და მისი ეკლესია მონაწილეობდა. საქართველოს ისტორია და, მეტიც, ქართული ლიტერატურა, ფოლკლორი და ეთნოგრაფია ასეთი დასკვნის საშუალებას არ იძლევა. საქართველოში, როგორც ძველ დროში, ისე ახალ დროში სხვადასხვა რელიგიური ორგანიზაციები მოქმედებდა და მოქმედებს, რომლებმაც კვალი ცხოვრების ამა თუ იმ უბანზე დატოვეს და ამჟამადაც ტოვებენ. აქ პირველ რიგში ზოროასტრიზმი და ისლამი იგულისხმება. ისტორია მოწმობს, რომ მათი მიმდევრები ქართულენოვან შემოქმედებასაც მისდევდნენ. თანამედროვე ეთნოგრაფები ბევრს ლაპარაკობენ ზოროასტრიზმის ნაშთებზე როგორც საქართველოს მთიანეთში, ისე ბარში. ქართულ მწერლობასა და ფოლკლორში ისლამის ადგილი უფრო თვალსაჩინოა, რასაც ქვემოთ შედარებით ვრცლად შევეხებით. საერთო ქართული კულტურის ქმნადობაში წვლილი ებრაულ სინაგოგებსაც შეჰქონდათ. ჩვენი წინაპრები რომ ინდურ-ტიბეტურ სამყაროსაც იცნობდნენ, ამის თაობაზე ძველი ქართული მწერლობის როგორც ნათარგმნი, ისე ორიგინალური ძეგლებიც მეტყველებს. ამის ნიმუშად „ბალავარიანის“ დასახელებაც იკმარებს.

შეგვიძლია დავასკვნათ: ქართული კულტურა ქრისტიანული კულტურაა, მაგრამ ქართველი ხალხის კულტურულ-შემოქმედებით პროცესში არაქრისტიანული რელიგიებიც მონაწილეობდნენ. მკაფიოდ უნდა ითქვას, რომ არაქრისტიანი ქართველების, უფრო სწორად, – როგორც ეთნიურ ქართველთა, ისე ეთნიურად არაქართველთა, მაგრამ საქართველოს მკვიდრთა, კულტურაც ფართო მასშტაბით მოაზრებული ქართული კულტურის განუყოფელი ნაწილია.

რელიგია დღევანდელ საქართველოში

მსოფლიო რელიგიები, რომელთაც წარსულში საქართველოს ტერიტორიაზე უმოქმედიათ, ამა თუ იმ ფორმით დღესაც განაგრძობენ მოქმედებას. ესენია: ქრისტიანობა, ისლამი და იუდაიზმი. მათ შორისაა ზოროასტრიზმი, რომლის შორეული მემკვიდრენი იეზიდები არიან. მაშასადამე, საქართველო არა მარტო მრავალეროვანი, არამედ მრავალკონფესიური ქვეყანაცაა.

ვითარება ზოგადად ასეთია: ეთნიური ქართველების უმრავლესობა მართლმადიდებლები არიან. მართლმადიდებლები არიან ოსები, რუსები, ბერძნები, აგრეთვე აფხაზების, სომხების ნაწილი, უდიები. როგორც ქართველების, ისე აღნიშნულ ეროვნებათა უმცირესობა კათოლიკე, პროტესტანტი ან მარგინალია. სომხების უმრავლესობა „სომხურ სამოციქულო ეკლესიას“ ეკუთვნის, რომელსაც ჩვენში ხშირად „გრიგორიანულს“ უწოდებენ. საქართველოს მოქალაქეების, როგორც ეთნიური ქართველების, ისე ეთნიურად არაქართველების ანუ ეროვნულ უმცირესობათა დიდი რიცხვი ისლამს აღიარებს. ბოლო ათწლეულებში მცირერიცხოვანი მრევლი სხვა რელიგიურმა მიმდინარეობებმაც გაიჩინეს – კრიშნაიტებმა და ბაჰაიტებმა.

ქვემოთ ყველა ხსენებული რელიგიისა და მათი განშტოებების შესახებ ვისაუბრებთ; წარმოვაჩენთ თითოეულის დოგმატიკისა და პრაქტიკის ძირითად საკითხებს. ყველაზე დიდ ადგილს ქრისტიანობას დავუთმობთ, რომლის წილი, ვიმეორებთ, საქართველოს წარსულსა და თანამედროვეობაში განუზომელია.

ქრისტიანულ აღმსარებლობებს, რომელთაც ჩვენი ქვეყნის წარსული და დღევანდელობა იცნობს, ქვემოთ ქრონოლოგიურ-ისტორიული თანმიმდევრობით წარმოვადგენთ. ჯერ მართლმადიდებლობასა და ეკლესიათა ერთიანობის ხანაში აღმოცენებულ დენომინაციებზე ვისაუბრებთ, შემდეგ – კათოლიკობაზე, შემდეგ – პროტესტანტულ ეკლესიებსა და დენომინაციებზე და ბოლოს – მარგინალურ (მინდორგარე) ქრისტიანობაზე, რაშიც, ჩვეულებრივ, სექტებად მონათლული რელიგიური ორგანიზაციები მოიაზრება.

თავი 1
ქრისტიანობა

ზოგადი მიმოხილვა

ქრისტიანობა მსოფლიოში ყველაზე გავრცელებული და ყველაზე გავლენიანი სარწმუნოებაა. მისი მიმდევრების საერთო რიცხვმა 2000 წელს 2 მილიარდს გადააჭარბა. მათ ნებისმიერ რასაში, ერსა თუ სახელმწიფოში ნახავთ (ზოგან ბევრს, ზოგან ცოტას). ქრისტიანულ მოძღვრებასა და ღვთისმსახურებას, რომელიც სხვადასხვა შინაარსსა და ფორმას ატარებს, თანაბრად აქვს ფესვები გადგმული სხვადასხვა ფენასა თუ კლასში, სხვადასხვა ინტელექტის, აზროვნების, სტილისა და პროფესიის ხალხში, სხვადასხვა კულტურისა და ცივილიზაციის საზოგადოებებში. ეს ბუნებრივიცაა, რადგან ქრისტიანობა არსებით კათოლიკე, ე.ი. საყოველთაო, უნივერსალური და ზენაციონალური აღმსარებლობაა.

ღვთის გამოცხადების შინაარსისა და მნიშვნელობის სრულყოფილად გააზრება საზოგადოების ინტელექტუალური ნაწილისაგან შემოქმედებითი პოტენციალის გააქტიურებას მოითხოვს. ასე იყო ადრე და ასეა დღესაც. ბერძნულ, ლათინურ და სხვა კულტუროსან ხალხთა ენებზე შექმნილია უმდიდრესი მწერლობა, რომელშიც ასახულია სულიერი შემეცნების მიღწევები ღვთისმეტყველების (დოგმატიკის), ასკეტიკის (ზნეობის), ლიტურგიკის თუ კანონიკის სფეროებში. ქრისტიანული ეკლესიის წიაღში აღიზარდნენ მსოფლიო მასშტაბის მოაზროვნეები და კალმოსნები როგორც სასულიერო, ისე საერო მიმართულებისა, რამაც ქრისტიანულ სარწმუნოებას ავტორიტეტი სხვა სარწმუნოების მიმდევართა, ნიჰილისტთა და ათეისტთა თვალშიც შესძინა. ნებსით თუ უნებლიეთ მას ყველა ანგარიშს უწევს.

ქრისტე მცირე აზიის ერთ არაპრესტიჟულ პროვინციაში დაიბადა და გაიზარდა. იქ იქადაგა ახალი მოძღვრება – ახალი აღთქმა, რომელსაც მისი ჯვარცმის, სიკვდილისა და აღდგომის შემდეგ მოციქულები და სამოციქულო კაცები ავრცელებდნენ. მათ რომის იმპერიასა და მის საზღვრებს გარეთაც მორწმუნეთა გაერთიანებები, – საზოგადოებები შექმნეს, რომელთაც ძველი ბერძნული (ელინური) ტრადიციის კვალდაკვალ ეკლესიები ეწოდა.

პირველი ეკლესია იერუსალიმში დაფუძნდა აღდგომიდან ორმოცდამეათე დღეს, როდესაც მოციქულებზე სულიწმიდა გადმოვიდა და მათ ქადაგების განსაკუთრებული უნარი შეიძინეს. იმ დღეს სამი ათასმა კაცმა იწამა იესო ქრისტე და მოინათლა (საქ. 2:41). იერუსალიმის ეკლესია უძველესი ეკლესიაა და ქრისტიანობა მთელ მსოფლიოში იერუსალიმიდან გავრცელდა.

ქრისტეს მცნებების აღმსრულებლები და ეკლესიის წევრები სულ ადრე, იერუსალიმში, „უფლის მოწაფეებად“ იწოდებოდნენ (საქ. 9:1). როდესაც მათი დევნა დაიწყო, ნაწილი იერუსალიმიდან გაიხიზნა და თავი ფინიკიას, კვიპროსსა და ანტიოქიას შეაფარა. სწორედ ანტიოქიაში ეწოდათ მოწაფეებს პირველად ქრისტიანები (საქ. 11:26) და ისინი ამ სახელით მოევლინენ კაცობრიობას.

ქრისტიანობა, იუდეველთა და წარმართთა წინააღმდეგობის მიუხედავად, ტრიუმფით გავრცელდა. ცეცხლმა და მახვილმა, რომელმაც მორწმუნეთა უამრავი სული შეიწირა და წმინდანის შარავანდედით შემოსა, ეკლესია განამტკიცა და გაამდიდრა როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული თვალსაზრისით. მისი კანონიკური წყობა და თეოლოგიური სისტემა ძირითადად და არსობრივად დევნილების ჟამს ჩამოყალიბდა და იმდენად მოიხვეჭა ავტორიტეტი, რომის იმპერიაში იმდენად ანგარიშგასაწევ ძალად იქცა, რომ სახელმწიფოს მისი უგულებელყოფა აღარ შეეძლო და 313 წელს იმპერატორმა კონსტანტინე დიდმა მილანის ედიქტით იგი ოფიციალურადაც აღიარა. ანალოგიურ ვითარებას ადგილი სხვა ქვეყნებშიც ჰქონდა.

ქრისტიანები თავიანთ თავს ახალ ხალხს, ახალ ერს, ახალი აღთქმის შვილებს უწოდებდნენ და უარყოფდნენ ტომთა და ენათა შორის უფროს-უმცროსობის, უკეთესობა-უარესობის რწმენას, უფრო სწორად, ასეთ რწმენას, რომელსაც ებრაელთა და ელინთა შორის ღრმად ჰქონდა ფესვები გადგმული, ცრურწმენად რაცხდნენ.

პირველქრისტიანთა ცხოვრების წესი დემოკრატია, ე.ი. ხელმძღვანელ პირთა არჩევითობა (საქ. 1:23-26; 6:3-6 და სხვ.), ნების თავისუფლება, ე.ი. საერთო-საეკლესიო ცხოვრებაში ნებაყოფლობით მონაწილეობა (შდრ. საქ. 5:4) და კოლექტიურობა, ე.ი. სარჩო-საბადებლის ურთიერთგანაწილება (საქ. 2:44-47) გახლდათ. ეს პრინციპები ქრისტიანთა რწმენის, ქრისტიანთა ეკლესიის ამოსავალი პრინციპები და მახასიათებლებია. ისინი ქრისტეს მოძღვრების ფუნდამენტშია. ამის გამო მათკენ, როგორც იდეალებისაკენ, ილტვის წუთისოფლის მტვრით დამძიმებული და შევიწროებული ეკლესია, რომლის მიზანი წუთისოფლის დაძლევა და წუთისოფელზე გამარჯვებაა. ეს პრინციპები – ქრისტიანული პრინციპები – კვებავს თანამედროვე ცივილიზაციას, რომლის უპირველეს მონაპოვრად პიროვნებისა და მისი ნების ხელშეუხებლობა, სინდისის, სიტყვისა და არჩევანის თავისუფლება ითვლება. „დემოკრატია“, „ინდივიდუალიზმი“ და „სამართლებრივი საზოგადოება“ ქრისტიანული ცნებებია. მათ საყრდენ პუნქტებს ღვთისა და ადამიანის ურთიერთობის ქრისტიანულ კონცეფციაში უნდა ვეძებდეთ, რაც წარმოჩენილი, განმარტებული, გაანალიზებული და ჩამოყალიბებულია ბიბლიის, ბიბლეისტიკისა და თეოლოგიის მიერ.

პირველწყარო

ქრისტიანთა რწმენისა და ცხოვრების, ე.ი. თეორიისა და პრაქტიკის ანუ, რაც იგივეა, ფართო გაგებით დოგმატიკისა და ასკეტიკის წყარო არის **საღვთო წერილი** (ბიბლია) და **საღვთო გადმოცემა** (საეკლესიო მოძღვრება, საეკლესიო ტრადიცია).

ტრადიციული თვალსაზრისით ერთიც და მეორეც სულიწმინდის შთაგონების ნაყოფია და, ამდენად, სახელმძღვანელო პირველწყარო; ორივე უფლისაგან მომდინარეობს, დასაბამს ღვთის სიტყვისაგან იღებს. განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ პირველი გასრულებულია წინასწარმეტყველთა და მოციქულთა კალმით, რომლებმაც ღვთის სიტყვა უშუალოდ მოისმინეს, განიცადეს და ჩაიწერეს. მათ ჩაიწერეს ის, რისი ჩაწერაც იმ ეტაპზე აუცილებელი იყო, მაგრამ ბევრი რამ, რაც მაცხოვარმა იესო ქრისტემ მოიმოქმედა, არ დაწერილა, რადგან „რომ დაწერილიყო, ... ქვეყნიერებაც ვერ დაიტევდა დაწერილ წიგნებს“ (იოანე 21:25). ამ დაუწერელს (მაგრამ ჭეშმარიტს) მოციქულები და მახარებლები ეკლესიას გზადაგზა აუწყებდნენ და უქადაგებდნენ. მათი ნაამბობი, რაც ლეგენდის სახელით იყო ცნობილი, თაობიდან თაობას ზეპირად გადაეცემოდა. მოგვიანებით სხვადასხვა მიზეზის გამო დღის წესრიგში ჭეშმარიტი და საღვთო ლეგენდების ჩაწერის, გარკვეულწილად შევსების და ლიტერატურულად ფორმირების საკითხიც დადგა, რაც ცოდნით და მადლით გასხივოსნებულმა ადამიანებმა განახორციელეს. მათ თხზულებებს საფუძვლად საღვთო გადმოცემა უდევს. მისგან შთაგონებული ლიტერატურა მოცულობით დიდი და მრავალფეროვანია; მოიცავს (აერთიანებს) სასულიერო მწერლობის ყველა ჟანრის წიგნებს – დოგმატურს ანუ რჯულმოძღვრებითს, ლიტურგიულს ანუ სხვადასხვა ლოცვა-გალობებსა და ჟამისწირვის ტექსტებს, კანონიკას ანუ საეკლესიო სამართლის კოდექსებს, აგიოგრაფიასა და ჰიმნოგრაფიას, ე.ი. წმინდანთა ცხოვრებებსა და სასულიერო პოეზიას, რომლებშიც ქრისტიანული სარწმუნოების არსება ჩამოყალიბებულია მკაფიოდ და, ეკლესიის რწმენით, უცდომლად.

საღვთო გადმოცემას მეორენაირად სამოციქულო გადმოცემასაც უწოდებენ, რადგან მასში მოციქულთა სარწმუნოება და სულისკვეთებაა არეკლილი. ეს სარწმუნოება და სულისკვეთება ეკლესიის სარწმუნოება და სულისკვეთებაა. ეკლესიაში კი ბევრი ისეთი თხზულება შეიქმნა, რომლებსაც სამოციქულო მემკვიდრეობის პრეტენზია აქვთ, მაგრამ მოციქულთა მოძღვრებას არ თანხვდებიან, ე.ი. ისინი არ შეიცავენ (ან ნაკლებად შეიცავენ) ჭეშმარიტებას და, ამდენად, არ არიან წმიდა სულის შთაგონების ნაყოფნი.

სულიწმიდით შთაგონებულ ანუ ბეჭედდასმულ წიგნებს **კანონიკური და დაბეჭდილი** წიგნები (თხზულებები) ეწოდებათ, სხვებს კი – **არაკანონიკური, დაუბეჭდავი, აპოკრიფული,** ხოლო ცრუთ და მავნებელი აზრების შემცველებს – **ნატყუარი, ნაყალბევი.**

როგორ გაირჩევა კანონიკური არაკანონიკურისაგან? IV-VII სს-ში ეკლესიისათვის ეს სერიოზული პრობლემა იყო, მაგრამ მისი გადაჭრის სარწმუნო გზები და მეთოდებიც შემუშავდა. კანონიკურობის, მოციქულებრიობის და ჭეშმარიტების დადგენის ძირითადი კრიტერიუმი ეკლესიის ერთსულოვანი მოწმობა გახლავთ. ჭეშმარიტ სამოციქულო გადმოცემად ითვლება მხოლოდ ის, რაც ეკლესიის საერთო შეგნებით, მისი საერთო თანხმობით არის აღიარებული. ასე რომ, მხოლოდ ის გადმოცემა, მხოლოდ ის ტექსტი და ის ნაწარმოები ითვლება საღვთოდ და სათნოდ, რაც ეკლესიისა და, კონკრეტულად, საეკლესიო კრებების მიერ არის დამოწმებული, აღიარებული.

ამრიგად, რწმენის სფეროში ტრადიციული ეკლესია ორ ავტორიტეტს აღიარებს – საღვთო წერილს და საღვთო გადმოცემას. ის თვალსაზრისი და თეორია, რომელიც ვერც

საღვთო წერილსა და ვერც კანონიკურ წიგნებში ვერ ჰპოვებს საყრდენს და საფუძველს, ჭეშმარიტებად ვერ ჩაითვლება.

ტრადიციული ეკლესიის ამ რწმენას ევროპაში (რომის ეკლესიაში, კათოლიკურ სამყაროში) ოპონენტები გამოუჩნდნენ. საღვთო გადმოცემის ავტორიტეტი ეჭვქვეშ პირველად გერმანელმა ბერმა მარტინ ლუთერმა დააყენა. ამ ფაქტს ადგილი XV-XVI საუკუნეებში ჰქონდა, რამაც სათავე დაუდო პროტესტანტობას ანუ რწმენის (დოგმატიკის) და ღვთისმსახურების სფეროში ტრადიციული შეხედულებების გადასინჯვას, გაპროტესტებას და გადაფასებას. პროტესტანტებმა რწმენის ერთადერთ ავტორიტეტად და პირველწყაროდ საღვთო წერილი აღიარეს. მათ უარყვეს საეკლესიო (ე.ი. საღვთო) გადმოცემის ავტორიტეტი, რითაც გზა გაეხსნა საღვთო წერილის სხვადასხვანაირ (ახლებურ და მრავალფეროვან) განმარტებას (ინტერპრეტაციას), ამის გამო კი – ნაირგვარი მიმდინარეობების (დენომინაციების), აღმსარებლობების წარმოქმნას.

საღვთო წერილი

საყოველთაო ინტერესი

ბიბლია მსოფლიოში ყველაზე პოპულარული და დაფასებული წიგნია.

შეკითხვაზე, – სამუდამო პატიმრობა რომ მოგისაჯონ და ერთადერთი წიგნის წაღების უფლება დაგრთონ, რომელს აირჩევდით? მწიგნობართა უმრავლესობა (ფილოსოფოსები, ათეისტები და არაქრისტიანებიც კი) იძლევა პასუხს – ბიბლიას!

ბიბლიისა თუ მისი ცალკეული წიგნების გამოცემათა რაოდენობა და საერთო ტირაჟი ნებისმიერი სხვა წიგნის გამოცემათა რაოდენობას და ტარიჟს შეუდარებლად აღემატება. დღეისათვის ძნელად მოიძებნება კულტურასა და ცივილიზაციას ასე თუ ისე ნაზიარები ხალხი, რომლის ენაზეც ბიბლიის ერთ-ერთი წიგნი მაინც რომ არ იყოს ნათარგმნი. ბიბლიოლოგიის საკითხებს სამეცნიერო-კვლევით ცენტრებში ყოველთვის საპატიო ადგილი ეთმობა. თითქმის ყველა ქვეყანაში, მათ შორის საქართველოში, მოქმედებს ბიბლიური საზოგადოებები, რომლებიც კულტურულ-საგანმანათლებლო მიზნებს ისახავენ და ბიბლიის ტექსტს ყველასათვის ხელმისაწვდომს ხდიან.

სახელწოდება

ბიბლია ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს წიგნებს („ბიბლონ“ – წიგნი). იგულისხმება არა ნებისმიერი, არამედ ღვთივშთაგონებული და სულიწმიდის მადლით აღვსილი წიგნების კრებული.

ეტიმოლოგიურად „ბიბლონ“ უკავშირდება ეგვიპტური მცენარის „პაპირუსის“ (ქართულად „ჭილის“) ბერძნულ შესატყვისს – „ბიბლოს“, რომელიც, გარდა მცენარისა – პაპირუსისა ანუ ჭილისა, ეწოდებოდა იმავე მცენარისაგან დამზადებულ საწერ მასალას, ტყავის (ეტრატის ანუ პერგამენტის), ანდა ქაღალდის მაგიერ რომ გამოიყენებოდა. ამ სიტყვამ („ბიბლოს“) შემდეგ წიგნის მნიშვნელობა შეიძინა.

ბიბლიას, „საღვთო წერილისა“ და „წმიდა წერილის“ გარდა, შეიძლება ვუწოდოთ „წიგნთაწიგნი“, „თვითწიგნი“, მარტივად – „წიგნი“, “წერილი“. როდესაც იტყვიან: „წიგნი გვაუწყებს“, „წერილი გვაუწყებს“, „წიგნის“ ქვეშ ბიბლია იგულისხმება.

ბიბლია ძველი და ახალი აღთქმის წიგნთა საერთო სახელწოდებაა. ეს ტერმინი დაამკვიდრეს IV ს-ის დიდმა მამებმა – **იოანე ოქროპირმა** და **ეპიფანე კვიპრელმა**.

წიგნები, რომლებსაც ბიბლიურს უწოდებენ, ჯგუფდება ორ კატეგორიად: **კანონიკური** ანუ დაბეჭდილი (ე.ი. ბეჭედდასმული) და **არაკანონიკური** ანუ დაუბეჭდავი. უკანასკნელთ ხშირად **აპოკრიფულსაც** ეძახიან („აპოკრიფი“ ბერძნული სიტყვაა და „დაფარულს“ ნიშნავს). კანონიკური ანუ წმიდა სულის მადლით დაბეჭდილი წიგნების ერთობლიობა სპეციალურ ლიტერატურაში ცნობილია **კანონის** სახელით. „კანონი“ ხშირად ბიბლიის მნიშვნელობით იხმარება.

შემადგენლობა, შინაარსი, ავტორები

ბიბლია ორ ნაწილად იყოფა – ძველი აღთქმა და ახალი აღთქმა. პირველს მიეკუთვნება წიგნები, რომლებიც დაწერილია ქრისტეს შობამდე და რომელთა ღვთიურობა აღიარებულია როგორც ებრაელების, ისე ქრისტიანების მიერ. მეორე აერთიანებს წიგნებს, რომლებიც მოციქულებისა და მახარებლების კალმითაა განსრულებული.

ღვთივშთაგონებული წიგნების რაოდენობა სხვადასხვა ტრადიციაში სხვადასხვაგვარია. ეს ნიშნავს, რომ ზოგიერთი ბიბლიური წიგნის ავტორიტეტს ანუ სიწმიდეს ყველა ერთნაირი თვალით არ უყურებს.

ბიბლიის კანონიკური წიგნების რიცხვი, ძველი ტრადიციის თანახმად, უდრის 49-ს. აქედან 22 განეკუთვნება ძველ აღთქმას, 27 – ახალს (შედარებით ვრცლად ქვემოთ ვისაუბრებთ).

რა არის „აღთქმა?“

ქართული „აღთქმის“ შესატყვისებია: ებრ. „ბერით“, ბერძნ. „დიათეკე“, ლათ. „ტესტამენტუმ“, რუს. „ზავეტ“. მათი მნიშვნელობებია – ანდერძი, დაპირება, კავშირი, ხელშეკრულება. „ძველი აღთქმა“ გულისხმობს იმ დაპირებას, იმ კავშირს, იმ ხელშეკრულებას და იმ ანდერძს, რომელიც ქრისტეს შობამდე აღუთქვა ღმერთმა ადამიანს. ფაქტობრივად, ესაა ხელშეკრულება ორ სუბიექტს – ღმერთსა და ადამიანს – შორის. ისტორიის კონკრეტულ ჟამს ღმერთი განკაცდა ქრისტე იესოში, რომელმაც აღთქმა განაახლა და მისი შინაარსი სრულყო. მკაფიოდ უნდა ითქვას, რომ ორივე აღთქმა არსებით ერთი და იგივეა. აქ საქმე ერთი მთელის სხვადასხვა საფეხურებთან გვაქვს. ადამიანისა და ღვთის ურთიერთობის ისტორია სხვა არაფერია, თუ არა აღთქმის შინაარსის ეტაპობრივად გაცხადება და დაზუსტება, ამ შინაარსის გაღრმავება. კითხვაზე – რა აუცილებელი იყო დროში ასეთი განგრძობითობა – პასუხს გზადაგზა გავცემთ.

უზენაესი ღმერთი – ყოვლადწმიდა სამება – ერთიანი ნებით და მადლით ისტორიის კონკრეტულ ჟამსა და ალაგს ეცხადებოდა სათნო და მართალ ადამიანებს, რჩეულ პიროვნებებს და აუწყებდა სიბრძნეს და მეცნიერებას. ეს ადამიანები ცნობილი არიან წინასწარმეტყველებად და მოციქულებად.

წინასწარმეტყველნი ძველი აღთქმის ავტორები არიან, მოციქულნი – ახლისა. აქვე უნდა ითქვას, რომ ძველი აღთქმის ყველა ეპიზოდი, ერთი შეხედვით უმნიშვნელო დეტალიც კი, არის მინიშნება ახალ აღთქმაზე. ნეტარი ავგუსტინეს თქმით: „ძველ აღთქმაში დაფარულია ახალი აღთქმა და ახალ აღთქმაში გაცხადებულია ძველი“.

ბიბლიის პირველ ხუთ წიგნს – ხუთწიგნეულს – ებრაულად, დედნის ენაზე, ეწოდება **თორა** (კანონი). მათ ავტორად ანუ ჩამწერად ითვლება **ღმერთთანმეტყველი მოსე**, რომელმაც მამების რჯული აღადგინა, მონობის ქვეყნიდან გამოიყვანა ერი და აუწყა ზეციური განგება: მცნება და კანონი. მაშასადამე, მოსეს მიეწერება ხუთი წიგნი, სადაც მოთხრობილია ქვეყნის შექმნისა და ადამიანის გაჩენის ამბავი, პირველი ცოდვა და მისი შედეგი, სამოთხიდან გამოსვლა და კაცობრიობის გამრავლება, რჩეული ერის – ისრაელის – თავგადასავალი აღთქმულ ქვეყანაში მისვლამდე.

ძველი აღთქმის დანარჩენ წიგნებში ასახულია ებრაელი ერის თვითდამკვიდრებისა და თვითაღშენების პროცესი; 12 ტომის მონოლითურ სახელმწიფოდ გაერთიანებისა და ამ სახელმწიფოს დაშლის ამბავი; ომები გარეშე თუ შინაურ მტრებთან; კვლავ მონობა, კვლავ გაფანტვა და მაინც – ხსნის იმედი და მოლოდინი. აქ არის სიბრძნე, აქ არის შეგონება, აქ არის პოეზია. მათი ავტორები, წინასწარმეტყველები, აღწერენ ცხოვრების ავსაც და კარგსაც, დაუფარავად და პრინციპულად ამხილებენ დიდსა თუ მცირეს, თავიანთ თავსაც და უცხო ძალასაც. წინასწარმეტყველთაგან, რომლებიც ბიბლიური წიგნების ავტორებად, უფრო ზუსტად, ღვთის კალმებად არიან ცნობილნი, გამორჩეული ადგილი უჭირავთ: ისუ ნავეს ძეს, დავით მეფეს, რომლის წიგნს (საგალობელთა კრებულს) ქართულად „ფსალმუნნი“ ან „დავითნი“ ეწოდება, სოლომონ მეფეს – ბრძენს, რომელსაც მიეწერება სამი კანონიკური წიგნი (იგავნი, ეკლესიასტე, ქება-ქებათა) და ერთი არაკანონიკური (სიბრძნე). მათ მოჰყვებიან წინასწარმეტყველები დიდნი (ესაია, იერემია, ეზეკიელი და დანიელი) და მცირენი რიცხვით 12 (ოსია, იოველი, ამოსი, აბდია, იონა, მიქია, ნაუმი, ამბაკუმ, სოფონია, ანგია, ზაქარია, მალაქია).

თანამედროვე ებრაული ტრადიციის მიხედვით, რომელსაც **მასორეტულს** უწოდებენ, ძველი აღთქმა დაყოფილია 39 წიგნად. მათ აჯგუფებენ სამ ნაწილად. პირველს ეწოდება **კანონი ანუ რჯული** (თორა) და შეიცავს მოსეს ხუთწიგნეულს: დაბადება, გამოსვლა, ლევიანნი, რიცხვნი, მეორე რჯული. მეორე ნაწილს კი – **წინასწარმეტყველნი** და შეიცავს წიგნებს: ისო ნავეს ძე, მსაჯულნი, პირველი და მეორე მეფეთა ანუ სამოელის წიგნები (ითვლება ერთ წიგნად), მესამე და მეოთხე მეფეთა (ითვლება ერთ წიგნად), ესაია, იერემია, ეზეკიელი, თორმეტი მცირე წინასწარმეტყველი (ითვლება ერთ წიგნად). მესამე ნაწილს ეწოდება **წერილნი** და შეიცავს შემდეგ წიგნებს: იობი, რუთი, ფსალმუნნი, იგავნი, ქებათა-ქება, ეკლესიასტე, დანიელი, იერემიას გოდება, ეზრა და ნეემია (ითვლება ერთ წიგნად), პირველი და მეორე ნეშტთა (ითვლება ერთ წიგნად) და ესთერი. თუ რუთისა და მსაჯულთა წიგნებს გავაერთიანებთ ერთ წიგნად და, ასევე, იერემიას გოდებასა და იერემიას წინასწარმეტყველებას ერთ წიგნად ჩავთვლით, მივიღებთ 22 წიგნს. იოსებ ფლაბიოსის მოწმობითაც ძველად ებრაელები სწორედ 22 წიგნს თვლიდნენ მათი ანბანის 22 ასო-ნიშნის შესაბამისად.

ძველი აღთქმის არაკანონიკური წიგნები

ბიბლიის ბერძნულ თარგმანში, რომელიც **სეპტუაგინტას** („სამოცდაათისეული“) სახელითაა ცნობილი, შესულია ძველი აღთქმის სხვა წიგნებიც: ეპისტოლე იერემიასი და ბარუქი, ტობითი, ივდითი, სიბრძნე სოლომონისა, სიბრძნე ზირაქისა, მე-2 და მე-3 ეზრა, მაკაბელთა სამი წიგნი და კიდევ: ზოგიერთი ნაწყვეტი, ჩართული კანონიკურ წიგნებში, როგორიცაა:

1. ესთერის წიგნის ის მონაკვეთი, რომელიც არაა დანომრილი მუხლობრივად ბერძნულ და სლავურ ბიბლიაში;
2. მანასეს ლოცვა მე-2 ნეშტთას ბოლოში;
3. სამი ყრმის სიმღერა დანიელის წიგნში (მე-13 თავი);
4. მოთხრობა სუსანაზე (იქვე) და
5. ბელსა და გველეშაპზე (იქვე, თ. 14).

ეს წიგნები და ნაწყვეტები ებრაულ ბიბლიაში არ არის. ისინი გამოჩნდნენ ბერძნულ ენაზე და სხვადასხვა დროს შეიტანეს ბიბლიაში. ეკლესია არ აღიარებს მათ კანონიკურ წიგნებად, მაგრამ მიიჩნევს აღმზრდელობითად და სულის მარგებლად.

ახალი აღთქმა

ახალი აღთქმის წიგნების ის თანმიმდევრობა, რომელიც ქართულ გამოცემებშია, უძველესია. ამას ადასტურებს ბიბლიის ალექსანდრიული და ვატიკანური ხელნაწერები (IV ს.), მოციქულთა კანონები, ლაოდიკიისა და კართაგენის კრებათა აქტები და სხვა, მაგრამ ყველგან ასე არაა. მაგალითად, ვულგატაში (ლათინურში) და ახალი აღთქმის ამჟამინდელ ბერძნულ გამოცემებში კათოლიკე ეპისტოლეები მოთავსებულია პავლეს ეპისტოლეთა შემდეგ, აპოკალიფსამდე.

პავლეს ეპისტოლეების განლაგების პრინციპი ასეთია: ჯერ წარმოდგენილია ეპისტოლეები, მიმართული მთლიანი ეკლესიებისადმი, შემდეგ – ის ეპისტოლეები, რომლებიც ცალკეული პირებისადმია გაგზავნილი.

როდის შეიქმნა კანონი?

ძველი აღთქმის წიგნების ერთ კრებულად ჩამოყალიბება ხდებოდა თანდათანობით, ამ წიგნების გამოჩენასთან ერთად.

მითითებას რჯულის შემადგენლობისა და ძველი აღთქმის წიგნების სამ ნაწილად გაყოფის შესახებ ჩვენ ვხვდებით იესო ზირაქის ძესთან (220 წ. ქრისტეს შობამდე). სეპტუაგინტა (270 წ. ქრისტეს შობამდე) იმის დასტურია, რომ ძველი აღთქმის ყველა კანონიკური და არაკანონიკური წიგნი შედიოდა ერთ კრებულში, რადგან ისინი ერთ თარგმანში არიან წარმოდგენილნი.

როდის ჩამოყალიბდა კანონი ანუ რჯული, ე.ი. ძველი აღთქმა მთლიანად? ზუსტად ვერ ვიტყვით. მითითებას „რჯულის“ თანდათანობით შედგენის შესახებ ჩვენ ვხვდებით თვითონ წმინდა წიგნებში: როდესაც მოსემ რჯულის ყველა სიტყვა ჩაწერა წიგნში და შესანახად

გადასცა ლევიანებს, ბრძანა, დაედოთ იგი აღთქმის კიდობნის გვერდით (2 რჯული 31:24-26). ისო ნავეს ძემ ღვთის სიტყვები და გამოცხადებები საღვთო რჯულის წიგნში ჩაწერა ანუ შეუერთა მოსეს ხუთწიგნეულს (იესო 24:26). სამუელმა გამოუცხადა ხალხს მეფის უფლებანი, წიგნში ჩაწერა და უფლის წინაშე დადო (1 მეფ. 10:25).

სამუელის მიერ დაარსებულ წინასწარმეტყველთა სკოლებიდან გამოვიდნენ შემდეგ-დროინდელ მოვლენათა აღმწერნი – წინასწარმეტყველები: ნათანი, გადი და სხვები, რომლებიც ითვლებიან წმიდა მწერლებად და წმიდა წერილის მცველებად.

წმიდა წიგნები ინახებოდა წმიდათა წმიდაში, აღთქმის კიდობნის გვერდით. ისინი ცნობილნი იყვნენ ლევიანთა და მღვდელთათვის; ივსებოდნენ ახალი ჩანაწერებით ძველი აღთქმის მამების მიერ და ინუსხებოდნენ ხოლმე საეკლესიო თუ საერო მიზნებისათვის.

საღვთო წიგნების კრებულად გაერთიანება დასრულდა ბაბილონის ტყვეობის შემდეგ ეზრას, ნეემიას და უკანასკნელ წინასწარმეტყველთა მიერ.

ახალი აღთქმის კანონიც თანდათან იქმნებოდა ამა თუ იმ წიგნის სამოციქულო წარმომავლობის დადგენის ან უარყოფის კვალდაკვალ, საკითხის გულმოდგინედ შესწავლის საფუძველზე.

წიგნი, რომელსაც პირველი ქრისტიანები კითხულობდნენ, იყო ძველი აღთქმა. მალე, პირველსავე საუკუნეში, გამოჩნდა სახარებები და მოციქულთა ეპისტოლეები, მასთან ერთად – ნაყალბევი თხზულებებიც იესო ქრისტეს ცხოვრებისა და მოძღვრების შესახებ. I-II საუკუნეებში დაიწერა იმ მამათა თხზულებები, რომლებიც ეკლესიაში ცნობილნი და პატივცემულნი იყვნენ როგორც მოციქულთა უშუალო მოწაფეები და მოწაფეთა მოწაფეები: კლიმენტი, პოლიკარპე, ეგნატე და სხვანი, რომლებიც სამოციქულო კაცებად იწოდებიან. ამდენად, ეკლესიას ჰქონდა ზუსტი განსაზღვრის შესაძლებლობა, თუ რომელი წერილი ჩაეთვალა ჭეშმარიტად სამოციქულოდ, წმინდად და ღვთივშთაგონებულად და გაემიჯნა ასეთი წერილები ანუ წიგნები როგორც ყალბი და არაჯანსაღი მოძღვრების შემცველი თხზულებებისაგან, ისე იმ თხზულებებისაგან, რომლებიც ეკუთვნოდნენ არა უშუალოდ მოციქულებს, არამედ – მოციქულთა მოციქულებს. უკანასკნელთა თხზულებები, რა თქმა უნდა, შეიცავდა ჯანსაღ და სწორ მოძღვრებას, მაგრამ ისინი მაინც ადამიანური წარმომავლობის იყო და მნიშვნელობით ვერ შეედრებოდა ღვთაებრივ და გამოცხადებულ წერილს.

II ს-ში ეკლესიაში ეჭვის ქვეშ არავინ აყენებდა ოთხი სახარების, მოციქულთა საქმეების, პავლეს ცამეტი ეპისტოლის, პეტრეს პირველი ეპისტოლის და მოციქულ იოანეს პირველი ეპისტოლის ჭეშმარიტებას და ორიგინალურობას. იმ დროისათვის ეს წიგნები შეადგენდნენ საერთო-საყოველთაო კანონს. ახალი აღთქმის დანარჩენმა ნაწილმა საყოველთაო აღიარება გვიან მოიპოვა. მაგალითად: ორიგენე III ს-ში ჯერ კიდევ არ იყო დარწმუნებული, რომ ეპისტოლე ებრაელთა მიმართ, ეპისტოლეები იაკობისა, იუდასი, მეორე პეტრესი, მეორე და მესამე იოანესი იყო ნამდვილი და ჭეშმარიტი. დასავლეთში დიდხანს ყოყმანობდნენ ებრაელთა მიმართ ეპისტოლესთან დაკავშირებით, აღმოსავლეთში – აპოკალიფსთან დაკავშირებით.

მოციქულთა წერილებთან ერთად დიდი პატივისცემით სარგებლობდა და IV ს-მდე

ეკლესიაში ლიტურგიკული დანიშნულებაც ჰქონდა ზოგიერთ ეპისტოლეს. პირველ რიგში უნდა დავასახელოთ პაპი კლიმენტისა და ბარნაბას ეპისტოლეები და ერმიასის „მწყემსი“.

საეკლესიო ისტორიკოსი ევსევი (IV) ახალი აღთქმის წიგნებს სამ კატეგორიად ყოფს:

1. ეკლესიის ერთსულოვანი აზრით და დასტურით მოციქულთა ხელიდან გამოსული თხზულებანი – ოთხი სახარება, საქმენი მოციქულთა, პავლეს თოთხმეტი ეპისტოლე, პირველი იოანესი და პირველი პეტრესი.

2. საყოველთაოდ არაღიარებულნი და სადავონი. მათგან ზოგიერთნი: ეპისტოლე იაკობისა, იუდასი, 2 პეტრესი, 2-ე და 3-ე იოანესი და აპოკალიფსი ეკლესიამ საბოლოოდ მაინც აღიარა და შეიტანა კანონში. სხვანი კი, როგორიცაა: საქმენი პავლესი, ერმიასის „მწყემსი“, პეტრეს აპოკალიფსი, ბარნაბას ეპისტოლე, მოციქულთა სწავლანი („დიდაქე“) და სახარება ებრაელთა მიმართ, მათი არამოციქულებრივი წარმომავლობის გამო, არ შეიტანეს კანონში;

3. უეჭველად არამოციქულებრივი და უდავოდ ერეტიკულიც კი.

კანონის საბოლოო ვარიანტი შეიმუშავეს ლაოდიკიის, ჰიპონიის, კართაგენისა და რომის კრებებმა IV-V სს-ში. ამ მხრივ დიდია პაპი ინოკენტი I-ისა და, განსაკუთრებით, პაპი გელასის ღვაწლი. უკანასკნელმა დაახლოებით 493 წელს გამოაქვეყნა დეკრეტი, რითაც საბოლოოდ განისაზღვრა კანონი. ამის შემდეგ იქ შეტანილი წიგნების წინააღმდეგ აქა-იქ ცალკეული გაუბედავი ხმები თუ ისმოდა. მხოლოდ გერმანულმა რეფორმაციამ დააყენა ეჭვის ქვეშ ახალი აღთქმის ზოგიერთი წიგნის კანონიკური ღირსება. ლუთერმა გაბედა და აპოკრიფული უწოდა აპოკალიფსსა და ეპისტოლეს ებრაელთა მიმართ. მის კვალდაკვალ სხვა ლუთერელი ღვთისმეტყველებიც მეორეხარისხოვანს უწოდებდნენ იმ წიგნებს, რომლებიც ძველად დავას იწვევდნენ (2 პეტრე, 2 და 3 იოანე, იაკობი, იუდა, ებრაელთა მიმართ ეპისტოლე და აპოკალიფსი), თუმცა კანონში მაინც ტოვებდნენ მეორეხარისხოვანი წიგნების უფლებით და, მაშასადამე, ღირსებით საღმრთო წერილის დანარჩენ ნაწილთან არ ათანაბრებდნენ.

XVIII ს-ის შუა წლებიდან დასავლეთ ევროპაში აღორძინდა რაციონალიზმი, რომელმაც უარყო რწმენა და წერილის ღვთივშთაგონებულობა; მან ლაშქრობა დაიწყო და თავი მოუყარა არგუმენტებს არა მხოლოდ ცალკეული წიგნების, არამედ მთელი წერილის წინააღმდეგ. თუმცა ეს მიმდინარეობა კათოლიკეებისა და ორთოდოქსი პროტესტანტების ერთსულოვან და საფუძვლიან წინააღმდეგობას წააწყდა.

ბიბლიოლოგიის საკვანძო საკითხები

ბიბლია იწერებოდა 13 საუკუნის განმავლობაში (XIII-I). უძველესია მოსეს „ხუთწიგნეული“, უგვიანესი – იოანეს „გამოცხადება“.

მოსეს რჯული განკუთვნილი იყო „რჩეული ერისათვის“, ებრაელებისათვის და, ბუნებრივია, ძველი აღთქმა დაიწერა მათსავე ენაზე. უძველეს ტექსტს ჩვენამდე არ მოუღწევია. შემორჩენილია მხოლოდ IX-X სს-ის ხელნაწერები. ესენია: პეტერბურგის სალტიკოვ-შჩედრინის სახ. ბიბლიოთეკის, ბრიტანეთის მუზეუმის და კიდევ რამდენიმე, რომელთა გვერდით დგას ე.წ. ლაილაშის ბიბლია, რომელიც დაცულია თბილისის კ.კეკელიძის სახ. ხელნა-

წერთა ინსტიტუტში. უძველესი ხელნაწერების ფრაგმენტები 1948 წელს მკვდარი ზღვის აუზში აღმოჩნდა. ისინი ცნობილია ყუმრანის ხელნაწერების სახელით, რომელთა მეცნიერული შესწავლა დღესაც გრძელდება.

ქრისტიანულმა სამყარომ ძველი აღთქმა უმთავრესად ბერძნულენოვანი თარგმანით გაიცნო. ძვ.წ. VI ს-ში ისრაელის სამეფო ნაბუქოდონოსორმა, ბაბილონის მეფემ, დაიპყრო და „რჩეული ერის“ დიდი რაოდენობა მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში გაფანტა. ნაწილი მცხეთის სანახებს მოადგა და ჩვენს მიწა-წყალზე ჰპოვა თავშესაფარი. ნაწილი – აღმოსავლეთში, ნაწილიც დასავლეთში გაიხიზნა. მათ თანდათან დაივიწყეს დედაენა. ამის გამო რაბინთა წინაშე დადგა საკითხი საღმრთო წერილის მორწმუნეთათვის გასაგებ ენაზე თარგმნისა. ეს იდეა მომწიფდა ალექსანდრიის ებრაულ დიასპორაში, რომლის საურთიერთო და სააზროვნო ენა ბერძნული იყო. გამოიკვეთა ამ ენაზე ძველი აღთქმის თარგმნის აუცილებლობა, რამაც ხორცი პტოლემეოს ფილადელფოსის დროს შეისხა. შემონახულია გადმოცემა: 270 წ-ს ალექსანდრიაში 70 (უფრო ზუსტად, 72) მთარგმნელი შეკრიბეს და ორ-ორად დააჯგუფეს. მთარგმნელები დასხდნენ ცალ-ცალკე ოთახებში და მუშაობდნენ ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად. მათი თარგმანები (გამოვიდა 35) იდენტური აღმოჩნდა, რაც ღვთის მადლისა და ნების მაუწყებლობად ჩაითვალა. აღნიშნულ თარგმანს ბერძნულად **ჰებდომეკონტა**, ლათინურად **სეპტუაგინტა** ანუ **სეპტანტა** (სამოცდაათისეული) უწოდეს. იგი გავრცელდა ბერძნულენოვან სამყაროში და საფუძვლად დაედო ახალ, სხვაენოვან თარგმანებს, გარდა ლათინურისა. უშუალოდ ებრაელი დედნიდან ბიბლია ამ ენაზე IV ს-ის საეკლესიო მოღვაწემ ნეტარმა იერონიმემ 386-406 წლებს შორის თარგმნა.

ძვ.წ. II-III სს-ში ბერძნულ ენაზე ძველი აღთქმის კიდევ სამი თარგმანი აღმოცენდა. ესენია: **აკვილას, სვიმახოსისა და თეოდოტიონის**. მათი მიზანი იყო წარმოედგინათ ებრაული ტექსტის სრული შესატყვისი, მოეცათ ზედმიწევნითი თარგმანი. მიუხედავად ამისა, ამ თარგმანებმა საყოველთაო აღიარება ვერ ჰპოვეს, თუმცა ღვთისმეტყველები ყოველთვის უწევდნენ ანგარიშს და მათ მონაცემებს ითვალისწინებდნენ. სეპტანტის ხელნაწერების არშიებზე, ამა თუ იმ ადგილის გასწვრივ, ხშირად ვხვდებით მინაწერებს იმის შესახებ, თუ როგორ იკითხება მოცემული მუხლი აღნიშნულ თარგმანებში. ასეთ შრომას, **კატენის** სახელით რომაა ცნობილი, მეცნიერული მიზანი ჰქონდა. სამღვდელმსახურო (ლიტურგიკულ) პრაქტიკაში ყოველთვის და ყველგან 70-თა თარგმანს იყენებდნენ.

სეპტუაგინტას პირვანდელ ვარიანტს ჩვენამდე არ მოუღწევია. ის დაყოფილია სამ უმთავრეს რედაქციად. აკადემიკოს კორნელი კეკელიძის თქმით, „ბიბლიოლოგიის ყურადღება ახლა მიქცეულია იქითკენ, რომ ეს თარგმანი როგორმე აღდგენილ იქნეს. ამას კი შესაძლებლად ცნობენ სხვადასხვა ენაზე ნათარგმნ ტექსტთა მეოხებით, რომელთაც, უეჭველია, საფუძვლად დაედო ერთ-ერთი ქვემოდასახელებულ სამ რედაქციათაგან. ეს რედაქციებია: ორიგენის ჰეგზაპლები, რომელიც პალესტინაში იყო გავრცელებული, ლუკიანეს, ანტიოქელი მღვდელმოწამისა მეოთხე საუკუნეში, რომელსაც ეწოდება კოინე და მიღებული იყო ანტიოქიისა და კონსტანტინოპოლის საპატრიარქოებში და ივსიქი ალექსანდრიელისა, რომელიც ალექსანდრიაში იყო მიღებული“.

ხელნაწერები. აღმოჩენები. დასკვნები

ბიბლიოლოგიის ერთ-ერთი საპატიო უბანია ბიბლიური კოდიკოლოგია ანუ ბიბლიის ხელნაწერთმცოდნეობა. ეს ითქმის როგორც სეპტუაგინტას და ახალი აღთქმის ბერძნული ტექსტის, ისე სხვაენოვან თარგმანთა მიმართ. აღნიშნული დარგი გვეხმარება, პასუხი გავცეთ კითხვაზე, თუ როდის შეიქმნა კანონი, ე.ი. როდის გაიაზრეს ძველი და ახალი აღთქმა ერთ წიგნად ანუ ერთი მთელის ორ ნაწილად. ეს პრობლემა აქტუალური იყო XIX-XX სს-ის მიჯნაზე, ათეიზმისა და, კერძოდ, საღმრთო წერილის კრიტიკის მძვინვარების ხანაში. ზოგიერთი მკვლევარი ფიქრობდა, რომ I-III სს-ში ეკლესიის მამებს ჯერ კიდევ არ ჰქონდათ გააზრებული ძველი და ახალი აღთქმების მთლიანობა. ამბობდნენ: ბიბლიური წიგნები, რომლებიც სხვადასხვა დროსა და გარემოში აღმოცენდნენ, შემდეგ გააერთიანეს შემუშავებული გეგმისა და მიზნის მიხედვითო. ამ თეორიის წარმომადგენელნი ხელზე იხვევდნენ იმ ფაქტს, რომ მაშინ, XX საუკუნის 30-იან წლებამდე, არ იყო მიკვლეული ბიბ-ლიის (სრული კანონის) უძველესი ნუსხები; არ ეგონათ თუ აღმოჩნდებოდა IV ს-ის ხელნა-წერების – ბიბლიის სინური და ვატიკანური კოდექსების – უადრესი ეგზემპლარები. ეს ბედნიერება წილად ხვდა ინგლისელ მოგზაურს **ჩესტერ-ბიტს**. მან 1931 წელს ეგვიპტეში ფელახებისაგან იყიდა 12 პაპირუსის ანუ ჭილის ხელნაწერი წიგნი. ისინი ფაიუმში უნახავთ, რომელიღაც ქრისტიანული მონასტრისა თუ ეკლესიის ნანგრევებში. მოგზაურმა ეს ხელნაწერები გადასცა ბრიტანეთის მუზეუმს, სადაც ცნობილმა არქეოგრაფ-პაპიროლო-გებმა და თეოლოგებმა შეისწავლეს ისინი. გაირკვა, რომ 12 ხელნაწერი წიგნი ანუ კოდექსი წარმოადგენდა ერთი მთელის 12 ტომს და მოიცავდა ბიბლიის (ძველი და ახალი აღთქმის) ტექსტს. მეცნიერები დარწმუნდნენ, რომ ეს იყო სეპტუაგინტას უძველესი ნუსხა ჩვენამდე მოღწეულთაგან. იგი დაათარიღეს II-III სს-ით, რამაც შუქი მოჰფინა ბევრ საკითხს.

გაირკვა, რომ ბიბლია არის ჩვენამდე მოღწეულ ყდაში ჩასმულ წიგნებს შორის უძვე-ლესი. ამ აზრითაც იგი ჭეშმარიტად წიგნთაწიგნია: რამდენადაც მეცნიერებას თვალი მიუწ-ვდება, ბიბლიამ მისცა დასაბამი ფურცელთა ყდაში ჩასმის ტრადიციას ანუ, შეიძლება ითქვას, ბიბლიით იწყება წიგნის (კოდექსის) ისტორია.

გარდა ამისა: ამ ფოლიანტებს შორის აღმოჩნდა აპოკალიფსი და დანიელის წიგნი. ეს ფაქტი მიგვანიშნებს, რომ ძველთაგანვე, III სს-ში მაინც, არსებობდა იოანე ღვთისმეტ-ყველის „გამოცხადების“ კანონად შერაცხვის ტრადიცია და შემდეგ გამოითქვა ეჭვი მისი ავტორიტეტის თაობაზე. დანიელის წიგნი ბერძნულ ენაზე იმხანად (1931 წ-მდე) მხოლოდ თეოდოტიონის თარგმანითა და XI ს-ის ხელნაწერით იყო ცნობილი. ჩესტერ-ბიტის აღმო-ჩენამ დაადასტურა მისი კუთვნილი ადგილი 70-თა თარგმანში. ამასთანავე: მეტი დამაჯე-რებლობა შეიძინა ირინეოს ლიონელის (II) სიტყვებმა: “ოთხივე სახარება ქრისტიანებისათ-ვის არის ღვთაებრივი გამოცხადება“. შეიძლება თამამად ითქვას, რომ ქრისტიანებისათვის იმთავითვე არა მარტო ოთხივე სახარება, არამედ მთელი ბიბლია, ძველი და ახალი აღთქმა, ერთ “ღვთაებრივ გამოცხადებად“ მოიაზრებოდა.

ბიბლიურმა კოდიკოლოგიამ ლახვარი ჩასცა თეორიას, რომელიც ქადაგებდა: ბიბლია არის „თეთრი ძაფით აკინძული და შეერთებული რომელიმე გაუწაფავი რედაქტორის ხე-

ლით“. ასე მოფიქრალნი გვარწმუნებდნენ: მოსეს ხუთწიგნეული წინასწარმეტყველის გარდაცვალებიდან ოთხი საუკუნის შემდეგ (IX ს-ში ძვ.წ.) შეიქმნა, სახარებები – III ს-ში და ა.შ. ისტორიულ-არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგად ასეთი თვალსაზრისები გაქარწყლდა. აი რას წერს ჩვენი საუკუნის უდიდესი გერმანელი თეოლოგი და ფილოლოგი ა. ჰარნაკი: „სამოცი წლის წინათ დავით შტრაუსმა წარმოიდგინა, თითქოს დაამტკიცა პირველი სამი სახარების ლამის მთლიანი არაისტორიულობა. მაგრამ შემდეგი წლების ისტორიულმა კრიტიკამ კვლავ დაამტკიცა მათი ისტორიულობა“. არც თუ დიდი ხნის წინათ საბჭოთა კავშირის სკოლებშიც ასწავლიდნენ, იესო ქრისტე მითიური პიროვნებააო, ისტორიულად არარსებული, ხოლო ქრისტიანული რელიგია – მაშვრალთა და დავრდომილთა ოცნება-სურვილების ნაყოფი. დღეისათვის მეცნიერების ხელთაა უამრავი ისტორიული წყარო, დოკუმენტი და არგუმენტი იესოს ისტორიულობის დამადასტურებლად. ასე რომ, თავად წყაროთმცოდნეობა, რომელიც არის მეცნიერების „არსობის პური“, ფანტავს სკეპსისს და ამყარებს კათოლიკე და სამოციქულო ეკლესიის ტრადიციულ თვალსაზრისებს.

ბიბლიის ქართული თარგმანი

ბიბლიის (ძველი და ახალი აღთქმის) ძველ თარგმანთა შორის ქართული თარგმანი ერთ-ერთი უძველესი თარგმანია. იგი ქართლის გაქრისტიანების (IV ს-ის 20-30-იანი წლები) ახლო ხანს უნდა აღმოცენებულიყო, რასაც უძველესი ქართული ხელნაწერები (ძირითადად – პალიმფსესტები) ცხადყოფს. ისინი V-VI სს-ით თარიღდება და მათ ფურცლებზე (პალიმფსესტების ქვედა ფენაში) ბიბლიის ქართული თარგმანის ნიმუშებია შემონახული.

ირკვევა, რომ ჩვენს წინაპრებს ბიბლიის სხვადასხვა წიგნი სხვადასხვა დროს და სხვადასხვა პირობებში უთარგმნიათ. მათ დედნად ბერძნული ორიგინალი გამოუყენებიათ (თუმცა ამ თემაზე მკვლევართა შორის აზრთა სხვადასხვაობაა). შემდგომი ეპოქის (განსაკუთრებით – X-XI სს.) სწავლულებს პირველთარგმანებისათვის რევიზია ჩაუტარებიათ და გაუუმჯობესებიათ; დედნებთან მაქსიმალურად დაუახლოვებიათ და სტილისტურად გაუშალაშინებიათ.

ხელნაწერი წიგნები (კოდექსები), რომლებიც IX-XII სს-ით თარიღდებიან და ჩვენს სიძველეთსაცავებში არიან დაცული, ამ თვალსაზრისით მდიდარ მასალას შეიცავენ. ბევრი ბიბლიური წიგნის ძველი ქართული თარგმანი რამდენიმე რედაქციითაა ცნობილი. ამ რედაქციათაგან კანონიკური ტექსტის უფლება უპირატესად გიორგი მთაწმინდელის (XI ს.) თარგმან-რედაქციებმა მოიპოვა და ქართულენოვანი მართლმადიდებელი ეკლესიის ღვთისმსახურებაში დღესაც ისინი გამოიყენება.

XX ს-ის 80-90-იან წლებში ბიბლია ახალ ქართულ ენაზეც ითარგმნა. ძირითადად ორი თარგმანი შესრულდა – საქართველოს საპატრიარქოსეული და სტოკჰოლმის ბიბლიის თარგმნის ინსტიტუტისეული. ორივე გამოცემულია. მათ გასაუმჯობესებლად და ახალი თარგმანების შესაქმნელად მუშაობა გრძელდება. ქვემოთ ძველი აღთქმისეული ადგილები უმეტესად ამოღებულია საპატრიარქოს გამოცემიდან (1989 წ.).

ბიბლიის ენა

ებრაელებს ჰქონდათ საკმარისი საშუალება და სწრაფვა, რათა დაეცვათ წმინდა წიგნები მნიშვნელოვანი ცვლილებებისაგან არა მხოლოდ შინაარსის, არამედ ფორმის და ენის მხრივაც. ბაბილონელთა ტყვეობის დროიდან სამეტყველო ენა გაემიჯნა სამწერლო ენას. კლასიკური ებრაული ხალხში აღარ ისმოდა და გაუგებარ გახდა. ებრაელებმა არამეულად დაიწყეს ლაპარაკი. ამ ენაზე უმარტავდნენ ხალხს კანონს, რომლის შინაარსი მათ მშობლიურ ენაზე უკვე აღარ ესმოდათ (ნეემია 8:1-8. შდრ. 13:23-25). ძველებრაული ენა დარჩა რელიგიის, წმინდა წიგნებისა და ლიტერატურის ენად.

ტყვეობის ხანიდან ებრაელები განსაკუთრებით მიეჯაჭვნენ ყოველგვარ ნაციონალურს და გამოწვლილვით იცავდნენ თავიანთ ადათებს. იერუსალიმის დანგრევის შემდეგ (I ს. ჩვ.წ.) სწავლული ებრაელები გადასახლდნენ ტიბერიაში, სადაც დააარსეს ცნობილი რაბინთა აკადემია. II ს-ში ჩვ.წ. იქვე შეიქმნა თალმუდისტთა საზოგადოება, რომელიც აერთიანებდა წმ. წერილის შემსწავლელებს და განმმარტებლებს. ისინი ერთმანეთს უდარებდნენ ხელნაწერებს, ასუფთავებდნენ ტექსტს შეცდომებისაგან, რომლებიც ეზრას დროიდან შეპარულიყო და ადგენდნენ წმ. წერილის ერთიან სახეს გრაგნილებისათვის. მათ დათვალეს სიტყვების და ასოების რიცხვიც კი თითოეულ წმიდა წიგნში. მაგალითად, შესაქმის წიგნში აღმოჩნდა 2078 სიტყვა და 78100 ასო. ასეთი სამუშაო, რა თქმა უნდა, ხელს უწყობდა ტექსტის დაცვას დამახინჯებისა და გადაწერისმიერი შეცდომებისაგან.

ესაა მიზეზი, რომ თალმუდისტების ხელთ არსებული ტექსტი II-III სს-ისა ახლოს დგას თანამედროვე ტექსტთან. ყველა იმდროინდელ იკითხვისში ჩვენ ვხვდებით მხოლოდ 220 ვარიანტს. ამასთანავე – უმნიშვნელოსა და არაარსებითს.

როდესაც ებრაული ცოცხალი ენა იყო, მას ტრადიცია იცავდა, მაგრამ ახლა, როდესაც ერი სხვა ენაზე მეტყველებდა, დღის წესრიგში დადგა ხელნაწერების სწორად ამოკითხვის პრობლემა. ამისათვის კი საჭირო იყო მეცნიერულ-არქეოგრაფიული მუშაობის ჩატარება. ეს მისია იკისრეს სწავლულმა რაბინებმა, რომელთაც საქმიანობის მიხედვით მასორეტები ანუ ტრადიციის შემნახველნი (მასორა – ტრადიცია) ეწოდათ. მათ ყველა სიტყვას დაუსვეს ხმოვნები, შეკრიბეს და ერთმანეთს შეუდარეს ძველი ხელნაწერები და განმარტებები. დაადგინეს მუხლების ზომა და პუნქტუაცია. ტექსტზე მუშაობის ასეთ კომბინაციას ეწოდება დიდი მასორა, ხოლო ცალკეულ საქმეს – მცირე მასორა. ეს სამუშაოები ებრაულ ტექსტებზე, რომელიც V ს-ში დაიწყო, შემდეგაც ასეთივე გულმოდგინებით გაგრძელდა.

ებრაელებმა გააკეთეს ყველაფერი, რათა წმიდა ტექსტები შეენარჩუნებინათ უცვლელად და დაუმახინჯებლად. ჩვენამდე მოღწეულ ტექსტთა ერთნაირობა სერიოზული საბუთია იმისა, რომ ძველი აღთქმის წიგნები მთავარში და არსებითში მაინც უცვლელად არიან შემონახულნი.

ახალი აღთქმის ყველა წიგნი ბერძნულ ენაზე დაიწერა. გამონაკლისი უნდა იყოს მათეს სახარება, რომელიც, შესაძლებელია, არამეულად დაიწერა და შემდეგ ითარგმნა ბერძნულად.

ბერძნული ენის რომელ დიალექტზე დაიწერა ბიბლიის ეს მონაკვეთი?

– ძირითადად კოინეზე. ესაა საერთო-სახალხო, ყველასათვის გასაგები და ხელმისაწვდომი მეტყველება.

ენისა და სტილის უბრალოება შეესაბამება სახარებისა და ზოგადად ქრისტეს მოძღვრების არსებას, – მის ხალხურობას, საყოველთაობას.

ბიბლია და სტამბა

ბიბლია იოჰან გუტენბერგის გამოგონების პირმშოა. 1445 წელს დაისტამბა საღმრთო წერილის ფრაგმენტები გერმანულ ენაზე, რასაც მოჰყვა ლათინური ვულგატა, რომელიც დღემდე პოლიგრაფიის შედევრად რჩება.

ამა თუ იმ ქვეყნის სტამბის ისტორია საღვთო წიგნის გამოცემით იწყება. გამონაკლისი არც ჩვენ ვართ. პირველი ქართული წიგნები, რომლებიც დაისტამბა, საღვთო წერილისა იყო (თუმცა ქართული ანბანი უფრო ადრე ეზიარა სტამბას, რომში). ეს წიგნებია: „დავითნი“ (მოსკოვი, 1705) და „სახარება“ (თბილისი, 1709). სრული ბიბლია კი 1743 წელს დაისტამბა მოსკოვში.

საღვთო ისტორია

ყველაფერი, რაც არსებობს – ხილული თუ არახილული, ამქვეყნიური თუ იმქვეყნიური, შექმნილია, – ქმნილებაა. შემოქმედი არის ღმერთი, რომელმაც ინება და შექმნა.

წუთისოფელი, მოციქულის სიტყვის თანახმად, „ბოროტსა ზედა დგას“ (1 იოანე 5:19). აქ ყველაფერი მიედინება, იჟანგება, იხრწნება, ლპება და კვდება. ერთნი ამპარტავნებენ, მეორენი იჩაგრებიან; ცბიერება და მუხანათობა ლაღობს, სიმართლე და პატიოსნება ითრგუნება; არის გვალვები, გადაუღებელი წვიმები, მეწყერები და მიწისძვრები; ომები და კატასტროფები. ესენი წუთისოფლის მოუცილებელი ნიშნებია. დაისმის კითხვა: ღმერთმა ასეთი სოფელი შექმნა?

ამ კითხვას ბიბლია და ბიბლიური თეოლოგია უარყოფით პასუხს სცემს.

თუ არა წუთისოფელი, რა არის „ყოველივე ხილული“, რომელიც ღმერთმა შექმნა? ბოროტებას ამქვეყნად სათავე ვინ დაუდო?

– პასუხისმგებლობა ადამიანის კისერზეა!

ძველი აღთქმა

„თავდაპირველად ღმერთმა შექმნა ცა და მიწა“ – ასე იწყება ბიბლია. აქ იგულისხმება როგორც ანგელოზური, ისე მატერიალური სამყარო. „ცა“ მოიცავს ზეცის უხორცო და გონიერ ძალებს, ე.ი. ანგელოზებს, „მიწა“ კი ყოველივეს ცისქვეშეთში. თუ როგორ შეიქმნა ანგელოზთა დასები, ბიბლია კონკრეტულად არაფერს გვეუბნება, რაც გასაგებია: იგი დაწერილია ადამიანისათვის ადამიანისავე ენაზე და ყურადღებას ამა ქვეყნის ბედზე, მის თავგადასავალზე ამახვილებს.

სიტყვა „შექმნა“ („ღმერთმა შექმნა...“), მიგვანიშნებს ღვთის შემოქმედებით პროცესზე, ნებაყოფლობით აქტზე, მის თავისუფალ ნებაზე. ღმერთი არის ყოველივეს არა იძულებითი, არა ბუნებითი, არა აუცილებლობითი, არამედ ნებაყოფლობითი და შემოქმედებითი

მიზეზი. შემოქმედება კი ყოვლის უწინარეს გულისხმობს თავისუფლებას და ძირშივე გამორიცხავს იძულებას. ასე რომ, თავისუფლების იდეა ბიბლიის პირველ სტრიქონშია ჩამარხული.

ეს სტრიქონი იმაზეც მიგვანიშნებს, რომ ღმერთმა თავდაპირველად სამყაროს მოდელი შექმნა და ეს მოდელი ერთბაშად, მყისიერად შექმნა. ესაა პოტენცია, რომლის რეალიზაცია მომავალში უნდა მომხდარიყო და მოხდა კიდეც. ხილული, მატერიალური, ნივთიერი სამყარო დროში განგრძობით, ეტაპობრივად, – ექვს დღეში შეიქმნა. აქ იგულისხმება არა ასტრონომიული, არამედ მისტიური დღე. უფრო სწორად – ექვსი დროითი პერიოდი. მაშასადამე, კოსმოსის სრულქმნას ექვსი დროითი მონაკვეთი დასჭირდა. თუმცა, ვიმეორებთ, ეს არაა ჩვენეული დრო, დროის ჩვენეული განზომილება. გავითვალისწინოთ, რომ მზე, დედამიწა და მათი ტრაექტორია (ანუ დღე-ღამისა და წელიწადის საზომი) შესაქმის პირველ დღეებში არ არსებობდა. ფსალმუნში ნათქვამია: „ათასი წელი, ვითარცა გუშინდელი დღე“ (89:4), რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ შესაქმისეული დღე ასტრონომიულ შინაარსს არ შეიცავს.

პირველ დღეს ღმერთმა ნათელი შექმნა; მეორე დღეს – ცა; მესამე დღეს – მიწა; მეოთხე დღეს – მანათობელნი ცისა და ქვეყანისა: მზე, მთვარე და ვარსკვლავები. ასე დაედო სათავე წუთისოფელში ნათელისა და ბნელის მონაცვლეობას.

მეხუთე დღეს ღმერთმა შექმნა სულდგმულთა სამყარო – წყლის ბინადარნი და ცის ფრინველები. ასე რომ, სიცოცხლეს ამასოფლური დასაბამი წყლისა და ჰაერის წიაღში მიეცა.

მეექვსე დღეს ღმერთმა ცხოველთა სამყარო და ადამიანი შექმნა. ამ დღით დაგვირგვინდა ყოველივე ზემოთქმული, რადგან შეიქმნა ცისა და მიწის მშვენება, შესაქმის უდიადესი ნაყოფი და გვირგვინი, ქვეყნის პატრონი და უფალი – ადამიანი.

„თქვა ღმერთმა: წარმოშვას მიწამ სულდგმული თავ-თავისი გვარისდა მიხედვით – პირუტყვი, ქვემძრომი და მიწის მხეცები თავ-თავისი გვარისდა მიხედვით. და იქმნა ასე. გააჩინა ღმერთმა ნადირი თავ-თავისი გვარისდა მიხედვით, საქონელი თავ-თავისი გვარისდა მიხედვით და ქვემძრომი თავ-თავისი გვარისდა მიხედვით. დაინახა ღმერთმა, რომ კარგი იყო.

თქვა ღმერთმა: გავაჩინოთ კაცი ჩვენს ხატად, ჩვენს მსგავსებად. ეპატრონოს ზღვაში თევზს, ცაში ფრინველს, პირუტყვს, მთელს დედამიწას და ყველა ქვემძრომს, რაც კი მიწაზე დახოხავს.

შექმნა ღმერთმა კაცი. თავის ხატად შექმნა იგი, მამაკაცად და დედაკაცად შექმნა ისინი. აკურთხა ღმერთმა ისინი და უთხრა: ინაყოფიერეთ და იმრავლეთ, აავსეთ დედამიწა, დაეუფლეთ მას, ეპატრონეთ ზღვაში თევზს, ცაში ფრინველს, ყოველ ცხოველს, რაც კი დედამიწაზე დახოხავს.

თქვა ღმერთმა: აჰა, მომიცია თქვენთვის ყოველი ბალახი, თესლის მთესველი, რაც კი დედამიწის ზურგზეა, და ყოველი ნაყოფიერი ხე, თესლის მთესველი. ეს იყოს თქვენი საზრდო. მიწის ყველა მხეცს, ცის ყველა ფრინველს, ყველა ქვემძრომს, რასაც კი სიცოცხლის სული უდგას, მწვანე ბალახი ჰქონდეს საჭმელად. და იქმნა ასე. დაინახა ღმერთმა

ყოველივე, რაც გააჩინა და აჰა, ძალიან კარგი იყო. იყო საღამო, იყო დილა – მეექვსე დღე“ (დაბ. 1: 24-31).

მეშვიდე დღეს – შაბათს – ღმერთს არაფერი შეუქმნია (ებრ. შაბათ „შეწყვეტა“, „განსრულება“). მან მხოლოდ აკურთხა და წმიდაჰყო იგი და „დაისვენა მეშვიდე დღეს ყოველი საქმისაგან, რაც გააკეთა“ (დაბ. 2:2).

როგორც ვხედავთ, საღვთო წერილის ყურადღება მეექვსე დღის შესაქმეზეა კონცენტრირებული. ყოველი დღის შესაქმეს ამკობს ფრაზა: „დაინახა ღმერთმა, რომ კარგი იყო“. ხუთგზის აღინიშნება, რომ კარგია, ხოლო მეექვსედ, შესაქმის ბოლო დღეს, შექმნილის მთლიანობაში მოხილვის შემდეგ, როგორც შეჯამება შემოქმედებითი აქტებისა, აღმატებით ხარისხშია ნათქვამი: „დაინახა ღმერთმა ყოველივე, რაც შექმნა, და, აჰა, ძალიან კარგი იყო“. „კარგს“ ებრაულად შეესატყვისება „ტობ“, რაც ნიშნავს „კეთილსაც“ და „მშვენიერსაც“. ქართული „კარგი“ მოიცავს ორივე მნიშვნელობას. მართლაც, პირველქმნილი სამყარო კეთილი და მშვენიერი იყო.

ღმერთმა რაც შექმნა, კეთილად ქმნა. მის მიერ ქმნილი სამყარო სრულყოფილი, უმწიკვლო და მშვენიერი იყო. იქ სუფევდა სრული ჰარმონია და სიმფონია, აბსოლუტური თანხმობა და წესრიგი. მატერია, რომელიც ღმერთმა შექმნა, არის სულიერი მატერია. მისთვის უცხოა ავადმყოფობა, ე.ი. კოროზია – ჟანგვა ანუ ხრწნა. ამ მატერიას არა აქვს სიმყიფე, ზომა და წონა. ეს კატეგორიები მხოლოდ მის პოტენციაშია და გამოვლინდება გარკვეული მიზეზის შედეგად. მიზეზი არის ცოდვა, რის გამოც სულიერი მატერია გარდაისახება ხრწნადად და მოკვდავად, – მარადიულობიდან წუთისოფლად, სულიერებიდან მშვინვიერად, უმწიკვლოებიდან მწიკვლოვანად.

მაშასადამე, პირველქმნილი ბუნება და მისი ბინადარნი, მთელი გალაქტიკა: ცა და მიწა – ხმელეთი, ზღვა და ატმოსფერო, მინერალური სამყარო, მცენარეულობა, ცხოველები და ადამიანი დასაბამიერ ყოფაში, შესაქმისეულ დროში, ყოვლითურთ კეთილნი იყვნენ. მათ შორის სიყვარული, მშვენიერება, ნეტარება და ბედნიერება სუფევდა. მოკლედ – თხა და მგელი ერთად ძოვდა. სულიერ არსებებს არც სციოდათ და არც სცხელოდათ, არ შიოდათ, არ ჰქონდათ ვნება – სექსუალური სწრაფვა, არ იცოდნენ ტკივილი. ცხოვრობდნენ როგორც უმანკო ბავშვები, ანგელოზთა მსგავსნი.

რამ გააუხეშა ღვთის ქმნილება? ვინ გადააქცია უკვდავი და უხრწნელი მატერია მოკვდავად და ხრწნადად? ვინ შექმნა წუთისოფელი ანუ სამყარო, რომელსაც ჩვენ ვგრძნობთ, აღვიქვამთ და ვხედავთ; სადაც თანაარსებობს ჰარმონია და, დროდადრო, დისჰარმონია, სიკეთე და ბოროტება, სიყვარული და სიძულვილი, სილამაზე და სიმახინჯე? ერთი სიტყვით – ვინ არის მიზეზი უკეთურების და უმსგავსობის?

გავიხსენოთ, რომ ღმერთმა შესაქმის გვირგვინად ადამიანი შექმნა და განუზომელი ღირსებით – საკუთარი ხატებითა და მსგავსებით დააჯილდოვა. ღმერთმა მარტოდენ ადამიანს მიმადლა ის, რაც მას, და მხოლოდ მას, – ცისა და ქვეყნის შემოქმედს, ამკობს – აზროვნება, ნებისყოფა, არჩევანის თავისუფლება და შემოქმედებითობა. ღმერთმა გამორჩეულ ალაგას დაასახლა ადამი: “უფალმა ღმერთმა ბაღი გააშენა ედემში, აღმოსავლეთში, და დასვა იქ

ადამი, რომელიც გამოსახა“ (დაბ. 2:8). ედემის ბაღი ანუ სამოთხე, როგორც მომდევნო აღწერილობიდან ჩანს, ქვეყნის შუაგულია. ღვთისგან ქმნილი სამყარო იმთავად თუმცა მთლიანად სამოთხე იყო, მაგრამ აღნიშნული სახელი ამშვენებდა იმ მხარეს – წალკოტს, სადაც სახლობდა ღვთის ხატი და მსგავსი. ეს მხარე არა მარტო ქვეყნის შუაგული, არამედ ყველაზე მაღალი ადგილიც იყო, რაც ერთხელ კიდევ უსვამს ხაზს ადამიანის უმაღლეს ადგილს ქმნილებათა შორის და მის პასუხისმგებლობას სულიერ და უსულო არსებათა, ცისა და მიწის, მთელი გალაქტიკის წინაშე. ადამიანს უნდა გაეგრძელებინა შემოქმედისაგან დაწყებული საქმე, ე.ი. უნდა ეშრომა და ეღვაწა, ოღონდ არა ლუკმაპურისათვის (როგორც წუთისოფელში), არამედ სულიერი და ფიზიკური ძალების განმტკიცებისათვის, რათა აღსრულებულიყო ღვთის ლოცვა-კურთხევა: აღორძინდით და გამრავლდით (ახალი თარგმანით – ინაყოფიერეთ და იმრავლეთ)! რა თქმა უნდა, ისინი უნდა აღორძინებულიყვნენ, მათ უნდა ენაყოფიერათ და ემრავლათ, მაგრამ არა ისე, როგორც დღეს – ხრწნილებით, არამედ სულიერად, წმიდად და უმანკოდ (მსგავსად ქალწული მარიამისა).

ბიბლია გვამცნობს:

„გააფრთხილა უფალმა ღმერთმა ადამი, უთხრა: ყველა ხის ნაყოფი გეჭმევა ამ ბაღში. მხოლოდ კეთილის და ბოროტის შეცნობის ხის ნაყოფი არ შეჭამო, რადგან როგორც კი შეჭამ, მოკვდებიო.

თქვა უფალმა ღმერთმა:. არ ვარგა ადამის მარტოდ ყოფნა. გავუჩენ შემწეს, მის შესაფერს. გამოსახა უფალმა ღმერთმა მიწისაგან ველის ყველა ცხოველი და ცის ყველა ფრინველი და მიჰგვარა ადამს, რომ ენახა, რას დაარქმევდა. რომელ სულდგმულს რასაც დაარქმევდა ადამი, მისი სახელიც ის იქნებოდა. დაარქვა ადამმა სახელი ყველა პირუტყვს, ცის ფრინველს და ველის ყველა ცხოველს. მაგრამ ადამს არ გამოუჩნდა შემწე, მისი შესაფერი.

უფალმა ღმერთმა ძილქუში მოჰგვარა ადამს და რა დაეძინა, გამოუღო ერთი ნეკნი და მის ადგილას ხორცი ჩაუდო. ნეკნისაგან, ადამს რომ გამოუღო, დედაკაცი შექმნა უფალმა ღმერთმა და ადამს მიუყვანა.

თქვა ადამმა: ეს კი მართლაც ძვალია ჩემი ძვალთაგანი და ხორცი ჩემი ხორცთაგანი, დედაკაცი ერქვას მას, რაკი კაცისაგან არის გამოღებული. ამიტომაც მიატოვებს კაცი დედ-მამას და მიეწებება თავის დედაკაცს, რათა ერთხორცად იქცნენ.

შიშველნი იყვნენ ორთავენი, ადამი და მისი დედაკაცი, და არ რცხვენოდათ“ (დაბ. 2:16-24).

ადამიანი ავტონომიური, თავისთავადი, თვითმყოფადი და თავისუფალი არსებაა. ღმერთი არ ერევა მის შემოქმედებით აქტში, არ ზღუდავს მის ნებას საგნებისა და მოვლენების სახელდების ჟამს. ეს კი ნიშნავს, რომ უზენაესმა მოაზროვნესა და მეტყველ არსებას მიმადლა ყველა სულდგმულისაგან გამორჩეული ნიჭი ანუ ტალანტი – თავისუფლება. და რადგან თავისუფლება მიმადლა, მისცა არჩევანის გაკეთების, ორიენტაციის დამოუკიდებლად აღების, ნაბიჯის შემოქმედებითად გადადგმის საშუალებაც. ამის ნიშანი იყო ედემის შუაგულში აღმოცენებული ორი ხე: ხე სიცოცხლისა და ხე კეთილისა და ბოროტის შეცნობისა. პირველის ნაყოფი განამტკიცებდა უკვდავებასა და უხრწნელებას, მეორისა – პირიქით, სოფელს ავადმყოფობასა და სიკვდილს უქადდა. ორი ხე ორი გზის სიმბოლო

იყო: კეთილისა და ბოროტისა. არჩევანი კი ადამიანს უნდა გაეკეთებინა: საითაც გადადგამდა ნაბიჯს, იქით წარიმართებოდა მისი ბედი. ღმერთი კაცის ნება-სურვილში ვერ ჩაერეოდა. თუ ჩაერეოდა, თავის თავს დაუპირისპირდებოდა, ადამიანში კი ადამიანს მოკლავდა, რადგან ძეხორციელი მხოლოდ თავისუფლებით, პიროვნულობითა და ნების უნარით განირჩევა არაადამიანთაგან. სამივე ცნება – აზროვნება, ნება და თავისუფლება – ერთი მთლიანობაა, რომლის ჩახშობა და ჩაკვლა ნიშნავს პიროვნების – ღვთის ნაპერწკლის, „სიცოცხლის სუნთქვის", „ღვთის სულის" – ხელყოფას, რაც მიუტევებელი ცოდვა და დანაშაულია. წმ. იოანე ოქროპირი ამბობს: ღმერთი ყოვლის შემძლებელია, მაგრამ არ შეუძლია ადამიანის ცხონება, თუ უკანასკნელი თვითონ არ ინებებს ცხონებას. ამის გამო ღმერთმა ედემში მხოლოდ მცნება მისცა ადამს; აუკრძალა კეთილისა და ბოროტის შემეცნების ნაყოფის ჭამა, მაგრამ ნებისყოფისათვის გზა არ დაუხშვია.

ბიბლიის კომენტატორთა თქმით, ბოროტება ხილულ სამყაროში არახილულიდან შემოიჭრა (თუ საიდან და რა მიზეზით აღმოცენდა ბოროტება იქ, ვისაუბრებთ ქვემოთ). ამქვეყნად ეს აქტი გველის მეშვეობით განხორციელდა. ეშმაკი შევიდა ქვემძრომის სხეულში, ეახლა ადამის ცოლს – ევას, დააინტერესა იგი კეთილისა და ბოროტის შემეცნების ხის ნაყოფით; აცდუნა იგი: „უთხრა გველმა დედაკაცს: არ მოკვდებით. მაგრამ იცის ღმერთმა, რომ როგორც კი შეჭამთ, თვალი აგეხილებათ და შეიქნებით ღმერთივით კეთილისა და ბოროტის შემცნობელნი. როცა დაინახა დედაკაცმა, რომ კარგი იყო საჭმელად ის ხე, რომ თვალწარმტაცი და საამური სანახავი იყო, მოწყვიტა ნაყოფი და შეჭამა. მისცა თავის კაცს და კაცმაც შეჭამა".

აი, დასაბამი ცოდვისა, საბედისწერო ნაბიჯისა, რომელიც გადადგა ადამიანმა, მოაზროვნემ, თავის თავზე კონტროლის უნარმქონე არსებამ. ცოდვა საღვთო განაწესის ანუ მცნების დარღვევაში გამოიხატა. ამ ფაქტს პირველცოდვა ეწოდება. მისი მასშტაბი და შინაარსი გლობალური, კოსმიური, ყოვლისმომცველი იყო. მან მყისიერად, ერთბაშად და თვისობრივად შეცვალა კაცის სხეულიც და ხასიათიც. ცოდვის შედეგად დაირღვა გვამისა და სულის სიმრთელე: სხეული ხრწნადად და მოკვდავად იქცა, – დაავადდა, დასნეულდა. ცოდვის შედეგი იმავდროულად გავრცელდა გარემომცველ სამყაროზე: უსულო და სულიერ საგნებზე – მინერალებზე, ფლორასა და ფაუნაზე, კოსმოსზე, მთელს გალაქტიკაზე, ნებისმიერ კუთხესა და კუნჭულზე. მატერიალური სამყარო განემსგავსა პირველსახეს და შეიძინა ის ქიმიური შემადგენლობა, ფორმა და თვისებები, რასაც დღეს ვხედავთ, აღვიქვამთ და ვსწავლობთ. ასე რომ, ჩვენი თვალთახედვის წინ მყოფი სამყარო – ჭუჭყიანი და ცოდვილი – შეიქმნა ადამიანის მიზეზით, პირველცოდვის გამო, ერთბაშად, მყისიერად, ცოდვისა და რისხვის ერთჯერადი აფეთქების შედეგად.

წამოიჭრება კითხვა: რატომ იყო დანაშაული კეთილისა და ბოროტის შემეცნების ხის ნაყოფის ჭამა? ეს კითხვა პირველ რიგში პედაგოგს უნდა დაებადოს: განა კაცობრიობის იდეალი განათლება, ცოდნის დაუსრულებლად მზარდი მწვერვალების დაუფლება არაა? – რა თქმა უნდა, მაგრამ ამისათვის აუცილებელია პიროვნების ზრდისა და განვითარების მრავალწახნაგოვანი გზის გავლა, ე.ი. ცოდნის კიბეზე ასვლისათვის მომზადება, რომ შუა

გზაზე არ დავეცეთ და არ დავიღუპოთ. მაგალითად, ცხიმიანი საჭმელი, ჩვეულებრივ პირობებში, მისწრებაა ენერგიის გასამტკიცებლად, მაგრამ წარმოიდგინეთ, რა მოუვა თოთო ბავშვს მისგან? ანდა: რა შედეგს მოვიმკით: ბალღებს უმაღლესი სასწავლებლების პროგრამით რომ ვასწავლოთ? ყველაფერს თავისი დრო აქვს. ზიარების საიდუმლოს შესახებ ეკლესიის მოძღვრებას თუ გავიხსენებთ, ბიბლიის ეს ეპიზოდი შეგვიძლია ასეც გავიაზროთ: ეს ხე იგივე ვაზია და მისი ნაყოფის ჭამა – ზიარება. ზიარება სულისა და ხორცის კურნებაა, მაგრამ სულით და ხორცით მოუმზადებელთათვის – სასჯელი და უბედურება.

კოსმიური ტრაგედიის პირველშედეგი წერილში გადმოცემულია ასე: "აეხილათ თვალი ორივეს და მიხვდნენ, რომ შიშველნი იყვნენ. გადააკერეს ლეღვის ფოთლები და არდაგები გაიკეთეს.

მოესმათ ხმა უფალი ღმერთისა, რომელიც საღამო ხანს ბაღში მიმოდიოდა და დაემალნენ უფალ ღმერთს ადამი და მისი დედაკაცი ბაღის ხეებს შორის. დაუძახა უფალმა ღმერთმა ადამს და უთხრა: ადამ, სადა ხარ? მიუგო: შენი ხმა მომესმა ბაღში და შემეშინდა, შიშველი რომ ვარ, და დავიმალე. უთხრა: ვინ გითხრა შიშველი რომ ხარ? იმ ხის ნაყოფი ხომ არ გიჭამია, მე რომ აგიკრძალე? უთხრა ადამმა: შენ რომ დედაკაცი მომიყვანე, მან მომცა იმ ხის ნაყოფი და მეც შევჭამე. უთხრა უფალმა ღმერთმა დედაკაცს: ეს რა ჩაიდინე? თქვა დედაკაცმა: გველმა შემაცდინა და მეც შევჭამე.

უთხრა უფალმა ღმერთმა გველს: რაკი ეს ჩაიდინე, წყეულიმც იყავ ყველა პირუტყვს შორის, ყველა გარეულ ცხოველს შორის! მუცლით იხოხე და მტვერი ჭამე მთელი სიცოცხლე. მტრობას ჩამოვაგდებ შენსა და დედაკაცს შორის, შენს თესლსა და დედაკაცის თესლს შორის: ის თავს გიჭეჭყავდეს, შენ კი ქუსლს უგესლავდე!

დედაკაცს უთხრა: სატანჯველს გაგიმრავლებ და გაგიძნელებ ორსულობას. ტანჯვით შობ შვილებს. ქმრისკენ გექნება ლტოლვა, ის კი იბატონებს შენზე.

ადამს უთხრა: რაკი შენს დედაკაცს დაუჯერე და შეჭამე ხის ნაყოფი, რომლის ჭამა აკრძალული მქონდა შენთვის, მიწა დაიწყევლოს შენს გამო: ტანჯვით მიიღებდე მისგან საზრდოს მთელი სიცოცხლე. ძეძვი და ეკალი აღმოგიცენოს და მინდვრის ბალახი იყოს შენი საზრდო. პიროფლიანი ჭამდე პურს, ვიდრე მიწად მიიქცეოდე, რადგან მისგანა ხარ აღებული, რადგან მტვერი ხარ და მტვრადვე მიიქცევი.

უწოდა ადამმა თავის დედაკაცს ევა, რადგან იგი გახდა ყოველი სიცოცხლის დედა.

გაუკეთა უფალმა ადამს და მის დედაკაცს ტყავის სამოსელი და შემოსა..." (დაბ. 3:7-21).

ცოდვის გამო ადამიანის არა მხოლოდ ფსიქიკა და ცნობიერება შეიცვალა, არამედ ხორციც. ადამს ემოსა ნათლის სხეული, რომელიც აეხადა აკრძალული ნაყოფის გემოს ხილვის შემდეგ და შეეძინა უხეში სხეული – „ტყავის სამოსი", რომელიც ყოველ წუთს განიცდის მოლეკულათა ცვალებადობას, რასაც თან სდევს სიცივე, სიცხე და ავადმყოფობა, უკანასკნელს კი – სიკვდილი. ამიტომაცაა საჭირო საკვები დაკარგული მოლეკულების აღსადგენად, სამოსელი სიცივისა თუ სიცხისაგან თავის დასაცავად, მედიკამენტები საკურნებელად და ა.შ. „მიწის დაწყევლა" სიმბოლურად აღნიშნავს გარემომცველი სამყაროს (და არა

მარტო დედამიწის) ნირშეცვლას სულიერიდან ფიზიკურისაკენ, უხრწნელებიდან ხრწნადობისაკენ, ლპობისა და აღხოცვისაკენ.

ასე რომ, წუთისოფელი ადამიანის ცოდვისა და დანაშაულის შედეგია.

ცოდვას და დანაშაულს, აუცილებლობის პრინციპით, სასჯელი მოჰყვა. სასჯელმა ცისქვეშეთში ყველაფერი მოიცვა. დაირღვა ჰარმონია, თანხმობა ადამიანისა ღმერთთან და გარემომცველ სამყაროსთან, მცენარეებთან და ცხოველებთან. ზოგიერთი ცხოველი გახდა მტაცებელი და მავნებელი, მცენარე კი – შხამიანი და მომწამვლელი. ყველა და ყოველივე დაიმონა ცოდვის მარწუხმა, რომლის მიზეზი არის ადამიანი – ხილული სამყაროს პატრონი, მეფე და პასუხისმგებელი. ამიტომაც ყოველი დაბადებული, პავლე მოციქულის სიტყვის თანახმად, ადამის გამო „თანაელმის და თანაკვნესის მოაქამომდე“ (რომ. 8:23).

ცოდვის შედეგები ქრისტიან თეოლოგთა მიერ ასეა გააზრებული: „გვწამს, რომ პირველი ადამიანი, შექმნილი ღვთისაგან, დაეცა სამოთხეში მაშინ, ოდეს ეურჩა ღვთის მცნებას და აღასრულა გველის მზაკვრული რჩევა. სწორედ იქიდან გავრცელდა მემკვიდრეობით წინაპართა ცოდვა შემდგომ თაობებზე. ასე რომ, არ არსებობს დაბადებულთაგან ძეხორციელი, თავისუფალი რომ იყოს ამ ტვირთისაგან და დღევანდელ ცხოვრებაში არ აჩნდეს პირველცოდვის დაღი. ამგვარ ტვირთად ანუ დაცემის შედეგად ჩვენ მიგვაჩნია არა თვით ცოდვა, როგორიცაა: უპატიოსნება, ღვთის გმობა, მკვლელობა, მძულვარება და სხვა ამგვარი, რაც მომდინარეობს, ღვთის ნების საწინააღმდეგოდ, ადამიანის ბოროტი გულიდან და არა ბუნებიდან (რადგან ბევრი მამათმთავარი, წინასწარმეტყველი და სხვა უამრავი წმინდანი ძველი და ახალი აღთქმისა, აგრეთვე ღვთის წინამორბედი და, უპირატესად, სიტყვისა ღვთისა მშობელი და ყოვლადწმიდა მარიამი არ იყვნენ მონაწილენი ამ და მსგავს ცოდვათა). ეს ტვირთი ანუ დაცემის შედეგი არის მიდრეკილება ცოდვისაკენ და ის უბედურებანი, რაც ღვთის მართლმსაჯულებამ განუჩინა ადამიანს მისივე ურჩობის გამო. ესენია: მომქანცველი შრომა, მწუხარება, ფიზიკური უძლურება, სალმობანი შობისა, განსაზღვრულ დრომდე ამქვეყნად ცხოვრება-ხეტიალი. ბოლოს კი ხორციელი სიკვდილი“ (მსოფლიო პატრიარქების ეპისტოლე, „საღვთისმეტყველო კრებული“, 1988, №3, გვ.61-62).

ნუთუ ღმერთმა დაწყევლა ყოველივე და არ დაინდო ძუძუთა ბავშვიც? პასუხი ცხადია და ერთადერთი: ადამიანმა თვითონ დაიწყევლა თავი; დაიტეხა ცოდვის ლოგიკური შედეგი – სასჯელი; თავისივე მიზეზით, გაუკულმართებული ნებით დაიავადა სხეული და დაასნეულა სხვაც. ბიბლიაში ვკითხულობთ, რომ ღმერთმა განდევნა ადამი და ევა სამოთხიდან, რაც თარგმანებით (კომენტარით) ნიშნავს შემდეგს: ადამმა თავად განიდევნა თავი სამოთხიდან, რადგან განემსგავსა მას. უმწიკვლო და მწიკვლოვანი ერთმანეთის გვერდით ვერ თავსდებიან. სამოთხეში კი მხოლოდ სიკეთე და სიწმიდე ხარობს, ბოროტების ნაფრცქვენიც არაა იქ. მითუმეტეს: იქ ჰყვაოდა და ჰყვავის ცხოვრების ანუ უკვდავების ხე, რომლის ნაყოფი გააუკვდავებდა დაცემულ ადამს – მის შებღალულ ხორცსა და სისხლს, მასთან ერთად – ყოველივეს ცისქვეშეთში, უკვე ლპობისა და ხრწნისაკენ მიდრეკილს. ეს კი აღუწერელი ტრაგედია იქნებოდა, რადგან ყველაფერი გახდებოდა უკვდავი, მაგრამ მარად ლპობადი და მარად ხრწნადი. ავადმყოფობა, სიბერე და მიხრწნილება განიგრძო-

ბოდა უკუნითი უკუნისამდე; სიმყრალე და შმორი მოიცავდა ყველაფერს (შდრ. დაბ. 3:22-24).

ასე დაკარგა ადამიანმა სამოთხე და მის არსებაში ღვთის ხატება დაკნინდა, მაგრამ არ აღხოცილა. მას კვლავ შერჩა ის ძალა და ბუნება, რითაც ღმერთმა შემოსა. წინააღმდეგ შემთხვევაში ადამიანი გარდაიქმნებოდა უგონო არსებად, ე.ი. არაადამიანად. ამის საპირისპიროდ ვხედავთ, რომ ადამიანს შერჩა შემოქმედების და მადლის მომუშაკების უნარი. კაცობრიობამ შემოინახა აგრეთვე ხსოვნა სამოთხისა, ღმერთთან უშუალო კავშირისა, ნეტარი ცხოვრებისა; ვიცით, რომ ჩვენი ჭეშმარიტი სამშობლო, სადაც დაგვასახლა ზეციერმა მამამ, არის ედემი. წუთისოფელი კი მდგმურობისა და მსხემობის ქვეყანაა. ამიტომაც კაცთა მოდგმის ნარეკლიანი ისტორია სავსეა ნოსტალგიით, სამშობლოზე მოთქმითა და ვაებით, იქ დაბრუნების დაუოკებელი სწრაფვით, დაკარგული სამოთხის განცდით.

ამ იდეალის სრულყოფა კი სათანადო გზათა და საშუალებათა ძიებას გულისხმობს, რაც კაცობრიობის პირველივე თაობამ აღმოაჩინა. ესაა სასჯელის მოხდა ანუ მსხვერპლის გაღება დანაშაულის გამოსყიდვის მიზნით.

ადამსა და ევას, უკვე დაცემულთ, შეეძინათ შვილები – აბელი და კაენი. პირველი მწყემსი იყო, მეორე – მიწისმუშა. ორივემ მიართვა უფალს შესაწირავად თავ-თავისი შრომის ნაყოფი. მოხედა უფალმა აბელის ძღვენს, კაენისა კი უარყო... „ძალზე გამწარდა კაენი და თავი ჩაღუნა. უთხრა უფალმა კაენს: რად გამწარდი, რად ჩაღუნე თავი? თუ სიკეთის მქნელი ხარ, განა თავაწეული არ უნდა იყო? თუ სიკეთის მქნელი არა ხარ, ცოდვა ჩასაფრებულია კართან, შენსკენ აქვს მას ლტოლვა, შენ კი იბატონე მასზე“ (4:5-7). გაფრთხილების მიუხედავად, კაენმა ძმა ველად გაიხმო და მოკლა.

ამრიგად, სამოთხეში ჩადენილი ცოდვა გაღრმავდა: შურის საფუძველზე ძმამ დაღვარა ძმის სისხლი. ადამიანი არა მარტო მოკვდავია, არამედ პოტენციური მკვლელიცაა.

მიზანშეწონილია დაისვას კითხვა: რატომ არ შეიწირა ღმერთმა კაენის მსხვერპლი? მარტივი პასუხი ასეთია: იგი ორგულებით და ანგარებით იყო გაღებული, მისი ძმისა – წრფელი გულით და სარწმუნოებით. არსებობს სხვაგვარი ინტერპრეტაციაც. აქ მსხვერპლშეწირვის ორი სახეა წარმოდგენილი – სისხლიანი და უსისხლო, და მოცემულია წინასწარმეტყველება მომავალი, ჭეშმარიტი და გამომსყიდველი მსხვერპლის რაგვარობის შესახებ. ამ კონკრეტულ შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭა სისხლიან მსხვერპლს, რაც, უნდა ვიფიქროთ, გამომსყიდველი მსხვერპლის სიმბოლოდ დაისახა. დავაკვირდეთ და გავიხსენოთ, რომ აბელი იყო მწყემსი. მრავალი წლისა და ჟამის შემდეგ მხსნელი და მაცხოვარი სწორედ მწყემსთა გარემოცვაში მოევლინა სამყაროს; ბოსელმა და ბაგამ უმასპინძლა მას; მან დაღვარა სისხლი და ამ სისხლმა გამოგვისყიდა.

„უთხრა უფალმა კაენს: სად არის შენი ძმა აბელი? მიუგო: არ ვიცი. ჩემი ძმის დარაჯი ხომ არა ვარ? უთხრა ღმერთმა: ეს რა ჩაიდინე? შენი ძმის სისხლი მიწიდან შემომღაღადებს. ამიერიდან დაწყევლილი ხარ მიწისაგან, რომელმაც გახსნა პირი, რათა მიეღო შენი ძმის სისხლი შენი ხელიდან. დაამუშავებ მიწას, მაგრამ აღარ მოგცემს იგი თავის ძალას; დევნილი და მიუსაფარი შეიქნები ამ ქვეყანაზე. უთხრა კაენმა უფალს: მძიმე ასატანია ჩემი

სასჯელი. აჰა, მაგდებ დღეს მიწის პირისაგან და უნდა მივეფარო შენს სახეს; დევნილი და მიუსაფარი ვიქნები ამქვეყნად და ყოველ შემხვედრს შეეძლება ჩემი მოკვლა. უთხრა უფალმა: ამიტომაც შვიდწილად მიეზღვება კაენის მკვლელს. დაადო უფალმა ნიშანი კაენს, რომ ვერ მოეკლა იგი ყოველ შემხვდურს“ (4:10-15).

უკანასკნელი მუხლი გვინერგავს იმედს: მიუხედავად ცოდვის მორევში ჩაძირვისა, ადამიანი შემოქმედს ბედის ანაბარად არ დაუტოვებია, – შეუნარჩუნა ნაპერწკალი, რომელიც სამოთხეში მიმადლა, – თავისი ხატება და მსგავსება. ადამიანი დარჩა ღვთის მზრუნველობის ქვეშ. ჩავუღრმავდეთ უფლის ნათქვამს: შვიდჯერ მეტი სასჯელი მიეზღვება კაენის მდგომარეობაში მყოფთა მკვლელს, – დევნილებისა და უპატრონოების, ქვრივებისა და ობლების, სუსტებისა და ხეიბრების დამთრგუნველებს. ღმერთი ყურადღების გარეშე არ ტოვებს ურჩ შვილებსაც კი და გზადაგზა, კეთილი მშობლისა და პედაგოგის მსგავსად, სჯის, რომ გაზარდოს და გააკეთილშობილოს ისინი. შთაუნერგოს მათ სიბრალული, სინანული და თანალმობა. ღმერთი დროდადრო, ამა თუ იმ საბედისწერო ვითარების ჟამს, როცა აუცილებელია, ერევა კაცთა საქმესა და ცხოვრებაში, ოღონდ ჩვენს ნებას არ თრგუნავს და ხელუხლებლად ტოვებს; პასუხისმგებლობის უფლებას ადამიანს არც ერთ შემთხვევაში არ ართმევს.

გამოსყიდვა

შეეძლო თუ არა ადამიანს საკუთარ ძალებზე დაყრდნობით გამოესყიდა დანაშაული და აღეხოცა პირველცოდვა?

ხსნა არსაიდან ჩანდა, არც პირველყოფილ და და არც ტექნიკის საუკუნეში, რასაც სათავე ლამექის ვაჟმა, თუბალ-კაენმა, „რვალისა და რკინის ყოველგვარ საჭურველთა მჭედელმა“ (დაბ. 4:22), დაუდო. მართალია, ღვთის თანადგომისა და დახმარების ნიშანი მალე გამორჩნდა, – აბელის ნაცვლად კვლავ მოემადლა ადამს ძე – სახელად შეთი ანუ სეითი, რომელმაც კეთილი შთამომავლობა შვა და „დაიწყო უფლის სახელის ხსენება“ (დაბ. 4:26), მაგრამ ეს არ იყო საკმარისი პირველცოდვის გავლენის გასაქარწყლებლად. ჯერ ერთი, როგორც აღვნიშნეთ, წუთისოფელში ცოდვისაგან დახსნილი არავინაა და, მეორე – სეითის შთამომავლობა მალე აღირია კაენისაში და უკეთურება გამრავლდა. **სამოთხეში ჩადენილი დანაშაულის შედეგები მხოლოდ მაშინ განქარდებოდა, თუ სასჯელი იმავე დანაშაულის შესაბამისი, ტოლფასი იქნებოდა. პირველცოდვის რეზონანსი გლობალური, ყოვლისმომცველი იყო. ამავე მასშტაბის უნდა ყოფილიყო სასჯელი ანუ, რაც იგივეა, მსხვერპლი, გამომსყიდველი მსხვერპლი.**

რა არის მსხვერპლი ანუ სასჯელი?

როდესაც ადამიანი კანონის საწინააღმდეგოდ იქცევა და ჩადის დანაშაულს, აგებინებენ პასუხს. სასამართლო აწესებს სასჯელს დანაშაულის სიმძიმის კვალობაზე. ადმინისტრაციული სასჯელის საბოლოო და უზენაესი მიზანია თვითსასჯელი, ე.ი. სასამართლო ვალმოხდილია, თუკი დამნაშავე გააცნობიერებს ცოდვას, მიეცემა სინანულს და ნებაყოფლობით იტვირთავს სასჯელს ანუ შეეცდება მის გამოსყიდვას. სრულყოფილი **გამოსყიდვის**

ერთადერთი საშუალება დანაშაულის ტოლფასი სიკეთის ქმნაა. ჯარიმა, პატიმრობა და, თუნდაც, სიკვდილი ჭეშმარიტი სასჯელის მხოლოდ გარეგანი მხარეა და, მაშასადამე, გამოსყიდვის აქტისათვის არასაკმარისი. ამ აქტს აგვირგვინებს ზნეობრივი სასჯელი ანუ ნებაყოფლობითი მსხვერპლი. ასე რომ, რელიგიური მსხვერპლი ანუ შესაწირავი იგივე თვითსასჯელია. მისი გარეგანი ფორმები, სამოქალაქო სამართალს რომ შევადაროთ, არის შემდეგი: ნივთიერი ძღვენი, ასკეტიზმი ანუ სულიერ-ზნეობრივი გმირობა და, ბოლოს – თავის გაწირვა (შეწირვა).

მსხვერპლი შეიძლება იყოს სისხლიანი ან უსისხლო, რითაც მორწმუნენი მოელიან მადლს, წყალობას და კურთხევას. მსხვერპლშეწირვა ცნობილია ყველა საზოგადოებაში, ცივილიზაციის ნებისმიერ საფეხურზე. მისი უმაღლესი სახეა ზნეობრივი სიკეთე, ე.ი. არა ნივთი, არამედ (და პირველ რიგში) წრფელი გული და მისი ნაყოფი – ქველმოქმედება და, რაც უფრო განვითარებულია პიროვნება, მით ახლობელი და შინაგანია მისთვის მსხვერ-პლშეწირვის ეს უმაღლესი რანგი – კაცისა და ღვთის სათნო ცხოვრება.

მსხვერპლშეწირვის საფუძველია ადამიანის მიერ ღვთის წინაშე ჩადენილი დანაშაულის შეგნება და მისი გამოსყიდვის სურვილი. ამდენად, მსხვერპლის გაღება დანაშაულის გამოსყიდვის გზა და საშუალებაა. XIX-XX სს-ის რუსი თეოლოგი პავლე სვეტლოვი ასე მსჯელობს: რელიგიური პიროვნების შინაგანი სამყაროსათვის ნიშანდობლივია მოლოდინი 1) სასჯელისა და 2) შენდობისა. ამის გამო მის წინაშე ურთიერთსაწინააღმდეგო ხმები ღაღადებენ, რომელთაგან ერთი უქადის სიკვდილს, მეორე ჰპირდება სიცოცხლეს. წარმო-იქმნება ანტინომია – თანაარსებობა სასჯელისა და პატიებისა. სწორედ ამგვარი წინა-აღმდეგობის მოსპობასა და მოგვარებას ისახავს მიზნად მსხვერპლი, რომელიც, თავისი არსით, არის ყველაზე ძვირფასი რამ, სიცოცხლის სადარი და მისი ტოლფასი. ადამიანი ეძებდა საკუთარი სიცოცხლის შემცვლელს. ამ აზრით ყოველგვარი „ზვარაკი“ მიიჩნეოდა ადამიანური სიცოცხლის ჩანაცვლებად ანუ უმაღლესი სიკეთის ექვივალენტად. ამგვარი ჩანაცვლება იყო ორი სახის: 1) პირდაპირი, – საკუთარის ნაცვლად სხვისი სიცოცხლის შეწირვა (მაგ. აბრაამის მიერ ისაკისა. ამ მიზნით უძველეს დროში, და ახლაც, ველური ტომები სამხედრო ტყვეებს იყენებდნენ) და 2) ირიბი, – ადამიანის სიცოცხლის შეცვლა ცხოველებით ან უსულო საგნებით.

ზვარაკს, ძველი აღთქმის თანახმად, ორი მიზანი აქვს: ა) მან ღმერთთან კავშირი უნდა აღადგინოს და ბ) ჭეშმარიტად გამომსყიდველ მსხვერპლზე მიანიშნოს, ე.ი. ადამიანებს განუმტკიცოს რწმენა, რომ ასეთი მსხვერპლი მომავალში უსათუოდ შეიწირება.

ძველი აღთქმის მსხვერპლი ჭეშმარიტი მსხვერპლის სიმბოლო იყო და მას გამოსყიდვის აქტის შესრულება ორი მიზეზის გამო არ შეეძლო: 1) ადამის შთამომავალს, უკვე დაცე-მულსა და ნაკლოვანს, აღარ ძალუძდა აბსოლუტური და ყოვლისმომცველი (პირველცოდ-ვის მასშტაბის) სიკეთის ქმნა, – ყოვლად უმწიკვლო ანუ ღვთის დიდების შესაფერისი მსხვერპლის გაღება და 2) თითოეული ადამიანი არის დამოუკიდებელი პიროვნება და პასუხისმგებელი საკუთარ საქციელზე – ავსა თუ კარგზე. მადლი, რომელსაც იგი მოიმუ-შაკებს, მასვე ადიადებს. ამიტომ: რომც დავუშვათ ყოვლად უცოდველი კაცის დედამიწაზე

არსებობა, მისეული სიკეთე შეამკობს მხოლოდ მის პიროვნებას. რა ბედენა იქნება ეს სხვისათვის?! არსებითად – არავითარი. შესაბამისად, მის მიერ გაღებული მსხვერპლი ვერ იქნება **ყოველთა და ყოვლისათვის.** იმავე პ. სვეტლოვის თქმით, „გამომსყიდველ შენაცვლებად ანუ მსხვერპლად შეიძლება ვიგულვოთ მხოლოდ ერთი რომელიმე სიცოცხლე, თავისი მნიშვნელობით ტოლფასი რომ იქნება შესაძლებელ სიცოცხლეთა დაუსრულებელი რიგისა, წარსულსა და მყოფადში ამქვეყნად მოვლინებულ ადამიანთა სიმრავლისა. იგი უნდა იყოს უნივერსალური, ზოგადადამიანური სიცოცხლე, მსოფლიო მსხვერპლი“.

გამომსყიდველი მსხვერპლის მისია მხოლოდ და მხოლოდ **უნივერსალურმა პიროვნებამ** უნდა იტვირთოს, – არა რომელიმე ადამიანის ძემ, არამედ კაცობრიობის ძემ – კაცის ძემ. მაგრამ ძე კაცისა, ნაშობი ჩვენნაირი ხორცით (მოკვდავითა და ხრწნადით), სრულყოფილი ვერ იქნება. სრულყოფილი მხოლოდ და მხოლოდ ღვთის შვილი – ღვთის ძე იქნება, – აბსოლუტური სიწმიდე და სიმართლე. მხსნელის პიროვნებაში უნდა გაერთიანდეს **სრული კაცი და სრული ღმერთი**, უნდა მოხდეს მოკვდავისა და უკვდავის, ხრწნადი და უხრწნელი სხეულის სინთეზი. მაშასადამე, უნდა განკაცდეს ღმერთი, რომელიც საკუთარ კისერზე აიღებს კაცთა ცოდვებს, გაწირავს თავს, მოკვდება, აღდგება, ამაღლდება და თან წარიტანს ამაქვეყნის ყველა მწიკვლსა და უკეთურებას.

იკითხავს გამომეძიებელი გონება: არ შეეძლო ცისა და ქვეყის შემოქმედს განკაცების გარეშე, იმთავითვე, მეყსეულად ეხსნა ადამი და მისი შთამომავლობა? პასუხი ერთადერთია: არ შეეძლო! რადგან ამ შემთხვევაში შეიბღალებოდა ადამიანის ავტონომია. ეს იქნებოდა თავსმოხვევა და ძალადობა პიროვნების სულზე, მის სინდისზე; ეს იქნებოდა მისი თავისუფალი ნების დათრგუნვა. **მხსნელი თავად ადამიანი უნდა იყოს, – ყოვლითურთ ჩვენნაირი, თვინიერ ცოდვისა.**

კვლავ წამოიჭრება კითხვა: აუცილებელი იყო მხსნელის ანუ, ძველი ქართულით, – მაცხოვრის სიკვდილი? პასუხი აქაც ერთია: დიახ! ყოველი ორგანიზმი, რასაც სიცოცხლის სული უდგას, უნდა მოკვდეს, რომ წარმოიქმნას ახალი სიცოცხლე. თესლი ანუ მარცვალი უნდა გაიხრწნას და განქარდეს, რომ აღმოცენდეს ნერგი, როგორც უკვდავების წყარო, სიცოცხლის ჯაჭვის ერთ-ერთი რგოლი (შდრ. იოანე 12:24). ასეთია წუთისოფლის კანონი. მოკვდავი და ხრწნადი სხეული, ქვეყნის მხსნელსა და მაცხოვარს რომ ემოსა, უნდა მომკვდარიყო, ახალი – უკვდავი და უხრწნელი სხეული რომ წარმოქმნილიყო. იმავე აზრით, ყოველი ხილული და მატერიალური, რაც არსებობს, უნდა მოკვდეს. სიკვდილი აუცილებელია ახალი კოსმოსის, ახალი ცისა და ახალი მიწის წარმოსაქმნელად, უფრო სწორად – მოკვდავი ხორცის გაუკვდავებისათვის, დაკარგული სამოთხისა და სიცოცხლის ხისაკენ მისასვლელი გზის პოვნისათვის.

და რადგან ადამიანს, ზემოთ აღნიშნული მიზეზების გამო (რომ იგი შობითგან ცოდვილია), არ ძალუძს ამ იდეალის სრულყოფა, თავად ღმერთი ეხმარება მას. ოღონდ: ეხმარება ისე, რომ არ დაითრგუნოს პიროვნების ნება. ღმერთი ადამიანთან ხელშეკრულებას დებს, რაც ნიშნავს კავშირის გაბმას თანასწორუფლებიანობის საფუძველზე. ღმერთი ადამიანს უდგენს რელიგიური და საზოგადოებრივი ცხოვრების კონსტიტუციას, – აძლევს რჩევა-

დარიგებებს, შეგონებებს; უჩვენებს მაგალითებს. თუკი უკანასკნელი გაჰყვება თვითგანწმენდისა და აღორძინების ანუ ინტელექტუალური და სულიერი განვითარების გზას, ზეციერი მამა აღასრულებს დანაპირებს, აღთქმას, ანდერძს. აღთქმის იდეალი კი არის გამოსყიდვა ანუ ხსნა, – მხსნელის მოვლინება.

აღთქმა მოიცავს ორ ეტაპს – ძველსა და ახალს. პირველი აღგვითქვამს **მხსნელს**, მეორე – **ცათა სასუფეველს**.

კიდევ იბადება კითხვა: რატომ ერთბაშად არ გაანდო ღმერთმა ადამიანებს სათქმელი, ანუ რატომ იმთავითვე სისავსით არ წარმოაჩინა აღთქმის შინაარსი?

– ალბათ იმავე მიზეზით, რა მიზეზითაც ადამიანი სამოთხეში დაეცა. მას ზრდისა და განვითარების საფეხურები უნდა გაევლო, რომ აღორძინებულიყო, ე.ი. განვითარებულიყო სულიერად, ინტელექტუალურად და ფიზიკურად. იგი მზად უნდა ყოფილიყო ცოდნის იმ დონის შესათვისებლად და შესარგებად, რასაც მოიცავდა კეთილისა და ბოროტის შემეცნების ხე. წინააღმდეგ შემთხვევაში ბედნიერების ნაცვლად უბედურებას დაიმკვიდრებდა... მაშასადამე, საჭირო იყო პედაგოგიური პრინციპის დაცვა. ადამიანს ზრდისა და განვითარების დრო და საშუალება უნდა მისცემოდა. მას უნდა ეაზროვნა, ეფიქრა და ემსჯელა თავისთავზე და გარემომცველ სამყაროზე; უნდა გამდიდრებულიყო ცოდნით და გამოცდილებით; ჭეშმარიტებასთან მიახლების ღირსი უნდა გამხდარიყო.

მოციქული გვაუწყებს: ღმერთს ვინც უყვარს, კიდეც სჯის (ებრ. 12:6) ანუ მოუვლენს განსაცდელს, გამოატარებს ქარტეხილებს, შეაგონებს, წაახალისებს და დროდადრო კიდეც დასჯის, რათა გამოიბრძმედოს და გამაგრდეს, გამდიდრდეს ცოდნით, პრაქტიკული, ცხოვრებისეული გამოცდილებით, რომ შესაძლებელი გახდეს მასთან ახალი კავშირის, ახალი მცნების, ახალი აღთქმის დადება, კონტაქტის გაღრმავება.

აღთქმის კვალდაკვალ

პირველი აღთქმა წუთისოფლის პირველი გლობალური სასჯელის შემდეგ დაიდო. მხედველობაში გვაქვს საყოველთაო ანუ მსოფლიო წარღვნა (დაბ. 6-8), რაც უკეთურებათა გამრევლებას მოჰყვა. ეს ბიბლიის ერთ-ერთი შთამბეჭდავი ეპიზოდია. უზენაესი ბედის ანაბარად არ ტოვებს ადამიანს. მას და მის ანგელოზებს ახარებთ კაცის წარმატება, აღონებთ და ამწუხარებთ დამარცხება, დაცემა. კაცობრიობა, ამავე მონათხრობის მიხედვით, ზნეობრივი ჭაობისაკენ მიექანებოდა. მასთან ერთად შეილახა ყოველი სულდგმულის ზნე და თვისება; შეიბღალა, დაეცა და გადაგვარდა მატერიის ყოველი მოლეკულა და ატომი, მთელი ფიზიკური სამყარო, რომლის პატრონად და მეფედ ღმერთმა ადამი განაჩინა. ქვეყნის ბედი და უბედობა ადამიანზეა დამოკიდებული: როგორი ზნეცა აქვს ძეხორციელს დედამიწაზე, ისეთივე სახე ექნება მიწას. გადაგვარებისა და რყვნის პროცესი რომ არ გაღრმავებულიყო, ღმერთმა სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა მიწას და ყველაფერს, რაც მას ავსებს. სიკვდილი იყო ერთადერთი გამოსავალი, რომ ახალი ცა და ახალი მიწა, ახალი სიცოცხლე, ახალი კაცობრიობა აღმოცენებულიყო, ძველი გარდაქმნილიყო და განახლებულიყო, – სიკვდილით სიკვდილი დათრგუნულიყო.

ეს მისია ერთადერთ კაცს დაევალა. „მხოლოდ ნოეს ეპოვა მადლი უფლის თვალში... მართალი, სრული კაცი იყო ნოე თავის თაობაში, ღმერთთან დადიოდა ნოე“ . ორმოცდღიანი კოკისპირული წვიმების შემდეგ დედამიწაზე წარღვნა დაიწყო, რაც ას ორმოცდაათ დღეს გაგრძელდა . გადარჩა მხოლოდ ნოე, მისი ოჯახი და ყველა სულდგმულის თითო-თითო წყვილი, რომლებიც კიდობანში იყვნენ. კიდობანი არარატის მთას მიადგა და, აჰა, მტრედმა ზეთისხილის რტო მოიტანა ქვეყნის გადარჩენის ნიშნად.

ნოემ ღმერთს საკურთხეველი აუგო და მსხვერპლი შესწირა.

უფალმა კეთილსურნელება იყნოსა, მსხვერპლი შეიწირა და აღთქვა: ამიერიდან აღარ დავწყევლი მიწას ადამიანის გამო; მეტად აღარ გავანადგურებ ცოცხალ არსებას, როგორც მოვიქეცი. „ვიდრე ქვეყანა იქნება – არც თესვა და მკა, არც ყინვა და სიცხე, არც ზაფხული და ზამთარი, არც დღე და ღამე არ გაუქმდება“ (დაბ. 8:22).

ამ დაპირების „სასწაულად“ ანუ სახილველ ნიშნად ღმერთმა ცისარტყელა დასახა, ცისარტყელაზე უკეთ რას უნდა გამოეხატა უფლის მსასოებელი აღთქმა? ***პირველი აღთქმა საყოველთაო სასჯელს მოჰყვა, რადგან სასჯელმა რამდენადმე შეამსუბუქა ცოდვა.*** მართალმა კაცმა კაცთა მოდგმა გადაგვარებისაგან იხსნა და ახალი ცივილიზაცია დაასაძირკვლა.

წარღვნა არსებითად ახალ აღთქმასა და მის იდეალს – წუთისოფლის უკანასკნელ დღეს, სამოთხისა და სასუფევლის განახლებას მოასწავებდა. სასუფეველში კი მხოლოდ ნათელღებული, ზეციური წყლით განწმენდილი და განბანილი დაისადგურებს. როგორც ქაოსისაგან ღმერთმა თავდაპირველად შექმნა კოსმოსი, ასევე განახლდა სიცოცხლე წარღვნის შემდეგ და მისი წყალობით. წარღვნა შესაქმემდელი ქაოსის, ხოლო წარღვნის დასასრული და ცისარტყელა სამყაროს შექმნის, კურთხევისა და ღვთისმიერი აღთქმის სიმბოლური სახეა.

წარღვნა ისტორიული ფაქტია. ამას ადასტურებს როგორც არქეოლოგია და ძველი ლიტერატურა, ისე ფოლკლორი. ჩვენამდე მოღწეულ ლიტერატურულ ძეგლთა შორის უძველესი „გილგამეშის ეპოსი“ იწყება ასე: „რომელმან სიღრმე იხილა ხმელეთის კიდეგან... საუნჯეს მიაგნო, გახსნა დაფარული, მცნება მოგვიტანა წარღვნამდელ დღეთა“. პლატონი გვიამბობს: მას, თურმე, ეგვიპტელი ქურუმებისაგან სმენია, რომ „ერთ ბნელსა და ავბედით ღამეს“ დაირღვა კანონზომიერება; ცთომილებმა ტრაექტორია იცვალეს და მოხდა კატასტროფა – ჩაიძირა და წყლით დაიფარა კონტინენტი, რომელსაც ატლანტისი ეწოდებოდა... პროფ. ალექსანდრე ლოპუხინი თავს უყრის გადმოცემებს წარღვნის შესახებ და ამბობს, რომ ისინი მთელ დედამიწაზეა გავრცელებული. ყოველი მათგანისათვის საერთოა ხსოვნა საყოველთაო წარღვნის შესახებ, – თუ როგორ აღხოცა ღმერთმა კაცთა მოდგმა ერთი კეთილშობილი ოჯახის გამოკლებით. ყველაზე დიდ მსგავსებას ბიბლიურ თხრობასთან ავლენს მექსიკაში გავრცელებული გადმოცემა: იქაური ნოე, კოქს-კოქსი, ცოლთან ერთად თავს შეაფარებს გემს. ქვეყანა წყლით დაიფარება. რამდენიმე დღის შემდეგ ცოლ-ქმარი გემიდან გამოუშვებენ ძერას, რათა შეიტყონ, იკლო თუ არა წყალმა. ფრინველი არ დაბრუნდება. მაგრამ შემდეგი მოციქული, პატარა ჩიტი – კოლიბრი, ნისკარტით აყვავებულ რტოს მოიტანს და ამით წარღვნის დამთავრებას ამცნობს პატრონს...

ახალი ისტორია მსხვერპლშეწირვით დაიწყო: მოხედა უფალმა ნოეს საკურთხეველს და შეიწირა სამადლობელი მსხვერპლი, რადგან მართალი კაცისაგან იყო გაღებული. თუმცა ეს არ იყო ჭეშმარიტი და კაცთა მოდგმის გამომსყიდველი მსხვერპლი, რადგან ნოესაც ადამიანური სისუსტეები გააჩნდა. სრულყოფილ მსხვერპლამდე ვრცელი გზა იყო გასავლელი.

დღევანდელი კაცობრიობა ნოეს შვილებისაგან – სემის, ქამისა და იაფეტისაგან – წარმოიშვა. ქამმა სათავე დაუდო აზიისა და აფრიკის მკვიდრ ტომებს, სემმა – სემიტებს, ე.ი. ებრაელებსა და ებრაელების მონათესავე ერებს, იაფეტმა – დანარჩენ ხალხებს.

ნოემ შვილებიდან სემი დალოცა, რაც იმაზე მიანიშნებდა, რომ მომავალში სემის შთამომავალთა შორის გამოიკვეთებოდა რჩეული ერი, რომლის წიაღშიც შეისხამდა ფრთას გამოსყიდვის იდეა.

კაცობრიობის რასებად, ერებად და ენებად დაყოფა, თუმცა ეს არაა ღვთის სათნო და მოსაწონი საქმე, გარდაუვალი და ბუნებრივი პროცესი იყო, რაც ნოეს შთამომავალთა გამრავლებისთანავე დაიწყო. ამ პროცესის შეჩერების ცდა, რაც ქალაქისა და გოდოლის მშენებლობაში გამოიხატა (დაბ. 11:1-9), არ მოხერხდა. უფალმა ერთპირ და ერთ ენაზე მოლაპარაკე ხალხს ენა აურია და ისინიც დაიფანტნენ.

განა ცისა და მიწის კავშირი წუთისოფლის იდეალი და რელიგიის ქვაკუთხედი არაა? მაშ, რატომ შეუშალა უფალმა ხელი ერთიანობისაკენ სწრაფვას? ერთიანობა იმ შემთხვევაშია სასურველი, როდესაც საქმე მართალი და პატიოსანი ადამიანების ერთიანობასთან გვაქვს. სხვა შემთხვევაში იგი უარყოფითი მოვლენაა. უდიდესი ქალაქისა და გიგანტური გოდოლის (ბაბილონის) მშენებლებს ამპარტავნება ამოქმედებდათ. ისინი ღვთის ლოცვა-კურთხევის, მისი შემწეობისა და სასოების გარეშე იკაფავდნენ გზას ცისაკენ; ისინი იმ ანგელოზებს ჰგავდნენ, რომლებიც გაამპარტავდნენ და მოინდომეს უფალთან გათანაბრება. ამის გამო მათ მყისვე აეყარათ უხორცო და გონიერ ძალთა პატივი. ასეა ამჯერადაც: ურჩობასა და ჯანყს ღმერთმა დასტური არ დასცა და ძირშივე აღკვეთა იმ კულტურის გეზი, რომელიც ადამიანურ სიამაყეს ეფუძნებოდა.

რჩეული ერის პატივი ისრაელიანებს (ებრაელებს) ერგოთ. აღთქმის შინაარსი ღმერთს მათთან ურთიერთობაში უნდა გაეცხადებინა. ეს ხალხი ღვთის განსაკუთრებული ყურადღების ქვეშ მოექცა, მაგრამ არა იმიტომ, რომ უზენაესთან თითქოს მიკერძოებას, **თვალღებას** აქვს ადგილი. არა, ეს არაა ღვთის ბუნება (საქ. 10:34-35). ისრაელმა თავად გამოირჩია თავისი თავი, რადგან მისმა მამათმთავრებმა და წინამძღვრებმა გამოამჟღავნეს მოსმენისა და მორჩილების კულტურა. ღმერთმაც ამ ერს აზიდინა აღთქმის ტვირთი. და რადგან მძიმე იყო ეს ტვირთი, ხატოვნად რომ ვთქვათ, უფალმა იგი ნება-ნებად დაადგა მის მხრებს. ამგვარი "დატვირთვა" სხვა არა არის, თუ არა ძველი აღთქმის წარმოჩინების ისტორია, რაც ებრაელთა თავგადასავლის განუყოფელ ნაწილს შეადგენს. ბიბლია სისავსით გვიამბობს ამ თავგადასავალს. თვალს არ ხუჭავს არაფერზე, არ ჩქმალავს არც ერთ სამარცხვინო ფაქტს, ფარდას ხდის მსაჯულთა და წინასწარმეტყველთა ცხოვრებასაც კი, სადაც უხვად პოულობს ბიწსა და ტალახს. თუმცა ღვთის განგება უცვალებელია; აღნათქვამი

უნდა აღსრულდეს, – ისრაელიანთა მოდგმამ უნდა გამოიაროს ტანჯვისა და განსაცდელის ოკეანე, იწვნიოს სასჯელი, გამოიცადოს, აღიჭურვოს ცოდნით და მადლით, რათა გაიზარდოს, დავაჟკაცდეს, რომ სწორედ მის წიაღში შეისხას ხორცი აღთქმამ და გამოსყიდვის აქტი აღსრულდეს.

აღთქმის ცხადჩენის გზა სამი ეტაპისაგან შედგება.

1. აღთქმა აბრაამისა, ისაკისა და იაკობისა (ძვ.წ. XIX-XVII სს.)

აბრაამი სემის შთამომავალი იყო, იმ სემისა, რომელიც მამამ (ნოემ) აკურთხა და ეს კურთხევა მის შთამომავლობასაც გადასწვდა.

აბრაამი დაემორჩილა უფლის სიტყვას, დატოვა მამისეული კერა შუამდინარეთში (მესოპოტამიაში) და ქანაანის ქვეყანაში გადასახლდა. ამ ფაქტს სიმბოლური მნიშვნელობა აქვს – აბრაამი ზურგს აქცევს ძველ ტრადიციას და საფუძველს უყრის ახალს. ქალდეა და შუამდინარეთი ცის მნათობთა საკულტო ქვეყნები იყო. სავარაუდებელია, რომ თარეხი (აბრაამის მამა) და მისი ოჯახი მთვარეს სცემდა თაყვანს („თარეხ“ ებრაულად მთვარეს ნიშნავს). ამიტომ, აბრაამს უნდა გამოეცვალა ადგილსამყოფელი, რომ ახალი ხალხისა და რელიგიისათვის, ახალი ცნობიერებისათვის დაედო სათავე. აბრაამი „აღთქმულ მიწაზე“ მდგმურის უფლებით დასახლდა. „მდგმურობის ქვეყანა“ ქანაანი, სადაც დასახლდა აბრაამი, არის წუთისოფლის სახე. წუთისოფელში კი ადამიანები მდგმურები და სტუმრები არიან. ოღონდ ადამიანმა წუთისოფლის დაძლევაზე, მის გამარადისებაზე უნდა იზრუნოს. ღმერთმა აღუთქვა აბრაამს, რომ მისი შთამომავალნი „მდგმურობის ქვეყანას“ დაიმკვიდრებენ. უზენაესი სამგზის გამოეცხადა მას (დაბ. 12:7; 13:14-17; 15). მაგრამ აბრაამს მემკვიდრე არ ჰყავდა, რადგან ბერწი იყო მისი კანონიერი ცოლი სარა. უფალმა ახარა აბრაამს – მას, ასი წლის მოხუცს, შეეძინება ვაჟი, რომელიც გაამრავლებს ერს.

ასე დადო ხელშეკრულება ღმერთმა რჩეული ერის – ისრაელის – მამამთავართან. აი, ამ ხელშეკრულების პრეზენტაცია:

„ოთხმოცდაცხრა წლის იყო აბრამი, როცა გამოეცხადა უფალი და უთხრა: მე ვარ ღმერთი ძლიერი. იარე ჩემს წინაშე და სრული იყავი. დავდებ აღთქმას ჩემსა და შენს შორის და დიდად, დიდად გაგამრავლებ.

პირქვე დაემხო აბრამი და ასე ელაპარაკა მას ღმერთი: ეს მე ვარ, და, აჰა, ჩემი აღთქმაც: უამრავ ხალხთა მამა შეიქნები! აღარ გერქვას ამიერიდან სახელად აბრამი, რადგან ურიცხვ ხალხთა მამად გაქცევ. დიდად, დიდად გაგამრავლებ, ხალხებად გაქცევ და მეფენი გამოვლენ შენგან. დავდებ აღთქმას ჩემსა და შენს შორის და შენს შთამომავალთა შორის თაობიდან თაობამდე, სამარადისო აღთქმას, რომ შენი და შენი შთამომავლობის ღმერთი ვიქნები“ (დაბ. 17:1-7).

ასე იქცა აბრამი აბრაამად (აბრაჰამ „მამა მრავლისა“) ანუ „მრავალი ხალხის“ მამად. კურთხევა, რომელიც აბრაამს მიემადლა, განივრცო მთელს ერზე. ამ კურთხევის გარეგანი ნიშანი ანუ “აღთქმის სასწაული“ წინადაცვეთა იყო; აბრაამის ოჯახის წევრებს და მათ შთამომავალთ,

ყველა მამაკაცს, დაბადებიდან რვა დღის შემდეგ ჩუჩა უნდა მოეჭრა (დაბ. 17:10-11). ამ აქტს სიმბოლური აზრი ჰქონდა: როგორც ცისარტყელა, პირველი აღთქმის სასწაული ანუ ნიშანი, შთააგონებდა ადამიანებს ღვთის მშვიდობისმყოფელ ნებას, წინადაცვეთა ამა ქვეყნის ბიწსა და უკეთურებაზე უარის თქმას მიანიშნებდა. იგი სახეობრივად მოასწავებდა ჭეშმარიტ ნათლისღებას, როგორც ახალი აღთქმისა და ახალი რჯულის საწინდარს. მაშასადამე, წინადაცვეთა იყო ძველი აღთქმის და ძველი რჯულის ბეჭედი და არ გაუქმდებოდა მანამ, სანამ თავად ძველი აღთქმა და ძველი რჯული არ აღესრულებოდა. ეს წესი თაობათა ყოფაში დამკვიდრდა და დღემდე შემორჩენილია ებრაელთა და მუსლიმანთა შორის.

აბრაამს ვაჟი შეეძინა – ისაკი. თუმცა მას მეორე ვაჟიც ჰყავდა – ისმაელი, რომელიც მოსამსახურე ქალისაგან – აგარისაგან – გაუჩნდა. ისმაილი "მხევლის შვილი" იყო, ისაკი – აღთქმის. ამიტომ მემკვიდრეობა უკანასკნელს უნდა რგებოდა, მას რჩეული ერის ერთ-ერთი მამათმთავრის მისია უნდა ეტვირთა. ისმაელისაგან არაბთა ტომები წარმოდგნენ, რომლებსაც აგარიანები ან ისმაიტელები ეწოდათ.

ღმერთმა გამოსცადა აბრაამი – ისაკის მსხვერპლად შეწირვა მოსთხოვა... და, აი, როდესაც აბრაამმა შვილის დასაკლავად დანა აიღო, მოუხმო მას უფლის ანგელოზმა და უთხრა: ნუ აღმართავ ხელს ამ ყმაწვილზე, რადგან მივხვდი, რომ ღვთისმოშიში ყოფილხარ – მხოლოდშობილი შვილი გამოიმეტე ჩემთვის. აბრაამმა ვერძი დაინახა, რომელიც ბუჩქებში რქებით გახლართულიყო. აიყვანა ვერძი და შესწირა მსხვერპლად შვილის მაგიერ.

ეს ეპიზოდი, აღწერილი გასაოცარი ოსტატობით (დაბ. 22:1-19), მიგვანიშნებს, რომ ხსნა რწმენას, სიყვარულსა და ერთგულებაშია. თითოეული მოითხოვს მსხვერპლს. მსხვერპლი კი სანუკვარი საგნის დათმობას ნიშნავს. აბრაამი სწორედ ამგვარი „მთმობელის" სახეა. მან უფლას ძღვნად მიართვა საკუთარი მზე – აღთქმისა და სიბერის შვილი. აქ არის წინასწარმეტყველება – კაცობრიობას იხსნის მსხვერპლი, სიყვარულისმიერი მსხვერპლი, რაც რეალურად დაკარგვას კი არა, შეძენას ნიშნავს. თუკი ერთგულებით გავსცემთ, აბრაამის მსგავსად, ღვთის მადლითა და კურთხევით აღვსილი დაგვიბრუნდება უკან! ამ წინასწარმეტყველებამ მაშინ შეისხა ხორცი, როდესაც ღმერთმა კაცთა ცხოვრებისათვის წუთისოფელში მხოლოდშობილი ძე მოავლინა.

ისაკს ტყუპისცალები შეეძინა – ესავი და იაკობი. ესავმა პირველად გამოაღო საშოს კარი. იგი ბანჯგვლიანი იყო, იაკობი – სრული კაცი. ესავი მონადირე გამოვიდა, ველების კაცი, იაკობი – კარვებში მცხოვრები (დაბ. 25:27). ისინი, ცხადია, სხვადასხვა სტილის ადამიანები იყვნენ. მემკვიდრეობა, ტრადიციისამებრ, პირმშოზე, ესავზე, უნდა გადასულიყო, რაც პროგრესისა და ცივილიზაციის გზიდან გადახვევა იქნებოდა, რადგან კულტურა ტყეებსა და ნადირთა შორის, სადაც, ფაქტობრივად ბინა დაედო ესავს, ვერ შეიქმნება. აქ კი თითქოს განგების ხელი ჩაერია... იაკობმა ესავს პირმშოებაც დასტყუა და მამის კურთხევაც (დაბ. 25:29-34; 27). კურთხევა ასეთი იყო: „მოგცეს ღმერთმა ცვარი ცისა, სინოყივრე მიწისა, უხვი ხორბალი და ღვინო; გემსახურონ ხალხები და თაყვანი გცენ ტომებმა! გახდი ბატონი შენი ძმებისა და თაყვანი გცენ დედაშენის შვილებმა. წყეულიმც იყოს მაწყევარი შენი, კურთხეულ იყოს მაკურთხეველი შენი".

აქ თითქოს გამოსწორდა „ბუნების შეცდომა“. კურთხევა და რჩეულება იაკობის ნაშიერებზე გადავიდა და სიტყვები – „გემსახურონ ხალხები და თაყვანი გცენ ტომებმა!“ ნათქვამია მხსნელის მისამართით, რომელიც პოტენციურად მკვიდრობდა იაკობის გენში.

იაკობმა ცხოვრების დიდი ნაწილი მსხემობას, მდგმურობასა და სხვის სამსახურში გაატარა, მაგრამ მამისა და პაპის კურთხევა უკაფავდა განსაცდელით სავსე ბილიკებს.

...და, აჰა, „მარტო დარჩა იაკობი და ერკინებოდა მას კაცი ვინმე გათენებამდე. როცა შეატყო, რომ ვერ ერეოდა, შეეხო იგი მის თეძოს სახსარს; და ელრძო იაკობს თეძოს სახსარი მასთან შერკინებისას. უთხრა: გამიშვი, უკვე თენდება. უთხრა: არ გაგიშვებ, სანამ არ მაკურთხებ. უთხრა: რა გქვია? მიუგო: იაკობი. უთხრა: ამიერიდან აღარ ითქვას შენს სახელად იაკობი, არამედ ისრაელი, რადგან ღმერთსა და ადამიანებს შეებრძოლე და სძლიე. ჰკითხა იაკობმა: მითხარი შენი სახელი. უთხრა: რისთვის მეკითხები სახელს? და იქვე აკურთხა. უწოდა იაკობმა იმ ადგილს სახელად ფენუელი, რადგან თქვა: პირისპირ ვიხილე ღმერთი და გადავრჩი“ (დაბ. 32:24-30).

„ღმერთთან შერკინების“ ეპიზოდში გაცხადებულია ბიბლიური კონცეფცია ღვთისა და ადამიანის ურთიერთობის შესახებ. უზენაესი თითქოს „თავს უყადრებს“ ადამიანს და შერკინების უფლებასაც აძლევს. ამაზე მიუთითებს სახელი, – ისრაელი (კურთხევასთან ერთად რომ ებოძა იაკობს), რაც ნიშნავს – ღმერთთან მებრძოლი. ეს სახელი იაკობის შთამომავლობაზეც განივრცო, იმ შთამომავლობაზე, რომელმაც მრავალი წლისა და ჟამის შემდეგ არამც თუ ბრძოლა გამოუცხადა განკაცებულ ღმერთს, არამედ ჯვარს აცვა იგი. ამდენად, „ღმერთთან შერკინების“ ეპიზოდი სამომავლო ამბავზეც მეტყველებს.

იაკობს თორმეტი შვილი შეეძინა: რეუბენი, სიმონი, ლევი, იუდა, ზაბულონი, ისაქარი, დანი, გადი, აშერი, ნაფთალი, იოსები, ბენიამინი. მათ წარმოშვეს ებრაელთა თორმეტი ტომი, რომელიც გაერთიანდა ერთი ერის განუყოფელ და თანაც დანაწილებულ სხეულად. ასე შეიქმნა „ისრაელის სახლი“ თორმეტი ძის, თორმეტი გვარის, თორმეტი შტოს შემადგენლობით. მათგან თითოეულს ინდივიდუალური სახე, საკუთარი ბედი და მისია განესაზღვრა. თორმეტივე თავთავიანთი კურთხევით აკურთხა მამამ – ისრაელიანთა წინაპარმა (დაბ. 49:1-28). მამის კურთხევამ ფრთა შეისხა: იაკობის სახლი ერად იქცა. პარადოქსია, მაგრამ ფაქტი, რომ ეს მოხდა არა აღთქმულ მიწაზე, არამედ მონობის ქვეყანაში – ეგვიპტეში.

მამას გამორჩეულად უყვარდა უმცროსი შვილი იოსები, რის გამოც ძმებმა შეიძულეს იგი. ამ სიძულვილს აძლიერებდა სიზმრები, რომელთაც იოსები ხედავდა და რომლებიც მის ამაღლებასა და ძმათა დამდაბლებას წინასწარმეტყველებდა. ამიტომაც ძმებმა თავიდან მოიშორეს იგი. ჯერ ჭაში ჩააგდეს. შემდეგ კი ოც ვერცხლად ეგვიპტეში მიმავალ ვაჭრებს მიყიდეს. იოსებმა მრავალი განსაცდელი გამოიარა, მაგრამ გადარჩა და ფაქტობრივად ეგვიპტის პატონ-პატრონი გახდა. როდესაც მსოფლიოში მოუსავლიანობამ, შიმშილობამ და სიკვდილმა იფეთქა, მისი ნიჭისა და სიზმართმცოდნეობის წყალობით (დაბ. 39) მხოლოდ ეგვიპტეში იპოვებოდა პური და ბეღელსაც იოსები განაგებდა. მისწვდა იაკობის ყურს ეგვიპტის სიმდიდრის ამბავი და გაგზავნა შვილები ეგვიპტეში. აღსრულდა წინასწართქმული: ძმებმა თაყვანი სცეს იოსებს, თუმცა ვერ იცნეს. „დაბადების“ 41-46

თავებში ეს ამბავი მოთხრობილია შთამბეჭდავად, დიდი ხიბლითა და ოსტატობით; ნათქვამია, რომ დიდსულოვნად შეუნდო იოსებმა სახლიკაცებს; ღვარძლის ნამცეციც არ დაუტოვებია გულში. პირიქით, – აღიარა, რომ ყველაფერი მოხდა განგებით: აქ ღმერთმა თქვენი სიცოცხლის გადასარჩენად გამომგზავნაო; "თქვენ ბოროტი განიზრახეთ ჩემთვის, ხოლო ღმერთმა სიკეთედ ჩათვალა, რათა ისე მომხდარიყო, როგორც მოხდა: მრავალი ხალხის სიცოცხლე ეხსნა" (დაბ. 50:20).

იაკობი და მთელი მისი ჯალაბობა ეგვიპტეში გადასახლდა. ფარაონმა ისინი საუკეთესო მიწებზე დაასახლა... გამოხდა ხანი, იაკობმა შვილები „თავთავიანთი კურთხევით" აკურთხა და „შეერთო იგი თავის ერს" (დაბ. 49:29-33).

წუთისოფელმა არაერთი პარადოქსი იცის. ისრაელისათვის ეგვიპტე ერთდროულად ხსნაც არის და მონობაც. ეგვიპტელთა მომდევნო თაობებმა დაივიწყეს იოსები და მისი ღვაწლი. მათ დაიმონეს ებრაელები და დაჩაგრეს. „მაგრამ რაც უფრო ჩაგრავდნენ, მით უფრო მრავალრიცხოვანი ხდებოდა და ვრცელდებოდა ხალხი. შიშმა მოიცვა ეგვიპტელები ისრაელიანთა წინაშე. უწყალოდ ამუშავებდნენ ისრაელიანებს ეგვიპტელები. სიცოცხლე გაუმწარეს მძიმე შრომით..." (გამ. 1:22-14). მაგრამ, რაც მეტად ამწარებდნენ, მით მეტად ერთიანდებოდა ერი. უკიდურეს გასაჭირში ხალხს აღმოხდა კვნესა და ამ კვნესას იმედი მოჰყვა.

„გაიხსენა ღმერთმა აბრაამთან, ისაკთან და იაკობთან დადებული აღთქმა. მოხედა ღმერთმა ისრაელიანებს, იცნო ისინი ღმერთმა" (გამ. 2:24-25) და გამოაჩინა წინამძღოლი.

2. მოსეს რჯული (ძვ.წ. XIII ს.)

ფარაონმა ბრძანება გასცა, გაეწყვიტათ ებრაელი ახალშობილები. ასეც მოხდა. მხოლოდ მოსე გადარჩა, რადგან დედამ გაფისულ კალათში ჩააწვინა და ნილოსის ტალღებს გაატანა. მდინარემ კი ლელიანში გარიყა, სადაც ფარაონის ასული ბანაობდა. უფლისწულმა იგი იშვილა და გაზარდა. როდესაც დავაჟკაცდა, მოსეს თავისიანებისკენ გაუწია გულმა, მაგრამ თავისიანებმა იგი არ მიიღეს და აიძულეს უცხო მხარეში გადაკარგულიყო.

„გამოსვლის" მე-3 თავში აღწერილია საკვირველი ხილვა:

„მწყემსავდა მოსე თავისი სიმამრის, მიდიანელი მღვდლის, ითროს, ცხვარს და გამოეცხადა მას უფლის ანგელოზი ცეცხლის ალში შუაგულ მაყვალში. და დაინახა: აჰა, მაყვალს ცეცხლი უკიდია, მაგრამ მაყვალი არ იწვის. დაინახა უფალმა, რომ მოდის მოსე სანახავად და დაუძახა უფალმა შუაგულ მაყვლოვანიდან: მოსე! მოსე! მიუგო: აქა ვარ. უთხრა: ახლოს ნუ მოხვალ! გაიძვრე ფეხსამოსი, რადგან ეს ადგილი, სადაც შენ დგეხარ, წმიდა მიწაა. უთხრა: მე ვარ მამაშენის ღმერთი, აბრაამის ღმერთი, ისაკის ღმერთი, იაკობის ღმერთი. სახე დაიფარა მოსემ, რადგან ღვთის ხილვისა შეეშინდა. თქვა უფალმა: ვიხილე ჩაგვრა ჩემი ერისა ეგვიპტეში და მომესმა ზედამხედველებისაგან გამწარებულთა ღაღადი. რაკი გავიგე მისი გასაჭირი, ჩამოვედი რომ ვიხსნა იგი ეგვიპტელთაგან და წავიყვანო მაგ

ქვეყნიდან მადლიანსა და ვრცელ ქვეყანაში, სადაც ღვარად მოედინება თაფლი და რძე... ახლა გაგგზავნი ფარაონთან, რომ გამოიყვანო ეგვიპტიდან ჩემი ერი, ისრაელიანები... უთხრა მოსემ ღმერთს: კარგი, მივედი ისრაელიანებთან და ვუთხარი: თქვენი მამა-პაპის ღმერთმა გამომგზავნა-მეთქი. თუ მკითხეს მისი სახელი, რა ვუპასუხო? უთხრა ღმერთმა მოსეს: მე ვარ, რომელი ვარ...“

„მე ვარ, რომელი ვარ“ ებრაულად გამოითქმის – ეჰიე აშეთ ეჰიე. მას უკავშირებენ ღვთის სახელს, რომელიც დაახლოებით ასე ჟღერს – იაჰვე (დამახინჯებულად – „იეღოვა“) პირველად აქ, მაყვლის ბუჩქთან, გაცხადდა ღვთის ერთ-ერთი სახელი, – იაჰვე.

მოსე თავისიანებს შორის არ გაზრდილა. შესაძლებელია, იგი დედაენასაც ვერ ფლობდა სრულყოფილად. ამის მიუხედავად, ერის მხსნელის მისია მას დაეკისრა. მოსემ იტვირთა ეს მისია და ცოლ-შვილთან ერთად ეგვიპტეში ჩავიდა.

ბიბლიაში ვრცლად და დრამატულადაა მოთხრობილი ფარაონისა და მოსეს ანუ ეგვიპ-ტელთა და ებრაელთა ბრძოლა, რაც არის სატანისა და ღმერთის, წუთისოფლისა და ზეშთა-სოფლის ურთიერთობის სახე. მოსემ დაამარცხა ფარაონის კარზე ქურუმები და გრძნე-ულები; ცხადყო, რომ ჭეშმარიტი ღმერთი ებრაელთა ღმერთია, რომელიც უხმობს თავის ხალხს აღთქმული ქვეყნისაკენ. გაუსასტიკდა გული ფარაონს და მანამ არ გაუშვა ისრა-ელის შთამომავლობა, სანამ იძულებული არ გახდა.

ასე „გამოგლიჯა ხელიდან“ მოსემ რჩეული ერი მონათმფლობელს და წაიყვანა აღთქ-მული ქვეყნისაკენ, მაგრამ არა საქარავნო გზით (რითაც იოსები და მისი ძმები ჩავიდნენ), არამედ უდაბნოს გავლით. ეს გზა განსაცდელით იყო სავსე, მაგრამ ისრაელმა მონობას თავი მაინც დააღწია; უფალს საგალობელი აღუვლინა და დღესასწაული დააწესა – პასექი, რაც „გამოსვლას“, „გადასვლას“, ამ შემთხვევაში – ეგვიპტის საზღვრის გადალახვას ნიშ-ნავს. იგი ყოველ წელიწადს, გაზაფხულის ბუნიობიდან (დღისა და ღამის სწორებიდან) სავსე მთვარის პირველ დღეს აღინიშნება.

უდაბნოში ორმოცწლიან ხეტიალს მისტიური მნიშვნელობა აქვს. ისრაელმა იხეტიალა არა უმიზნოდ, როგორც მაწანწალამ, არამედ გამოიწრთო და დაღვინდა. მან გამოსცადა შიმშილი, წყურვილი, სიცივე თუ პაპანაქება, მოთარეშე ტომების თავდასხმები; დაცემაც და ამაღლებაც. ებრაელი ტომები მონოლითურ ერად სწორედ უდაბნოში ჩამოყალიბდნენ.

უდაბნო ბერმონაზვნური ასკეტიზმის წინასახეა. როგორც ეგვიპტის უდაბნომ ჩამო-აყალიბა ისრაელიანთა მოდგმა რჩეულ ერად და მათი გონება ღვთის სიტყვის მოსასმენად მოამზადა, „უმანკო ჩასახვის სავანენიც“ (მონასტრები) ასევე სრულყოფენ ღვთის ძიების გზაზე მავალთა სულებს და მათ ახალ ერად გარდაქმნიან – რჩეულად და ნათელღებულად. გავითვალისწინოთ, რომ ძველი აღთქმის „რჩეული ერი“ ახალი აღთქმისეული ერის წინა-სახეა. ესაა ეკლესია, ვისთვისაც ნაციონალური უპირატესობა აბსოლუტურად უცხოა.

და, აი, იმავე მთაზე, სადაც ადრე მაყვლის ბუჩქი იწვოდა და არც იწვოდა, უფალმა განაახლა და მეტად გააცხადა აბრაამთან, ისაკსა და იაკობთან დადებული აღთქმა. აქ ისრაელს მსხვერპლის შეწირვის წესები და ათი მცნება ანუ ზნეობრივი და რელიგიური ცხოვრების კონსტიტუცია, რჯული, ე. ი. კანონი ებოძა (გამ. 19-34).

1. მე ვარ უფალი ღმერთი შენი და არა იყვნენ შენდა ღმერთნი უცხონი ჩემსა გარეშე.
2. არა ქმნნე თავისა შენისა კერპნი, არცა ყოვლადვე მსგავსი, რაოდენი არს ცათა შინა ზე და რაოდენი არს ქვეყანასა ზედა ქვე, და რაოდენი არს წყალთა შინა და ქვეშე ქვეყანისა. არა თაყვანისცე მათ, არცა მსახურებდე მათ.
3. არა მოიღო სახელი უფლისა ღვთისა შენისა ამაოსა ზედა.
4. მოიხსენე დღე იგი შაბათი და წმიდაყავ იგი: ექვს დღე იქმოდე და ჰქმენ ყოველი საქმე შენი, ხოლო დღე იგი მეშვიდე, შაბათი, არის უფლისა – ღვთისა შენისა.
5. პატივეც მამასა შენსა და დედასა შენსა, რათა კეთილი გეყოს შენ და დღეგრძელი იყო ქვეყანასა ზედა.
6. არა კაც კლა.
7. არა იმრუშო.
8. არა იპარო.
9. არა ცილისწამო მოყვასსა შენსა წამებითა ცრუითა.
10. არა გული გითქმიდეს ცოლისათვის მოყვასისა შენისა, არა გული გითქმიდეს სახლისათვის მოყვასისა შენისა, არცა ყანისა მისისა, არცა მონისა მისისა, არცა მხევლისა მისისა, არცა ხარისა მისისა, არცა კარაულისა მისისა, არცა ყოვლისა საცხოვრისა მისისა, არცა ყოვლისა მისთვის, რაიცა იყოს მოყვასისა შენისა.

აბრაამის, ისააკის და იაკობის შთამომავლობა სინას მთაზე რელიგიურ ერად ჩამოყალიბდა. ეს ერი გენეტიკურ-სისხლისმიერი ერთიანობის, საფუძველზე არ შექმნილა. გავითვალისწინოთ, რომ აბრაამმა წინადაცვითა როგორც სისხლით ნათესავები, ისე უცხო ქვეყნებში ნაყიდი მოსამსახურეები (დაბ. 17:27). ამასთანავე: ღმერთი რომელმაც ისრაელიანთა მოდგმა მონობის ქვეყნიდან გამოიყვანა, წარმართთა მამა და სიხარულიცაა, რაც ძველ აღთქმაშივეა გაცხადებული იონა წინასწარმეტყველის მაგალითზე. ბიბლიურ „მამობასა“ და „შთამომავლობას“ თესლისმიერ-გენეტიკურ გაგებაზე მაღალი რეგისტრიც აქვს და ეს რეგისტრი ახალი აღთქმის შუქზე ცხადდება, რის თანახმადაც რჩეული ერი ჭეშმარიტებასთან წილნაყარ ხალხს ნიშნავს გვარის, ტომისა და კანის ფერის განუსხვავებლად. რჩეული ერის სხვაგვარი გაგება არაქრისტიანული და, ზოგადად, არაცივილიზებული ცნობიერებაა.

მოსემ „გაგზავნა ისრაელიანთაგან ყმაწვილი კაცები და მათაც მიიტანეს აღსავლენი და შესწირეს უფალს ხარები სამადლობელ მსხვერპლად. აიღო მოსემ ნახევარი სისხლი და თასებში ჩაასხა, ხოლო ნახევარი სამსხვერპლოს ასხურა. აიღო აღთქმის წიგნი და წაუკითხა ხალხს. თქვა ხალხმა: ყველაფერს აღვასრულებთ და შევისმენთ, რაც უბრძანებია უფალს. აიღო მოსემ სისხლი და მოასხურა ხალხს. თქვა: აჰა, სისხლი აღთქმისა, რომელიც დაგიდოთ უფალმა ყველა ამ საქმეზე“(გამ. 24:5-8).

აღთქმა ამჯერად სისხლით განმტკიცდა. ცხადი გახდა, რომ კაცობრიობას სისხლი გამოისყიდის, რაც ნიშნავს: მხსნელი, რომელიც მოევლინება ქვეყანას, შეიწირება ჩვენთვის. ის ზვარაკად მიიტანს საკუთარ თავს და დაღვრის სისხლს, რომელიც გაგვწმენდს. ამის თაობაზე იოანე ოქროპირი ამბობს: „მითხარ, რის გამო აპკურა მოსემ აღთქმის წიგნსა

და ერს? უთუოდ იმიტომ, რომ ეს სისხლი სახე იყო პატიოსანი სისხლისა... ეს არის სისხლი, იტყვის მაცხოვარი, ახალი აღთქმისა თქვენთვის დათხეული“. აქედან ცხადია, რომ ძველი აღთქმის მსხვერპლს, რომელიც დიდის კრძალვით იწირებოდა ყოველ დღე, სიმბოლური და წინასწარმეტყველური მნიშვნელობა ჰქონდა.

ვინ მოევლინებოდა ქვეყნიერებას მაცხოვრად?

სანამ პასუხს მიიღებდა, ისრაელს ცხოვრების გზაზე კვლავ თვალსაჩინო მონაკვეთი უნდა გაევლო; უნდა შესულიყო აღთქმულ ქვეყანაში, დამკვიდრებულიყო იქ და შეექმნა ერთიანი, ძლიერი სახელმწიფო.

წინასწარმეტყველება ახდა: ისრაელი ქანაანის სანახებს მიადგა. გამოეცხადა უფალი მოსეს ნებოს მთაზე და აუწყა: შენმა თვალებმა იხილეს აღთქმული ქვეყანა, შენ კი ვერ შეხვალ იქ. და წინამძღვარი გარდაიცვალა. მისი სამარე ცნობილი არაა. ეს მოხდა 1220-1200 წლებს შორის.

3. მეფე და წინასწარმეტყველი დავითი (1010-970)

ისრაელი აღთქმულ ქვეყანაში დამკვიდრდა და ჩაება ცხოვრების ორომტრიალში. განვლო წლებმა და საუკუნეებმა. „რჩეულმა ხალხმა“ ბევრი კარგი და ბევრიც ავი მოიმოქმედა. ხშირად ივიწყებდნენ უფალს. უფალი კი მათ წვრთნიდა; არც სასჯელს და არც წყალობას არ აკლებდა და ძველი აღთქმის სისავსით გაცხადებისათვის საფუძველს ამზადებდა. ეს მისია წილად ხვდათ საულსა და დავითს, რომლებიც წინასწარმეტყველმა სამუელმა ღვთის მითითებით გამოარჩია.

ერთიანი ისრაელის პირველი მეფე საული ბენიამინის ტომიდან იყო, დავითი კი – იუდას შთამომავალი, იესეს ვაჟი, სოფელ ბეთლემიდან. ეს მხარე აღთქმულ ქვეყანაში ყველაზე ჩამორჩენილ პროვინციად ითვლებოდა; მისი წიაღიდან არავინ ელოდა ხსნას. მოხდა პირიქით: უფლის თვალში მადლი სწორედ იუდეველმა მწყემსმა, ტანმორჩილმა ჭაბუკმა დავითმა იპოვა, ფილისტიმელი გოლიათი დაამარცხა და ებრაელი ერი სირცხვილისაგან იხსნა. ეს ფაქტი უმნიშვნელოვანეს წინასწარმეტყველებას შეიცავს, რაც კომენტარსაც არ საჭიროებს, ყოველ შემთხვევაში, – მკითხველისათვის მალე გახდება ცხადი.

საულმა გადაუხვია რჯულის კანონიდან, – საკუთარი ხელით დაკლა საკლავი (I მეფ. 13). მას უმალვე წაერთვა მადლი ანუ ქარიზმა და მიემადლა დავითს. პირად-პირადი ცოდვებისაგან არც დავითი იყო თავისუფალი, მაგრამ პირველცხებული და ღვთივკურთხეული მეფის სახელი მას მაინც შერჩა. მისი ქარიზმა უმცროს შვილს – სოლომონ ბრძენს გადაეცა და, ამდენად, სამეფო დინასტიას დასაბამი დავითმა მისცა.

დავითმა დააფუძნა და განამტკიცა ერთიანი ისრაელის სამეფო. დედაქალაქად იერუსალიმი გამოაცხადა. გადმოიტანა იქ ერის უდიდესი სიწმიდე – რჯულის კიდობანი, სადაც ინახებოდა მცნებათა ორი დაფა ანუ ფიცარი და იგი იმ ბორცვზე დაამკვიდრა, სადაც აბრაამმა, ისაკის ნაცვლად, ვერძი შესწირა. აქ შემდეგ სოლომონმა დიდი ტაძარი ააგო.

დავითისა და მისი შვილის მეფობა (1010-979, 970-931) ისრაელის ისტორიაში „ოქროს

ხანადაა“ ცნობილი. სამოთხისდარმა ცხოვრებამ დაისადგურა და ისრაელიანნი „ჭამდნენ, სვამდნენ და მხიარულობდნენ“ (მე-3 მეფ. 4:20); „უშიშრად ისხდნენ... დანიდან ვიდრე ბერშებამდე“. იყო წყალობა და იყო ხილვები. ეცხადებოდა უფალი დავითს და აუწყებდა სიბრძნეს, რასაც წინასწარმეტყველი გამოთქვამდა ლექსად და ამღერებდა ქნარზე ანუ ებრაულად – ფსალმუნზე. ასე შეიქმნა და წიგნთაწიგნში წარუშლელად დაიდო ბინა „ფსალმუნნმა“, რომელთა რიცხვი უდრის ას ერგასს (ას ორმოცდაათს). მათ კრებულს ქართული ტრადიციით ეწოდება „დავითნი“, რომელიც სასულიერო თუ საერო პოეზიის ჭეშმარიტი წყაროა.

ღვთის ძის განკაცება პირველად ფსალმუნთმგალობელმა იწინასწარმეტყველა. მისი მეშვეობით უკვე სრულყოფილად გაცხადდა ძველი აღთქმა ანუ საღმრთო ანდერძი; გამოიკვეთა სისხლიანი მსხვერპლშეწირვისა და, ზოგადად, მოსეს რჯულის საბოლოო მიზანი – უწყება გამომსყიდველი, გამომხსნელი და მაცხოვნებელი მსხვერპლის შესახებ. ზვარაკად თავს თავად უფალი მიიტანს. ისტორიის კონკრეტულ მონაკვეთში ღმერთი შეისხამს ხორცს, რომელიც სამყაროს კონკრეტული პიროვნების ანუ ჩვეულებრივი ადამიანის სახით მოევლინება. იგი ნებაყოფლობით დაღვრის სისხლს ჩვენი ცოდვების წარხოცვისა და სამყაროს გაპატიოსნებისათვის.

88-ე ფსალმუნში ვკითხულობთ: „ვყავ აღთქმა რჩეულთა ჩემთა თანა და ვეფუცე დავითს, მონასა ჩემსა: უკუნისამდე განვჰმზადო ნათესავი შენი და აღვაშენო თესლითი-თესლამდე საყდარი შენი“ (ახ. თარგმანით – „დავდე პირობა ჩემს რჩეულთან, შევფიცე დავითს, ჩემს მორჩილს: უკუნისამდე გავამაგრებ შენს შთამომავლობას და თაობიდან თაობამდე დავაფუძნებ შენს ტახტს“) (4-5). ლაპარაკია უფლის აღთქმაზე, რომელიც მიემადლა რჩეული ერის რჩეულ შვილებს: აბრაამს, ისაკს, იაკობსა და მოსეს, რომ ქვეყანას მათი თესლისაგან მოევლინება ხსნა. ეს აღთქმა უკვე ფიცით განმტკიცდა, რაც სამგზის ჩენილი აღთქმის ბეჭდით დადასტურებას, დაბეჭდვას უდრის და წინასწარმეტყველების დვრიტას მთელი არსებით ასაჩინოებს. ამის თაობაზე უფალმა დავითს ნათან ბრძენისა და წინასწარმეტყველის პირით უფრო ცხადად აუწყა: „მე აღვადგენ შენს შემდგომად შენს თესლს, რომელიც იქნება შენი ძეთაგანი, და მის მეფობას განვამტკიცებ. ის ამიშენებს სახლს და მე გავამტკიცებ მის ტახტს სამარადისოდ. მე მამა ვიქნები მისთვის, ის კი შვილი იქნება ჩემთვის. წყალობას არ წავართმევ, როგორც შენს წინამორბედს წავართვი. დავაყენებ მას ჩემს სახლში და ჩემს სამეფოში სამარადისოდ. მყარი იქნება მისი ტახტი სამარადისოდ“ (I ნეშტ. 17:11-14).

აქ თითქმის ყველაფერია თქმული: კონკრეტული პიროვნება, ვისი სახითაც მოვა ცისა და ქვეყნის მაცოცხლებელი, აღმოცენდება ცხებული მეფის, იესეს ძის, დავითის თესლისაგან და მეფობის მადლით დედის საშოშივე შეიმოსება; დაიბადება ჭეშმარიტ მეფედ და დაერქმევა „მესია“ (ებრაული გამოთქმით – „მაშიახ“), რაც ბერძნულად „ხრისტოსად“, „ქრისტედ“ ითარგმნება, ქართულად – „ცხებული“. სწორედ მესია, ე.ი. ქრისტე ანუ ცხებული, ვითარცა ყოვლადსრული და საყოველთაო მეფე, აღასრულებს ხილული და არახილული სამყაროს იდეალს, – აღადგენს დაცემულ ადამს და განაახლებს ცისა და მიწის

კავშირს. ასე რომ, პიროვნება, ვისაც უგალობდა დავითის ქნარი, იქნება არა მხოლოდ ცხებული, არამედ – მხსნელიც. „მხსნელს“ ებრაულად ეწოდება „იეშუა“, ბერძნული ტრანსკრიფციით – „იესუ“, „იესო“, რომელიც ამავე ენაზე ითარგმნება „სოტერად“, ლათინურად – „სალვატორ“, რუსულად – „სპასიტელ“, ძველი ქართული ტრადიციით – მაცხოვარი. მაშასადამე, განკაცებული ღმერთი, ვით სანუკვარი მეფე, წარმომდგარი იუდას ტომისაგან, სახელდობრ – დავითის შთამომავალი, იქნება ცხებული მხსნელი ანუ ქრისტე იესო.

კაცობრიობას მხსნელი რჩეული ერის წიაღიდან მოევლინება. ერთსა და იმავე დროს იგი ღმერთიც იქნება და კაციც. იგი სამსხვერპლოზე მიიტანს თავის თავს, რითაც შეარიგებს კაცთა მოდგმას ღმერთთან და, უშუალო წინაპრის დავითის მსგავსად, დათრგუნავს გოლიათს ანუ წუთისოფლის საცთურს, ე.ი. ეშმაკს და მის სამეფოს – ჯოჯოხეთს.

რა ბედი ეწია ერთიანსა და ძლევამოსილ ისრაელს?

მისმა თავკაცებმა გადაუხვიეს ჭეშმარიტების გზიდან. ბრძენმა და ცხებულმა მეფე სოლომონმა, ცოლების ზეგავლენით, უცხო ღმერთებს სცა თაყვანი (მე-3 მეფ. 11:4-8) და გარყვნილების მორევს მიეცა. მის კვალს დაადგნენ შვილები, შვილიშვილები და შვილთაშვილები. მათ შორის დაისადგურა შურმა და მტრობამ. სოლომონის შემდეგ, 929 წელს, ისრაელის სამეფო ორად დაიყო. ტომებს შორის ჩამოვარდა ქიშპი და უთანხმოება, რის გამოც უფალმა დასაჯა საყვარელი (მაგრამ ურჩი) ერი. ვინაიდან მათ არ შეისმინეს წინასწარმეტყველთა და რჯულის მეცნიერთა სიტყვები და არ გამოსწორდნენ, ხელახლა ამოყვეს თავი ტყვეობაში: 597 წელს იერუსალიმი ბაბილონის მეფე ნაბუქოდონოსორმა აიკლო, იავარყო სოლომონის ტაძარი და მისი წმიდათაწმიდა – რჯულის კიდობანი მცნებათა ფიცრებითურთ.

მონობის უღელი ისრაელიანებს მძიმე ტვირთად დააწვა. მათ დედაქალაქში შესვლა აუკრძალეს. ისინი მიდიოდნენ იერუსალიმის მახლობლად, დადგებოდნენ ერთი კედლის წინ და მოთქვამდნენ. ეს კედელი შემორჩენილია დღემდე და „გოდების კედელს“ უწოდებენ.

ტყვეობისა და მსხემობის ჟამს ებრაელ ერს კვლავ აღმოხდა კვნესა და მიეცა სინანულს. კვლავ მოხედა უფალმა შეჭირვებულ ხალხს და წინასწარმეტყველები გამოუგზავნა. ისინი ქადაგებდნენ და მესიას გზას უკაფავდნენ. მათგან გამორჩეულნი არიან: ოსია, ამოსი, ელია თეზბიტელი, ესაია, იერემია, იეზეკიელი, დანიელი, იონა, ზაქარია, ანგია და სხვანი. ისინი იუწყებოდნენ, რომ მოვა ჟამი, როდესაც ღმერთი განკაცდება და დაიბადება ქალწულის მიერ ბეთლემის ქვაბში, ბოსელში. ის იქნება „იესეს ყლორტი“, რომლის შობას მოჰყვება ჩვილთა არწყვეტა, რის გამოც მას მოუწევს ხიზნობა ეგვიპტეში და, ამდენად, რჩეული ერის თავგადასავლის გამეორება. იგი დაისჯება უსამართლო კაცთა გულარძნილობის გამო; ნებაყოფლობით იტვირთავს სასჯელს თითოეული ჩვენგანის ნაცვლად და დასახავს გზას, რომელიც ადამის შვილებს ცათა სასუფეველში მიიყვანს. ბედნიერება არა მხოლოდ ებრაელობას, არამედ ყველას მიემადლება. ამასთანავე, რაც არსებითია, უძლეველი და უდიადესი მეფე – ქვეყნის მხსნელი და მაცხოვარი – დედამიწას შეურაცხ კაცად შეურაცხი პროვინციიდან მოევლინება.

ამქვეყნიური ფასეულობანი გადაფასდა. წუთისოფელს იხსნის მორჩილი, მდაბალი და

ყველასაგან დაწუნებული ადამიანი, რომელიც სხვათა ცოდვებს ნებით იტვირთავს. ქრისტეს მოვლინების ზედმიწევნითი წინასწარმეტყველება მოცემულია ესაიას წიგნის 53-ე თავში, რომელიც, ნეტარი იერონიმეს თქმით, მახარებლის სიტყვებს უფრო ჰგავს, ვიდრე წინასწარმეტყველისას. ამის გამო ამ თავს მე-5 სახარებას უწოდებენ და მართლაც, იგი ძველი აღთქმის გვირგვინია:

„... არც ღირსება ჰქონია და არც მშვენება, რომ ზედ შეგეხედა; არც იერი, რომ მივეზიდეთ. საძულველი იყო, კაცთაგან ათვალწუნებული, გატანჯული და სნებამორეული, ერთი იმათგანი, ვისაც პირს არიდებენ. საძულველი იყო და არად ვაგდებდით. ნამდვილად კი მან იკისრა ჩვენი სნებები და იტვირთა ჩვენი სატანჯველი; ჩვენ კი გვეგონა, ღვთისაგან იყო ნაცემ-ნაგვემი და დამცირებული, მაგრამ ის ჩვენი ცოდვებისთვის იყო დაჭრილი, ჩვენი უკეთურობებისთვის დალეწილი; მასზე იყო სასჯელი ჩვენი სიმრთელისათვის და მისი წყლულებით ჩვენ განვიკურნეთ. ყველანი ცხვრებივით დავეხეტებოდით. თითოეული ჩვენ-ჩვენ გზას ვადექით, უფალმა კი მას შეჰყარა ყოველი ჩვენგანის უკეთურება. ევნო და ეწამა, მაგრამ არ დაუძრავს ბაგე; კრავივით დასაკლავად მიიყვანეს და, როგორც ცხვარი დუმს მპარსველთა წინაშე, მასაც არ დაუძრავს ბაგე. საპყრობილედან და სამსჯავროდან იქნა წაყვანილი და ვინ იფიქრებდა მის მოდგმაზე, როცა ცოცხალთა მიწიდან მოიკვეთა; ჩემი ხალხის ცოდვებისათვის დაისაჯა. მიეცა სამარხი ბოროტეულთა გვერდით და მდიდართან ერთად თავის სიკვდილში, რადგან სიავე არ ჩაუდენია და მის ბაგეში სიცრუე არ ყოფილა“.

ახალი აღთქმა

ძველმა აღთქმამ და წინასწარმეტყველებამ ხორცი ჩვენი წელთაღრიცხვის გარიჟრაჟზე შეისხა. ღმერთმა კაცთა ნათესავის გამოსახსნელად დედამიწაზე მხოლოდშობილი ძე მოავლინა. მარადიული, დაუსაბამო და უჟამო ღმერთი განკაცდა.

ებრაელ ქალწულ მარიამს, დავითის შთამომავალს, მთავარანგელოზი გაბრიელი გამოეცხადა და ახარა, რომ დაორსულდება და შეეძინება ვაჟი. ხარებას შობა მოჰყვა, შობას კი ყველაფერი, რასაც წინასწარმეტყველები ამბობდნენ.

იესო ქრისტე, სათნო გადმოცემის თანახმად, 30 წლის ასაკში მოინათლა იოანე წინასწარმეტყველის, წინამორბედისა და ნათლისმცემლის მიერ. ამ ფაქტით ძველი აღთქმა და რჯული დასრულდა. იოანე ნათლისმცემელი დგას გზათგასაყარზე და ითვლება ძველი აღთქმის უკანასკნელ წინასწარმეტყველად და ახლის წინამორბედად. მისი ქადაგება – შეინანეთ, რამეთუ მოახლოებულ არს სასუფეველი ცათა! ნიშნავდა ღმერთსა და ადამიანს შორის ახალ ურთიერთობათა, ახალ ხელშეკრულებათა დასაბამს. აქ არის მინიშნება ახალი აღთქმის უმთავრეს იდეალზე – ცათა სასუფეველზე და მისი მიღწევის პირობაზე – სინანულზე. ქრისტიანული სინანულის არსს ასაჩინოებს ბერძნული შესატყვისი „მეტანოია“, რაც ნიშნავს: ხელახალი გონება, გონების გარდაქმნა, განახლება, ზეაღზიდვა. იგულისხმება პიროვნების გაკეთილშობილება, შეცვლა, განახლება. ახალ აღთქმაში მონაწილეობის წინაპირობაა სინანული ანუ ცოდვათა გაცნობიერება, რამაც უნდა გამსჭვალოს ინდივიდი და შეცვალოს სასიკეთოდ.

ძველი აღთქმის გარეგანი ნიშანი წინადაცვეთა იყო. ახალი აღთქმის ხილული ნიშანი კი ნათლისღება და ზიარებაა. ნათლისღება არის ახალი აღთქმის კარი, წინაბჭე, ზიარება კი – მისი გვირგვინი. ნათლისღების მეშვეობით მორწმუნე ქრისტეს ეკლესიის წევრი ხდება, ზიარების მეშვეობით კი იგი ქრისტეს სისხლსა და ხორცს ეზიარება. ერთიც და მეორეც ეკლესიის მიერ გააზრებულია საიდუმლოდ (საკრამენტად), რომელთაგან მეორე (ზიარება) თავად უფალმა დაადგინა. მან მოციქულები პირველად საპასექო სუფრაზე აზიარა. პური საკუთარ ხორცად, ღვინო კი საკუთარ სისხლად დასახა და ამით მსხვერპლშეწირვის ებრაული წესი გააუქმა. სახარების ამ ეპიზოდს, რომელსაც ოთხივე მახარებელი აღწერს (მათე 26:17-30; მარკოზი 14:12-26; ლუკა 22:14-71; იოანე 13:1-35) საეკლესიო ტრადიცია საიდუმლო სერობას უწოდებს. საიდუმლო სერობა, შეიძლება ითქვას, ახალი აღთქმის პრეზენტაციაა.

ახალი აღთქმის იდეალი არის ცათა სასუფეველი. პავლე მოციქულის თქმით, მოსეს რჯული დროებითი მოვლენაა. სიბრძნის საბოლოო გაცხადება ხდება იესოს პიროვნებაში, რომელმაც აღასრულა და გააუქმა რჯული (რომ. 10:4), რომელიც ებრაელებს ხსნისა და გამართლების საშუალება ეგონათ. ამიერიდან ადამიანმა არა რჯულის ანუ კანონის, არამედ რწმენის შესაბამისად უნდა იცხოვროს. ქრისტიანული სარწმუნოების საფუძველია სიყვარული და, პავლეს მოძღვრებით, თუ ადამიანს მოყვასი უყვარს, რჯულის ყველა მოთხოვნა შესრულებულია. ამას გულისხმობს მაცხოვარი, როცა ორ მთავარ მცნებაზე ლაპარაკობს: ერთია, გიყვარდეს ღმერთი შენი, მეორეა – გიყვარდეს მოყვასი შენი. ეს ორი მცნება მთელ რჯულს მოიცავს. კაცისათვის, რომელიც არ მრისხანებს, ფუჭია შეხსენება მცნებისა „არა კაც კლა“. ნეტარი ავგუსტინე ამგვარად გამოხატავს ამ ორი მცნების არსს: „გიყვარდეს უფალი და გააკეთე, რაც გინდა“ (იგულისხმება, რომ უფლის სიყვარული მხოლოდ სიკეთეს გაგაკეთებინებს). ახალი აღთქმის რჯული არის სიყვარულის რჯული და თუ სიყვარული არსებობს ადამიანთა შორის, რჯულიც დასრულებულია.

რას ნიშნავს „რჯულის დასრულება“, ანდა „გაუქმება“? რჯულის ქვეშ აქ რწმენა არ იგულისხმება (რწმენა, იმავე პავლეს თქმით, გადარჩენის მთავარი პირობაა: რომ. 1:17). ქრისტემ წეს-განგების, მსხვერპლშეწირვის რიტუალისა და, ზოგადად, კანონის არსობრივი მნიშვნელობა უარყო. ახალმა რელიგიამ კანონს პირველხარისხოვნება ჩამოაშორა. მან გააუქმა, აზრმოკლებულად, უფრო ზუსტად – ყავლგასულად გამოაცხადა წინადაცვეთა და სისხლიანი მსხვერპლის შეწირვა. ყურადღება სულიერ მხარეზე, ინდივიდის შინაგან რწმენასა და ქველმოქმედებაზე გადაიტანა. ქრისტიანობა არის სიყვარულის, სიბრალულის, სინანულის, თანაგრძნობისა და თანალმობის რელიგია, რომლის ბირთვი თავად იესო ქრისტე, – მისი ცხოვრება, პირადი მაგალითი და მის ბაგეთაგან გამოთქმული მოძღვრებაა.

ქრისტე ამ მოძღვრების კაცთა შორის დასანერგად მოვიდა. თანამოსაგრეებად თორმეტი მოციქული გამოირჩია (მათე 10:2-4). მოციქულებმა და მოციქულთა მოციქულებმა, რიცხვით სამოცდაათმა, ახალი მოძღვრება – ქრისტიანობა – მსოფლიოს მოჰფინეს.

ქრისტიანობა არის ხსნისა და გამოსყიდვის რელიგია. ეს მისია, საბოლოო ჯამში, ყველა რელიგიას აკისრია, მაგრამ ქრისტეს მოძღვრებას სპეციფიკური ნიშნები აქვს. ეს, პირველ

რიგში, ჯვრისა და ჯვარცმის, როგორც გამოსყიდვის საშუალების, მიმართ ითქმის. ლაპარაკია არა საკუთრივ ჯვარზე, როგორც გრაფიკულ გამოსახულებაზე, არც ჯვარცმაზე – დასჯის ფორმაზე, არამედ შინაარსზე, რასაც მოიცავს ცნებები: ჯვარი და, მისგან განუყოფელი, გამოსყიდვის დოგმატი. იესო ქრისტემ ადამიანი და, მასთან ერთად, წუთისოფელი გამოისყიდა ჯვარცმამდე დამდაბლების გზით. მან მიატოვა „თავისი მამული", შეიმოსა მონის ხატი და ჯვარს ეცვა როგორც დამნაშავე, განწირული და მიუსაფარი. ახალი აღთქმის მთავარი ნიშანი ანუ სასწაული თავმდაბლობის შედეგად დაღვრილი და შეწირული სისხლია. მისი მოძღვრებისათვის ნიშანდობლივია ძველი ფასეულობების გადაფასება და ახალი ზნეობრივი კრიტერიუმების დამკვიდრება. მაგალითად, სიმდიდრე, სილაღე, თვალტანადობა, რასაც ელტვოდა წარმართთა ცნობიერება, ქრისტიანთა მიერ ჩათვლილია არაარსებით კატეგორიებად. გამოცლილი აქვს საფუძველი პრინციპს – ჯანსაღ სხეულში ჯანსაღი სულია. ამქვეყნიური დიდება, რაც ებრაელთა რჯულშიც თვალსაჩინოდ ფიგურირებდა, სახარების თანახმად სანუკვარი ფაქტი არაა. ადამიანს ადიადებს არა ძლიერი მკლავი, ანდა სავსე ქისა, არამედ უმანკო გული და სინდისი. ქრისტიანული ეთიკისა და მორალის სპეციფიკური ნიშანია შენდობა, მტერთათვის ლოცვა და ბოროტების სიკეთით გადახდა. მიუხედავად იმისა, რომ ყოველივე ეს ძველ აღთქმაში არაერთგზისაა აღნიშნული პირდაპირ თუ ალეგორიულად, მაცხოვარმა იესო ქრისტემ სიმდაბლის, მოთმინებისა და მიტევების პირადი მაგალითი გვიჩვენა. რა თქმა უნდა, ზნეობის ამ რანგამდე ასვლა ადვილი არაა და ეს უნდა მოხდეს ბუნებრივად, ზრდა-განვითარების გარკვეული ეტაპების გავლის შემდეგ. ხელოვნურობა ამ სფეროში დამღუპველია. არ შეიძლება, თვალნაკლულებს ვუხმობდეთ სანადიროდ, სმენადახშულებს – სასიმღეროდ, ძალააყრილთ – საასპარეზოდ. ისინი ჯერ უნდა განიკურნონ (თუკი ექვემდებარებიან მკურნალობას). ასევე, სინდისისაგან დაშრეტილნი (თუკი მკვდარნი არ არიან ამ თვალსაზრისით), ჯერ უნდა გამოვაფხიზლოთ, ვაზიაროთ ზნეობის საერთაშორისო ნორმებს – ელინურს, ებრაულს, ვედურს (ე.ი. ძველ ინდურს), თუნდაც – ათეისტურს და შემდეგ მოვთხოვოთ უმაღლესი ეთიკა – მტერთათვის ლოცვა. საზოგადოებამ, ასე ვთქვათ, ჯერ უნდა შეასრულოს ძველი აღთქმის ნორმატივი, რომ ახალი აღთქმის სამანებს ეზიაროს, გაუსწოროს თვალი ქრისტეს მოძღვრებას არა მხოლოდ გონებით და ცოდნით, არამედ ცხოვრებით – სულით და გულით. ეს ნიშნავს შემდეგს: ჯერ ათ მცნებას უნდა დავეუფლოთ და აღვასრულოთ, რომ მივეახლოთ სახარების ცხრა ნეტარებას; ჯერ კანონის წინაშე უნდა ვიყოთ მართალნი, რომ გავთავისუფლდეთ მისი მარწუხებისაგან. დაბალგანვითარებულნი ვერა და ვერ გათავისუფლდებიან კანონის ზეგავლენისაგან. თუ დააპირებენ, გაცილებით მძიმე სასჯელს დაიტეხენ თავს...

ახალი აღთქმის სიღრმე და სიდიადე, ქრისტეს ამქვეყნიური ცხოვრების, მისი პირადი მაგალითის გარდა, აღბეჭდილია შეგონებებში, ლოცვებში, სასწაულებსა და იგავებში. ესენია, მაგალითად, ცხრა ნეტარება (მათე 5:4-12), მამაო ჩვენო (მათე 6:9-13; ლუკა 11:2-4), იგავი შეცდომილ ძეზე ანუ, ძველი ქართული ტრადიციით, უძღებ შვილზე (ლუკა 15:11-32), ათ ქალწულზე (მათე 25:1-13), ლაზარეს აღდგინებაზე (იოანე 11:1-45) და სხვა.

ესქატოლოგიური ანუ წუთისოფლის უკანასკნელი დღის რაობის თვალსაზრისით ყველა-

ზე საყურადღებო ლაზარეს მაგალითია.

ქრისტემ გვანიშნა: ვინც უფლის მეგობარია, სიკვდილი ვერაფერს დააკლებს, – გვამი გახრწნილი და განქარვებულიც რომ ჰქონდეს, ლაზარეს მსგავსად გაცოცხლდება და საკუთარი სხეულით აღდგება. ეს ქვეყნიერების დასასრულს ანუ „მეოთხე დღეს“ მოხდება. იმ ფაქტს, რომ ლაზარე უფალმა მე-4 დღეს აღადგინა, სიმბოლური მნიშვნელობა აქვს. ქრისტე მესამე დღეს აღდგა, ლაზარე – მეოთხე დღეს, რაც საყოველთაო განკითხვისა და განახლების ჟამზე მიანიშნებს. იმ დღეს ყველა მართალი უკვდავებას ეზიარება.

თუკი კვლავ დაისმება კითხვა, რა არის ქრისტიანობის სპეციფიკა, რასაც ანალოგი სხვა რელიგიებში არ მოეპოვება, ვუპასუხებთ – თავად ქრისტეს პიროვნება, ვნება და აღდგომა. მან ყოველი კაცის ცოდვა იტვირთა და საკუთარი თავი გაწირა თითოეული ჩვენგანის ნაცვლად. მას მიაყენეს განუზომელი ტანჯვა და გვემა, ნერწყვა და ყვრიმალისცემა, მათრახი და ეკლის გვირგვინი, შეურაცხყვეს და ჯვარს აცვეს ჰურიასტანის პრეფექტის პონტოელი პილატეს დასტურით იერუსალიმის გარეუბანში, გოლგოთას ბორცვზე, ახალი წელთაღრიცხვის 33-ე წელს.

მაგრამ აღსრულდა წინასწარმეტყველება: კვირას, სიკვდილიდან მესამე დღეს, ცისკარზე, მკვდრეთით აღდგა ის, ვინც დაამცირეს და ჯვარს აცვეს.

ქრისტე ამქვეყნად მოკვდავი და ხრწნადი სხეულით მოვიდა, მაგრამ ჯვარცმისა და დამარხვის შემდეგ, იმის გამო, რომ იგი ბუნებით ღმერთი იყო, უკვდავი და უხრწნელი სხეულით აღდგა. ქრისტიანებს სწამთ, რომ საყოველთაო განკითხვის ჟამს ჩვენი ხორციც ასევე განახლდება. ქრისტეს აღდგომა მოასწავებს დაკარგული სამოთხის პოვნას და მისკენ დასაბრუნებელ გზას გვისახავს.

ღვთისმეტყველება და ღვთისმსახურება

ღვთისმეტყველება და ღვთისმსახურება ურთიერთგანუყოფელი დარგებია. პირველი თეორიაა, მეორე – პრაქტიკა. თეორია შთააგონებს და მსჭვალავს პრაქტიკას და მის *ტიპოსს*, მის სახეს, მის სტრუქტურას. ორივეს ერთი და იგივე მიზანი აქვს – ღვთისშემეცნება. მართალია, საღვთისმსახურო წეს-განგებანი და, ზოგადად, ტიპიკონი ცვალებადობის კანონს ექვემდებარება, მაგრამ ღვთისმსახურების არსება უცვლელია და ქრისტეს მოძღვრების დედააზრს მისადაგებული.

როგორც ღვთისმეტყველების, ისე ღვთისმსახურების საფუძველი *საღვთო წერილი* და *საღვთო გადმოცემაა*.

ღვთისმეტყველება

ღვთისმეტყველება და, ზოგადად, ქრისტიანული მოძღვრება არსობრივად ჩამოყალიბებულია ბიბლიასა და ახალი აღთქმის საღვთო გადმოცემაში. ღვთისმეტყველების ისტორია, ფაქტობრივად, ბიბლიისა და მოციქულთა მოძღვრების მეტი და მეტი გამომხატველობითი საშუალებებით ათვისებისა და წარმოჩენის პროცესია.

ღვთისმეტყველების მიზანი საღმრთო წერილში დავანებული სიბრძნის გამომზევება და სხვათა გონებამდე მისი მიტანაა. მოაზროვნე, რაგინდ რელიგიური პათოსით მეტყველებდეს, თეოლოგად ვერ ჩაითვლება, თუ არ ეყრდნობა საღვთო ავტორიტეტს და მის საფუძველზე არ გამოჰყავს დებულება.

ქრისტიანული ღვთისმეტყველების ძირითადი დებულებები – დოგმატები – შემუშავდა საღვთო წერილის კომენტირების საფუძველზე.

ბიბლიური ტექსტების ახსნა-განმარტებას სახელდებენ ორგვარად: *ჰერმენევტიკა* და *ეგზეგეტიკა*. ორივე ბერძნულია: „ჰერმენეია“ ნიშნავს განმარტებას, თარგმნას; „ექსეგეისის“ კი – გადმოცემას, უწყებას. უფრო პოპულარულია მეორე ეტერმინი – ეგზეგეტიკა.

საღმრთო წერილის მუხლობრივი და თემატური განმარტების ანუ თარგმანების ტრადიცია ებრაელთა შორის ჩაისახა, მაგრამ ქრისტიანებმა ამ დარგს განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეს. მათ, პირველ რიგში, ძველი აღთქმა ახალი აღთქმის თვალით უნდა დაენახათ და წაეკითხათ.

ქრისტიანული ეგზეგეტიკის წყარო მაცხოვარია. ძველი აღთქმის ამა თუ იმ პასაჟს, წინასწარმეტყველებებსა და საკუთარი ბაგით წარმოთქმულ იგავებს, ალეგორიებსა თუ სენტენციებს იგი თვითონვე განმარტავდა. დროდადრო, ეკლესიაში საკამათო საკითხების წარმოჩენასთან ერთად, ბიბლიური ეგზეგეზის აუცილებლობა მწვავედ იჩენდა თავს და გასაკვირი არაა, რომ ამ დარგში სიტყვა თითქმის ყველა მამამ და ღვთისმეტყველმა თქვა, მათ შორის – რომის პაპმა კლიმენტიმ, წმ. ბარნაბამ, ეგნატე ანტიოქიელმა, კლიმენტი ალექსანდრიელმა, თეოფილე ანტიოქიელმა, ორიგენემ, იპოლიტე რომაელმა და ბევრმა სხვამ. ჩამოყალიბდა ორი სკოლა – ალექსანდრიისა და ანტიოქიის. პირველი, რომელსაც სათავე კლიმენტი ალექსანდრიელმა დაუდო, უფრო ფილოსოფიური, მისტიურ-ალეგორიული იყო. იგი შესაქმის თითქმის ყოველ მუხლს სიმბოლურად იაზრებდა. მეორე კი, მღვდელმოწამე ლუკიანე ანტიოქიელის (III-IV სს.) დაფუძნებული, უმთავრესად დამოძღვრითი და კატეხიზმური ხასიათის გახლდათ. ანტიოქიური სკოლის ყველაზე დიდი წარმომადგენელი იოანე ოქროპირია. ალექსანდრიული და ანტიოქიური სკოლების მიღწევები განავითარა კაბადოკიურმა სკოლამ, რომლის კორიფენი არიან: ბასილი დიდი, გრიგოლ ღვთისმეტყველი (ნაზიანზელი) და გრიგოლ ნოსელი. მათ შრომებში ქრისტიანულმა ეგზეგეტიკამ უმაღლეს საფეხურს მიაღწია.

ეგზეგეტიკის დახმარებით ქრისტიანული მოძღვრება წერილობითად და გამოთქმითად ჩამოყალიბდა. ამ მოძღვრების, როგორც თეოლოგიური სისტემის ფუნდამენტი **დოგმატიკაა.**

დოგმა ბერძნული სიტყვაა და აღნიშნავს „თვალსაზრისს“, „შეხედულებას“, „მოძღვრებას“, თავად დარგი – დოგმატიკა – მოიცავს ეკლესიის მიერ დადგენილ, უცვალებელ, ზედმიწევნით მტკიცე მოძღვრებას ღვთისმეტყველების ძირითად საკითხებზე – ღმერთსა და მის შესაქმეზე, ეკლესიაზე, მერმის საუკუნეზე და ა.შ.

მართლმადიდებელი ეკლესიის პოზიციით, ძირითადი საღვთისმეტყველო დოგმატები თვით საღვთო წერილსა და საღვთო გადმოცემაშივეა კოდირებული. ისინი ჰგვანან მდოგ-

ვის მარცვალს, რომელიც ყოველგვარ თესლზე მცირეა, მაგრამ „როდესაც იზრდება, ყოველ მწვანილზე დიდია და ხედ იქცევა“ (მათე 13:32). დოგმატები წერილსა და გადმოცემაში მარცვლების მსგავსადაა წარმოდგენილი, რომლებიც გარემო პირობების შესაბამისად იხარებენ და ნაყოფს იძლევიან (ლუკა 8:11-15). დოგმატებს თავიანთი სათქმელი სრულყოფილად და ყველასათვის გასაგებად რომ გაეცხადებინათ, ღვთისმეტყველებს ისინი უნდა გამოეთქვათ და წერილობით ჩამოეყალიბებინათ, სიმბოლოებსა და ფორმულებში გამოეხატათ. წინააღმდეგ შემთხვევაში ინდივიდუალური საღვთისმეტყველო მსჯელობანი ფართო ასპარეზს იპოვიდა, რაც ახალი და ახალი ერესების აღმოცენებას წაახალისებდა. ასეც მოხდა, მაგრამ ამ ფაქტმა დოგმატიკის განვითარებას ანუ, ეკლესიის ენაზე რომ ვთქვათ, ჭეშმარიტების მეცნიერული კატეგორიებით გამოხატვას შეუწყო ხელი.

ამდენად, დოგმატების ძირითადი ნაწილი ახალი ეპოქის ადრეულ საფეხურზე ჩამოყალიბდა, მაგრამ გამოცხადებული და უცვალებელი სიბრძნის (ცოდნის) სტატუსი მათ IV-VIII სსში შვიდი მსოფლიო და რამდენიმე ადგილობრივი კრების დასტურით მიენიჭა. დოგმატებს, ეკლესიის რწმენით, მფარველობს სულიწმიდა და ყოველგვარი ცდომილებისაგან იცავს. თითოეული დოგმატი ეფუძნება საღმრთო წერილს და გადმოსცემს გამოცხადებული სიბრძნის ამა თუ იმ მხარეს ფორმულებად, ე.ი. დადგენილებათა თუ განაწესთა სახით. მათი წყალობით უნდა აილაგმოს რჯულის სხვადასხვა საკითხის თვითნებური გააზრება. მკაფიოდ უნდა ითქვას, რომ დოგმატები ყალიბდებოდა და იხვეწებოდა ერეტიკულ შეხედულებათა მხილების კვალზე. მისი მიზანი იყო კათოლიკე, ე.ი. საყოველთაო მოძღვრების სისტემაში მოყვანა და სრულყოფა. დიდ “მესჯულეებად“ (“დოღმატიკოსებად“) ითვლებიან: ათანასე ალექსანდრიელი (+ 373), ბასილი დიდი (+ 379), გრიგოლ ღვთისმეტყველი (+ 390), იოანე ოქროპირი (+ 470), კირილე ალექსანდრიელი (+ 444), მაქსიმე აღმსარებელი (+ 662), იოანე დამასკელი (+ 749), თეოდორე სტუდიელი (+ 826), სვიმეონ ახალი ღვთისმეტყველი (+ 1032), გრიგოლ პალამა (XIV ს.) და სხვა.

დოგმატები ერთმანეთთან შეათავსა და მართლმადიდებლური მოძღვრება შეჯამებული სახით გადმოსცა იოანე დამასკელმა შრომაში “წყარო ცოდნისა“ (პეგე გნოსეოს), რასაც ზოგჯერ “თეოლოგიის ჯამს“ უწოდებენ. იგი შედგება სამი ნაწილისაგან: 1. საფილოსოფოსონი თავნი ანუ დიალექტიკა, სადაც წარმოდგენილია საღვთისმეტყველო ტერმინების დეფინიცია (განსაზღვრება) და თეოლოგიური კვლევა-ძიების მეთოდი; II. წვალებათა წინააღმდეგ. იქ ჩამოთვლილი, განხილული და უარყოფილია უმთავრესი ერეტიკული მიმდინარეობანი; III. ზუსტი ანუ უცდომელი გადმოცემა მართლმადიდებლური სარწმუნოებისა. ესაა შრომის ყველაზე ვრცელი და ფასეული ნაწილი, სადაც თემატურად და თანმიმდევრობით განხილულია საეკლესიო მოძღვრების ცალკეული საკითხები, კერძოდ – დოგმატები ღვთის შესახებ, ერთარსებისა და სამგვამოვნების შესახებ, ღვთისმშობლის, ანგელოზების, წმინდანების, ხატებისა და სხვათა შორის. ამ შრომის გამო იწოდება იოანე დამასკელი პატრისტიკის ანუ მამათა მოძღვრების სრულმყოფელად. სამივე ნაწილი თარგმნილია ქართულად. მათგან მესამე “მართლმადიდებლური სარწმუნოების ზედმიწევნითი გადმოცემა“ – ახალ ქართულ ენაზე ე. ჭელიძის მიერ (თბ., 2000).

ქრისტიანული მოძღვრების დოგმატების სახით წარმოჩენის ყველაზე თვალსაჩინო ნიმუშია „მრწამსი“. „მრწამსს“ მეორენაირად „სარწმუნოების სიმბოლო“ ეწოდება. „სიმბოლო“ ბერძნული სიტყვაა და ქართულად ნიშნავს „ნიშანს“. ძველად იგი ეწოდებოდა სარწმუნოებრივ ფორმულებს, რითაც ქრისტიანი გამოხატავდა საკუთარ რელიგიურ კრედოს.

„მრწამსში“ ქრისტიანული რელიგიის არსი არეკლილი და წარმოჩენილია რეზიუმეს სახით. ესაა სარწმუნოების კონსპექტი, – ერთობ ლაკონიური და, ამასთანავე, ყოვლისმთქმელი. იგი ქრისტიანული მოძღვრების დოგმატურ, მყარ, უცვალებელ დებულებათა ზუსტი და ამომწურავი შეჯამებაა. იგი ნათლისღებისა და ლიტურგიის დროსაც წარმოითქმის. IV ს-მდე, სანამ მრწამსის საბოლოო რედაქცია შემუშავდებოდა, მისი რამდენიმე ვარიანტი არსებობდა. მათ შორის მოციქულთა სიმბოლო (შემორჩენილია და დღემდე იკითხება რომის კათოლიკურ ეკლესიაში). ქრისტიანთა შორის ერთსულოვნება რომ ყოფილიყო, ეკლესიის წინამძღვრებმა გადაწყვიტეს მრწამსის ერთი კანონიკური ტექსტი შეედგინათ. ეს მისია თავს იდო შვიდთაგან პირველმა ორმა – ნიკეისა (325) და კონსტანტინოპოლის (381) მსოფლიო საეკლესიო კრებებმა. აღნიშნულ ფორუმებს ფრიად განსწავლული მამები ხელმძღვანელობდნენ – ევსტათი ანტიოქიელი, ნიკოლოზ მიროლუკიის მთავარეპისკოპოსი, ათანასე ალექსანდრიელი, გრიგოლ ღვთისმეტყველი და სხვანი. მათ დააკანონეს თორმეტმუხლიანი ანუ წევრიანი რეზიუმე – სიმბოლო, რომლის თითოეულ ასოს ოქროს ფასი აქვს და ითვლება საკაცობრიო აზროვნების, სულიერი და ინტელექტუალური შემეცნების მწვერვალად. იგი ნახევარ გვერდზე იტევს ბიბლიის უმთავრეს სათქმელს.

საეკლესიო ტრადიცია თითოეული წევრის პირველავტორად თორმეტ მოციქულთაგან ერთ-ერთს ასახელებს: პირველი მიეწერება პეტრეს, მეორე – იაკობ დიდს, მესამე – იოანეს, მეოთხე – ანდრიას, მეხუთე – ფილიპეს, მეექვსე – თომას, მეშვიდე – ბართლომეს, მერვე – მათეს, მეცხრე – იაკობ უმცროსს, მეათე – სვიმეონს, მეთერთმეტე – იუდას (ქრისტეს ხორციელ ძმას), მეთორმეტე – მატათას (იუდა ისკარიოტელის მაგიერ რომ აირჩიეს). ნიკეა-კონსტანტინეპოლის კრებებმა, მორწმუნეთა შეხედულებით, მხოლოდ შეავსეს და დააზუსტეს მოციქულთა პირით ნამცნები დებულებები. ნებისმიერი თეოლოგიური მსჯელობა და თეორია გამომდინარეობს, ანდა – უნდა გამომდინარეობდეს, „მრწამსიდან“ მისივე განვრცობის, განმარტებისა და გაცხადების მიზნით.

სარწმუნოების სიმბოლო ანუ მრწამსი

1. მრწამს ერთი ღმერთი, მამა ყოვლისა მპყრობელი, შემოქმედი ცათა და ქვეყანისა, ხილულთა ყოველთა და არახილულთა;
2. და ერთი უფალი იესო ქრისტე, ძე ღვთისა, მხოლოდშობილი, მამისაგან შობილი უწინარეს ყოველთა საუკუნეთა, ნათელი ნათლისაგან, ღმერთი ჭეშმარიტი ღვთისაგან ჭეშმარიტისა, შობილი და არა ქმნილი, თანაარსი მამისა, რომლისაგან ყოველი შეიქმნა;
3. რომელი ჩვენთვის, კაცთათვის, და ჩვენისა ცხოვრებისათვის გარდამოხდა ზეცით და ხორცნი შეისხნა სულისაგან წმიდისა და მარიამისაგან ქალწულისა, და განკაცნა;
4. და ჯვარსეცვა ჩვენთვის პონტოელისა პილატეს ზე, და ივნო და დაეფლა;
5. და აღდგა მესამესა დღესა მსგავსად წერილისა;
6. და ამაღლდა ზეცად და მჯდომარე არს მარჯვენით მამისა;
7. და კვალად მომავალ არს დიდებით განსჯად ცხოველთა და მკვდართა, რომლისა სუფევისა არა არს დასასრულ;
8. და სულიწმიდა, უფალი და ცხოველსმყოფელი, რომელი მამისაგან გამოვალს, მამისა თანა და ძისა თანა თაყვანისიცემების და იდიდების, რომელი იტყოდა წინასწარმეტყველთა მიერ;
9. ერთი წმიდა კათოლიკე და სამოციქულო ეკლესია;
10. აღვიარებ ერთსა ნათლისღებასა მოსატევებელად ცოდვათა;
11. მოველი აღდგომასა მკვდრეთით;
12. და ცხოვრებასა მერმისსა მის საუკუნისასა. ამინ.

მართლმადიდებლური ღვთისმეტყველების საფუძველთა საფუძველია მოძღვრება **ერთი სამპიროვანი ღმერთის ანუ ერთარსება-სამების** შესახებ. ესაა ძირითადი ღვთისმეტ-ყველება, – ცოდნა ღმერთზე, მის ბუნებასა და თვისებებზე, მისმიერ შესაქმეზე, წუთისო-ფელზე და უზენაესის მასთან დამოკიდებულებაზე. ღვთისმეტყველება, ფართო გაგებით, ღვთისა და ღვთისმიერი შესაქმის გარდა სხვა სფეროებსაც მოიცავს. ესენია: მოძღვრება ანგელოზებზე, – ანგელოლოგია; ბოროტების აღმოცენებაზე – დემონოლოგია; ადამიანზე – ანთროპოლოგია; ეკლესიაზე – ეკლესიოლოგია; ქვეყნიერების საბოლოო დღეზე – ესქატოლოგია. წარმოვაჩენთ თითოეულს მოკლედ სამი ქვეთავის ფარგლებში: ძირითადი ღვთისმეტყველება (თეოლოგია), ეკლესიოლოგია, ესქატოლოგია.

ღვთისმეტყველება. მრწამსის პირველი სიტყვები, რომ ღმერთი არის ერთი, უარყოფს წარმართთა მრავალღმერთიანობას. მართალია, ანტიკური ფილოსოფიის საუკეთესო წარ-მომადგენლები – სოკრატე, პლატონი, არისტოტელე და სხვა – უახლოვდებოდნენ მონოთეიზმს, მაგრამ ელინური სამყარო – მისი რელიგიური მოძღვრებანი და ნაირგვარი კულტი, რომლის გარემოცვაშიც ფუძნდებოდა ქრისტიანული მსოფლგაგება, ყოვლისშე-მოქმედი ღმერთის იდეამდე ვერ ამაღლდა. ამიტომაც განცხადება – „მრწამს ერთი ღმერთი“ – იმდროისათვის ახალი და გაბედული სიტყვა იყო.

ღმერთი არის სული უსხეულო, მარადიული და უცვალებელი, ყოვლისმცოდნე და ყოვლადძლიერი, სახიერი ანუ კეთილი და, რაც მთავარია, „ღმერთი არის სიყვარული“ (მათე 19:17; I იოანე 4:8). მრავალრიცხოვან ეპითეტთა შორის ღვთის არსს და ბუნებას ყველაზე მეტად სიყვარული აცნაურებს. სიყვარული არის იმის მიზეზი, რომ ღმერთი არის სამპიროვანი (სამსახოვანი, სამჰიპოსტასოვანი, სამგვამოვანი).

ღვთის სრულყოფილ გონებას განუზომელი სიყვარული ეთანასწორება. სიყვარული კი ითხოვს ობიექტს, – ტრფობის საგანს, რომ ჰპოვოს კმაყოფილება და ნეტარება. ადამიანი ვერ კმაყოფილდება გარემომცველი ბუნების: მცენარეთა თუ ცხოველთა, ვერც საკუთარი პროფესიის სიყვარულით და ეძებს თავის მსგავსს ალერსისათვის, – შვილს. უზენაესის ტოლსწორი, ცხადია, ქვეყნიერების ვერც ერთი ელემენტი ვერ იქნება. მისი სიყვარული, ერთი და ერთგვამოვანი რომ იყოს (ანუ მარტო), დაუოკებელი დარჩება. ქრისტიანული თეოლოგია ამ საკითხს სამპიროვნულობით წყვეტს: მარადმოყვარულ მამას ჰყავს მარადსაყვარელი არსება – მხოლოდშობილი ძე, ხოლო მამას და ძეს თავსევლება წმიდა სული, რომელიც არის მამის ნათელი და სიწმიდე, მისი ელვარება, მისი სინათლე. ამრიგად, არსებით მთლიანი და ერთიანი აბსოლუტი გასამგვამოვნებულია და ატრიბუტები, რაც ჩამოვთვალეთ, სამების თითოეულ წევრს მიეკუთვნება. ასე რომ, ერთარსება-სამების ფაქტი ანუ ღვთის სამობით არსებობა გაპირობებულია სიყვარულის დაუწერელი და გარდაუვალი კანონით. აქედან გასაგებია ნეტარი ავგუსტინეს სიტყვათა არსი – „ვჭვრეტ სამებას, თუ სიყვარულს ვხედავ“. სიყვარული გულისხმობს კავშირს და საღვთო წიაღში, უზენაეს ერთარსებაში, მარადიულ მთლიანობას მამისას, ძისას და სულიწმიდისას.

სამების წევრებს შორის ამგვარი ურთიერთმიმართებაა: მამა სიყვარულით შობს თავის ტოლსა და სწორს – ძეს. ესაა ბუნებით შობა, რაც არაა შემოსაზღვრული დროითა და სივრცით; იგი ყოველთვის აღესრულებოდა და აღესრულება. მამის წიაღიდან მიწყივ „სხივოსნდება“ ანუ იშობა ძე. „მრწამსი“ გვამცნობს, რომ იესო ქრისტე არის მამისაგან შობილი „უწინარეს ყოველთა საუკუნეთა“. სამივე ჰიპოსტასს – მამას, ძეს და სულს – აქვთ ერთი ღირსება, ერთი სისრულე. ამიტომ შეჰფერით ერთნაირი პატივი და თაყვანისცემა.

ამასთანავე: ერთარსება – სამება „განუყოფლად განყოფილია“. ეს ნიშნავს, რომ სამების პირები განირჩევიან პირისეული თვისებებით: მამა ღმერთი არის უშობელი, – არც იშობა და არც გამომდინარეობს არავისგან. იგი თავადაა მშობელი და გამომავლინებელი; ძე ღმერთი არის შობილი; სულიწმიდა კი – გამომავალი. ამ უკანასკნელი დოგმის შესახებ გვაუწყებს “მრწამსის“ მე-8 წევრი: „...რომელი მამისაგან გამოვალს“. დასავლეთის ეკლესიაში, რომის საპატრიარქოში, ეს აზრი თითქოს დააზუსტეს და გააფორმეს ასე: „... რომელი მამისაგან და ძისაგან გამოვალს“, ე.ი. რომის კათოლიკური ეკლესიის თვალსაზრისით, სულიწმიდა გამომდინარეობს როგორც მამისაგან, ისე ძისაგან, რაც არ შეიწყნარა აღმოსავლეთის მართლმადიდებელმა ეკლესიამ.

სამების არსებას ვიზუალურად მზის, სითბოსა და სინათლის ურთიერთმიმართება ასაჩინოებს. არ არსებობს მზე სითბოსა და სინათლის გარეშე, როგორც უკანასკნელნი – პირველწყაროს, მზის დისკოს გარეშე: სადაცაა მზე, არის სითბოც და სინათლეც. ასევე:

სადაც მამაა, არის ძე, არის სულიწმიდა და – პირუკუ. ღმერთი ყველგანაა. მაშასადამე, წმიდა სამება მადლითა და დიდებით სუფევს ყველგან და ყოველთვის. თუ რით განირჩევა ძის შობა წმიდა სულის გამოსვლისაგან, გონებით ამას ვერ მივწვდებით.

საღმრთო წერილში, ძველშიც და ახალ აღთქმაშიც, არაერთგზისაა მინიშნებული ღვთის სამობით არსებობა. ბიბლიის კომენტატორები თვლიან, რომ აბრაამის სამი სტუმარი (დაბ. 18) სამების ალეგორიული სახეა. დავით წინასწარმეტყველის სიტყვებში: „სიტყვითა უფლისათა ცანი დაემტკიცნეს და სულითა პირისა მისისათა ყოველი ძალი მათი“ (ახ. თარგმ. „უფლის სიტყვით შეიქმნა ზეცა და მისი ბაგეების ქარით – მთელი მისი საკრებულო“) (ფს. 32:6) „სიტყვა“ ძე ღმერთს უდრის, „სული“ („ქარი“) – წმიდა სულს, „უფალი“ – მამაღმერთს. უფრო მკაფიოდ სამების საიდუმლო გამოთქმულია ახალ აღთქმაში (მათე 28:19; 2 კორ. 13:13), განსაკუთრებით – იოანე ღვთისმეტყველის მიერ: „სამნი მოწმობენ ზეცად: მამა, სიტყვა და სულიწმიდა; და ეს სამნი ერთი არიან“ (I იოანე 5:7).

ხილული და არახილული სამყარო ერთარსება-სამების შემოქმედებაა. მართალია, სამება ერთი ნებით, ერთი განზრახვით ქმნის სამყაროს, მაგრამ ცალკეულ პირთა როლი შესაქმის პროცესში სხვადასხვაგვარია. შესაქმის ინიციატორი არის მამა, რომელიც ძის მეშვეობით ქმნის სამყაროს სულიწმიდაში. ამის გამო ძე „ძალად“, ანდა „სიტყვად“ იხსენიება, რაც ჩანს იოანეს თავის პირველ მუხლში: „პირველითგან იყო სიტყვა და სიტყვა იგი იყო ღმრთისა თანა, და ღმერთი იყო სიტყვა იგი“.

ასე რომ, ცისა და ქვეყნის შექმნის ინიციატორი არის მამაღმერთი, უშუალო აღმსრულებელი ანუ მისი ნების მოქმედი – ძე, ხოლო სრულმყოფელი და მადლით აღმავსებელი – წმიდა სული.

ბიბლიური **კოსმოგონიის** (სამყაროს შექმნის) თანახმად ქვეყანა სამების ერთიანი და თავისუფალი ნების შედეგად არარსობიდან შეიქმნა. თუ ძე მამისაგან იშვა ბუნებითად, უმიზეზოდ, სამყარო ღმერთმა განზრახვის, სურვილის შესაბამისად დაასაძირკვლა.

რამ განაპირობა ეს სურვილი? – სიყვარულმა, ტრფობისა და ზრუნვის საგნის წყურვილმა. ღმერთმა ასეთ საგნად სამყარო გამოსახა.

დაისმის კითხვა: თუკი ღმერთი არის სიკეთე და მხოლოდ სიკეთე, როგორ აღმოცენდა სამყაროში ბოროტება?

ბოროტებას საფუძველი ანუ წყარო არ გააჩნია. იგი არასუბსტანციური ძალაა და, ამდენად, წარმავალი, დროებითი. უკეთურების სიმბოლოა ბნელეთი, სიკეთისა კი სხივი ანუ ნათელი. სიბნელეს ანუ ღამეს, განსხვავებით დღისაგან, წყარო, ე.ი. ობიექტური მიზეზი არ აქვს. იგი მაშინ წარმოიშობა, როდესაც სხივი გარდატყდება მრუდე გზის გამო ანუ მზეს (სინათლის პირველწყაროს) მყიფე სხეული ჩამოეფარება. ასე ჩამოწვება ხოლმე ჯანღი და ყიამეთი, რაც იძლევა და იმუსრება ცისკრის მიერ. დღე და ნათელი უძლეველია, რადგან აქვთ წყარო – თვალშეუდგამი მზე. ღამე და უკუნეთი კი მოკლებულია საფუძველს, რადგან ობიექტურად არ არსებობს „სიბნელის ბუდე“ და პირველმიზეზი. ამგვარივე ურთიერთობაა სიკეთესა და ბოროტებას შორის. პირველი სუბსტანციური და მარადიულია, მეორე – დროებითი. სიკეთეს აფრქვევს ღმერთი, რომელმაც შექმნა ყოველივე. ბოროტებას

თესავს ეშმაკი ანუ სატანა, რომელიც ღმერთს პირველად ეურჩა და დაადგა უკეთურების გზას, თუმცა კეთილ არსებად იყო შექმნილი.

ღმერთმა ყველაზე ადრე ცანი ანუ არახილული სამყარო შექმნა. ესაა გონიერ და უხორცო ძალთა დასები, რომელთაც ანგელოზებს ვუწოდებთ. „ანგელოზი“ („ანგელოსი“) ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს „მაცნეს“, „მაუწყებელს“. ისინი ეცხადებიან ადამიანებს და ამცნობენ ღვთის ნებას, ხელს უმართავენ და წინამძღვრობენ კეთილ საქმეში. მათ აუწყეს ქვეყანას მაცხოვრის შობა, მისი აღდგომა, მეორედ მოსვლის გარდაუვალობა და ა.შ. ანგელოზთა რიცხვი უთვალავია და იყოფა დასებად. ამაზე პირველად პავლე მოციქულმა მიგვანიშნა, როდესაც თქვა: „... მასში შეიქმნა ყოველი: მიწიერიც და ზეციერიც; ხილული თუ უხილავი, საყდარნი თუ უფლებანი, მთავრობანი თუ ხელმწიფებანი. ყველაფერი მის მიერ და მისთვის შეიქმნა“ (კოლას. 1:16). ეს ცოდნა უფრო დააზუსტა და გააცხადა აღნიშნული მოციქულის მოწაფემ დიონისე არეოპაგელმა, რომელიც თეოლოგიის მამად იწოდება. მის ტრაქტატში „ციური იერარქიის შესახებ“ (ახალ ქართულ ენაზე თარგმნა, შესავალი და კომენტარები დაურთო ედიშერ ჭელიძემ: „საღვთისმეტყველო კრებული“, 1987, №3) წარმოჩენილია ანგელოზთა რაობა. ისინი ცხრა გუნდად, ცხრა წყებად ანუ დასად განიყოფიან. მათ ერთმანეთთან იერარქიული დამოკიდებულება აქვთ, რასაც განაპირობებს ღმერთთან მეტნაკლები სიახლოვის ფაქტორი. ესენია (ზემოდან ქვემოთ): 1. სერაფიმები, 2. ქერუბიმები, 3. საყდარნი, 4. ხელმწიფებანი, 5. უფლებანი, 6. ძალნი, 7. მთავრობანი, 8. მთავარანგელოზნი და 9. ანგელოზნი. იერარქია არის შემეცნების ზეაღმავალი გზა. თითოეული უქვემოესი დასი ღვთიურ ნათელს მხოლოდ უზემოესის მეშვეობით ეზიარება. ყველაზე ქვემო არსებები ანუ საკუთრივ „ანგელოზები“ „მთავარანგელოზთა“ საშუალებით იღებენ საღვთო ხელდასხმას, რომელსაც, თავის მხრივ, ხილულ ქვეყანას გადასცემენ, პირველ რიგში – საეკლესიო იერარქიას. ზოგადი სურათი ასეთია: ღმერთი თავის ნებას და სათქმელს პირველად სერაფიმებს აუწყებს, სერაფიმები – ქერუბიმებს, ქერუბიმები – საყდართ, საყდარნი – ხელმწიფებათ, ხელმწიფებანი – უფლებათ, უფლებანი – ძალთ, ძალნი – მთავრობათ, მთავრობანი – მთავარანგელოზთ, მთავარანგელოზნი – ანგელოზთ. უკანასკნელნი კი – ადამიანებს. ასე შეიქმნა ბიბლია. ამ აზრითაა საღვთო წერილის ჭეშმარიტი ავტორი ღმერთი–სამება, რომლის ერთ-ერთი წევრი – წმიდა სული სწორედ ანგელოზთა იერარქიული კიბის მეშვეობით უკავშირდება წინასწარმეტყველებს და მოციქულებს.

ღმერთმა მხოლოდ კეთილი ანგელოზები შექმნა, მათგან ზოგიერთმა ბოროტად გამოიყენა თავისუფლება, დაადგა ღვთის საწინააღმდეგო გზას, რასაც შედეგად დაცემა მოჰყვა. უხილავი ცის კაბადონზე დემონები ანუ ბოროტი ანგელოზები (ეშმაკები) გამოჩნდნენ. რადგან ისინი ღმერთს საკუთარი სურვილით გადაუდგნენ, შეიძლება ითქვას, რომ მათ თვით დაიწყევლეს თავი ანუ განეშორნენ მადლს, რითაც ადრე აღვსილნი იყვნენ. ანგელოზთა ამ დასს ეწოდა ეშმაკი ანუ სატანა, ლიუციფერი, რომელიც გახდა ბოროტების წყარო და ნიადაგი.

მართალია, ღვთის ქმნილება ეშმაკის მანქანების გამო გაუხეშდა, მაგრამ პასუხისმგებ-

ლობა ადამიანის კისერზეა. იგი გონიერი არსება იყო და თვითკონტროლის უნარი ჰქონდა. ეს პასუხისმგებლობა მის მხრებს დღესაც აწევს, რადგან მას შერჩა ღვთის ბეჭედი, ღვთის ნაპერწკალი – ცნობიერება, გონიერება, არჩევანის უნარი, თავისუფლება. აზროვნება ის უნარი და თვისებაა, რაც ადამიანს ცხოველისაგან გამოარჩევს.

გამოსყიდვა. კაცობრიობას საკუთარი ძალებით არ შეეძლო პირველცოდვისა და მისი შედეგის განქარვება. ვერანაირი მსხვერპლი, კაცის ხელით გაღებული, ვერ დააკმაყოფილებდა დანაშაულის ზღვევის პირობას. გამომსყიდველი მსხვერპლი უნივერსალური, ზოგადადამიანური სიცოცხლე უნდა ყოფილიყო ანუ მსხვერპლი „ყოველთა და ყოველთათვის". გამოსყიდვა მხოლოდ და მხოლოდ უფლის განკაცების, ჯვარცმის, სიკვდილისა და აღდგომის მეოხებით შეიძლებოდა, რაც სინამდვილედ იქცა: ცათა და მიწის შემოქმედი განსხეულდა და დაიბადა კონკრეტული პიროვნების – იესო ქრისტეს – სახით. ქრისტიანთა რწმენით, იესო ქრისტემ თავი თვისი თითოეული ჩვენგანის ნაცვლად გაწირა, რათა გამოვესყიდეთ; მან საკუთარი სისხლის გაღებით ადამიანი ღმერთს შეარიგა.

ქრისტე დედამიწას სრულ ღმერთად და სრულ კაცად, ღმერთკაცად მოევლინა. შობის შედეგად მას არაფერი დაუკარგავს. პირიქით, შეიმოსა ახალი ბუნება და გახდა ყოვლითურთ ადამიანი. ამასთანავე, რაც უაღრესად მნიშვნელოვანია, იგი განკაცდა მოკვდავი და ხრწნადი სხეულით. ეს აუცილებელი იყო გამოსყიდვის საიდუმლოს სრულყოფისათვის. კერძოდ: ადამიანს თვითონ უნდა გაეღო მსხვერპლი ანუ საკუთარი ნებით ეტვირთა სასჯელი პირველცოდვის გამო. ხსნის იდეა მისთვის უნდა ყოფილიყო არა თავსმოხვეული, არამედ სულისა და გულის ამოძახილი. ამიტომაც ქრისტე დაიბადა, გაიზარდა და მოკვდა როგორც ვინმე ჩვენგანი, ოღონდ ცოდვის გარეშე. მას შიოდა, სციოდა, სტკიოდა და ჰქონდა თავმოყვარეობისა და სირცხვილის განცდაც.

რამდენად აუცილებელი იყო ჯვარცმით სიკვდილი?

ჯვარი, *თეოლოგიური თვალსაზიერით, არის მსხვერპლი – მაცხოვრის ქველმოქმედება* და ვნება. საბოლოო ჯამში, *ჯვრად ქრისტეს ამქვეყნიური ცხოვრების სისავსე გაიაზრება.* მისი სიმბოლოა სასმისი და დაკლული კრავი. გავიხსენოთ სამების ხატები, კერძოდ, ანდრია რუბლიოვის „სამება", სადაც ტრაპეზზე წარმოდგენილია თასი ზვარაკის თავითურთ, რაც მიანიშნებს, რომ ღვთის ძის მსხვერპლად შეწირვის გარდუვალობა განჭვრეტილი, განჩინებული და უწყებული იყო წინასწარ, დასაბამშივე. სწორედ ამ მსხვერპლს გულისხმობდა მოძღვარი, როდესაც ამბობდა: „მამაო, უკეთუ შესაძლებელ არს, თანაწარმხედინ სასუმელი ესე" (მათე 26:39). ეს სასმისი არის იგივე ჯვარი, რაზეც ნებაყოფლობით დაემსჭვალა ქრისტე, ხოლო ჯვარცმის წინასახე და წინასწარმეტყველება – საპასექო კრავი და, ზოგადად, ძველი აღთქმის მსხვერპლი, რომელმაც რეალური სახე გოლგოთაზე მიიღო. იოანე ღვთისმეტყველის „გამოცხადების" თანახმად, ესაა „კრავი დაკლული უწინარეს სოფლის დაბადებისა" (გამოცხ. 13:8), რაც ცხადყოფს ქრისტეს, როგორც ჭეშმარიტი ზვარაკის, ჯვარცმის, ვნებისა და სიკვდილის წინაგანგებულებას. ამის საფუძველზე შემუშავდა *დოგმა პატიოსანი და ცხოველმყოფელი ჯვრის ხელთუქმნელობისა;* იგი გაიგივდა მარადიულ სასმისთან, რომელიც ამქვეყნად უნდა „შეესვა" ქრისტეს (მათე 20:22; 26:39; იოანე 18:11).

ჯვარი ითვლებოდა დასჯის იარაღად უმძიმესი დანაშაულისათვის. იგი, სახეობრივად რომ ვთქვათ, ირეკლავდა საზოგადოების ზნედაცემულ ფენას და წარმოადგენდა ცხოვრების ჭაობს. უფრო სწორად, ჭაობის ჭენჭყობს, სადაც არა ერთი და ორი პიროვნება ჩაძირულიყო. თუკი ვინმე მოისურვებდა მათ გადარჩენას, უნდა ჩასულიყო იქ, ჩაესუნთქა მყრალი ჰაერი და ეგემა დამპალი ბალახები. ეს ტვირთი თავსიდო იესო ქრისტემ, „რომელი ჯვარსეცვა ჩვენთვის, კაცთათვის, და ჩვენისა ცხოვრებისათვის...“ ამით მან ადამის შვილებს ცხოვრების ხესთან მისასვლელი გზა გაუხსნა. ჯვარი თავადაა უკვდავების ხე. გავიხსენოთ „ცხოვრების ხე“, რომელიც შემდგომ, ცოდვით დაცემის გამო, ადამიანის თვალს მიეფარა (დაბ. 3:24). წუთისოფელში მხოლოდ მისი ძალის აღორძინებას შეეძლო სიკვდილის დათრგუნვა... და რადგან ჯვარი არის უკვდავების ხე, მასზე დამსჭვალვის შედეგად მაცხოვარი აღდგა და ამაღლდა. ამის გამო ყოველმა, ვისაც სურს ცხონება, ეს გზა უნდა გაიაროს. ამ გზაზე დადგომა ნიშნავს ქრისტესთან, მის სიკვდილთან, – „მასში სიკვდილთან“ ზიარებას, წილის დადებას. ეს იდეალი, მართლმადიდებელთა და კათოლიკეთა რწმენით, ეკლესიის მეშვეობით ხორციელდება.

ეკლესიოლოგია. ეკლესია ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს „კრებულს“, „საზოგადოებას“, „ერს“ (არა ნაციის გაგებით). მაშასადამე, ყოფითი აზრით, ეკლესიას აქვს ორი მნიშვნელობა: 1. არის მორწმუნეთა საზოგადოება და 2. სახლი, სადაც მორწმუნეები იკრიბებიან. თეოლოგიური თვალთახედვით ეკლესია არის ქრისტეს სხეული, გვამი, ხოლო თითოეული მორწმუნე – მისი ესა თუ ის ნაწილი, ასო. ამდენად, ეკლესია აერთიანებს ქრისტეს მორწმუნეებს, ვინც უნდა იყვნენ ისინი, – ყველას და ყოველგან მყოფთ, ცოცხლებსაც და მკვდრებსაც. იგი, ამის გამო, არსით ერთიანია და განუყოფელი, მაგრამ მაინც ორნაწილედი: ზეციური და ამქვეყნიური ანუ უხილავი და ხილული. ისინი არსობრივად შეადგენენ ერთ სამწყსოს ერთი და იმავე მწყემსმთავრისა – ღმრთისა. ქვეყნიური ეკლესია იბრძვის და გზად იმყოფება ჯერაც, მეორე კი, ზეცის ეკლესია, უკვე ზეიმობს გამარჯვებას, რადგან ეწია იდეალს. აქედან ცხადია დასკვნა: ამქვეყნიური ეკლესია, წუთისოფლის დარად, დამძიმებულია სხვადასხვა ცოდვით, ზეციური კი არის ყოვლითურთ მრთელი და უმწიკვლო. პირველს უწოდებენ „ქვათა ეკლესიას“, ხორცთა ეკლესიას, მებრძოლ ეკლესიას, რომელიც ისწრაფვის და ელტვის მეორეს, უზემოესს, ჭეშმარიტ იდეალს – ციურს, მოზეიმეს ანუ მედღესასწაულეთა ეკლესიას. ეკლესიას უხმობენ აგრეთვე სძლად, რადგან მისი საბოლოო მიზანი ქრისტესთან ჭეშმარიტი და მისტიური ქორწილია.

ეკლესიის შეუქმნელობისა და მარადიულობის რწმენა ძველთაგანვე მსჭვალავს კათოლიკე ეკლესიას. ეს რწმენა პავლე მოციქულის მიერ ასეა ჩამოყალიბებული: „ნუთუ არ იცით, რომ ღვთის ტაძარი ხართ და ღვთის სული ცოცხლობს თქვენში? თუ ვინმე აზიანებს ღვთის ტაძარს, ღმერთი დააზიანებს მას, რადგან წმიდაა ღვთის ტაძარი და ეს თქვენა ხართ“ (I კორ. 3:16-17). პირველი საუკუნის ერთ ჰომილიაში, რომელიც კლიმენტი რომაელს მიეწერება, ვკითხულობთ: „ვფიქრობ, არა ხართ უმეცარნი იმისა, რომ ცხოველი ეკლესია არის სხეული ქრისტესი, რადგანაც ამბობს წერილი: „ქმნა ღმერთმა ადამიანი მამაკაცად და დედაკაცად“. „მამაკაცი“ ეს არის ქრისტე, ხოლო „დედაკაცი“ ეკლესია. წინასწარმეტყ-

ველთა და მოციქულთა ბაგეები გვმოძღვრავს, რომ ეკლესია გაჩნდა არა ახლა, არამედ – დასაბამშივე. იგი ისევე სულიერი იყო, როგორც ჩვენი იესო და უკანასკნელ ხანს ეს ეკლესია ჩვენ მხსნელად მოგვევლინა ანუ ეკლესია, რომელიც სულიერი იყო, განივთდა, ხილული გახდა იესო ქრისტეს სხეულში...“

მაშასადამე, ეკლესიის მარადიულობისა და ქრისტეს სხეულთან მისი არსობრივი გაიგივების რწმენა ეკლესიის ძველი რწმენაა.

ხილული ეკლესია, რომელიც გეოგრაფიული ადგილის, საღვთისმსახურო ენისა და ტრადიციების მიხედვით რამდენიმე მსხვილ ერთეულად იყოფა, დაფუძნებულია თავად იესო ქრისტეს მიერ იმ სიტყვების საფუძველზე, რითაც მიმართა პეტრეს: „შენ ხარ კლდე, და კლდესა ზედა აღვაშენო ეკლესია ჩემი და ბჭენი ჯოჯოხეთისანი ვერ ერეოდენ მას“ (მათ. 16:18). ეკლესიის პირველმოსახლენი მოციქულები არიან (საქმ. 2:1-7). მათ ჩამოაყალიბეს ქრისტეს დობილთა და ძმობილთა საზოგადოება და დაასაძირკვლეს ეკლესია, განანათლეს მსოფლიო და ნათლისღების ხელმწიფება მიმადლეს მოსაყდრეებს ანუ ეპისკოპოსებს (ზედამხედველებს), მოსაყდრეებმა – თავიანთ მოსაყდრეებს და ასე შემდეგ, ვიდრე აქამომდე. ეს ჯაჭვი, **აპოსტოლური მოსაყდრეობა ანუ სამოციქულო ხელდასხმის უწყვეტობა,** არასდროს გაწყვეტილა და არც გაწყდება. ამის გამო ეკლესია იწოდება სამოციქულოდ. მოციქულთა მემკვიდრენი არიან ეპისკოპოსები, რომლებიც, მართლმადიდებელთა და კათოლიკეთა რწმენით, ისევე აუცილებელნი არიან ეკლესიისათვის, როგორც სუნთქვა ადამიანისათვის და მზე – ქვეყნიერებისათვის.

წუთისოფელში ეკლესიის მისია პირველცოდვის განქარვება და, ამდენად, ცოდვილი ადამიანების მოძიება, გამოსწორება და ცხონებაა. მის ხელში ორი საშუალებაა: მოძღვრება და საეკლესიო საიდუმლოებები.

საეკლესიო საიდუმლოთა რიცხვი უდრის შვიდს. არც მეტს და არც ნაკლებს – გარდა ამ რაოდენობისა, მართლმადიდებელი და კათოლიკური ეკლესიები არ ცნობენ. ესენია:

1. ნათლისღება.
2. მირონცხება.
3. მღვდლობა ანუ მღვდელმსახურად ხელდასხმა.
4. უსისხლო მსხვერპლი ანუ ევქარისტია, ე.ი. წირვა და ზიარება.
5. ქორწინება.
6. სინანული, რომლის შემადგენელი ნაწილი აღსარებაა.
7. ზეთისცხება.

ნათლისღება ეკლესიის კარიბჭედ იწოდება, ზიარება კი – გვირგვინად. ნათლისღების წყალობით მორწმუნე ახალ კაცად იბადება და ეკლესიის წევრი ხდება. ზიარება კი მას სისხლით და ხორცით იდეალთან, ე.ი. ქრისტესთან აკავშირებს.

ნათლისღების შინაარსი არეკლილია საგალობელში: „რაოდენთა ქრისტეს მიერ ნათელი გვიღებიეს და ქრისტე შეგვიმოსიეს, ალილუია!“ ჭეშმარიტი და სულიერი ნათლისღება მაშინ აღესრულება, როდესაც პიროვნება გარდაიქმნება და განახლდება. ამ შემთხვევაში იგი პირველცოდვის ბატონობისგანაც თავისუფლდება და პირადი ცოდვებიც ეხსნება, რაც

ნათლობამდე ჩაუდენია. ნათლისღება მორწმუნეებს ანიჭებს ბეჭედს. მის არსებაში სულიწმიდა შემოდის, რომელიც მარადის და უკუნისამდე მასში ივანებს, ოღონდ პიროვნების ნებას არ თრგუნავს: უნარჩუნებს არჩევანის, თვითგამორკვევის უფლებას. ნათლისღების ბეჭედი წარუშლელია. ამ საიდუმლოს აღსრულების შემდეგ ამა თუ იმ ადამიანმა ათასი ცოდვა რომ ჩაიდინოს და, გნებავთ, რჯულიც უარყოს, შეუძლებელია კანონიერად მონათლულის ხელმეორედ მონათვლა. მართლმადიდებელ და კათოლიკურ ეკლესიებში არსებობს კანონიკური წესი, რომლის თანახმად ნათლისღება უნდა აღესრულოს კათაკმეველის (ხმობილის) სუფთა წყალში შთაფლვით, ანდა სხურებით ხელდასხმული მღვდლის მიერ. მხოლოდ გაჭირვების შემთხვევაშია შესაწყნარებელი, რომ ეს საქმე თავსიდოს რიგითმა მოქალაქემ, რომელსაც ღრმად აქვს გაცნობიერებული ღვთაებრივი ნათლობის მნიშვნელობა. ზოგადად უნდა აღვნიშნოთ, რომ ნათლობამ, სხვა რიტუალის მსგავსად, ოცსაუკუნოვანი ისტორიის გზაზე განიცადა ზოგიერთი ცვლილება, რაც არამც და არამც არ შეხებია მის შინაგან მხარეს.

ეკლესიებში ძველი დროიდანვე დამკვიდრებულია ჩვილთა მონათვლის ტრადიცია, რაც XVII ს-ში ულტრაპროტესტანტებმა უარყვეს და იგი არასახარებისეულ მოვლენად გამოაცხადეს. ეს საკითხი ძველი ტრადიციების მიმდევარ ეკლესიებსა და თანამედროვე დენომინაციებს შორის დღემდე ცხარე დებატებს იწვევს.

ნათლისღება ადამიანს ცხონების შანსსა და პოტენციას ჰგვრის, მაგრამ არა გარანტიას. მის მიერ გაკვალული გზა ბოლოვდება ზიარებით, რასაც წინუძღვის სინანული, ე.ი. გულშემუსრვა, მარხვა, ლოცვა და აღსარება. უკანასკნელი ნიშნავს ცოდვათა აღიარებას სულიერი მოძღვრის წინაშე და, ამ გზით, სინდისის შემსუბუქებას. მორწმუნეს მხოლოდ სინანულის ანუ მეტანოიის, ე.ი. ცნობიერების დაწმენდისა და უკეთურ ჩვევათა დაძლევის შემდეგ ეძლევა ლოცვა-კურთხევა ზიარებისა, რომელიც ეკლესიის იდეალია. ამიტომ უწოდებენ მას ყოვლადუწმიდესს, განსაკრთომელს, ანდა – საშინელ საიდუმლოს; მიაგებენ უდიდეს პატივს და იხსენიებენ კრძალვით და რიდით.

ევქარისტიის ანუ ლიტურგიის (ჟამისწირვის) ქვეშ იგულისხმება სისხლიანი მსხვერპლის ნაცვლად უფლისადმი შემუსრვილი სულისა და გულის ძღვნა. ამის გამო ევქარისტიას „უსისხლო მსხვერპლის შეწირვასაც“ უწოდებენ, რაც აღესრულება საზოგადო მსახურების ანუ ლიტურგიის შედეგად. ლიტურგიის დროს იწირება უსისხლო მსხვერპლი, – პური და ღვინო, რომელიც მოაქვთ მორწმუნეებს განწმენდილ სინდისთან და ლოცვასთან ერთად. ამ პურს, საგანგებოდ გამომცხვარს, უწოდებენ სეფისკვერს, ე.ი. სამეუფო (სამეფო) კვერს, ხოლო ღვინოს – ზედაშეს. პურს დასერავენ და დაჭრიან, ღვინოში კი მართლმადიდებელი ქრისტიანები წყალს შეურევენ მაცხოვრის ორბუნებოვნების შესაბამისად. ესაა „კვეთა“, რაც უდრის ბერძნულ „პროსკომიდიას“ – წინადაგებას. იგი წინაუძღვის ლიტურგიას და ასახიერებს მაცხოვრის ჯვარზე დამსჭვალვას. ამის შემდეგ წინადაგებული ძღვენი (პური და ღვინო) გადააქვთ საკურთხევლის ტრაპეზზე (მაგიდაზე) და იწყება წირვა ანუ უსისხლო მსხვერპლის გადაარსება იესო ქრისტეს ჭეშმარიტ სისხლად და ხორცად.

ეს საიდუმლო თავად უფალმა დაასაძირკვლა საპასექო სუფრაზე, რასაც გვამცნობენ სახარებანი (მათე 26:20-29; მარკოზი 14:17-25; ლუკა 22:14-23) და მოციქული პავლე (I კორ. 11:23-25). ქრისტიანთა შეგნებით ეს იყო უკანასკნელი პასექი. იმჟამს დაფუძნდა ახალი მსხვერპლშეწირვა, ახალი რელიგია და ახალი ცნობიერება. საიდუმლო სერობაზე გაცხადდა ახალი საზოგადოების, ადამიანთა ახალი ურთიერთობის, ეკლესიის არსი: ესაა არა ბიოლოგიური, არა სისხლისმიერი, არამედ სულიერი ოჯახი, რომელიც დაარსდა მაცხოვრის სიტყვების საფუძველზე: „ესე არს სისხლი ჩემი ახლისა აღთქმისა თქვენთვის და მრავალთათვის დათხეული მისატევებელად ცოდვათა... ამას ჰყოფდით მოსახსენებელად ჩემდა". მართლმადიდებლებს და კათოლიკებს სწამთ, რომ ზიარებისეული პური და ღვინო იესო ქრისტეს ჭეშმარიტი სისხლი და ხორცია. აღმოსავლეთის პატრიარქთა ეპისტოლეში, რომელიც მათ ინგლისელ ქრისტიანებს მე-18 ს-ში გაუგზავნეს, ვკითხულობთ: „გვწამს, რომ ამ მღვდელმსახურებაში თანამყოფობს ჩვენი უფალი იესო ქრისტე. თანაც, თანამყოფობს არა სიმბოლურად, არა სახეობრივად, არა მარტოდენ მადლის სისავსით, როგორც ეს დანარჩენ საიდუმლოებებშია, არა მხოლოდ მოფენით, როგორც ზოგიერთი მამა ამბობდა ამას ნათლისღების შესახებ, არა პურის განმსჭვალვით, ე.ი. არა ლუთერის მიმდევართა საკმაოდ უხეში და უღირსი განმარტებისებრ, რომ ევქარისტიისათვის განკუთვნილ პურს თითქოს მხოლოდ სიტყვის ღვთიურობა მოიცავს მტკიცედ, არამედ – ჭეშმარიტად და რეალურად. ასე რომ, პურისა და ღვინის კურთხევით პური გარდაიქმნება, გარდაარსდება, შეიცვლება და გარდაისახება თავად ღვთის ჭეშმარიტ ხორცად, რომელიც ბეთლემს იშვა ქალწულისაგან, ნათელიღო იორდანეში, ივნო, დაეფლა, აღდგა, ამაღლდა, მჯდომარე არს მარჯვენით მამისა და გამოჩნდება ზეციურ ღრუბელთა ზედა. ღვინო კი გარდაიქმნება და გადაარსდება ღვთის ჭეშმარიტ სისხლად, რომელიც ჯვარზე ვნების დროს დაიღვარა ცხოვრებისათვის ქვეყნისა. კვლავად გვწამს, რომ კურთხევის შემდეგ პური და ღვინო ჩვეულებრივ პურად და ღვინოდ კი არ რჩებიან, არამედ გარდაიქმნებიან ღვთის ხორცად და სისხლად, ოღონდ პურისა და ღვინის ფორმითა და სახით".

აქედან ცხადია ისიც, რომ ლიტურგიკული პურისა და ღვინის არსებას ყველა ქრისტიანული აღმსარებლობა ერთნაირად არ იზიარებს. მართლმადიდებლებს, კათოლიკებსა და პროტესტანტების ნაწილს სწამთ, რომ ევქარისტიის დროს პური და ღვინო საიდუმლოდ და უხილავად გადაარსდება და მაცხოვრის ჭეშმარიტ სისხლად და ხორცად შეიქმნება, თუმცა გარეგნულად პურად და ღვინოდ რჩება. ამ რწმენას პირველად ლუთერი აუმხედრდა და ჩამოაყალიბა თეორია, რომლის თანახმადაც ევქარისტიული პური და ღვინო მხოლოდ და მხოლოდ იმსჭვალება იესო ქრისტეს სისხლისა და ხორცის მადლით, ე.ი. პურსა და ღვინოს ღვთის სიტყვის ღვთიურობა მხოლოდ ეფინება და გადაარსება არ ხდება. ეს თეორია მომდევნო თაობათა პროტესტანტებმა გააღრმავეს და ევქარისტიული პური და ღვინო ქრისტეს სისხლისა და ხორცის სიმბოლოებად ცნეს.

ევქარისტიის მიზანი მორწმუნეთა შორის ესქატოლოგიური მოლოდინის ანუ ქრისტეს მეორედ მოსვლის რწმენის გაღვივებაა.

ესქატოლოგია ნიშნავს მოძღვრებას საბოლოო დღეზე. ჩვენი მკითხველისათვის უცხო

არ უნდა იყოს ბიბლიური რწმენა ქვეყნის დასასრულსა და მკვდართა აღდგომაზე, რაც ფორმულირებულია „მრწამსის“ მე-7, მე-11 და მე-12 წევრებად. იქ ნათქვამია, რომ იესო ქრისტე კვლავ მოვა დედამიწაზე; აღდგებიან მკვდრები და შევაბიჯებთ მერმის საუკუნეში.

რას ნიშნავს „მერმისი“?

ღვთის წინაშე ათასი წელი ერთ დღეს უდრის (ფს. 89:9). რამდენადაც „შესაქმის“ წიგნი შვიდი დღის შესახებ გვაუწყებს, ბიბლიური შვიდი დღე შეიძლება მოვიაზროთ 7 ათას წლად. ამის ანალოგიით ქრისტიანთა შორის ფეხი მოიკიდა რწმენამ, რომ ქვეყანა შვიდათას წელს იარსებებს. მერე დადგება მისი აღსასრული და მეორედ მოვა მაცხოვარი იესო. წუთისოფლის არსებობის შვიდ ათას წელს შვიდ საუკუნეს უწოდებდნენ, ხოლო მომავალ ცხოვრებას – მერვეს. ასე წარმოიშვა სპეციფიკური ტერმინი მერვე ანუ *მერმისი საუკუნე*.

მერვე საუკუნე არის აღთქმის იდეალი ანუ ცათა სასუფეველი, რასაც, ცნობიერად თუ ქვეცნობიერად, შეგნებულად თუ გაუაზრებლად, ელტვოდა და ელტვის წუთისოფლის ყოველი ელემენტი, – სულდგმული თუ მინერალი, გონიერი თუ პირუტყვი, ხეპრეც და მეცნიერიც. ესაა სამოთხე და ედემი, სადაც ვმკვიდრობდით. იქ კი მკვდრეთით აღდგომის შემდეგ დავბრუნდებით.

„მკვდართა აღდგომა“ ნიშნავს იმ სხეულების გაცხოველებას, რომლებიც ამქვეყნად შეერთებული იყვნენ სულებთან. გვამი სრულიად განხრწნილი და განქარვებული რომც იყოს, მაინც განახლდება, რადგან ბუნებაში არაფერი იკარგება. ყოველი სული მყისიერად მოძებნის საკუთარ სხეულს, ანდა ამ სხეულის გარდასახულ-გადაგვარებულ ნაწილებს და აღდგება. თითოეული პიროვნება ხორციითურთ აღდგება, მაგრამ არა იმგვარი ხორცით, რითაც რონინებდა წუთისოფელში, ე.ი. – მოკვდავითა და ხრწნადით, არამედ – უხრწნელით და უკვდავით, – ისეთით, როგორიც ადამს ცოდვამდე ემოსა.

ამ უიდუმალეს საკითხზე მოციქული შემდეგნაირად მსჯელობს:

„... ვიღაცა იტყვის: როგორ აღდგებიან მკვდრები? ან რომელი სხეულით მოვლენ? უგუნურო, რასაც შენ თესავ, ვერ იცოცხლებს, თუკი არ მოკვდა. და როცა თესავ, მომავალ სხეულს კი არ თესავ, არამედ შიშველ მარცვალს, სულერთია, იქნება ეს პურისა თუ სხვა მარცვლეულის თესლი. მაგრამ ღმერთი აძლევს მათ სხეულს, როგორიც ნებავს, და თვითეულ თესლს – თავის სხეულს.

„ყოველი ხორცი ერთი და იგივე ხორცი როდია, არამედ სხვაა ხორცი კაცთა, სხვა – პირუტყვთა ხორცი, სხვა – თევზებისა, სხვა ფრინველების. არიან სხეულნი ზეციერნი და სხეულნი მიწიერნი, მაგრამ სხვაა ზეციერთა დიდება, და სხვა – მიწიერთა. სხვაა დიდება მზისა, სხვაა დიდება მთვარისა, სხვა – ვარსკვლავების; და ვარსკვლავი ვარსკვლავისაგან განსხვავდება დიდებით.

„ასევე მკვდართა აღდგომისასაც: ითესება ხრწნილებაში, აღდგება უხრწნელებაში; ითესება დამცირებაში, აღდგება დიდებაში; ითესება უძლურებაში, აღდგება ძლიერებაში; ითესება სხეული მშვინვიერი, აღდგება სხეული სულიერი. არის სხეული მშვინვიერი და არის სხეული სულიერი.

„აჰა, გეტყვით თქვენ საიდუმლოს: ყველანი როდი მოვკვდებით, მაგრამ ყველანი შევიც-

ვლებით ერთ წამში, თვალის დახამხამებაში, როდესაც დაიგრგვინებს უკანასკნელი საყვირი... ხოლო როდესაც ხრწნადი შემოსავს უხრწნელებას და მოკვდავი შეიმოსავს უკვდავებას, მაშინ აღსრულდება სიტყვა დაწერილი: დაინთქა სიკვდილი ძლევით. სად არის, სიკვდილო, ნესტარი შენი? სად არის, ჯოჯოხეთო, ძლევა შენი?" (I კორ. 15:35-55).

მკვდართა აღდგომისა და ქვეყნის განახლების გარდუვალობას მოციქულთა თანამოსაგრე პაპი კლიმენტი ასე ასაბუთებს: „საყვარელნო, დავუკვირდეთ, თუ როგორ საჩინოს ხდის მეუფე მომავალი აღდგომის დაუყოვნებლივ აღსრულებას, რომლის სათავედ მან უფალ იესო ქრისტეს მკვდრეთით აღდგომა დაგვისახა. ვნახოთ, საყვარელნო, ჟამითი-ჟამად ქმნილი აღდგომა. დღე და ღამე გვიცხადებს ჩვენ აღდგომას: როდესაც ღამე მიიძინებს, დღე აღდგება, ხოლო როდესაც დღე გადავა, ღამე მოგვეახლება. ან თუნდაც ხილი ვნახოთ: როგორ და რა სახით მიმდინარეობს თესვა? გამოვიდა მთესველი და მიმოყარა მიწაზე ყოველი თესლი, რომლებიც მიწაზე დაცემისას გამხმარნი და შიშველნი იყვნენ. ამიტომაც ჯერ დაიშალნენ, შემდეგ კი უფლის წინაგანგების სიდიადემ დაშლილობისაგან აღადგინა ისინი და მანვე ერთისაგან მრავალი ნაყოფი აღმოაცენა და გამოიღო. ვნახოთ აღმოსავლეთის, კერძოდ, არაბეთის მხარეებში ქმნილი უცნაური სასწაული: არის ფრინველი, რომელსაც ფენიქსს უწოდებენ. იგი მარტოსული ცხოვრობს ხუთასი წელი. შემდეგ კი, როდესაც კვდომისა და დაღუპვის ჟამი დაუდგება, ეს ფრინველი თვით იკეთებს თავისთვის სამარეს საკმეველისაგან, მირონისაგან და სხვა ნელსაცხებლებისაგან, სადაც მივა აღსასრულის ჟამს და იქ აღესრულება. როდესაც გაიხრწნება გვამი, იშვება რაღაც მატლი, რომელიც იზრდება მომკვდარი ცხოველის სინოტივეში, ფრთიანდება და როდესაც მთლად მომძლავრდება, აიღებს იმ სამარეს, სადაც მისი წინამორბედის ძვლებია, იტვირთავს მას და არაბეთიდან წაიღებს ეგვიპტეში, ეგრეთ წოდებულ ჰელიოპოლისში. დღისით, ყველას თვალწინ, მზის სამსხვერპლოზე აფრინდება იგი, იქ დააწყობს ძვლებს და თვით უკან გამოეშურება. ქურუმები გასინჯავენ მატიანეებს და აღმოაჩენენ, რომ ხუთასი წლის თავზე მოსულა ეს ფრინველი" (თარგმნა ედიშერ ჭელიძემ).

მკვდრეთით ყველა მიცვალებული აღდგება: მართალიც და ცოდვილიც, მორწმუნეც და ურწმუნოც. განახლდება ყველა სხეული, მაგრამ შეიმოსება სხვადასხვა ღირსებით და პატივით თავთავიანთი დამსახურების კვალობაზე: ღირსეულნი ცათა სასუფეველს დაიმკვიდრებენ, უკეთურნი კი მიეცემიან საუკუნო სატანჯველს ანუ ჯოჯოხეთს. ამრიგად, ქრისტე მეორედ მოსვლის ჟამს გამართავს საყოველთაო სამსჯავროს, განიკითხავს თითოეულ ჩვენგანს და მართალთათვის სამოთხეს განაჩინებს, შებილწულთათვის – ჯოჯოხეთს (შდრ. მათე 25:31-45).

როდის დადგება ქვეყნის აღსასრული და საშინელი სამსჯავრო ანუ აპოკალიფსური ჟამი? უფალი გვაუწყებს: „იმ დღისა და იმ საათისა არავინ არაფერი იცის, არც ანგელოზებმა ცაში, არც ძემ, არამედ მხოლოდ მამამ" (მარკ. 13:32; მათე 24:36). მაშასადამე, „აპოკალიფსური ჟამი" არის უსაიდუმლოესი და მისი კონკრეტულად მითითება არ ხელეწიფება ღვთის ძესაც კი, როგორც, ამავე დროს, ხორცშესხმულ არსებას და ყოვლითურთ ადამიანს. იოანე ოქროპირი განმარტავს სახარების აღნიშნულ მუხლს და ამბობს, რომ უფალმა მოს-

ვლის თარიღის "არა მხოლოდ გამოცნობა, არამედ თვით ძიებაც კი აკრძალა". ამ დღის დადგომას მორწმუნე ყოველ წამს უნდა ელოდებოდეს და თავს ამზადებდეს. ამიტომაა, რომ მეორედ მოსვლის წინასწარმეტყველური გამოთვლები არა მარტო დამაჯერებლობასაა მოკლებული, არამედ უპირისპირდება საღმრთო წერილის პრინციპს და სულისკვეთებას. მოძღვრის ვალია, პავლე მოციქულის მსგავსად, მრევლს ყოველდღე აფრთხილებდეს: „აჰა, მოიწია დღე ქრისტესი" (2 თეს. 2:2) და ათი ქალწულის იგავს ახსენებდეს (მათე 25:1-13).

ისმის კითხვა: საშიშია თუ სანატრელი მეორედ მოსვლა? – ერთიც და მეორეც, რადგან ესაა ცოდვილთა სასჯელი და მართალთა ჯილდო. და რადგან თითოეულ პიროვნებაში თანაარსებობს ავიც და კარგიც, ცოდვაც და მადლიც, მერმისი საუკუნე ერთდროულად გვაფრთხობს და გვხიბლავს. გვაფრთხობს სამსჯავრო და გვხიბლავს რელიგიის იდეალი, – ახალი ცხოვრება, ახალი საზოგადოება, ახალი იერუსალიმი, ახალი ცა და ახალი მიწა, რაც უფალმა ცხადლივ აუწყა ესაია წინასწარმეტყველს:

"ამოვა ყლორტი იესეს ღეროდან და მისი ფესვის ამონაყარი გაიხარებს. დაივანებს მასზე უფლის სული, სული სიბრძნისა და გონიერებისა, სული რჩევისა და სიმხნევისა, სული შეგნებისა და უფლის შიშისა. ის უფლის შიშით ისულდგმულებს, დანახულით არ განსჯის და გაგონილით არ დაიწყებს მხილებას. სიმართლით განსჯის ღარიბ-ღატაკთ, სისწორით განიკითხავს ქვეყნის ბედშავთ. დაჰკრავს მიწას თავის ბაგეთა კვერთხს და თავის პირის-ქარით ბოროტეულს მოაკვდინებს. სიმართლე იქნება სარტყლად მის წელზე და სიწრფელე სარტყლად მის ფერდებზე. დადგება მგელი ცხვართან ერთად და ვეფხვი დაბინავდება ციკანთან ერთად. ხბო, ლომი და ნასუქალი პირუტყვი ერთად იქნებიან და ჩვილი ბავშვი წაუძღვება მათ. ძროხა და დედა დათვი ერთად მოსძოვენ და მათი შვილები ერთმანეთის გვერდით დაწვებიან, ლომი ძროხასავით შეჭამს ჩალას. ძუძუთა ბავშვი უნასის ხვრელთან ითამაშებს და ძუძუანასხლეტი ასპიტის ბუდეში ჩაყოფს ხელს. არავინ იბოროტებს და არავინ იბილწებს მთელ ჩემ წმიდა მთაზე, რადგან აივსება მიწა უფლის ცოდნით, როგორც ზღვა არის წყლებით დაფარული. იმ დღეს ხალხთა დროშად იდგება იესეს ფესვი და მისკენ დაიწყებენ დენას ტომები; დიდება იქნება მისი საშვებელი. იმ დღეს მეორედ გაიწვდის უფალი ხელს, რომ გამოისყიდოს თავისი ერის ნატამალი..." (11:1-11).

ყველასათვის საოცნებო დღეს არსობრივად და რეალურად გამრთელდება ჩატეხილი ხიდი, აღდგება კავშირი ადამიანსა და ღმერთს შორის. შეიმუსრება „მთავარი იგი ამის სოფლისაი", ე.ი. ეშმაკი, რომელიც გველის სახით მოევლინა ადამსა და ევას; აცდუნა ისინი და ისტორიის მანძილზე თესავდა ღვარძლსა და მტრობას. ფერს იცვლის და გარდაიქმნება ყოველი არსებული. გაკეთილშობილდება მგელიც და ქვეწარმავალიც. გახდება შესაძლე-ბელი, რომ, „ვეფხისტყაოსნის" ფინალური სიტყვის თანახმად, – „თხა და მგელი ერთად ძოვდეს". მეტიც, – გველი დაიბრუნებს ბუნებას, რითაც ის ღმერთმა შექმნა (და რაც ღმერ-თმა ქმნა, კეთილად ქმნა). იგი განიმსჭვალება სიყვარულით და, ვაჟა-ფშაველას ტალანტსაც რომ ვუხმოთ, მწედ და მკურნალად მოევლინება ადამის მოდგმას, რომელსაც „ბახტრიონში" ასახიერებს ბერი ლუხუმი, ომგადახდილი და ვალმოხდილი. პოემის ფინალი გველისა და ადამიანის დაძმობილების შესაძლებლობას გვამცნობს. ეს სცენა, შთაგონებული ესაიას

აპოკალიფსური ხილვით, შეიძლება ითქვას, არის მთის გენიოსის ბიბლიური მსოფლგაგების მწვერვალი და ჩვენც წერტილს დავსვამთ მისი ციტირების შემდეგ:

... დაფიქრდა გველი ძლიერად,
გული ევსება ბრალითა.
ბევრის ცოდვების მოქმედსა
გადაუბრუნდა გუნება:
რა სიბრალულით იმსჭვალვის
მისი გველური ბუნება!
ზედ გადააწვა, მკერდზედა
წყლულს ულოკავდა ენითა.
თან მკერდს უსველებს მხედარსა
ცრემლების ჩამოდენითა.
აყრუებს ტყესა და ველსა
ოხვრითა რამოდენითა!
მთელს ერთს თვეს ასე უვლიდა
ადამის ტომის მტერია,
ბოროტების გზა გაუშვა,
კეთილი დაუჭერია!
საჭმელსაც თვითონ უზიდავს,
ასმევს წყალს ლაღის მთისასა;
ღამ-ღამ ზღაპარსაც უამბობს
ორის ობოლის ძმისასა.
ამბობენ: შააძლებინა
სნეულსო ფეხზე დადგომა;
ეღირსებაო ლუხუმსა
ლაშარის გორზე შადგომა.

ღვთისმსახურება

ღვთისმსახურების ორი სახე არსებობს: კერძო და საზოგადო. კერძო ღვთისმსახურება ნიშნავს ინდივიდის პირად საუბარს ღმერთთან ან ღვთაებრივ არსებასთან (ანგელოზთან, წმინდანთან). ლაპარაკია სავედრებელ ან სამადლობელ ლოცვებზე საკუთარი თავისათვის, სხვისთვის ან სხვათათვის, კერძო შემთხვევებისათვის (ნათლისღება, წესის აგება და ა.შ.), რაც შეიძლება ერთმაც აღასრულოს და ბევრმაც, მაგრამ ეს მაინც კერძო მსახურება იქნება. საზოგადო ღვთისმსახურება ეწოდება ლიტურგიას, რაც ბერძნული სიტყვაა და „ერის საქმეს“, „საზოგადო საქმეს“ ნიშნავს. ამ დროს სხვადასხვა ერის, სხვადასხვა კლასის, სხვადასხვა სტილის ადამიანები ღმერთს ერთი სულით და ერთი გულით ადიდებენ.

ღვთისმსახურების ორივე ტიპი სათავეს სახარებიდან იღებს. იესო ქრისტემ როგორც

ინდივიდუალური ლოცვის, ისე საზოგადო ლოცვისა და მსახურების მაგალითი მოგვცა. ის მარტოც ლოცულობდა და სხვებთან ერთადაც; პირველის საჭიროებასაც ქადაგებდა და მეორისასაც.

პირველი **საზოგადო მსახურება (ლიტურგია)** უფალმა თავად აღასრულა. ესაა **საიდუმლო სერობა**, რომელმაც ძველაღთქმისეული მსხვერპლშეწირვა გააუქმა და ახალაღთქმისეულ მსხვერპლშეწირვას დასაბამი მისცა (ზემოთ შედარებით ვრცლად ვისაუბრეთ). მსხვერპლი აქ სამადლობელი ლოცვებია, რომელსაც მორწმუნეები აღავლენენ და უფლის სისხლსა და ხორცს ეზიარებიან. უკანასკნელნი წარმოდგენილია ღვინისა და პურის სახით და მათთან ზიარება ლიტურგიის ანუ ევქარისტიის მწვერვალი და იდეალია („ევქე“ ბერძნულად ლოცვას, „ევქარისტია“ ლოცვათა შეწირვას ნიშნავს). ამ პროცესის ძველი ქართული სახელწოდება ჟამისწირვა, ჟამის შეწირვაა. როგორც კერძო, ისე საზოგადო მსახურების ტექსტები (ლოცვები, საგალობლები, ასამაღლებლები და წესგანგებები) გაერთიანებულია საერთო სახელწოდების ქვეშ – ლიტურგიკა.

ღვთისმსახურების განუყოფელი ნაწილი მედღესასწაულეობა ანუ, ბერძნულად, ეორტალოგიაა.

სარწმუნოების განმტკიცების მიზნით ეკლესიამ ღირსსახსოვარ დღეებს ძველთაგანვე პატივი მიაგო და შეიმუშავა საუფლო, საღვთისმშობლო, წმიდა მოწამეთა და სანატრელ მოვლენათა დღესასწაულების ციკლი, რაც თანდათან, საეკლესიო-საღვთისმეტყველო ცოდნისა და პრაქტიკის გამდიდრების კვალდაკვალ, ივსებოდა და იხვეწებოდა; ყალიბდებოდა ქრისტიანული კალენდარი; ითხზვებოდა აგიოგრაფიული ცხოვრებანი და საგალობელნი, რაც მორწმუნეთა შთაგონების დაუვსებელი წყაროა.

დღესასწაულებზე მორწმუნეთა კონსოლიდაცია ხდება. საგანგებო ღვთისმსახურებამ მათ უნდა გაახსენოს ის, რასაც დღესასწაულობენ; უნდა განაახლოს მადლი, რითაც საგულისხმებელ ჟამს შეიმოსა ქვეყანა; მათ შინაგან სამყაროში უნდა განმეორდეს „მას ჟამსა შინა“ აღსრულებული სიკეთე.

შეიძლება დაისვას კითხვა: რა მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის ამა თუ იმ საღვთო მოვლენას – შობას, აღდგომას და სხვა? თეოლოგები უპასუხებენ: არავითარი, ანდა უმნიშვნელო, თუკი ჩვენს არსებაში კვლავ არ აღესრულება! ნეტარ ავგუსტინეს უთქვამს: „შობა ესე მიწყივ აღესრულებოდა და აღესრულება, მაგრამ თუ იგი ჩემში არ აღსრულდება, რა სარგებელია ჩემთვის?“ მთავარია, ჩემში აღსრულდეს. ქრისტეს შობა, მაგალითად, აღესრულება მარადისობაში, ყოველ წამს და ყოველ ჟამს; აღესრულა დროსა და სივრცეში, ბეთლემში და უნდა აღესრულოს პიროვნების სულში. არსებობს შეგონება: „თავად უნდა იქცე მარიამად და შობო იესო!“ ამდენად, საღვთო დღესასწაულების მიზანია, რომ თითოეული მორწმუნის გულში იშვას მაცხოვარი იესო ქრისტე, ნათელიღოს, ფერი იცვალოს, აღდგეს და ამაღლდეს, რათა მლოცველმა თავადაც დაიდოს წილი უფლის ღვაწლსა და მისიაში – აღდგეს მასთან ერთად, ფერი იცვალოს, გარდაიქმნას, ამაღლდეს.

დღესასწაულების რაოდენობა საეკლესიო ცხოვრების გამდიდრებისა და გამრავალფეროვნების კვალდაკვალ იზრდებოდა. ყველაზე ძველი საუფლო ანუ იესო ქრისტეს ამ-

ქვეყნიურ ცხოვრებასთან დაკავშირებული დღესასწაულებია. სიძველით და ღირსებით მათ საღვთისმშობლო დღესასწაულები მოსდევს. მათ გვერდითაა წმიდა მოწამეთა და მოღვაწეთა ხსენებანი, რომელთა დამსახურების წარმოჩენას ეკლესიამ თავიდანვე განსაკუთრებული პატივი მიაგო. IV-V სს-ში ჩამოყალიბდა საუფლო-საღვთისმშობლო და წმიდა ხსენებათა მდიდარი ციკლი, რომელსაც დღეს კალენდარს ვუწოდებთ. სხვაა ასტრონომიული კალენდარი, რომელიც სახელმწიფოსა და სამოქალაქო ცხოვრებას არეგულირებს და სხვაა საეკლესიო კალენდარი, რომელიც სინამდვილეში არის საეკლესიო განაწესი, რიგი (ორდო) და რომელსაც წარმომავლობით ასტრონომიულ კალენდართან კავშირი არა აქვს. დღესასწაულთა განაწესს ეკლესია ასტრონომიული კალენდრის ამა თუ იმ სისტემას პრაქტიკული მიზნებით უსადაგებს.

კალენდარი ლათინური სიტყვაა და ნიშნავს დროის შედარებით ხანგრძლივ პერიოდებად – დღეებად, კვირეებად, თვეებად, წელიწადებად და საუკუნეებად – დანაწილებისა და აღრიცხვის სისტემას. ძირითადია ორი: მთვარისა და მზის კალენდარი. ქრისტიანული დღესასწაულებიდან მოძრავნი პირველთან არიან მისადაგებულნი, უძრავნი – მეორესთან. მზის კალენდრის თანახმად ერთი ტროპიკული ანუ ზუსტი წელიწადი უდრის დედამიწის ერთ გარემოქცევას მზის გარშემო. აქ თავს იჩენს სირთულე: ერთი ტროპიკული წელი შედგება დღე-ღამეთა არა მთელი, არამედ წილადი რიცხვისაგან – 365, 2422 დღე-ღამისაგან ანუ 365 დღე-ღამის, 5 საათის, 48 წუთისა და 46 წამისაგან, ე.ი. ყოველი წლის ბოლოს რჩება, ნაშთის სახით, ზედმეტი დრო – ზედნადები. ყველაზე სრულფასოვნად ითვლება წელთაღრიცხვის ის სისტემა, რაც დღეისათვის საყოველთაოდაა გავრცელებული. მისი ისტორია მოკლედ ასეთია: იულიუს კეისარმა ჩვენს ერამდე 45 წელს ეგვიპტელი ასტრონომის სოზიგენეს რჩევით შემოიღო სისტემა, რომლის მიხედვით ყოველი მომდევნო სამი წლის ხანგრძლივობა უდრის 365 დღეს, ხოლო ყოველი მეოთხისა – 366 (ესაა ნაკიანი წელიწადი, როდესაც თებერვალი 29 დღე-ღამეს ითვლის). ამრიგად, წელიწადის საშუალო ხანგრძლივობაა 365,25 დღე-ღამე, რაც ძალიან ახლოა ტროპიკული წელიწადის ხანგრძლივობასთან (365, 2422). იულიუსის კალენდარი ქრისტიანულმა ეკლესიამ ხმარებაში შემოიღო 325 წელს, მაგრამ ამით პრობლემა ვერ გადაიჭრა. ოთხი წლის მანძილზე დაგროვილი ჩამორჩენა, იულიუსის საშუალო და ტროპიკულ წელიწადთა განსხვავებულობით გამოწვეული, უმნიშვნელოა (44 წთ. და 46 წმ.), მაგრამ საუკუნეთა მანძილზე იგი იმდენად შესამჩნევი ხდება, რომ მისი უგულვებელყოფა შეუძლებელია: ყოველ 400 წელიწადში სხვაობა 3 დღე-ღამეს შეადგენს. მაგ. IV ს-ში გაზაფხულის ბუნიობა 21 მარტს მოდიოდა, XVI ს-ში კი 11 მარტს. ამრიგად, იულიუსის დროთააღრიცხვა XVI ს-ში უკვე 10 დღე-ღამით „ჩამორჩებოდა ბუნებას“. ამან მოითხოვა იულიუსის სისტემის რეფორმა, რომელიც განახორციელა რომის პაპმა გრიგოლ XIII-მ 1582 წელს. მისი დადგენილების თანახმად, დღეთა ანგარიში წინ წაწეულ იქნა 10 დღით: 4 ოქტომბრის მომდევნო დღე გამოცხადდა 15 ოქტომბრად. ამის შემდეგ გაზაფხულის ბუნიობა კვლავ 21 მარტს დაემთხვა. იმისათვის, რომ კალენდარი კვლავ არ „ჩამორჩეს“, გრიგორიუსის სისტემის მიხედვით ყოველი საუკუნის ბოლო წელი, რომელიც იულიუსის წესით ნაკიანია, ნაკიანად ცხადდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ

მოცემული საუკუნის რიცხვი 4-ზე უნაშთოდ იყოფა. მაგალითად, 1600 წელი ნაკიანად ჩაითვალა (16 იყოფა 4-ზე), 1700, 1800 და 1900 წლები კი – უნაკოდ (17, 18 და 19 არ იყოფა 4-ზე). ამის შედეგად ნაკიან წელთა რაოდენობა შემცირდა და შემცირდა კალენდარული წელიწადის საშუალო ხანგრძლივობაც – იგი ტროპიკულს სულ 26 წამითღა აღემატება. ამის გამო ერთი დღეღამის ცდომილება მხოლოდ 3200 წელიწადში დაგროვდება. ე.წ. გრიგორიუსის ანუ გრიგორისეულ კალენდარს უწოდებენ წელთაღრიცხვას ***ახალი სტილით***, იულიუსისას – ***ძველი სტილით***. ახალი სტილი აშკარად წინგადადგმული ნაბიჯია. ვიმეორებთ, თუ იულიუსის კალენდარში სამი დღე-ღამის ცდომილება გროვდებოდა ყოველ 4 საუკუნეში, გრიგორისეულში ერთი დღე-ღამის ცდომილება 3200 წლის მანძილზე დაგროვდება, რაც, ფაქტობრივად, კალენდრის პრობლემის გადაჭრას ნიშნავს. მიუხედავად ამისა რეფორმა ერთბაშად არ გავრცელებულა. პირველად იგი XVI ს-ის 80-იან წლებში დასავლეთ ევროპის კონტინენტზე შემოიღეს, უფრო გვიან – ინგლისსა და აზიის ზოგ ქვეყანაში. ახალი სტილი რუსეთში 1918 წლის 24 იანვრის დეკრეტით დააკანონეს. ამ დროისათვის იულიუსის კალენდარი 13 დღე-ღამით „ჩამორჩებოდა". ამიტომ 1 თებერვალი 14 თებერვლად გამოცხადდა. იმავე წლის 1 მაისიდან კალენდარული რეფორმა საქართველოშიც გატარდა.

„ახალ სტილზე" გადასულია ქრისტიანული მსოფლიოს დიდი ნაწილი, მათ შორის – მართლმადიდებლურიც, გარდა საქართველოს, რუსეთისა და ზოგიერთი სხვა ეკლესიისა. ჩვენთვის ცნობილია, რომ „ახალ სტილზე" გადასვლის საკითხი საქართველოს საპატრიარქოს წინაშე XX ს-ის 20-იან წლებში იდგა. საკათალიკოსო საბჭომ რამდენჯერმე მიიღო დადგენილება რეფორმის თაობაზე, რაც 1927 წელს სრულიად საქართველოს IV საეკლესიო კრებამაც დაადასტურა. ამ იდეას მხარს უჭერდა სამღვდელოების უმრავლესობა, მათ შორის წმინდანად შერაცხილი კათალიკოს-პატრიარქი ამბროსი (ხელაია). ვიცით, რომ მან პატიმრობის დროს (1923-25), მეტეხის ციხეში, მარხვები ახალი სტილით დაიჭირა. მიუხედავად იმისა, რომ იმხანად ინტელექტუალურ დონეზე კალენდრის რეფორმას არავინ დაპირისპირებია, აღნიშნული სიახლე მაინც ვერ დამკვიდრდა. ხალხმა იგი კომუნისტურ მოვლენად შეაფასა და საკათალიკოსო საბჭო, რომელიც მაშინ საინფორმაციო საშუალებებს მოკლებული იყო, დათმობაზე წავიდა, – მოერიდა მრევლში შფოთისა და განხეთქილების გაღრმავებას, კერძოდ – რუსულენოვანი მრევლის გაგულისებას, რაც სქიზმას ანუ განხეთქილებას გამოიწვევდა. ამის გამო შეაჩერა საეკლესიო კრების დადგენილების რეალიზაციის პროცესი და მღვდელმსახურებს დაავალა, ხალხისათვის ახალი სტილის უპირატესობა განემარტათ. დღეს უხერხული ფაქტის წინაშე ვდგავართ: პატრიარქი ახალი სტილის მიხედვით გვილოცავს კალანდას – 1 იანვარს, შემდეგ კი შობას, რომლის კალენდარული თარიღი 25 დეკემბერია, მაგრამ ძველი სტილის 25 დეკემბერი ჩვენს ცხოვრებაში რეალურად მოქმედი კალენდრის 7 იანვარს თანხვდება. ეს და მსგავსი ფაქტები გარკვეულ სირთულეებს ქმნის, მაგრამ სანამ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საჭეთმპყრობელი არ აკურთხებს აღნიშნული კრების დადგენილების ძალაში შეყვანას, ეკლესიის ყოველი წევრი ვალდებულია დაემორჩილოს მოცემულ ვითარებას.

„ახალი სტილის“ ეკლესიური თვალსაზრისითაც უპირატესობას უდიდესი საუფლო დღესასწაულების – შობისა და აღდგომის – კალენდარული ტრადიცია ცხადყოფს.

1. შობას ადრე ყველგან ერთსა და იმავე დღეს არ აღნიშნავდნენ. რომის ეკლესიაში მას 25 დეკემბერს დღესასწაულობდნენ, აღმოსავლეთში – 6 იანვარს, ნათლისღებასთან ერთად, ალექსანდრიაში – 20 მაისს. ამ ფაქტს რამდენიმე უხერხულობა ახლდა. ჯერ ერთი, საფრთხე ემუქრებოდა მსოფლიო ეკლესიის ერთიანობას და, მეორე – რჩებოდა (6 იანვრის შემთხვევაში) შთაბეჭდილება, რომ ქრისტემ ღმრთეება ნათლისღების ჟამს შეიმოსა ანუ იგი, როგორც ღმერთი, ნათლისღების წყალობით იშვა, რაც მძიმე შეცდომა და ერესია. და რომ მოუმზადებელი და გულუბრყვილო მორწმუნეები არ შესულიყვნენ შეცდომაში, აღმოსავლეთის ეკლესია მივიდა დასკვნამდე, – აუცილებელია, რომ შობისათვის საგანგებო დღესასწაული დაკანონდეს; მართებული თარიღი 25 დეკემბერია.

25 დეკემბერს წარმართები ასტრონომიულ მოვლენას – „მზის დაბადებას“ ანუ სინათლის მიერ სიბნელის ძლევას, დღის ღამეზე გამარჯვებას დღესასწაულობდნენ. ქრისტე სიმართლის მზეა. მაშასადამე, შობის არსებას სახეობრივად ასტრონომიული წლის ვერც ერთი დღე ისე ვერ ასახიერებს, როგორც 25 დეკემბერი. III-IV სს-ში აღმოსავლეთის ეკლესიებში უკვე დამკვიდრებული იყო ხარების, ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მუცლადღეების, 25 მარტს აღნიშვნის ტრადიცია. ეს კი ლოგიკურად, ფეხმძიმობის ჩვეულებრივი ვადის თანახმად, ქრისტეშობას 25 დეკემბერზე დებდა. 25 მარტი + 9 თვე= 25 დეკემბერს.

აღმოსავლეთის ეკლესიებში კალენდარული რეფორმა IV-V სს-ის მოღვაწის **იოანე ოქროპირის**, კონსტანტინოპოლის პატრიარქის, სახელთანაა დაკავშირებული. მან დიდი კვლევა-ძიებითი სამუშაო ჩაატარა და მივიდა დასკვნამდე – ქრისტე 25 დეკემბერს იშვა. ეს შემთხვევით არ მომხდარა. ამ დღეს მთავრდება მზებუდობა, ღამე იკლებს და დღე მატებას იწყებს; ნათელს შეემატება, ღამეს და სიბნელეს – მოაკლდება. წმ. იოანეს თანახმად, 25 დეკემბერი ქრისტეშობის ძველი დღესასწაულია, რამაც აღმოსავლეთის ეკლესიებში უსაფუძვლოდ, რაღაც გაუგებრობის გამო, შეიცვალა ადგილი, დასავლეთმა (რომმა) კი ძველი ტრადიცია შემოინახა.

ანტიოქიასა და კონსტანტინოპოლში შობა ნათლისღებისაგან კალენდარულად IV ს-ის 60-იან წლებში გამიჯნეს. ყველაზე მეტი კონსერვატიზმი „ქრისტეს აკვანმა“, იერუსალიმმა, გამოიჩინა. რეფორმა, ჩანს, იქ მე-6 ს-მდე, იუსტინიანე იმპერატორის დრომდე, გაჭიანურდა. შობისა და ნათლისღების ერთად აღნიშვნის ტრადიცია დღეს მხოლოდ სომხურ სამოციქულო ეკლესიაშია შემონახული.

2. აღდგომას უმთავრესი ადგილი უჭირავს საუფლო დღესასწაულთა შორის. მისი ჯეროვნად აღნიშვნისათვის შემუშავებულია 50-50-დღიანი ციკლი. პირველ ორმოცდაათეულს ეწოდება დიდი ანუ მძიმე მარხვა, მეორეს – ზატიკი. დიდი მარხვა იწყება აღდგომამდე შვიდი კვირით ადრე და მოიცავს ა) საკუთრივ დიდ მარხვას – 40-დღიანს და ბ) ვნების კვირას, რომელიც უშუალოდაა დაკავშირებული იესო ქრისტეს ტანჯვა-წამებასთან. ამიტომაც იგი განსაკუთრებული სიმკაცრით გამოირჩევა. მძიმე მარხვა მთავრდება ბრწყინვალე აღდგომით, რასაც მოსდევს ასევე შვიდკვირიანი ზეიმი – ზატიკი (ბერძნულად

– პენტეკოსტე „ორმოცდაათი“). ეს ციკლი (ასი დღე) – მარხვან-ზატიკი – ყველაზე მნიშვნელოვანია ქრისტიანთა ეკლესიურ ცხოვრებაში. მისი დადგომისა და განსრულების თარიღი დამოკიდებულია აღდგომაზე.

ქრისტე ჯვარს აცვეს ებრაული პასექის ჟამს, პარასკევ დღეს. მე-3 დღეს იგი ადგა. ეს შვიდეულის პირველ დღეს, ერთშაბათს, მოხდა. ამის გამო მოციქულებმა დაადგინეს, რომ აღდგომა უსათუოდ პასექის მომდევნო შვიდეულის ერთშაბათს ედღესასწაულათ. ამ დღეს დაარქვეს ბერძნული სახელი – კვირა, რაც ნიშნავს საუფლოს. ასე რომ, აღდგომა თავიდანვე ბუნებრივად დაუკავშირდა პასექს. პასექი გაზაფხულის ბუნიობიდან (დღისა და ღამის სწორებიდან) პირველ სავსე მთვარეს აღინიშნებოდა. ამ ფაქტს სიმბოლური და საიდუმლო შინაარსი ჰქონდა: „პასექი“ ეგვიპტიდან გამოსვლას, უდაბნოს გადალახვას და აღთქმულ ქვეყანაში მისვლას გულისხმობს. იგი ქრისტეს აღდგომის წინასახე და მომასწავებელია. ასტრონომიული დრო – გაზაფხული, ბუნიობა და ბუნიობის პირველი სავსე მთვარე ანუ დღის საბოლოო გამარჯვება ღამეზე, სინათლისა წყვდიადზე – აღდგომის შინაარსს ერწყმის და გამომსახველობით ძალას ჰმატებს.

რადგან სხვადასხვა წლის გაზაფხულზე, ბუნიობის – 21 მარტის – შემდგომ, მთვარე სხვადასხვა დღეს ივსება (მთვარის კალენდრის კვალობაზე), პასექიც მოძრავი დღესასწაულია. შესაბამისად მოძრაობს აღდგომის თარიღი: მისი უკიდურესი წერტილებია 22 მარტი და 25 აპრილი. ეს სადავო არაა, მაგრამ მე-4 საუკუნემდე აღმოსავლეთის ეკლესიებში ერთსულოვნება არ სუფევდა. ზოგიერთი საეკლესიო თემი ჯვარცმას და აღდგომას ერთი და იმავე მნიშვნელობის ფაქტებად მოიაზრებდა და ერთი სახელწოდების ქვეშ აერთიანებდა – ***პასქა***. პასქა (პასხა) ვნების პარასკევს იწყებოდა და კვირას მთავრდებოდა. ამდენად, იგი კომბინირებული დღესასწაული იყო (შობისა და ნათლისღების ერთსა და იმავე დღესასწაულში გაერთიანების მსგავსი). ეს დღესასწაული შეიძლებოდა ებრაელთა პასექსაც დამთხვეოდა და პასექზე ადრეც დამდგარიყო, თუკი ბუნიობის შემდეგ მთვარე შაბათს აივსებოდა და ებრაული პასექის ერთკვირიანი ზეიმი დაიწყებოდა. ამ ფაქტს შესაძლებელია, გაუთვითცნობიერებელი პირები შეცდომაში შეეყვანა და დაეტოვებინა შთაბეჭდილება, თითქოს პასექი და აღდგომა ერთი და იგივე დღესასწაულია.

„პასქა“ ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს „ტანჯვას“, „წამებას“, „ვნებას“. აღდგომას (არაკომბინირებულს) იმხანად (და ახლაც) ებრაულის გავლენით ***პასექსაც*** (ებრ. ფესახ) უწოდებენ. ვინაიდან ორივე სახელწოდება – პასექი და პასქა – ფონეტიკურად ერთმანეთს ჰგავს, კიდევ უფრო მეტად იჩენდა თავს ამ დღესასწაულების ერთმანეთთან გაიგივების საცდური. გარდა ამისა, ქრონოლოგიური პრინციპის გამო, რომ ქრისტე აღდგა პასექის შემდგომ, გაუმართლებელი იყო ამგვარი დამთხვევა. ამიტომ ჯერ მოციქულებმა, შემდეგ ეკლესიის მამებმა იმსჯელეს და 341 წელს ანტიოქიის ადგილობრივ საეკლესიო კრებაზე დაადგინეს, რომ ვნება და აღდგომა ქრისტეს გამომსყიდველ მისიაში თვისობრივად სხვადასხვა ფაქტებია და ერთ დღესასწაულად მათი მოაზრება – მძიმე თეოლოგიური შეცდომა. აღდგომა ანუ აღვსება უნდა ვიდღესასწაულოთ ებრაული პასექის სწორ კვირას ანუ ერთი კვირის შემდეგ. იგი არც წინ უნდა უსწრებდეს და არც უნდა დაემთხვეს

ისრაელიანთა პასექს. თუკი მთვარე აღივსება კვირა დღეს, ე.ი. დადგება ებრაელთა პასექი, აღდგომას ვიზეიმებთ შემდეგ კვირას.

ზოგადად უნდა აღინიშნოს, რომ საეკლესიო პრაქტიკა, წეს-განგებანი და ლიტურგიკული საკითხავ-საგალობლები, კალენდარის შედგენილობა და თარგი, ასკეტიზმის ფორმები და სხვა რეგლამენტები ცვალებადობის კანონს ყოველთვის ექვემდებარებოდა.

მართლმადიდებლობა

„მართლმადიდებლობა“ ბერძნული „ორთოდოქსიის“ ქართული თარგმანია. აღმსარებლობის მნიშვნელობით იგი პირველად II-III სს-ის უდიდესი საეკლესიო მოღვაწის კლიმენტი ალექსანდრიელის შრომებში დასტურდება და ეკლესიის საერთო რწმენის გამომხატველ ტერმინად გზადაგზა მკვიდრდება. „მართლმადიდებლობა“ უპირისპირდება „ჰეტეროდოქსიას“ ანუ „სხვადმადიდებლობას“. უკანასკნელი ისეთ რელიგიურ პოზიციას გულისხმობს, რომელიც ეკლესიის საერთო რწმენა და პოზიცია არაა. უფრო ფართო და ზუსტი განმარტებით, **ორთოდოქსია არის იმ რწმენისეული დოგმატებისა და განჩინებების ერთობლიობა, რომლებშიც იესო ქრისტესა და მოციქულების მოძღვრებაა ასახული.** თავად დოგმატები წერილობითად ეკლესიის მამების მიერაა ჩამოყალიბებული და კრებებისაგან დამოწმებული. ამის გამო ისინი მორწმუნეთა შეგნებით სრულ ჭეშმარიტებას შეიცავენ და, ამდენად, ცვალებადობის კანონს არ ექვემდებარებიან.

მართლმადიდებელი ეკლესია ის ეკლესიაა, რომელიც მოციქულებმა და თანამოციქულებმა დაასაძირკვლეს და მომდევნო ეპოქის დიდმა მერჯულეებმა განამტკიცეს. ეს ეკლესია დღემდე შეუცვლელად ინახავს როგორც მოციქულთა და თანამოციქულთა, ისე წმ. მამების სარწმუნოებას და შვიდი მსოფლიო საეკლესიო კრების სულისკვეთებას.

კიდევ მეტად რომ დავაკონკრეტოთ, **მართლმადიდებლობა არის იესო ქრისტესა და მოციქულების მოძღვრება, ჩამოყალიბებული ძველი რწმენის სიმბოლოებში და გადმოცემული ეკლესიის მამების და მასწავლებლების მიერ.**

აღმოსავლეთისა და დასავლეთის ეკლესიების გაცალკევების შემდეგ ეს სახელწოდება აღმოსავლეთის, ასე ვთქვათ, **შვიდ მსოფლიო კრებისეულ ეკლესიებს** შერჩა და მათ დაუსაკუთრდა. დასავლეთის ეკლესიას, რომის საყდრის დაქვემდებარებაში მყოფს, რომელიც აღმოსავლეთის ეკლესიებს აღმსარებლობითაც გაემიჯნა, ერთიანი ეკლესიის მეორე დასახელება შერჩა – **კათოლიკეობა.** რომაული კათოლიკობის იდეოლოგები და აპოლოგეტები, რადგან დადებით ეპითეტს ვერ იმეტებდნენ, შუა საუკუნეებში მართლმადიდებელ ეკლესიას ხშირად **ბერძნულ ეკლესიად ან ბერძენთა ეკლესიად** მოისენიებდნენ. ამის მიზეზი არის ის ფაქტი, რომ აღმოსავლეთის ეკლესია ენობრივი თვალსაზრისით უპირატესად ბერძნული მოვლენაა. კათოლიკეებისაგან მართლმადიდებელი ეკლესიის ბერძნულ ეკლესიად მოხსენიების ტრადიცია ინერციით ალაგ-ალაგ დღესაც იჩენს თავს, რაც კურიოზია და ბევრი მსმენელი თუ მკითხველი შეცდომაში შეჰყავს. ვინც საგანში ჩა-

უხედავი და გაუთვითცნობიერებელია, გამოთქმა „აღმოსავლეთის ბერძნული ეკლესია“ ეროვნებით ბერძენთა ეკლესია ან საბერძნეთის ეკლესია ჰგონია*.

მართლმადიდებელი ეკლესიის არსება ნიკეა-კონსტანტინოპოლის მრწამსის მე-9 წევრშია ჩამოყალიბებული. იგი არის *წმიდა, კათოლიკე* და *სამოციქულო*.

ეს ნიშნავს:

1. მართლმადიდებელ ეკლესიად იმ მორწმუნეთა საზოგადოება მოიაზრება, რომლებიც აღიარებენ ზეციური და ამქვეყნიური ეკლესიების არსებით მთლიანობას და განუყოფლობას ანუ ყოველივე იმას, რაც ზემოთ აღვნიშნეთ.

2. ძველი დოგმატის თანახმად, ეკლესია არსებითად იგივე ქრისტეს სხეულია და, ამდენად, წუთისოფელში ისეთივე მსხემი და მწირია, როგორც მისი პატრონი და მთავარმესაჭე – მაცხოვარი იესო ქრისტე. ხილული ეკლესიები, რომლებიც არიან საბერძნეთში, საქართველოში, რუსეთსა თუ დედამიწის ნებისმიერ კუთხეში, წუთისოფლის სტუმრები არიან და სანამ სტუმრად რჩებიან, მათაც ამძიმებთ წუთისოფლის მწიკვლი და უკეთურება. მაგრამ ეს დროებითია. ისინი მიილტვიან ჭეშმარიტი სამშობლოსაკენ, ზეციერი მამის საუფლოსაკენ, რომელიც ყოვლითურთ წმიდაა და ამაოების ანტიპოდი. სიწმიდე არის ეკლესიის არსება და მის წიაღში დამკვიდრება მორწმუნეთა იდეალია.

3. წუთისოფელში ეკლესიები ორგანიზებულია რეგიონების, სახელმწიფოების, მხარეების, ოლქებისა, ქალაქების, სოფლებისა და უბნების მიხედვით, მაგრამ ეს დაყოფა პირობითია, უტილიტარული მოტივებით და პრაქტიკული მიზნებით გაპირობებული. არსობრივად ეკლესია ერთიანია, საყოველთაოა, მსოფლიოა, რადგან მთელს ოიკუმენას მოიცავს და, ამდენად, იგი ჭეშმარიტად ეკუმენურია, – კათოლიკეა. თითოეული მართლმადიდებელი ეკლესია საყოველთაო ანუ კათოლიკე ეკლესიის განუყოფელ-განუკვეთელ ნაწილს წარმოადგენს.

4. მართლმადიდებლობის არსებითი ნიშანი მოციქულთა მემკვიდრეობის დაცვა და ათვისებაა. აქ როგორც მოძღვრება, ისე საღვთისმსახურო პრაქტიკა იგულისხმება. ერთიც და მეორეც მომდევნო თაობამ გააღრმავა და გაამდიდრა, მაგრამ ისე, რომ ფესვებს არ მომწყდარა, – არ მომწყდარა საღვთო წერილს და საღვთო გადმოცემას. რაც არაა მოციქულთა მემკვიდრეობა, ის არცაა მართლმადიდებლობა.

მართლმადიდებელთა მოძღვრება და პრაქტიკა, საღვთო წერილისა და საღვთო გადმოცემის გარდა, წმიდა მოწამეებისა და მოღვაწეების, ეკლესიის მამებისა და, რაც მთავარია, საეკლესიო კრებების ღვთისმეტყველებას ეფუძნება.

მართლმადიდებელი ეკლესიის არსება უფრო მკვეთრად, ფართო პროფილით და ვრცელი ფორმულების სახით წარმოჩენილია „მართლმადიდებლობის საზეიმო აქტში“, რომელიც

*** მძიმე შეცდომებია დაშვებული მ. ცაცანაშვილის წიგნში “სახელმწიფო და რელიგია“ (თბ., 2001), სადაც ვკითხულობთ: “საბერძნეთის ეკლესია... დაყოფილია ავტოკეფალურ ეკლესიებად, რომელთაც საკუთარი მეთაური ჰყავს და ავტონომიური მართვით ხასიათდება (მსოფლიო საპატრიარქო კონსტანტინეპოლში, ალექსანდრიის, ანტიოქიის, იერუსალიმის, რუსეთის, სერბიის, რუმინეთის, ბულგარეთის, საქართველოს საპატრიარქოები. ასევე კვიპროსის, პოლონეთისა და ალბანეთის ეკლესიები)“ (გვ. 46). ამ და ბევრი სხვა უცნაური ინფორმაციისა თუ ინტერპრეტაციის წყაროს დადგენა ცალკე გამოკვლევის საგანია.**

842 წელს, კონსტანტინოპოლის ადგილობრივმა კრებამ შეიმუშავა (იხ. ქვემ. გვ. 133), აგრეთვე სხვა შემაჯამებელ ტრაქტატებში, რომელთაგან ერთ-ერთი (მსოფლიო პატრიარქების ეპისტოლე) ზემოთაც დავიმოწმეთ.

სტრუქტურა და კანონიკური წყობილება

როგორც ზეცის, ისე ქვეყნის ეკლესია იერარქიულია. ანგელოზები და მორწმუნე ადამიანები დაყოფილი არიან დასებად, რომლებიც ერთმანეთთან იერარქიულ ანუ საფეხურებრივ დამოკიდებულებაში იმყოფებიან. ეს უზენაესთან ზიარების, ე.ი. უქვემოესი დასის სრულყოფილების გზა და საშუალებაა. იმავე დიონისე არეოპაგელის მოწმობით (იხ. ზემ. გვ. 66), ამქვეყნიური ეკლესია ღმერთს ზეციური იერარქიის მეშვეობით უკავშირდება. ამქვეყნიურ ეკლესიაშიც ანგელოზთა იერარქიის მსგავსი იერარქია მოქმედებს. ერისკაცების მაკურთხეველი ანუ ხელდამსხმელი სამღვდელოთა დასია, რომელიც, თავის მხრივ, სამ იერარქიულ დასად იყოფა (ქვემოდან ზევით) – დიაკონთა, მღვდელთა და ეპისკოპოსთა დასებად. თითოეული დასი თავის წიაღში ასევე იერარქიულია: კერძოდიაკონი, დიაკონი და მთავარდიაკონი; მღვდელი, დეკანოზი და პრესვიტერი; ეპისკოპოსი, მთავარეპისკოპოსი და მიტროპოლიტი (ან პატრიარქი). სხვადასხვა დროს და სხვადასხვა ეკლესიაში ეს დასები და იერარქიული ხარისხები სხვადასხვა სახელებითაა ცნობილი.

„ეკლესია“ ნიშნავს როგორც მორწმუნეთა ცალკეულ თემს, ისე ეკლესიათა მსხვილ გაერთიანებებს და, პირველ რიგში, ყველა ეკლესიის ერთიანობას. საეკლესიო თემების, ასე ვთქვათ, ოლქობრივ გაერთიანებას **ეპარქია** ეწოდება. ეპარქია ოლქის შესატყვისია და მის მმართველს **ეპისკოპოსი** (ზედამხედველი) ჰქვია.

ნებისმიერი საეკლესიო თემი ტერიტორიის მიხედვით შესაბამისი ეპისკოპოსის იურისდიქციაში შედის. მართლმადიდებლური მოძღვრების თანახმად, ეპისკოპოსის ლოცვა-კურთხევისა და მფარველობის მიღმა მყოფი ეკლესია ეკლესია არაა. ეს ნიშნავს, რომ **მართლმადიდებელი ეკლესია მკაცრად ეპისკოპალური ეკლესიაა.**

თავდაპირველად ყველა საეპისკოპოსო კათედრა მმართველობის თვალსაზრისით ავტონომიური იყო. ეპარქიათა გაერთიანება, ეპისკოპატისა და, შესაბამისად, მთავარეპისკოპოსის ინსტიტუტის ჩამოყალიბება შედარებით გვიან მოხდა (მე-3 ს-იდან). წარმოიშვა ავტოკეფალური (თვითთავადი) ეკლესიები ანუ, უფრო სწორად, ეკლესიათა გაერთიანებები. ავტოკეფალური ეკლესიის საჭეთმპყრობელს პატრიარქად (მამათმთავრად) მოიხსენიებდნენ.

IV ს-ის ბოლო წლებში მსოფლიო ეკლესია ხუთ დამოუკიდებელ საეპისკოპოსო კათედრად ანუ ხუთ ეკლესიად იყო დაყოფილი, – რომის, კონსტანტინოპოლის, ალექსანდრიის, ანტიოქიის და იერუსალიმის საეპისკოპოსო კათედრებად, უფრო სწორად – საპატრიარქოებად. შემუშავდა თეორია, რომელსაც **პენტარქია** („ხუთმთავრობა“) ერქვა და რომელიც მოცემულ ვითარებას, ე.ი. მთელი ოიკუმენეს ხუთ საპატრიარქოდ დაყოფას, საკრალურ-ეკლესიოლოგიური მოტივებით უმაგრებდა ზურგს. ლაპარაკია აღნიშნული კათედრების აპოსტოლური (მოციქულებრივი) წარმომავლობის რწმენაზე. რომის საყდარი წმ. პეტრემ

დააარსა, კონსტანტინოპოლის (ეფესოდან გადმოტანილი) – იოანე ღვთისმეტყველმა, ალექსანდრიის – მარკოზ მახარებელმა, ანტიოქიის – ლუკა მახარებელმა, იერუსალიმის – წმ. იაკობმა, უფლის ძმამ. ცნობილია ამავე თეორიის მეორე ვარიანტიც. ქვეყანაზე ოთხი პატრიარქია, ოთხი მახარებლის კათედრათა მიხედვით. რომის პატრიარქს (პაპს) ლუკა მახარებლის კათედრა უჭირავს, კონსტანტინოპოლისას – იოანესი, ალექსანდრიისას – მარკოზისი, ანტიოქიისას – მათესი. მეხუთე პატრიარქს კი, იერუსალიმისას, ასეთი ტიტული მისი ქალაქის განსაკუთრებული სიწმინდის გამო ერგო. თუკი ქრისტეს მოძღვრებას რომელიმე „ბარბაროზი" ერი ეზიარება, მისი ეპისკოპოსი ხუთიდან ერთ-ერთ პატრიარქს უნდა დაექვემდებაროს, კერძოდ იმას – ვისგანაც რჯული მიიღო.

პენტარქია რომსა და ბიზანტიაში ღვთისგან დაწესებულ მოვლენად მოიაზრებოდა და მართლმადიდებლური ცნობიერების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენდა. მას მტევნის ხუთ თითს, ანდა ხუთი გრძნობის ორგანოს ადარებდნენ. IX ს-ის ერთი თეოლოგის თქმით, „ქრისტემ თავის სხეულში, ე.ი. ეკლესიაში, იმდენი საპატრიარქო კათედრა დააწესა, რამდენი გრძნობაცაა მოკვდავი ადამიანის სხეულში. თუ ეს კათედრები შეკავშირებულნი არიან ერთი ნებისყოფით, მაშინ მთელი ეკლესია ჯანსაღია ისე, როგორც ადამიანის სხეული მრთელია მაშინ, როდესაც ხუთი გრძნობა მთელი და უზადოა".

პენტარქიის ბატონობის ჟამს ახალი საპატრიარქო კათედრების დაარსება მწვალებლობად და მართლმადიდებლობის ღალატად აღიქმებოდა. მსგავსი „ღალატი" პირველად სომხეთის ეკლესიამ ჩაიდინა. VI ს-ის მიწურულს კათალიკოსმა აბრაამმა არა მარტო ქალკედონის მართლმადიდებლური კრების დადგენილება უარყო (იხ. ქვ.), არამედ თავის თავს პატრიარქი უწოდა, რაც სომხეთის ეკლესიის დამოუკიდებლობის გამოცხადებას ნიშნავდა. ამის გამო კონსტანტინოპოლის კრებამ სომხეთის ეკლესიას 597 წელს ბრალი არამართლმადიდებლობაში დასდო. საქართველოს (ქართლის) კათალიკოსი კირიონი კონსტანტინოპოლის კვალს გაჰყვა და სომხეთის ეკლესიასთან ევქარისტიული (ლოცვითი) კავშირი გაწყვიტა.

აქედან ცხადია: პენტარქიას ანუ ხუთ პატრიარქთა ავტორიტეტს ბზარი მაშინ შეეპარებოდა და საფუძვლიანადაც შეირყეოდა, როდესაც ამა თუ იმ ეკლესიას ეკლესიათა საერთო რწმენისაგან განსხვავებული შეხედულებები, ე.ი. ერესები ანუ წვალებანი დაეუფლებოდა. თუკი სამოციქულო საყდართაგან რომელიმე ამა თუ იმ ერესს მიემხრობოდა, ან თვით შობდა მას, რის მაგალითებსაც ქვემოთ ვნახავთ, სხვა ეკლესიები მასთან კავშირს წყვეტდნენ და პენტარქიაც ძალას კარგავდა, – ფიქტიური ხდებოდა.

მართლმადიდებელ ეკლესიათა შორის რწმენისეული განხეთქილებები IV-X სს-ში არაერთგზის მომხდარა, მაგრამ დაძაბულობის განმუხტვა ხერხდებოდა და XI ს-მდე პენტარქიის ავტორიტეტი ასე თუ ისე ძალაში რჩებოდა. ჩანს, ამ ავტორიტეტს, ე.ი. ხუთი პატრიარქის ერთად ხსენების ტრადიციას მართლმადიდებლურ სამყაროში იმდენად ჰქონდა ფესვები გადგმული, რომ ოფიციალურ დოკუმენტებში მას ეკლესიათა გაყოფის (დიდი სქიზმის) შემდეგაც ვადასტურებთ. საქართველოში, მაგალითად, სიგელ-გუჯრები XV-XVI სს-მდე ხშირ შემთხვევაში კვლავ ხუთი პატრიარქის მოხსენიებით იწყებოდა.

XI ს-იდან მსოფლიოში ახალი საპატრიარქოები (მათ შორის, საქართველოს საპატრიარქო) აღმოცენდა და პენტარქიას ყავლი გაუვიდა.

ამჟამად მართლმადიდებელი ეკლესია თხუთმეტი ავტოკეფალური და სამი ავტონომიური ეკლესიითაა წარმოდგენილი. ავტოკეფალური ეკლესიებია: 1. კონსტანტინოპოლის (კათედრა კონსტანტინოპოლში ანუ სტამბოლში), 2. ალექსანდრიის (კათედრა ალექსანდრიაში), 3. ანტიოქიის (კათედრა დამასკოში), 4. იერუსალიმის (კათედრა იერუსალიმში), 5. რუსეთის (კათედრა მოსკოვში), 6. საქართველოსი (კათედრა თბილისში), 7. სერბეთის (კათედრა ბელგრადში), 8. რუმინეთის (კათედრა ბუქარესტში), 9. ბულგარეთის (კათედრა სოფიაში), 10. კვიპროსის (კათედრა ლევკუსიაში), 11. ელადის (კათედრა ათენში), 12. ალბანეთის (კათედრა ტირანაში), 13. პოლონეთის (კათედრა ვარშავაში), 14. ჩეხოსლოვაკიის (კათედრა პრაღაში) და 15. ამერიკის (კათედრა ნიუ-იორკში). ავტონომიური ეკლესიებია: 1. სინაის (კათედრა კაიროში), 2. ფინეთის (კათედრა კუიპიოში) და 3. იაპონიის (კათედრა ტოკიოში).

სქიზმატური ეკლესიები

მართლმადიდებელ ეკლესიას ცენტრი (როგორც, ვთქვათ, კათოლიკებს რომი) არ გააჩნია. მსოფლიო პატრიარქის ტიტული კონსტანტინოპოლის მთავარეპისკოპოსს აქვს, მაგრამ ეს წოდებაა და არა თანამდებობა. დამოუკიდებელი ქვეყნების მსხვილი ეკლესიები დამოუკიდებელია. ვინც არაა დამოუკიდებელი და სურს დამოუკიდებლობა, ამის შესაძლებლობა იდეალში მოეპოვება. დამოუკიდებლობისათვის, მაგალითად, უკრაინის ეკლესია იბრძვის, რასაც მხარს უჭერს კონსტანტინოპოლი და ეწინააღმდეგება მოსკოვი. ასეთი ვითარება ეკლესიათაშორის ურთიერთობას ძაბავს.

აზრთა და პრინციპთა სხვადასხვაობას აქვს ადგილი საღვთისმსახურო პრაქტიკაში, სახელმწიფოსთან და სხვადმადიდებლებთან ურთიერთობის საკითხშიც. ამ მოტივების საფუძველზე მართლმადიდებელი ეკლესიის წიაღში პირველი სერიოზული განხეთქილება 1652-1666 წლებში მოხდა. პატრიარქ ნიკონის ბრძანებით რუსეთის ეკლესიაში ბერძნულიდან ძველად თარგმნილი საღვთისმსახურო წიგნების მეცნიერული კორექტირება და ზოგიერთ საეკლესიო წესში ცვლილებების შეტანა დაიწყეს, რაც მორწმუნეთა ნაწილმა, პროტოპოპ (იგივე დეკანოზ) ამბაკუმ პეტროვისა და ეპისკოპოს პავლე კოლომენსკის შთაგონებით, რეფორმატორობად მონათლა და ერესად გამოაცხადა. ნიკონის რეფორმები გაიგივებულ იქნა აპოკალიფსურ სისაძაგლესთან, რომელიც უკანასკნელი ჟამის მომასწავებელია. კონსერვატორ-ფუნდამენტალისტები, ქარიზმატულ და საკუთარ რწმენაში გაკერპებულ ლიდერ ამბაკუმთან ერთად, მეორედ მოსვლას გულისფანცქალით ელოდნენ. თვითგანადგურება გადარჩენის ყველაზე ეფექტურ საშუალებად გამოცხადდა, რის გამოც ბევრი თავს იმარხავდა, ბევრი თავს იწვავდა, ბევრიც შორეული ციმბირის უღრან და მიუვალ ტყეებში გარბოდა, იქ სახლდებოდა და გარესამყაროსთან, „ანტიქრისტეს სამეფოსთან“. ყოველგვარ კავშირს წყვეტდა. ამბაკუმი დააპატიმრეს და 1682 წელს დაწვეს, მაგრამ მის მიერ აზვირთებული ტალღის დაცხრომა ვერ მოხერხდა. მოხდა **რასკოლი** (განხეთქილება). წარმოიშვა სტაროვერების (იგივე სტაროობრიადცების) ეკლესია, რომელიც

რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიას დღემდე ნიკონის ეკლესიას უწოდებს და მადლაყრილად მიიჩნევს.

სტაროვერებმა ცალკე ეკლესია შექმნეს, რომელიც მალე დაიქსაქსა „ბეზპოპოვცებად“ და „პოპოვცებად“ ანუ უმღვდლო და მღვდლიან ეკლესიებად. სტაროვერების მხარეზე საბოლოოდ არც ერთი ეპისკოპოსი არ აღმოჩნდა, რის გამოც მღვდლად კურთხევა აღარ ხდებოდა. ძველი მღვდლები გარდაიცვალნენ. სტაროვერების ნაწილმა ეკლესიური ცხოვრების მღვდლის გარეშე წარმართვა შესაძლებლად მიიჩნია, ნაწილი კი ასეთ ვითარებას ვერ შეეგუა და ოფიციალური ეკლესიის მღვდლების მოთაფლვა, მოქრთამვა და გადაბირება დაიწყო. 1848 წელს ავსტრიელმა პოპოვცებმა ერთ-ერთი ეპისკოპოსის მიმხრობა შეძლეს და ამ გზით სასულიერო იერარქია აღიდგინეს.

„სტაროობრიადცი“ კარგად გამოხატავს ამ მიმდინარეობის ბუნებას – წესების გაფეტიშებას ანუ წესებისადმი იმ მნიშვნელობის მინიჭებას, რა მნიშვნელობაც დოგმატს შეჰფერის. სტაროვერობის სპეციფიკური ნიშნებია: პირჯვრის ორი თითით გადაწერა, ნათლობისას მზის მიმართულებით სვლა, ორჯერ „ალილუია“, რვაბოლოიანი ჯვარი, თავის მიწამდე დახრით თაყვანისცემა და სხვა.

დევნილების გამო, რომელიც XIX ს-ის მიწურულამდე გაგრძელდა, სტაროვერები მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში გაიფანტნენ. ნაწილი საქართველოში ნებით გადმოსახლდა, ნაწილი გადმიასახლეს და ფოთის მიდამოებში დაასახლეს. ისინი ჩაკეტილ ცხოვრებას ეწეოდნენ და ადგილობრივ მოსახლეობასთან კონტაქტში, სავაჭრო ურთიერთობის გარდა, არ შედიოდნენ.

XX ს-ის 80-ანი წლების დასაწყისიდან სტაროვერული იდეების ქადაგებას ფილოლოგი და პოეტი მურთაზ ჩახავა შეუდგა და თბილისსა და ზოგიერთ სხვა რეგიონში მცირერიცხოვანი ეკლესიები ჩამოაყალიბა. მოგვიანებით მ.ჩახავას ეპისკოპოსის ხარისხი მიანიჭეს და დაარქვეს იონა.

საქართველოში მცხოვრები სტაროვერების ანუ იგივე ძველმართლმადიდებლების საერთო რიცხვი (ეროვნების განურჩევლად) დღეისათვის არაზუსტი მონაცემებით 1000-მდე აღწევს.

განხეთქილებანი სხვა ეკლესიებშიც მოხდა. საბერძნეთში დღეს რამდენიმე დამოუკიდებელი სინოდია. ისინი სხვადასხვა დროს და სხვადასხვა მიზეზის გამო აუმხედრდნენ კონსტანტინოპოლის პატრიარქებს და, მათთან მიმართებით, სქიზმატური ეკლესიები შექმნეს. მათგან ზოგი კალენდრის საკითხში დაუპირისპირდა მსოფლიო საპატრიარქოს (გრიგორისეული კალენდრის მიმართ ისტერიული დამოკიდებულება გამოამჟღავნა), ზოგი იმის გამო, რომ ეკუმენურ მოძრაობაში მართლმადიდებლობის საწინააღმდეგო იდეოლოგია დაინახა, ზოგიც კომუნისტურ მთავრობასთან ეკლესიის ლოიალურ დამოკიდებულებას ვერ შეეგუა და ა.შ. რუსეთის ემიგრანტულმა ეკლესიამ, მაგალითად, მოსკოვის მთავარეპისკოპოსს კომუნისტურ რეჟიმთან ოპორტუნიზმში დასდო ბრალი და ევქარისტიული კავშირი მასთან დღემდე გაწყვეტილი აქვს. ანალოგიური ვითარებაა საქართველოს მართლმადიდებლურ ეკლესიაშიც.

ერი და ეკლესია. მართლმადიდებელი ეკლესიები, როგორც ავტოკეფალურნი და ავტონომიურნი, შემოსილნი არიან იმ ქვეყნებისა და ერების ელფერით, რომელთა წიაღშიც ისინი მსხემობენ. მართლმადიდებელი ეკლესია, კათოლიკურთან შედარებით, ეროვნული ეკლესიაა და ეს თვისება სქიზმის (ეკლესიათა გაყოფის) მომდევნო ეპოქაში, XI ს-ის შემდეგ, მისთვის კიდევ უფრო ნიშანდობლივი გახდა. ეროვნულობა (ნაციონალურობა) ვლინდება ღვთისმსახურების ენაშიც, ეროვნული მწერლობის სტიმულირებაშიც, წეს-განგებათა ადგილობრივ ელემენტებშიც და ა.შ. ეროვნულობა დადებითი მოვლენაა, თუკი იგი რწმენის სფეროში არ იჭრება და კათოლიკეობის პრინციპებს არ ბღალავს; იგი დადებითია იმდენად, რამდენადაც კერძო და უნიკალური (ეროვნული) უნივერსალურს (ზეეროვნულს) ეზიარება, მაგრამ არ ითქვიფება მასში. ეს სიმდიდრეა და კაცობრიობის დარღვეული ერთიანობის განახლების საწინდარი.

ეროვნებათა და, მაშასადამე, ეროვნულ კულტურათა არსებობას სულიწმიდამაც მისცა დასტური (საქ. 2:3-4). აქ სადავო არაფერია, მაგრამ არის შემთხვევები, როდესაც ამა თუ იმ ქვეყნის ეკლესიაში რომელიმე ეთნოსი ბატონდება და ისეთ გავლენას ახდენს მოცემული ეკლესიის ფორმასა და შინაარსზე, მის იერარქიასა და დემოგრაფიაზე, რომ ეკლესიის კათოლიკეობა იჩრდილება და ითრგუნება. ამ მოვლენას მართლმადიდებლური ღვთისმეტყველების ენაზე **ფილეტიზმი** ეწოდება. ტერმინი ბერძნულია და მეტომეობას ნიშნავს. იგი მწვალებლობაა, რადგან ეკლესიათა ეროვნებების მიხედვით დაყოფას და ორგანიზებას გულისხმობს. ამ გზით მართლმადიდებლობას ფრთა ეკვეცება და მისი კათოლიკეობა (საყოველთაობა, უნივერსალურობა) ეჭვის ქვეშ დგება.

ფილეტურმა ტენდენციებმა პირველად მონოფიზიტთა შორის იფეთქა და სომხეთის ეკლესია, როგორც აღვნიშნეთ, მსოფლიო ეკლესიას ამ მოტივითაც ჩამოშორდა. ეს მიდრეკილება აღმოსავლეთის მართლმადიდებელმა ეკლესიებმა პოსტბიზანტიურ ხანაში, XV ს-ის შემდეგ, კიდევ უფრო გამოავლინეს. ბულგარეთის ეკლესიამ XIX ს-ში იმდენად ნაციონალური ხასიათი შეიძინა, რომ იგი რეალურად ეთნიური ბულგარელების ეკლესიად იქცა, – კათოლიკე ეკლესია ნაციონალური ეკლესია გახდა. ერთი და იმავე ქვეყნის, ბულგარეთის, ტერიტორიაზე ორი ეკლესია ჩამოყალიბდა – ბულგარელთა და არაბულგარელთა, რაც მოციქულთა კანონების მიხედვით სავსებით შეუწყნარებელია. ამის გამო 1872 წელს კონსტანტინოპოლში საეკლესიო კრება შედგა, რომელმაც „ბულგარული განხეთქილება“ განიხილა და დაგმო ეკლესიური ნაციონალიზმი, როგორც მართლმადიდებელი და კათოლიკე ეკლესიის პრინციპებთან შეუთვისებელი მოვლენა. კრებამ დაადასტურა, რომ **ეკლესია, როგორც ევქარისტიული ერთიანობა, მოწოდებულია გადალახოს განყოფანი და ერთმანეთისაგან განცალკევებულ-გაუცხოვებულ ნაციონალობათაგან თვისობრივად სხვა, უფრო მაღალი საფეხურის ერთიანობა შექმნას.** დაგმობილია ისეთი ვითარება, როდესაც ერთსა და იმავე ტერიტორიაზე კონფესიურად იდენტური, მაგრამ ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი, ეროვნული ნიშნით განყოფილი ეკლესიები არსებობს თავთავიანთი ეპისკოპოსების დაქვემდებარებაში.

მართალია, აღნიშნული კრების განჩინება ყველა ეკლესიისათვის გახდა ცნობილი, მაგრამ, ფილეტური მიდრეკილებები მართლმადიდებლურ სამყაროში გზადაგზა მაინც იჩენს

თავს. ეს განსაკუთრებით რუსეთის ეკლესიის მისამართით ითქმის, მაგრამ ამ პრობლემისაგან თავისუფალი არც საქართველოს ეკლესიაა (იხ. ზ. კიკნაძე, ეკლესია გუშინ, ეკლესია ხვალ, თბ., 2002, გვ. 12, 94-98).

დღევანდელ მსოფლიოში მართლმადიდებელთა საერთო რიცხვი 153 მილიონს აღემატება. დასავლეთ ევროპასა და ამერიკაში, ბოლო მონაცემებით, მართლმადიდებელი ეკლესია მზარდ და პერსპექტიულ ეკლესიად გამოიყურება. იგი ძველ ეპოქათა სულიერი კულტურისა და ტრადიციების მემკვიდრეა, რის გამოც განათლებული საზოგადოება, აღმსარებლობის მიუხედავად, მის მიმართ ინტერესსა და პატივისცემას ამჟღავნებს.

საქართველოს ეკლესია

საქართველოს ეკლესიის ისტორიის სრული კურსი, კვლევა-ძიების თანამედროვე დონეს რომ შეესაბამებოდეს, ჯერ არ გაგვაჩნია. თუმცა ცალკეული საკითხი სიღრმისეულადაა დამუშავებული და შესწავლილი. ისტორიული საბუთების დიდი ნაწილი ქართულ თუ უცხოურ ენებზე გამოვლენილია და აღნუსხული. ამის მიუხედავად, წყაროების სიმცირისა და, ზოგჯერ, შეუსაბამობათა გამო, ბევრი კარდინალური პრობლემა გადაუჭრელი, დაუზუსტებელი და საკამათოა.

არსებობს გადმოცემა: როდესაც მოციქულებმა წილი იყარეს, ვის სად უნდა ექადაგა, ივერთ მხარე ღვთისმშობელს ერგო. თუმცა, ღვთის განგებით, ჩვენს მიწაზე ფეხის დადგმა მას არ დასცალდა. მაცხოვარმა მოციქულები – ანდრია პირველწოდებული და სვიმონ კანანელი – წარმოგზავნა. მათგან მეორემ ახალ ათონში ჰპოვა ძვალშესალაგი.

ამის შემდეგ საქართველოში ქრისტეს მოძღვრება მოგზაურებს, ვაჭრებს და ტყვეებს შემოჰქონდათ. „ქართლის ცხოვრებაში“ რევ მეფეზე ნათქვამია: „იყო წარმართი, არამედ მოწყალე ქრისტეანეთა, რამეთუ სმენილ იყო მისდა მცირედ რაიმე სახარება უფლისა ჩვენისა იესუ ქრისტესი, და აქვნდა რაიმე სიყვარული ქრისტესი“. ამის გამო მას „მართალი“ ეწოდა. უნდა ვიფიქროთ, რომ იმხანად, II-III სს-ში, ჩვენს ქვეყანაში ქრისტიანთა თემები და ტაძრებიც არსებობდა. ამ ვარაუდს ზურგს არქეოლოგიური მასალა უმაგრებს.

ასე რომ, განმანათლებელსა და მოციქულთასწორს – წმიდა ნინოს – საქართველოში ნოყიერი ნიადაგი დახვდა და ერის დიდი ნაწილი, სამეფო კართან ერთად, ქრისტეს რჯულზე მოაქცია. კონკრეტული თარიღის თაობაზე მეცნიერებაში სხვადასხვა თვალსაზრისი არსებობს: ყველაზე პოპულარულია ივანე ჯავახიშვილის ვარაუდი – 337 წელი.

საეკლესიო წყაროების უმრავლესობასა და თანამედროვე ისტორიოგრაფიაში გამყარებულია აზრი, რომ აღმოსავლეთ საქართველოს, ე.ი. ქართლის ანუ ივერიის ეკლესია IV სიდან ანტიოქიის პატრიარქის იურისდიქციაში მოექცა, მაგრამ სულიერ-ზნეობრივი, ინტელექტუალური და თვით რიცხობრივ-მატერიალური ზრდა-განვითარების შედეგად V სის მეორე ნახევარში, ვახტანგ გორგასლის ზეობის დროს, შეიძინა თვითგამორკვევისა და საკუთარ საქმეთა დამოუკიდებლად გაძღოლის უნარი და ფაქტიურად გახდა ავტოკეფალური. ხსენებული მეფის თხოვნის საფუძველზე კონსტანტინოპოლის პატრიარქმა აკურთ-

ხა და საქართველოში გამოგზავნა თორმეტი ეპისკოპოსი, რომელთაც წინამძღვრობდა კათალიკოსი პეტრე, ეროვნებით ბერძენი. ქართლის კათალიკოსის კათედრა იყო და არის მცხეთის სვეტიცხოველი, რომელიც ნაკურთხია 12 მოციქულის სახელზე.

ივერიის საკათალიკოსო, მსოფლიო ეკლესიის მაჯისცემის კვალად, საღვთისმეტყველო-დოგმატურ პოლემიკაში ჩაება. მას უნდა გამოეკვეთა სარწმუნოებრივი ორიენტაცია და განესაზღვრა აღმსარებლობითი კრედო. V-VI სს-ის ბიზანტია რელიგიური ომების ქარცეცხლში გაეხვია, რამაც გამოძახილი კავკასიაშიც ჰპოვა. ცხადია, ერთსულოვნებას არც აქ ჰქონდა ადგილი. ირანი მონოფიზიტობას ახალისებდა, „ახალი რომი“ ანუ კონსტანტინოპოლი უფრო – დიოფიზიტობას ანდა უნიატობას. ირკვევა, რომ მცხეთის საყდარმა კურსი ქალკედონის კრებისაკენ აიღო.

506 წელს სომხეთის ქ. დვინში შედგა სომეხთა, ქართველთა და ალბანელთა კრება. მასალები შემონახულია სომხურ ენაზე, საიდანაც ირკვევა, რომ საქართველოს დელეგაცია 24 ეპისკოპოსისაგან შედგებოდა. ხელმძღვანელობდა კათალიკოსი გაბრიელი. სომეხთა კრებულს სათავეში ედგა ბაბგენ კათალიკოსი. სხდომებსაც უმთავრესად ის თავმჯდომარეობდა. უკანასკნელი გამოკვლევები ცხადყოფს, რომ აღნიშნულმა კრებამ დაგმო ნესტორიანობა და მხარი დაუჭირა კეისარ ზენონის „ჰენოტიკონს“ („ერთობას“).

უეჭველია, ირანს ხელს აძლევდა, ბიზანტიის საპირისპიროდ, ანტიქალკედონური ორიენტაცია და, ჩანს, სომხეთისა და, ნაწილობრივ, ალბანეთის ეკლესიებმა, აღნიშნული ფორუმის შემდეგ, მის სურვილს გაუწიეს ანგარიში, რაც აისახა იმავე დვინის II საეკლესიო კრების განჩინებაში 551 წელს. სომეხი სამღვდელოების დიდი ნაწილი უკვე მონოფიზიტობას მიემხრო. ქართველებისა კი – დიოფიზიტობას. გაცხარდა დავა-კამათი მეზობელ იერარქებს შორის. გადამწყვეტი სიტყვა კირიონ ქართლის კათალიკოსმა (599-614/16) თქვა.

კირიონ (კირონ) პირველი მსოფლიო მასშტაბით საყურადღებო ფიგურაა. დაბადებულა ჯავახეთში სოფ. საკუტრიაში (საქურდიაში); აღზრდილა და განსწავლულა სომხეთსა და ბიზანტიაში; ზიარებია მეცნიერებისა და კულტურის მრავალ დარგს, მეტადრე – ღვთისმეტყველებას; აღზევებულა უმაღლეს სასულიერო რანგამდე და ინტელექტუალური კონტაქტი დაუმყარებია იმდროინდელი ცივილიზაციის კორიფეებთან. სომხური წყაროების მიხედვით, მცხეთის საყდარზე ასვლისთანავე მან ქალკედონის პოზიცია გამოხატა, რამაც დაძაბა ურთიერთობა სომხეთის ეკლესიის მესვეურებთან. ამას ადასტურებს „ეპისტოლეთა წიგნი“, რომელშიც შემონახულია მისი წერილები სომხეთის კათალიკოსებთან – მოსესთან და აბრაამთან. მან ამხილა ადრესატები ერესში და, სამწყსოსთან ერთად, შეწყვიტა ევქარისტიული კავშირი მათთან.

ასე რომ, VII ს-ის პირველ ათეულში კირიონ კათალიკოსის აქტიურობითა და წარჩინებულთა მხარდაჭერით ქართლში საბოლოოდ გაიმარჯვა დიოფიზიტობამ და ბიზანტიურმა ორიენტაციამ. ზოგჯერ კონკრეტულ თარიღსაც ასახელებენ – 607 წელი.

ამ ფაქტმა განამტკიცა ქართველების ავტორიტეტი მართლმადიდებლურ სამყაროში და წრფელყო გზა დაწინაურებული მსოფლიოსაკენ, ჭეშმარიტი და სრულფასოვანი ავტოკეფალიისაკენ.

საქართველოს ეკლესიას სრულყოფილი და იურიდიული ავტოკეფალია ერთბაშად არ მოუპოვებია. ვახტანგ გორგასლის დროს ივერიის მწყემსმთავარმა – მთავარეპისკოპოსმა – შეიძინა ტიტული კათალიკოსისა, რაც მცხეთის საკათალიკოსოს სრულ დამოუკიდებლობას ჯერ კიდევ არ ნიშნავდა, თუმცა თვალსაჩინო ნაბიჯი იყო ამ გზაზე: კათალიკოსები, თუნდაც ბერძნები ყოფილიყვნენ, ანგარიშს უწევდნენ თავიანთ ხელმწიფეებსა და საკუთარი ეკლესიის საჭიროებას.

ასევე დიდმნიშვნელოვანი ფაქტები იყო შემდეგი: VI ს-ის შუა წლებიდან საქართველოს კათალიკოსად ქართველთა დადგინება; VII ს-ის დასაწყისში ქართლის კათალიკოსთა ქართლშივე ხელდასხმა; წმ. მირონის მცხეთას მოხარშვა და ამ ფაქტის ოფიციალურად დადასტურება თეოფილაქტე პატრიარქის (741-751) მიერ მოწვეულ ანტიოქიის საეკლესიო კრებაზე.

სრულყოფილი ავტოკეფალიის გზაზე საბოლოო სიტყვა მელქისედეკ კათალიკოსმა თქვა (XI ს-ის პირველი ნახევარი). მან თავი კათალიკოს-პატრიარქად გამოაცხადა (ნაცვლად „კათალიკოს-მთავარეპისკოპოსისა“. ამ ტიტულს მისი წინამოადგილენი ატარებდნენ). ამ ფაქტთან დაკავშირებით ანტიოქიაში შედგა საგანგებო კრება, რომელმაც საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის კანონიერება დასტურყო.

იურიდიულ ავტოკეფალიას ანიჭებენ მხოლოდ იმ ეკლესიას, რომელიც მზადაა ამისათვის, ე.ი. შეუძენია უნარი საკუთარი პრობლემების დამოუკიდებლად მოწესრიგებისა, დგას რელიგიურად მართებულ პოზიციაზე და აკმაყოფილებს ინტელექტუალური, სულიერი და ზნეობრივი ცხოვრების ნორმებს. საქართველოს ეკლესიამ საქრისტიანოს შემატა წმიდა მოწამეთა, ღირს მეუდაბნოე მამათა და მართალთა რიცხვმრავალი დასი. ესენია: რაჟდენ პირველმოწამე, წმიდა შუშანიკი, ევსტათე მცხეთელი, აბიბოს ნეკრესელი, აბო ტფილელი, კონსტანტი კახი, დავით და კონსტანტინე არგვეთელი მთავრები და მრავალი სხვანი, – ძველი, საშუალო საუკუნეებისა თუ ახალი დროისა, რომელთა ღვაწლი ცათა შინა ელვარებს. აღსანიშნავია ათცამეტი სირიელი მამის მისია. მათ საქართველოს სხვადასხვა მხარეში საფუძველი ჩაუყარეს მონასტრებს, რომლებიც მალე კულტურისა და მწიგნობრობის კერებად იქცნენ.

საქართველოს ეკლესიამ ამოამორჩა და გამოკვება ქართული კულტურა, რომლის მიმართ განათლებული მსოფლიო დღეს დიდ ინტერესს იჩენს.

დასავლეთ საქართველოში, ეგრისის ანუ იგივე აფხაზეთის სამეფოში, ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად დაახლოებით იმავე დროს გამოცხადდა, როგორც აღმოსავლეთში, მაგრამ იქ ბიზანტიის ეკლესიური გავლენა მძლავრობდა და მღვდელმსახურება ბერძნულად აღესრულებოდა. ამ მხრივ სასიკეთო ძვრები VIII-IX სს-ში მოხდა, როდესაც გრიგოლ ხანძთელმა და მისმა თანამოღვაწეებმა სამონასტრო ტრადიცია აფხაზეთის სამეფოშიც განავრცეს. ასე ჩაეყარა საფუძველი ქართლისა და აფხაზეთის ეკლესიურ დაახლოებას, რასაც თან ახლდა ქართული საღვთისმსახურო ენის საზღვრების გაფართოება დასავლეთსა თუ ჩრდილოეთში, კავკასიონის ქედს მიღმა. ამის წყალობით კი გაიზარდა „ქართლის“ ანუ “საქართველოს“ ცნება, რაც აღნიშნა გიორგი მერჩულემ: „ქართლად ფრიადი ქვეყანაი

აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვაი ყოველი აღესრულების“.

საქართველოს ეკლესიას XIII-XIV სს-ში ძნელბედობის ხანა დაუდგა, რადგან ქვეყნის დაქუცმაცებამ და გარეშეთა ძალადობამ მისი სხეულის სიმტკიცეც შეარყია. ბიზანტიის იმპერიის დაცემამ (1453) უარყოფითი კვალი საქართველოს ისტორიაზეც დატოვა. ამიერიდან ჩვენი ქვეყანა მაჰმადიანთა გარემოცვაში აღმოჩნდა. თუმცა XVII-XVIII სს-ში საქართველოს ეკლესია მომძლავრდა და ღირსეულად განაგრძო ერის სულიერი და გონებრივი ცხოვრების საჭეთმპყრობლობის მისია. გაიზარდა მისი საერთაშორისო ავტორიტეტიც, მაგრამ ქართლ-კახეთის გაუქმების შემდეგ, 1811 წელს, რუსეთის უწმიდესმა სინოდმა, საერო ხელისუფლების ინიციატივით, თანადგომით და უშუალო ჩარევით, დაარღვია მსოფლიო საეკლესიო კრებათა რამდენიმე დადგენილება და ჩაიდინა არაკანონიერი აქტი: პეტერბურგში გაიწვია კათალიკოსი ანტონ მეორე, ნება არ დართო მას სამშობლოში დაბრუნებისა და საქართველოს უხუცესი ეკლესია შეიერთა. ჯერ აღმოსავლეთში, შემდეგ კი დასავლეთ საქართველოში მან კათალიკოსის კათედრა გააუქმა და მის ნაცვლად ეგზარქოსის თანამდებობა შემოიღო. პირველი ეგზარქი იყო ქართველი – მიტროპოლიტი ვარლამი (ერისთავი). დანარჩენი კი – რუსები, რომელთაც გზავნიდნენ პეტერბურგიდან. ისინი, მიუხედავად ზოგიერთი მათგანის პიროვნული ღირსებისა, ემსახურებოდნენ ველიკორუსულ პოლიტიკას.

ასე წაერთვა ძველთუძველეს სამოციქულო ეკლესიას თვითმმართველობის უფლება, რასაც შედეგად ჩვენს ქვეყანაში სასულიერო ცხოვრების რეორგანიზაცია მოჰყვა. გააუქმეს თელავის სასულიერო სემინარია და სხვა ეროვნული სასწავლებლები; შეამცირეს ეპარქიებისა და მონასტრების რიცხვი; ეკლესიებს ჩამოართვეს მამულები და გადასცეს ხაზინას, ხოლო მღვდლების რჩენა დააკისრეს ადგილობრივ მოსახლეობას; ზოგიერთ დიდ ტაძარში თითქმის დააკანონეს ჟამისწირვისა და ლოცვის რუსულ, ე.ი. მრევლისათვის გაუგებარ ენაზე აღსრულება და სასულიერო ხელოვნების ყველა უბანზე გააბატონეს არაქართული სტილი, რამაც რელიგიური თვალსაზრისითაც არასასურველი ნაყოფი გამოიღო: თანამემამულეთა შორის განელდა სარწმუნოებრივი გრძნობა.

რაც ვთქვით, ჭეშმარიტებაა, მაგრამ მაქსიმალიზმი არც ამ შემთხვევაში გვარგებს. დროა, აქვე ისიც ვთქვათ, რომ რუსეთის უწმიდესი სინოდის მძლავრობის ხანაში საქართველოს ეკლესიას, ავთან ერთად, მადლიც შეემატა. განმტკიცდა და ხორცი შეისხა ეროვნული და ეკლესიური მთლიანობის იდეამ: გამრთელდა ხიდი დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის ანუ აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს ეკლესიები ეგზარქატის ქვეშ, მაგრამ მაინც, გაერთიანდნენ; გამოიცა საეკლესიო მწერლობის არაერთი ძეგლი, განსაკუთრებით – ლიტურგიკული ტექსტები და, რაც მთავარია, რუსეთის სასულიერო სასწავლებლებში, სემინარიებსა და აკადემიებში, აღიზარდნენ საეკლესიო არქეოლოგიის პროფესიონალი მუშაკები, რომელთაც გამოამზევეს საქართველოს სულიერი საუნჯე და მისი ეკლესიის ადგილი ქრისტიანულ ცივილიზაციაში. ამ მხრივ პლატონ იოსელიანის, დიმიტრი ბაქრაძის, თეოდო ჟორდანიას, კირიონ, ამბროსი და კალისტრატე კათალიკოსების და კორნელი კეკელიძის დასახელებაც საკმარისია.

ავტოკეფალიის განახლების პრობლემა იყო რთული და წინააღმდეგობებით სავსე. აფხაზეთისა და ქართლის საკათალიკოსოების გაუქმების უსამართლობის მხილებას სიცოცხლე შესწირეს დოსითეოზ ქუთათელმა, ექვთიმე გაენათელმა და სხვებმა. საერო პირები – მეცნიერები და საზოგადო მოღვაწენი: ილია ჭავჭავაძე, ნიკო ნიკოლაძე, აკაკი წერეთელი, ნიკო მარი, ალექსანდრე ცაგარელი, ექვთიმე თაყაიშვილი, ალექსანდრე ხახანაშვილი, სერგი გორგაძე, თედო ჟორდანია, სარგის კაკაბაძე, ანტონ ნატროშვილი, თედო სახოკია, იროდიონ სონღულაშვილი, ივანე ჯავახიშვილი და სხვანი თანამდგომნი იყვნენ იმ მოძრაობისა, რომელიც XIX-XX სს-ის მიჯნაზე გააააქტიურეს ქართველი სამღვდელოების მესვეურებმა: ეპისკოპოსებმა (შემდგომ – პატრიარქებმა) კირიონმა (საძაგლიშვილმა) და ლეონიდემ (ოქროპირიძემ), არქიმანდრიტმა (შემდგომ – პატრიარქმა) ამბროსიმ (ხელაიამ), დეკანოზმა (შემდგომ – პატრიარქმა) კალისტრატე ცინცაძემ, კორნელი კეკელიძემ (იმხანად დეკანოზმა) და სხვებმა. ე. თაყაიშვილი იხსენებს: „... ბოლოს და ბოლოს გადავწყვიტეთ დიდი დემონსტრაცია მოგვეწყო და ავტოკეფალია მოგვეთხოვა. თან უნდა წაგვეღო ბაირაღები და პლაკატები წარწერით: „აღგვიდგინეთ ავტოკეფალია“. წამოიჭრა საკითხი: „ვინ უნდა გაძღოლოდა წინ ამ არაჩვეულებრივ დემონსტრაციას? ილიამ გვითხრა: თუ საჭიროა, მე წაგიძღვებითო“.

1917 წელს თებერვლის რევოლუციის შემდეგ რუსეთის იმპერიაში გამოცხადდა სარწმუნოების თავისუფლება და საქართველოს ეკლესიასაც მიეცა შესაძლებლობა, განემტკიცებინა ავტოკეფალური მართვა-გამგეობა. იმა წლის 12 (ახ. სტ. 25) მარტს, კვირა დღეს, მცხეთის სვეტიცხოვლის ტაძარში თავი შეიყარა ათიათასზე მეტმა ქალმა და კაცმა. აქ იყვნენ საქართველოს მღვდელმთავრები: ლეონიდე, გიორგი, ანტონი და პიროსი, თბილისის ქართველი სამღვდელოება, დეპუტატები ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხიდან. ერთი სიტყვით, – სრულიად საქარველო. „განიცადენზე“ ეპ. ლეონიდემ წარმოთქვა სიტყვა და გამოთქვა სიხარული, რომ ამიერიდან საქართველოს ეკლესია დაიწყებს ახალ ცხოვრებას, ავტოკეფალურს და თავისუფალს. ნაწირვებს ტაძრის გალავანში გადაიხადეს სამადლობელი პარაკლისი იმის გამო, რომ რუსეთში დაემხო თვითმპყრობელობა და დამყარდა თავისუფლება. შემდეგ სამღვდელოება და ხალხი ისევ შევიდა ტაძარში, სადაც მოიხსენიეს საქართველოს უკანასკნელი მეფენი: ერეკლე მეორე და გიორგი მეცამეტე; უგალობეს „მრავალჟამიერი“ საქართველოს ეკლესიის თავისუფლებისათვის მებრძოლთ: ეპისკოპოსებს – კირიონსა და დავითს, არქიმანდრიტ ამბროსის, რომლებიც სინოდის მიერ იყვნენ დასჯილნი უსამართლოდ. ბოლოს კი წაიკითხეს ოქმი, რომ 1) ამ დღიდან, ე.ი. 12 მარტიდან, გრძელდება საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია; 2) დროებით, კათალიკოსის არჩევამდე, ეკლესიის გამგედ ინიშნება გურია-ოდიშის ეპისკოპოსი ლეონიდე და 3) საქართველოს ეკლესიის მმართველობა ევალება აღმასრულებელ კომიტეტს, რომელშიც შედიან როგორც სასულიერო, ისე საერო პირები.

ამ აქტის საფუძველზე აღდგა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია. კათალიკოს-პატრიარქად აირჩიეს ეპისკოპოსი კირიონი, ცნობილი მკვლევარი და საზოგადო მოღვაწე, რომელმაც არაერთგზის იწვნია უსამართლობის სუსხი და მოწამებრივად აღესრულა 1918

წლის 13 ივლისს საზაფხულო რეზიდენციაში – მარტყოფში. ეს ტრაგედია დღემდე ბურუსითაა მოცული.

რუსეთის უწმიდესი სინოდი დამოუკიდებლობის დეკლარაციას მტრულად შეხვდა. მან საქართველოს იერარქია მადლმოკლებულად გამოაცხადა და მორწმუნეებს მოუწოდა: არ მიეწვიათ ქართველი „ავტოკეფალისტი მღვდლები“ საეკლესიო წესებზე, არ მიეღოთ მათგან ლოცვა-კურთხევა, არ შესულიყვნენ ქართულ ეკლესიებში, თორემ „უსათუოდ მოხვდებოდნენ ჯოჯოხეთში“. ნაეგზარქოსალმა პლატონმა, რომელიც, თუმცა დიდად აფასებდა ქართულ კულტურას, მოსკოვის საეკლესიო კრებაზე განაცხადა: ქართველები გადაუდგნენო მართლმადიდებლობას.

შედარებით რბილი პოზიცია დაიკავა დროებითმა, ე.წ. კერენსკის მთავრობამ. მან ცნო ჩვენი ეკლესიის ავტოკეფალური უფლებები, მაგრამ ეროვნული ეკლესიის დონეზე. ეს შემდეგს ნიშნავს: საქართველოს საკათალიკოსოს მრევლად ცხადდებოდა მხოლოდ და მხოლოდ ქართველი ეროვნების მართლმადიდებელი. დანარჩენი კი, საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები (რუსი, ბერძენი, აფხაზი, ოსი თუ სხვა) – რუსეთის სამწყსოდ. მათთვის უწმინდესმა სინოდმა დააწესა კავკასიის მიტროპოლიტის თანამდებობა, რომლის რეზიდენცია თბილისში უნდა ყოფილიყო. ამ პროექტის რეალიზაციის შემთხვევაში საქართველოში ორი მართლმადიდებელი ეკლესია იმოქმედებდა: ერთი ქართველებისათვის, მეორე – არაქართველებისათვის. ამ მოვლენას ეწოდება ფილეტიზმი, რაც, ვიმეორებთ, ეკლესიების ტომობრივ დაყოფას და ორგანიზებას ნიშნავს. მას ქაოსი შეაქვს ეროვნებათა ურთიერთობაში და ეწინააღმდეგება ქრისტეს მოძღვრების სულისკვეთებას.

ეკლესია არ შეიძლება ნაციონალური იყოს. საქართველოს პირველმა საეკლესიო კრებამ 1917 წლის სექტემბერში კატეგორიულად დაგმო ეს იდეა და ხაზი გაუსვა საქართველოს ეკლესიის ტერიტორიულ ავტოკეფალიას, რომ მის მრევლად ითვლება ყველა მართლმადიდებელი, ვინც ჩვენი ქვეყნის საზღვრებს შორის სახლობს.

რუსეთის ეკლესიის ზეგავლენით თავიდან სხვა საპატრიარქოებიც არ ადასტურებდნენ ჩვენი ავტოკეფალიის იურიდიულ უფლებას, რადგან ფიქრობდნენ, რომ ქართველებმა ისარგებლეს შემთხვევით, – რუსეთის იმპერიის ავადმყოფობით, ე.ი. გაკომუნისტებით და „უმადური შვილების მსგავსად ხელი აღმართეს“ მასზე.

ასე რომ, XX ს-ის 20-30-იანი წლები საქარათელოს ეკლესიისათვის ყოველმხრივ მძიმე იყო. მეტადრე ანტირელიგიური კამპანიის ბობოქრობის გამო, რაც გამოიხატებოდა საერო და სასულიერო პირების დევნაში, მათგან ზოგიერთის დაპატიმრებასა და ფიზიკურ ლიკვიდაციაში, ტაძრების დაკეტვასა და დანგრევაში, მორწმუნეთა შეურაცხყოფაში. იმართებოდა შემდეგი სახის „ანტირელიგიური პროცესები“: „ბეზბოჟნიკები“, იგივე კომკავშირლები, სიცილ-კისკისით დადიოდნენ ქუჩა-ქუჩა ჯგუფ-ჯგუფად; დაატარებდნენ ჯვრებს, ხატებს, ბაირაღებს და სხვა საეკლესიო საგნებს; გადაიცვამდნენ ანაფორებს, მანტიებს; იხურავდნენ კუნკულ-ბარტყულებს; შეხინტრიცდებოდნენ ეკლესიებში, ოხუნჯობდნენ, მღვდლებს წვერს აკრეჭდნენ და ა.შ.

ასეთ ვითარებაში მოძღვართა დიდმა ნაწილმა, ნებსით თუ უნებლიეთ, მიატოვა მრევლი.

ზოგმა სახალხოდ გმო ღმერთი და სარწმუნოება. ზოგიც გაუკკღმართებული რჯულის – ცრუმორწმუნეობის – ჭაობში ჩაიძირა. გაწყვიტა მეტროპოლიასთან კავშირი და დაიწყო საეკლესიო წესების თვითნებურად შესრულება, სისხლიანი მსხვერპლის შეწირვა და ჯადოსნობაც კი. ამ მოვლენამ სერიოზულ მასშტაბს მიაღწია, რამაც შეაშფოთა მართალი სარწმუნოების ჭირისუფლები.

გაღრმავდა კონფრონტაცია სახელმწიფოსთან. საქართველოს ეკლესიის იერარქებმა დაგმეს 1921 წლის 25 თებერვალს დემოკრატიული რესპუბლიკის ძალდატანებით გასაბჭოების ფაქტი. კათალიკოს-პატრიარქმა ამბროსიმ 1922 წელს მემორანდუმით მიმართა გენუის კონფერენციას და მოითხოვა სამწყსოს ტერიტორიიდან საოკუპაციო ჯარების გაყვანა. ამ ნაბიჯს მთავრობის რადიკალური რეაქცია მოჰყვა: 1923 წლის იანვარში დააპატიმრეს უწმიდესი მღვდელმთავარი და საკათალიკოსო საბჭო სრული შემადგენლობით. ეს საქართველოს ეკლესიის ისტორიის ერთ-ერთი ყველაზე ტრაგიკული ფურცელია. ბრალდებულნი 1924 წლის მარტში გაასამართლეს. სამსჯავრო ანტისაეკლესიო ისტერიის ქვეშ მიმდინარეობდა. რევოლუციონერი მუშები სასამართლოს წინ აწყობდნენ მანიფესტაციებს; ყვიროდნენ: „ძირს ამბროსი!“, „ძირს შენიღბული კონტრრევოლუცია!“ და „ხალხის მტრების“ დახვრეტას მოითხოვდნენ. კათალიკოსის „საბოლოო სიტყვის“ წერილობითი ვარიანტი (ჟურნ. „მნათობი“, 1988, N10) ცხადყოფს ავტორის პრინციპულობას, ტაქტს, დიპლომატიას და განათლებას. მართალია, მან აღიარა, რომ მსოფლიო კონფერენციაზე გაგზავნილმა წერილმა სასურველი ნაყოფი ვერ გამოიღო, მაგრამ მოცემულ სიტუაციაში ეკლესიის მწყემსს სხვაგვარად მოქცევის უფლება არ ჰქონდა... თავი დამნაშავედ ბრალდებულთაგან არც ერთმა არ ცნო. ხალხის მეხსიერებამ მამათმთავრის სიტყვები შემოინახა: „ჩემი სული ღმერთს ეკუთვნის, გული – საქართველოს, ლეში კი, სადაც გსურთ, იქ ჩააგდეთ!“

სასულიერო უწყებაში პოლიტიკურმა განხეთქილებამ იჩინა თავი. ჩვენში, რუსეთის მსგავსად, ჩამოყალიბდა ე.წ. „ცხოველი ეკლესია“, რომელსაც ეპისკოპოსები ქრისტეფორე (ციცქიშვილი) და დავითი (კაჭახიძე) მეთაურობდნენ. ისინი მორწმუნეთა დევნის ძირითად მიზეზად მიიჩნევდნენ ეკლესიის მმართველი საბჭოს ანტისახელმწიფოებრივ კურსს და ამბობდნენ: ჩვენ მხოლოდ ათეიზმში არ ვეთანხმებით კომუნისტებს; სხვა მხრივ კი მათი იდეები თანხვდება ქრისტიანობასო. ამგვარად მოაზროვნე სასულიერო პირებმა და მათმა თანამეინახე მრევლმა 1926 წლის 26-27 დეკემბერს ქუთაისში მოიწვიეს ყრილობა და კათალიკოსის „ანტისაბჭოური პლატფორმა“ გაამათრახეს; შეიმუშავეს ეპისტოლე, რომლის სტრიქონებს შორის იგრძნობა მოხუცი მწყემსმთავრის წუთისოფლიდან მალე გასვლის სურვილი. კათალიკოსი რამდენიმე თვის შემდეგ გარდაიცვალა და მმართველობის სადავეებს პროსაბჭოური ფრაქცია დაეპატრონა კათალიკოს-პატრიარქ ქრისტეფორეს მეთაურობით. მისმა პოლიტიკამ, რაც ექსპერიმენტს ჰგავდა, კრახი განიცადა. იმხანად საბჭოთა კავშირში ეკლესიების ნგრევა-აწიოკებამ, მასობრივი კოლექტივიზაციის პარალელურად, ყოველგვარ ზღვარს გადააბიჯა. მას რელიგიურ ლიდერთა უკიდურესად ოპორტუნისტული პოლიტიკაც კი ვეღარ აოკებდა. 1934 წელს საქართველოს ტერიტორიაზე მართლმადიდებელი სამრევლოების რიცხვი 15-ს არ აღემატებოდა. დალუქეს ჩვენი ქვეყნის ემბაზი –

სვეტიცხოველი; სამების დედათა მონასტრის ტაძარში წირვა-ლოცვა აკრძალეს, რის გამოც მონაზვნებმა ტრაპეზი სარდაფში გამართეს; დაკეტვის საფრთხე დაემუქრა სიონს. კათალიკოს-პატრიარქმა კალისტრატე ცინცაძემ საგანგაშო მდგომარეობა გამოაცხადა და ოფიციალური თხოვნით მიმართა სტალინს; აღიარა: „საქართველოს ეკლესიის კარს მოსდგომია ისეთი განსაცდელი, რომელსაც შეუძლია სავსებით მოუღოს მას ბოლო სულ მოკლე ხანში"... ფეხზე დადგა ინტელიგენცია, რის გამოც საქართველოს საპატრიარქოს ანულირების კურსი გაჭიანურდა. ამასობაში დაიწყო ომი. საბჭოთა მთავრობას იდეოლოგიურ ფრონტზე სიტუაციის გამწვავება ხელს აღარ აძლევდა და მისი პოლიტიკაც მოქალაქეთა სინდისის მიმართ ერთი შეხედვით ლოიალური გახდა.

კათალიკოს-პატრიარქი კალისტრატე, სხვა კონფესიების ლიდერებთან ერთად, ანტიფაშისტური ფრონტის მხარეზე დადგა, რის შედეგადაც საბჭოთა მთავრობამ ეკლესიას ბეგარა შეუმსუბუქა და შეწყვიტა აშკარა რეპრესიები. მორწმუნეებმა ოდნავ ამოისუნთქეს.

გაჯანსაღდა ვითარება საერთაშორისო არენაზეც. 1943 წელს აღდგა ძმური ურთიერთობა საქართველოსა და რუსეთის ეკლესიებს შორის. დამყარდა კავშირი სხვა მართლმადიდებელ თუ არამართლმადიდებელ ეკლესიებთან, საერთაშორისო რელიგიურ ორგანიზაციებთან, კერძოდ – ეკლესიათა მსოფლიო საბჭოსთან (1962 წლიდან), ევროპის ეკლესიათა კონფერენციასთან, ქრისტიანთა სამშვიდობო კონფერენციასთან, ბიბლიის თარგმნის ინსტიტუტთან და ბოლოს: საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია იურიდიულად დაამოწმა კონსტანტინოპოლის მსოფლიო პატრიარქმა და მისმა სინოდმა 1990 წლის 3 მარტს საგანგებო განჩინების თანახმად, რომლის ტექსტი (სიგელი) საქართველოს კათალიკოს-პატრიარქს – უწმიდესსა და უნეტარესს ილია მეორეს გადაეცა.

პერესტროიკის ხანიდან, როდესაც ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა გააქტიურდა, სასულიერო და საერო საზოგადოების გარკვეულ კატეგორიას ეკლესიურ-ნაციონალური და ეკლესიურ-რიგორისტული, ე.ი. ულტრაკლერიკალური ემოციები, ფიქრები თუ იდეები მოეძალა. ამ იდეებს მხარი პოლიტიკურმა პარტიებმაც აუბეს და საქართველოში რეალურად ანტიეკუმენური ფრონტი შეიქმნა. კათალიკოს-პატრიარქმა და უწმიდესმა სინოდმა დააკმაყოფილეს რადიკალურად განწყობილი პირების მოთხოვნა და 1997 წლის 20 მაისს გამოიტანეს დადგენილება, რომლის თანახმად საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ ეკლესიათა მსოფლიო საბჭოსა და ევროპის კონფერენციის რიგები დატოვა. განხეთქილებას, რომლის წინაშეც მაშინ საქართველოს ეკლესია იდგა, საფუძველი გამოეცალა და ეს საფრთხე თავიდან იქნა აცილებული, მაგრამ პრობლემები მაინც დარჩა. რადიკალებს ეკუმენისტობად არა მარტო ეკუმენურ ორგანიზაციებში გაწევრიანება მიაჩნიათ, არამედ იმ ეკლესიებთან ევქარისტიული კავშირიც, რომლებიც ეკუმენურ მოძრაობაში არიან ჩაბმული და სხვადმადიდებლების მხარდამხარ ლოცვებზე უარს არ ამბობენ. თუ ამ პოზიციას გავიზიარებთ, მოთხოვნა, რომ საქართველოს საპატრიარქომ ეკუმენიზმის მხარდამჭერ ეკლესიებთან სარწმუნოებრივი კავშირი გაწყვიტოს, ლოგიკურად აღიქმება. ამის მიუხედავად საქართველოს საპატრიარქომ, თუმცა ოფიციალურად ანტიეკუმენური

ორიენტაცია გამოხატა, ეკუმენიზმის არმგმობ ეკლესიებთან ლოცვითი თანაზიარება შეინარჩუნა. რამდენიმე საეკლესიო თემმა, უფრო სწორად, – სამღვდელოთა და საეროთა ჯგუფებმა ამ ფაქტის მიმართ აღშფოთება ვერ დაფარეს და საქართველოს საპატრიარქოს იურისდიქციიდან გავიდნენ. ასე რომ, მასშტაბით მცირე სქიზმა მაინც მოხდა.

ჩვენი ქვეყნის ისტორიაში მართლმადიდებელი ეკლესიის განსაკუთრებული როლი საქართველოს კონსტიტუციითაც აღიარებულია, რაც ფაქტობრივად სახელმწიფოში ამ ეკლესიის იურიდიულ პრიორიტეტზე მიანიშნებს. კონსტიტუციაში აგრეთვე აღნიშნულია (თავი 1, მუხლი 9), რომ სახელმწიფო „საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიასთან“ ურთიერთობას კონსტიტუციური რანგის შეთანხმებით (ხელშეკრულებით, კონკორდანტით) არეგულირებს. ეს „შეთანხმება“ საქართველოს პრეზიდენტისა და კათალიკოს-პატრიარქის მიერ ხელმოწერილ იქნა მცხეთაში, სვეტიცხოვლის ტაძარში, 2002 წლის 14 ოქტომბერს, ცხოველმყოფელი სვეტის ხსენების დღეს, და დამტკიცებულ უწმიდესი სინოდისა და პარლამენტისაგან.

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მმართველობის უმაღლესი ორგანოა სრულიად საქართველოს საეკლესიო კრება, რომელიც საჭიროებისამებრ მოიწვევა. კრებათაშორის პერიოდში პასუხისმგებელი პირია მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი და სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი, რომელსაც საეკლესიო კრება ირჩევს და რომლის ხელდასხმა და აღსაყდრება (ინტრონიზაცია) მცხეთის სვეტიცხოვლის ტაძარში აღესრულება. იგი მოვალეობას უწმიდესი სინოდის თანადგომით აღასრულებს. 1977 წ. 25 დეკემბრიდან ამ თანამდებობაზე უწმიდესი და უნეტარესი **ილია II** (ირაკლი შიოლაშვილი) ბრძანდება, რომლის საჭეთმპყრობელობის პირველ ნაბიჯებს საქართველოში საეკლესიო ცხოვრების გაცოცხლება და საყოველთაო სიხარული მოჰყვა.

ამჟამად უწმიდესი სინოდი 25 მღვდელმთავრისაგან შედგება. სულ 27 ეპარქიაა. მღვდელმსახურთა და ეკლესიის თანამშრომელთა მომზადების საქმეს ორი აკადემია და რამდენიმე სასულიერო სემინარია ემსახურება.

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მრევლის რაოდენობა, მისი სამოღვაწეო ასპარეზი და გავლენის სფერო დღითიდღე იზრდება.

დენომინაციები ეკლესიათა ერთიანობის ხანაში

ეკლესიათა ერთიანობის ანუ პენტარქიის რეალურად მოქმედების ჟამს ეკლესიათა საერთო რწმენისაგან განსხვავებული რწმენა-თეორიები გზადაგზა ჩნდებოდა. ამის გამო, საჭიროების მიხედვით, სხვადასხვა ეკლესიის წარმომადგენელთა ერთობლივი კომისიები იქმნებოდა, რათა ამ რწმენა-თეორიების ბუნება და ავკარგიანობა გარკვეულიყო. თუკი დადასტურდებოდა, რომ ისინი რწმენის არსებით პუნქტებს, ე.ი. ქრისტიანული ღვთისმეტყველების მაცოცხლებელ ღერძს უპირისპირდებიან და აზიანებენ, საეკლესიო კრებები ასეთ თეორიებს **ერესებად** ანუ მწვალებლობებად (წვალებებად) ნათლავდნენ და ანათემას უცხადებდნენ. ეს კი, არც მეტი და არც ნაკლები, ნიშნავს: მათ მიმდევრებს, ვინც სინანულს არ მიეცემოდა, ეკლესიიდან გარიცხავდნენ – განკვეთდნენ. განკვეთილები თავიანთ ეკლესიებს ქმნიდნენ, რომელთაც ერთიანი ეკლესიის ენაზე ერეტიკოსთა (მწვალებელთა) საკრებულო, მწვალებელთა ეკლესია ანუ სექტა ეწოდებოდა.

ერესებისა და სექტების წარმოშობის მთავარ მიზეზად ღვთისმეტყველების მკვლევრები იმ ფაქტს ასახელებენ, რომ ეკლესიის ისტორიის ადრეულ საფეხურზე, რომელსაც აპოლოგეტიკის ხანას ეძახიან, დოგმატები ლოგიკისა და დიალექტიკის ენაზე ჩამოყალიბებული და გაფორმებული არ იყო. ასეთ ვითარებაში, როგორც მოსალოდნელია, რჯულის კარდინალურ საკითხებზეც კი აზრთა სხვადასხვაობა იჩენდა თავს. წარმოიშობოდა სხვადმადიდებლობა და მრავლდებოდნენ სხვადმადიდებლები; იქმნებოდა ახალ-ახალი თეორიები და იქმნებოდა და ყალიბდებოდა მათ მიმდევართა ახალ-ახალი ეკლესიები. ჭეშმარიტების პოზიციიდან ეს უარყოფითი მოვლენაა, მაგრამ ვერავინ უარყოფს, რომ დოგმატიკის როგორც საღვთისმეტყველო დისციპლინის შექმნას ანუ, რაც იგივეა, დოგმატთა ფორმირებას სწორედ სხვადმადიდებლობამ მისცა ბიძგი. ასე რომ, ერესებმა ერთიანი ეკლესიის სხეული ერთდროულად კიდეც დააზიანა და კიდეც განამტკიცა.

ქვემოთ იმ თეორიებსა და დენომინაციებს მიმოვიხილავთ, რომლებმაც მსოფლიო ისტორიაშიც და ქართული კულტურის ისტორიაშიც თვალსაჩინო კვალი დატოვეს.

ძირითადი ლიტერატურა: ა. პ. ლებედევი, საეკლესიო კრებები VI, VII და VIII საუკუნეებში, ს-პბ., 1807 (რუს. ენაზე); ე. ვ. ბოლოტოვი, ლექციები ძველი ეკლესიის ისტორიაში, ს-პბ., 1918 (რუს. ენაზე); ბროკჰაუზ-ეფრონის ენციკლოპედია; ვ. ს. სოლოვიოვი, თხზულებათა კრებული, ტ. IX, 1907, ს-პბ.; მ. ჯანაშვილი, ისტორია მართლმადიდებელი ეკლესიისა, ტფ., 1889; ს. ყაუხჩიშვილი, ბიზანტიური ლიტერატურის ისტორია, თბ., 1948.

გნოსტიციზმი და მანდეიზმი

მე-20 საუკუნის დასაწყისში მკვლევარებს მხოლოდ რამდენიმე გნოსტიკური თხზულების ფრაგმენტზე მიუწვდებოდათ ხელი და ძირითადად ქრისტიანობის აპოლოგეტთა შრომებში წარმოდგენილ ცნობებს ეყრდნობოდნენ. სიცარიელე 1945 და მომდევნო წელს ეგვიპტეში გნოსტიკოსთა ბიბლიოთეკის აღმოჩენამ შეავსო.

გნოსტიციზმი ბერძნული სიტყვაა: „გნოსის“ ნიშნავს ცოდნას, „გნოსტიკოსი“ – მცოდნეს, „გნოსტიციზმი“ – მცოდნეობას. ასე იხსენიებდნენ სექტებს, რომელთა წევრებს განსაკუთრებული ცოდნის ფლობაზე ჰქონდათ პრეტენზია. ისინი ასპარეზზე მასობრივად ჩვენი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეებში ჩანდნენ; დანაწილებული იყვნენ მრავალრიცხოვან და წვრილ-წვრილ სექტებად, რომელთაგან გამოირჩეოდნენ: სიმონიანელები, ნიკოლაიტები, მენანდრელები, კერინთოსიანელები, დოსითესიანელები, დოკეტისტები, კარპროკრატიანელები, მარკიონიტები, ვალენტინელები, ებიონიტები, სატურნინელები და სხ. სახელწოდებათა უმრავლესობაში ასახულია ერესიარქების ვინაობა: ბასილიდ სირიელი, ვალენტინ ეგვიპტელი, კარპოკრატ ალექსანდრიელი და სხვა.

გნოსტიკოსები თავიანთ თავს ჭეშმარიტ და ერთადერთ ქრისტიანებად რაცხდნენ, თუმცა მათი მოძღვრება წარმოადგენდა მრავალპლასტოვან კონგლომერატს, – წარმართობის, იუდაიზმისა და ქრისტიანობის ნაზავს, სადაც სახარების ფაქტები და სწავლებანი ერწყმოდა ელინურ-ბაბილონურ მითებსა თუ ფილოსოფიურ თვალსაზრისებს.

უნდა შევნიშნოთ, რომ ჩამოთვლილ ჯგუფებს ბევრი რამ აშორებდა ერთმანეთისაგან, მაგრამ ჰქონდათ საერთოც, სპეციფიკური, რასაც ვ. სოლოვიოვი დაახლოებით ასე გადმოსცემს:

მატერია და მატერიალური სამყარო, რომელიც შექმნილია უმდაბლესი ღვთაების – დემიურგის მიერ, არის ბოროტება. წუთისოფელი და მისი ყოველი მსახური განწირულია. მხოლოდ რჩეულებს ეღირსებათ ხსნა და საუკუნო ცხოვრება. ესენი არიან სულიერი პიროვნებები – პნევმატიკოსები, რომლებიც დასაბამიდანვე და ბუნებითად ეკუთვნიან საღვთო წიაღს, რადგან ჩანასახშივე ფლობენ ციურ ელემენტს. ისინი მსოფლიო ქაოსიდან დაუბრუნდებიან ჭეშმარიტ სამშობლოს მრთელნი და უვნებელნი, ყოველგვარი ნადავლის გარეშე. არაფერი მდარე არ ამაღლდება, არაფერი ბნელი არ განათლდება, ხორციელი და მშვინვიერი არ გასულიერდება. მაშასადამე, ხორციელი და მშვინვიერი ადამიანები (თუნდაც მორწმუნეები) ვერ ცხონდებიან. მათი მომავალი წყვდიადი და არარაობაა. ცხონდებიან მხოლოდ პნევმატიკოსი გნოსტიკოსები ანუ სულიერი შემმეცნებლები.

გნოსტიკოსები არღვევდნენ სამების დოგმატს და ასხვავებდნენ ღმერთს ქვეყნის შემოქმედისაგან, რაც ნიშნავს, რომ სამყარო შეიქმნა ღვთის ნების საწინააღმდეგოდ (იხ. ქვემ.). ამ დანაშაულის გამოსასწორებლად ღმერთი დაემსგავსა ადამიანს და გახდა მოჩვენებითი კაცი. ესაა დოკეტიზმი, რომლის თანახმადაც მაცხოვარი იესო ქრისტე არც სრული ღმერთია და არც სრული კაცი: იგი მოჩვენებითია. მისი მობრძანებით ქვეყანას არა თუ შეემატა რამე, არამედ დააკლდა, რადგან წარიყვანს პნევმატიკოსთა ოჯახს, რომლის წევრები მიმოფანტული არიან სხვადასხვა ტომში. ცხადია, აქ გნოსტიკოსები იგულისხმებიან, რომელთა სამომავლო ბედნიერება, მათივე პიროვნების გამორჩეულობის გამო, გარანტირებულია.

თავისებურია გნოსტიკოსების დამოკიდებულება ბიბლიასთან. ისინი მკვეთრ ზღვარს დებდნენ ძველსა და ახალ აღთქმას შორის. ძველი აღთქმის ღმერთს – იაჰვეს – სახავდნენ ბოროტ ძალად, ბოროტ შემოქმედად ანუ ბოროტ დემიურგად, რომელიც დაამარცხა იესო ქრისტემ.

თავდაპირველად უზენაესი სიკეთე არსებობდა, რომლის წიაღიდან იშვა მდედრული ძალა. ამ ორი საწყისისაგან – უზენაესისა და მდედრული ძალისაგან – განხორციელდა შობათა სერია, შეიქმნა მრავალი სულიერი არსება, შეიძლება ითქვას – ციური იერარქია.

უზენაესი იერარქიის უქვემოეს საფეხურზე მყოფმა ძალამ – სოფიად სახელდებულმა, აღფრთოვანებულმა უზენაესი მამის მიერ აღსრულებული შესაქმით, მოინდომა რომ თვითონაც აღესრულებინა შესაქმე და მან მართლაც შექმნა არსება, რომელიც შორსაა სრულყოფილებისაგან. ესაა იაჰვე ანუ, გნოსტიკოსთა სახელწოდებით, იალდაბაოთი, რომელიც ერთდროულად ღვთიურიცაა და არასრულყოფილიც. ამის გამო კი – ამპარტავნებით და შურით აღვსილი. იგი თავს უზენაეს ღმერთად თვლის და სოფიას ნაპერწკალს მოსტაცებს.

ამ ნაპერწკალის საღვთო წიაღისაგან განშორებამ მთელი ზეციური სისავსის (რომელიც უკვე აღარაა სისავსე), ყველა ზეციური ძალის ტანჯვა გამოიწვია. რადგან დაირღვა სისავსე, ზეციური ძალები ცდილობენ დასაბამიერი სრულყოფილების აღდგენას. მათ საპირისპიროდ იალდაბაოთი ქმნის ადამს, შემდეგ კი – ევას, რომ ზეციური სისავსისაგან მოწყვეტილი ნაპერწკალი მათში გადამალოს და ამ გზით შეინარჩუნოს იგი. თავად კი იბატონოს და იმეფოს საკუთარ ქმნილებებზე. სახელდობრ – ადამიანზე.

იწყება ომი ორ ზეციურ ძალას – უზენაეს არსსა და იალდაბაოთს – შორის.

სოფია გველის სახით დედამიწაზე მოციქულს მოავლენს, როიმ გამოფხიზლდნენ ადამი და ევა და გაიცნობიერონ მათში არსებული საღვთო ნაპერწკლის სიდიადე. იალდაბაოთი მყისვე გამოდევნის ჩვენს წინაპრებს სამოთხიდან და ხელს შეუწყობს მათ ხორციელ გამრავლებას, რომ ამ გზით დაანაწევროს საღმრთო ნაპერწკალი და გაფანტოს იგი სხვადასხვა ადამიანში.

...გამოხდება ჟამი და უზენაესი წიაღიდან მოივლინება მხსნელი – მაცხოვარი, რომლის მიზანია, მოიძიოს მხოლოდ ამ ნაპერწკლის შემცველი ადამიანები, შეაგნებინოს მათ მათივე ციური წარმომავლობა და წუთისოფელში გაფანტული საღვთო ნაპერწკლები უზენაესი წიაღისაკენ მიაქციოს, კვლავ აღადგინოს ზეციური სამყაროს სრულყოფილება. **ადამიანები, რომლებმაც შეიცნეს მათში არსებული საღვთო ნაპერწკალი, არიან გნოსტიკოსები.**

ამრიგად, ეს მოძღვრება უარყოფს საყოველთაო ხსნის პრინციპს: გადარჩებიან მხოლოდ ისინი, რომლებსაც დასაბამიდანვე აქვთ **გნოსტიკური ნაპერწკალი.** მათთვის უცხოა აზრი სხეულებრივი აღდგომის შესახებ. პირიქით: აღსასრულის ჟამს ნივთიერება გაქრება.

პრობლემაა გნოსტიციზმის წარმომავლობისა და ისტორიული ფესვების გარკვევა. მათ ზოგი აღმოსავლურ რელიგიაში, ბუდიზმში, ხედავს. თუკი ეს ჰიპოთეზაა, აღნიშნავს ვ. სოლოვიოვი, უეჭველია კავშირი ნაკლებად პოპულარულ, მაგრამ მეტად ორიგინალურ სისტემასთან – მანდეიზმთან ანუ საბიზმთან. სიტყვა „მანდა“ მანდეურ ენაზე, არამეულის

ერთ-ერთ დიალექტზე, „ცოდნას“ ნიშნავს, მანდეველები – მცოდნეებს. ასევე: „საბი“ ითარგმნება ნათლისღებად, საბიელები – ნათელღებულებად.

მანდეიზმი აღმოცენდა მცირე აზიაში ძველი და ახალი წელთაღრიცხვების მიჯნაზე და დღესაც არსებობს. მიმდევრები თავიანთ თავს „იოანე ნათლისმცემლის ქრისტიანებს“ უწოდებენ და ამჟამად სახლობენ ევფრატის ქვემო წელსა და ერაყის მიდამოებში. XIX ს-ის ბოლოს მათი რიცხვი 20000 არ აღემატებოდა. ჰყავთ სასულიერო პირები და გააჩნიათ საღვთისმსახურო და დოგმატური შინაარსის წიგნები, წარმოშობით ძველი (I-III სს.), მაგრამ მუჰამედის შემდეგ გადამუშავებული. უმთავრესია: „გინზა-რაბბა“ (დიდი საცავი), „იოანეს წიგნი“ და „კოლასთა“, სადაც თავმოყრილია მითები, ჰიმნები და დარიგებები.

მანდაველები მამათმთავრად იოანე ნათლისმცემელს ასახელებენ. უკანასკნელს გნოსტიკოსთა სისტემაშიც გამორჩეული ადგილი ეჭირა. იგი ძველი და ახალი ეპოქების მიჯნაზე დგას და თითქოს ბუნებრივია, რომ მის თაყვანისმცემელთა კულტში, ე.ი. მანდეველთა და გნოსტიკოსთა შორის, აღრეულია წარმართობა და ბიბლია.

მანდეველთა თეოლოგია ზოგადად ასეთია:

ღვთაება ანუ აბსოლუტი დიფერენცირებულია ნათელ ძალებად ანუ ეონებად. ესენია: დიდი გონება (მანა-რაბბა), ცხოვრება, წყნარი ქროლვა, მზის ღმერთი (სამ-სემირი), ცის ღმერთი (იუშამინი), რომელიც მყოფობს ცვართა სათავესთან და სინათლის წყაროსთან, ციური იორდანე – გონების მკურნალი, რაც ესატყვისება გნოსტიკოსთა სოფიას და რომელიც წარმოდგენილია ყოვლისმომცველ ხედ, რომელიც აერთიანებს ბიბლიურ ორ ხეს – სიცოცხლის ხესა და შემეცნების ხეს.

ჩვენი სულები ღვთის გამოსხივებანი არიან, თუმცა დაბნელებულნი და დატყვევებულნი მატერიალურ ყოფაში. მათი ხსნისათვის ეონები სახლდებიან რჩეულებში, მაგალითად, იოანე ნათლისმცემელში, რომელიც აფუძნებს რელიგიურ განბანას და ჩაყვინთვას სულის განწმენდის სიმბოლოდ ციურ იორდანეში. სოფიასთან (სიბრძნესთან) ზიარებულებმა ანუ განდობილებმა თავი უნდა შეიკავონ ხორცის ჭამისაგან, ღვინის სმისაგან და სქესობრივი კავშირისაგან. ისინი განყენებულნი არიან უწმინდური მსოფლიოსაგან; ფლობენ საიდუმლოს და გულმოდგინედ ფარავენ უზიარებელთაგან.

მანდეველთა სექტა, ყველა მონაცემის მიხედვით, გნოსტიციზმის მემკვიდრეა.

ასე რომ, შეიძლება ითქვას: თუმცა ხანგრძლივი საღვთისმეტყველო პაექრობის შემდეგ, II-IV სს-ში, გნოსტიციზმი ძლეულ იქნა, ნაშთის სახით აქა-იქ დღესაც სულდგმულობს ცალკეული ჯგუფებისა თუ პიროვნებების ცნობიერებაში.

ორიგენიზმი

ამ მოძღვრების ბურჯია მღვდელი **ორიგენე**.

იგი დაიბადა 185 წლის ახლო ხანს ქ. ალექსანდრიაში ბერძნისა თუ ელინიზებული ეგვიპტელის ოჯახში. მიიღო შესანიშნავი განათლება მამის – ლეონიდეს – წყალობით. მის მასწავლებლებად ასახელებენ სახელგანთქმულ კლიმენტი ალექსანდრიელს და ფილოსოფოს ამონიოს საკას – ქრისტიანყოფილ წარმართს. დევნილების ჟამს მამამისი გაასამართ-

ლეს და ქონება ჩამოართვეს. სახლი გაპარტახდა. დედა და ექვსი უმცროსი ძმა ორიგენეს კმაყოფაზე აღმოჩნდა. იგი ასწავლიდა გრამატიკას და რიტორიკას ალექსანდრიის კატეხიზმურ სკოლაში, რომლის წინამძღვრადაც დაინიშნა იგი 17 თუ 18 წლის ასაკში. გავრცელდა ხმა – ჭაბუკმა მოძღვარმა, ლამაზმან მონაფე გოგონებთან ცდუნების შიშით, თავი დაიკოდა, თუმცა ამ ცნობას ეკლესიის ძველი ისტორიკოსები საეჭვოდ მიიჩნევენ. სიმართლე არავინ იცის, მაგრამ ფაქტია, რომ ორიგენემ ადრევე მოიხვეჭა ჩინებული მასწავლებლისა და ღვთისმეტყველის სახელი. მისი შრომები ხელიდან ხელში გადადიოდა.

216 წელს ალექსანდრიაში ქრისტიანთა დევნა განახლდა და, თაყვანისმცემელთა დაჟინებული თხოვნის თანახმად, ორიგენე პალესტინაში გადავიდა, სადაც ეპისკოპოსებმა – ალექსანდრე იერუსალიმელმა და თეოქტისტე კესარიელმა – საპატიო თავშესაფარი მისცეს და, თუმცა ჯერაც ერისკაცი იყო, აკურთხეს მრევლის წინაშე საღმრთო წერილის მქადაგებელ-კომენტატორად. მალე ხარისხშიც აიყვანეს და 228 წელს მღვდლად ხელი დაასხეს, რამაც ალექსანდრიის მღვდელმთავრის – დიმიტრიოსის – აღშფოთება გამოიწვია. მან გაიხსენა და ირწმუნა ადრე დარხეული ჭორი და ორიგენეს შემდეგი ბრალდებები წაუყენა: 1. თვითკასტრაცია, 2. უფლებამოსილების გადაჭარბება (რომ ერისკაცი ეპისკოპოსების წინაშე ქადაგებდა ბიბლიას) და 3. საეკლესიო კანონების აბუჩად აგდება (რადგან იგი ალექსანდრიის მოქალაქედ ითვლებოდა, იქაური ეპისკოპოსის ნებართვის გარეშე სხვა ეპარქიაში მისი ხელდასხმა არ ეგებოდა). 231 წელს საქმე განიხილა ადგილობრივმა საეკლესიო კრებამ და გამოიტანა ულმობელი განაჩენი – ორიგენე გამოაცხადა უღირს პედაგოგად და განაშიშვლა მღვდელობისაგან, რაც საგანგებო სიგელებით ეცნობა მეზობელ მღვდელმთავრებს. ზოგიერთმა ეკლესიამ, მათ შორის, ცხადია, კესარიისა და იერუსალიმის ეპისკოპოსებმა აღნიშნული განჩინების მადლმოსილება არ ცნეს და, მეტიც, ორიგენეს პალესტინის კესარიაში გაახსნევინეს სასულიერო სასწავლებელი, რამაც მსმენელთა დიდი რიცხვი მიიზიდა, ხოლო მოძღვართმოძღვრის ავტორიტეტმა მწვერვალს მიაღწია. მან იმოგზაურა ათონსა და არაბეთში. ბევრი გნოსტიკოსი დაუბრუნა კათოლიკე ეკლესიას.

...დაიწყო მორწმუნეთა რბევა-აწიოკება. ორიგენე შეიპყრეს, სცემეს და ცხრაკლიტულში ჩასვეს, რამაც გატეხა მისი ჯანმრთელობა და 253 თუ 254 წელს სული განუტევა.

თანამედროვეთა უწყებით, ორიგენეს პიროვნება მთლიანად განემსჭვალა რელიგიურ და ინტელექტუალურ ინტერესებს. მატერიალურ მხარეზე ნაკლებად ზრუნავდა. მარხულობდა ფიცხლად: ასკეტობდა და ქველმოქმედებდა. ეწეოდა დევნილების მსხვერპლთ და მათ ოჯახებს.

მას დარჩა უმდიდრესი წერილობითი მემკვიდრეობა, ერთი ცნობის თანახმად, – 6000 თხზულება. ძირითადი ნაწილი, საბედნიეროდ, შემორჩენილია. მათგან აღსანიშნავია შემდეგი: ეგზეგეტიკური თხრობანი, პოლემიკური და დიდაქტიკური წერილები, „ლოცვის შესახებ“, „მოწამეთა შემაგონებელი სიტყვა“, „საწყისთა შესახებ“, ეპისტოლეები ამონიოსისადმი, გრიგოლ საკვირველმოქმედისადმი და სხვა. მისი რჩეული თხზულებების კრებულს „ფილოკაკია“ (მშვენიერების მოყვარეობა) ეწოდება. საგანმანათლებლო და მეცნიერული თვალსაზრისით გამოირჩევა „ჰეგზალპები“ ანუ ექვსნაწილედი. ესაა ძველი აღთქმის ნუსხა

6 სვეტად: პირველში წარმოდგენილია ებრაული ტექსტი დედნის ანბანით, მეორეში – იგივე ტექსტი ბერძნული ტრანსკრიფციით, მესამეში – აკვილას თარგმანი, მეოთხეში – სხვიმახოსის, მეხუთეში – სეპტუაგინტა და მეექვსეში – თეოდოტიონის. ასე რომ, სახეზეა სოლიდური ტექსტოლოგიურ-ფილოლოგიური შრომა ჭეშმარიტების დადგენის ანუ ორიგინალის თავდაპირველი ტექსტის შეძლებისამებრ აღდგენის მიზნით. ავტოგრაფიული ეგზემპლარი ჯერ ტვიროსში ინახებოდა, შემდეგ კესარიაში 653 წლამდე, როდესაც დაიწვა არაბების მიერ ქალაქის აღების დროს.

ორიგენეს რელიგიურ-ფილოსოფიური მოსაზრებები და პოზიცია ყველაზე თვალსაჩინოდ ჩამოყალიბებულია შრომაში „საწყისთა შესახებ“ („პერი არხონ“).

ჭეშმარიტი შემეცნების ანუ ჭეშმარიტების წყარო არის იესო ქრისტეს სიტყვა, რაც დაუნჯებულია საღმრთო წერილსა და საეკლესიო გადმოცემაში. ორიგენეს თქმით, საღმრთო და სამღვდელო წერილში ზოგიერთი პუნქტი ჩამოყალიბებულია სრულყოფილად და ნათლად, სადავოც არაფერია. ზოგიერთი კი საჭიროებს ახსნა-განმარტებას.

მისი მოძღვრება 9 პუნქტად იყოფა: 1) ღმერთი არის ერთი, შემოქმედი და ყოველივე არსებულის განმგებელი, – იესო ქრისტეს მამა. იგი ერთი და იგივეა სიკეთესა და მართლმსაჯულებაში, ახალში და ძველ აღთქმაში (გნოსტიკოსთა საპირისპიროდ); 2) იესო ქრისტე არის მამისაგან შობილი უწინარეს ყოველი ქმნილებისა. იგი ემსახურებოდა მამას ქვეყნის შექმნისას და უკანასკნელ ჟამს ღვთისაგან განუშორებელად განკაცდა, – შეიმოსა ნამდვილი ხორცის სხეული და არა მოჩვენებითი. ნამდვილად იშვა ქალწულისა და წმიდა სულისაგან. ნამდვილად ივნო. მოკვდა და აღდგა. დაბრუნდა თავის მოწაფეებთან და მათ წინაშე მიწიდან ამაღლდა; 3) წმიდა სული პატიოსნებით და ღირსებით ეზიარება მამას და ძეს. იგი ერთი და იგივეა ყველა წმინდანში ძველი თუ ახალი აღთქმისა; 4) კაცის სული, რომელიც ფლობს საკუთარ პიროვნებას და ცხოვრებას, აღდგომის დღეს შეიძენს განუხრწნელ სხეულს. თუმცა სულის წარმოქმნისა და გამრავლების წესზე საეკლესიო სწავლებაში გამოკვეთილი არაფერია; 5) ყველა გონიერ არსებას მიემადლა თავისუფალი ნება ბოროტ ძალებთან ბრძოლაში, რის გამოც გვაკისრია პასუხისმგებლობა ამქვეყნადაც და საიქიოშიც; 6) არსებობს ეშმაკი და მისი მსახურები, მაგრამ ბუნებასა და მის წესზე მათი მოქმედება მოაშთეს მოციქულებმა; 7) ამჟამინდელი ხილული ქვეყანა შემოფარგლულია: აქვს საწყისი და სასრული დროში, მაგრამ იმის შესახებ, თუ რა იყო ადრე და რა იქნება შემდეგ, ანდა – სხვა ხილული ქვეყნის თაობაზე, საეკლესიო სწავლებაში გარკვეული არაა; 8) საღმრთო წერილი, რომელიც შთაგონებულია წმიდა სულით, ზედაპირულისა და ანბანურის გარდა, შეიცავს კიდევ სხვა, იდუმალსა და სულიერ აზრებს; 9) უდავოა კეთილი ანგელოზების არსებობა და ღვაწლი: ემსახურებიან ღმერთს ჩვენი ხსნისათვის, მაგრამ მათი ბუნების, წარმოშობის და მყოფობის წესის შესახებ გარკვევით არაა თქმული საეკლესიო სწავლებაში მსგავსად მზისა, მთვარისა, ვარსკვლავებისა. 10) ჯოჯოხეთი გაუქმდება და საბოლოოდ ყველა ცხონდება. ესაა აპოკატასტასი.

აი, ამ „სიცარიელის“ შევსებისა და ნათელფენის მიზნით ორიგენემ გამოკვეთა თეორიები, რაც მისმა მოწაფეებმა და მოწაფეთა მოწაფეებმა განავითარეს, ახალი დეტალებით

და არგუმენტებით შეავსეს, გაამძაფრეს. ასე ჩამოყალიბდა ორიგენისტობა, რამაც ეკლესიის წიაღში მითქმა-მოთქმა და სქიზმა გამოიწვია; წარმოიქმნა ორი მტრული ბანაკი – ორიგენელები და ანტიორიგენელები. მათი წინააღმდეგობის ტალღა ნელნელა ზვირთდებოდა და ზოგან, მაგალითად, წმ. საბას ლავრაში, სიტყვიერ და ფიზიკურ შეურაცხყოფამდეც კი მიდიოდა. იმპერატორმა იუსტინიანე დიდმა საგანგებო ზომებს მიმართა: 543 წელს კონსტანტინოპოლში მოიწვია ადგილობრივი საეკლესიო კრება, რომელმაც განიხილა „ორიგენიზმის“ პრობლემა. წამოაყენეს 10 მუხლისაგან შემდგარი ბრალდება. გამოუცხადეს ანათემა ორიგენეს და მის მიმდევრებს, ხოლო თხზულებანი განადგურების ღირსად ცნეს. ეს უკიდურესი და ულმობელი განაჩენი იყო, რასაც, ჩანს, ბევრი გრძნობდა კიდეც და ნანობდა. ამიტომ ათი წლის შემდეგ კონსტანტინოპოლის V მსოფლიო საეკლესიო კრებამ გადასინჯა აღნიშნული საქმე და ბრალდებათა რიცხვი შეამცირა, მაგრამ ორიგენელებს და მათ მამათმთავარს ერეტიკოსის იარლიყი შეუნარჩუნა.

ორიგენიზმის არსებით ნიშანს შეადგენს: 1. სამების წევრთა ურთიერთდაქვემდებარებულობა ანუ სუბორდინიზმი, რაც, ცხადია, არღვევს ერთარსება-სამების დოგმატს; აღიარებს მასში იერარქიას და თვლის, რომ მამა აღემატება ძეს, ძე – სულს; 2. სულების წინასწარ არსებობის და გარდასხეულების ანუ რეინკარნაციის თეორია. მის თანახმად (როგორც აღმოსავლურ რელიგიებშია) სული არსებობს ხორცის უწინარეს და სახლდება ერთი სხეულიდან მეორეში: განიცდის მეტემფსიქოზს (აქ საგრძნობია პლატონის გავლენა); 3. რწმენა ეშმაკის გამოსწორების, ჯოჯოხეთის მოსპობის და საყოველთაო ცხონების შესახებ.

აღნიშნულის მიუხედავად, ორიგენეს დამსახურება მართლმადიდებელი ეკლესიის წინაშე უდავოა. შეიძლება ითქვას, მან ერთ-ერთმა პირველმა ჩაუყარა საფუძველი ქრისტიანული დოგმატების მეცნიერულ-ფილოსოფიურ ენაზე გამოთქმას და გაამდიდრა საეკლესიო მწერლობა. აღზარდა ღვთისმეტყველთა დასი, რომელთა შორის ბრწყინავენ დიონისე ალექსანდრიელი და გრიგოლ საკვირველმოქმედი. მას დიდად აფასებდნენ კაბადუკიელი მამები.

არიანობა

ესაა გახმაურებული წვალება, რომელიც მღვდელმა არიოზმა ჩამოაყალიბა.

არიოზი 256 წელს ალექსანდრიაში დაიბადა. განისწავლა ანტიოქიის სასულიერო სკოლაში მღვდელმოწამე ლუკიანეს, სეპტუაგინტას ცნობილი რედაქტორის (იხ. ზემ.), ხელმძღვანელობით. ფიქრობენ, რომ მოძღვარმა ჩაუნერგა მას თესლი, რაც შემდეგ განხეთქილების ვაშლად აღმოცენდა.

ერთხელ, 318 წელს, ალექსანდრიის ეპისკოპოს ალექსანდრეს თავის მღვდლებთან კერძო საუბარში უთქვამს: „წმ. სამება სამობით ერთია“, ე.ი. სამების თითოეული წევრი თანაარსიაო. მსმენელთაგან თურმე არიოზი შეეპასუხა: „რადგან მამამ შვა ძე, შობილის, როგორც ასეთის, არსებობას აქვს დასაბამი. მაშასადამე, იყო დრო, როდესაც ძე არ იყო და იგი თავის არსებობას იწყებს არარსებობიდან“. ასე რომ, ძე ანუ სამების მეორე ჰიპოსტასი არის წარმონაშვი და ქმნილებაო. ატყდა კამათი, რაც მაშინ დიდხანს არ გაგრძელებულა,

მაგრამ ქარიშხალი მალე ამოვარდა: მღვდელი თავდაჯერებას მიეცა და გამვლელ-გამომ-ვლელთ თავის აზრებს შთააგონებდა. სასულიერო და საერო პირებმა მოითხოვეს, რომ ეპისკოპოსს აელაგმა ეს თვითნებობა და „ტვინის ჭყლეტა“. მეუფემ საგანგებო სხდომა მოიწვია, იმსჯელა და გამოიტანა დასკვნა, რომ „ძე მამის თანადროული და თანაარსია“ და არიოზს ქადაგება აუკრძალა, მაგრამ მას უკვე შეეკრიბა თანამოაზრეთა დიდი გუნდი, მათ შორის რამდენიმე ეპისკოპოსი, რომლებიც ენთუზიაზმით ავრცელებდნენ წვალებას ეგვიპტესა და მის ფარგლებს გარეთაც კი. ალექსანდრე ალექსანდრიელმა, რადგან გადარ-წმუნების ყველა მამაშვილური საშუალება ამოწურა, უკიდურეს ზომას მიმართა და ურჩი მოძღვარი კათოლიკე ეკლესიისაგან განკვეთა ერეტიკოსობის ბრალდებით.

არიოზი გაშმაგდა. მან წერილობითი საჩივრით მიმართა ნიკომიდიის მღვდელმთავარ ევსევის – თანაკურსელს ანტიოქიის სასწავლებლიდან. უკანასკნელმაც შეიწყნარა მსჯავ-რდებული და ქადაგების უფლება მისცა. ალექსანდრიელმა ეპისკოპოსმა საგანგებო და ვრცელი ეპისტოლე დაუგზავნა თითქმის ყველა ქალაქის ეპისკოპოსებს, სადაც ამხილა და გააცამტვერა ახალი ერესი. ერესიარქმაც არ დააყოვნა: პასუხად დაწერა და გაავრცელა წიგნი სათაურით „თალია“, რაც ნიშნავს ლხინს, ნადიმს. იქ პოეტური ფორმით, ნახევრად ლექსად, ნახევრად პროზით, ლამაზად და მიმზიდველად, ჩამოაყალიბა თავისი მოძღვრება, რომლის მიმდევართა რიცხვი ივსებოდა და მრავლდებოდა.

ვითარება დაიძაბა. საქმე გაწევ-გამოწევამდე მივიდა. ცნობა იმპერატორსაც მიაწოდეს – კონსტანტინე დიდს. მან ნეიტრალური პოზიცია დაიჭირა და თანაბარი სიყვარულით მიმართა დაპირისპირებულ მხარეებს, შეეწყვიტათ „კინკლაობა“, „მათივე გულის სიღრმეში შეენახათ“ კერძო აზრები.

ხელმწიფის ავტორიტეტმაც ვერ გაჭრა. მაშინ მეფემ ისტორიაში არსმენილ საშუალებას მიმართა: ბრძანა ეკუმენური კრების მოწვევა („ოიკუმენედ“ იწოდებოდა ცივილიზებული მსოფლიოს ის ნაწილი, სადამდეც რომის კულტურულ-პოლიტიკური გავლენა ვრცელდე-ბოდა). ორგანიზაცია დაიგეგმა: 325 წლის ივნისის მეორე ნახევრისათვის ქ. ნიკეაში მობ-რძანება სთხოვეს დედამიწის ყველა ეპისკოპოსს. ასეც მოხდა: შეიკრიბა 318 მღვდელმთა-ვარი თანმხლები პირებითურთ – სასულიერო და საერო საყდრიონით, რომლის რიცხვს, ერთი წყაროს თანახმად, „სათვალავი არ ჰქონდა“. მათ შორის ყოფილა ბიჭვინთის ეპის-კოპოსი სტრატოფილე. მგზავრობის, ბინისა და კვების ხარჯები კონსტანტინემ იკისრა.

აღნიშნული წლის 4 თუ 5 ივლისს ნიკეაში ჩაბრძანდა იმპერატორი და კრებაც მეორე დღესვე გაიხსნა. სხდომები ტარდებოდა სამეფო სასახლის დიდ დარბაზში. იქვე იყო არიოზი თავისი ფრაქციით (სხვადასხვა მონაცემის მიხედვით მის მხარეზე 10, 17 თუ 22 ეპისკოპოსი იდგა). ხელისუფალი ეპისკოპოსებს შორის იჯდა. მას მიესალმა ევსევი კესარიელი (მეორე მონაცემით – ევსტათი ანტიოქიელი). საპასუხო სიტყვა წარმოითქვა ლათინურად, რაც სინქრონულად ითარგმნებოდა ბერძნულად (ჩანაწერი შემონახულია). მეფემ, თუმცა ჯერ მონათლული არ იყო, ეპისკოპოსებს ძმები და თანამოსაგრენი უწოდა; აღნიშნა, რომ ვართ სამწუხარო ფაქტის მოწმენი: დევნილების ხანაში ქრისტიანთა შორის თანხმობა და ძმობა სუფევდა, დღეს კი ერთმანეთს ვჭამთო. მისი თქმით, სარწმუნოებრივი განხეთქილება სახელმწიფოს მთლიანობას

არღვევს და ეს ამბავი უფრო სავალალოა, ვიდრე გარეშე ომებიო... დაიწყო ოფიციალური კამათი. სიტყვა დავიდარაბის მიზეზს – არიოზს – დაუთმეს. მან თავმოწონებით დაადასტურა ბრალდება, რასაც საზოგადო აღშფოთება მოჰყვა. გამოვიდნენ მისი მომხრეები. ევსევი ნიკომიდიელმა წაიკითხა არიანელთა მრწამსი ანუ რწმენის სიმბოლო, მაგრამ გრაგნილი, რაზეც წარმოდგენილი იყო ტექსტი, წამში ნაფლეთებად აქციეს. მაშინ ევსევი კესარიელმა, თავდაჭერილმა არიანელმა, კრებას მეორე ვარიანტი შესთავაზა, სადაც ნათქვამი იყო, რომ ძელმერთი არის „ყოველი ქმნილების უწინარეს შობილი“.

ასე რომ, არიანელებს შორის გამოიკვეთა ორი შტო: **რადიკალები** (ევსევი ნიკომიდიელი) და **ზომიერები** (ევსევი კესარიელი). მეფემ და სულიერმა მამებმა ორივე პოზიცია დაგმეს. ჭეშმარიტი ცოდნის ჩამოყალიბების გზაზე მთავარი სიტყვა ალექსანდრე ალექსანდრიელმა და ახალგაზრდა დიაკონმა ათანასემ თქვეს. უკანასკნელი შემდეგ აფრიკის ეკლესიათა მმართველი და ღვთისმეტყველების ბურჯთაგანი გახდა: ახოვნად აღუდგა წინ ერესს და მისივე ისრით (დიალექტიკით, ელინური ფილოსოფიით, მეცნიერული აკრიბიით ანუ სიზუსტით) განგმირა იგი; გააბათილა არიოზის ყველა არგუმენტი; სხვა მამების თანამონანილეობით ჩამოაყალიბა რწმენის სიმბოლო და მოამზადა განჩინება, რომლის ძალითაც ანათემაზე გადაეცა ანუ ეკლესიისაგან განიდევნა ყველა, ვინც ფიქრობდა და ავრცელებდა ხმას – „იყო დრო, როცა ძე არ იყო“, რომ იესო „იშვა არარსებობიდან, შეიქმნა და შეიცვალაო“. ამის საპირისპიროდ ფორუმმა ჩამოაყალიბა დოგმატი, რომ **ღვთის ძე არის თანაარსი და თანასწორი მამისა და სულიწმიდისა,** – „მამისაგან შობილი უწინარეს ყოველთა საუკუნეთა“, “შობილი და არა ქმნილი“. კრების აბსოლუტურმა უმრავლესობამ ეს თვალსაზრისი შერაცხა ღვთის სიტყვად და წმიდა სულის სუნთქვად, რაც აისახა კიდეც იმპერატორის საბოლოო სიტყვასა და სიგელში.

მართალია, სამეუფო გზამ გაიმარჯვა, მაგრამ არც მწვალებლობამ დახარა თავი. არიანელები, რომელთა დიდი ნაწილი პროვინციებში გადაასახლეს, კვლავ გააქტიურდნენ. მალე სეფეკაცებიც მოინადირეს და კონსტანტინემ გული იბრუნა მათზე. მან, დის – კონსტანტიას – თხოვნის თანახმად, ექსორიობიდან დააბრუნა არიოზი; მისი ხარისხში აღდგენა ინება და, რადგან წმ. ათანასემ უარი უთხრა, ბრძანა, დედაქალაქის ეპისკოპოსს აღესრულებინა მისი წადილი, მაგრამ ერესიარქი 336 წელს მოულოდნელად გარდაიცვალა.

არიანელები უფრო აღბორგდნენ. მათ მხარეზე კონსტანტინე დიდის შვილი და მემკვიდრე აღმოჩნდა – კონსტანცი. მან ნამდვილი ომი გამოუცხადა მსოფლიო კრებას და მის მიმდევრებს. მრავალი ეპისკოპოსი განდევნა და დააპატიმრა. ალექსანდრიელი ათანასეს შეპყრობაც მოიწადინა, მაგრამ მორწმუნეებმა წინააღმდეგობა გაუწიეს და მღვდელმთავარი გადამალეს. ამის შემდეგ მას იმპერატორი „მაწანწალას“ და „შფოთისთავს“ უწოდებდა და ეძებდა მსჯავრის დასადებად. წმ. ათანასეს რომის პაპი იცავდა და მფარველობდა.

კონსტანცის შემდეგ ატმოსფერო გაუარესდა. ივლიანე განდგომილისა და ვალენტიოსის ხანა ერესების აღზვავებით აღინიშნა. მომძლავრდნენ უკიდურესი არიანელები – **ევნომიანელები** და **ევდოკიანელები**. აგრეთვე – **ნახევარარიანელები,** რომლებიც ასწავლიდნენ, რომ ძე მამის მსგავსია („ჰომოიუსიოს“), მაგრამ არა თანაარსი („ჰომოუსიოს“), როგორც

დაადგინა მსოფლიო კრებამ. ბობოქრობდნენ **მაკედონიანელები.** ისინი უარყოფდნენ წმიდა სულის ღვთაებრივობას და, მაშასადამე, სამების დოგმატს. საეკლესიო პრაქტიკაც ქაოსს მოეცვა. ანტიოქიაში, მაგალითად, ორი ეპისკოპოსი მეუფებდა: ერთი – მწვალებელი, მეორე – მართლმადიდებელი, რომის საყდრისაგან დადგინებული.

ასეთ გარემოში გამეფდა თეოდოსი დიდი, რომელმაც სატახტო ქალაქში – კონსტანტინოპოლში – 381 წელს, გრიგოლ ღვთისმეტყველის (ნაზიანზელის) მღვდელმთავრობის ჟამს, მოიწვია კრება „მთელს იმპერიაში ნიკეის სწავლების დასამტკიცებლად ყველა ერესის წინააღმდეგ". შემადგენლობით ეს თავყრილობა ადგილობრივი იყო (მონაწილეობდა 150 ეპისკოპოსი), მაგრამ საღვთისმეტყველო საკითხების „ღირსეულად და საყურადღებოდ" გადაწყვეტის გამო მსოფლიო კრების ავტორიტეტი მოიხვეჭა, რაც მოგვიანებით დაადასტურა კიდეც რომის პაპმა. სხდომებს პირველად მელეტი ანტიოქიელი უძღვებოდა. მისი გარდაცვალების შემდეგ – გრიგოლ ღვთისმეტყველი, ბოლოს კი – ნექტარიოსი. აქტიურობდა გრიგოლ ნოსელიც. ძირითადად განიხილეს ორი საკითხი: მრწამსი და ერესები. დაადასტურეს ანუ კვლავ „დაბეჭდეს" და დააზუსტეს რწმენის სიმბოლო, რაც წინა კრებამ შეიმუშავა და რაც ეკლესიათა საერთო სარწმუნოების ჭეშმარიტ ბალავერად იქცა. არიოზის მოძღვრება კვლევ უშეღავათო და უცვალებელ ანათემას მიეცა.

მეცნიერებაში დამკვიდრებულია აზრი, რომ დასავლეთის ზოგიერთ ეკლესიაში სწორედ არიანელთა, უფრო ზუსტად – მაკედონიანელთა, საპირისპიროდ დაამატეს მრწამს „ფილიოკვე" ანუ სამების მესამე წევრის ძისაგანაც გამოსვლის დოგმა, რაც რამდენიმე საუკუნის შემდეგ ბევრი უსიამოვნების საბაბად იქცა.

V-ს-ის I ნახევარში არიანელობა ისტორიას ჩაბარდა, თუმცა მისი გავლენა დიდხანს იგრძნობოდა ზოგიერთი ტომის სარწმუნოებაზე, რომლებმაც აღნიშნულ პერიოდში იწამეს ქრისტეს რჯული. კერძოდ – გუთების, ვანდალებისა და ბურგუნდების ეკლესიებზე. საგრძნობია, გნოსტიციზმთან ერთად, მისი როლი იმ თანამედროვე მიმდინარეობაზე, რომლის წევრები თავიანთ თავს „იეჰოვას მოწმეებს" ეძახიან (იხ. ქვემოთ).

დავძენთ: ძველ ქართულ საღვთისმეტყველო-ლიტურგიკულ კრებულებში – მრავალთავებში – შემონახულია ქადაგება, რომელიც, ზედწერილის მიხედვით, ჩვენს განმანათლებელ მოციქულთასწორ ნინოს წარმოუთქვამს ქრისტეს ვენახში არიანელთა ბობოქრობის ჟამს ნათლისღების ანუ სამებობის დღესასწაულზე.

ესაა თეოლოგიურ-ტრიადოლოგიური ტრაქტატი, სადაც ვკითხულობთ:

„ღმრთეება ერთ არს, ბუნება იგივე არს და ძლიერება დაუსრულებელ... ყოვლისა მპყრობელობა ერთარსებით აქვს, რამეთუ სრული ღმერთი არს მამა და სრული ღმერთი არს ძე და სრული ღმერთი არს ყოვლადწმიდა სული. ბუნება ერთი არის და იგივე ღმრთეება და არა განვკვეთო. ხოლო ერთარსება არს უკვდავი, გარნა თვის-თვისება განეყო: რამეთუ მამა მარადის მამა არსს და არა იცვალების ძედ გინა თუ სულად და სული მარადის სული არსს და არა იცვალების მამად გინა თუ ძედ, რამეთუ სული არა მშობელ არს და არცა შობილ, არამედ სული ღმრთისა პირისა არს და შთაბერვა ქრისტესი ითქმის და არს გამოდინება სამარადისო და დაუწყვედელი".

ნესტორიანობა

კონსტანტინოპოლის ახალაღსაყდრებული მთავარეპისკოპოსი იმპერატორს ასე მიესალმა: „მომეც მე, ხელმწიფევ, მსოფლიო, განწმენდილი ერესებისაგან და მე მოგცემ შენ ციურ სამეფოს; მაბრძოლე მე ერეტიკოსების წინააღმდეგ და მე გაბრძოლებ შენ სპარსელების წინააღმდეგ“.

შეშფოთდნენ მწვალებლები. აღფრთოვანდნენ ექსტრემისტი ფანატიკოსები. დაფიქრდნენ ორთოდოქსი ღვთისმეტყველები.

რა ვიცით აღნიშნული სიტყვის ავტორის – ნესტორის – ცხოვრებისა და პიროვნების შესახებ?

წარმოშობით იგი სირიიდან, გერმანიკის კესარიიდან იყო. არც შთამომავლობა და არც დაბადების წელი ცნობილი არ არის. წმ. კირილე ალექსანდრიელის თქმით, „ის გამოვიდა სიბინძურიდან და მისი მოდგმა იყო სამარცხვინო“.

დაამთავრა ანტიოქიის საღვთისმეტყველო სკოლა. რამდენიმე წელი გაატარა მონასტერში და მღვდლად ეკურთხა. იყო კარგი მოქადაგე. თუმცა, ჟამთააღმწერლის შეფასებით, „მას ჰქონდა საკმაო მჭევრმეტყველება, მაგრამ ნაკლები გონიერება“. ამის მიუხედავად, პირადი აქტიურობითა თუ ნაცნობ-მეგობრების წყალობით, სამეფო კარის ნდობა დაიმსახურა და, იმპერატორ თეოდოსი II-ის (მცირის) ზეგავლენით, 428 წელს დედაქალაქის მთავარეპისკოპოსად აირჩიეს.

მღვდელმთავრობის პირველსავე დღეს, აღსაყდრების ანუ ინტრონიზაციის ზეიმზე, როგორც მივანიშნეთ, მან გამოხატა ზიზღი რწმენის სფეროში სხვაგვარად მოაზროვნეების მიმართ და ამ ზიზღს მოუძებნა პოლიტიკური და ეროვნული სარჩული. იგი ყოველდღე არწმუნებდა ხელისუფალს, რომ ქვეყნის მთლიანობისათვის აუცილებელია მონოკონფესიურობა. შესაბამისად, სექტანტობას და მწვალებლობას შედეგად მოაქვს სახელმწიფოს დაღუპვა და გაცამტვერება. იმპერიის დუღაბი მხოლოდ და მხოლოდ მართლმადიდებლობააო. შემდეგ ნესტორი ყველაფერში და ყველგან ლანდავდა ერესს, რასაც სამკვდროსასიცოცხლო ომი გამოუცხადა. მისი მეუფების წლებში სექტანტებს, რომლებსაც კონსტანტინეს ქალაქში შედარებით მოწყალე თვალით უყურებდნენ, დაუწყეს სასტიკი დევნა, – სვამდნენ ციხეში, ერეკებოდნენ, ართმევდნენ ქონებას, უხურავდნენ და უნგრევდნენ ეკლესიებს. დაწვეს არიანელთა ერთადერთი სამლოცველო, რაც თურმე სისხლის ფასად შეენარჩუნებინათ. ხანძარი მთელ კვარტალს მოედო და გადაბუგა. ერეტიკოს-სქიზმატიკოსების რბევა ვრცელდებოდა იმპერიის სხვა ნაწილებზეც, რაც ალაგ-ალაგ სისხლისმღვრელ შეტაკებებში იზრდებოდა. ანტაგონიზმი ღრმავდებოდა.

ამ დროს კი მძვინვარე ანტიერეტიკოსი თავად აღმოჩნდა ერეტიკოსი. გაეპისკოპოსებიდან რამდენიმე თვის თუ სულაც კვირის შემდეგ მან საკათედრო ტაძარში ასეთი დებულება ჩამოაყალიბა: ყოვლადწმიდა ქალწულ მარიამს არ შეეფერება სახელად „ღვთისმშობელი“, რადგან ღმერთს არ შეიძლება ჰყავდეს დედა – ეს წარმართობაა; ქალწულმა შვა არა ღმერთი, არამედ მხოლოდ ადამიანი, რომელსაც მის (დედის) გარეშე შეუერთდა ღვთის სიტყვა, – საუკუნეთა უწინარეს შობილი მამისაგან. ასე რომ, მქადაგებლის აზრით,

კაცი იესო, მარიამის შვილი, იყო ღვთის სავანე და ჩვენი ხსნის საჭურველი; ეს ადამიანი, წმიდა სულის გარდამოსვლის გზით, გახდა ქრისტე, ე.ი. ცხებული, და ღვთის სიტყვა დაემკვიდრა მასთან.

ამის გამო ნესტორმა მარიამი მოიხსენია არა ღვთისმშობელად (თეოტოკოს), არამედ „კაცისმშობელად“ (ანთროპოტოკოს). ეს თვალსაზრისი შემდეგ უფრო განავრცო და დააკონკრეტა, მაგრამ, რადგან ხალხის გულისწყრომა იგრძნო, კომპრომისზე წავიდა და „კაცისმშობელი“ „ქრისტესმშობლით“ (ქრისტოტოკოს) შეცვალა. თუმცა უკვე ყველასათვის ნათელი იყო, რომ საქმე ეხებოდა არა ტერმინს, არამედ ძირითად ქრისტიანულ დოგმატს განკაცების შესახებ. მართალია, ნესტორი, მონოფიზიტებისაგან განსხვავებით (იხ. ქვემ.), არ უარყოფდა ქრისტეში ორი ბუნების – ღმერთისა და ადამიანის – არსებობას, მაგრამ თვლიდა, რომ თითოეული მათგანი ცალ-ცალკე იშვა: ჯერ – კაცი, მერე – ღმერთი. ამ მსჯელობის მიხედვით ირღვეოდა დოქტრინა იესო-კაცისა და ქრისტე-ღმერთის ჰიპოსტასური იგივეობის შესახებ და გამოდიოდა დასკვნა, რომ ჯვარცმული ღმერთის სხეულში ორ ბუნებასთან ერთად ორი პიროვნება ცხოვრობდა.

ბიზანტიონი, რომელსაც შემდეგ კონსტანტინოპოლი ეწოდა, ღვთისმშობლის წილხვედრ ქალაქად ითვლებოდა და დიდი დედის მიმართ იქ განსაკუთრებული სასოება სუფევდა. ამიტომაც უფრო გაოგნდნენ და აღშფოთდნენ მსმენელები. შეიქმნა პატრიარქის თეოლოგიური ოპოზიცია ქილიკიის (შემდგ. კონსტანტინოპოლის) ეპისკოპოს პროკლესა და ადვოკატ ევსევის ხელმძღვანელობით. უკანასკნელმა თურმე ნესტორს ქადაგება მჭახე შეძახილით შეაწყვეტინა: „ტყუილია და ღვთის გმობა! ჭეშმარიტად ერთი და იგივე ღვთის სიტყვა შობილია მამისაგან მარადისობაში და განსხეულებული დროში ქალწულისაგან ჩვენი ხსნისათვის!“.

დაიწყო ერესის საჯარო მხილება. მალე კონსტანტინოპოლის კარიბჭეზე გამოაკრეს განცხადება გრაგნილის სახით, რაც მთავარხუცესს მწვალებლობაში სდებდა ბრალს, კერძოდ – II ს-ში დაგმობილი ერესიარქის **პავლე სამოსატელის** შეხედულებათა განახლებას: თითქოს ქრისტე იყო მხოლოდ უდიდესი წმინდანი და წინასწარმეტყველი, რომელშიც ყველაზე აღმატებული ძალით დამკვიდრდა სამების მეორე წევრი. ტექსტი მთავრდებოდა დასკვნით: „ანათემა, ვინც ყოფს ღვთის ძეს მარიამის ძისაგან!“

ნესტორმა, რადგან იმპერატორის მფარველობას იმედოვნებდა, რევანში წამოიწყო. ეკვეთა ოპონენტებს ეკლესიებსა თუ მონასტრებში და, პარალელურად, ჭეშმარიტი რწმენის იარლიყით გაავრცელა თავისი თეორია (არცთუ წარუმატებლად). მის თანამეინახეთა შორის აღმოჩნდნენ ანტიოქიის პატრიარქი იოანე და ეპისკოპოსი დოროთე. მათ მეტწილად ანტიოქური სკოლის წარმომადგენლებმა დაუჭირეს მხარი.

ცნობა ერესის აღმოცენების შესახებ ეგვიპტის უდაბნოსაც მისწვდა. ბერები ჯგუფ-ჯგუფად მიდიოდნენ **ალექსანდრიის ეპისკოპოს კირილესთან,** უკვე აღიარებულ ღვთისმეტყველთან, თხოვნით – ეთქვა სიტყვა ჭეშმარიტების დადგენის გზაზე. ასეც მოხდა: კირილემ შეადგინა და გაავრცელა ტრაქტატი, სადაც, ნესტორის მოუხსენიებლად, გაკიცხა ღვთის ქალწულის საშოშივე განკაცების უარმყოფნი. შემდეგ, ვინაიდან ვითარება იძაბებოდა, თავად ნესტორს გაუგზავნა „შეგონებანი“. უკანასკნელმა კი, დარწმუნებულმა თავის

სიმართლეში, **რომის პაპს ცელესტიუსს** აუწყა ყოველივე და სთხოვა მსჯავრის გამოტანა. პაპმა განიხილა ნესტორის თეორია და დაგმო. მან უფლებამოსილებით აღჭურვა კირილე ალექსანდრიელი, ემოქმედა მისი (პაპის) სახელით და, თუ საჭიროდ ჩათვლიდა, მოეთხოვა ნესტორისაგან ცდომილების უარყოფა ათი დღის განმავლობაში. წმ. კირილემ ერთხელ კიდევ აახლა მაბრალებელი ეპისტოლე ნესტორს და მის მიმდევრებს, სადაც წარმოადგინა ამომწურავი მსჯელობა განკაცების თაობაზე, და ადრესატებს სინანულისაკენ მიუხმო, მაგრამ ამაოდ. მაშინ საღმრთო ფილოსოფოსმა მაქსიმალური სიზუსტით განჩხრიკა ახალი მოძღვრება და მისგან გამოყო 12 საანათემო ანუ შესაჩვენებელი დებულება; შეადგინა სათანადო უსტარი და კონსტანტინოპოლში გაატანა მოციქულებს. ნესტორმა საზეიმოდ განაცხადა, რომ იგი ანგარიშს უწევს ტრადიციას და იწყნარებს ეპითეტს „ღვთისმშობელი“, მაგრამ არა მისი პოზიციისაგან განსხვავებული აზრით. მან სახელდახელოდ შეადგინა კონტრპასუხი, მაგრამ იმდენად ზერელე და უკუღმართი არგუმენტებით, რომ ადრინდელი მომხრეებიც კი დააფრთხო და ჩამოიშორა.

იმპერატორმა 431 წელს **მესამე მსოფლიო საეკლესიო კრების** მოწვევა ბრძანა. ადგილად შეარჩიეს ქალაქი ეფესო, სადაც ღვთისმშობელმა სიცოცხლის უკანასკნელი დღეები გაატარა. იქ, ყოვლადწმიდის მიძინების ტაძარში, იმედოვნებდნენ ჭეშმარიტების დადგენას ქალწულის მუცლადღების საიდუმლოთა საიდუმლოს შესახებ მოკვდავთათვის გასაგებ ენაზე. დანიშნულ დროს ეფესოში ჩავიდა დეპუტაცია ქრისტიანული მსოფლიოს ყველა ქვეყნიდან. არ ჩანდა იოანე ანტიოქიელი. მას რამდენიმე ხანს უცადეს და შემდეგ, 22 ივნისს, კირილე ალექსანდრიელმა, რომელსაც პაპის რწმუნება ჰქონდა, კრება გახსნილად გამოაცხადა. ნესტორმა, 68 ეპისკოპოსმა, დიდებულმა თავადმა ირინეოსმა და იმპერატორის კომისარმა კანდიდიანემ პროტესტი გამოაცხადეს ფორუმის იოანე ანტიოქიელის გარეშე დაწყების გამო და პროცესი დატოვეს. ასე რომ, კრება ბრალდებულის დაუსწრებლად ჩატარდა. მონაწილეობდა 160 ეპისკოპოსი, სულ – 200 მამა. პრობლემა პირველსავე სხდომაზე გადაიჭრა. დაამტკიცეს დებულება, რომელიც ქართულად ასე ითარგმნება: **ორი ბუნება – ღვთიური და ადამიანური – გაერთიანდა ქრისტეში განუყოფლად და შეურწყმელად**. დანარჩენი მონაკვეთიც ამ თეზისის წანამძღვრებისა და დეტალების განხილვას დაეთმო. შეიმუშავეს 8 კანონი და ანათემა შეუთვალეს ნესტორსა და ნესტორიანებს.

ამასობაში ეფესოს ანტიოქიის პატრიარქიც მოადგა აღმოსავლეთის ეპისკოპოსთა ხლეებით. ისინი მიესალმნენ თანამოაზრეთა ბანაკს და მოაწყვეს ცალკე კრება, რაც ეკლესიის ისტორიაში იხსენიება „შეკრებად“, „თავყრილობად“. იგი იოანე ანტიოქიელის თავმჯდომარეობით წარიმართა და გამოიტანა დასკვნა „კირილეს კრების“ არაკანონიერების შესახებ. ამიტომაც მისი წინამძღვრები კირილე ალექსანდრიელი და მემნონ ეფესელი (ე.ი. ადგილობრივი ეპისკოპოსი, რომელმაც ტაძარი არ დაუთმო ნესტორიანებს) განკვეთეს ეპისკოპოსობისაგან და განაყენეს მღვდელმსახურებისაგან; დაწერეს საჩივარი და გაუგზავნეს თეოდოსი მეორეს.

მეფემ ორივე კრების წარმომადგენლები იხმო. ორივე ლიდერი დააპატიმრა და შეუდგა საქმის ობიექტურ განხილვას. მთავრობის სახლის წინ, მოედანზე, ბერმონაზონთა და

მორწმუნეთა მიერ იმართებოდა დემონსტრაციები, ეწყობოდა აქციები, პიკეტები; იყო დიდი ჩოჩქოლი ორივე მხრიდან. ბოლოს და ბოლოს იმპერატორმა საბოლოო განაჩენი გამოიტანა: აღიარა 200 მამისაგან შემდგარი კრების ავტორიტეტი და გაათავისუფლა წმ. კირილე. ნესტორი კი გაგზავნა წმ. ევპრეპის მონასტერში ანტიოქიის მახლობლად. იქიდან კი, უკვე მოხუცი და დაუძლურებული – შორეულ ეგვიპტეში, ე.წ. „დიდ ოაზისში", სადაც მომთაბარეებმა მოიტაცეს და ბევრი წვალების შემდეგ დააბრუნეს. მან ამდენი ვეღარ აიტანა და გარდაიცვალა.

ოპოზიციონერები არ დაცხრნენ. მათ, იოანე ანტიოქიელის თაოსნობით, კვლავ მოიწვიეს კრება ანტიოქიაში. დაგმეს ზემოხსენებული 12 შეჩვენება, რადგან, მათი თქმით, იგი ზუსტად არ გადმოსცემდა ნესტორის მოძღვრების დედააზრს; განმეორებით დაამტკიცეს კირილესადმი ანათემა, რაშიც მათ იმხანად მხარი დაუჭირა ცნობილმა ღვთისმეტყველმა **თეოდორიტე კვირელმა**; იმედოვნებდნენ იმპერატორის თანადგომას, მაგრამ ამაოდ: კეთილმორწმუნე მეფემ გეზი მშვიდობისაკენ აიღო და ერთხელ გამოტანილი მსჯავრის გადასინჯვა არ ინება.

ნესტორის ერთგულები ანტიოქიის აღმოსავლეთში შეჯგუფდნენ, მაგრამ თეოდოსი II-ის გარდაცვალების შემდეგ, ანტიოქიის პატრიარქ რაულის ინიციატივით ამტყდარი დევნის გამო, გადაიხვეწნენ სპარსეთს, სადაც შეიწყნარეს როგორც „ბიზანტიისაგან ვნებულნი". იქ მათ 499 წელს სელევკიის კრებაზე თავიანთი ეკლესია შექმნეს და დაადგინეს „სრულიად აღმოსავლეთის პატრიარქ-კათალიკოსი".

ნესტორიანობა გავრცელდა მცირე აზიაში, ინდოეთსა და ჩინეთში. მათგან სპარსეთში დიდი რიცხვი თმურ-ლენგის (XIV-XV) დროს მოისრა. გადარჩენილებმა ქურთისტანის მთებს და თურქეთის სამხრეთ ზოლს შეაფარეს თავი, სადაც დღემდე სახლობენ. ნაწილმა XVII ს-ში რომთან უნიას (შეთანხმებას, გაერთიანებას) მოაწერა ხელი. ისინი დღეს აღმოსავლეთის კათოლიკეებად იწოდებიან და შეადგენენ თავისებურ, **ქალდეური წესის**, საპატრიარქოს. უმრავლესობა კი ძველი რწმენის ერთგული დარჩა. ჩინეთში ეს კონფესია დღეს აღარ ჩანს. ინდოეთში კი იცნობენ „წმ. თომას ქრისტიანებად". ზოგი იაკობიტებთან, ე.ი. მონოფიზიტებთან, – რადიკალურად განსხვავებული რწმენის ხალხთან გაერთიანდა, რაც უცნაურია და მიანიშნებს ორივე მხარის აღმსარებლობითი ცნობიერების დაქვეითებაზე.

ნესტორის მოძღვრებას საქართველომდეც მოუღწევია. ჩვენში რელიგიურ უმცირესობებს (V-VI სს-ში მაინც) ლმობიერად ეპყრობოდნენ, რაც, სავარაუდებელია, დადებითად მოქმედებდა მათ შემეცნებით კულტურაზე და, როგორც სომეხთა და ქართველთა კათალიკოსების მიმოწერიდან ანუ „ეპისტოლეთა წიგნიდან" ჩანს, ბევრს უჩენდა ეკლესიის წიაღში სინანულით დაბრუნების სურვილს. წამოჭრილა პრობლემა, მოენათლათ თუ არა ისინი ხელმეორედ ანუ ჩაეთვალათ თუ არა ერეტიკოსთა ხელით შესრულებული წესი ძალმოსილად. ქართლის **კათალიკოს კირიონს** რჩევა რომის პაპისათვის – **გრიგოლ დიდისათვის** (+604) – უკითხავს. შემორჩენილია პასუხი ლათინურ ენაზე, რაც გამოავლინა და თარგმნა მღვდელმა მიხეილ თამარაშვილმა (მისივე, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, ტფ. 1902, გვ. 23-26). ვინაიდან პრობლემა დღესაც აქტუალურია, წარმოვადგენთ მონაკვეთს.

პაპი აუწყებს საქართველოს მწყემსმთავარს: „სიყვარულმა სიშორე არ იცის და ვისაც ადგილი აშორებს, მას ეპისტოლე აახლოებს... გვეკითხებოდით: ნესტორის შეცთომათაგან მოქცეულ მღვდელთა და ერთათვის საჭიროა ნათლისღება, ანუ კმარა მარტო აღსარებაო? ამ საგნისა ჩვენ უწყით ჩვენის მამების ძველის დროის ჩვეულება, რომ, როდესაც მოიქცევიან მწვალებლობისაგან, რომელშიაც მონათლულან წმიდა სამების სახელით, მათ ვუერთებთ წმიდა ეკლესიას ან ზეთის ცხებით, ან ხელდასხმით და ან მარტო სარწმუნოებას აღიარებინებთ, რადგან მწვალებლობაში მონათლულთ სულიწმიდა მაშინ სწმენდს, როდესაც ნესტორიანები ჩვენის ხელდასხმით და მონოფიზიტები სარწმუნოების აღსარებით უერთდებიან ეკლესიას. გარნა ის მწვალებლები, რომლებიც წმიდა სამების სახელით არ არიან მონათლულნი, როგორადაც ქრისტეს უარისმყოფელნი მონოსიანები და კათოფარიგელები, რომელნიც სულიწმიდად რაცხენ მონტანისტების ბოროტ კაცსა, რომლის მსგავსიც ბევრი არის, უნდა მოინათლონ, რათა ეკლესიას შეუერთდნენ... ხოლო ნესტორიანების მწვალებლობას ისევ მათი შეცდომილება აბრმავებს. ისინი წმიდა სამების სახელით არიან მონათლულნი, მაგრამ, მსგავსად ურიებისა, დაჟინებით უარს ჰყოფენ მხოლოდშობილის ძის განხორციელებას. ამიტომ, როდესაც ისინი მოიქცევიან წმიდა კათოლიკე ეკლესიისადმი, საჭიროა, ასწავლოთ მათ ჭეშმარიტი სარწმუნოების აღსარება, რათა ირწმუნონ მტკიცედ, რომ ძე კაცისა, ღმერთი და უფალი ჩვენი იესო ქრისტე ღვთაებით არს უწინარეს სოფლისა და იგივე განკაცდა ბოლო დროს, რადგან სიტყვა იგი ხორცშესხმულ იქნა და დაემკვიდრა ჩვენ შორის, რადგან, ვამბობთ, სიტყვა იგი რა განხორციელდა, არ შეიცვალა მისგან რაც იყო, არამედ მიიღო და გახდა ისიც, რაც არ იყო. საუკუნო მამის მხოლოდშობილმა ძემ თავისი განხორციელების საიდუმლოით თავისი არსება კი არ დაამცირა, არამედ ჩვენი ბუნება აღამაღლა... ხოლო იგი, რომელი უწინარეს სოფლისა ღმერთია, ბოლო დროს ქალწულის საშოში განკაცდა. მასშივე იცხო იმავე სულისაგან, როდესაც ჩაისახა. არც ისეა, რომ ჯერ ჩასახულიყო და მერმე ცხებულ, არამედ სულიწმიდის თვით იმავე მოქმედებით, რომ ქალწულისაგან ხორცი შეისხა, იცხო სულიწმიდისაგანვე. ამიტომ, ვინც ნესტორის შეცთომილებისაგან მოიქცევიან, თქვენი წმიდა კრებულის წინაშე აღიარონ მისი ჭეშმარიტი შობა და შეაჩვენონ ნესტორი, მისი მიმდევარნი და დანარჩენნი მწვალებელნი. ეგრეთვე შემოგვპირდენ, რომ პატივს სცემენ და შეიწყნარებენ იმ ყველა კრებათა, რომელსაც მსოფლიო ეკლესია აღიარებს. შემდგომ თვინიერ რამ სიძნელისა, მიიღეთ ესრეთნი პირნი თქვენს საზოგადოებაში და დასტოვეთ იმ წესსა ანუ ხარისხში, რომელშიაც არიან. განუბნიეთ მათ შეცთომილებანი და ასწავლეთ ყველაფერი, რაც კი საჭიროა. სიტკბოებით მოეპყარით, ნურავითარ სიძნელეს აღმოუჩენთ მათი ხარისხის შესახებ, რათა იგინი თავიანთი მტრის ხელიდან დაიხსნათ. ეგოდენ ყოვლისმპყრობელის უფლისაგან განიმრავლებთ საუკუნო დიდების სასყიდელს, რაოდნათაც უფრო მომეტებულად შემოჰკრებთ მათ, რათა თქვენთან სამარადისოდ ადიდონ უფალი...“

მონოფიზიტობა და სომხური ეკლესია

გავითვალისწინოთ, რომ მართლმადიდებელი ფორმულა – ქრისტეში ორი ბუნება მკვიდრობს **განუყოფლად და შეურწყმელად**, – ნესტორის ცდომილების – ორი ბუნების ორ პირად მიჩნევის – გამოსასწორებლად შეიმუშავეს, მაგრამ აღგზნებული პაექრობისა და ლანძღვა-გინების დროს წარმოიშვა მეორე უკიდურესობა მაცხოვრის **ორი ბუნების შერწყმისა და ერთ ბუნებად წარმოჩენის შესახებ.**

ესაა **მონოფიზიტობა,** რაც ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს **ერთბუნებიანობას** (*მონე* „ერთი“ და *ფიუსის* “ბუნება“). ერესიარქებად ითვლებიან **დიოსკორე და ევტიქი.** გამოჩენის დღიდანვე იგი დაიყო რამდენიმე შტოდ **იაკობის, პეტროსის, სევეროზის, თეოდოსისა თუ გაიანეს** მოძღვრებათა მიხედვით.

მონოფიზიტების საერთო პოზიცია ასეთია: იესო ქრისტე წუთისოფელში მოვიდა ორი ბუნებით, მაგრამ განკაცების ანუ განსხეულების ჟამს საღმრთო ბუნებამ გამოუთქმელად და სასწაულებრივად შეირწყა კაცობრივი და ერთ ბუნებად გამოჩნდა; ღმრთეებამ შთანთქა კაცება და, ამდენად, ერთიანი ბუნება ჩასახლდა ქრისტეს გვამში და მოგვევლინა ერთი პიროვნებით, ერთი არსებით, ერთი ნებით. მაშასადამე, ქრისტეს სინკრეტული ბუნება აერთიანებს ღვთიურს და ადამიაურს, რომელთაგან მეორემ დაკარგა თვითმყოფადობა და მხოლოდ ლოგიკით თუ განირჩევა ღვთიურისაგან. აქედან მივდივართ დასკვნამდე, რომ მაცხოვარი, მოსული სოფლად, მხოლოდ ღმერთია. მისი ადამიანური სახე, ცხოვრება და ვნება – მოჩვენებითი, ილუზიური, არაარსებითი.

აი, თეორია, რომლის მტკიცება და მხილება ერთდროულად კაცობრიობის ტრაგედიაცაა და ბედნიერებაც, რადგან მორწმუნეთაგან მოითხოვა აურაცხელი სისხლი, მაგრამ ღვთისმეტყველებს კვლავ გადაადგმევინა ნაბიჯი ჭეშმარიტების სრულჩენის გზაზე.

ყველაფერი ასე დაიწყო:

ერთხელ, ნესტორთან კამათის დროს, წმ. კირილე ალექსანდრიელმა, რომელიც აყალიბებდა ღმერთკაცის პიროვნული ანუ ჰიპოსტასური ერთიანობის, უცვალებლობისა და შეურწყმელობის დოგმატს, თქვა: „ღვთის სიტყვის ერთიანმა ბუნებამ ხორცი შეისხა“ („მია ფიუსის ტუ თეუ ლოგუ სესარკომენე“). ამ სიტყვებს მონოფიზიტობასთან კავშირი არა აქვს, მაგრამ იგი მაინც გაუგებრობათა თავსაკიდურ ლოდად იქცა. ეგვიპტელმა ბერებმა იგი ანბანურად აღიქვეს და წმ. კირილეს გარდაცვალების შემდეგ (441) შეითვისეს რწმენა, რომ განხორციელების შედეგად მაცხოვარს აღარ შერჩა ადამიანური ბუნება, – კაცება გაითქვიფა ღვთაებაში. ამიტომაც, ცხადია, იესო ყველაფერს აკეთებდა და იქმოდა მხოლოდ და მხოლოდ ღვთიური ნებით, ზრახვითა და შეგნებით. ეს მოძღვრება, მონასტრიდან მონასტერში ზეპირმოარული, აიტაცა კონსტანტინოპოლელმა არქიმანდრიტმა, თანამედროვეთა თქმით, – მცირეგანათლებულმა, მაგრამ ბერების წრეში და სასახლის კარზე პოპულარულმა ევტიქიმ. მან მალე თანამოაზრენიც შეიძინა და წამოიწყო ქადაგება, რამაც სერიოზულ მასშტაბებს მიაღწია. გაცხარდა კამათი. ვითარების გასაანალიზებლად **პატრიარქმა ფლაბიანემ 448 წელს მოიწვია ადგილობრივი საეკლესიო კრება 32 ეპისკოპოსის შემადგენლობით. მონოფიზიტობა ერესად გამოაცხადა,** მისი ჯიუტი ქომაგი კი

განიკვეთა, რაც ოფიციალურად ეცნობა რომის პაპს – წმ. ლეონს. თავის მხრივ ევტიქიმაც იჩივლა პაპთან, მაგრამ წარუმატებლად. შემდეგ იმპერატორს მიმართა გავლენიანი მინისტრის – საჭურისი ქრიზანთოსის – შემწეობით. მას აგრეთვე მხარში ამოუდგა ალექსანდრიის პატრიარქი, წმ. კირილეს მემკვიდრე, – დიოსკორე, რომელმაც გააღრმავა და ზურგი გაუმაგრა ერესს. ფიქრობენ, რომ მას, რელიგიურთან ერთად, ძალაუფლებითი მოტივიც ამოძრავებდა. კერძოდ ის, რომ ალექსანდრიის უხუცესი საპატრიარქო ვერ ეგუებოდა უმრწემესი კონსტანტინოპოლის აღზევებას. დიოსკორეს თვალწინ ედგა წინამორბედების მაგალითი, – ალექსანდრიელი მწყემსმთავრების მიერ კონსტანტინოპოლელთა საქმეების განხილვა: თეოფილემ წმ. იოანე ოქროპირი გაასამართლა, წმ. კირილემ – ნესტორი. მან კი ამჯერად ფლაბიანეს განკითხვა მოინდომა და კეისრის – თეოდოსი მცირის – თანადგომაც ჰპოვა. 449 წელს, ევტიქის საკასაციო განცხადების საფუძველზე, ქ. ეფესოში შედგა კრება, რომელიც ცნობილია „ავაზაკთა კრების“ სახელით. მას დიოსკორე თავმჯდომარეობდა. ევტიქის მოწინააღმდეგეები დარბაზიდან გაყარეს, მომხრეებს კი ფართოდ გაუღეს კარი. ევტიქი ხარისხში აღადგინეს, ფლაბიანეს ახალი, თითქოს წინა კრების დადგენილების საწინააღმდეგო, დოგმატის შემოღება დასწამეს, თანამდებობიდან გადააყენეს და გადაასახლეს, რის შემდეგაც მალე გარდაიცვალა. ასევე გაასამართლეს ევსევი დორიელი, ევტიქის ბრალმდებელი, და დომნა ანტიოქიელი.

გამარჯვება მოჩვენებითი და ხანმოკლე აღმოჩნდა: პაპმა ლეონმა, როგორც კი ლეგატმა ინფორმაცია მიაწოდა, რომში სასწრაფოდ მოიწვია კრება, დიოსკორე და ევტიქი სამღვდელო მადლისაგან განშიშვლებულად გამოაცხადა და „ავაზაკთა კრების“ ყველა დადგენილება – ბათილად, რაც საგანგებო ეპისტოლით აცნობა კონსტანტინოპოლის სამღვდელოებას, სენატს და ხალხს. დიოსკორე არ დაემორჩილა პაპის ავტორიტეტს და მეტიც – ანათემა შეუთვალა. შეიქმნა კრიზისული სიტუაცია. ამასობაში სამეფო კარზე ცვლილებები მოხდა: გარდაიცვალა თეოდოსი და ტახტზე ავიდნენ მარკიანე და დედოფალი პულხერია, რომელიც ფლაბიანეს თაყვანისმცემელი იყო. მათ გაილაშქრეს მონოფიზიტების წინააღმდეგ და ალექსანდრიის განკანონებული პატრიარქის თვითნებობის ასალაგმად **451 წელს, პაპთან შეთანხმების შემდეგ, ქალკედონში IV მსოფლიო საეკლესიო კრება მოიწვიეს.**

კრება გაიხსნა 8 ოქტომბერს და 1 ნოემბრამდე გასტანა.

შვიდთაგან ეს ყველაზე მრავალრიცხოვანი კრება იყო. თუ ნდობით აღჭურვილ პირებსაც არ მივიღებთ მხედველობაში, დელეგატების რიცხვი 630-მდე აღწევდა. აქტიურად მონაწილეობდნენ: ანატოლი კონსტანტინოპოლელი, დომნა ანტიოქიელი (რომელიც საპყრობილედან მარკიანემ გამოიყვანა), მაქსიმე ანტიოქიელი (დომნას შემცვლელი), იუბენალი ალექსანდრიელი, პალადი კესარია-კაბადუკიელი, თვით დიოსკორე ალექსანდრიელი, პაპის ლეგატები და სხვანი. აგრეთვე იმპერატორი, სენატორები და მორწმუნე ერის წარმომადგენლები. თავმჯდომარეობდა ანატოლი კონსტანტინოპოლელი. პირველ რიგში განიხილეს „ავაზაკთა კრების“ საქმე. ევსევი დორიელმა წაიკითხა დოკუმენტი, სადაც აღნუსხული იყო დიოსკორეს ძალადობის მამხილებელი ფაქტები. დაკითხეს მოწმეები. ბრალდება დადასტურდა, რის გამოც დიოსკორეს გაუუქმეს მანდატი და საბრალდებო სკამზე დასვეს.

მის გვერდით რამდენიმე ეგვიპტელი ეპისკოპოსიც აღმოჩნდა. კრებამ ანათემა გამოუცხადა დიოსკორეს, ევტიქის და „ავაზაკთა კრების“ იმ მოქმედ პირებს, რომელთაც არ მოინანიეს. შემდეგ მსჯელობამ თეოლოგიის სფეროში გადაინაცვლა. უნდა გაერკვიათ ქრისტეს ორი ბუნების ურთიერთმიმართების საკითხი ანუ უნდა დაეღწიათ თავი ორი უკიდურესობისაგან – ნესტორიანობისა და მონოფიზიტობისაგან. გააანალიზეს წმ. კირილე ალექსანდრიელისა და იოანე ანტიოქიელის თხზულებები მოცემულ თემაზე. სახელმძღვანელოდ შეიწყნარეს **წმ. ლეონის ეპისტოლე ფლაბიანესადმი,** რომელიც პაპის ლეგატებმა წაიკითხეს. ეს დოკუმენტი (ქართული თარგმანი შესულია ანტონ კათალიკოსის „მზამეტყველებაში“. იხ. ქვ.) დაედო საფუძვლად განჩინებას, რითაც დაიგმო ქრისტეში როგორც ორი პირის ანუ პიროვნების რწმენა (ნესტორიანობა), ისე – ერთი ბუნების (მონოფიზიტობა). ამავე ეპისტოლის ანუ ტომარის მიხედვით განსაზღვრეს უფალ იესო ქრისტეს გვამში ორი ბუნების შეერთების, უფრო ზუსტად კი – თანაარსებობის, თანამყოფობის დოგმატი, რომლის დედააზრი ასეთია:

ერთი და იგივე პირი, უფალი ჩვენი იესო ქრისტე, არის სრულყოფილი ღმერთი და სრულყოფილი კაცი, ჭეშმარიტი ღმერთი და ჭეშმარიტი კაცი გონიერი სულით და სხეულით; თანაარსი მამისა ღვთაებით და თანაარსი ჩვენი კაცებით, ყოვლითურთ ჩვენი მსგავსი ცოდვის გარეშე; შობილი საუკუნეთა უწინარეს მამისაგან ღვთაებით, ხოლო უკანასკნელ ჟამს – ჩვენთვის და ჩვენი ხსნისათვის მარიამ ქალწული ღვთისმშობელისაგან კაცებით. ერთი და იგივე ქრისტე, ძე, უფალი მხოლოდშობილი ორი ბუნებით შეურწყმელად, შეუცვლელად, განუყოფლად, მამისაგან განუშორებლად განკაცდა ისე, რომ შეერთებით არანაირად არ დარღვეულა ორი ბუნების განსხვავება, არამედ მეტად შეინახა თითოეული ბუნების თავისებურება და გაერთიანდა ერთ პირში, ერთ ჰიპოსტასში, – არა ორ პირად განწვალდა ანუ გაიყო, არამედ სუფევს ერთი და იგივე მხოლოდშობილი ძე, ღვთის სიტყვა, უფალი იესო ქრისტე, როგორც ძველი წინასწარმეტყველები გვაუწყებდნენ მასზე და როგორც თვით უფალი იესო ქრისტე გვასწავლის ჩვენ და როგორც გადმოგვცემს ჩვენ მამათა სიმბოლო.

ამ დოგმატს ეწოდება **მართლმადიდებელი რწმენის განვრცობილი სიმბოლო,** რასაც კრების უმრავლესობამ მოაწერა ხელი. ეგვიპტელმა ეპისკოპოსებმა, თუმცა დიოსკორეს განკვეთის სამართლიანობა აღიარეს, ზოგიერთი პუნქტისაგან, მაგალითად, პაპი ლეონის დოგმატური ეპისტოლისაგან (ტომარისაგან), შორს დაიჭირეს თავი და თქვეს: მთავარეპისკოპოსი ჯერ დადგენილი არა გვყავს, მისი ლოცვა-კურთხევის გარეშე კი ნაბიჯს ვერ გადავდგამთო...

ბოლო სხდომაზე მობრძანდა იმპერატორი. გამოთქვა კმაყოფილება კრების შინაარსიანი მოღვაწეობის გამო და მონაწილეებს კეთილწარმატება უსურვა.

თეორიულად თითქოს ყველაფერი მოგვარდა, მაგრამ მოვლენები მაინც არასასურველი გზით განვითარდა.

საქრისტიანო ორ ბანაკად გაიყო: დიოფიზიტებად (ორბუნებიანებად), ე.ი. ორთოდოქს-ქალკედონიტებად ანუ სინოდიტებად და მონოფიზიტებად, ე.ი. მწვალებელ-ანტიქალკედო-

ნიტებად. პირველს მიემხრენ ბერძნები და ლათინები, მეორეს – უმეტესად აღმოსავლეთის ქვეყნები: სირია, პალესტინა, ეგვიპტე (მეტადრე კოპტების ეკლესია) და სომხები. ასეთი განაწილების მიზეზს ზოგჯერ შესაბამისი საზოგადოებების მენტალიტეტსა და ცხოვრების სტილში ეძებენ. აზიელთა სააზროვნო სისტემას, იქაური ბერმონაზვნების მკაცრ ასკეტიზმსა და მისტიციზმს, მათს სულსა და გონებას მონოფიზიტობა თითქოს უფრო ესალბუნებოდა, ვინაიდან, ფიქრობენ მკვლევრები, ეს მოძღვრება, მისივე არსების კვალდაკვალ, მეტ სტიმულს იძლევა ხორციელი სამყაროსა და ქვეყნიური პრობლემების იგნორირებისათვის. ასეა თუ ისე, ფაქტია, რომ ევტიქი-დიოსკორეს ერესმა თავიდან სავანე განდეგილთა წრეში ჰპოვა და რელიგიურ ამბოხებათა აკვანი არცთუ იშვიათად მონასტრებში ირწეოდა.

მართლაც: აჯანყების პირველი ალამი პალესტინელმა მონოფიზიტმა ბერმა თეოდოსიმ ააფრიალა. აიღეს იერუსალიმი. დაარბიეს მართლმადიდებელთა უბნები, შებილწეს სიწმიდეები. მხოლოდ საიმპერიო ჯარებმა დაიცვეს მორწმუნეთა სიცოცხლე. შემდეგ შფოთისთავი სინაზე გადავიდა, იქიდან – ალექსანდრიაში, სადაც ნამდვილი „ბართლომეს ღამე“ დაატრიალა: შეიარაღებული ფანატიკოსების ბრბო დაძრწოდა და კარდაკარ დაეძებდა „ერეტიკოსებს“. მათ დაწვეს სერაფისის განთქმული ტაძარი, რომელშიც ჯარისკაცების დიდი რაზმი იმყოფებოდა, ხოლო პატრიარქი პროტერიუსი საკათედრო ტაძარშივე განგმირეს (+457)). მწყემსმთავრობა კი უკიდურეს მონოფიზიტ ტიმოთე ელურს (კატას, დედოფალას, – ბერძნების ზედწოდებით) ჩააბარეს. აწმყო საგოდებელი გახდა. იმპერატორმა ლეონმა დემოკრატიულ საშუალებებს მიმართა: სახელმწიფოს ეპისკოპოსთა და მთავარ არქიმანდრიტთა შორის 460 წელს რეფერენდუმი ჩაატარა, რითაც გაირკვა, რომ იერარქთა დიდი უმრავლესობა ქალკედონის პოზიციაზე იდგა, მაგრამ ამის აღნიშვნამ ოპოზიცია უფრო გააბოროტა.

V ს-ის 70-იან წლებში მონოფიზიტების ბუდე სირიაშია. ლიდერი კი – ანტიოქიის პატრიარქი პეტრე, რომელიც ქართულ წყაროებში ცნობილია **პეტროს მკაწვრელის** სახელით (ბერძნ. კნაფევს ანუ კანაფა, ლათ. ფულონი, სომ. თაფიჩ, რუს. სუკოვშჩიკ). ამგვარი ეპითეტი განაპირობა უკუღმართმა მოძღვრებამ, მისი მტკიცებით – ჭეშმარიტი რწმენის დევიზმა, რაც წარმოადგინა ფორმულით: – „ღმერთი ჯვარს ეცვა“ („თეოს ესტავროთე“). ესაა „თეოპასქია“ („ღმერთის ტანჯვა“, ბერძნ.), რაც, მკაწვრელის თეორიის მიხედვით, ნიშნავს: ივნო არა მარტო ქრისტემ, არამედ მთელმა სამებამ; არა ტრიადის ერთ-ერთმა წევრმა, არამედ ერთიანმა ღვთაებამ, რაც აისახა კიდეც ლოცვებში და სამწმიდაობის საგალობელი ჩამოყალიბდა ასე: „წმიდაო ღმერთო, წმიდაო ძლიერო, წმიდაო უკუდაო, რომელი ჩვენთვის ჯვარს ეცვი“. ამ მოძღვრების მქადაგებლები ცნობილი არიან “თეოპასქიტებად“. თვით საგალობელს სომხურად ეწოდება „ხაჩეცარი“ (ხაჩ. „ჯვარი“, ხაჩეცარი – „ჯვარცმული“), რასაც მათ ლიტურგიაში ცენტრალური ადგილი უჭირავს. ცხადია, დამატება („რომელი ჯვარს ეცვი“) ქრისტეს ადამიანური არსების იგნორირებამ თუ დამცრობამ განაპირობა. ამას კი, თავის მხრივ, ახალი გართულებები მოჰყვა.

სამეფო კარზეც არ იყო ერთსულოვნება. მაგალითად: კეისარმა ბასილიკემ 474 წელს

შეთხზა ანტიქალკედონური „საყოველთაო ეპისტოლე“, 500 ეპისკოპოსს ძალდატანებით მოაწერინა ხელი და გაავრცელა, რასაც რომის პაპის პროტესტი მოჰყვა, აიმხედრა ადგილობრივი დიოფიზიტი მოსახლეობაც. მისი პოლიტიკა თითქოს შეარბილა ზენონმა. 482 წელს მან გამოსცა უნიატური დოკუმენტი, ერთიანობის აქტი – **ჰენოტიკონი**, რაზეც პატრიარქმა აკაკიმაც მოაწერა ხელი. ესაა მოწოდება საყოველთაო შერიგებისა და თანხმობისაკენ. იგი ნეიტრალურია კამათის ობიექტის მიმართ; მოუწოდებს მხარეებს, დაივიწყონ ურთიერთგანსხვავებანი და ყურადღება საერთოზე, სახელდობრ, პირველი სამი საეკლესიო კრების დადგენილებებზე გაამახვილონ, დანარჩენი კი – საკითხი ქრისტეს ერთი თუ ორი ბუნების შესახებ – გვერდზე გადადონ. სამწუხაროდ, ვერც ამან გამოიღო სასურველი ნაყოფი. პირიქით, რომსა და ბიზანტიას შორის 35 წლიანმა განხეთქილებამ (სქიზმამ) დაისადგურა, რაც გამოიხატა შემდეგში: პაპმა ფელიქს III დაგმო ჰენოტიკონი, ეკლესიისაგან განკვეთა აკაკი და შემცვლელთ მოსთხოვა, მოსახსენიებლიდან (დიფტიქიდან) ამოეშანთათ მისი სახელი. მართალია, კონსტანტინოპოლის მთავარეპისკოპოსები ჰენოტიკონს მხარს არ უჭერდნენ, მაგრამ არც მოსახსენებელში შეჰქონდათ ცვლილება, რაც პაპისადმი ურჩობის პირველი მაგალითი იყო. აღნიშნული პერიოდი ცნობილია „სქიზმად აკაკის გამო“. იგი გაგრძელდა იმპერატორ იუსტინე პირველსა და პაპ ორმიზდამდე. 518 და 536 წლებში კონსტანტინოპოლს შედგა ადგილობრივი კრებები. გაასამართლეს ანტიქალკედონიტი პატრიარქი სევეროზი და დაგმეს მისი თხზულებები (იხ. ქვ.). პაპის მითითების საფუძველზე კათედრა ჩამოართვეს ანთიმოზს, საიდუმლოდ რომ ერთგულებდა მონოფიზიტებს და მის ადგილზე დანიშნეს მინა.

როგორი იყო ვითარება აფრიკასა და აღმოსავლეთში? – საშინელი. ალექსანდრიისა და ანტიოქიის სამღვდელმთავრო კათედრებზე დიოფიზიტები და მონოფიზიტები ელვისებურად ცვლიდნენ ერთმანეთს. უკანასკნელნი ორად გაიყვნენ: უნიის მომხრეებად და მოძულეებად, რომელთაგან უკიდურესი მიმართულების პარტია ეპისკოპოსობის ინსტიტუტზეც კი ამბობდა უარს, თუკი განწესებული მღვდელმთავარი ჰენოტიკონის მომხრე აღმოჩნდებოდა. ასეთ მორწმუნეებს კონსტანტინოპოლის 536 წლის კრებაზე **აკეფალისტები** (უთავოები) შეარქვეს. მათ აგრესიას და ტერორს საზღვარი არ ჰქონდა. ერთ-ერთი იერარქისაგან დაგეშილი და მგლად ქცეული ბერები 488 წლის ახლო ხანს შეიჭრნენ ანტიოქიის სამეუფო ტაძარში და იმდენი ურტყეს მართლმადიდებელ პატრიარქს, რომ მეორე თუ მესამე დღეს გარდაიცვალა. ვერც იერუსალიმსა და კონსტანტინოპოლში დამყარდა წესრიგი. მთავრობის ვერანაირმა ღონისძიებამ – დიალოგმა, ფერებამ, თხოვნამ, მუქარამ თუ ჰენოტიკონმა – ვერ დააცხრო ფანატიკოსების ვნებები. მიუხედავად ამისა, იმპერატორები – იუსტინე I, იუსტინიანე დიდი და იუსტინე II – მაინც დიალოგის პლატფორმაზე იდგნენ, მაგრამ სიმშვიდეს ყოველთვის ვერ ინარჩუნებდნენ და უკიდურეს ზომებსაც მიმართავდნენ. ცნობილია ასეთი ფაქტი: იუსტინე მეორის დროს, 567 წელს, კვლავ შეიმუშავეს უნიის პროექტი. წამოიწყეს შეთანხმების კამპანია. შედგა მოლაპარაკება ქ. კალინიკის ერთ მონასტერში, მაგრამ გრაგნილი, რაზეც ტექსტი იყო წარმოდგენილი, ბერებმა მეფის მოციქულს თავზე გადაახიეს. დაიწყო სამოქალაქო ომი, ულმობელი და გამანადგურებელი, – მონოფიზიტების

დაჭერა, ქონების წართმევა, გასახლება, ფიზიკური და მორალური შეურაცხყოფა, დასახიჩრება, დახოცვა და ა.შ. თვითმხილველი გვიამბობს: „ანტიოქიის მიდამოებში, მთელს არაბისტანსა და პალესტინაში... მოსახლეობა გაძევებული იყო სამკვიდრებელი ადგილებიდან და გაფანტული. ვისაც დაიჭერდნენ, ბორკილებს ადებდნენ, ამწყვდევდნენ სატუსაღოში და ყოველგვარ სასჯელსა და ტანჯვას აყენებდნენ. ბევრი, ქონების ჩამორთმევის შემდეგ, კვდებოდა შეუბრალებელი ცემისაგან. სხვებს თავს ესხმოდნენ რაზმები და ულმობელი ჯალათები, რომელნიც ერეკებოდნენ მათ ერთი ადგილიდან მეორეზე... თუ ვინმე გაბედავდა ამ საბრალოთა შეფარებას სოფლებსა და სახლებში, მათ აწიოკებდნენ, სცემდნენ და ტანჯავდნენ... დიდსა თუ პატარა მონასტრებს სირიაში უდიდესი სულგრძელობით უხდებოდათ გადატანა ყოველგვარი დევნულობისა, სიმძიმისა, ტანჯვისა, შიმშილისა, წყურვილისა, სიცივისა და სიტიტვლისა... (ბერები) მსგავსად ნადირისა, მთელ ღამეებს ატარებდნენ ცის ქვეშ, დაეხეტებოდნენ მთასა და ბარში, სუსხიან ზამთარში ღამეებს ათევდნენ თოვლსა და ყინულზე, ქვებზე მჯდომარენი, სიცივისა და ძლიერი ქარისაგან შეწუხებულნი...“ „ვერავინ ბედავდა მათთვის თავშესაფარი მიეცა სახლში, ვინაიდან ასეთ სახლს კონფისკაციას უშვებოდნენ, ხოლო მის პატრონს პასუხისგებაში აძლევდნენ. ამიტომ მრავალი იძულებული იყო, მსგავსად ნადირისა, შეფარებოდა გამოქვაბულებსა და მიუვალ ადგილებს ევფრატის გაღმა. ზოგი კიდევ გარბოდა თოვლით დაფარულს მთებში და იმალებოდა თხისა და ცხვრის ბაკებში...“ (იხ. კ.კეკელიძე, ეტიუდები..., I, თბ., 1956, 28-30).

ასე რომ, ბიზანტიის იმპერიაში ერესის წინსვლა ძალის მეშვეობით აღიკვეთა, თუმცა მავნე შედეგების გაქარწყლება ვერ მოხერხდა. ყველასათვის ნათელი იყო, რომ რელიგიური ორომტრიალის წიაღში თანდათან იჩეკებოდა და ფრთიანდებოდა **ნაციონალური სეპარატიზმი**, რასაც სარწმუნოებრივ ცნობიერებაში პროვინციული ელემენტები შეჰქონდა და დღეს ფილეტიზმის სახელითაა ცნობილი (იხ. ზემ).

მონოფიზიტები ერთიან ფრონტს ვერ ქმნიდნენ შინააშლილობისა და მიმდინარეობებად დაყოფის გამო. ძირითადი მიმდინარეობებია:

1. *სევერიანობა*. ეფუძნება სევეროზ ანტიოქიელი პატრიარქის (V-VI) მოძღვრებას, რომელსაც ლიბერალურ, ე.ი. ზომიერ ფრთად მიიჩნევენ და თვლიან, რომ იგი შედარებით ახლოსაა დიოფიზიტურ თვალსაზრისთან. მართალია, სევეროზიც ერთ ბუნებას აღიარებდა ქრისტეში, მაგრამ ქადაგებდა, რომ ღვთაებას მთლიანად არ შთაუნთქავს კაცებრივი – მხოლოდ არსებითობა დაუკარგა მას. სამაგიეროდ შეუნარჩუნა თვისებები. ასე რომ, სევეროზი იესოს პიროვნებაში ასხვავებდა ანუ ერთმანეთისაგან მიჯნავდა ადამიანურ და ღვთიურ თვისებებს; სწამდა, რომ მაცხოვრის ხორცი აღდგომამდე იყო ჩვენი მსგავსი, – ხრწნადი. ამის გამო მოწინააღმდეგეებმა სევერიანებს „ხრწნისთაყვანისმცემლები“ („ფთარტოლატრაი“) შეარქვეს.

სევერიანთა ფრაქციას დამოუკიდებელი ეკლესიის სახე მისცა ედესის ეპისკოპოსმა იაკობმა (VI), რომელიც დიოფიზიტთა შორის ცნობილია „წანწალას“ (ბერძნ.) და „ბარადასის“ (სირ.) ანუ „ჩამოფლეთილის“ სახელით. მას საკუთარი სისტემა არ შეუქმნია, მაგრამ იმდენად დიდი კვალი დატოვა ისტორიაში, რომ ხშირად სევერიანებს იაკობიტებად იხსენიებენ.

2. *ივლიანიტობა* ანუ ეპ. ივლიანე ჰალიკარნასელის (VI) სწავლება, რომლის რეზიუმე ასეთია: ქრისტე მოგვევლინა როგორც ახალი ანუ მეორე, ე.ი. ცოდვამდელი ადამი, ვისი ხორციც არ იხრწნებოდა და არ კვდებოდა (ხრწნა ცოდვის შედეგია). აქედან ცხადია, – მაცხოვრის გვამი განკაცებისთანავე შეიმოსა უხრწნელებით და ამ ფაქტთან მისი მიწიერი ცხოვრების (მას რომ სციოდა, სტკიოდა, შიოდა, რცხვენოდა) შეუთანხმებლობა არის მხოლოდ მოჩვენებითი, ზედაპირული. მაშასადამე, ივლიანეს აზრით, ღმერთკაცი იყო უვნებო; თურმე მას რეალურად არც სციოდა, არც სტკიოდა, არც შიოდა და არც რცხვენოდა (როდესაც ყვრიმალს სცემდნენ). ამიტომ ივლიანიტებს „უხრწნელმოჩვენებითებს“ (“აფთარტოდოკეტაი“) ეძახდნენ.

ერთბუნებიანთა განწვალება შემდგომ თაობებშიც გაგრძელდა.

სომხური ეკლესია

ქრისტიანობა სომხეთში პირველად მოციქულებმა თადეოზმა და ბართლომემ იქადაგეს. დევნილების ხანაში იქ მორწმუნეთა ღონიერი თემები ჩამოყალიბდა და ახალი აღთქმა ოფიციალურ სარწმუნოებად ადრე გამოცხადდა, IV ს-ის პირველ ათეულში, თრდატ III-ის დროს, გრიგოლ განმანათლებლის მისიონერული ღვაწლის წყალობით. იგი სომხეთის პირველი ეპისკოპოსი გახდა და ჰაოსიანთა ეკლესია **გრიგორიანულადაც** იწოდება.

სომხეთის სამოციქულო ეკლესია ქალკედონის საპირისპირო თვალსაზრისს მიემხრო და ფილეტური ტენდენციები ადრე გამოავლინა (იხ. ზემ. გვ. 87). ეს ტენდენციები დღეს ამ ეკლესიის სპეციფიკური ნიშნებია, რაზეც მეტყველებს მისი ოფიციალური სახელწოდება „სომხური ეკლესია“. სახეზეა სომეხი ერისა და სომხური ეკლესიის იდენტიფიკაცია, რასაც საფუძვლად მსოფლიო ეკლესიისაგან სომხეთის საკათალიკოსოს ჩამოშორება დაედო.

ბოლოდროინდელი სამეცნიერო გამოკვლევების თანახმად, კავკასიელმა ქრისტიანებმა – საქართველოს, სომხეთისა და ალბანეთის ეკლესიებმა – შეიწყნარეს ზენონის ჰენოტიკონი და 506 წელს, დვინის საეკლესიო კრებაზე, უნიონალური პოზიცია გამოიმუშავეს. შემდეგ ერთიანობა დაირღვა. საქართველოს ეკლესიამ დიოფიზიტობას უერთგულა. დანარჩენებმა კი (შესაძლებელია, ირანის გავლენით) – მონოფიზიტობას. ალბანეთი VII-VIII სს-ში გამუსლიმანდა და X-XI სს-ში სახელმწიფოებრივადაც გაუქმდა. სომეხთა ძირითადი ნაწილი ევტიქი-დიოსკორეს მოძღვრებას მიენდო. ვინც ქალკედონის პოზიციაზე დარჩა, ის ბუნებრივად საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის იურისდიქციაში აღმოჩნდა და დროთა ვითარებაში გაქართველდა. ასევე გასომხდნენ მონოფიზიტი ქართველებიც.

VII ს-მდე სომხეთსა და საქართველოს შორის ძმური სარწმუნოებრივ-ეკლესიური ურთიერთობა სუფევდა. დვინის II ადგილობრივი კრების შემდეგ კი, 554 წლიდან, როდესაც სომხეთის იერარქიამ ერთბუნებიანობა სახალხოდ აღიარა, ევქარისტიული თანაზიარება შეწყდა.

V-VI სს-იდან სომხეთის სამეფო დაიშალა; ერმა სახელმწიფო დაკარგა, რის გამოც ეკლესიის ნაციონალურ-გამაერთიანებელი ფუნქცია გაიზარდა და საკათალიკოსო საყდარი, რომელმაც შუასაუკუნეებში, პოლიტიკური კლიმატის შესაბამისად, რამდენჯერმე შეიცვალა ადგილი, საერო ხელისუფლების ფუნქციითაც აღიჭურვა. ასე ჩამოყალიბდა სომხური

ნაციონალური ეკლესია. მის წიაღში კი შეიქმნა მდიდარი სასულიერო მწერლობა, რაც სომხურ კულტურას მსოფლიო მნიშვნელობას ანიჭებს. ეს განსაკუთრებით საისტორიო ლიტერატურის მისამართით ითქმის.

ამჟამად სომხური ეკლესიის სამეუფო ქალაქია ეჩმიაძინი, სადაც ცხოვრობს უმაღლესი პატრიარქი და უწმიდესი კათალიკოსი ყოველთა სომეხთა. თუმცა ამავე ეროვნების მორწმუნეებს თვითმართვადი საპატრიარქოები სხვაგანაც აქვთ, – იერუსალიმსა და კონსტანტინოპოლში (ქილიკიის საპატრიარქო). მათგან უპირატესი ეჩმიაძინის მღვდელმთავარია.

თეოლოგიურმა სეპარატიზმმა საეკლესიო პრაქტიკაშიც იჩინა თავი. დაიწყეს, ერთბუნებიანობის კვალზე, ზიარების საიდუმლოს აღსრულება უცომო პურით და წყალგაურეველი ღვინით; შეინარჩუნეს ქრისტეს შობისა და ნათლისღების ერთობლივად ზეიმის აღმოსავლური ტრადიცია (იხ. ზემ.), შეითვისეს „ხაჩეცარი“ (იხ. ზემ.) და შემოიღეს ორიგინალური მარხვა – **სურბსარქისი ანუ ალაჯორი**.

„ალაჯორი“ ანუ „არაჯორი“ არის ქართული ვარიანტი სომხური სიტყვისა. „არაჯავორ“, რაც ნიშნავს „წინასწარს“, „წინამავალს“, „პირველს“. მართლაც, ალაჯორი წინ უსწრებს დიდმარხვას სამი კვირით და, მაშასადამე, მოდის მეზვერისა და ფარისევლის კვირიაკეზე, სადაც დადებულია აგრეთვე წმ. სარქისის ხსენება. აქედან წარმოდგება მეორე სახელწოდება – სურბსარქისი ანუ წმინდა სარქისი (სერგი). ესაა მონოფიზიტების ძველი მარხვა, რომელიც გამოირჩევა სიმკაცრით და, ჩანს, შემოუღიათ ასკეტური მოთხოვნილების გამძაფრების შედეგად. მისი დაწესების ისტორია გაურკვეველია. მოღწეულია ურთიერთგამომრიცხავი ლეგენდები, რომელთაგან დამფუძნებლად ზოგი გრიგოლ განმანათლებელს ასახელებს, ზოგი – პეტროს მკაწვრელს ან წმ. სარქისს.

პეტროს მკაწვრელს (თუ წმ. სარქისს) ჰყავდა საკვირველი ძაღლი – ალაჯა. როდესაც პატრონი რომელიმე ქალაქსა თუ სოფელში წასვლას დაეშურებოდა, წინამორბედად ალაჯას გზავნიდა, რათა შეემზადებინა მრევლი. ერთ დღეს პატრონმა ალაჯა ვეღარ იპოვა. დაუწყო ძებნა. მგლებს დაეგლიჯათ ალაჯა. გულს ელდა ეცა და გასცა ბრძანება, რომ ყოველ წელიწადს, დანიშნულ დროს, მორწმუნე სომეხმა ერმა კვნესით და გლოვით ახსენონ ალაჯა.

რა თქმა უნდა, ეს პამფლეტია, გავრცელებული აღმოსავლეთის მართლმადიდებელ ერებში, მათ შორის – რუსულ საეკლესიო მწერლობაში. ამის მიუხედავად, ველიკორუსებმი, როდესაც კავკასიელთა ერთმანეთზე მისევა განიზრახეს, ამ ლეგენდის ავტორებად ქართველები გამოაცხადეს. მაინც ვინ მოიგონა, ანდა ვინ მისცა რეზონანსი ამ სამარცხვინო ამბავს? პასუხი კორნელი კეკელიძემ გასცა, – იმხანად თბილისის სასულიერო სემინარიის რექტორმა (გაზ. „საქართველო“, 1916,5.V9, N 124). მან აღნიშნა რომ ხსენებული ლეგენდა დაიბადა პირველად საბერძნეთში, „შავბნელით მოცულ საშვალ საუკუნეებში, როდესაც ქალკედონიტ-ბერძენთა და ანტიქალკედონიტ-სომეხთა შორის ატეხილი დოღმატური პოლემიკა უკიდურესად გამწვავდა. წარმოიშვა ის სწორედ სომეხთა სარწმუნოებრივ გრძნობათა შესაბღალავად და მათი ეკლესიის გასაქირდავად, მაგრამ აქ ქართველები არაფერ შუაშია: ეს ლეგენდა შეთხზა პირველად სომხის რენეგატ-მღვდელმთავარმა ისააკმა, რომელმაც მეთერთმეტე საუკუნის ნახევარში ბერძნულ მართლმადიდებლობასთან ერთად

ნიკიის სამიტროპოლიტო საყდარიც მიიღო. როგორც ყველა რენეგატს ჩვევია, მოპირდაპირეთა ბანაკში გადასვლის შემდეგ, ისააკმა ხელი მოჰკიდა მშობლიური ეკლესიის და ერის განქიქებას...“ მან, ისააკმა, შექმნა დოგმატურ-მაბრალებელი კრებული, რითაც მონოფიზიტთა ერსა და ეკლესიას, ვის წიაღშიც იშვა, აღიზარდა და განისწავლა, ამაზრზენი ბრალდებები წაუყენა; არ მოერიდა სიყალბეესაც კი. მისი ლეგენდა სწრაფად გავრცელდა სხვადასხვა ვარიანტით. თარგმნეს ქართველებმა დანარჩენ ანტიმონოფიზიტურ ძეგლებთან ერთად, აგრეთვე – რუსებმა, რომლებმაც იგი საღვთისმსახურო წიგნებშიც შეიტანეს ასეთი კომენტარით (თარგმანი კ.კეკელიძისა):

„გვესმა წმიდათა მამათა და ბერძენთა საღმრთოთა წიგნთაგან სიტყვა, განმაქიქებელი მწვალებლობისა და უგუნურებისა მათისა (სომხებისა), ვითარმედ კვირიაკესა ფარისეველთასა ენითა მათითა „არცივურ“ ეწოდების. „არცი“ იყო მოძღვარი მათი, ხოლო „ურეც“ ეწოდებოდა მოწაფესა მასსა ძაღლსა, რომელსაც ქედსა მისსა დაჰკიდის გუჯარი თვისისა სარწმუნოებისა და მწვალებლობისა და მოწაფეთა თვისთა წარუგზავნის. გარდახდომასა მრავალთა წელთასა მხეცთა მძვინვარეთა განბძარეს „ურეც“ და შეემთხვა მოძღვარსა მათსა „არცის“ ურვა და სალმობა ფრიადი და განაწესა მან მიმდგომთა თვისთა მარხვა კვირიაკესა მას „ურეც“ – ისათვის მოწაფისა თვისისა“.

საზოგადოდ კი, უნდა აღინიშნოს, რომ განწვალების პირველივე დღიდან, კირიონ ქართლისა და აბრაამ სომეხთა კათალიკოსების დროიდან (VI-VII), გაცხარდა პოლემიკა, თუ ვინ გადაუხვია ძველი ტრადიციიდან ანუ ჭეშმარიტი რწმენიდან. შეიქმნა მდიდარი ლიტერატურა ორივე ენაზე. საკმარისია დავასახელოთ უხტანესის „ისტორია გამოყოფისა ქართველთა სომეხთაგან“ (თარგმნა ზ. ალექსიძემ, თბ., 1975) და არსენ საფარელის „განყოფისათვის ქართველთა და სომეხთა“ (გამოსცა ზ. ალექსიძემ, თბ., 1980). აგრეთვე – ანტონ კათალიკოსის „მზამეტყველება“ (გამოიცა 1892 წელს ალექსანდრე ეპისკოპოსის საფასით და მღდ. პ. კარბელაშვილის რედაქციით). ხშირად იმართებოდა საჯარო პაექრობები. ცნობილია ღრტილას კრების სიტყვისგება ექვთიმე გრძელსა და სოსთენ სომეხთა მოძღვარს შორის 1046 წელს არტანუჯში. ასევე – დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის დროს, რითაც მეზობელი ქვეყნების წარმომადგენლები ერთმანეთს კიდეც ამუნათ-აკრიტიკებდნენ და კიდეც უახლოვდებოდნენ, უმეგობრდებოდნენ. სასიამოვნო ფაქტია, რომ კონფესიური სხვაობის მიუხედავად ქართველ-სომეხთა კულტურულ-ლიტერატურული თანამშრომლობა არასდროს ჩამკვდარა.

დღეს სომხური სამოციქულო ეკლესია საქართველოში წარმოდგენილია შვიდი ეკლესიით: თბილისში – 2, ბათუმში – 1, დანარჩენი კი მესხეთ-ჯავახეთში. მორწმუნეთა რიცხვი, მათი წინამძღვრების თქმით, 200.000-ს უდრის. ისინი ერთი ეპისკოპოსის სულიერი მფარველობის ქვეშ იმყოფებიან. მისი კათედრა თბილისშია – წმ. გიორგის ეკლესიაში. ამჯერად ეპისკოპოსია გეორქ სერაიდარიანი, ეპარქიის მდივანი – ვილჰელმ გრიგორიანი, თბილისის კონსერვატორიის პროფესორი. სამღვდელოთა კრებული ათ სასულიერო პირს ითვლის. თბილისში საკვირაო სკოლაც მოქმედებს.

სომხური სამოციქულო ეკლესია დღეს თავისთავს მონოფიზიტებს არ უწოდებს.

მონოთელიტობა და მარონიტები

გავიხსენოთ ზემონათქვამი: ერესებმა და სექტებმა ბიზანტიის პროვინციებში სეპარატიზმი გამოკვება, რის გამოც ხელისუფლება, დაზაფრული იმპერიის მთლიანობის რღვევით, შემორიგების კურსს დაადგა. ჰენოტიკონმა არ გაამართლა. არც დამსჯელმა ოპერაციებმა. გამოსავლის ძიებამ თეოლოგიის სფეროში გადაინაცვლა, სადაც აღმოცენდა ახალი წვალება – მონოთელიტობა ანუ ერთნებიანობა.

მისი აკვანი კოლხეთში – ფაზისში – დაირწა.

აქ ერთმანეთს შეხვდნენ კეისარი **ჰერაკლე** (ირაკლი) და ადგილობრივი მიტროპოლიტი **კიროსი**, რომელიც, ზაზა ალექსიძის გამოკვლევის თანახმად, შესაძლებელია, კირიონ ქართლის კათალიკოსი იყოს (ეპისტოლეთა წიგნი, თბ., 1968, თ. კირიონ ქართლის კათალიკოსი). ჰერაკლეს 622-628 წლებში დაეპყრო სპარსეთი, გაენადგურებინა მეფე ხოსრო და მისი ამალა, ტყვეობიდან ეხსნა იერუსალიმის პატრიარქი ზაქარია, მასთან ერთად – ძელი ცხოველი, რომელიც დამპყრობლებს გაეტაცათ, და დიდი ალაფით დაბრუნებულა უკან. აღმოსავლეთში ის შეხვედროდა მონოფიზიტ ეპისკოპოსებს, ებაასა მათთან და მისულიყო დასკვნამდე, რომ **ქრისტეს აქვს „ერთი მაცხონებელი მოქმედება“** („მია ძოოპოიოს ენერგეია“). ე.ი. ორი ბუნება გაერთიანებულია ერთ მოქმედებაში, ერთ საქმეში. ასე ჩაეყარა საფუძველი **მონოენერგეიზმის ანუ ერთმოქმედებიანობის იდეას,** რაც, ჰერაკლეს აზრით, იდეალური ვარიანტის როლს შეასრულებდა მონოფიზიტებისა და დიოფიზიტების შერიგების გზაზე. მეფემ ამ თვალსაზრისის თეორიულად ჩამოყალიბების, მეცნიერულ-საღვთისმეტყველო ფორმით წარმოჩენის მოთხოვნილება იგრძნო და შესაბამისი წინადადებით მიადგა ფაზისის – ახლანდელი ფოთის ანუ დასავლეთ საქართველოს – მამათმთავარს, ცნობილს ინტელექტით, განათლებით და რჯულშემწყნარებლობით. მასპინძელმა მოისმინა ხელმწიფის სიტყვა, დაუჯდა ჭკუაში, მაგრამ, ვიდრე გადაჭრით რამეს იტყოდა, უპირატეს იერარქს – კონსტანტინოპოლის მთავარეპისკოპოს სერგის – დაეკითხა. უკანასკნელმა შეუქო ინიციატივა, დალოცა იგი და სახელმძღვანელოდ გაუგზავნა მენა (მინა) კონსტანტინოპოლელის ეპისტოლე პაპ ვირგილიუსისადმი, სადაც წმიდა მამების შრომებიდან მოხმობილი იყო ციტატები ქრისტეში **ერთი მოქმედებისა და ერთი ნების** დასადასტურებლად. ყურადღება მახვილდებოდა გამოთქმაზე „ღმერთკაცებრივი მოქმედება“ („თეანდრიკე ენერგეია“), რომელიც გვხვდება წმ. დიონისე არეოპაგელის კორპუსში, სწორედ VI ს-ში რომ გამოჩნდა დღის სინათლეზე და ავტორიტეტი მოიხვეჭა.

სავარაუდებელია, რომ კიროს ფაზისელმა უნიონალური მოღვაწეობა კავკასიის მასშტაბით განავრცო და 630 წელს სომხეთის საკათალიკოსოსთან ხელშეკრულებას მიაღწია კონფესიურ თანხმობაზე. არ ვიცით, რამდენხანს გასტანა თანხმობამ, მაგრამ ფაქტია, რომ იმპერატორი მოიხიბლა, თანამედროვე ენით რომ ვთქვათ, – ეკუმენური იდეით, აღიარა ფაზისელის დამსახურება და იგი ალექსანდრიაში, ყველაზე ცხელ წერტილში, მონოფიზიტების ცენტრში, გადაიყვანა. დანიშნა პატრიარქად და შეთავსებით ჩააბარა ეგვიპტის განმგებლის თანამდებობა. კიროსმა იმედები გაამართლა: ითვისა მომრიგებელი მოსამართლის ფუნქცია და 633 წელს მიაღწია უნიას იქაური მონოფიზიტების მნიშვნელოვან ნაწილსა და

მართლმადიდებლებს შორის. ამ აქტს, გაფორმებულს წერილობით დოკუმენტად, კიროსმა საფუძვლად დაუდო საკუთარი შრომა – „თავნი“, რომელიც 9 განყოფილებისაგან შედგებოდა; მიმოიხილავდა სამების დოგმატს და განკაცების საიდუმლოს. მე-9 ნაწილი ეძღვნებოდა ფორმულას – „ერთი ღმერთკაცებრივი მოქმედება“, რითაც წარმოჩნდა ახალი მოძღვრების – მონოთელიტობის – ძირითადი პრინციპები.

თელემა ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს „ნებას“. მონოთელიტობა არის მოძღვრება, რომ მაცხოვარს – ერთ პირს, ერთ ჰიპოსტასს, ერთ გვამს – აქვს ერთი ნება და ერთი მოქმედება (ენერგია). ასე რომ, ეს თეორია ნებას მიიჩნევს ჰიპოსტასის და არა ბუნების ანუ არსების თვისებად. მართალია, დიოფიზიტების მსგავსად, იგი აღიარებს ორ ბუნებას ერთ ჰიპოსტასში, მაგრამ ერთმანეთისაგან თიშავს ბუნებას და ნებას; მიაჩნია, რომ ორი ბუნება, ერთი ჰიპოსტასის შესაბამისად, ერთიანდება ღმერთკაცებრივ ნებაში, ქმედებაში, საქმეში.

ამრიგად, მივიღეთ სინკრეტული დებულება: დიოფიზიტური – ბუნების თვალსაზრისით, მონოფიზიტური – ნებისა და ქმედების მხრივ. უკანასკნელში დომინირებდა ღვთაებრივი ასპექტი. ამიტომაც იგი უფრო მონოფიზიტური იყო და ეგვიპტელმა მონოფიზიტებმაც თავი გამარჯვებულად იგრძნეს. მათი დიდი ნაწილი დაუბრუნდა ეკლესიას. მიესალმნენ აგრეთვე ქალკედონიტებიც, საბერძნეთისა და აღმოსავლეთის თითქმის ყველა იერარქი კონსტანტინოპოლის პატრიარქ სერგის მეთაურობით. ვნებები თითქოს დაცხრა, მაგრამ დროებით და ერთი შეხედვით.

აღმოსავლეთში მართლმადიდებლობის აპოლოგია იმხანად იკისრა **წმ. სოფრონმა.** ის რომში წავიდა კონსულტაციისათვის. 634 წელს იერუსალიმის პატრიარქი გახდა. გააანალიზა კიროსის მოძღვრება, უწოდა მას შენიღბული მონოფიზიტობა და მისცა ერესის კვალიფიკაცია; შეკრიბა ეკლესიის მამათა 600 გამონათქვამი, შეადგინა კრებული და გაგზავნა რომში, სადაც გულდასმით განიხილა პაპმა გელასიმ და დასტურყო. სოფრონმა აღმოსავლეთშიც შეიძინა მომხრეთა დიდი რიცხვი, რამაც დააფიქრა კეისარი. დედაქალაქის მღვდელმთავარმა ანუგეშა იგი და 638 წელს იმპერატორის სახელით გამოაქვეყნა ცნობილი ტრაქტატი – „სარწმუნოების გადმოცემა“ ანუ „ეკთეზისი“, რითაც ერთი ენერგიის ფორმულა გამოცხადდა არასავალდებულოდ და მის ირგვლივ კამათი აიკრძალა. სამაგიეროდ გაესვა ხაზი, როგორც უცვალებელ ჭეშმარიტებას, რომ ქრისტეში, ორ ბუნებასთან ერთად, მკვიდრობს მხოლოდ ერთი ნება.

კონსტანტინოპოლელ პატრიარქს მხარი აუბა პაპმა ჰონორიუსმა, გელასის მემკვიდრემ. ორივე მღვლდელმთავარი ერთმანეთში ურევდა ცნებებს: ნებას როგორც სულიერი სამყაროს ბუნებით აქტს და ნებას როგორც ზნეობრივ გადაწყვეტილებას („გნომე“ ანუ „ბულე“, „ბულესის“). ხელს სჭიდებდნენ იმ ფაქტს, რომ ქრისტეს, ყოვლადუცოდველს, ორ ბუნებისეულ ნებასთან ანუ სურვილთან ერთად აქვს მხოლოდ ერთი ზნეობრივი ნება (გავიხსენოთ სულიერი ბრძოლის ეპიზოდი და ზნეობრივი არჩევანი გეთსიმანიის ბაღში: მათე 26: 38-42). ბევრი მართლმადიდებელი, გაუწაფავი ლოგიკასა და დიალექტიკაში, დააბნია საკითხის სირთულემ, ტერმინების ორაზროვნებამ და მონოთელიტების ბრალდებამ, თითქოს ორი

ნების აღიარება ნიშნავს ქრისტეს სულში კეთილისა და ბოროტის თანაარსებობის დაშვებას. ამის საპირისპიროდ პაპი ჰონორიუსი ამტკიცებდა, რომ ქრისტეში უეჭველად ერთი ღვთაებრივი ნებაა – სიკეთე.

ვიმეორებთ, ჰერაკლეს „ეკთეზისი“ და, 10 წლის შემდეგ, იმპ. კონსტანტი II-ის „განაწესი“ (ტიპოსი) შფოთისა და მითქმა-მოთქმის გასამუხტად მომზადდა, მაგრამ საწინააღმდეგო ნაყოფი გამოიღო. ბიზანტიის ცენტრალური ნაწილი არეულობამ მოიცვა. ამასობაში არაბებმა ისლამის დროშა ააფრიალეს, ეგვიპტე და პალესტინა დაიპყრეს და მნიშვნელოვანწილად გადაარჯულეს. იქ თეოლოგიური მაძიებლობისათვის აღარავის ეცალა. კონსტანტინოპოლში ერესმა გაიმარჯვა. ჭეშმარიტების ჯვარი რამდენიმე კაცმა იტვირთა. მათგან ყველაზე მეტად **მაქსიმე აღმსარებელი** გაბრწყინდა – „ნაყოფიერი მორჩი და მოღვაწების რჩეული „ჭური“, უდიდესი საეკლესიო მოღვაწე და თეორეტიკოსი. მისი ცხოვრება და შემოქმედება განუყოფელია იმდროინდელი მართლმადიდებლობის ისტორიისაგან და ამ კუთხით ჩვენც გავამახვილებთ ყურადღებას.

წმ. მაქსიმე დაიბადა 582 წელს კონსტანტინოპოლში. დაეუფლა სასულიერო და საერო მეცნიერების მრავალ დარგს, ელინურ სიბრძნეს და მამათმეტყველებას (პატროლოგიას). მიაღწია უმაღლეს თანამდებობას, – სამეფო კარის მდივნობას, მაგრამ სინდისის ხმამ ამა სოფლის დიდებაზე უარი ათქმევინა. იმ დღეს, როდესაც, მონოთელიტობის სახელმწიფო იდეოლოგიად გამოცხადების ნიშნად, წმიდა სოფიის გალავანში აღიმართა აბრა სამეუფო გუჯრით ანუ ხსენებული ეკთეზისითურთ, მან დატოვა სასახლე, გაყიდა მონაგები, საფასე გლახაკთათვის განაბნია, შეიმოსა საბერო სქემა და გეზი წმიდა პეტრეს ქალაქისაკენ აიღო, სადაც მართალი სარწმუნოება, წმიდა პაპის საფარველის ქვეშ, შედარებით უმწიკვლოდ ინახებოდა. აქ დაიმონაფა ორი ძმა – ანასტასი და ანასტასი. ერთხანს უდაბნოში მკვიდრობდა, მაგრამ, წმიდა ანგელოზის მითითების თანახმად, პაპ იოანეს ეახლა. მღვდელმთავარმა იგი ყალბი მეცნიერების სამხილებლად და დასამხობად აკურთხა და გზა აფრიკისაკენ დაულოცა. ალექსანდრიაში მაქსიმე შეხვდა კონსტანტინოპოლელი სერგის მემკვიდრეს – პიროსს, რომელიც, თურმე, ბოროტმოქმედების გამო სამშობლოდან გაუძევებიათ. მათ შორის 645 წელს შედგა დიალოგი, რასაც შემდეგ წმიდა მამამ ლიტერატურული სახე მისცა. იგი ცნობილია სათაურით „სიტყვისგება პიროსისადმი“ და ითვლება ხსენებული წვალების ყველაზე საფუძვლიან კრიტიკად.

დედააზრი ასე გამოითქმის:

ბუნება (“ფიუზის“) მოქმედებისა და ნების გარეშე არის მხოლოდ განყენებული ცნება, ტვინის ჭყლეტა და არარეალობა. თითოეულ ბუნებას თავისი ნება და საქმე ახლავს. ვინც ერთ ნებასა და საქმეს აღიარებს, ის უნებლიეთ ურყოფს ორ ბუნებას ერთ პიროვნებაში. ამდენად, სადაც ორი ბუნებაა, – ორი ნება და ორი მოქმედებაა. შესაბამისად, ორი ბუნება ერთი ნებით და მოქმედებით არსობრივად იგივე მონოფიზიტობაა. ამასთანავე, განაგრძობს ღვთისმეტყველი, თუკი მაცხოვარს აქვს ერთი ნება, ისმის კითხვა: რომელია ეს ნება – საღვთო თუ კაცობრივი? თუ ვიტყვით, – საღვთოა, მივალთ დასკვნამდე, რომ მაცხოვარი არ განკაცებულა, რადგან: სადაა მისი ადამიანური ნება? ხოლო თუ ადამიანისად მივიჩნევთ

ამ ნებას, მაშინ ღმერთი არ ყოფილა იგი, რადგან: სადაა მისი ღვთაებრივი ნება? თუკი ვიფიქრებთ, რომ ქრისტეს ჰქონდა ერთი სინთეზური ნება – საღვთოც და ადამიანურიც, მაშინ უფრო დიდ აბსურდს მივიღებთ. გავითვალისწინოთ, რომ მაცხოვარი, როგორც მეორე ჰიპოსტასი, მამასთან და სულთან ერთნებაა და ერთარსება. და თუ მაცხოვრის ჰიპოსტასი ადამიანურ ნებას შეიცავს, – ადამიანური ნება შეზავებული ყოფილა მამისა და სულის ანუ სამების ნებასთან, რაც სინამდვილეში სხვა არაფერია, თუ არა მოძღვრება ძე ღმერთთან ერთად მამისა და სულის ანუ სამების – ე.ი. სრული ღმრთეების – განკაცებისა და ვნების შესახებ. ესაა უკიდურესი მონოფიზიტობა, – „ხაჩეცარი“ ანუ „თეოპასქია“.

ამის საწინააღმდეგოდ უნდა ვირწმუნოთ და ვაღიაროთ, რომ **ნება არის ბუნების თვისება და რომ განკაცებული მაცხოვარი, ორი ბუნების შესაბამისად, ორ შეურწყმელ, შეუზავებელ, მაგრამ განუყოფლად შეერთებულ ნებას ფლობს – საღმრთოს და ადამიანურს – ერთ პიროვნებაში.**

წუთისოფელში ღვთის ძემ ორივე ნება გამოავლინა. სიტყვებით: „როგორც მამა აღადგენს და აცოცხლებს მკვდართ, ასევე ძეც, ვისაც ნებავს, აცოცხლებს“ (იოანე 5:21) ანდა – „იერუსალემ, იერუსალემ... რამდენჯერ ვცადე შემეკრიბა შენი შვილები“ (მათე 23:37) – გამოთქვა საღმრთო განზრახვა, მაცხონებელი ძალა და მოქმედება. მაგრამ უცომოების ჟამს პურის ჭამა რომ მოუნდა (ლუკა 22:8), კაცის ბუნებისამებრ მოუნდა. წმ. მამა სხვა ეპიზოდებსაც იხმობს იმის გასაცხადებლად, რომ მაცხოვრის სულში თანამყოფობდა ორივე ნება – ადამიანური და საღმრთო. მათგან პირველი ძალდაუტანებლად ემორჩილებოდა ანუ ექვემდებარებოდა მეორეს.

ჭეშმარიტების წინაშე ქედი მოიხარა პიროსმა და ურწმუნოების ჯერკვალი განაგდო; წავიდა რომში, ეახლა პაპ თეოდორეს, აღუთქვა ფიცით და ხელწერილით მართლაღსარება და გამოსთხოვა ლოცვა-კურთხევა, რომ დაბრუნდეს საბერძნეთში და იღვაწოს საღმრთო რჯულის განმტკიცებისათვის. პაპმა დალოცა, მაგრამ მღვდელმთავარმა სიტყვა გატეხა: იგი გზაში, „ვითარცა ძაღლი თავისსავე ნათხევარსა, მიიქცა“. ამ დროს გარდაიცვალა მისი შემცვლელი, უარესი ერეტიკოსი – პავლე. პიროსი წარუდგა კეისარ კოსტას და ტახტი დაიბრუნა. როდესაც ეს ამბავი ეუწყა პაპს, “მივიდა მოციქულთა თავის – პეტრეს – სამარხთან, აიღო ბარძიმი, ჩააწო წმიდა სისხლში კალამი და საკუთარი ხელით დაწერა პიროსისა და ყველა მისი თანამოაზრის ეკლესიისაგან განკვეთა“. თევდორე მალე აღესრულა და ტახტი **წმ. მარტინემ** დაიკავა. ამ დროს აფრიკიდან წმ. მაქსიმეც დაბრუნდა. შეხვდა პაპს. მათ გადამჭრელ ზომებს მიმართეს: მოიწვიეს კრება 150 ეპისკოპოსის შემადგენლობით, დაგმეს წვალება და შეაჩვენეს კიროს ფაზისელ-ალექსანდრიელი, სერგი, პიროს და პავლე კონსტანტინოპოლელები, მათი მომხრე იმპერატორები და ღვარძლის ყველა მთესველი. კრების აქტები და მაქსიმეს ეპისტოლეები მთელს საქრისტიანოს მოეფინა.

ეს ფაქტი ბიზანტიის ხელისუფლებამ პოლიტიკურ დივერსიად აღიქვა და გაუგონარი რამ მოიმოქმედა: აპენინის ნახევარკუნძულზე დესანტი გადასხა და მართლმადიდებლობის ბურჯები – წმ. მარტინე, წმ. მაქსიმე, მისი ორი მოწაფე და თანამოსაგრენი – ხელფეხშეკრული ჩამოიყვანეს ბიზანტიის დედაქალაქში.

შედგა სასამართლო, რომელსაც დაესწრო კეისარი და პატრიარქი, პიროსის მემკვიდრე – პეტრე. პაპს ბრალდებად ბიზანტიის ხელისუფლების ძირგამომთხრელი საქმიანობა წაუყენეს. წმ. მაქსიმეს – სამშობლოს ღალატი. პირველი ყირიმში გადაასახლეს, სადაც სასტიკი პყრობილების შემდეგ გარდაიცვალა. მაქსიმეს აურაცხელი ტანჯვა შეამთხვიეს: ცრუ მოწმეები, დაკითხვები, შანტაჟები, პროვოკაციები, ცემა და ფერად-ფერადი დაპირებები, მაგრამ უცვალებელი აღსარებისაგან ვერ დაადუმეს. სამსჯავროზე მან წარმოთქვა მრწამსი, რისთვისაც მას ეწოდა **აღმსარებელი**. ეს ტექსტი იმსახურებს **წმ. თეოლოგიის ჯამის** პატივს, რადგან თითოეული სიტყვა ოქროთ იწონის და შეიცავს სარწმუნოების მოკლე ანალიზს. წარმოვადგენთ გამოკრებით წმ. ექვთიმე მთაწმიდლის თარგმანის მიხედვით (კიმენი, ტ. I, კ.კეკელიძის გამოცემა, ტფ., 1918, გვ. 87-90).

„მრწამს ერთი ღმერთი: მამა უშობელი, და ერთი ძე და სიტყვა ღმრთისა მამისაგან შობილი, და ერთი სულიწმიდა მამისაგან გამომავალი. სამგვამოვნება. განყოფილი რიცხვითა და თვითებითა მით გვამოვნებისათა, და განუყოფელი ღმრთეებითა: რამეთუ განიყოფვიან განუყოფელად და შეიერთებიან შეურევნელად. ამისთვისცა ვიტყვით სამგვამოვნებასა და ერთარსებასა. და ერთსა ბუნებასა ღმრთეებისასა, რამეთუ ზოგადი არს სამთავე ღმრთეება. და საღმრთოსა ბუნებისა სახენი ხოლო თვისი თითოეულისა: მამისა მამობა უშობელი, ძისა ძეობა შობილი და სულისა წმიდისა გამოსლვა, რამეთუ არცა მამა შეიცვალების ძედ ანუ სულად, არცა ძე მამად ანუ სულად, არცა სულიწმიდა მამად ანუ ძედ, რამეთუ თვითებანი შეუცვალებელ არიან. ღმერთად აღვიარებ თითოეულსა... სამებასა თაყვანსვსცემ ერთარსებით და ერთარსებასა სამებით, – ერთარსებასა სამგვამოვანსა... სწორსა ძლიერებითა და პატივითა. ერთსა ღმრთეებასა აღვიარებ წმიდისა სამებისასა: ერთსა ბუნებასა, ერთსა არსებასა, ერთსა ძალსა, ერთსა ხელმწიფებასა, ერთსა უფლებასა, ერთსა მეუფებასა... უკვდავსა, უვნებელსა... ჯერ იჩინა და ინება მხოლოდ შობილმან ძემან და სიტყვამან ღვთისამან გამოუთქმელითა მით კაცთმოყვარებითა, ნებითა მამისა და სულისათა, ძიება დაბადებულთა თვისთა; გარდამოხდა წიაღთაგან მამისათა, ვინა იგი არასადა განეშორა და დაიმკვიდრა საშო ყოვლადწმიდისა მის ქალწულისა სულისა მიერ წმიდისა და მიიხვნა მისგან ხორცნი სულითურთ პირმეტყველით და იშვა ღმერთი განხორციელებული, იშვა გამოუთქმელად და ქალწულება დედისა დაიცვა განუხრწნელად. არა თავსიდვა შერევნა ანუ შეცვალება, არამედ რა იგი იყო, ეგო და რა არა იყო, იქმნა. შეიმოსა ხატი მონისა ჭეშმარიტად, – არა უცნებით, და ყოვლითურთ გვემსგავსა ჩვენ თვინიერ ცოდვისა. აღვიარებ მას საუკუნოდ და ჟამიერად, დაუბადებელად და დაბადებულად, უვნებელად და ვნებულად, უკვდავად და მოკვდავად. იგივე ღმერთი და კაცი არა თუ სხვა და სხვა, არამედ ერთი არს პირველგანხორციელებისა და შემდგომად განხორციელებისა, – ერთი შეზავებული გვამი ორითა სრულითა ბუნებითა და ორითა ბუნებითითა ნებითა და ორითა საქმითა ერთგვამად შეერთებულითა უცვალებელად და შეურევნელად იგივე ნებსით ინებებდა და იქმოდა საღმრთოთა საქმეთა ვითარცა ღმერთი, და იგივე ნებსით ინებებდა და იქმოდა კაცობრივთა და უბრალოთა საქმეთ ვითარცა კაცი, რამეთუ ბუნება უნებელი და უსაქმო არა არს. არა იძულებით დამორჩილებულიყო იგი ბუნებითთა

თანანადებთა, რამეთუ ნებსით იშვა, ნებსით შეემშია, ნებსით მოეწყურა, ნებსით დაშვრა, ნებსით შეეშინა, ნებსით ჯვარსეცვა, ნებსით მოკვდა, – ჭეშმარიტად და არა უცნებით. ესე ყოველი ნებითა კაცობრივისა ბუნებისათა... ესრეთ მწამს, ესრეთ აღვიარებ, ესრეთ ნათელ-ღებულვარ. და ყოველთა მწვალებელთა და ყოველსა წვალებასა შევაჩვენებ. შევიწყნარებ და პატივს ვცემ წმიდათა კრებათა ნიკიას 318 წმიდათა მამათა და კონსტანტინ 150 წმიდათა მამათა, ეფესოს 200 წმიდათა მამათა, ქალკედონის 630 წმიდათა მამათა, კონსტანტინე-პოლის კვალად 164 წმიდათა მამათა და სხვანიცა სადა რომელ იქმნეს კრებანი, დამამტკი-ცებელნი მართლისა სარწმუნოებისანი, რომელნიცა კათოლიკე ეკლესიამან შეიწყნარნა და რომელნიცა წმიდათა მათ კრებათა შეიწყნარნეს და რომელნი მათ შეაჩვენეს, შევაჩვენებ და ვადიდებ და უგალობ და თაყვანსვცემ მამასა და ძესა და წმიდასა სულსა, რომლისა შვენის დიდება, პატივი და თაყვანისცემა აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე. ამინ“.

გაიმართა სიტყვისგება. ბრალდებულმა წარმოადგინა ცოცხალი არგუმენტები საღმრთო წერილიდან და მამათა მემკვიდრეობიდან. გამოამჟღავნა დიდი ერუდიცია, მეცნიერული ტაქტი და ნათელი გონება. ამასთანავე, – პრინციპულობა, რომ არ გადაუხვევდა არც მარ-ჯვნივ და არც მარცხნივ, რამაც მსაჯულები გააბოროტა და ულმობელი განაჩენი გამო-ატანინა: ენის მოკვეთა, მარჯვენის მოჭრა, ქუჩა-ქუჩა ჩამოტარება და ექსორია. სასჯელი მოწაფეებზეც უნდა გავრცელებულიყო.

659 წლის 21 იანვარს, დილით, ბერი მაქსიმე, 77 წლის სნეული, მისი ორი მოწაფე: ანას-ტასი ხუცესი და ანასტასი დიაკონი დაასახიჩრეს, ფეხშიშველი მოატარეს ქალაქის თორმეტ უბანში, კარიბჭემდე მარშით – კისკისით და სტვენით – მიაცილეს და საქართველოს გზას გაუყენეს.

სამეგრელოში ტყვეები ერთმანეთს დააშორეს. მაქსიმე ლეჩხუმს გადაგზავნეს და და-ატუსაღეს ციხეში „ჰიმირ“, რაც იგივე მურის ციხესიმაგრეა.

ჯალათები ამაოდ დაშვრენ: მოხუცმა დაკოდილ ხელზე კალამი მიიბა და ასე წერდა ეპისტოლეებს, რომლებსაც პირველად საპყრობილის მცველები კითხულობდნენ. მათი გული თანალმობით და სიყვარულით ივსებოდა, წმიდანს პატივს სცემდნენ და წერილები ჟამითიჟამად ცხრაკლიტულის მიღმაც ვრცელდებოდა. ადგილობრივი მოსახლეობა შენდო-ბასა და კურთხევას ითხოვდა.

აღმსარებელს წინასწარ აუწყა ანგელოზმა წუთისოფლიდან გასვლის დღე. ერთი შვი-დეული იმარხულა და 662 წლის 13 აგვისტოს „ხელთა ღმრთისათა შეჰვედრა სული თვისი სიხარულით და მხიარულებით“. გვამს ციხის მახლობლად განუსვენეს, წმ. არსენის მონას-ტერში. იმავე ღამეს სამი ლამპარი დაადგრა სამარეს და სასწაულებიც აღესრულა: მის სახეს ანუ „ძეგლს“ ადგილობრივი მცხოვრებნი ყოველდღე ხედავდნენ (გეორგიკა, IV, ნაკ. I, თარგმანი და განმარტებები ს. ყაუხჩიშვილისა, თბ., 1941, გვ. 50-51) და იმდენად ჩაიბეჭ-დეს სულსა და გულში, რომ შთამომავლობას ლეგენდად გადასცეს.

ლეჩხუმში დღესაც გაიგონებთ: წმ. მაქსიმე იყო უცხო და ჩვენს მიწაზე სიკეთისათვის იარებოდა. ერთხელ ღამეულ ნისლში გამოელაპარაკა მავნებელს, ქარეიშვილ-ჭაბუკიანს, – „სხვას ზიანს ნუ აყენებო“. ბოროტმა კაცმა არ ისმინა და სისხლი დაღვარა. ამის გამო

ჭაბუკიანთა საგვარეულო თავს დასჯილად თვლის და ყოველწლიურად კლავს კურატს წინაპრის ურჯულოების წარხოცვის მიზნით.

დავუბრუნდეთ ძირითად სათქმელს.

მოწამეთა გვირგვინმა ეკლესია განამტკიცა. პაპმა აგათონმა, რომელმაც წმ. მარტინე შეცვალა, 124 ეპისკოპოსის კრება ჰყო, დაგმო პაპის მიმართ ბიზანტიის ხელისუფალთა ძალადობა და „ერთი ნების მეტყველება". კეისარი კოსტა უფრო აღბორგდა, წმიდა ტახტის დალაშქვრა განიზრახა. ჩავიდა სილიციაში, რათა ჯარი შეეკრიბა. შევიდა აბანოში, გაისაპნა და აიქაფა. ამ დროს, თითქოს ცოდვამ უწია, მსახურმა ვერცხლის ჭურჭელი ჩაარტყა და სული გააფრთხობინა, – სასახლის ინტრიგათა მსხვერპლი გახდა... სკიპტრა მისმა შვილმა – კონსტანტინე IV-მ, პოგონატმა – მიითვალა. მან ძირფესვიანად შეცვალა წინამორბედთა კურსი, გადასინჯა რელიგიური პოლიტიკა, მამაშვილური კავშირი დაამყარა რომის პაპთან და კონსტანტინოპოლის დაქვრივებულ კათედრაზე პატრიარქად მართლმადიდებელი დანიშნა – გიორგი; მოიწვია **VI მსოფლიო საეკლესიო კრება**, რომელსაც საბოლოო მსჯავრი უნდა გამოეტანა.

კრება შედგა კონსტანტინოპოლში 680 წელს. სხდომებმა, რიცხვით 18, ერთ წელიწადს გასტანა. ესწრებოდა 153 თუ, ზოგიერთი მონაცემის მიხედვით, 170 მამა. მათ შორის – პაპის სამი ლეგატი, კონსტანტინოპოლელი გიორგი და თეოფანე ანტიოქიელი, რომელმაც მაკარი შეცვალა. უკანასკნელმა წარმოადგინა წერილობითი მოხსენება, რასაც მონოთელიტობის სუნი ასდიოდა. მან კეთილი რჩევა არ ისმინა და ლანძღვა-მუქარაზე გადავიდა, რისთვისაც გააძევეს ქალაქიდან. ასეთივე ბედი ეწია მღვდელ კონსტანტინე სირიელს, რომელიც მრისხანედ უარყოფდა ქრისტეში ადამიანურ ნებას ჯვარცმის შემდეგ. აქტიურობდა ბერი პოლიქრონია, რომელმაც დაიქადნა: ერთი ნებისა და ერთი მოქმედების რწმენით ქალაქის ცენტრალურ მოედანზე მკვდარს აღვადგენო. დელეგატები, ხალხი და სამღვდელონი შეგროვდნენ, რომ გამხდარიყვნენ სასწაულის მოწმე, რაც, ცხადია, არ აღესრულა. ამან კი ერესის ქომაგებს ჩალა გამოავლო პირში. ბოლოს განახლდა მსჯელობა დადგენილების გამოსატანად. წაიკითხეს **აგათონ პაპის ეპისტოლე იმპერატორ კონსტანტინესადმი**. აღიარეს იგი სულიწმიდის ხმად, დაგმეს ერესი და მისი თავკაცები: კეისარი ჰერაკლე, ფაზისელ-ალექსანდრიელი კიროსი, კონსტანტინოპოლელი სერგი, ფარანელი თეოდორე, რომაელი პონორიუსი; პიროს, პავლე და პეტრე კონსტანტინოპოლელები და სხვანი. აღავლინეს ქება-დიდება ღირსი და ღმერთშემოსილი მამებისადმი, უკანასკნელ ჟამს გამოჩენილი წმიდანებისადმი და იწამეს ქრისტეს **ორი ბუნება განუყოფელად, შეუცვალებელად, შეუზავებელად, შეურწყმელად და... ორი ნება დაუპირისპირებლად**. ცხადყვეს, რომ მაცხოვრის „ადამიანური ნება უთმობს ანუ ექვემდებარება ღვთაებრივს, მაგრამ არ ისპობა მისგან".

ამრიგად, მონოთელიტობა დაემხო და ბიზანტიაში სავსებით აღიგავა. შესაბამისი ლიტერატურა დაწვეს და აკრძალეს. წამოიწყეს დევნილება და გადასახლება. ფიქრობენ, რომ ერეტიკოსების ნაწილმა სირიას, **წმ. მარონის** (+ 400) მონასტერს, შეაფარა თავი. იქ მათ შექმნეს ცალკე საეკლესიო სტრუქტურა, რომელმაც მოიცვა აფრიკელი მონოთელიტების

საზოგადოებაც. ეს ორგანიზაცია VIII-IX სს-ის მწერლებთან **მარონიტების სექტის** სახელითაა ცნობილი. ისინი თავიანთ თავს ხან მონოთელიტებს უწოდებდნენ, ხან მონოფიზიტებს. XIII ს-ში უარი თქვეს თავიანთ დოგმატებზე და რომის ეკლესიასთან კავშირი შეკრეს. მათი ცენტრი დღეს ლიბანშია. მიმდევართა რიცხვი 600 ათასს აღემატება. საღვთისმსახურო ენაა სირიულ-არაბული. კათოლიკებთან საერთო რწმენის მიუხედავად, ინარჩუნებენ ძველ რიტუალებს და იერარქიას. ჰყავთ პატრიარქი, რომელსაც აქვს ნომინალური ტიტული ანტიოქიელისა.

მარონიტების წარმომავლობისა და თავგადასავლის ზოგიერთი დეტალი დღემდე გაურკვეველია. პრობლემატურია მათი ერესიარქის ანუ მამათმთავრის ვინაობა. ასეთად ისინი ასახელებენ **ალ-მუკავკასს,** რომელიც ერთდროულად ეგვიპტის საერო ხელისუფალიც იყო და სულიერი წინამძღვარიც; ჰყავდა ცოლი და მშვენიერი ასული – არმანუშა, ვისმა სილამაზემ და სიმამაცემ არაბთა ამირა მოაჯადოვა, ირწმუნა მისი სიყვარულის უძლეველი ძალა და, დატყვევებული ქალწული, უვნებელი გაისტუმრა მდიდარი ძღვნით. ამტკიცებენ: იდუმალებით მოცული პიროვნება – მუკავკასი – კიროს ფაზისელ-ალექსანდრიელია. ეს სახელი მისთვის ეგვიპტეში შეურქმევიათ და კავკასიასთან კავშირზე მიუნიშნებიათ. თუ ზ. ალექსიძის თეორია კირონ ქართლელისა და კიროს ფაზისელის იგივეობის შესახებ (იხ. ზემ.) დასაბუთდა, ცხადია, მუკავკასი იგივე კირიონ ქართლის კათალიკოსად ჩაითვლება და ჩვენც აღვადგენთ საქართველოს ჩინებული შვილის იდუმალ ბიოგრაფიას; თამამად ვიტყვით, რომ მისი სამოღვაწეო სარბიელი შორს გასცდა სამშობლოს ფარგლებს და სიცოცხლის დღენი რელიგიურად და პოლიტიკურად გაკოტრებულმა სხვა კონტინენტზე დალია 641 წლის 21 მარტს. საიდუმლოებითაა მოცული მისი აღსასრულის მიზეზი: ზოგი ამტკიცებს, უკურნებელი დიზენტერია შეეყარაო, ზოგი ამბობს, თავი მოიკლა – მოიშხამაო. სრული სიმართლე არავინ უწყის.

ერთი კი უდავოა:

მორიგი წვალების აკვანი საქართველოს ცის ქვეშ დაირწა და აქვე დასამარდა.

ხატმბრძოლობა

ხატი ნიშნავს *სახეს, სურათს, ნებისმიერ გამოსახულებას*. ესაა თავდაპირველი მნიშვნელობა, რაც შემდეგ გაფართოვდა, შეიძინა რელიგიური აზრი და სპეციფიკური შინაარსი, იქცა კონკრეტული – საკრალური და საკულტო – საგნის სახელწოდებად. მისი ბერძნული შესატყვისია „ეიკონ“ ანუ „იკონ“, რუსული – „ობრაზ“. **ხატის მისია ღვთისა და ყოველივე ღვთაებრივის წარმოჩენა**, უფრო ზუსტად, **განხატებაა**. ამრიგად, ეკლესიის თვალთახედვით, ხატი არის საკრალური საგანი; იესო ქრისტეს, ღვთისმშობლისა და წმინდანების ფერწერული გამოსახულება, შემოსილი მადლით, რადგან ფორმით ასაჩინოებს სარწმუნოებრივად სათაყვანებელ არსებას და მლოცველთა გრძნობას და გონებას ასახული რეალობისაკენ მიაქცევს. ასეთივე ფასი აქვს ცხოველმყოფელი ძელის ანუ გოლგოთის ჯვრის ნიშს, რასაც მორწმუნე ყოველდღე ხედავს, განიცდის თუ გამოისახავს. აგრეთვე – წმიდა ჭურჭლებს, საღვთო და სამღვდელო წიგნებს, წმიდა ნაწილებს და სხვა რელიქვიებს.

ხატწერას ანუ იკონოგრაფიას პირველ საუკუნეებშივე ჩაეყარა საფუძველი. არსებობს სათნო გადმოცემა, ეკლესიის მამების მიერ დამოწმებული, რომ უკურნებელი სენით შეპყრობილმა ედესის მეფემ – ავგაროზმა – ეპისტოლე აახლა მაცხოვარს და მიიწვია. ქრისტემ წადილი ვერ შეუსრულა. სამაგიეროდ უსტარი მიუწერა და სასწაულებრივ აღუბეჭდა თავისი სახე ტილოზე. ასე გამოისახა „ხელთუქმნელი“ ხატი, რომელიც ქ. ედესაში ინახებოდა. მისი ერთი პირი, „დედის თანაღირსი“, საკვირველად კეცზე ამოტვიფრული და შემდეგ ნაჭერზე გადასული, საქართველოში ანტონ მარტყოფელმა მოაბრძანა, – 13 სირიელ მამათაგანმა (VI ს.), ხოლო დედანი X ს-ში „ქალაქთა მზეს“ – კონსტანტინოპოლს ეძღვნა, სადაც დააწესეს ხსენების დღე – 16 აგვისტო. საქართველოს მეორე ხელთუქმნელი ხატიც ერგო – დედაღვთისა. „ქართლის ცხოვრების“ თანახმად, იგი ჩვენში ანდრია პირველწოდებულს მოუტანია; მისი შემწეობით სამცხეში მას მრავალი სასწაული აღუსრულებია, გაუცამტვერებია არტემისისა და აპოლოს კერპები, გაუცოცხლებია დიდებული ქვრივის – სამძივარის – ვაჟი და, ხალხის თხოვნით, იქვე დაუტოვებია. ანტონ მარტყოფელის ძღვენი ანჩის საყდარში ინახებოდა. თამარის დროს ბექა ოპიზარს იგი მოუჭედავს. იოანე ანჩელს კი ღირსად შეუქია (თუმცა ანდრია მოციქულის მოტანილად მიუჩნევია). XVI ს-ში თბილისში გადმოუსვენებიათ და იმ ტაძარში დაუსვენებიათ, შემდეგ ანჩისხატი რომ დარქმევია. ამჯერად ინახება საქართველოს ხელოვნების მუზეუმში. „ხელთუქმნელი ღვთისმშობლის“ ბედი გაურკვეველია...

პირველ ხატმწერად ლუკა მახარებელს ასახელებენ, რომელსაც მაცხოვრისა და მისი დედის ხატები დაუწერია. ხატებს დევნილების დროინდელი მწერლებიც ახენებენ: ტერტულიანე, მანუცია ფელიქსელი, კლიმენტი ალექსანდრიელი, მეთოდე ტირონელი, ორიგენე. ძველსავე დროში ხატების არსებობაზე მატერიალური ძეგლებიც მეტყველებენ – კატაკომბები, ე.ი. მაღაროები თუ გვირაბები, სადაც ხელისუფალთა ძალადობის გამო მორწმუნეები იკრიბებოდნენ. თუმცა ამ ეპოქის ხატწერა, სავარაუდებელია, მაშინდელი რეჟიმის მიზეზით, უმთავრესად სიმბოლურ ხასიათს ატარებდა. მაგალითად, ქრისტეს გამოსახავდნენ თევზად ან კისერზე ცხვარშესმულ მწყემსად და ა.შ. ეკლესიის ლეგალიზაციის შემდეგ ხატებისადმი თაყვანისცემა ფართოდ გავრცელდა. დაიწყეს ტაძრებისა და ოჯახების წმიდა სურათებით შემკობა, რასაც სტიქიური ხასიათი ჰქონდა. არ არსებობდა დოქტრინა ანუ **დოგმატი ხატთაყვანის რაობის, წესებისა და საზღვრების შესახებ.** მარტივი და გულუბრყვილო ხალხი ერთმანეთისაგან ვერ ასხვავებდა ხატსა და კერპს, ხატთაყვანისცემას და ხატმსახურებას, რასაც სავალალო შედეგები მოჰქონდა: მოციქულებრივი ტრადიცია ირყვნებოდა და ადგილი ეთმობოდა ხატის მონობას, ცრუმორწმუნეობას, ფანატიზმს, რელიგიურ მანიაკობას და პათოლოგიას. ერთი ლიტერატურული წყაროს თანახმად, ბევრი საერო და სასულიერო პირი არა მხოლოდ პატივს მიაგებდა და თაყვანს სცემდა ხატებს, არამედ „დებდნენ ხატებზე ტილოს ნაჭრებს და ხატისაგან ქმნიდნენ ნათლიას თავიანთი შვილებისათვის წმიდა ნათლობის ჟამს; საბერო სქემის მოსურნე თმას ხშირად სამღვდელო პირს კი არ აძლევდა, არამედ აწყობდა ხატების წინ; სამღვდელო და საეროთაგან ზოგიერთი აფხეკდა ხატს საღებავს, აზავებდა ბარძიმში და აძლევდა მსურ-

ველს ზიარებასთან ერთად; სხვები ქრისტეს ხორცს (ევქარისტიულს) დებდნენ ხატებზე და იქიდან ასრულებდნენ წმ. საიდუმლოს; იყვნენ ისეთები, რომლებიც უგულვებელყოფდნენ ეკლესიას და კერძო ბინებში ხატებისაგან ქმნიდნენ საკურთხევლებს“.

მოსალოდნელმა რეაქციამ არ დააყოვნა: მუსლიმანები და ქრისტიანი ერეტიკოსები (ნესტორიანები, მონოფიზიტები) სიცილით კვდებოდნენ, აღნიშნულ მოვლენებს პოლითეიზმად, მეკერპეობად, ფეტიშიზმად, მაგიად აღიქვამდნენ. ხალიფები თავიანთ ტერიტორიებზე ჯვარ-ხატების გამოჩენას კრძალავდნენ. მართლმადიდებელთა მეორე ნაწილი – საღად მოაზროვნე ორთოდოქსები – საგონებელში ჩავარდნენ. მესამე ფრთა მეორე უკიდურესობაში გადაეშვა და ხატების უარყოფამდე მივიდა.

ამრიგად, **ხატის მონათა არანორმალურ სიყვარულს ხატის მებრძოლთა არანორმალური სიძულვილი დაუპირისპირდა.** დაიწყო გამოუცხადებელი ომი. იმპერატორი ლეონ III ისავრიელი (717-740) ხატმბრძოლთა მხარეს დადგა. აღსანიშნავია, რომ სამეფო კარი, ფინანსური ინტერესების გამო, ნებსით თუ უნებლიეთ, უფრო ხშირად ხატების ძარცვის ინიციატორის როლში გამოდიოდა. მართლაც: 726 წელს გამოქვეყნდა ედიქტი ანუ ბრძანება, რომ ჩამოეხსნათ, დაემტვრიათ ხატები და გადაეღებათ ფრესკები, თვალმარგალიტები კი სახელმწიფო ხაზინაში ჩაებარებინათ. ლეონის, შესანიშნავი სარდლისა და კანონმდებლის, ერთგული არმია განკარგულების აღსრულებას შეუდგა, – ხატების ფხრეწას, წიგნებიდან მინიატურების ხევას და იკონოგრაფიული სასწავლებლებისა თუ სახელოსნოების კეტვას, რაც ბერმონაზვნების, საშუალო ფენისა და ქალების მხრიდან გააფთრებულ წინააღმდეგობას წააწყდა. ხელჩართული შეტაკებები არც თუ იშვიათად ხოცვა-ჟლეტაში იზრდებოდა. ბიზანტია ორად გაიყო. იფეთქა ორგანიზებულმა აჯანყებამ, რაც იმპერატორმა ჩაახშო, მაგრამ ვერ მოსპო. ხატთაყვანის დასაცავად დაირაზმა აღმოსავლეთისა და დასავლეთის რჩეული სამღვდელოება პაპების: გრიგოლ II, გრიგოლ III-ის და კონსტანტინოპოლის პატრიარქ გერმანეს წინამძღვრობით. მათ ახალი მოძრაობა შეაფასეს ერესად და მრევლს სიფხიზლისაკენ მოუწოდეს, რამაც ხელმწიფის რისხვა განაპირობა. პატრიარქი თანამდებობიდან გადააყენეს და ქალაქიდან გააძევეს. პასუხად პაპმა გრიგოლიმ მოიწვია კრება, აკურთხა ბრძოლა ხატების უარმყოფელთა წინააღმდეგ, დაგმო „ამა სოფლის ძლიერთა“ ეკლესიის საქმეებში ჩარევა და განკვეთა კონსტანტინოპოლის მწვალებელი პატრიარქი ანასტასი.

ლეონის ინტრიგების ქსელი იმპერიის გარე სივრცესაც გასწვდა. ამას წმ. იოანე დამასკელის ცხოვრება ცხადყოფს. იგი, მთელს აღმოსავლეთში სიბრძნითა და განათლებით განთქმული ქრისტიანი, მანსურის სახელით პრემიერმინისტრის მოვალეობას ასრულებდა დამასკოს ხალიფატში. როდესაც ხატმბრძოლობის წინააღმდეგ ეპისტოლეები დაწერა და ბიზანტიაში დააგზავნა, დედანთა კალიგრაფიის მიბაძვით ლეონის მოხელემ ყალბი დოკუმენტი შეაკოწიწა, თითქოს იოანე კეისარს დამასკოს დასალაშქრად აქეზებდა. ხალიფამ ირწმუნა სიცრუე და მართალი კაცი თანამდებობას ჩამოაშორა. სიმართლე გაირკვა, მაგრამ წმ. იოანემ საერო სამსახურზე ხელი აიღო, აღიკვეცა ბერად და, როგორც თავის ადგილზე აღვნიშნეთ, შექმნა ფუნდამენტური შრომები აღმოსავლური თუ დასავლური ღვთისმეტყვე-

ლებისათვის. მეტადრე – ხატის შინაარსის, მნიშვნელობის, სარწმუნოებრივი მისიის დადგენისათვის, თაყვანისცემის დროს ზომიერების დაცვისათვის.

მამის კვალს გაჰყვა შვილი – კონსტანტინე V კოპრონიმი (741-755). მან გაანადგურა მოწინააღმდეგეთა პარტია და ბრძანა საეკლესიო კრების მოწვევა, რაც შედგა 754 წელს ქალკედონის მახლობლად, იერიის სასახლეში. ესწრებოდა 300-ზე მეტი ეპისკოპოსი, რომელთაც ხატების საწინააღმდეგოდ თეორიული საფუძვლების მოძებნა სურდათ. ბჭობისა და კამათის შემდეგ მივიდნენ დასკვნამდე: „წმინდანთა გამოხატვა საღებავებისა და ფერების საშუალებით არის ფუჭი საქმე, ამაოება. მეტიც – ღვთის გმობა და ეშმაკობა“. „ამის საპირისპიროდ გვმართებს, საქმით ვბაძავდეთ წმიდანებს“, რათა მათი „სათნოებანი იქცნენ ცოცხალ ხატებად“, ხოლო ლოცვები და შუამდგომლობანი გამოვითხოვოთ საეკლესიო გადმოცემათა შესაბამისად. ამრიგად, ხატთაყვანი აიკრძალა კანონით, რაც არ ვრცელდებოდა ჯვრის ნიშზე, თუმცა ჯვრის გამოსახულება არსობრივად ხომ იგივე ხატია? ხატთაყვანისცემა ხომ იგივე წმინდანთა თაყვანისცემაა?

ხატმბრძოლებმა თავი გამარჯვებულად წარმოიდგინეს: ენერგიული ფრონტი გახსნეს და დაიწყეს მოწინააღმდეგე ბერების დევნა-აწიოკება. დაიღვარა მოწამეთა სისხლი, მათ შორის **სტეფანე ახლისა**. შერისხული მოსახლეობა იყრებოდა მამაპაპეული საკარმიდამოდან და გარბოდა იტალიასა თუ შავი ზღვის ჩრდილოეთსა და აღმოსავლეთში. მათ სახლკარს კი მონოფიზიტი სომხები და სირიელები იკავებდნენ, რაც, ცხადია, დემოგრაფიულ სურათს ცვლიდა. ამას კი, პირველ რიგში, მმართველობის აპარატში ამჩნევდნენ და უკმაყოფილებასაც ვეღარ ფარავდნენ. როდესაც ხელისუფლება დედოფალ ირინეს ჩაბარდა (ვაჟის მცირეწლოვანების გამო), ხატთაყვანისმცემელთა პარტიამ ამოისუნთქა. შეწყდა დევნა ადმინისტრაციის მხრიდან. ხატების სიყვარულს უფრო არისტოკრატი ქალები ამჟღავნებდნენ. მათი თანადგომით 784 წელს სამეფო ქალაქის პატრიარქად აკურთხეს **წმ. ტარასი**, რომელმაც გაამყარა ანტიერეტიკული პოზიცია და, მასთან თათბირის შემდეგ, დედოფალმა მსოფლიო საეკლესიო კრების მოწვევა ბრძანა. კონსტანტინოპოლი 786 წლის აგვისტოში დელეგატებით გაივსო. დაინიშნა სხდომა, მაგრამ გამოჩნდა არმია – ხატების სიძულვილით და იმპერატორებისადმი ერთგულებით შედუღაბებული, რომელიც გადაეღობა ეპისკოპოსთა კრებულს და დაფანტა. დედოფალმა წინააღმდეგობა ვერ გაბედა, მაგრამ დიპლომატიით სარდალთა გული მოიგო, დიდი ნაწილი პროვინციებში გადააჯგუფა, ვეტერანები დაითხოვა, მიიზიდა ახალი კადრი და შეამზადა ნიადაგი საერთაშორისო ღონისძიების უსაფრთხოებისათვის.

VII მსოფლიო კრება შედგა 787 წელს ქ. ნიკეაში პაპი ადრიანეს წერილობითი თანხმობის საფუძველზე. ესწრებოდა 307 ეპისკოპოსი სახელმწიფოებრივ ჩინოსნებთან ერთად. სხდომების რიცხვი უდრიდა რვას. პირველი 24 სექტემბერს ჩატარდა. თავმჯდომარეობდა პატრიარქი ტარასი. პირველ რიგში უსამართლოდ განკვეთილი და შერისხული სასულიერო პირები აღადგინეს ხარისხში. გადავიდნენ უმთავრეს საკითხზე, სადაც ყველას მიეცა აზრის თავისუფლად გამოთქმის საშუალება. გაცხარდა კამათი, მაგრამ მსჯელობა კონსტრუქციულად წარიმართა. იმოწმებდნენ საღმრთო წერილის გამონათქვამებს და ეკლესიის პირ-

ველმამათა თვალსაზრისებს. ძველი აღთქმის სპილენძის გველი, სიწმიდის კარვის მორთულობა, კუროებისა და ლომების, ქერუბიმებისა და სერაფიმების გამოსახვა სახეობრივად მოასწავებს ეკლესიურ ხატთაყვანისცემას ანუ წმიდა პირებისა და მოვლენების ფერწერულ გამოსახვას, რის წინაშეც გვმართებს კრძალულება. ორ უკიდურესობაში რომ არ გადაეშვან, კრებამ მორწმუნეებს, ბასილი დიდისა და იოანე დამასკელის შეხედულებათა კვალად, შემდეგი დებულება განუჩინა: ხატებს უნდა თაყვანი ვცეთ და არა მხოლოდ ამბორს ვუყოფდეთ. **თაყვანისცემა სხვაა და მსახურება სხვა.** ვემსახურებით მხოლოდ და მხოლოდ ღმერთს. ხატებს კი, წარმოჩენილი სიწმიდის გამო, თაყვანს ვცემთ და ვეამბორებით, მაგრამ, ვიმეორებთ, – არა როგორც ღმერთს, არამედ – პატიოსანი და ცხოველმყოფელი ჯვრის ნიშის მსგავსად. თანაც, პატივს მივაგებთ არა მატერიალურ მხარეს, ანდა საგნობრიობას, არამედ – პირველსახეს. ბასილი დიდის თქმითაც, „ხატი არის სახით ჩენილი პატიოსნება, რომელიც პირველსახეს ცხადყოფს“ ანუ „ხატის პატივი პირველსახეზე გადადის“. ასე რომ, ხატების თაყვანისცემა განუყოფელია წმიდანების და, ზოგადად, სიწმიდეთა თაყვანისცემისაგან, ე.ი. პირველსახისაგან (არქეტიპისაგან): ვინც თაყვანს სცემს ხატს, თაყვანს სცემს პირველსახეს. შეუძლებელია ხატთაყვანის გამიჯნვა მისდამი თაყვანისცემისაგან, ვინც ან რაც მასზეა გამოსახული, – ისინი ჰგიენ ერთობით ანუ ამგვარად: პატივი, რასაც მიაგებენ მეფის დესპანს, მოუკლებელია დიდებისაგან, თავად ხელმწიფეს რომ აღუვლენენ.

ამრიგად, კრებამ დაგმო ისინი, რომლებიც მიაგებენ ხატებს ღვთის დარ პატივს და ისინიც, მართლმადიდებლურ ხატთაყვანს კერპმსახურებას რომ უწოდებენ.

გააუქმეს 754 წლის კრების დადგენილებები; საუკუნო წყევა და შეჩვენება შეუთვალეს ხატმებრძოლთა ერესიარქებს; გაათანაბრეს ისინი მეფე ნაბუქოდონოსორთან, რომელმაც იავარყო რჯულის კიდობანი, აგრეთვე – სამარიელებთან და იუდეველებთან. დადგენილება გრაგნილზე გადაიტანეს, რაც, ეპისკოპოსებთან ერთად, დაადასტურა დედოფალმა ირინემ და უფლისწულმა კონსტანტინემ. ეპისტოლეები გაავრცელეს აღმოსავლეთისა და დასავლეთის ყველა ეპარქიაში.

პრობლემა პრაქტიკულად მაინც გადაუჭრელი დარჩა.

IX ს-ის დასაწყისში ვითარება კვლავ დაიძაბა. 813 წელს ბიზანტიაში მოხდა პუტჩი: ჯარმა დაამხო მართლმადიდებელი იმპერატორი მიხეილ I და მის ადგილზე აღაზევა ენერგიული და პოპულარული მხედართმთავარი ლეონ V სომეხი (813-820), – პირწავარდნილი ერეტიკოსი, რომელმაც განაახლა ხატების მუსრვა. 815 წელს მოიწვია კრება; გააუქმა მე-7 მსოფლიო კრების გადაწყვეტილება და აღადგინა 754 წლის განჩინება. ეკვეთა ოპონენტებს და გადააყენა პატრიარქი ნიკიფორე, დააპატიმრა **წმ. თეოდორე სტუდიელი** (+826), – ცნობილი ჰიმნოგრაფი და ღვთისმეტყველი, ბევრი სასულიერო პირი და ინტელიგენტი. ვითარება რამდენადმე განიმუხტა იმპერატორ მიხეილ II-ის (ენაბრგუს, ამორიელის) დროს. მან გამოაცხადა ამნისტია და გამოაქვეყნა განკარგულება – „არავის მოუბრუნდეს ენა არც ხატების უარსაყოფად, არც დასაცავად. დაე, დუმილმა იმეფოს!“

დუმილმა დიდხანს ვერ გასტანა. მიხეილ II-ის მემკვიდრემ, თეოფილემ (829-842), ისევ

განაახლა დევნა, მაგრამ არა ძველი მასშტაბით. ხატებისადმი პატივისცემას უკვე ღრმად გაედგა ფესვები. სიმპათიას ვერ ფარავდა დედოფალიც **თეოდორა**, რომელსაც ქმრის გარდაცვალების შემდეგ, ვაჟის – მიხეილ III-ის სიჭაბუკის გამო, ქვეყნის მართვა-განმგებლობა ჩაბარდა. მას მხარში სენატორთა და სეფეკაცთა დიდი რაზმი ამოუდგა. გადაყენეს ხატმებრძოლი პატრიარქი იოანე VII და დანიშნეს მეთოდი – თეოფილეს მიერ დევნილი მართლმადიდებელი.

842 წლის 19 თებერვალს მეთოდი კონსტანტინოპოლელის (+846) წინამძღვრობით აიასოფიაში **კრება გაიმართა**, რომელმაც აღიარა VII მსოფლიო საეკლესიო კრების ავტორიტეტი, მისი დებულებების უცვლელობა და პირველად შეასრულა „მართლმადიდებლობის დამცველთა საუკუნო ხსოვნის წესი“ ანუ, ქართულად, „ძეგლისწერა სარწმუნოებისა, რომელი აღწერეს წმიდათა მამათა კონსტანტინოპოლს შეკრებილთა წმიდათა ხატთა თაყვანისცემისათვის, რომელ ესე წარიკითხვის სოფიაწმიდას პირველსა კვირიაკესა წმიდათა მარხვათასა“. იმ დღიდან, განაწესისამებრ, აღნიშნული ტექსტი, რომელსაც შეიძლება ლოცვითი ქადაგება ვუწოდოთ, ყოველ ეკლესიაში იკითხება და, შესაბამისად, დიდმარხვის პირველი დღე სახელდებულია **მართლმადიდებლობის ზეიმად**.

ეპოპეა დასრულდა.

გავიხსენებთ კიდევ ერთ ფაქტს: იმპერატორმა ალექსი კომნენოსმა (XI), რადგან ომისათვის სახსრები სჭირდებოდა, სხვადასხვა ეკლესიიდან შეაგროვა ხატების ოქროსა და ვერცხლის პერანგები; აქცია კაპიტალად და შეიძინა იარაღი. ქალკედონის მიტროპოლიტმა ლეონმა თქვა, რომ ეს ხატმბრძოლობაა. ატყდა დავა. 1085 წელს კონსტანტინოპოლში მოიწვიეს კრება. ესწრებოდნენ: ორი პატრიარქი, 24 ეპისკოპოსი, 12 დიაკონი, 15 იღუმენი და მრავალი საერო პირი, სენატის 46 წარმომადგენელი. იმსჯელეს და გამოიტანეს დასკვნა: **ხატების თაყვანისცემა გულისხმობს არა ნივთიერებას, არამედ სახეებს, რომლებიც მათზე აღიბეჭდებიან.** ამიტომ მეფის საქციელი ხატმბრძოლობად ვერ ჩაითვლებაო...

რას ამბობდნენ საქართველოში?

– ადიდებდნენ წმიდა ხატებს და სანაწილეებს. აქ მშვიდობიან ნავთსაყუდელს პოულობდნენ ბიზანტიის იმპერატორებისა და ერეტიკოსი მღვდელმთავრებისაგან ვნებულნი. ქართლისაკენ ეშურებოდნენ ჭეშმარიტი ხელდასხმის მაძიებელნი, მართალი სარწმუნოების აღმსარებელნი. ისტორიამ კონკრეტული ფაქტიც შემოინახა, – წმ. იოანე გუთელის ანუ ხერსონელის ცხოვრება. გავიხსენოთ ქართველი მამის – წმ. გიორგი მთაწმიდლის – სიტყვები: „იყო ჟამი, რომელ ყოველსა საბერძნეთსა შინა მართლმადიდებლობა არა იპოვებოდა და იოანე გუთელ ეპისკოპოსი მცხეთას იკურთხა ეპისკოპოსად, ვითარცა სწერია დიდსა სვინაქსარსა“.

სიწმიდეთა შორის ბრწყინავს ივერიის ღვთისმშობლის ხატი.

მისი საღმრთო თავგადასავალი ასეთია: როდესაც ქრისტეს ეკლესიას ამქვეყნად სენმა დარია ხელი და მადლშემოსილ საგნებს ეკვეთენ, ნიკეაში ცხოვრობდა ვინმე ქვრივი ქალი. მას კეისრის ჯარისკაცი სწვევია. კედელზე დედაღვთისა შეუნიშნავს. აღბორგებულა. მახვილი უძგერია და საკვირველების მოწმეც გამხდარა, – ღვთისმშობლის სახეზე სისხლს

გამოუჟონავს. ბოროტეული დამფრთხალა და გაქცეულა. ღვთისმოსავს კი, მწვალებელთა თავდასხმის შიშით, ხატი ზღვისთვის მიუცია.

„ათონის მთის აქტებში“ სასურველ ამბავს ვეცნობით: 999 წლის 27 აპრილს, ბრწყინვალე შვიდეულის სამშაბათს, აქაურმა მამებმა იხილეს და განიცადეს სასწაული, – ზღვაზე ღვთისმშობლის ხატმა მოსცურა. გამოსვენება უნდოდათ, მაგრამ არცერთის ხელი არ მიიკარა. შეწუხდნენ. გააათკეცეს ლოცვა-ვედრება და ემცნოთ თვალშეუდგამი ნება: სიწმიდის ღირსი მხოლოდ და მხოლოდ ივერიელი გაბრიელიაო... ბერმა ფეხით განვლო მოლივლივე ტალღები და გამოაბრძანა ჭეშმარიტი ქალწულის სახე, რასაც ივირონის კარიბჭის თაღზე განუსვენეს. ამიტომ ეწოდა **კარის ღვთისმშობელი ანუ, ბერძნულად, პორტაიტისა.**

ეს ისტორია **აკაკი წერეთელმა** გაასხივოსნა.

ეკლესიათა გაყოფა (დიდი სქიზმა)

მართლმადიდებლობის ზეიმით ერესებისა და მათი მამხილებელი კრებების ეპოქა ფაქტობრივად დასრულდა. დოგმატური ღვთისმეტყველების თითქმის ყველა ძირითად საკითხს პასუხები გაეცა, რის გამოც თეორიის სფეროში ცხარე დებატები და შეხლა-შემოხლა მოსალოდნელი აღარ უნდა ყოფილიყო. IX ს-ის შუა წლებში ვნებები თითქოს დაცხრა, მაგრამ რომი და ბიზანტია ამიერიდან სქიზმატურმა მოძრაობამ, უფრო ზუსტად, ეკლესიების იერარქთა დაპირისპირებამ მოიცვა, რაც ეკლესიათა გათიშვით და პენტარქიის გაუქმებით დამთავრდა.

დიდი სქიზმის კონკრეტული თარიღი 1054 წლის 16-20 ივლისია, მაგრამ ეს დღე საუკუნეთა განმავლობაში მზადდებოდა.

სქიზმათა ზოგადი მიზეზი, წმ. ბასილი დიდის თანახმად, **ქრისტეს ეკლესიის მსახურთა გულებში ძმური სიყვარულისა და ურთიერთპატივისცემის გრძნობის ნაკლებობაა.** ასეთი ლიდერები, როგორც წესი, გადამეტებულ პრინციპულობას, ე.ი. ახირებას, კაპრიზობას იჩენენ, ამჟღავნებენ ეგოიზმს, მხოლოდ საკუთარი, ანდა თავიანთი პარტიების ინტერესებს ითვალისწინებენ და სხვათა ინტერესებს და თვალსაზრისებს ხელაღებით უარყოფენ; მასწავლებლობის ჟინი აქვთ, მაგრამ მოწაფის როლში გამოსვლას ვერ იტანენ; სხვებისგან ყურადღებას მოითხოვენ, თვითონ კი სხვებს ყურს არ უგდებენ და მოსმენის კულტურასაც ვერ ავლენენ. კონკრეტული მიზეზები, რაც საეკლესიო განხეთქილებას წარმოშობს, ორგვარია: **დოგმატური და ორგანიზაციულ-მმართველობითი.** ასე რომ, სქიზმა შეიძლება დოგმატურიც იყოს და არადოგმატურიც, ანდა – ერთიც და მეორეც ანუ დოგმატურიც და ორგანიზაციულიც. წინა საუკუნეებში მომხდარ სქიზმათა დიდი ნაწილი, როგორც ვნახეთ, უფრო დოგმატურ ხასიათს ატარებდა, – რომი აღმოსავლეთის ამა თუ იმ ეკლესიას ერესში ადანაშაულებდა. დიდი სქიზმა გაცილებით რთული მოვლენაა. თუ ადრე „დოგმატური ბრალმდებლის“ როლში თითქმის ყოველთვის რომი გამოდიოდა, IX ს-ის მეორე ნახევრიდან საბრალდებო სკამზე იგი თავად აღმოჩნდა. საწყის ეტაპზე ბრალდე-

ბები კონსტანტინოპოლის მხრიდან იყო როგორც კანონიკურ-წესჩვეულებითი (უმთავრესად), ისე საღვთისმეტყველო-დოგმატური (აქა-იქ), რომის მხრიდან კი – კანონიკური და იერარქიული. ეკლესიათა გაყოფის ფაქტი დღესაც სხვადასხვანაირადაა კვალიფიცირებული. კათოლიკები მას „ბერძენთა სქიზმას“ უწოდებენ, მართლმადიდებლები, უფრო ხშირად, „ლათინთა ერესს“, თუმცა შეფასების თვალსაზრისით ერთსულოვნებას არც დასავლეთში აქვს ადგილი და არც აღმოსავლეთში. მართლმადიდებელ ღვთისმეტყველთა ნაწილი, მაგალითად, მოსკოვის **წმ. მიტროპოლიტი ფილარეტი** (+1867), რომის ეკლესიას, ე.ი. რომაულ კათოლიკობას ანუ რომის კათოლიკეთა ეკლესიას კვლავ ერთიანი ეკლესიის შემადგენელ ნაწილად თვლის (ცხადია, სქიზმაში მყოფად) და ამ ეკლესიის მონაწილეობის გარეშე მსოფლიო საეკლესიო კრების მოწვევას შეუძლებლად მიიჩნევს.

> დიდი სქიზმის შესახებ მდიდარი ლიტერატურა არსებობს. წინამდებარე მიმოხილვა, ძირითადად, შემდეგ გამოკვლევებს ეფუძნება: **მ. გელცერი**, ბიზანტიის ისტორიის პოლიტიკური საკითხები, რომელიც დაბეჭდილია **ვ. ბენეშევიჩის** წინასიტყვითა და რედაქციით კრებულში "ბიზანტიის ისტორიის საკითხები": პეტერბურგი, 1912 (რუს.ენაზე); **ა.პ. ლებედევი,** ეკლესიათა გაყოფის ისტორია IX, X და XI საუკუნეებში: პეტერბურგი, 1905 (რუს.ენაზე); **მ.ე. პოსნოვი,** ქრისტიანული ეკლესიის ისტორია: მოსკოვი, 1988 (რუს.ენაზე); **კ. კეკელიძე,** თარგმანება ეკლესიასტისა მიტროფანე სმირნელი ეპისკოპოსის მიერ (= მისივე, ეტიუდები, XI, თბ. 1972, გვ. 197-207).

განხეთქილების ბალავერი დედაქალაქად დაბა ბიზანტიონის ანუ, მერმინდელი სახელით, კონსტანტინოპოლის გამოცხადების (330 წ.) და იმპერიის გაყოფისთანავე (395 წ.) გაიჭრა, მაგრამ IX ს-მდე ეს ბალავერი ნაკლებად იგრძნობოდა. პაპები და იმპერატორები ერთმანეთს ანგარიშს უწევდნენ, რადგან თანადგომა ორივესთვის ხელსაყრელი იყო პოლიტიკური მოტივით. ბიზანტიის სამეფო და საპატრიარქო კარზე ერესების აღმოცენების ჟამს ვითარება მწვავდებოდა და, წმ. მარტინე პაპის მაგალითი რომ გავიხსენოთ, ზოგჯერ ტრაგედიითაც მთავრდებოდა. VII-VIII სს-ში აღმოსავლეთის ეკლესიები მორიგმა წვალებამ მოიცვა და, რადგან ყველა ცდა ხატებზე მართებული წარმოდგენის აღდგენისა იმხანად ამაო აღმოჩნდა, პაპებმა კურსი საფრანგეთისაკენ აიღეს. 800 წელს პაპმა ლეონ III-მ რომის იმპერიის მემკვიდრედ აკურთხა კარლოს დიდი, რაც ბიზანტიელი ბასილევსების იგნორირებას უდრიდა.

რომისა და კონსტანტინოპოლის კათედრებს შორის ატყდა დავა გავლენის სფეროთა განაწილების თაობაზე. კერძოდ, – ბულგარეთსა და მიმდებარე რეგიონებზე. ეს მხარე ქრისტეს რჯულზე კონსტანტინოპოლის მთავარეპისკოპოსის ღვაწლით მოიქცა 865 წელს. მიუხედავად ამისა, მას რომი თავისკენ ეზიდებოდა, რადგან მიაჩნდა, რომ მას მეტი სამოძღვრო გამოცდილება ჰქონდა და უცდომელი სარწმუნოებაც ეპყრა. პრობლემები გაჩნდა სამხრეთ იტალიაში, სადაც VII-VIII სს-ში თავი შეაფარეს ხატთაყვანისმცემლებმა და შეიქ-

მნა ბერძნული კოლონიები. კონსტანტინოპოლი მათ საკუთარ სამწყსოდ მიიჩნევდა, რასაც პაპი უკანონობად ნათლავდა. რომი ბიზანტიონის მთავარეპისკოპოსს ადანაშაულებდა „მსოფლიო პატრიარქის“ ტიტულის უზურპაციაში; უხუცესი და ჭეშმარიტად მოციქულებრივი კათედრების – ალექსანდრიის, ანტიოქიისა და იერუსალიმის – დამორჩილებაში; უწოდებდა „უგვარტომოს“, რადგან თვლიდა, რომ მისი აღზევება იმპერატორის ტახტმა განაპირობა და არა აპოსტოლურმა მემკვიდრეობამ.

პირველი სერიოზული კონფლიქტი IX ს-ის II ნახევარში მოხდა. ეს ხანა ბიზანტიის საერო და სასულიერო ტახტებზე ინტრიგათა ქსელით აღინიშნა. 846 წელს მსოფლიო პატრიარქად აღასაყდრეს სარწმუნოებით და ზნეობით გაბრწყინებული ბერი – **ეგნატე**, მეფის შთამომავალი. მან ამხილა სეფეკაცების უმსგავსი საქციელი და ისინი ნათლისღების ლიტურგიაზე არ აზიარა, რაც ძვირად დაუჯდა. ჩამოყალიბდა ოპოზიციური პარტია, რომელმაც, ნორჩი იმპერატორის მიმხრობის შემდეგ, 858 წელს თანამდებობიდან გადააყენა ეგნატე და აღასაყდრა ერისკაცი, სახელმწიფო მდივანი – **ფოტიოსი (ფოტი)**, განთქმული ნიჭით და განათლებით, ცნობილი მწერალი და იურისტი (რჯულისკანონის რედაქტორი და კომენტატორი). მან, ერისკაცმა, იერარქიული კიბის ყველა საფეხური ოთხი დღის განმავლობაში (20-24 დეკემბერი) გაიარა. მორწმუნეთა უმრავლესობა ამ ფაქტს უარყოფითად შეეგება, რადგან დიდი სასოება ჰქონდათ ეგნატეს მიმართ. მოიწვიეს კრება, სადაც ფოტიოსმა „ამა სოფლის ძლიერთა“ თანადგომის შედეგად გაიმარჯვა.

IX ს-ის 60-70-იან წლებში ბიზანტია ორი პარტიის, ე.წ. ეგნატიელთა და ფოტიელთა ანუ რომის პრიმატის მაღიარებელთა და უარმყოფელთა, მკაცრი და შეუბრალებელი ბრძოლის ასპარეზად იქცა. წმ. ეგნატე, ბავშვობაში ძალადობის მსხვერპლი (გამოსაჭურისებული), მონასტერში გაზრდილი და ასკეტური იდეალებით გამსჭვალული პიროვნება გახლდათ. მისთვის უცხო იყო ე.წ. იკონომია ანუ გარკვეული დათმობები, თვალის დახუჭვა და წაყრუება სარწმუნოებისა და ზნეობის ხაზით, რაც „ამა სოფლის ძლიერთა“ წინაშე ძვირად უჯდებოდა. სამაგიეროდ დიდი გავლენა ჰქონდა ბერმონაზვნებზე და სამონასტრო იდეალებით ანთებულ ერისკაცებზე. გარედან მას პაპის ავტორიტეტი უმაგრებდა ზურგს, შიგნით კი – სოციალურად უბრალო ხალხი, რომელთა რიცხვი ყოველთვის და ყველა ქვეყანაში ძალზე დიდია. რაც შეეხება წმ. ფოტიოსს (ფოტის), მის მხარეზე ძირითადად თეთრი სამღვდელოება, არისტოკრატია და ინტელიგენცია იდგა. იკონომიაზე იგი ადვილად თანხმდებოდა, რითაც „ამა სოფლის ძლიერთა“ გულებს იგებდა. იმდენად იტაცებდა ელინური ფილოსოფია და პოეზია, რომ მოწინააღმდეგეები ქირქილებდნენ: წირვის დროს ფოტიოსი ლოცვების მაგიერ მგოსანთა თხზულებებს ბუტბუტებსო. ეს ცხადია, ცილისწამება იყო, მაგრამ შესაძლებელია, ეკლესიოლოგიის სფეროში რომისაგან განცალკევებისაკენ მას სწორედ ბერძნულ-ნაციონალური კულტურით ესოდენ გატაცებამ უბიძგა. ეროვნული და ეკლესიური დამოუკიდებლობის იდეას მეტი გასავალი, როგორც წესი, ერისკაცთა წრეში აქვს; ბერმონაზვნობა, კათოლიკე ცნობიერებით გამსჭვალული, მას, როგორც წესი, ძნელად ეგუება. ამ შემთხვევაშიც რომისადმი სასოებას, ეგნატესთან ერთად, უფრო ბერმონაზვნობა იჩენდა.

ომი პაპის მორჩილთა და მოწინააღმდეგეთა შორის იმხანად (IX ს-ში) პრორომაელთა

გამარჯვებით ანუ რომის საყდრის პრიმატის უარმყოფელთაგან პოზიციების დათმობით დამთავრდა.

მოვლენები ასე განვითარდა:

ეგნატემ საკასაციო საჩივრით მიმართა პაპს, რომელიც საქმის დეტალების შესწავლას შეუდგა და ბიზანტიონში ლეგატები გაგზავნა. ისინი ზეიმით მიიღეს. მასპინძლები იმპერატორი და პატრიარქი იყვნენ. მიუჩინეს მხლებლები, რომლებიც ეგნატეს მომხრეებს ახლოს არ აკარებდნენ. სტუმრები მოიხიბლენ ახალგაზრდა პატრიარქის გონიერებით და აღიარეს იგი თანამდებობის შესაფერისად.

861 წელს ადგილობრივი საეკლესიო კრება შედგა, სადაც წმ. ტახტის დესპანები ქედმაღლობდნენ და ხაზს უსვამდნენ რომის საყდრის აღმატებულებას, რაც ფოტიოსმა, პაპის კეთილგანწყობილების მოსურნემ და მოიმედემ, იმხანად დაითმინა. შედეგმაც არ დააყოვნა: ლეგატებმა პატრიარქს დაუჭირეს მხარი და გაკიცხეს ეგნატე. თქვეს, რომ იგი გაიზარდა მონასტერში და მისი ასპარეზიც მონასტერია. კრებამ შეიმუშავა კანონი, – „თუ ეპისკოპოსი მოინდომებს ბერობას, უნდა დაუტევოს ეპისკოპოსობა“, რაც ნიშნავდა, – ბერი ბერად უნდა დარჩეს.

სტუმრებმა მისია ამოწურულად ჩათვალეს, გაბრუნდნენ უკან და წაიღეს პატრიარქის წერილი პაპისადმი. ფოტიოსი აღნიშნავდა, რომ, მართალია, არსებობს წესჩვეულებითი სხვაობანი დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის, მაგრამ ეს არ ეხება დოგმატს და, ამდენად, განხეთქილების საფუძველი არ არსებობსო.

პაპმა ნიკოლოზ I-მა საგანგებო სხდომა მოიწვია იმპერატორის ელჩების თანდასწრებით. ერთ ხელში ფოტიოსის წერილი ეჭირა, მეორეში – ეგნატესი. უარყოფითად შეაფასა ლეგატების საქმიანობა. დაგმო ფოტიოსი, მისი მფარველი იმპერატორი, მათი თანამოსაგრენი და აღიარა ეგნატეს პრეტენზიების საფუძვლიანობა. გააუქმა 861 წლის კრების განჩინება და ეპისტოლენი დაგზავნა აღმოსავლეთის ეკლესიებში.

პატრიარქმა და იმპერატორმა რომს ურჩობით უპასუხეს. დაგმეს მისი ადმინისტრაციული, კულტმსახურებითი და დოგმატური პოზიციები. კერძოდ, ახლადმოქცეულ ბულგარეთზე იურისდიქციის თვითნებურად გავრცელება. ფოტიოსმა შეადგინა საყოველთაო ეპისტოლე, დაუგზავნა იგი აღმოსავლეთის მამათმთავრებს და წარმოადგინა ბრალდებათა ვრცელი ნუსხა. მისი თქმით, ლათინებმა, ვით ველურმა ტახებმა, ბულგარეთში გადათელეს ჯეჯილი, რაც კონსტანტინეს ქალაქმა დათესა და რაც უხვი მოსავლის იმედს იძლეოდა. აცდუნეს, ფერადფერადი დაპირებებით მოთაფლეს და მოხიბლეს ახალნერგი ერი, მათი მთავარი – ბორისი, თავკაცობა და ავრცელებენ სწავლა-განგებას, რაც უცხოა კათოლიკე ეკლესიისათვის. ესენია: შაბათის მარხვა, მარხვა რძით და ყველით, სამღვდელოთა უქორწინებლობის მოთხოვნა ანუ ცელიბატობის დაკანონება, მრწამსის დამატება წმ. სულის ძისაგანაც გამოსვლის შესახებ – ფილიოკვე, წვერის პარსვა, დიაკონთა ეპისკოპოსად კურთხევა და ა.შ. თუ წინა წერილში მსგავსი სიახლეები გამოცხადებულია შესაწყნარებლად, აქ – ლამის ერესად. ამასთანავე, ავტორს ავიწყდება, რომ თავად არამც თუ დიაკვნობიდან, არამედ ერისკაცობიდან აღაზევეს მღვდელმთავრის რანგში.

867 წელს კეისრის ტახტი ბასილი I-მა – მაკედონელმა – მიიტაცა. მან ფოტიოსი მეორე დღესვე განაშორა თანამდებობას და, მორწმუნეთა გულის მოგების მიზნით, კათედრაზე ეგნატე აღადგინა. განახლდა მიმოწერა პაპთან, ნიკოლოზ I-ის მემკვიდრესთან - ადრიანესთან. **869 წელს კონსტანტინოპოლის კრება შედგა**, სადაც პაპის ლეგატებმა წაიკითხეს ბულა, რითაც ხაზი გაუსვეს 7 საეკლესიო კრების შეუვალ ავტორიტეტს, ნიკეა-კონსტანტინოპოლის მრწამსის უცვალებლობას და შეაჩვენეს ყველა ერესი და ერეტიკოსი. მათ შორის – ფოტიოსიანელები. განაჩინეს ანათემა ნებისმიერ ერისკაცზე, ვინც თვითნებურად დაადგენს მღვდელმთავარს.

არც ფოტიოსს დაეკრიფა გულხელი. მან გააოცა მეფე სიბრძნით და გამოცდილებით. დაუმეგობრდა მას და შვილების აღზრდის მისია იკისრა. ხოლო 877 წელს, პატრიარქ ეგნატეს გარდაცვალების შემდეგ, კვლავ დაიბრუნა მიტრა. მან ალღო და უნარი გამოიჩინა, მოახერხა პაპი ადრიანეს მოადგილის – იოანე VIII-ის – გულის მოგება და ლეგატების მოწვევა კრებაზე, რომელიც შედგა 879 წელს. უნდა განეხილათ უთანხმოების მოგვარების პერსპექტივები. ლეგატებმა ბერძნული არ იცოდნენ. ამბობენ, რომ მათ ვერ შენიშნეს საბოლოო დოკუმენტის ის ადგილი, სადაც პატრიარქი ფოტიოსი „მსოფლიო პატრიარქადაა“ მოხსენიებული. როდესაც ყველაფერი გაირკვა, პაპმა ლეგატები დასაჯა, პატრიარქს კი ანათემა გამოუცხადა.

ფოტიოსი გამარჯვებას ზეიმობდა, მაგრამ ბორბალი უკუღმა დატრიალდა. 886 წელს გარდაიცავალა იმპერატორი ბასილი I და ტახტზე მისი ვაჟი ავიდა, – ლეონ IV. მან, ყველასათვის მოულოდნელად და 769 წლის კრების კანონის საპირისპიროდ (იხ. ზემ.), თანამდებობიდან გადააყენა სახელგანთქმული იერარქი და მისივე მასწავლებელი ფოტიოსი. ხოლო აღამაღლა თავისი ძმა – სტეფანე. მოტივი ბუნდოვანია. უნდა ვიფიქროთ, რომ კეისარს პაპის შერიგება და დასავლეთთან ურთიერთობის გაუმჯობესება ეწადა. მიზანს მიაღწია, მაგრამ დროებით.

სქიზმა გარდაუვალი იყო.

მიზეზები დაგუბდა და იფეთქა XI ს-ის შუა წლებში, პაპ ლეონ IX-ის, პატრიარქ მიქაელ კერულარიოსის და მეფე კონსტანტინე IX-ის, მონომაქის, დროს. განახლდა დავა სამხრეთ იტალიის მიწებზე. პაპის ბრძანებით იქიდან გამოაძევეს ბერძნები, რომლებიც უარს ამბობდნენ რელიგიური ცხოვრების ლათინურ წესზე და თავს კონსტანტინოპოლის მრევლად თვლიდნენ. პასუხად პატრიარქმა 1053 წელს ბიზანტიონში დახურა ლათინური ტიბიკონის ეკლესიები და ერესად მონათლა უფუარი პურით ზიარების მათებური წესი. ამბობენ, რომ მან სანაწილედან გამოყარა მაცხოვრის ხორცად გადაარსებული ხმიადი და იატაკზე დაანარცხა. ეკლესიათა საჭეთმპყრობელებმა ურთიერთმაბრალებელი წერილების გამოქვეყნება დაიწყეს. კერულარიოსმა დაავალა ეპ. ლეონ ორქიდელს და, შემდეგ, სტუდიელთა მონასტრის ბერს – ნიკიტა სტითატს – მამხილებელი ტრაქტატების შედგენა. დავალება შესრულდა, მაგრამ ეს დოკუმენტები, ფოტიოსის ანალოგიურ დოკუმენტთან შედარებით, ღარიბად გამოიყურებოდა. პაპისტები, ძირითადად, სამი სიახლის ანუ ცდომილების გამო იგმობოდნენ: **უფუარი პური, შაბათის მარხვა და ცელიბატობა.**

პაპმა, თავადაც მძიმე დღეში მყოფმა ჩრდილოეთიდან არიანელი ნორმანების ლაშქრობათა გამო, ვითარების გასანეიტრალებლად კონსტანტინოპოლში სამი ლეგატი გაგზავნა კარდინალ ჰუმბერტის მეთაურობით. ისინი მეფისა და პატრიარქის წინაშე 1054 წლის ივნისში გამოცხადდნენ. ხელმწიფე ღირსეულად შეეგება მათ, პატრიარქი – ცივად, რადგან იცოდა, რომ ლეგატები მის „გამოსასწორებლად“ ჩამოვიდნენ. მოლოდინი გამართლდა. კარდინალი მბრძანებლური ტონით ელაპარაკებოდა პატრიარქს და გასამართლებითაც ემუქრებოდა; თავი საკუთარ ეპარქიაში ეგონა. მან მოაწყო აღნიშნული ტრაქტატების განხილვა იმპერატორის თანდასწრებით. პუნქტობრივად გააკრიტიკა ისინი და საზეიმოდ დაწვა სტუდიელთა მონასტრის გალავანში, სადაც ერთ-ერთი მათგანი დაიწერა; შეადგინა უმკაცრესი პასუხები, რამაც შერიგების პროცესს ხელი შეუშალა. პატრიარქმა ქედმაღლობას უარესი ქედმაღლობა შეაგება: ოფიციალურ შეკრებაზე წმ. ტახტის მოციქულებს ბერძნების უკან მიუჩინა ადგილი, რაც, ფაქტიურად, რომის პრიმატის უარყოფას ნიშნავდა. დამცირებულმა და შეურაცხყოფილმა ლეგატებმა დატოვეს დარბაზი და გეზი სამეფო პალატისაკენ აიღეს. ხელმწიფე შეწუხდა და დაიწყო გამოსავლის ძებნა. ამ დროს მოვიდა დეპეშა პაპი ლეონის გარდაცვალების შესახებ.

16 ივლისს, დილით, პაპის სულის მოსახსენიებელ წირვაზე წმიდა სოფიის ტაძარს აურაცხელმა მლოცველმა მიაკითხა. გამოჩნდნენ ლეგატებიც. ისინი აიჭრენ ამბიონზე და მიმართეს ერს, რომ მოლაპარაკება ჩაიშალა პატრიარქ კერულარიოსის ამპარტავნებისა და უკანონო საქციელის გამო; მის სინდისზეა პასუხისმგებლობ ისტორიის წინაშე. ეამბორნენ წმ. ტრაპეზს; დადეს ბულა; თქვეს: „ღმერთი ხედავს და სიმართლით სჯის!“ და ტაძრიდან გავიდნენ. ხალხი დაიბნა და გაოგნდა. იპოდიაკვნებმა ბულა პატრიარქს მიართვეს. მან პირველად წაკითხვაც არ ისურვა. შემდეგ, რომ ტექსტი მოსახლეობაში უკომენტაროდ არ გავრცელებულიყო, ათარგმნინა ბერძნულად და იხილა წყევლა-კრულვა იმ ერეტიკული მიდრეკილებების გამო, რაშიც პაპი, დესპანთა ბაგით, მას ადანაშაულებდა. კერულარიოსს ბრალდებოდა: წეს-ჩვეულებების გაფეტიშება, უვიცობა, დოგმატისა და კულტის განურჩევლობა და, რაც მთავარია, მსოფლიო საეკლესიო კრებების დადგენილებათა აბუჩად აგდება, – რომის საყდრის უპატივცემულობა. პატრიარქთან ერთად ირისხებოდა ყველა, ვინც კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებდა წმ. ტახტის აღმატებულ მადლს.

ფიქრობენ, ექსტრემისტული აქტით რომაელებს ხალხის აჯანყება უნდოდათ. მოტყუვდნენ: ხალხი აჯანყდა, მაგრამ სტუმრების წინააღმდეგ, რომლებიც ძლივს გადაურჩნენ რისხვას და მეფის ბადრაგის დახმარებით გაიპარნენ.

დრამატული ამბიდან ოთხი დღის შემდეგ, 20 ივლისს, შედგა ადგილობრივი კრება 12 მიტროპოლიტის, რამდენიმე ეპისკოპოსისა და სამღვდელო დასის შემადგენლობით. ეს იყო ტრიბუნალი, რომელმაც ანათემა შეუთვალა პაპს და მის თანამეინახეთ. ბულა კი დაწვა.

ამრიგად, რომის პაპმა და კონსტანტინოპოლის პატრიარქმა ერთმანეთი შეაჩვენეს. მოხდა დიდი სქიზმა: დასავლეთის და აღმოსავლეთის ეკლესიები გაითიშნენ. **მიზეზი პოლიტიკურია, საბაბი – დოგმატური. უფრო სწორად, ისინი გადახლართულია პირველის უპირატესობით.**

ზოგიერთი მკვლევარის, მათ შორის, მ. გელცერისა და ვ. ბენეშევიჩის დაკვირვებით (დას. წიგნი, გვ. 77-78), დიდი სქიზმა არა დოგმატიკამ, არამედ ლათინთა და ბერძენთა შორის საუკუნეთა მანძილზე ბობოქარმა ნაციონალურმა ქიშპმა და ზიზღმა განაპირობა. პატრიარქ ფოტიოსის ეკლესიათაშორის პოლიტიკასაც ბევრწილად ელინური ნაციონალიზმი კვებავდა, რაც შემდეგში გაღრმავდა და ეკლესიათა გაყოფის საქმეში დიდი როლი შეასრულა.

ასეა თუ ისე, ფაქტია: 1054 წლიდან აღმოსავლეთისა და დასავლეთის თანამორწმუნე ეკლესიები ერთმანეთისაგან რამდენადმე განსხვავებული რწმენის ეკლესიებად, ორ კონფესიად – **მართლმადიდებლურ** და **კათოლიკურ** ეკლესიებად – ჩამოყალიბდნენ. ერთიანობის ხანაში ამ ეკლესიებს საერთო სახელი ჰქონდათ – „მართლმადიდებელი და კათოლიკე“. აღმოსავლეთის **შვიდ მსოფლიო კრებისეულ** ეკლესიათა სახელად ამიერიდან „მართლმადიდებელი“ დამკვიდრდა, დასავლეთის (რომის) ეკლესიის სახელად – „კათოლიკე“ (კათოლიკური). შესაბამისად, ორი კონფესია გამოიკვეთა – მართლმადიდებლობა და კათოლიკობა. პირველს აღნიშნული სახელწოდება **ეკლესიის მამებისა და კრებების საღვთისმეტყველო მოძღვრების უცვალებლად შენახვის გამო** დაუსაკუთრდა, მეორეს იმის გამო, რომ მისი არსებითი ნიშანი **ეკლესიის კათოლიკეობის, ე.ი. ერთიანობისა და საყოველთაობის მძაფრი განცდაა.**

მკაფიოდ უნდა ითქვას შემდეგი: ევქარისტიული კავშირი აღმოსავლეთისა და დასავლეთის ეკლესიებს შორის ერთბაშად არ გაწყვეტილა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, – აღმოსავლეთის მართლმადიდებელ ეკლესიებს რომის ეკლესიის თეორია და პრაქტიკა განსხვავებულ კონფესიად ერთსა და იმავე დღეს არ აღუქვამთ. ეს თანდათანობით და, შეიძლება (საქართველოს ეკლესიის მაგალითზეც) ითქვას, ნაბიჯ-ნაბიჯ მოხდა. აღმოსავლეთისა და დასავლეთის ეკლესიურად გაუცხოების საქმეში ყველაზე კატასტროფული შედეგი ჯვაროსნების მიერ კონსტანტინოპოლის დაპყრობას მოჰყვა.

სამოქალაქო და საეკლესიო ისტორიაში **ჯვაროსნებად** ის მეომრები არიან ცნობილი, რომელთაც ტანსაცმელზე ჯვარი ჰქონდათ მიკერებული. მათი მიზანი ბიზანტიის სამფლობელოებისა და წმიდა ადგილების, განსაკუთრებით ქრისტეს საფლავის, თურქ-სელჩუკებისაგან გათავისუფლება იყო. პაპმა ურბან II, ბიზანტიის იმპერატორის თხოვნის საფუძველზე, 1095 წლის 26 ნოემბერს საფრანგეთის ქალაქ კლერმონში საეკლესიო კრების საზეიმო დახურვის ცერემონიალზე შეკრებილ ზღვა ხალხს ასეთი მოწოდებით მიმართა: „გასწიეთ წმიდა საფლავისაკენ, გაათავისუფლეთ წარმართებისაგან და დაიმორჩილეთ ეს მხარე. იქაურ მიწას რძე და თაფლი სდის. იერუსალიმი უნაყოფიერესი მხარეა. იგი არის დედამიწის ჭიპი და მეორე სამოთხე. გიწვევთ იგი მიწა. ელოდება გათავისუფლებას და განუწყვეტლივ გემუდარებათ დახმარებისათვის“. ამ სიტყვამ მსმენელები აღაფრთოვანა და რაზმების ჩამოყალიბება იმავე დღიდან დაიწყო.

ჯვაროსანთა პირველი ლაშქარი აღმოსავლეთისაკენ 1096 წლის გაზაფხულზე დაიძრა. ასე დაიწყო ხანგრძლივი და მომქანცველი ომების სერია. 1096-1270 წლებში სხვადასხვანაირი წარმატებით რვა ლაშქრობა მოეწყო. პირველი იერუსალიმის აღებით და იქ ქრისტი-

ანული სამეფოს დაარსებით დამთავრდა (1099 წ.). ჯვაროსნებმა მუსლიმანებისაგან სხვა მიწებიც გაათავისუფლეს, მაგრამ მარცხიც არაერთხელ იწვნიეს. ისინი, წარმატებებით დამტკბარნი და გაამაყებულნი, ვერ ამჩნევდნენ, რომ მოწინააღმდეგე მხარე ძალებს იკრებდა და რევანშისთვის ემზადებოდა. მათი უმრავლესობის გულებს და გონებას სიხარბე და მსუნაგობა დაეპატრონა, ანუ ის მისწრაფებები, რითაც, თუ დავაკვირდებით, პაპის ზემოდამოწმებული სიტყვის ქვეტექსტი იყო გაჟღენთილი. ჯვაროსნებმა, რომლებიც თავიანთ თავს რაინდებსა და ქრისტეს მხედრებს უწოდებდნენ, მართლმადიდებელ ქრისტიანთა ჩაგვრა დაიწყეს. ისინი დასცინოდნენ და აბუჩად იგდებდნენ ადგილობრივ წესჩვეულებებს, შეურაცხყოფდნენ სიწმიდეებს და მოსახლეობას ექსპლუატაციას უწევდნენ. მეოთხე ლაშქრობა (1199-1204) ბიზანტიის იმპერიის დაპყრობით და კონსტანტინოპოლის აღებით, უფრო სწორად, – დარბევით დამთავრდა, რასაც ბერძენთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი იერიშები მოჰყვა. ანტიკათოლიკურმა, ანტიდასავლურმა და ანტილათინურმა განწყობილებამ აღმოსავლეთის მართლმადიდებელ ხალხებში უფრო მეტად გაიდგა ფესვები და, ნებსით თუ უნებლიეთ, ისინი ამ ფრონტზე თურქების მოკავშირეებად აქცია.

ჯვაროსანთა თითქმის ორსაუკუნოვანი ლაშქრობები კრახით დამთავრდა. **აღმოსავლეთისა და დასავლეთის ეკლესიათა სრული და საბოლოოდ გაყოფა 1204 წელს მოხდა, როგორც კონსტანტინოპოლის დაპყრობის რეაქცია.**

გაყოფა საბედისწერო აღმოჩნდა როგორც დასავლეთის, ისე (და უფრო მეტად) აღმოსავლეთის ტრადიციული, ჭირგამოვლილი და ვალმოხდილი ეკლესიისათვის, მისი კულტურული ცხოვრებისა და ამ კულტურის ციტადელისათვის – ბიზანტიისათვის. იგი მარტოსული დაუხვდა პირგამეხებულ მტერს – ოსმალეთს, რომელმაც XIV ს-ის 50-იანი წლებიდან ზედიზედ დაიპყრო და ბიზანტიას ჩამოაჭრა საბერძნეთი, ბულგარეთი, სერბეთი, შავიზღვისპირეთი და ჯერი იმპერიის დარჩენილ ნაწილზე მიდგა, – დედაქალაქსა და მის შემოგარენზე. უარეს დღეში იყვნენ აღმოსავლეთის სხვა ეკლესიები, – ხარკისაგან გვემულნი და ილაჯგაწყვეტილნი.

მოვლენები კატასტროფულად ვითარდებოდა. გადარჩენის ერთადერთ სახსრად რელიგიური თანხმობა და მის საფუძველზე დასავლეთ-აღმოსავლეთის სამხედრო-პოლიტიკური კავშირი ისახებოდა. ინიციატივა პაპმა ევგენი IV-მ გამოიჩინა: იმპერატორ იოანე პალეოლოგს 1437 წლის დასაწყისში ეპისტოლე აახლა და აღმოსავლეთიდან დელეგატების შეკრების ორგანიზება სთხოვა (აღსანიშნავია, რომ მიმართვაში ივერიის მამათმთავარი, მართლმადიდებელ პატრიარქებს შორის, მეხუთე ადგილზეა მოხსენიებული). დავალება შესრულდა. 1437 წლის აგვისტოში „ქალაქთა მზე“ მსოფლიოს ფორუმზე წარგზავნილებით აივსო. ცხადია, იყვნენ ქართველებიც: მიტროპოლიტი გრიგოლი, ეპისკოპოსი იოანე და რამდენიმე სეფეკაცი. ყველა პრობლემა მოგვარდა და კეისრისა და პატრიარქის – იოსების – დიდი საყდრიონი იტალიის ქალაქ ფერარისაკენ დაიძრა. ერთი დოკუმენტის მიხედვით, წარგზავნილთა რიცხვი 500-ს აღწევდა. მათგან 22 ეპისკოპოსი იყო.

კრება გაიხსნა 1438 წლის 9 აპრილს ქ. ფერარაში ზარ-ზეიმით, ბანკეტით. ხარჯები პაპის კურიამ იკისრა. შემდეგ, 1439 წლის 9 თებერვლიდან, პაპისავე მოთხოვნით, სხდომები

გადაიტანეს ქ. ფლორენციაში, რის გამოც ეს ფორუმი **ფერარა-ფლორენციის** სახელითაა ცნობილი.

დიალოგები მწვავე და დაძაბული იყო. თანხმობა არც ერთ ბლოკში არ სუფევდა. ორივე მხარეს იყვნენ პრინციპულები და ლიბერალები, ფუნდამენტალისტები და შემწყნარებლები, კონსერვატორები და ნოვატორები. ყველაზე რთული „ფილიოკვე“ და პაპის უფროსობის საკითხი აღმოჩნდა. აქ ლათინები არ თმობდნენ. ბერძნები ძნელად თანხმდებოდნენ. უკანასკნელთა შორის ამ თემაზე ჩამოყალიბდა ორი ბანაკი: უმრავლესობა, რომელსაც მიტროპოლიტი **ბესარიონ ნიკიელი** მეთაურობდა, და უმცირესობა მიტროპოლიტ **მარკოზ ეფესელის** (ევგენიკოსის) წინამძღვრობით. პირველს წმ. მამათა ნაწერებიდან, მათ შორის – იოანე დამასკელის შრომებიდან, ამოეკრიფა გამონათქვამები წმიდა სულის ძისაგანაც გამოსვლის შესახებ, რამაც ბევრი ბერძენი დეპუტატის გაოცება გამოიწვია და შეასუსტა წინააღმდეგობა. წყაროები, რომლებმაც ჩვენამდე მოაღწია, დაწერილია მეტნაკლები ტენდენციურობით. მკვლევრები ამბობენ, რომ სხდომებს შორის ლათინების მხრიდან ადგილი ჰქონდა მუქარას, დაყვავებას, ქრთამსა და ნაირგვარ დაპირებას. ისინი მოპაექრეებს ჯობნიდნენ განათლებით, წიგნიერებით, წყაროების ცოდნით და ახდენდნენ ზეგავლენას საღვთისმეტყველო საკითხების გამოწვლილვის დროს.

კეისარი და პატრიარქი, რომლებიც აცნობიერებდნენ მუსლიმანური გარემოცვის საფრთხეს, განჩინების კომპრომისულ ვარიანტს დათანხმდნენ.

1439 წლის 5 ივლისს შედგა **უნიის პრეზენტაცია**. პაპმა, კეისარმა და დელეგატებმა (პატრიარქი რამდენიმე დღის წინ გარდაიცვალა) ხელი მოაწერეს წარმოდგენილ ტექსტს. ვერ გატეხეს მარკოზ ეფესელი. კრიტიკულ წუთში იგი მეგობრებმა და თანამოსაგრეებმა მიატოვეს, მაგრამ ეფესელის პრინციპი კლდესავით ურყევი აღმოჩნდა.

ასე შეიქმნა **უნია** (ლათ. „უნიო“ – ერთიანობა) და, შესაბამისად, **უნიატური ეკლესია**, რაც ნიშნავს რწმენით და დაქვემდებარებით კათოლიკობას, პრაქტიკით და ტრადიციით – მართლმადიდებლობას, ე.წ. აღმოსავლური სტილის ქრისტიანობას. უნიატებს, ფერარა-ფლორენციის კრების კვალად, სწამთ რომაული კათოლიკობის ჭეშმარიტება, მაგრამ წირვა-ლოცვას და სხვა საეკლესიო წესებს ბერძნული ტიბიკონის მიხედვით განაჩენენ. მაშასადამე, ცხოვრების წესით, გარეგნობით ისინი დანარჩენი მართლმადიდებლებისაგან არ განსხვავდებიან, შინაგანი რწმენით – კათოლიკებისაგან.

პაპს უკითხავს, როდესაც შეთანხმებული ტექსტი უახლებიათ: მარკოზ ეფესელი თუ დაგვეთანხმაო? და რადგან დოკუმენტზე მისი ბეჭედი ვერ შეუნიშნავს, უთქვამს: გამარჯვებისგან შორს ვართო.

მართლაც, მეფისა და უმაღლესი იერარქიის შემრიგებლური პოზიციის მიუხედავად, ხელშეკრულებას მრევლის დიდი ნაწილის, სამღვდელოებისა და, მეტადრე, ბერმონაზონთა რისხვა მოჰყვა. კონსტანტინოპოლის საკათედრო ტაძრებს მორწმუნეებმა ბოიკოტი გამოუცხადეს. ზოგან უნიატები გაასამართლეს და დასაჯეს. ალაგ-ალაგ სისხლიც დაიღვარა. კიევისა და სრულიად რუსეთის მიტროპოლიტმა ისიდორემ, წარმოშობით თესალონიკელმა ბერძენმა, ჩავიდა თუ არა მოსკოვში, წმ. უსპენსკის ტაძარში საზეიმო წირვა აღასრულა

და, ყველასათვის მოულოდნელად, მსოფლიო პატრიარქის ნაცვლად რომის პაპი მოიხსენია. დიაკონმა კი ფერარა-ფლორენციის აქტი წაიკითხა. ატყდა ხმაური ყვედრების და ძაგების გამო. დიდმა მთავარმა ვასილიმ იქვე გასცა ბრძანება „მოღალატის“ დაპატიმრების შესახებ, რაც შესრულდა. მსჯავრდებული უდაბურ მონასტერში გადაგზავნეს, მაგრამ 1441 წლის შემოდგომაზე გაიქცა და, ნაცემ-ნატანჯი, იტალიაში ჩავიდა, სადაც ფიანდაზი დაუგეს და კარდინალთა შორის ჩინებული ადგილი უბოძეს.

კეისარი, პატრიარქი (იოსები გულმოდგინე უნიატებმა შეცვალეს) და მისი ეპისკოპატი სამ ცეცხლს შუა აღმოჩნდნენ: ერთის მხრივ, ბერების, ხუცებისა და მათი სულიერი შვილების დიდი არმია, რომელიც შეთანხმების დეზავუირებას მოითხოვდა და იძახდა: „მართლმადიდებლობა ან სიკვდილი!“ და ხალხს ანტისამთავრობო გამოსვლებისაკენ მოუწოდებდა. თანაც წარმატებით; მეორეს მხრივ, კარსმომდგარი და აღბორგებული მტერი, ვისაც საქრისტიანოს მთლიანობა სასიკვდილო ლახვრად ესახებოდა; მესამე მხრივ, დასავლეთიდან ულტიმატუმები სახელშეკრულებო ვალდებულებათა შესრულების შესახებ...

რა პოზიცია ეჭირა ქართველების დეპუტაციას? „ლათინური აქტების“ ცნობით, საბოლოო შეთანხმებას ჩვენგან წარგზავნილებმაც (კონკრეტულად – „ივერიის მეფის ელჩებმაც“) მოაწერეს ხელი. მოწინააღმდეგეთა, ბერძენი და რუსი ავტორების, უწყებით კი – არა. ერთ-ერთი წყაროს მიხედვით, ივერიელმა ეპისკოპოსმა პროტესტის ნიშნად დატოვა სესია და ვაივაგლახით მოახერხა გამგზავრება კონსტანტინოპოლისაკენ. ასეთივე პოზიციაზე მდგარა დელეგატთაგან ერისკაციც. იგი, თურმე, პერსონალურად უხმია პაპს. უკითხავს მიზეზი. მას კი ურჩევია, ამოეღო რწმენის სიმბოლოდან დამატება, ე.ი. ფილიოკვე: „...ამ ერთადერთ სიტყვას ობელისკზე ნუ დაგვანახვებ, მაშინ მარტო იბერიის ხალხის გულს როდი მოიგებ, ყველა ქრისტიანი ხალხი შენი პატივისმცემელი იქნება. მაშინ რომის ეკლესია ყველას შეაკავშირებს და გულწრფელად გააერთიანებს; შენს უნივერსალურ იურისდიქციას ყველა გულმოწყალებით შეივრდომებს და დაემორჩილება... ყველა ქრისტიანი ხალხი ერთ ფარეხში, ერთი მწყემსის მფარველობის ქვეშ, თავს მოიყრის“. ეს სიტყვებიო, ვკითხულობთ, „პაპმა ფარული სიმწარით მოისმინა და განცვიფრებული გაჩუმდა“.

მკვლევარ ოლეგ ჟუჟუნაძეს, რომელმაც სპეციალურად შეისწავლა და წარმოაჩინა აღნიშნული მასალები, უნახავს უნიის დედნის ფოტოპირი და ადასტურებს, რომ იქ ქართველების ხელმოწერა არ არის. მაშასადამე, მცხეთის საყდარი იმხანად გაერთიანების რომაული ვარიანტის წინააღმდეგ წასულა, რამაც, უნდა ვიფიქროთ, გაართულა საქართველო-რომის ურთიერთობა და ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ 1439-1493 წლებს შორის თბილისის კათოლიკურ კათედრაზე ეპისკოპოსს ვერ ვხედავთ (ო. ჟუჟუნაძე, XV საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოს საგარეო პოლიტიკის ისტორიისათვის, კრ.: ქართული სამეფო-სამთავროების საგარეო პოლიტიკის ისტორიიდან, ტ. 1, თბ., 1970, გვ. 17-20, 27). ამიტომაც არაა გასაკვირი, რომ ჩვენს ქვეყანაში, ქართველთა შორის, საბერძნეთისა და აღმოსავლეთ ევროპისაგან განსხვავებით, უნიატობამ ფეხი ვერ მოიკიდა. ნიკიფორე ირუბაქიძის, სულხან-საბა ორბელიანის, ანტონ კათალიკოსისა და სხვათა ცდებს, „წმ. ბასილის ორდენის“ – ბასილიანთა, – წესდების მიხედვით გაეკათოლიკებინათ საქართველო, წარმატება არ მოჰყოლია.

...დავუბრუნდეთ ბიზანტიონს.

1449 წელს უშვილძიროდ გარდაიცვალა იმპერატორი იოანე და სკიპტრა გადაეცა მის ძმას – კონსტანტინე XII-ს, კეთილშობილს და ვაჟკაცს, რომელმაც ღირსებით ითვისა სამშობლოს ულმობელი ხვედრი. 1452 წელს მუჰამედ II იერიშზე გადავიდა. ვითარება საგოდებელი გახდა. ამ დროს გამოჩნდა კარდინალი ისიდორე პაპის სიგელით, რათა სასიცოცხლო პრობლემები განეხილა. მან წმ. სოფიას ტაძარში წირვა აღასრულა უმაღლეს სამღვდელოებასთან ერთად მეფისა და სენატის თანდასწრებით, რასაც ხუცესმონაზვნებისა და მათგან წაქეზებული მასების ამბოხება მოჰყვა. ისტერია, რამაც მწვერვალს მიაღწია, ხელისუფლების ზოგიერთ წარმომადგენელზეც გავრცელდა და მათგან ერთ-ერთმა პაპის მოციქულს პირში მიახალა: „ჯობია სულთანის ჩალმას დავემორჩილოთ, ვიდრე პაპის ტიარასო“. სჯეროდათ, რომ კონსტანტინეს წმ. ქალაქს, მარიამ ღვთისმშობელის წილხვედრს, ღმერთი იცავდა: საგანგებო წამს ზეციური მხედრობა გამოჩნდებოდა და ვაი მას, ვინც ავი ზრახვით კურთხეულ ზღურბლს გადმოსცდებოდა... განრისხებული პაპიც ნიშნს უგებდა: „უმჯობესია კონსტანტინოპოლი თურქებმა დაიპყრონ, ვიდრე მწვალებლებმაო“.

კონსტანტინოპოლი კი უკვე ალყაში იყო და საარაკო გმირობით იცავდა თავს.

კარდინალმა ისიდორემ, დაჩოქილმა და ცრემლმორეულმა, ძლივს დაითანხმა პაპი მაშველი ჯარის გამოყვანაზე. მოწოდებას მეფეებიც გამოეხმაურნენ და მძლავრი არმია, აღჭურვილი ტექნიკით და ბრძოლის უნარით, აღმოსავლეთისაკენ დაიძრა.

მაგრამ...

1453 წლის 29 მაისს, პირველი მსოფლიო საეკლესიო კრებისა და წმ. კონსტანტინე დიდის ხსენების დღეს (შემთხვევით არაფერი ხდება!), ღამის 2 საათზე, კონსტანტინოპოლის შტურმი დაიწყო. კონსტანტინე ბრძოლის ველზე გავიდა სამშობლოსა და სარწმუნოებისათვის თავმიძღვნილი ჯარისკაცის დარად. ბერძენთა გვერდით იტალიელი მოხალისეები იდგნენ უძლეველი ვენეციელი რაინდის ჯოვანი ჯუსტინიანის მეთაურობით. რამდენიმე შეტევა მოიგერიეს, მტერი უკუაგდეს, მაგრამ ბედითმა ისარმა ჯუსტინიანის გონება წაართვა, რის გამო მხედრები წუთით შედრკნენ და დაიბნენ. ოსმალებმა ყიჟინა დასცეს, უშველებელი ზარბაზნები აამოქმედეს და კედლებზე ავიდნენ; ღიად დარჩენილ კარს მიაღწიეს და კონსტანტინეს რაზმის ზურგში მოექცნენ. დილის რვა საათზე მტერმა გალავანი გადათელა და სულთანსაც მალე ახარეს, – „ქალაქთა მზე“ შენს ხელთაა და გელოდებაო. ტრიუმფატორმაც არ დააყოვნა და გეზი წმიდა სოფიისაკენ აიღო, რომელიც მლოცველებს ველარ იტევდა. მოსთქვამდნენ და ღმერთს სასწაულს სთხოვდნენ. ელოდნენ ანგელოზებს და სწამდათ, რომ ისინი საღმრთო მახვილს შეაგებებდნენ მოძალადეთა ორლესულ ხმალს. მხოლოდ კარის შელეწვამ და მეყსეულად ამდინარებულმა სისხლმა აუხილა მათ თვალი და დაანახვა უგუნურების, ფანატიზმისა და ზიზღის ნაყოფი: მოლის ამბიონზე ასვლა და მაჰმადიანთა მრწამსის წარმოთქმა; სულთანის საკურთხეველში შესვლა და ნამაზის შესრულება; განუკითხავი ხოცვა და ჟლეტა, მუჰამედისავე „წყალობით და სიბრალულით“ რომ შენელდა სამი დღის შემდეგ; 3000-მდე გადარჩენილი ბერძენი ჯარისკაცის ერთბაშად მოსრვა; მოხუცების, ქალებისა და ბავშვების მონებად ქცევა და დაყიდვა; მათ თვალწინ

ნადავლის განაწილება; ეკლესიების მეჩეთებად გადაკეთება; ხატების ფხრეწა; ქანდაკებების გადადნობა; დაუწვავ და დაუნგრეველ სახლებში გამარჯვებულთა მოკალათება და, რაც მთავარია, – ველზე აღსრულებული მეფის, ვითარცა ვინმე შეურაცხთაგანის, ძლივს-გამოცნობილი გვამის დაცინვა. მერე თავის წარკვეთა და ურჩების მოთვინიერების მიზნით ცენტრალურ მოედანზე – ავგუსტეონზე – აღმართვა...

როდესაც კოალიციური ლაშქარი ნავსადგურს მიუახლოვდა, წმიდა სოფიის სამრეკლოდან, უკვე მინარეთად წოდებულიდან, ხოჯა ალაჰის სადიდებელს წარმოთქვამდა. უეჭველია, მათაც გაეხსნათ გონება და გაახსენდათ ის უკეთურებანი და სიმხეცე, რასაც მათი წინაპარი ჯვაროსნები ბერძენთა შორის იქმოდნენ. მათ დაინახეს ანგარებითი სარწმუნოების შედეგი: ქრისტიანული იმპერიის სამეფო ტახტზე იჯდა სულთანი და დასავლეთისკენ იცქირებოდა.

ბერძნული ქალაქი რამდენიმე დღეში თურქულ ქალაქად – სტამბულად („კონსტანტინოპოლის“ თურქული გამოთქმაა) – იქცა. ქრისტიანები ერთ უბანში შეყუჩდნენ – ფანარაში. იქ დაიდო ბინა პატრიარქმა. ოსმალეთის კანონმა ქრისტიანთა უფლებები მკაცრად შემოფარგლა. ასეა დღემდე.

კათოლიკობა

დიდი სქიზმის შემდეგ რომის ეკლესიის მრწამსი და პრაქტიკა, აღმოსავლეთის ეკლესიათა მრწამსსა და ტრადიციასთან მიმართებით, ცალკე კონფესიად იქნა გააზრებული. ამიტომ ამ ეკლესიის ტერიტორიული საზღვრები მოიშალა და 1054 წლიდან იგი ყველგან არსებობს, სადაც კი მისი მრწამსისა და ტრადიციის მიმდევრები სახლობენ. აღნიშნული ეპოქიდან (XI-XIII სს.) კათოლიკობის დედამიწის ნებისმიერ მხარეში გასავრცელებლად მისიონერობა დაიწყო.

სახელწოდება შინაარსს ამ შემთხვევაში ზუსტად გადმოსცემს, – რომაულ ეკლესიას კათოლიკეობის მძაფრი განცდა ახასიათებს. იგი მონოლითური და ცენტრალიზებული ეკლესიაა, როგორც კანონიკური წყობის, ისე დოქტრინალური თვალსაზრისით.

კათოლიკური აღმსარებლობა თავის სივრცეში მთლიანად მოიცავს მართლმადიდებლურ რწმენათა და ტრადიციათა სისტემას. სხვანაირად რომ ვთქვათ, იმ მამებისა და იმ კრებების მოძღვრება-მემკვიდრეობას, რომლის მადლმოსილებას მართლმადიდებელი ეკლესია აღიარებს, კათოლიკური ეკლესიაც აღიარებს; ის ლოცვები, საგალობლები და საკითხავები, რომელთა კანონიკურობაში მართლმადიდებლებს ეჭვი არ ეპარებათ, არც კათოლიკებს ეპარებათ ეჭვი. კანონიკური ლიტერატურა პატრისტიკის ხანაში, ეკლესიათა ერთიანობის დროს, შეიქმნა და ეს ლიტერატურა (ვთქვათ, იოანე ოქროპირის ლიტურგია) კათოლიკებისთვისაც ისეთივე ავტორიტეტია, როგორც მართლმადიდებლებისთვის. ამ ორ კონფესიას შორის განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ **ძველ საეკლესიო წიგნებში გადმოცემულ საღვთისმეტყველო მოძღვრებას ანუ დოგმატიკას კათოლიკები ახალ ფორმულებს ანუ დოგმატებს უმატებენ**. მაგალითად: ნიკეა-კონსტანტინოპოლის მრწამსი რო-

გორც მართლმადიდებლური, ისე კათოლიკური დოგმატიკის საფუძველია. მისი მე-8 წევრის თანახმად, სულიწმიდა მამისაგან გამოდის, კათოლიკებს ეჭვი არ ეპარებათ, რომ ეს ასეა, მაგრამ უმატებენ, – ძისაგანაც გამოდის. ასეთი დამატებებით ისინი, როგორც თვითონ ამბობენ, ეკლესიათა ერთიანობის დროინდელი მამების ღვთისმეტყველებას ავსებენ. კათოლიკე იდეოლოგები, მართლმადიდებლებთან ერთად, იმ პოზიციაზე დგანან, რომ დოგმატები ისტორიაში კი არ იქმნება, არამედ ისინი საღვთო წერილსა და საღვთო გადმოცემაში ნაგულისხმევი და შეფარულია. ისტორიაში ისინი თავიანთ თავს ავლენენ. დოგმა ცხადდება დროით განგრძობითობაში ნაბიჯ-ნაბიჯ და თანდათან. ამ მსჯელობით კათოლიკები ახალი, მათი ეკლესიისათვის ნიშანდობლივი დოგმატების შემუშავება-შემოღების გამართლებას ცდილობენ.

დღემდე კათოლიკურმა ეკლესიამ ოთხი სპეციფიკური დოგმატი გამოიმუშავა (ძირითადად ვსარგებლობთ იანის პავლოვსკის კათოლიკური კატეხიზმოთი, რომელიც 1933 წელს გამოიცა).

I. **ფილიოკვე.** ესაა ლათინური სიტყვა და ნიშნავს „ძისაგანაც“, „და ძისაგანაც“, რომელიც ჩამატებულია რწმენის სიმბოლოს მე-8 მუხლში. ამდენად ფილიოკვე ამ მუხლის ინტერპოლაციაა.

გამოთქმა „სული გამოდის მამისაგან და ძისაგან“ პირველად ტერტულიანესთან გვხვდება (II-III სს.), შემდეგ – ბევრ სხვა მამასთანაც – როგორც ლათინურენოვან (მაგ. ნეტარი ავგუსტინე), ისე ბერძნულენოვანებთან (წმ. ათანასე ალექსანდრიელთან, გრიგოლ ნოსელთან, კირილე ალექსანდრიელთან, მაქსიმე აღმსარებელთან და სხვ.). იგი თავს იჩენს 589 წლის ტოლედოს მესამე კრების აქტში და თანდათან მკვიდრდება ესპანეთისა და საფრანგეთის ეკლესიათა ლიტურგიებში როგორც არიანელთა სუბორდინაციული ტრიადოლოგიის (სამების წევრთა ურთიერთდაქვემდებარებულობის) გასაბათილებელი ფორმულა. 1000 წელს გერმანიის იმპერატორის თხოვნით ფილიოკვე რომის პაპმა თავის ლიტურგიაშიც ჩართო და ამის შემდეგ დასავლეთის ეკლესიაში მისმა წარმოთქმამ საყოველთაო ხასიათი მიიღო.

ფილიოკვეს ბიბლიურ საფუძვლად კათოლიკე ღვთისმეტყველები იოანეს სახარების იმ ადგილს ასახელებენ, სადაც იესო ნუგეშინისმცემლის ანუ სულიწმიდის მოვლინებას გვპირდება, – იგი „ჩემგან მიიღებს და თქვენ გაუწყებთ“ 16:14-15). ფილიოკვეს აპოლოგეტები ამტკიცებენ, რომ ტრინიტარულ ურთიერთობაში (სამებაში) ერთი პირი მეორისაგან ვერაფერს მიიღებს, თუ მისგან არ არის გამოსული. ქრისტე რომ წუთისოფელს მოევლინა, მამის ნაცვლად მოევლინა. მან რომ ჩვენ სული მოგვცეს, თვითონ უნდა გაიღოს. მათი თქმით, წმ. სულს ახალ აღთქმაში ამის გამო ეწოდება „ქრისტეს სული“ (გალ. 8:9; ფილიპ. 1:19) და „ძის სული“ (გალ. 4:6). ამ და ზოგი სხვა გამონათქვამის საფუძველზე მოგვიანებით, ყველაზე მკვეთრად თომა აქვინელის მიერ, ჩამოყალიბდა დოგმატი სულიწმიდის ჰიპოსტასურად (არსობრივავად) არა მხოლოდ მამისაგან, არამედ ძისაგანაც გამომავალობისა. ამდენად, ფილიოკვე არის სულიწმიდის ორმაგი გამომავალობის თეორია.

აღნიშნული ფორმულის, როგორც მრწამსისეული ტრადიციის საპირისპირო მოვლენის, წინააღმდეგ პირველად 847 წელს საბაწმინდელმა ბერებმა გაილაშქრეს. პატრიარქმა ფო-

ტიოსმა ზემოდამოწმებულ ეპისტოლეში იგი ერესად მოიხსენია. განსაკუთრებით მკაცრი შეფასება მას ლიონისა (1274 წ.) და ფერარა-ფლორენციის კრებებზე მიეცა უნიის მოწინააღმდეგეთა მხრიდან (იხ. ზემ.). ამის მიუხედავად კათოლიკურ და ანგლიკანურ ეკლესიებში ფილიოკვე დღესაც წარმოითქმის.

მართლმადიდებელი ეკლესიის პოზიცია ასეთია: მართალია, ეკლესიის მამები, მათ შორის იოანე დამასკელიც, აღნიშნავენ სულიწმიდის ძისაგანაც გამომავალობის ფაქტს, მაგრამ ამ შემთხვევაში ისინი ძეს არა პირველმიზეზად, პირველსათავედ და საწყისად მიიჩნევენ, არამედ საშუალებად, ვისი მეშვეობითაც, ვის მიერაც წმიდა სული მოგვემადლება. ამის დასტურია შესაბამის წინადადებებში (კონტექსტებში) წინდებულ „დია“-ს (მიერ) და არა „ეკ“-ის (-გან) გამოყენება. თუკი ვიტყვით, რომ სულიწმიდა ერთდროულად მამისაგან და ძისაგან გამოდის, მაშინ ისიც უნდა ვათქვათ, რომ წმიდა სულს, როგორც ჰიპოსტასს, ორი სათავე, ორი მიზეზი აქვს – მამა და ძე. ეს აზრი აშკარად ეწინააღმდეგება პატრისტიკულ მოძღვრებას, რომლის თანახმადაც სამების წიაღში უმიზეზოა მამა, ხოლო ძე და სული მისგან ნამიზეზევი. ეკლესიის არცერთ მოძღვარს არ უთქვამს, რომ ძე სულიწმიდის მიზეზი და დასაბამია. კათოლიკური ფორმულა სწორედ ამას გულისხმობს, რის გამოც იგი მართლმადიდებელი ეკლესიის რწმენასთან შეუსაბამო და მიუღებელ თვალსაზრისადაა აღქმული. მართლმადიდებელთა რწმენით, სულიწმიდის არსობრივი სათავე და არსობრივი მიზეზი არის მხოლოდ მამა და მამისაგან იგი ძეს გამოაქვს. ძე წმიდა სულით შემოსილი და გამსჭვალულია, აღვსილია, მაგრამ ამ სულის მფლობელი მამისაგანაა და მამისაგან გამომავალ სულს იგი ადამიანებს უწყალობებს. მოკლედ რომ ვთქვათ, სული გამოდის ძის მიერ და არა ძისაგან.

II. ***პაპის უცდომელობა.*** დოგმატი პაპის უცდომელობის ანუ შეუმცდარობის (და არა უცოდველობის) შესახებ გულისხმობს კათოლიკური ეკლესიის საჭეთმპყრობელის მიერ ეკლესიის სახელით დოგმატისა და მორალის საკითხებზე სამქადაგებლო კათედრიდან (ექს-კათედრა) გაკეთებული განცხადებების შეუმცდარობის რწმენას. პაპი გამოცხადებულია წუთისოფელში ქრისტეს მოსაყდრედ და, ამდენად, ხილული ეკლესიის წინამძღვრად. ყველა სხვა ეპისკოპოსი (პატრიარქებიც) მოციქულთა მოსაყდრენი არიან, პაპი ქრისტეს მოსაყდრეა. ეს თვალსაზრისი დოგმატის რანგში 1870 წელს ვატიკანის პირველ საეკესიო კრებაზე აიყვანეს.

კათოლიკური ეკლესიის თეორეტიკოსები ამ დოგმატის საფუძვლად როგორც საღვთო წერილს და საღვთო გადმოცემას, ისე წარსულის გამოცდილებას და მემკვიდრეობას ასახელებენ, რადგან პაპი მოციქულთა თავის, პეტრეს მოსაყდრეა, ითვლება, რომ სწორედ მასზე გადავიდა ის უფლებამოსილება, რითაც მაცხოვარმა პეტრე – „სარწმუნოების კლდე“ – აღჭურვა. ლაპარაკია „შეკვრისა და გახსნის“ უფლებაზე (მათე 18:19), რაც მსოფლიო ეკლესიის მართვა-განმგებლობის სადავეთა ერთი პირის, კერძოდ – პეტრეს მემკვიდრეთა ხელში მოქცევის აუცილებლობის დამოწმებადაა აღქმული. რაც შეეხება ისტორიულ ასპექტებს, ყურადღება იმ ფაქტების გარშემო მახვილდება, რომ მსოფლიო საეკლესიო კრებების კურთხევა და განჩინებათა დამტკიცება პაპის პრეროგატივა იყო.

უცდომელობის დოგმატის თანახმად, პაპი ეკლესიას პიროვნულად განასახიერებს. ამდენად, იგი კრებაზე მაღლა დგას. მართლმადიდებლური ტრადიციით ეკლესიის სახე ეპისკოპოსთა სინოდი, ეპისკოპოსთა კრებაა ანუ სულიწმიდა თავის თავს ეპისკოპოსთა კრებაში აცხადებს, კათოლიკურით კი – პაპში. კათოლიკეთა რწმენით, ეკლესიის სული პაპშია დაუნჯებული. ასე რომ, პაპი დე იურეც და დე ფაქტოც ეკლესიის შეუზღუდავი მმართველია.

უცდომელობის დოგმატი არის იმ რწმენისა და თეორიის გაფართოება და მაღალ რეგისტრში წარმოჩენა, რომელსაც დასავლეთის ეკლესიაში ღრმად ჰქონდა ფესვები გადგმული. ესაა პაპის პირველობის ანუ პრიმატის, მისი უფროსობის, დანარჩენ პატრიარქებზე თანამდებობრივად აღმატებულობის, ყველა ქრისტიანის, ყველა ეკლესიის გამაერთიანებლის რწმენა. ამ რწმენის გამო რომის პაპი, ძველი რომაული ტრადიციით, პონტიფექსად (ხიდის მშენებლად) იწოდებოდა და იწოდება.

მართლმადიდებელი ეკლესია, ცხადია, რომის ეპისკოპოსის აპოსტოლურ მოსაყდრეობას არ უარყოფს, მაგრამ ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ „შეკვრისა და გახსნის“ უფლებამოსილება მაცხოვარმა დანარჩენ მოციქულებსაც მიმადლა (მათე 18:18; იოანე 20:23) და იგი, შესაბამისად, მოციქულთა ყველა მოსაყდრეზე ვრცელდება. ასევე: მართალია, ეკლესიათა ერთიანობის ხანაში, პენტარქიის დროს, რომის პაპს დიტიქში პირველი ადგილი ეჭირა, მაგრამ იგი იყო პირველი „თანასწორთა შორის“ და არა თანამდებობით, ქიროტონიით (ხელდასხმით). ამდენად, მართლმადიდებელთა თვალთახედვით, პაპის შეუზღუდავობის რწმენას და თეორიას, თუნდაც მხოლოდ რელიგიისა და ზნეობის ასპექტით, თეოლოგიური და ისტორიული გამართლება არა აქვს.

III-IV. **ორი მარიოლოგიური დოგმატი:**

ა) *ღვთისმშობლის უბიწოდ ჩასახება*. ეს რწმენა დოგმატად პაპმა პიუს IX-მ 1854 წელს ჩამოაყალიბა და დღესასწაულიც დააწესა – მარიამის უმანკო ჩასახება (8 დეკემბერი). იესომ პირველცოდვა უბიწოდ ჩასახვის გზით აღხოცა. მარიოლოგიური დოგმატით, იესოს უბიწოებისათვის აუცილებელი იყო მისი უბიწო სხეულში ჩასახვა. შესაბამისად, მარიამი ყოვლითურთ, ჩასახვისთანავე, უბიწო უნდა ყოფილიყო. ამის გამო მარიამს პირველცოდვის დაღი არ მიჰკარებია, იგი საშოშივე, ჩასახვის წამიდანვე, უფალმა წმიდა ჰყო.

ბ) *ღვთისმშობლის ამაღლება*, რომელიც დოგმატის სახით პაპმა 1950 წელს ჩამოაყალიბა.

პირველ დოგმატს მართლმადიდებელი ეკლესია არ იწყნარებს, მეორესთან კი სადავო არაფერი აქვს, რადგან იგი ერთიანობის დროინდელ ტრადიციას ეფუძნება და არსობრივად იმ დღესასწაულის დოგმატად ფორმირებაა, რომელსაც ღვთისმშობლის მიძინებად ანუ ზეცად აღყვანებად ვიცნობთ (15 აგვისტო).

მართლმადიდებლობასა და კათოლიკობას შორის არის სხვა არადოგმატური, მაგრამ არსებითი თეორიული სხვაობანი. ასეთებია, მაგალითად, რწმენა საიქიოში **განსაწმენდელის** (სალხინებელის) ანუ დროებითი ჯოჯოხეთის არსებობის შესახებ და რწმენა **წმინდანთა ზედმეტი მადლის** შესახებ. წმინდანები, თითქოს, იმდენ მადლს მოიმუშაკებენ, რომ არა მხოლოდ საკუთარი თავის ცხონება ძალუძთ, არამედ შესაძლებელია, მათი მადლის სიუხვე სხვათაც შეეწიოს. ინდულგენციების პრაქტიკას ეს რწმენა და თეორია კვებავს.

კათოლიკების საერთო რიცხვმა 2000 წელს მილიარდს გადააჭარბა. მათ ღვთისმსახურების სხვადასხვა წესი ანუ ტიპიკონი (რიტი, რიტუალი) აქვთ. ძირითადია ლათინური წესი. ამ წესის მიმდევრებს ბევრ ქვეყანაში ფრანგებს ეძახიან. არსებობენ აგრეთვე ბიზანტიური (ბერძნული), სომხური, ქალდეურ-ასირიული და კიდევ სხვა წესის კათოლიკები. პრაქტიკის სხვადასხვაობა მათი რწმენის ერთიანობას ხელს არ უშლის.

კათოლიკური ეკლესიის ცენტრი დღეს ვატიკანია, რომელიც დამოუკიდებელი სახელმწიფოს სტატუსით სარგებლობს.

კათოლიკური და მართლმადიდებლური ეკლესიების რწმენის საფუძველზე გაერთიანება თითქმის მათი განცალკევებისთანავე დაიწყო. ამ გზაზე ბოლო დროს თვალსაჩინო ნაბიჯები გადაიდგა. კერძოდ, – რომისა და კონსტანტინოპოლის მამათმთავრებმა ერთმანეთის მიმართ წინაპრების წყევლა აღხოცეს: 1965 წლის 7 დეკემბერს აღნიშნულ ქალაქებში ერთსა და იმავე დროს სამარცხვინო ფურცლები უწოდეს და საზეიმოდ დახიეს ანათემის ტექსტები, რომლებიც ცხრა საუკუნის წინათ დაიწერა. 1975 წლის 14 დეკემბერს ვატიკანში ზარ-ზეიმით აღნიშნეს ამ ფაქტის ათი წლისთავი. სიქსტის კაპელაში პაპმა პავლე IV ეკუმენური სიტყვა წარმოთქვა, მივიდა ქალკედონის მიტროპოლიტ მელიტონთან, დაიჩოქა და წაღები დაუკოცნა. მეტიც: 1987 წლის 6 დეკემბერს რომში, წმ. პეტრეს ბაზილიკაში, აღსარების საკურთხევლის წინ, პაპმა იოანე-პავლე II-მ და ყოვლადუწმიდესმა პატრიარქმა დემეტრეოს I-მა ერთხმად წარმოთქვეს სავედრებელ-სამადლობელი ლოცვები და ნიკეა-კონსტანტინოპოლის რწმენის სიმბოლო. ამის მიუხედავად, მართლმადიდებელ და კათოლიკურ ეკლესიებს შორის ევქარისტიული ერთობა არ განახლებულა.

კათოლიკური ეკლესია საქართველოში

რომსა და საქართველოს შორის, როგორც ისტორიული საბუთებიდან ჩანს, სარწმუნოებრივი ურთიერთობა „დიდ სქიზმასთან“ ერთად არ გაწყვეტილა. გავიხსენოთ ჩვენი მამა და მოძღვარი, საქართველოს ეკლესიის თვალშეუდგამი ავტორიტეტი – წმ. გიორგი ათონელი (+1065) რომელსაც, სწორედ დიდი სქიზმის შემდეგ, 1065 წელს, ოფიციალური საუბარი ჰქონდა იმპერატორ კონსტანტინე დუკიწთან. ხელმწიფე მოიხიბლა ქართველი ბერის განათლებით და ჰკითხა, რაც მას, მისივე აღიარებით, – „სამხედროთა საქმეთა შინა აღზრდილსა და ვერ წვლილად მეცნიერს“, ჩანს, პატიოსნად და გულწრფელად აინტერესებდა: რომელ მხარესაა სიმართლე ამ დაუსრულებელ კონფლიქტსა და ბატალიებში ანუ რატომაა, რომ ჩვენ და თქვენ, ქართველები, საფუარიანი პურით და წყალგარეული ღვინით ვწირავთ, რომაელები – ხმიადით და ზედაშეთი? „ვინაითგან, – მიიღო პასუხად, – ბერძენთა შორის მრავალი წვალება შემოვიდა პირველ და მრავალგზის მიდრკეს, ამისთვისცა მსგავსად თქვენსა ღმრთისმსახურთა მეფეთა წმიდანი კრებანი შემოკრიბნეს და წვლილად გამოიძიეს განგებულებისათვის ქრისტეს ღმრთისა ჩვენისა და ხორციელად გამოჩინებისათვის მისისა, და საუფლოთა მათთვის ხორცთა გამოძიება იქნა და დააწესეს, რათა მოვიღებდეთ ცომსა სახედ ხორცთა ქრისტესთა... ხოლო ღვინოსა თანა წყალსა ურათავთ სახედ სისხლისა და წყლისა, რომელი გარდამოხდა გვერდსა მხსნელისასა, ვითარცა

იტყვის იოანე ოქროპირი. ესე არს განმარტება და მიზეზი ამათ საქმეთა! ხოლო ჰრომთა ვინაითგან ერთგზის იცნეს ღმერთი, არღარა ოდეს მიდრეკილ არიან და არცა ოდეს წვალებაი შემოსრულ არს მათ შორის, და ვითარცა იგი მაშინ თავმან მოციქულთამან პეტრე შეწირა უსისხლო იგი მსხვერპლი და, უმეტესაღა, ვითარცა თვით თავადმან უფალმან მისცა მოწაფეთა ღამესა მას სერობისასა, ეგრეთ აღასრულებენ იგინი. და არარა არს ამას შინა განყოფილება, ოდენ სარწმუნოება მართალი იყოს".

ნათქვამი, რომ გავშიფროთ, ნიშნავს შემდეგს: აღმოსავლეთის ეკლესიებში, სადაც საუკუნეთა მანძილზე ბორგავდა და მძვინვარებდა ქრისტეს ადამიანური ბუნების დამაკნინებელი თუ უარმყოფელი ერესი, მარტივ მორწმუნეთათვის წუთისოფლად მოსული მაცხოვრის თვალსაჩინო ხატი რომ წარმოედგინათ, მოგვიანებით აფუებული პურით და წყლიანი ზედაშით ზიარების აღსრულების წესი შემოიღეს. რომის ეკლესიის წინაშე მოციქულებრივი ტრადიციის შეფერადების აუცილებლობა არ დამდგარა და დარჩა ისე, როგორც თავდაპირველად იყო. მაშასადამე, მოცემული მსჯელობის თანახმად, თუკი სარწმუნოებრივ ცდომილებას არა აქვს ადგილი, ერესი არც ერთი წესია და არც მეორე. პირველი (ხმიადი) ძველი და დასაბამიერია, მეორე (საფუარიანი), პრაქტიკული მოთხოვნილებით გაპირობებული. შეგვიძლია დავასკვნათ: რომელიმე მათგანის უზურპაცია და გაფეტიშება უგუნურების ნიშანია.

იმპერატორი, რომელიც ეკლესიათა შერიგების მომხრე იყო, პასუხით კმაყოფილი დარჩა. რომაელები აღფრთოვანდნენ. მათ მთაწმინდელი მამის პეტრეს ქალაქში ჩაყვანისა და პაპის წინაშე მისი წარდგინების სურვილი გამოთქვეს. აგიოგრაფი არ აზუსტებს, ღირსი მამა გამოეხმაურა თუ არა ამ შეთავაზებას. ცნობილია მხოლოდ, რომ რამდენიმე დღის შემდეგ, 29 ივნისს, ორშაბათს, იგი გარდაიცვალა. ირკვევა, რომ გიორგი მთაწმინდელმა რომის საყდრისადმი სიმპათიები თეოლოგიურ-ლიტერატურულ შემოქმედებაშიც გამოამჟღავნა. ამას ადასტურებს წმ. ათანასე ალექსანდრიელის რწმენის სიმბოლოს მისეული თარგმანი, რომელშიც წმ. სულის გამომავალობის მუხლი შევსებულია ფორმულით – „სულიწმიდა არის მამისაგან და ძისა... გამოსვლით". ესაა ფილიოკვე, რაც არც გიორგი მთაწმინდელს და, ცხადია, არც მის თანამოსაგრეებს მწვალებლობად არ მიაჩნდათ (იხ. ა. კოჭლამაზაშვილისა და ა. ღამბაშიძის გამოკვლევა კრებულში „მრავალთავი", 1999, N18). უნდა ვიფიქროთ, რომ გიორგი მთაწმინდელმა, მისმა ბიოგრაფმა და ათონელი ქართველების დიდმა ნაწილმა, რომელთაც ბერძენ ბერებთან მაშინ უკიდურესად დაძაბული ურთიერთობა ჰქონდათ, კონსტანტინოპოლის 1054 წლის 20 ივლისის კრების ვერდიქტი არ გაიზიარეს და რომის ეკლესიის პოზიცია დაიჭირეს. სავარაუდებელია, რომ ამ პოზიციას იმდროინდელი საქართველოს სამეფო კარი, სამღვდელო და საერო საზოგადოებათა არა ერთი და ორი წარმომადგენელი ემხრობოდა.

საგულისხმოა აკად. კ.კეკელიძის დაკვირვება: "საქართველოში არ იზიარებდნენ საბერძნეთის რიგორისტულ (მკაცრ) და კონსერვატიულ-რიტუალურ შეხედულებას რომაელთა ეკლესიის შესახებ; აქ იმთავითვე ბატონობდა მეორე მიმართულება, ლიბერალურ-სპირიტუალური... ბერძნული შეხედულება კათოლიკობის შესახებ ჩვენში მყარდება გაცილებით

გვიან, ვიდრე რომისა და საბერძნეთის გაყოფა მოხდა, და ისიც თანდათანობით. თან ამ შეხედულებას ისეთი უკიდურესი ხასიათი და გონჯი სახე არ მიუღია აქ, როგორც საბერძნეთში“.

აქვე ისიც გარკვევით უნდა ითქვას, რომ საქართველოს საერო და სასულიერო ხელისუფლება რომაულ კათოლიკობას ყოველთვის ერთი და იმავე თვალით არ უყურებდა და, ცხადია, არც საზოგადოებაში იყო მყარი აზრი. ვერც ფერარა-ფლორენციის კრებაზე გამოვლენილი პოზიცია ჩაითვლება გამონაკლისად ჩვენი ქვეყნის რელიგიურ-პოლიტიკურ ორიენტაციათა ისტორიაში. არ ვიცით, როგორ გამოეხმაურენ სამშობლოში აღნიშნულ პოზიციას (ცნობები არ შემონახულა), მაგრამ ფაქტია, რომ უნიატობა ქართველთა შორის არ გავრცელდა. სამაგიეროდ, ნიადაგი ჰპოვა ლათინური რიტის (წესის) კათოლიკობამ, რასაც ნერგავდნენ მისიონერები XIII ს-დან, საქართველოსა და რომის ეკლესიებს შორის ევქარისტიული კავშირის გაწყვეტიდან. ესაა, ასე ვთქვათ, წმინდაწყლის კათოლიკობა, აღმოსავლეთის ქვეყნებში „ფრანგობას“ რომ ეძახდნენ, მის მიმდევრებს – ფრანგებს. „ფრანგობის“ გვერდით კავკასიასა და ტაო-კლარჯეთში არსებობდა სომხური უნიატობა. მის წევრებს, ეროვნების განურჩევლად, – სომხებად ნათლავდნენ. ამის გამო ქართველი, მეტადრე მესხეთში, ვინც უნიატურ კათოლიკობას მიემხრობოდა, სომხური რიტის კათოლიკე ხდებოდა და ოფიციალურად სომეხად იწოდებოდა. ეს ფაქტი ხშირად გაურკვეველი სიტუაციებისა და დაბნეულობის, მეტიც – ქართველთა გასომხების, მიზეზი ხდებოდა, რაც მეზობელი ერების ურთიერთობას ამწვავებდა. ხალხის გასათვითცნობიერებლად და სწორ ეროვნულ პოზიციაზე დასაყენებლად XIX-XX სს-ში იღვწოდნენ ქართველი კათოლიკე მღვდლები. მათ შორის ცნობილი მეცნიერები – ივანე გვარამაძე და მიხეილ თამარაშვილი.

ამრიგად, XIII ს-იდან, მეფე რუსუდანის დროიდან, საქართველოში შეიქმნა კათოლიკური ეკლესია (ძირითადად მესხეთ-ჯავახეთში), რომელიც მეტნაკლები წარმატებით თითქმის ყველა კუთხეში იკაფავდა გზას. მის მხარეზე არც თუ იშვიათად მეფე-მთავრები, ეპისკოპოსები და, წარმოიდგინეთ, კათალიკოსებიც კი გადადიოდნენ. ქართველ იერარქთა შორის ერთ-ერთმა ყველაზე განათლებულმა მღვდელმთავარმა – კათალიკოსმა ანტონ პირველმა – საგანგებოდ მოწვეულ კრებაზე 1755 წლის 12 დეკემბერს საჯაროდ აღიარა რომის პაპის პრიმატი და წმიდა სულის ძისაგანაც გამომავალობის დოგმატი, რის გამოც იგი განკვეთეს, დილეგში ჩააგდეს და მხოლოდ ცრემლით მონანიების შემდეგ დაუბრუნეს ხარისხი (მასალები იხილეთ “საღვთისმეტყველო კრებულში“, 1991, N1).

მკვლევართა მიერ არაერთგზის თქმულა და დაწერილა, რომ კათოლიკურმა და, კერძოდ, საქართველოს კათოლიკურმა ეკლესიამ ჩვენი ეროვნული კულტურის, მეცნიერების, პოლიტიკისა და, მეტადრე, ეკონომიკის წინაშე (ქართველი კათოლიკები ტრადიციულად ვაჭრები და ბანკირ-ფინანსისტები იყვნენ) სასურველი სიტყვა თქვა; ქვეყანას ღირსეული შვილები აღუზარდა.

საქართველოში დღეს 50 000-მდე კათოლიკე ცხოვრობს. ტიპიკონის მიხედვით ისინი სამ ნაწილად განიყოფიან: 1. ლათინური ტიპიკონისანნი, 2. სომხური ტიპიკონისანნი და 3. სირიულ-ქალდეური ტიპიკონისანნი. პირველი და მესამე წესის კათოლიკები კავკასიის

სამოციქულო ადმინისტრატორის ეპისკოპალურ დაქვემდებარებაში იმყოფებიან. მათი ეპისკოპოსი დღეს არის ჯუზეპე პაზოტო (რეზიდენცია თბილისში, მიძინების ტაძარში). მეორე წესის კათოლიკები კი სომეხთა ეპისკოპოსის იურისდიქციაში შედიან.

საქართველოს კათოლიკეთა უმეტესობა ლათინურ წესს მისდევს, მათ შორის ის სომხებიც, რომლებიც თბილისში ცხოვრობენ.

კავკასიის რელიგიურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში დიდმნიშვნელოვანი მოვლენა პაპი **იოანე-პავლე II-ის** ვიზიტები გახლდათ, რომლებიც ბოლო სამი წლის განმავლობაში ამიერკავკასიის სამივე რესპუბლიკის დედაქალაქებში განხორციელდა.

რეფორმაცია და პროტესტანტობა

ისტორია და ძირითადი მიმართულებები

დიდი სქიზმიდან სამი საუკუნის შემდეგ რომის კათოლიკურ ეკლესიაში, უფრო სწორად, – დასავლეთ ევროპის ჩრდილოეთში, რეფორმატორული მოძრაობა დაიწყო. ძირითად მიზეზად დასახელებულია რომის ეკლესიის რიგორიზმი, ანუ სიმკაცრე, კულტმსახურების გადატვირთვა, დოგმატების სიმრავლე, კანონიკური სტრუქტურის სირთულე და, რაც მთავარია, პაპების სარწმუნოებრივ-პოლიტიკური გავლენის ზრდა, რასაც უკურეაქცია მოჰყვა.

რეფორმატორულ-პროტესტანტულ მოძრაობას საფუძველი ინგლისში ჩაეყარა. დამაარსებლად მღვდელი **ჯონ ვიკლიფი** ითვლება, რომელიც XIV ს-ში ცხოვრობდა. მისი ქადაგება და იდეები კათოლიკური ეკლესიის როგორც თეორიული, ისე (განსაკუთრებით) პრაქტიკული ნორმების წინააღმდეგ იყო მიმართული. იგი უარყოფდა წმინდანებისა და ხატების თაყვანისცემის პრაქტიკას, საიდუმლო აღსარებას, ევქარისტიის ტრადიციულ გაგებას (პურის და ღვინის გადაარსებას), სალხინებელს (განსაწმენდელს) და ა.შ. მისი მიზანი მოციქულთა დროინდელი სიმარტივისაკენ მიბრუნება იყო, რაც გამოიხატებოდა ეპისკოპალური ეკლესიის პრესბიტერიანულად გადაქცევის სურვილში. ეს კი თითოეული საეკლესიო თემის ანუ ცალკეული ეკლესიის დამოუკიდებლობას, ეპისკოპოსის იურისდიქციის გარეშე არსებობის დაშვებას, დედამიწაზე ეკლესიათა მმართველობითი ცენტრების გაუქმებას ნიშნავდა.

ვიკლიფის თეორიები თავის დროზე მკაცრად გააკრიტიკეს. მან და მისმა მომხრეებმა დევნა და ლანძღვა-გინება იწვნიეს, მაგრამ ფარ-ხმალი არ დაყარეს და რეფორმატორულ-პროტესტანტურ იდეებს მწვანე შუქი აუნთეს. ამ იდეების რეალიზაციის ერთ-ერთი ნიმუშია სახარების ინგლისურ ენაზე თარგმნა, რაც XVI ს-ის 20-იან წლებში ჯონ ფრიტმა და უილიამ ტინდალმა განახორციელეს.

რეფორმაცია და პროტესტანტობა ფაქტობრივად ერთი და იგივე მოვლენებია. ორივეს არსებითი ნიშანი ეკლესიის ტრადიციათა გადაფასება და შეცვლაა, მაგრამ მათ შორის გარკვეული სხვაობაცაა. რეფორმაცია, ძირითადად, ეკლესიის პრაქტიკის (ღვთისმსახურების) და კანონიკური წყობის რეკონსტრუქციას გულისხმობს, პროტესტანტობა – თეორიების,

თვით დოგმატების, ცვალებადობასაც. ერთიც და მეორეც ლათინური სიტყვებია: „რეფორმაციო“ გარდაქმნას ნიშნავს, „პროტესტანტის“ – დაპირისპირებას, გამიჯვნას. თითოეულის ხასიათი და ბუნება სახელწოდებებშიც ჩანს: რეფორმატორი მიზნად ძველის გარდაქმნას ისახავს, პროტესტანტი კი არსებულსა და ტრადიციულს უპირისპირდება. რეფორმაცია საღვთო გადმოცემას, როგორც რწმენის ერთ-ერთ წყაროს, ე.ი. ეკლესიის ავტორიტეტს პრინციპში (გლობალურად) არ უარყოფს, პროტესტანტობა კი სწორედ საღვთო გადმოცემის, ეკლესიის მამებისა და კრებების ავტორიტეტის გაუფასურებას ნიშნავს.

რეფორმაციისა და პროტესტანტობის ისტორია ერთმანეთზეა გადაჯაჭვული. ისინი ერთსა და იმავე დროს, ერთი და იმავე მიზეზების გამო წარმოიშვნენ.

პროტესტანტობა თავიდანვე, XVI ს-იდანვე, სამი მიმდინარეობის, სამი დენომინაციის სახით მოგვევლინა. მათი დამაარსებლები არიან: მარტინ ლუთერი (იხ. ქვ.), ულრიხ (ჰულრიხ) ცვინგლი (1484-1531) და ჟან კალვინი (1509-1564). მათ ბევრი საერთო და ბევრი განსხვავებული თეორია ჰქონდათ. საერთოა, მაგალითად, იმის აღიარება, რომ, თითქოს, ყოველ ადამიანს შეუძლია ინდივიდუალურად შეიტყოს ბიბლიისაგან, რა და როგორ უნდა სწამდეს; ეკლესიის მამათა ავტორიტეტის გათვალისწინება აქ აუცილებელი არაა.

საღვთო წერილის ტექსტისადმი ასეთმა მოდგომამ პროტესტანტულ ეკლესიათა ატომიზაცია ანუ დაშლა-დანაწილება გამოიწვია. სხვადასხვა მენტალიტეტისა და ბუნება-განწყობილების ადამიანები ბიბლიის ერთსა და იმავე მონაკვეთს ხშირად სხვადასხვანაირად აღიქვამენ, რაც, როგორც წესი, ახალ-ახალ თეოლოგიურ თვალსაზრისებს აღმოაცენებს. ეს ფაქტი კი, თავის მხრივ, ახალი დენომინაციების წარმოშობას უწყობს ხელს.

როგორც აღვნიშნეთ, თავიდანვე სამი პროტესტანტული ეკლესია შეიქმნა. ესენია, დამაარსებელთა სახელების მიხედვით – ლუთერისეული (ლუთერული), ცვინგლისეული (ცვინგლიანობა), კალვინისეული (კალვინიზმი). მათ მალე სხვა სახელწოდების, თეორიისა და პრაქტიკის ეკლესიები (დენომინაციები) მიემატნენ. კერძოდ: 1. ანაბაპტისტები (1521 წ., გერმანია. დამაარსებელია მემაუდე ნიკოლოზ შტორხი), 2. მენონისტები (1536 წ., დამაარსებელი, მღვდელი მენო სიმონსი; 3. ზომიერი ანაბაპტისტობა, რომელიც ბოროტებისადმი წინააღმდეგობის გაუწევლობას ქადაგებს), 4. ბაპტისტები (იხ. ქვ.), 5. კვაკერები (1649 წ. ინგლისი, დამაარსებელია გრაფი ფოტსი. უარყოფენ ყოველგვარ საეკლესიო წესს და პიროვნული სიწმინდის წყაროდ „შინაგან ნათელს“ სახავენ), 6. მეთოდისტები (1729 წ., ინგლისი; ქადაგებენ საეკლესიო წესების თანმიმდევრულად, მეთოდურად, პედანტურად დაცვას), 7. ხსნის არმია, 8. ახალი სამოციქულო ეკლესია და სხვა, რომელთაგან ზოგიერთის შესახებ ქვემოთ საგანგებოდ შევჩერდებით.

აღნიშნული დენომინაციები, რომელთაც ახალპროტესტანტულ ეკლესიებს უწოდებენ, ლუთერის, კალვინისა და ცვინგლის აღმსარებლობას ბევრ საკითხში დაუპირისპირდნენ. ეს პირველ რიგში ბავშვთა ნათლობასა და სახელმწიფოში ეკლესიის ადგილის განსზღვრაზე ითქმის. ახალპროტესტანტები ბავშვებს არ ნათლავენ და ეკლესიის სახელმწიფოსთან ინტეგრაციის წინააღმდეგ გამოდიან. ამის მიუხედავად მათ ანგლიკანობასთან და ტრადიციულ პროტესტანტობასთან ბევრი საერთო აქვთ. ესაა: საღვთო წერილისადმი ერთნა-

ირი მიდგომა, – მისი ავტორიტეტად აღიარება, მაგრამ ავტორიტეტის გარეშე ინტერპრეტაცია; სარწმუნოების ძველი სიმბოლოების ერთგულება; ერთარსება-სამების რწმენა, ეკუმენურ ორგანიზაციებსა და ფორუმებში მონაწილეობა და ა. შ. ახალპროტესტანტობა ანუ, იგივე, ულტრაპროტესტანტობა, შეიძლება ითქვას, არის საზღვარი, სადაც მინდორი მთავრდება და საიდანაც მინდორგარე ქრისტიანობა (მარგინალია) (იხ. ქვემოთ) იწყება, რაშიც, ჩვეულებრივ, სექტებს გულისხმობენ.

ძირითადი ლიტერატურა: Хорошего держитесь (Церкви, религиозные объединения в Российской державе, Советском Союзе и независимых государствах возникших после его распада), Харьков, 1999.

ანგლიკანური ეკლესია

რეფორმატორულ მოძრაობას, რომელიც კათოლიკური ეკლესიის წიაღში დაიწყო, შედეგად 1534 წელს ინგლისის ეკლესიის რომისაგან გამიჯნვა და ახალი მიმართულების ჩამოყალიბება მოჰყვა.

მეფე ჰენრი VIII (1509-1547) თავიდან ერთგული კათოლიკე გახლდათ და მ. ლუთერს (იხ. ქვემოთ) უპირისპირდებოდა, მაგრამ მალე რეფორმატორად მოგვევლინა. მან უღალატა კანონიერ ცოლს ეკატერინე არაგონელს და ქორწინებიდან 17 წლის შემდეგ ექვსთითიანი და კუზიანი სეფექალი ანა ბოლეინი შეიყვარა, რის გამოც პირველი ქორწინების გაუქმება და მეორედ დაქორწინება გადაწყვიტა. ამისათვის კი პაპის ლოცვა-კურთხევა იყო საჭირო, რაზეც კლიმენტიმ, მაშინდელმა პაპმა, კატეგორიული უარი შეუთვალა. მეფემ პაპის უარი არად ჩააგდო, თავისი თავი ინგლისის ეკლესიის მეთაურად გამოაცხადა, თვითნებურად განქორწინდა და თვითნებურად იქორწინა. მას მხარში ცნობილი სახელმწიფო მოღვაწეები თომას კრამვერი და თომას კრომველი ედგნენ, რომელთა ზეგავლენით პარლამენტმა 1534 წლის 3 ნოემბერს მეფის გადაწყვეტილებას დასტური მისცა. მონასტრები გააუქმეს, ხატები და წმიდა ნაწილები დაწვეს, საეკლესიო ქონებას კონფისკაცია უყვეს, თუმცა შეინარჩუნეს შვიდი საიდუმლო, მღვდელთა უქორწინებლობა, საიდუმლო აღსარება და სხვა. მეფე ტრაბახობდა, რომ იგი ქვეყანაზე ღვთის მოადგილეა, რომ იგი ქვეყნისათვის იგივეა, რაც სული სხეულისათვის, მზე – სამყაროსათვის. მაშასადამე, მეფემ თვითნებურად ეპისკოპოსის ფუნქციები იტვირთა და ეკლესიის ეპისკოპატი გააუქმა. პაპმა მეფე და მისი მომხრე საერო თუ სასულიერო პირები სქიზმატებად გამოაცხადა და ეკლესიისაგან განკვეთა. კათოლიკებსა და ანგლიკანებს (ე.ი. რეფორმატორებს) შორის ულმობელი ბრძოლა დაიწყო. დაიღვარა სისხლი და ბევრმა კათოლიკემ მოწამებრივი გვირგვინი დაიდგა. მათ შორისაა ეპისკოპოსი ჯონ ფიშერი და თომას მორი.

ვითარება ჰენრი VIII-ის გარდაცვალების შემდეგ განიმუხტა. მისმა შვილმა და მემკვიდრემ ედუარდ VI-მ ლოიალური პოზიცია დაიჭირა. მართალია, ევანგელურ-რეფორმატორულ კურსზე მას ხელი არ აუღია, რაც ე.წ. „რწმენის 42 წესშიც“ აისახა, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, ეპისკოპალური მმართველობა და ძველი რიტუალები აღადგინა. ქვეყანაში სიმშვიდემ

დაისადგურა და ახალი იდეების პროპაგანდისათვის უფრო ხელსაყრელი პირობები შეიქმნა. აქტიურობდა კემბრიჯის თეოლოგიური სკოლა, რომელმაც ახალგაზრდების დიდი ნაწილი ევანგელურ-რეფორმატორულ მოძღვრებას აზიარა.

ზომიერი რეფორმატორი ედუარდი მგზნებარე კათოლიკემ – დედოფალმა მარია სტიურ-დმა (1553-1558) – შეცვალა. მის დროს პაპის 400 მოწინააღმდეგე სიკვდილით დასაჯეს, მათ შორის – თომას კრამვერი, ეპისკოპოსი მუჰერ გლოჩესტერელი, რიდლეი ლონდონელი და ლათიმერ ვორჩესტერელი.

მარიას გარდაცვალების შემდეგ ტახტზე ანა ბოლეინის ქალიშვილი ელიზავეტი ავიდა, რომელმაც რეფორმების კურსი გააგრძელა და შეიძლება ითქვას, რომ მისი მმართველობის ხანაში (1558-1603) რეფორმაციამ ინგლისში საბოლოოდ გაიმარჯვა.

ინგლისის ეკლესია, რომელსაც შემდეგ ანგლიკანური ეკლესია ეწოდა, ეპისკოპალურ ეკლესიად დარჩა. მმართველი ეპისკოპოსის როლი კენტერბერიის მთავარეპისკოპოსს დაეკისრა. შენარჩუნებულ იქნა რომაულ-კათოლიკურ წეს-განგებათა დიდი ნაწილი, რაც 1562 წლის საეკლესიო კრებამაც დაადასტურა ოცდაცხრა მუხლიანი ტრაქტატის სახით.

ეპისკოპალური მმართველობა ბევრი რეფორმატორისათვის მიუღებელი აღმოჩნდა, რის გამოც ისინი (რადიკალური კურსის მიმდევრები) ანგლიკანურ ეკლესიას გაემიჯნენ და დამოუკიდებელი ეკლესიები, ე.წ. **რეფორმატორული სექტები** შექმნეს. ესენია: პრესბი-ტერიანელები, პურიტანები, ინდეპენდენტები და სხვანი (იხ. ქვ. „ბაპტისტები“), რომლებმაც არა მარტო ეპისკოპოსის თანამდებობა უარყვეს, არამედ ეკლესიაზე მეფის უფლებებიც. პაპობის ინსტიტუტი და კათოლიკური ტრადიციები მათ ანტიქრისტეს მემკვიდრეობად გამოაცხადეს.

ანგლიკანებსა და რადიკალ რეფორმატორებს, ანგლიკანების სახელწოდებით, – სექ-ტანტებს, შორის წინააღმდეგობა მალე აზვირთდა. ხელისუფლებაში ხან ერთი ფრთა გაბა-ტონდებოდა, ხან მეორე. ანგლიკანები მონარქისტები იყვნენ, რადიკალ-რეფორმატორები კი რესპუბლიკელები. ერთი მხარის წარმომადგენელთა სისხლიც იღვრებოდა და მეორე მხარის წარმომადგენლებისაც; ეპისკოპოსები ხან მდევნელები იყვნენ, ხან თვითონ იდევნებოდნენ ხელისუფლების ცვალებადობის მიხედვით. კათოლიკობისადმი სიმპათიების გამომჟღავნება დიდ რისკთან იყო დაკავშირებული. მეფე შარლ I-ს თავი სწორედ პროკათო-ლიკური ორიენტაციის გამო მოკვეთეს. 1689 წელს პარლამენტსა და მეფე ვილჰელმ ორა-ნელს შორის ხელშეკრულება დაიდო, რომლის ძალითაც კათოლიკებს სახელმწიფო სტრუქ-ტურებში სამსახური აუკრძალეს. ეს უფლება მათ მხოლოდ 1828 წელს მოიპოვეს.

ანგლიკანური რეფორმაცია ირლანდიაშიც გავრცელდა და სახელმწიფო სტატუსი მო-იპოვა, თუმცა მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი კათოლიკური ეკლესიის ერთგული დარჩა. რწმენის მიხედვით მოსახლეობა ორ მოქიშპე მხარედ გაიყო. მათ შორის ანტაგო-ნიზმი და სისხლიანი შეტაკებები დღემდე გრძელდება.

ანგლიკანური ეკლესია (ამაზე სახელწოდებაც მიანიშნებს) ქვეყნის, სახელმწიფოს, ერის ეკლესიაა. იგი იდენტიფიცირებულია ინგლისთან (დიდ ბრიტანეთთან) და, ნაწილობრივ, ირლანდიასთან და, ამდენად, ნაციონალიზმის (გარკვეულწილად ფილეტიზმის) ელემენ-

ტებსაც შეიცავს (სომხური სამოციქულო ეკლესიის მსგავსად), რის გამოც მისმა მოძღვრებამ და პრაქტიკამ სხვა ქვეყნებში გზა წარმატებით ვერ გაიკაფა.

ზოგადი შეფასებით, **ანგლიკანურ თეოლოგიას, კულტმსახურებასა და კანონიკურ წყობილებას კათოლიკობასა და პროტესტანტობას შორის შუალედური ადგილი უჭირავს.**

ინგლისის ეკლესია, როდესაც პაპის იურისდიქციიდან გავიდა, აღმოსავლეთის მართლმადიდებელ ეკლესიებთან დიალოგის გზას დაადგა. ეს დიალოგი განსაკუთრებით ინტენსიური XVII-XVIII სს-ის მიჯნაზე გახდა. ამაზე ის ეპისტოლეც მეტყველებს, რომელიც მართლმადიდებელმა პატრიარქებმა ინგლისელ ქრისტიანებს გაუგზავნეს (ქართული თარგმანის შესახებ იხ. „საღვთისმეტყველო კრებული“, 1987, N3, გვ. 53-54). დიალოგი მიზნად ეკლესიათა გაერთიანებას ისახავდა, რასაც რეალური შედეგები არ მოჰყოლია.

ლუთერელები და მათი ეკლესია საქართველოში

მარტინ ლუთერი 1483 წლის 10 ნოემბერს საქსონიაში, ქ. აისლებენში, გერმანელი კათოლიკეს ოჯახში დაიბადა. აღიზარდა და პირველდაწყებითი განათლება ქ. მენსფილდში მიიღო. სწავლობდა მაგდებურგის და ეიზენახის ლათინურ სკოლებში. ეუფლებოდა მეცნიერებას ერფურტის უნივერსიტეტში ხელოვნებისა და იურისპრუდენციის განხრით. ნიჭი და ენერგია მას ბრწყინვალე საერო კარიერას ჰპირდებოდა, მაგრამ ერთ დღესა და შთამბეჭდავ ღამეს წუთისოფლის სამსახურზე ხელი აიღო.

ჭაბუკი ფეხით მიდიოდა მენსფილდიდან ერფურტისაკენ. ამოვარდა ქარიშხალი. იელვა და მგზავრის გვერდით მეხი ჩამოვარდა. მიწად განრთხმულმა და დაზაფრულმა ამოიგმინა: „შემეწიე, წმიდაო ანა! მე მონაზვნად აღვიკვეცები!“

მორწმუნემ სიტყვა არ გატეხა და ერფურტის ავგუსტინელთა სავანეს მიაშურა. იქ ბერის სქემა შეიმოსა და მალე, წინამძღვართა ლოცვა-კურთხევით, სწავლა იმავე უნივერსიტეტსა და, შემდეგ, ვიტენბერგში თეოლოგიის ფაკულტეტზე განაახლა, სადაც დეკანი, პროფესორი და მისი ხელმძღვანელი იოჰან სტაოპიცი – გერმანიის ავგუსტინელთა ვიცეგენერალი იყო.

1507 წელს მარტინ ლუთერი ეკურთხა მღვდლად და შეუდგა სამოძღვრო მოღვაწეობას. იყო რომში, სადაც უმაღლესი იერარქიის ნდობა და პატივისცემა დაიმსახურა. იგი კვალიფიციურ ღვთისმეტყველად აღიარეს. 1512 წელს მიანიჭეს დოქტორის ხარისხი და, პროფ. სტაოპიცის გარდაცვალების შემდეგ, დაამტკიცეს დეკანის თანამდებობაზე ვიტენბერგის უნივერსიტეტში, სადაც წაიკითხა სალექციო კურსები ეგზეგეტიკაში ფსალმუნებსა და პავლეს ეპისტოლეებზე.

ახალგაზრდა ღვთისმეტყველი ერთობ ასკეტურად ცხოვრობდა. მისი გონება ხსნის პრობლემამ გლობალურად მოიცვა. დაეუფლა ცოდვიანობის განცდა და სინანული, რასაც ხშირად სასოწარკვეთამდე მიჰყავდა, ეძიებდა განმართლების საშუალებებს და, აი, მისი პირველი ინდივიდუალური სიტყვა ამ გზაზე: რომაელთა 1:17-ის განმარტებისას იგი მივიდა დასკვნამდე, რომ გადარჩენის ერთადერთი სახსარი საღვთო მოქმედებაში ძევს. ესაა ქრისტეს მიმტევებელი სიყვარული ანუ მოძღვრება წყალობაზე, რის თანახმადაც ცხონებისათვის მთავარია რწმენა, შემდეგ კი – საქმე. ეს თეორია ლუთერმა უცილობელ ჭეშმარიტე-

ბად მიიჩნია და მის გაღრმავებას შეუდგა, რამაც თანდათან მიიყვანა იგი რჯულის ანუ კანონის, ე.ი. წეს-განგებათა და, საბოლოოდ, ეკლესიისა და სამღვდელოების ფუნქციის ტრადიციული გაგების უარყოფამდე, კაცსა და ღმერთს შორის შუამდგომელის იგნორირებამდე. შესაბამისად, სამღვდელო და სალიტურგიო წიგნების, ღვთისმსახურების დადგენილი ნორმების და რიტუალების ავტორიტეტის ეჭვის ქვეშ დაყენებამდე. მისი თქმით, ღვთისმეტყველების ერთადერთი საფუძველი არის წერილი, ე.ი. ბიბლია. რაც შეეხება რეგულარულ წირვებს, მან ისინი მოგვიანებით „ეკლესიის სასწაულმოქმედი ძალისა და სასულიერო წოდების დიდებულების ყოველდღიურ დემონსტრაციად“ გამოაცხადა.

ურთიერთობა რომის კათოლიკურ ეკლესიასთან დაიძაბა და მწვერვალს 1517 წელს მიაღწია. პაპმა ლეონ X-მ წმ. პეტრეს ტაძრის განახლების დღეს მორწმუნეთაგან გაღებული წვლილის სანაცვლოდ ინდულგენციები ანუ წყალობის სიგელები დაარიგა, რაც ლუთერმა დაგმო. მან ჩამოაყალიბა 95 თეზისი, სადაც წარმოაჩინა საკუთარი მრწამსი უზენაესთან პიროვნების უშუალოდ დაკავშირების შესაძლებლობის თაობაზე. თეზისები იმა წლის 31 ოქტომბერს ვიტენბერგის მთავარი ტაძრის კარიბჭეზე გააკრა, საიდანაც ელვისებურად მოეფინა მთელს გერმანიას. მას მიესალმენ ე.წ. ჰუმანისტები, ინტელიგენტები და აჯანყებული გლეხები. აღფრთოვანდნენ სტუდენტები. მათ უნივერსიტეტის ეზოში დაწვეს რომაული კათოლიკობის აპოლოგეტის – ტეცელის – საპასუხო თეზისები. გაიმართა საჯარო პაექრობა. პროტესტანტმა მომხრეები თანამოწესე ბერებს შორისაც ჰპოვა. სამღვდელოება შეშფოთდა. ადგილობრივმა ეპისკოპოსმა თეზისები რომში გაგზავნა და „რევოლუციონერი“ მღვდლის წინააღმდეგ საქმე აღძრა.

პაპმა დიალოგის პოლიტიკა ამჯობინა და სთხოვა სულიერ შვილს, კარდინალ კაეტანის პირით, კონფესიური ექსტრემიზმისაგან თავი შეეკავებინა. ხანგრძლივი ბჭობისა და კამათის შემდეგ ლუთერი დათანხმდა, გაჩუმდებოდა, თუკი ოპონენტებიც ასე მოიქცეოდნენ. ეს ყალბი შეთანხმება იყო და პირობა არ შესრულდა. 1519 წელს ლაიფციგში კათოლიკ ღვთისმეტყველ იოანე ეკის წინაშე ლუთერმა სახალხოდ განაცხადა, რომ მას არ სწამს არც პაპის პრიმატი, არც წმიდა მამების და არც მსოფლიო საეკლესიო კრებათა დადგენილებების ჭეშმარიტება. მოპასუხემ ლუთერს ერეტიკოსი უწოდა და კამათი შეწყვიტა.

რეფორმატორმა მაგისტრალური ხაზი განავრცო და 1520 წელს სავსებით გაწყვიტა კავშირი შუასაუკუნეობრივ საეკლესიო ტრადიციასთან, რასაც ცხადყოფს მისი სამი ტრაქტატი, – ტრილოგია: 1. „გერმანელი ერის ქრისტიან თავადაზნაურებს“; 2. „ეკლესიის ბაბილონური ტყვეობა“ და 3. „ქრისტიანთა თავისუფლება“, აგრეთვე – სტატიები და პამფლეტები. ავტორი მოუწოდებდა გერმანიის ხელისუფალთ, აეღოთ ესტაფეტა სასულიერო ცხოვრების გარდაქმნის მიზნით: შეეწყვიტათ ხარკი წმიდა ტახტისადმი, აეკრძალათ სულის მოსახსენიებელი წირვები, პილიგრიმობანი და სხვა კათოლიკური წესები; არ ერწმუნათ დოგმა ევქარისტიის ჟამს პურისა და ღვინის მაცხოვრის სისხლად და ხორცად გადაარსებისა, რასაც გვასწავლის სამოციქულო ეკლესია. საპირისპიროდ დაეჯერებინათ, რომ ზიარებაში მხოლოდ თანამონაწილეობს იესო ქრისტე და მისი ღვთიურობა მოიცავს მტკიცედ პურსა და ღვინოს; დაეყვანათ საეკლესიო საიდუმლოთა რიცხვი ორამდე, – ნათ-

ლისღებასა და ზიარებამდე. თანაც, უკანასკნელი უნდა აღესრულებინათ არა ჟამითიჟამად, სისტემატურად, არამედ ხანდახან, უფრო კი წითელ პარასკევს (როდესაც, კათოლიკე და სამოციქულო ეკლესიის ძველი განაწესის თანახმად, უსისხლო მსხვერპლი არ იწირება). მისი მტკიცებით, ქრისტიანი მაცხონებელი რწმენის მადლით თავისუფალია ქველ საქმეთა ვალდებულებისაგან.

პაპმა რადიკალურ ზომებს მიმართა: გამოაქვეყნა ბულა, რომლის თანახმად 95-იდან 41 თეზისი მწვალებლობად გამოაცხადა და გასცა ბრძანება ტექსტების განადგურების შესახებ. თუ „მჩხრეკელი“ 60 დღის განმავლობაში არ მოინანიებდა, დაისჯებოდა რჯულის კანონის შესაბამისად.

ბრალდებული გაკერპდა: მან დღისით-მზისით, იმავე წლის 10 დეკემბერს, ვიტენბერგის ჭიშკრის წინ დაწვა ბულა კათოლიკური აღმსარებლობის სხვა წიგნებთან ერთად, რის გამოც 1521 წლის 3 იანვარს რომის პაპმა მას ანათემა გამოუცხადა, – შერაცხა ერეტიკოსად და განკვეთა ეკლესიისაგან. ლუთერის საქციელი, მონათლული ხულიგნობად, საიმპერიო სასჯელსაც ექვემდებარებოდა. გაიცა შესაბამისი განკარგულება, მაგრამ საქსონიის პრინცის რაინდებმა ღამით წარიტაცეს იგი და მიუჩინეს სენაკი ვარდბურგის ციხე-სიმაგრეში, სადაც დაყო 8 თვე თავადი გიორგის ფსევდონიმით. ბევრს იგი ცოცხალი აღარ ეგონა.

ლტოლვილების ჟამს ლუთერმა ერთხელ კიდევ გადახედა თავის პოზიციას და დარწმუნდა, რომ მართალი იყო, რომ ღმერთმა საგანგებო მისიით მოავლინა დედამიწაზე. იგი ენთუზიაზმით შეუდგა ლიტერატურულ საქმიანობას, რომლის გვირგვინს ბიბლიის მისეული თარგმანი წარმოადგენს. ეს თარგმანი შესრულებულია ხალხურ დიალექტზე. ამის გამო მან ადვილად გაიკაფა გზა რიგითი მკითხველებისაკენ, წარუშლელად აღიბეჭდა მათ ცნობიერებაში და უდიდესი როლი შეასრულა გერმანული ენისა თუ, ზოგადად, კულტურის ისტორიაში. ლუთერს ჰქონდა დახვეწილი მეტყველება, მელოდიური ხმა და მახვილი სმენა. იგი ბრწყინვალე ორატორი და მოქადაგე იყო, რამაც ხელი შეუწყო მის წარმატებას.

თუმცა რეფორმის ინიციატორი ასპარეზზე კარგა ხანს არ ჩანდა, მისი იდეები ვრცელდებოდა და შრომები მეზობელ ხალხთა ენებზე ითარგმნებოდა. მათ ხალისით ეგებებოდნენ ყველა ფენისა და წოდების წარმომადგენლები, რასაც თან სდევდა ტრადიციული საეკლესიო პრაქტიკის მოდერნიზაცია: მღვდლები ქორწინდებოდნენ, მონაზვნები მონასტრებს ტოვებდნენ, არღვევდნენ წმ. ტრაპეზებს, უგულვებელყოფდნენ ხატებს და ჯვრებს, ივიწყებდნენ აღსარებებს და მარხვებს.

1522 წელს, რადგან დაპატიმრების საფრთხემ განვლო, ლუთერი ვიტენბერგში დაბრუნდა, განაახლა ლექციები და აღადგინა ორდენი სახეცვლილი ფორმით. 1525 წელს მან ცოლად შეირთო ყოფილი მონაზონი კატერინა ბორაელი, რითაც მიმდევრებს ცელიბატობის საწინააღმდეგო მაგალითი უჩვენა.

ნოვატორმა თანამოაზრეები მმართველ წრეებშიც მოძებნა. თავადებს აჯანყებული გლეხების დასჯა ურჩია, რადგან უკანასკნელთა შორის უხეშ და უკულტურო ძალას ხედავდა. ამით მან ხელისუფალთა გული მოიგო. ამბოხებულთა თვალში კი ავტორიტეტი რამდენადმე დაკარგა. თუმცა მისი მოძღვრების ტრიუმფს წინ ვეღარაფერი დაუდგებოდა.

რეფორმატორთა შორის მალე განხეთქილებამ იჩინა თავი. ლუთერს დაუპირისპირდნენ ცვინგლი და ინგლისის მეფე ჰენრი VIII. პირველი ევქარისტიის გააზრების თვალსაზრისით (იგი უარყოფდა წირვაში მაცხოვრის სხეულებრივ მონაწილეობა-მყოფობასაც კი), მეორე – საეკლესიო საიდუმლოთა რიცხვისა და რიგის საკითხში (იცავდა ტრადიციას).

რუდუნებამ რეფორმატორი და პროტესტანტი თეოლოგი დაღალა და წელში გაწყვიტა. ხოლო სარწმუნოებრივმა ომებმა, მის მიმდევრებსა და ცვინგლიანებს შორის რომ ატყდა, იგი პასუხისმგებლობის წინაშე დააყენა და მორალურად დაუწყლულა გული. ამასთანავე მიხვდა, რომ მისი თეორია ახალი და ახალი თეოლოგიურ-ეკლესიოლოგიური შეხედულების წარმოშობას ახალისებდა.

მარტინ ლუთერი 1546 წლის 18 თებერვალს მშობლიურ ქალაქ აისლებენში გარდაიცვალა. იქვე განისვენებს.

ლუთერმა დატოვა უმდიდრესი წერილობითი მემკვიდრეობა. მათგან, ზემოხსენებულთა გვერდით, აღსანიშნავია: დიდი და მცირე კატეხიზმო, „სამაგიდო საუბრები“ (ოჯახსა და მეგობრების წრეში წარმოთქმული სიტყვები. ცნობილია, რომ ლუთერის სახლი მუდამ სავსე იყო სტუმრებით: მეგობრებით, თანამშრომლებით, სტუდენტებით), ჰიმნები, ე.წ. სამრევლო საგალობლები, რომელთა შორის ბრწყინავს – „მტკიცე ციხესიმაგრეა ჩვენი ღმერთი“ და სხვა. მათ სტრიქონებში აღბეჭდილია ახალი მოძღვრების არსება, რასაც უწოდებენ ლუთერობას. მიმდევართა დასს – ლუთერულ ეკლესიას.

მკვლევრები ყურადღებას ამახვილებენ ლუთერის პიროვნულ თვისებებზე, მის რთულ ბუნებაზე, ემოციურობაზე, ტემპერამენტზე, რომელიც ხშირად გონებას აკონტროლებდა. შესაძლებელია, ამითაც აიხსნას მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის ზოგიერთი მხარე. თითქოს ღრმა პესიმიზმმა მიიყვანა იგი მტკიცებამდე, რომ კაცობრიობა უკიდურესად დაცემულია, გონება – უსუსური, ადამიანი – ყოვლად უძლური. ხსნა მხოლოდ ქრისტეს თანამოქმედების შედეგადაა შესაძლებელი. მართალია, ღმერთი გვანიჭებს წყალობას, მაგრამ მაინც ცოდვის მორევში ვრჩებით ჩვენი უსაშველოდ გაუკულმართებული ბუნების გამო. იგი ამბობს: „ყველაფერი, რასაც ვაკეთებთ, არის ფუჭი თვით ყველაზე საუკეთესო ცხოვრებაშიც კი“.

ამრიგად, რომ შევაჯამოთ, ლუთერიის ამოსავალი პრინციპია **მხოლოდ რწმენის გზით გამართლება**. ეს ნიშნავს შემდეგს: წუთისოფელში ადამიანი არის ცოდვის მონა და აღარ ძალუძს არსობრივი სიკეთის ქმნა. მიუხედავად ამისა, გამოსყიდვის საიდუმლო მაინც სრულდება ქრისტეს თვალშეუდგამი სიკეთის გამო.

ისიც ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ გამოსყიდვის გზაზე მოწყალების უსარგებლობა, რაც ერთი შეხედვით გამომდინარეობს წარმოდგენილი მსჯელობიდან, არასდროს დაუჟინებია არც ლუთერს და, მით უფრო, მის მიმდევრებს, რომლებმაც შემდგომ ეპოქებში მოძღვრის თეოლოგიური სისტემა დააზუსტეს და განავითარეს. გასათვალისწინებელია, რომ თავად ლუთერი პირად ურთიერთობაში თბილი, სათნო და კეთილი ადამიანი იყო.

ლუთერული ღვთისმსახურება გამოირჩევა უბრალოებით. იგი ამოიწურება საღმრთო წერილის კითხვით, ქადაგებით და გალობით. შენარჩუნებულია საკურთხეველი, ჯვარი, ორღანი, რელიგიური ფერწერა (ხატების გარდა). ღარიბულ მაგიდაზე ბიბლია ასვენია.

ლუთერობა გერმანიის ოფიციალურ კონფესიად (კათოლიკობის გვერდით) 1555 წელს აღიარეს. იგი გავრცელდა, აქტიური მისიონერული მოღვაწეობის შედეგად, სკანდინავიის ქვეყნებში (შვეციას, ნორვეგიასა და ფინეთში). აგრეთვე, ბალტიისპირეთის რეგიონებსა და აშშ-ში. 1970 წელს ლუთერელების რიცხვი 75 მილიონს აღწევდა. ძირითადი ნაწილი გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში სახლობს. ისინი 1948 წლიდან გაერთიანებული არიან კალვინისტებთან და უნიატებთან საერთო სახელწოდების ქვეშ – **ევანგელური ეკლესია გერმანიაში**.

გამოთქმულია მოსაზრება, რომ ლუთერობამ, ათაბაგ მზეჭაბუკის ინიციატივით, საქართველოში ლუთერის დროსვე შემოაღწია და მრევლიც გაიჩინა. ეს თეორია მეცნიერულად არ დასტურდება (გ. კუტალია, მარტინ ლუთერის საზოგადოებრივ-პოლიტიკური შეხედულებანი, თბ., 1993, გვ. 206-208). სამაგიეროდ ფაქტია, რომ 1817-1818 წლებში ჩვენს ქვეყანას ჯგუფ-ჯგუფად ესტუმრენ უცხოობის მაძიებელნი, რომლებიც თავიანთ თავს კოლონისტებს ანუ სხვა სახელმწიფოში დასახლების მსურველებს ეძახდნენ. ისინი გერმანელი ლუთერელების განაყოფები – სეპარატისტები – იყვნენ.

რა ეგულებოდათ ქართლის სანახებში?

...XIX ს-ის დასაწყისში, ნაპოლეონის დაპყრობითი და გამანადგურებელი ომების ჟამს, გერმანიაში, ლუთერის რჯულის მიმდევართა შორის, დაიბადა აზრი მეორედ მოსვლის მოახლოების შესახებ, რამაც ბევრი გულუბრყვილო ადამიანის გონება დაიპყრო. ისინი განუდგნენ ეკლესიას და ჩამოაყალიბეს სექტა, რომელიც ცნობილია სახელით „სეპარატისტები“. მისი არსებითი ნიშანი ქილიაზმი იყო. ტერმინი ბერძნული წარმოშობისაა და მიგვანიშნებს ათასწლოვანი მეფობის ხანაზე, რასაც წინასწარმეტყველებდნენ სექტის იდეოლოგები **იუნგ-შტილინგი** და **ბარონესა იულია-ვარვარა კრუდენერი**. ისინი ქადაგებდნენ, რომ ახლოსაა ქვეყნიერების განკითხვის ჟამი; 1836 ან 1846 წელს სისხლის წვიმებში ჩაიხრჩობა ევროპა; ვისაც ხსნა სურს, დაუყოვნებლივ უნდა დაადგეს გზას აღმოსავლეთისაკენ, კავკასიისაკენ, არარატის მთის მიდამოებისაკენ, სადაც, მათი მტკიცებით, გამოჩნდება მაცხოვარი იესო ქრისტე და დააფუძნებს **ათასწლოვან სამეფოს.** 1815 წელს ბარონესამ რუსეთის ხელმწიფის გული მოიგო: არაერთგზის უწინასწარმეტყველა გამარჯვება ალექსანდრე I-ს, რაც სინამდვილედ იქცა და იმპერატორიც უსაზღვრო პატივისცემით განეწყო „საკვირველი ქალის“ მიმართ; შეიწყნარა მისი თხოვნა და სეპარატისტების საქართველოში გადმოსახლებას დათანხმდა.

რელიგიური შიშით დაზაფრულ მორწმუნეებს ოფიციალური ნებართვისათვის არ დაუცდიათ. გაყიდეს მოძრავ-უძრავი ქონება, მამა-პაპათა ნატერფალიდან აიყარნენ და, თითქმის თავქუდმოგლეჯილები, 1817 წელს „აღთქმული ქვეყნისაკენ“ სტიქიურად გამოიქცნენ. მათ გვერდით წამქეზებლები აღარ ჩანდნენ.

მგზავრობა სავსე იყო ვაებით და ფათერაკებით. ყაჩაღებმა, სხვადასხვა ქვეყნის მებაჟეებმა და ჩინოვნიკებმა გაფრცქვნეს ისედაც ჯიბედაცარიელებულნი, ხოლო პაპანაქებამ, კოკისპირულმა წვიმებმა თუ ქარიშხლებმა, მეტადრე – ეპიდემიებმა უამრავი სული იმსხვერპლა.

ლტოლვილთა საერთო რიცხვი 1400 კომლს ანუ 7000 კაცს აღწევდა. მათგან ყველას როდი ეღირსა საქართველოს და თბილისის ნახვა. პირველი ნაკადი 1817 წლის მიწურულს ჩამოვიდა, მეორე და მესამე – 1818 წელს. ისინი მორალურად და ფიზიკურად ილაჯგაწყვეტილები იყვნენ. გართულდა მათი დაბინავების, განსახლებისა და დასაქმების პრობლემა. ბევრი მოხეტიალე მათხოვრადაც იქცა. იკვებებოდნენ და იმოსებოდნენ არასაკმარისად, რის გამოც მათ წრეში გახშირდა დაავადებანი და ნაადრევი სიკვდილი. თუმცა აკლიმატიზების პროცესი რამდენიმე წლის შემდეგ დამთავრდა. არც მთავრობა აკლებდა ყურადღებას და მზრუნველობას: აძლევდა შეღავათიან სესხს, უყოფდა საშენ მასალებს და სახაზინო მიწის ნაკვეთებს. ასე შეიქმნა კოლონისტების დასახლებანი, – კოლონიები, რომელთაც ძირითადად გერმანული სახელები დაარქვეს. ესენია: 1. მარიენფილდი (კახეთის გზატკეცილზე, სართიჭალაში), 2. თბილისის კოლონია (დღევანდელი დავით აღმაშენებლის გამზირი), 3. ალექსანდრესდორფი (დიდუბე); 4. პეტერსდირფი (მარიენფილდის მახლობლად), 5. ელიზავეტალი (სოფ. ასურეთი), 6. ეკატერინენფელდი (ბორჩალოს მაზრაში, ბოლნისთან), 7. ანანფელდი (შამქორში), და 8. ელენენდორფი (განჯის მახლობლად). თითოეული კოლონია ცალკე სამრევლოს წარმოადგენდა.

ლტოლვილთა ნაწილს ჯერ კიდევ დამქანცველ გზაზე აეხილა თვალი, ნაწილს – 1836 და, შემდეგ, 1846 წელს, როდესაც, მოლოდინის საწინააღმდეგოდ, მეორედ მოსვლა არ მოხდა. იმედები გაცრუვდა, წინასწარმეტყველება დასამარდა, სექტანტური რწმენა დაიმსხვრა და კოლონისტი ქილიასტები თანდათან ეკლესიურ-საზოგადოებრივ შეხედულებებს დაუბრუნდნენ. თუმცა ეს პროცესი რთულად მიმდინარეობდა. კერძოდ: 1843 წელს კოლონია ეკატერინენფელდში გამოჩნდა ეგზალტირებული მისანი – **ბარბარა შპონი**, რომელიც თავის თავს ქრისტეს სასძლოს და მესიის მომავალი სამეფოს დედოფალს უწოდებდა. იგი მეორედ მოსვლას კვლავ 1846 წლისათვის ირწმუნებოდა და გადარჩენის მიზნით სასწრაფოდ იერუსალიმში გადასახლებას ქადაგებდა. სახელმწიფოსა და პასტორატის მხრიდან თხოვნამ, შეგონებამ და მუქარამ არ გაჭრა. წინასწარმეტყველის ანკესზე ბევრი სექტანტი წამოეგო. შორეული მგზავრობისათვის 362 ფანატიკოსი მოემზადა. მათ თავი ეკატერინენფელდში 1843 წლის 9 ივნისს მოიყარეს, რათა ლოცვა აღესრულებინათ და მწყობრად გამგზავრებულიყვნენ წმიდა მიწისაკენ. კოლონა, რომელსაც ატაცებული და ქადაგად დაცემული ქალი მიუძღოდა, ადგილიდან დაიძრა, მაგრამ მალე წინ ჯარისკაცები გადაეღობნენ და, რადგან მოლაპარაკებამ არც ამჯერად გამოიღო ნაყოფი, სექტის მეთაურები დააპატიმრეს. რიგითმა წევრებმა კი განზრახვაზე ხელი აიღეს და ოფიციალურად შეუერთდნენ ლუთერულ ეკლესიას (იხ. გ. მანჯგალაძე, სექტანტური მოძრაობა ამიერკავკასიის გერმანელ კოლონისტებში: რელიგიის ისტორიისა და ათეიზმის საკითხები საქართველოში, 1, თბ., 1968, გვ. 66-70).

ასე შეიქმნა **ლუთერული ეკლესია საქართველოში,** რომლის კულტს და განათლებას ტაძრებისა და სკოლების შესაბამისი ქსელი ემსახურებოდა. 1914 წლის მონაცემებით, ამიერკავკასიაში 21 000 ლუთერელი ცხოვრობდა. მათგან გერმანელი 17 000 იყო. ჰყავდათ პასტორთა სათანადო კონტინგენტი. გააჩნდათ წესდება, რომლის თანახმად გერმანელთა

კოლონიები საქართველოში ევანგელურ-ლუთერულ ეკლესიად გამოცხადდა. მისი ცენტრალური შტაბი – პასტორთა კრება ანუ სინოდი – თბილისში მდებარეობდა. ხელმძღვანელს ობერპასტორი ერქვა.

აღსანიშნავია კოლონისტების შრომის კულტურა და ენთუზიაზმი. ლუთერის ასკეტური სისტემის თანახმად, განუზომელი ფასი აქვს შრომაში გამოვლენილ სიბეჯითეს. "ო, ძვირფასო ქრისტიანებო, – წერდა იგი, – ღმერთზე უნდა ილოცოთ ცოტა, მაგრამ ღრმად, ვინაიდან ის გმობს ხანგრძლივ და სიტყვამრავალ ლოცვებს". ამიტომაც საქართველოში იშვიათად ნახავდით ფუქსავატ გერმანელს. შრომობდნენ და სწავლობდნენ გულმოდგინედ. ქმნიდნენ დოვლათს. გამოირჩეოდნენ სანიმუშო ყოფაქცევით, პუნქტუალობით.

პირველი და მეორე მსოფლიო ომების დროს საქართველოს ლუთერელებს ბრალად გერმანიის აგენტობა დასდეს. დაიწყო დევნა და გასახლება. დაუხურეს ეკლესიები და სკოლები. მხოლოდ პერესტროიკის წყალობით მოიპოვეს სამლოცველო სახლის გახსნის უფლება თბილისში. აქვე დაარსდა გერმანული კულტურის ცენტრი და სათვისტომო.

დღეისათვის ქართველი მორწმუნე ლუთერელების რიცხვი 500-მდე აღწევს. ისინი ცხოვრობენ თბილისში, სოხუმში, გაგრაში, რუსთავში, გარდაბანსა და ბოლნისში. ჰყავთ ეპისკოპოსი – პროფ. გერტ ჰუმელი და ხუცესი – გარი აზიკოვი. მათ ერთი ეკლესია აქვთ (თბილისში), სადაც საკვირაო სკოლა ფუნქციონირებს.

ბაპტისტები

სახელწოდების ძირი ბერძნულია და ნიშნავს **წყლით ნათლობას**, კონკრეტულად — **შთაფლვით ანუ ჩაყვინთვით ნათლობას** (ბერძნ. *ბაპტიძო* „ვნათლავ წყლით"). ამდენად, ბაპტისტების სულიერ ცხოვრებაში ყურადღება ძირითადად რწმენით ნათლისღებაზეა გადატანილი; იგი შთაფლვით უნდა შესრულდეს.

რიტუალი, თუ მდინარეზე გასვლის საშუალება არ არის, სრულდება ბაპტისტერიაში ანუ ეკლესიის დარბაზში გაკეთებულ აუზში ხელდასხმული მსახურის (დიაკვნის, ხუცესის, ეპისკოპოსის) მიერ.

ბაპტისტური ლიტურგია მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვანაირია. იგი, რიგორც წესი, არეკლავს ადგილობრივი კულტურის თავისებურებებს. ზოგადი თარგი ასეთია: შესავლისა და დასასრულის ლოცვები (რომლებიც ან სპონტანურია, ან წინდაწინ შედგენილი), რწმენის დამოწმება (მრწამსი), „სიტყვის ლიტურგია", ქადაგება, ევქარისტია, კურთხევა. ინათლებიან მხოლოდ მორწმუნენი, ე.ი. მოწიფულ ასაკში, როდესაც ადამიანს ჩამოუყალიბდება ნაბიჯის დამოუკიდებლად გადადგმის უნარი.

ბაპტისტები ცნობენ ეკლესიის მადლმოსილებას და ფუნქციას პიროვნებისა წინსვლისა და წარმატების გზაზე, მაგრამ, სხვა პროტესტანტული ეკლესიების მსგავსად, ღმერთსა და ადამიანს შორის ერთადერთ შუამავლად იესო ქრისტეს, ღვთის განკაცებულ ძეს, აღიარებენ.

შეიძლება ითქვას, რომ ბაპტისტთა ეკლესიას მკაცრი თეოლოგიური რეგლამენტი არ აქვს. ისინი ეთანხმებიან ნიკეა-კონსტანტინოპოლის მრწამსს ანუ, რაც იგივეა, პატრის-

ტიკა-პატროლოგიის ძირითად დებულებებს, მათ შორის – ნათლისღების ერთგზისობის ფორმულასაც, ე.ი. ერთგზის ნათლისღებას. ამის გამო ბაპტისტები, ანაბაპტისტებისაგან განსხვავებით, სავალდებულოს არ ხდიან ისეთი პიროვნების ხელმეორედ მონათვლას, რომელიც სხვა ეკლესიაში, თუნდაც სიყრმის ასაკში, ყოვლადწმიდა სამების სახელით მონათლულა და თვლის, რომ მონათლულია და გაცნობიერებულიც აქვს ნათლისღების შინაარსი. თუკი კონრეტულ პიროვნებას, ადრე უკვე მონათლულს, მაინც სურს, რომ ნათლისღების წესი შეასრულოს, ამ წესს, მარტივი ლოგიკის თანახმად, არა საიდუმლოს (ნათლისღების საიდუმლოს ერთგზისობიდან გამომდინარე), არამედ მხოლოდ დეკლარაციის მნიშვნელობა ექნება.

ბაპტისტური ეკლესია რწმენის ერთადერთ წყაროდ აცხადებს იესო ქრისტეს მოძღვრებას, როგორც იგი საღვთო წერილშია გადმოცემული.

ბაპტიზმის აკვანი დიდი ბრიტანეთი და ნიდერლანდიაა, განსაკუთრებით – ამსტერდამი. პირველი თემის დამაარსებლად ანგლიკან მღვდელს **ჯონ სმიტს** ასახელებენ. იგი ყურადღებას ეკლესიის სახელმწიფოსაგან გამოყოფაზე და მორწმუნეთა თითოეული ადგილობრივი ეკლესიის დამოუკიდებლობაზე (თვითმყოფადობაზე) ამახვილებდა. მქადაგებელს ანგლიკანური ეკლესია იმთავითვე დაუპირისპირდა და დევნა დაუწყო, რის გამოც მან 1609 წელს ამსტერდამს შეაფარა თავი. ჯ. სმიტმა იქ, **თომას ჰელვისთან** ერთად, 1611-1612 წწ-ში ანგლიკანებისა და მენონიტების დიდი ჯგუფი მონათლა. ასე ჩაეყარა საფუძველი ბაპტისტურ ეკლესიას. ბაპტისტთა მეორე თემი **ჰენრი იაკობის** ხელმძღვანელობით ინგლისში ჩამოყალიბდა. მალე მათ სხვა თემებიც მიემატა. თავიდან ისინი სხვა სახელწოდებით იყვნენ ცნობილი: **პურიტანები** (ლათ. *პურუს* „სუფთა“), ***დისიდენტები*** (მოწინააღმდეგეები), **ინდეპენდენტები** (ინგ. „დამოუკიდებლები“, „თვითმყოფადები“).

იმავე საუკუნის შუა წლებში ბაპტისტებს შორის თეოლოგიურ საფუძველზე განხეთქილება მოხდა. ერთმანეთს ორი ლიდერი – თომას ჰელვისი და ჰენრი იაკობი – დაუპირისპირდა. ჰელვისი კალვინის გავლენას განიცდიდა და ამტკიცებდა, რომ ადამიანების სამომავლო ყოფა ღმერთმა წინასწარ განსაზღვრა; კაცთა სიმრავლიდან მან რჩეულები გამოყო. ჰენრი იაკობის თანახმად, ღმერთი იხსნის ყველას, ვინც სიკეთის გზაზე დგას. ამ საკითხზე კამათმა მწვავე ხასიათი მიიღო. საბოლოოდ, საყოველთაო ხსნის იდეამ გაიმარჯვა და ბაპტისტთა მოძრაობა მსოფლიოს დიდ ნაწილში გავრცელდა როგორც საყოველთაო ხსნისა და გადარჩენის აღმსარებლობა.

რუსეთის ყოფილ იმპერიაში ბაპტისტურ ეკლესიას, ბალტიისპირეთის შემდეგ, პირველად საქართველოში, თბილისში, 1867 წლის 20 აგვისტოს დაედო სათავე. ამ დროს ერთმანეთს შეხვდნენ გერმანელი ბაპტისტი **მარტინ კოლვეიტი** და თბილისის მალაკანთა თემის წინამძღვარი **ნ.ი.ვორონინი**, რომელმაც წყლით ნათლობის აუცილებლობა აღიარა, მონათლა და ძველი თანამორწმუნეების დიდი ნაწილი გაიყოლია. ამდენად, თბილისის ბაპტისტთა ეკლესია რუსეთიდან გადმოსახლებული მალაკნების ბაზაზე შეიქმნა. ამ თემში მოგვიანებით ქართველებიც გაერთიანდნენ, მაგრამ მათი რიცხვი იმდენად მცირე იყო, რომ ქადაგება მხოლოდ რუსულ ენაზე მიმდინარეობდა. 1919 წელს ვითარება შეიცვალა და ქართულენოვანი ეკლესიის დაარსება შესაძლებელი გახდა. ეს მისია სამხედრო სამსახურიდან ახლადდაბრუნებულმა **ილია კანდელაკმა** იკისრა. იგი ბოლშევიკებმა 1927 წელს მოკლეს, როდესაც ქადაგებიდან შინ ბრუნდებოდა.

1944 წელს თბილისის ბაპტისტთა თემს „სახარებისეული ქრისტიანები“ შეუერთდნენ. დღეისათვის ეს ორი მიმართულება (ბაპტისტები და ევანგელისტები, რადგან მათ შორის არსობრივი სხვაობა არაა) გაერთიანებულია და ეწოდება **საქართველოს ევანგელურ-ბაპტისტური ეკლესია.**

საქართველოს ევანგელურ-ბაპტისტურ ეკლესიას სწამს, რომ სოციალური საქმიანობა, სახარების გავრცელებასთან ერთად, ეკლესიური ცხოვრების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს. ამიტომ ისინი სოციალური პროგრამების განხორციელებას საგანგებო ყურადღებას უთმობენ: ეხმარებიან უპოვართ, იძულებით გადაადგილებულებს, ობოლ და ინვალიდ ბავშვებს, მიუსაფარ მოხუცებს. უკვე სამი წელია, რაც საქართველოში წმინდა ნინოს ორდენი ფუნქციონირებს, რომელშიც გაერთიანებული არიან დიაკონისები (მსახური დები). ისინი საქართველოს სხვადასხვა კუთხეში საქმიანობენ და შეჭირვებულ ადამიანებს ეხმარებიან ეთნიური წარმომავლობისა და რელიგიური კუთვნილების განუსხვავებლად.

ბაპტისტები არ არიან საზოგადოებისაგან მოწყვეტილნი. ისინი აქტიურ მონაწილეობას იღებენ ადამიანის უფლებათა თუ გარესამყაროს დაცვაში. მათი ეკლესიები გვხვდება მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში. ევროპისა და ამერიკის კონტინენტზე ბაპტისტთა მსოფლიო ალიანსი ერთ-ერთი უპირველესი ეკლესიაა რომის კათოლიკური ეკლესიის შემდეგ. ისინი მნიშვნელოვან როლს თამაშობენ დასავლეთის კულტურულ და პოლიტიკურ ცხოვრებაში. აშშ-ის ამჟამინდელი და წინა პრეზიდენტები, აგრეთვე ბევრი სხვა გავლენიანი მოღვაწე ბაპტისტური ეკლესიების წევრები არიან.

საქართველოს ევანგელურ-ბაპტისტურ ეკლესიას მჭიდრო ურთიერთობა აქვს ევროპის და, საერთოდ, მსოფლიოს მრავალი ქვეყნის ერთმორწმუნეებთან. იგი სხვადასხვა საქველმოქმედო და კულტურულ საქმიანობაში მონაწილეობს, ჩართულია საზოგადოებრივ-ეროვნულ პროცესებში. ეს არცაა გასაკვირი: ბაპტისტები თვლიან, რომ წარმოადგენენ ნაწილს სრული, მსოფლიო ქრისტიანული ეკლესიისა და აღიარებენ მამის, ძისა და სულიწმიდის სარწმუნოებას.

საქართველოს ევანგელურ-ბაპტისტური ეკლესია მკაფიოდ გამოხატული ეკუმენური ორიენტაციის ეკლესიაა. იგი საქართველოდან ევროპის ეკლესიათა კონფერენციის ერთადერთი წევრია; თანამშრომლობს კათოლიკურ, ანგლიკანურ, ლუთერულ და რეფორმატორულ ეკლესიებთან. საქართველოში ევანგელურ-ბაპტისტური ეკლესია ერთ-ერთი ინიციატორი იყო **ქრისტიანული ეკლესიების სამუშაო ჯგუფისა**, რომელშიც გაერთიანებულია ოთხი ქრისტიანული ეკლესია: ევანგელურ-ლუთერული ეკლესია საქართველოში, საქართველოს ევანგელურ-ბაპტისტური ეკლესია, სომხური სამოციქულო ეკლესია საქართველოში და რომის კათოლიკური ეკლესია საქართველოში.

ამჟამად **საქართველოს ევანგელურ-ბაპტისტური ეკლესიის (სებე-ის)** მონათლულ წევრთა რიცხვი 5000-ს უდრის, თანამდგომთა და თანამგრძნობთა ჩათვლით, — 17000-ს. ისინი საქართველოს ყველა რეგიონში ცხოვრობენ. მათ შორის აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთშიც, რომლებთან კავშირი ცენტრს დღესაც შენარჩუნებული აქვს. **სებე**-ის მმართველობის უმაღლესი ორგანოა ყრილობა, რომელიც ოთხ წელიწადში ერთხელ იმართება. იგი ფარული კენჭისყრით ირჩევს ეპისკოპოს-პრეზიდენტს, რომელიც ეკლესიას მართავს და ყრილობის წინაშე ანგარიშვალდებულია. ეპისკოპოს-პრეზიდენტი გენერალურ მდივანს ნიშნავს. ამჟამად ეპისკოპოს-პრეზიდენტია ისტორიკოსი, მთარგმნელი და მკვლევარი —

მალხაზ სონღულაშვილი, გენერალური მდივანი — **მერაბ გაფრინდაშვილი**.

რეგიონალური პრინციპით სებე ოთხადაა გაყოფილი. თითოეულ რეგიონს მთავარხუცესი ჰყავს. ცალკეულ ეკლესიებს ხუცესები, დიაკვნები და მქადაგებლები ხელმძღვანელობენ. სებე-ის ეკლესიები მართვა-გამგებლობის საკითხებში ავტონომიურნი არიან. ამიტომ სხვადასხვა ეკლესიაში სხვადასხვა წესისა და სტილის მსახურებას შეხვდებით.

კომუნისტური რეჟიმის დროს ბაპტისტ-ევანგელისტების ნაწილმა უარი თქვა რეგისტრაციასა და სახელმწიფოსთან ნებისმიერი ფორმით თანამშრომლობაზე. ისინი დაუპირისპირდნენ თანამორწმუნეებს, რომლებიც ამ თვალსაზრისით შედარებით ლოიალობას იჩენდნენ. მათ ცალკე ეკლესიები ჩამოაყალიბეს, რომლებსაც შესაძლებელია, პირობითად, **რადიკალები ან ფუნდამენტალისტ-ბაპტისტური ეკლესიები** ვუწოდოთ. ბოლო დროს მათ რიგებს იდეურად ის ევანგელისტ-ბაპტისტებიც შეუერთდნენ, რომლებიც ეწინააღმდეგებიან ეპისკოპოს მალხაზ სონღულაშვილის კურსს ქვეყნის ტრადიციებთან და კულტურულ ღირებულებებთან დაახლოების შესახებ. არაოფიციალური მონაცემების თანახმად, კონსერვატორ, ე.ი. რეფორმათა მოწინააღმდეგე ბაპტისტ-ევანგელისტთა რიცხვი 1000-მდე აღწევს. ისინი, ძირითადად, ბათუმსა და თბილისში ცხოვრობენ.

ასე რომ, საქართველოში მონათლული ბაპტისტების საერთო რიცხვი, როგორც ლიბერალური, ისე რადიკალური ფრთისა, 6000-მდე აღწევს.

ევანგელისტ-ორმოცდაათიანელები

ორმოცდაათიანელი ანუ, ბერძნულად, პენტეკოსტელი არის იმ ქრისტიანთა საერთო სახელწოდება, რომელთა თავისებურებას ქარიზმატული განწყობილება ანუ რელიგიური ანთებულობა (სიშმაგე, ტრანსი) და „უცხო ენებზე ლაპარაკის უნარი“ (გლოსალალია) წარმოადგენს. ისინი დღეს თავიანთ თავს ევანგელისტებად, ანდა *სახარებისეულად მორწმუნე ქრისტიანებად* მოიხსენიებენ.

ამ მიმდინარეობის წარმოშობის ოფიციალურ თარიღად 1906 წელი ითვლება, როდესაც ქ. ლოსანჟელესში პირველად შედგა „სულით ნათლობა“ „უცხო ენებზე ლაპარაკითურთ“. თუმცა „უცხო ენებზე ლაპარაკის“ რიტუალი ამერიკელ ულტრაპროტესტანტებს ადრეც ჩაუტარებიათ. ამიტომ ზოგიერთი მკვლევარი ორმოცდაათიანელთა ისტორიას 1892 წლიდან იწყებს, ზოგიერთი – 1901 წლიდან.

ლოსანჟელესის პირველი თემი რუსი დუხობორების, მალაკნების, ადგილობრივი ბაპტისტებისა და მეთოდისტების ბაზაზე ჩამოყალიბდა. იმ დროს პენსილვანიის შტატის უკაცრიელი სანახების ათვისება მიმდინარეობდა და ახალი მოძღვრების დამაარსებლებმა ქადაგება დაიწყეს: პენსილვანიის შტატი წმიდა მიწაა, მორწმუნეთა იქ ჩასახლება კი ღვთის ნება და უზენაესი მადლია! მიზანსაც მიაღწიეს: აღნიშნული მხარე ახალი მოძღვრებით და რიტუალით მოხიბლულმა ხალხმა გაავსო. ორმოცდაათიანელთა თემები მალე ამერიკის სხვა რეგიონშიც წარმოიშვა და მის საზღვრებს მიღმაც.

ორმოცდაათიანელობის სპეციფიკური ნიშანი არეკლილია სახელწოდებაში – *ორმოცდაათი* ანუ, ბერძნულად, *პენტეკოსტე*. აქ იგულისხმება აღდგომიდან ორმოცდამეათე დღის

სასწაული – მოციქულებზე წმიდა სულის გადმოსვლა და მათი შემოსვა უცხო ენებზე მეტყველების უნარით (საქ. მოც. 2:1-8).

ამ მიმდინარეობის წარმომადგენლებს სწამთ თავიანთი მოციქულებრივი პატივი და სჯერათ, რომ ანალოგიური მადლი მათაც ებოძებათ.

ევანგელისტ-ორმოცდაათიანელები ყურადღებას იმ ფაქტზე ამახვილებენ, რომ „ენებზე ლაპარაკის“ ნიჭი, მოციქულების მსგავსად, პირველ ქრისტიანებს, კერძოდ, წარმართობიდან ახლადმოქცეულებსაც ჰქონდათ (საქ. 10:14). ისინი თვლიან, რომ უცხო ენებზე ლაპარაკი, მოციქულებისა და პირველქრისტიანების მსგავსად, ყველა მორწმუნეს შეუძლია. საჭიროა მხოლოდ თავდავიწყებული ლოცვა და ექსტაზი, მუხლდადრეკა და ხელაპყრობა, ყოველივე ამქვეყნიურის დავიწყება და გონების ზეცად ამაღლება. მათი ლოცვა მკვეთრად პათეტიკურია. მსახურება სიმღერის, მუსიკის და ცეკვის ფონზე მიმდინარეობს; გამოიყენება სხვადასხვა ინსტრუმენტი. ხშირად იხსენებენ დავით წინასწარმეტყველის სიტყვებს: „აქებდით ღმერთსა წმიდათა შორის მისთა.. აქებდით მას ხმითა ნესტვისაითა, აქებდით მას ფსალმუნითა და ებნითა; აქებდით მას ბობღნითა და მწყობრითა, აქებდით მას ძნობითა და ორღანოითა; აქებდით მას წინწილითა კეთილ-ხმითა, აქებდით მას წინწილითა ღაღადებისაითა...“ (ფს. 150). მლოცველებს ამ დროს თითქოს ეცხადება სულიწმიდა, რომელიც მათ უცხო ენებზე ამეტყველებს, რაც გამოიხატება უცნაური სიტყვების წარმოთქმით. აი, რამდენიმე ნიმუში: „ონარი“, „კონტარი“, „ფამანა“, „ტალა“, „ლატა“, „ტალალა“, „სილმინი“, „ტრამბაბა“, „დირი“, „ტილი“ და ა.შ. ამტკიცებენ, რომ მათ, და მხოლოდ მათ, ძალუძთ წარმონათქვამთა ჭეშმარიტი აზრის გამოცნობა. ეს აზრი კი წინასწარმეტყველურია და უმთავრესად ესქატოლოგიურ შინაარსს შეიცავს.

ორმოცდაათიანელთა პრაქტიკაში თვალსაჩინო ადგილი უჭირავს ნათლობას. პრინციპის თანახმად, ეს რიტუალი უნდა ჩატარდეს მდინარეში, ტბაში ან ზღვაში, თანაც ცივ ამინდში, რითაც ისინი ხაზს უსვამენ ამ ტრადიციის სახარებისეულ საფუძველს (ქრისტეც ზამთარში და მდინარეში მოინათლა).

ექსტაზში შესვლა და „ენებზე ლაპარაკი“ ორმოცდაათიანელთა საერთო ნიშანია და მას ყველა ორმოცდაათიანელი ასრულებს, მაგრამ ამ რიტუალის გზნებადობის მიხედვით და საზოგადოებასთან ურთიერთობის თვალსაზრისით ისინი ორ ბანაკად იყოფიან. ერთ მხარეზე **ლიბერალები** დგანან, რომელთაც სახელმწიფოსთან ლოიალური დამოკიდებულება აქვთ, ქვეყნის კულტურულ-პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობაზე უარს არ ამბობენ და არც ზღვარგადასულ ექსტაზს მიმართავენ. მეორე მხარეზე არიან **რადიკალები**, რომლებიც „ენებზე მეტყველების“ გამძაფრებული რიტუალით გამოირჩევიან. მათ სჯერათ, რომ ქარიზმა მათ, და მხოლოდ მათ, აქვთ მონიჭებული და ის, რაც სხვას სიგიჟე და ნევროსთენია ჰგონია, სინამდვილეში ქარიზმა და, მაშასადამე გამორჩეულობის ნიშანია. *ქარიზმატული ღვთისმსახურ*ება ფსიქიკასა და, საერთოდ, ჯანმრთელობაზე უარყოფით ზეგავლენას ახდენს.

ევანგელისტ-ორმოცდაათიანელთა მოძღვრება და პრაქტიკა რუსეთში, გერმანელთა დასახლებებში, რევოლუციამდე გავრცელდა. რუსულენოვანი საკრებულოები კი პირვე-

ლად 1922 წელს ქ. ოდესაში ჩამოყალიბდა. დამაარსებლად ითვლება **ი. ე. ვორონაევი.** იგი მალაკნის ოჯახში დაიბადა, მაგრამ ბაპტისტად მოინათლა და ამერიკაში გადასახლდა, სადაც ორმოცდაათიანელი გახდა. მან საბჭოთა კავშირში ფართო მისიონერული ქსელი გააბა და ბევრგან წარმატებას მიაღწია.

ეს დენომინაცია საქართველოში შედარებით გვიან გამოჩნდა. პირველი ჯგუფი თბილისში დაახლოებით 1939 წელს ჩამოყალიბდა. იგი რუსი ეროვნების მოქალაქეებით იყო დაკომპლექტებული. ქართულენოვანი რიტუალი პირველად 1945 წელს გორში შედგა, რომელიც ერთ იქაურ კაცს, რუსეთიდან დაბრუნებულს, ჩაუტარებია. გორელი ორმოცდაათიანელები მალე თბილისის რუსულენოვან თანამორწმუნეებს დაუკავშირდნენ და მათთან ორგანიზაციულადაც გაერთიანდნენ. ეს ფაქტი იმდროინდელ სპეცსამსახურებს არ გამოპარვიათ და მქადაგებელთა წინააღმდეგ სერიოზულ ზომებს მიმართეს.

საქართველოში ამჟამად 5000 მონათლული ორმოცდაათიანელი ცხოვრობს, მოარულთანამდგომებითურთ – 10 000-მდე. მათი თემები, თბილისისა და ქუთაისის გარდა, ბევრ სხვა რაიონშიც გვხვდება. ცენტრალური ეკლესიები არის თბილისში. ძირითადია სამი ეკლესია. დანარჩენი ეკლესიები ან ერთის, ან მეორის, ან მესამის იურისდიქციაში შედიან. ყველაზე მრავალრიცხოვანი და, ასე თუ ისე, ოფიციალური ის ეკლესიაა, რომელსაც **ოლეგ ხუბაშვილი** ხელმძღვანელობს.

„ხსნის არმია“

ეს მოძრაობა ინგლისელი მეთოდისტების წრეში წარმოიშვა. დამაარსებელია მეთოდისტი მქადაგებელი **უილიამ ბუთი**, რომელიც დაუპირისპირდა თავისი ეკლესიის წესებს – დაფუძნებულს ანგლიკანურ ტრადიციებზე, მაგრამ სამაგიეროდ ახალი და მკაცრად უნიფიცირებული წესები შემოიღო.

უ.ბუთიმ 1861 წელს ინგლისში ჩამოაყალიბა ორგანიზაცია – „მოძრაობა საზოგადოების აღორძინებისათვის“, რომელსაც შემდეგ „ქრისტიანული მისია“ ეწოდა, 1878 წლიდან – „ხსნის არმია“. ამ სახელწოდების ეკლესიები მალე ამერიკის, ევროპისა და აზიის მრავალ ქვეყანაში გაფორმდა. შეიქმნა საერთაშორისო ორგანიზაცია, რომლის ცენტრი ვაშინგტონია.

უ.ბუთის სისტემა დაფუძნებულია სამხედრო დისციპლინასა და სტრუქტურაზე, კერძოდ, სუბორდინაცია-იერარქიაზე. ეკლესიებს ჯარისკაცები ემსახურებიან, რომელთა უფროსები ოფიცრები არიან, ოფიცერთა უფროსები – პოლკოვნიკები, პოლკოვნიკთა უფროსები – გენერლები. საერთაშორისო ალიანსს (ერთიან ეკლესიას) სათავეში მთავარსარდალი უდგას. ეკლესიის წევრები სამხედრო ფორმებით არიან შემოსილი, – მუნდირებით და ეპოლეტებით წოდებათა მიხედვით, თუმცა მათ ხელში იარაღს, ვერც ცივს და ვერც თბილს, ვერ ნახავთ. ამის მიუხედავად, აღნიშნული დენომინაცია (ეკლესია) დივიზიებისაგან, კორპუსებისა და ფორპოსტებისაგან შედგება. ერთმანეთს სამხედრო სალამს აძლევენ და ფიცსაც სამხედრო წესების შესაბამისად დებენ. აქვთ სასწავლებლები, რომელთაც კადეტთა სკოლა ჰქვია.

უ.ბუთისეული დენომინაციის თეოლოგია იგივე პროტესტანტული, ულტრაპროტესტანტული, თეოლოგიაა. ეკლესიოლოგია კი, დანარჩენი პროტესტანტული ეკლესიებისაგან განსხვავებით, საეკლესიო ტრადიციის სრულ იგნორირებაში მდგომარეობს. უარყოფილია არა მარტო საეკლესიო საიდუმლოებები, არამედ ნათლისღების რიტუალის შესრულების საჭიროებაც კი. არმიელების მტკიცებით, მთავარი ის ნათლისღებაა, რომელიც პიროვნების გულსა და გონებაში აღესრულება, რიტუალი ფუჭია და ამაო. ამის გამო ყურადღება პიროვნების ზნეობასა და წესიერებაზეა გადატანილი.

ღვთისმსახურება მარტივია. კრებები ტარდება როგორც დარბაზებში, ისე გარეთ, ხალხმრავალ ადგილებში. მიღებული ნორმაა მსვლელობები სასულე ორკესტრის თანხლებით. ხშირად წარმოითქმის საჯარო აღსარებები და მონანიებები. სიმღერები და ცეკვები უმეტესად მოდერნის სტილში სრულდება.

„არმიის“ მთავარ მიზანს ჰუმანიტარული მისია წარმოადგენს. ხსნიან უსახლკაროთა თავშესაფრებს, უფასო საავადმყოფოებსა და სასადილოებს; ეხმარებიან ლტოლვილებს, პენსიონერებს, ფიზიკურად და სულიერად შეჭირვებულებს ეროვნებისა და სარწმუნოების განუსხვავებლად. აქედან წარმოდგება სახელწოდება – ხსნის არმია.

„ხსნის არმიის“ ორგანიზაციები (ეკლესიები) დღეისათვის ასზე მეტ ქვეყანაში მოქმედებს. მისი ჯარისკაცები საქართველოში, თბილისში, პირველად 1993 წელს გამოჩნდნენ და, ქვეყნის ხელისუფლებასთან შეთანხმებით, ჰუმანიტარული საქმიანობის ფართო ქსელი გააბეს. მათ ორგანიზაციები თბილისის გარდა, ქუთაისში, გორში, რუსთავსა და ბათუმშიც აქვთ. „არმიელების“ ჰუმანიტარულმა დახმარებამ 1995-1996 წლებში საქართველოში შემოსული ყველა ჰუმანიტარული დახმარების 42% შეადგინა. ყველაზე კრიზისულ წლებში (1993-1994) მათ საქართველოში 13 800 ტონა პროდუქტი შემოიტანეს და 300 000 სულზე გაანაწილეს. 2000 წელს „არმიელთა“ უფასო სასადილოებში (თბილისი, გორი, გარდაბანი, რუსთავი, მარტყოფი, დედოფლისწყარო, ქუთაისი, ბათუმი, ქობულეთი) 7500 უპოვარი (ბენეფიციარი) იკვებებოდა.

„ხსნის არმიელთა“ საღვთისმსახურო შეკრებებში საქართველოს მასშტაბით დაახლოებით 800 კაცი მონაწილეობს.

„ახალსამოციქულო ეკლესია“

დაარსების თარიღი 1832 წელია. ამ დროს ინგლისში – ოლბანსა და ლონდონში – თანამორწმუნეთა რამდენიმე ჯგუფი შეიკრიბა და მოციქულები აირჩიეს. ასე შეიქმნა ახალი დენომინაცია, რომელიც, მისი მესვეურების რწმენით, სინამდვილეში სხვა არა არის რა, თუ არა **პირველმოციქულთა მოძღვრებისა და პრაქტიკის განახლება და აღდგენა.** მაშასადამე, „ახალსამოციქულო ეკლესიას“ სამოციქულო ტრადიციის ყველაზე სრულყოფილად ფლობის პრეტენზია აქვს.

„ახალმა მოციქულებმა“ XIX ს-ის შუა წლებში ეკლესიები გერმანიასა და ევროპის სხვა ქვეყნებშიც ჩამოაყალიბეს. მათი ასპარეზი მალე მსოფლიო მასშტაბით განივრცო და ეს ეკლესია დღეს რვა მილიონამდე წევრს ითვლის. იგი დაყოფილია სამოციქულოებად, სამო-

ციქულოები – ოლქებად, ოლქები – თემებად ანუ სამრევლოებად. მსოფლიო ახალსამოციქულო ეკლესიას სათავეში მთავარმოციქული უდგას. მას მოციქულები ექვემდებარებიან, მოციქულებს – ეპისკოპოსები, ეპისკოპოსებს – მღვდლები, დიაკვნები, მნათეები, ევანგელისტები და მქადაგებლები. ეკლესიებთან საკვირაო სკოლები მოქმედებს.

ახალსამოციქულო ეკლესიის არსებითი ნიშანი მძაფრი ესქატოლოგიური მოლოდინია. აქ, დანარჩენი პროტესტანტული მიმდინარეობებისაგან განსხვავებით, შენარჩუნებულია სამი საიდუმლო – ნათლისღება, კონფირმაცია (სულიწმიდის აღბეჭდვა ანუ იგივე მირონცხება) და ზიარება. ახალმოციქულები ნათლავენ ბავშვებს და მიცვალებულთათვისაც ლოცულობენ, ე. ი. პანაშვიდებს იხდიან.

ახალმოციქულთა პირველი თემი საქართველოში, თბილისში, 1994 წელს დაარსდა მოციქულ **ბერნდ კლიპერტის** მისიონერული მოღვაწეობის შედეგად. ბ.კლიპერტი ეროვნებით გერმანელია. ამიტომ „ქართველ ახალმოციქულთა“ დიდი ნაწილი ქართველი გერმანელები არიან. თბილისში ორი ეკლესია არსებობს (ავლაბარსა და საბურთალოზე). ანალოგიური ეკლესიებია ბათუმში, ქუთაისში, ახმეტასა და ზოგ სხვა რაიონში.

ახალსამოციქულო ეკლესია საქართველოში 700-მდე წევრს აერთიანებს.

მარგინალური ეკლესიები

მარგინალია ლათინური სიტყვაა (*მარგინის* – კიდე) და **ზღვარგადასულობას, განაპირებას** ნიშნავს. „მარგინალური მდგომარეობა", „მარგინალური საქციელი“ იურისპრუდენციაში პიროვნების კონტროლგარე მდგომარეობას, კონტროლგარე საქციელს, ე. ი. ცნობიერების დაკარგვას და მის მიღმა მყოფობას გულისხმობს. რელიგიათმცოდნეობასა და სოციოლოგიაში **მარგინალურ ქრისტიანობას ზღვარგადასულ პროტესტანტობას** ეძახიან. მასში ის რელიგიური ორგანიზაციები მოიაზრება, რომელთა არსებითი ნიშანი მოცემული ქვეყნის კულტურულ წარსულთან, აწმყოსთან და, ზოგადად, კულტურულ ღირებულობებთან კონფლიქტია. მაშასადამე, მათ იზოლაცია, მსოფლიო ანუ ეკუმენური მოძრაობებისათვის ზურგის შექცევა, ცხოვრების უცნაური სტილი და ზოგადქრისტიანული მსოფლმხედველობისაგან მკვეთრად გამიჯნული თეორიები ახასიათებთ. ეს პირველ რიგში ბიბლიისა და სამების დოგმატის გააზრებაზე ითქმის. იგულისხმება როგორც ბიბლიის ტექსტის უარყოფა (მაგ. დუხობორები), მისი მხოლოდ სიმბოლური გააზრება (მალაკნები) და მის გვერდით ავტორიტეტად სხვა წერილობითი წყაროს დასახელება (მაგ. „მორმონთა წიგნი“), ისე სამების ერთარსებობის უგულვებელყოფა („იეჰოვას მოწმეები“), ძველი და ახალი აღთქმის გაუმიჯნაობა (მე-7 დღის ადვენტისტები, რომლებიც შაბათს ჰურიაებრ ინახავენ) და ქრისტეს გვერდით სხვა მხსნელის, სხვა ქრისტეს აღიარება, ე. ი. პიროვნების გაკულტება და გაფეტიშება (ხლისტები და თანამედროვე ტოტალიტარული სექტები).

ეკლესიასა და სექტას შორის მთავარი განსხვავება ღიაობის ხარისხსა და პიროვნებასთან მიმართებაში მდგომარეობს. ეკლესია საყოველთაო და გახსნილი სამყაროა. მისი წევრები სულიერი ზრდისა და განვითარების კიბეს ნებაყოფლობით და ნაბიჯ-ნაბიჯ გადიან.

სექტა ჩაკეტილი სივრცეა, რომლის წევრები ახალი წევრების მოსაზიდად ფაციფუცობენ. მიიღებენ მას, ვინც ფილტრაციის აპარატში გაივლის. არ შეიძლება, ვთქვათ, ღვინის დალევა, თამბაქოს მოწევა და სხ. ვინც ამ პირობას დაარღვევს, მან სექტა უნდა დატოვოს. ღვინოსა და თამბაქოზე უარის თქმა ეკლესიის მოთხოვნა და იდეალიცაა, მაგრამ ვინც ამ მოთხოვნას ვერ ასრულებს, ეკლესიიდან არ აგდებენ.

სექტანტობის უკიდურესი ფორმაა კულტი ანუ ტოტალიტარული სექტა. ასე იმ სექტებს ეძახიან, სადაც ავტორიტარიზმი ბატონობს და მორწმუნეები წინამძღვრებს მონისებრ ემორჩილებიან.

დაისმის კითხვა: არსებობენ თუ არა საქართველოში ტოტალიტარული სექტები?

ჩვენს მასმედიაში არაერთგზის გაიჟღერა ცნობამ, რომ საქართველოში, კერძოდ, თბილისში არსებობენ და მოქმედებენ ისეთი ტოტალიტარული სექტები, როგორებიცაა „მუნიტები“ და „საიენტოლოგები“. გაზეთ “ალიას“ თუ დავუჯერებთ (2000, 28-29.X, №170), საქართველოს განათლების სამინისტრო უკვე „სექტანტების კლანჭებში მოექცა”, რადგან იქ თურმე მუნიტების ამერიკულ ორგანიზაციას საქველმოქმედო ფონდი დაუარსებია. გაზ. „რეზონანსის“ ცნობით, საპატრიარქო შიშობს: „მუნიტებმა, შესაძლებელია, მთავრობაშიც შეაღწიონ“ (2000, 26.I, №21). ისინი, გვაუწყებს „ახალი საქართველო“ (2000 24.II-2.III, №4; ლ.ჯაშის კორესპონდენცია), თბილისში მოწამლულ ტკბილეულს და მამაკაცის სპერმით შეზავებულ ცომს ავრცელებენ. მსგავსი სენსაციები ჩვენს პრესაში იშვიათობა არაა. მათი ავტორები ჟურნალისტები არიან. მათ მიერ გავრცელებული ხმების საფუძვლიანობა კომპენტენტურ სამსახურებს დღემდე არც დაუდასტურებიათ და არც უარუყვიათ, ე.ი. არ გაურკვევიათ – რეალურ დივერსიასთან გვაქვს საქმე თუ ჟურნალისტურ პროვოკაციასთან, რაც სამწუხაროა. ასეა თუ ისე, ფაქტია, რომ არც მუნიტების, არც საიენტოლოგების და არც რაჯნიშების (ოშოს კულტის, ინდურ-ამერიკული მიმდინარეობის) საქართველოში მყოფობა მოსახლეობისათვის შესამჩნევი არაა.

დუხობორები და მალაკნები

დუხობორები და *მალაკნები* ერთმანეთის განაყოფნი არიან. ასპარეზზე ჯერ დუხობორები გამოვიდნენ. ეს XVIII ს-ის 60-იან წლებში მოხდა ვორონეჟის გუბერნიაში. გლეხები საერო ხელისუფლებითა და ოფიციალური ეკლესიის მღვდელმსახურთა საქმიანობით უკმაყოფილონი იყვნენ. ამით კი ერესიარქებმა, ვინმე **სილუენ კოლესნიკოვმა**, მატყლით მოვაჭრე **ილარიონ პობიხორინმა** და გადამდგარმა უნტეროფიცერმა **კაპუსტინმა** ისარგებლეს და თავიანთი მოძღვრების ენერგიულად ქადაგება დაიწყეს. მალე მათ მიმდევართა დიდი გუნდი გაიჩინეს, რომლებმაც თავიანთ თავს „დუხობორები“ ანუ „სულისათვის მებრძოლნი“, „სულით მებრძოლნი“ უწოდეს. ამით გამოხატეს რწმენა, რომ ისინი წმიდა სულის მატარებელნი არიან და ამავე სულით ებრძვიან სატანას.

დუხობორებმა უარყვეს ბიბლიის ტექსტი და მის ნაცვლად შემოიღეს „ცხოვრების წიგნი“. ეს „წიგნი“ არსებობდა ზეპირად და გადაეცემოდა თაობიდან თაობას, რომელიც გვიან მეცნიერებმა ჩაიწერეს და მკვლევრებისთვის ხელმისაწვდომი გახდა. „ცხოვრების წიგნში“

თავმოყრილია თქმულებები და ისტორიული ცნობები ამ მიმდინარეობის შექმნისა და მისი შემდგომი ბედის შესახებ. იქ გარკვევითაა ნათქვამი, რომ დუხობორები არ სცნობენ მართლმადიდებელ ეკლესიას, მის რიტუალებს, სასულიერო იერარქიას, საეკლესიო საიდუმლოებებს, დოგმატებს, ჯვარ-ხატებს, ტაძრებს. აღიარებენ ქრისტეს, მაგრამ არა ღმერთად, არამედ ადამიანად, რომელშიც ყველაზე მეტად გამოვლინდა ღვთაებრივი სული და გონი; იგი ჩვეულებრივ ადამიანად დაიბადა, რომელშიც ღვთის სული და გონი შემდეგ ჩასახლდა (ეს თეორია პავლე სამოსატელისა და ნესტორის თეორიას ჰგავს. იხ. ზემ. გვ. 107-111). მათი რწმენით, ღმერთი გამორჩეულ პიროვნებებში დღესაც „სახლდება“. ასეთ პიროვნებებს ღვთის დარი პატივი უნდა მივაგოთ.

„ცხოვრების წიგნი“ შეიცავს ზეპირ უწყებებს, შელოცვებს, კითხვა-პასუხებს, საგალობლებს, რომელთა ბოლო მუხლი ასეთია: „ნაწერი მკვდარია, სიტყვა კი ცოცხალი“. მათთვის ღმერთი სიყვარული, სიბრძნე და სიკეთეა. აღმერთებენ თავიანთ ბელადებს; აქვთ მარტივი ღვთისმსახურება. სწამთ სულის უკვდავება და ზიარებას იღებენ სულიერად, სიტყვიერად. მათი ერთ-ერთი დოგმა ასეთია: კაენის შთამომავლობამ შექმნა ეკლესია, სადაც ყველაფრისათვის ფულს მოითხოვენ, სადაც ყველაფერი იყიდება, ყველაფერი მახინჯდება. აბელის მემკვიდრენი დუხობორები არიან. მათ სჩაგრავენ კაენის შვილები ანუ მართლმადიდებლები. ამ ჩაგვრასა და ტანჯვას აბელის შთამომავლობა უძლებს, რადგან სწამს, რომ წმიდა სულის დახმარებით საბოლოოდ დაამარცხებს კაენის მემკვიდრეებს.

ასეთი თეორიისა და რწმენის საფუძველზე აღმოცენებულ თემს „ქრისტეს სხეული“ და, მეორენაირად, “სულიერი ქრისტიანები“ ეწოდა. პობიროხინმა თავი მესიად გამოაცხადა, აირჩია 12 მოციქული და საზეიმოდ შევიდა ქალაქ ტამბოვში თითქოსდა მოსახლეობის მხსნელად, მაგრამ იგი დააპატიმრეს და გააციმბირეს. ეს 1775 წელს მოხდა.

დევნის მიუხედავად, დუხობორობამ ტამბოველი მოსახლეობის ერთ ნაწილში ფესვი გაიდგა. რევოლუციამდე მათი რიცხვი რუსეთში 20 000-მდე აღწევდა.

მალე იმავე თემში სხვა მიმართულებაც გამოიკვეთა: პობიროხინის მოწაფემ, თერძმა **სემიონ უკლეინმა**, გადასინჯა წინამორბედის მოძღვრება და ახალ დენომინაციას დაუდო სათავე. ესაა მალაკნობა.

მალაკნები, დუხობორებისაგან განსხვავებით, აღიარებენ ბიბლიის ავტორიტეტს, მაგრამ ყველაფერს, ბიბლიის ტექსტსაც და საეკლესიო საიდუმლოებებსაც, სიმბოლურად გებულობენ. მაგალითად, ერთარსება-სამება, მათი აზრით, შემდეგნაირად უნდა გავიაზროთ: მამაღმერთი არის მეხსიერება, ძეღმერთი – გონება და სულიწმიდა – ნება. ასევე თავისებურად ესმით მათ ქრისტეს განკაცების ფაქტი: ქრისტე მოევლინა ქვეყანას, რათა ეხსნა იგი მოძღვრებით და არა თავისი თავის ნებაყოფლობითი შეწირვით. აღდგომის საიდუმლოს ისინი იაზრებენ არა რეალურ ფაქტად, არამედ ქრისტეს მცნებათა აღდგინებად მის მიმდევართა შორის. მათ, დუხობორების მსგავსად, წყლით ნათლისღება მიაჩნიათ ზედმეტად. აღიარებენ მხოლოდ ამ საიდუმლოს სულიერ მხარეს. ისინი ნათლობას უწოდებენ მოძღვრების აღქმას, ზიარებას – უფლის სიტყვის შთანერგვას. მორწმუნეთა საბოლოო მიზნად კი სულიერ აღორძინებას რაცხენ.

დუხობორები და მალაკნები რაციონალური მიმართულების რუსულ სექტებად იხსენიებიან.

სიტყვა „მალაკანს“ სხვადასხვაგვარად განმარტავენ. ერთნი ამბობენ: „მალაკანი“ იმიტომ ეწოდათ, რომ მარხვის დროს, საეკლესიო ტრადიციას რომ დაპირისპირებოდნენ, რძეს სვამდნენ (ე.ი. „მალაკანი“ ანუ „მოლოკანი“ მომდინარეობს სიტყვიდან „მოლოკო“). სხვანი კი მდინარე მოლოჩნაიასთან აკავშირებენ, რომლის ნაპირებზეც პირველი მალაკნების დიდი ნაწილი სახლობდა. შესაძლებელია, მათ ეს სახელი დაცინვით შეერქვათ, რადგან ისინი მაგარი სასმელების სასტიკი წინააღმდეგნი არიან. იმასაც ამბობენ, მალაკნები თავიანთ მოძღვრებას „სუფთა სულიერ რძეს“ ადარებდნენო. საქართველოში მცხოვრები მალაკნების მსჯელობის თანახმად, მათ ეს სახელი რიცხობრივი სიმცირის გამო შეარქვეს.

ასეა თუ ისე, ფაქტია, რომ მალაკნები და დუხობორები ერთი ძირისაგან წარმოიშვნენ და დღეს ერთნიც და მეორენიც მცირერიცხოვანნი არიან. მათ სოციალურ იდეალებს პირველქრისტიანთა ზოგადცხოვრება წარმოადგენდა. ისინი პუგაჩოვის ოცნებათა ხორცშესხმას ლამობდნენ; ჰქონდათ საერთო ბეღლები, სასადილოები, ავეჯი, სახლები და ა.შ. თავიდან ყველა ერთნაირად ცხოვრობდა, მდიდარ-ღარიბობა მოისპო, მაგრამ ერთი შეხედვით. მე-19 ს-ის დასაწყისდანვე მათი თემები მდიდრებად და ღარიბებად დაიყო. ასე რომ, უკლასო საზოგადოების მათეულმა იდეამ კრახი განიცადა და როდესაც რუსეთში ბაპტიზმი გავრცელდა, მალაკნების დიდმა ნაწილმა სულიერი სამშობლო ამ მიმდინარეობის წიაღში ჰპოვა.

რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესია და მთავრობა დუხობორებსა და მალაკნებს დევნიდა. 1841-50 წლებში მათი ერთი ფრთა კავკასიაში გადმოასახლეს. მალაკნები თბილისსა და კახეთის ზოგიერთ რაიონში დამკვიდრდნენ. ისინი ძირითადად ხელოსნობას, განსაკუთრებით – მეეტლეობას მისდევდნენ. დუხობორებმა ყოფილი ბოგდანოვკის (დღეს ნინოწმინდის) რაიონში დაიდეს ბინა, სადაც ადრე გამუსლიმანებული ჯავახები (ქართველები) ცხოვრობდნენ. მათ საქმიანობას მესაქონლეობა და მეცხვარეობა შეადგენს.

გასული საუკუნის 90-იან წლებში დუხაბორების დიდმა ნაწილმა, რელიგიური იდეალების მიხედვით, დატოვა ჯავახეთი და ცენტრალურ რუსეთში, წინაპართა სამშობლოში, გადასახლდა. მათი რიცხვი საქართველოში ამჟამად უმნიშვნელოა. დუხობორებისა და მალაკნების ქართული საკრებულოები დღეისათვის დაახლოებით 3500 მურწმუნეს ითვლის.

„მე-7 დღის ადვენტისტები“

ადვენტუს ლათინურია და ნიშნავს *მოსვლას*. ლაპარაკია მაცხოვრის მეორედ მოსვლასა და ცათა სასუფევლის განახლებაზე. ამდენად, **ამ მიმდინარეობის ქვაკუთხედი არის ესქატოლოგიური მოლოდინი.** მორწმუნეებს ეჭვი არ ეპარებათ, რომ მათსავე სიცოცხლეში დადგება სანატრელი დღე ანუ უკეთურთა წარწყმედისა და მართალთა ცხონების ჟამი. ამ წუთს ისინი მუდამ სასოებით ელიან და გადარჩენის ერთ-ერთ მთავარ სახსრად მე-7 დღის, შაბათის, შენახვას მიიჩნევენ. ასე რომ, **ადვენტისტთა მოძღვრებისა და ცხოვრების ბირთვს მეორედ მოსვლის მოლოდინი და საუფლო დღედ კვირის ნაცვლად შაბათის დაწესება წარმოადგენს.**

ადვენტისტთა თემი, რომლისგანაც შემდეგ „მე-7 დღის ადვენტისტები“ წარმოდგნენ, აშშ-ში გასული საუკუნის 30-იან წლებში დაფუძნდა ყოფილი ბაპტისტის, ფერმერ **ულიამ მილერის** თაოსნობით. უ. მილერმა წინასწარმეტყველ დანიელის წიგნის 8:14-ის მიხედვით, სადაც აღწერილია ხილვა და ნახსენებია 2300 დღე-ღამე, გამოიტანა დასკვნა, რომ თითქოს წუთისოფის აღსასრული 1843 წლის 21 მარტიდან 1844 წლის 21 მარტამდელ პერიოდში დადგება. იგი წინასწარმეტყველებდა ყველასა და ყველაფრის სიკვდილს, გარდა ადვენტისტებისა. ბევრი გულუბრყვილო ამ თარიღს მომზადებული შეხვდა: ტოვებდნენ კარმიდამოს, აჩანაგებდნენ ქონებას, არ სვამდნენ, არ ჭამდნენ და გულხელდაკრეფილნი ელოდნენ უზენაეს განაჩენს... წინასწარმეტყველება არ გამართლდა. მორწმუნეთა უმრავლესობას გული გაუტყდა და სექტა მიატოვა, მაგრამ მილერს მალე გამოუჩნდნენ თანამოაზრენი, რომელთაც „გამოასწორეს“ მის მიერ დაშვებული შეცდომა. მქადაგებელმა **სამუელ სნოუმ** 1844 წლის 21 მარტის მომდევნო დღეებში განაცხადა, რომ მილერს პატარა შეცდომა გაეპარა და ქრისტე, ეჭვი არაა, 1844 წლის 22 ოქტომბერს მოვა. იმედები ამჯერადაც გაქარწყლდა. მაგრამ მილერი და სნიუ იხტიბარს არ იტეხდნენ და მეორედ მოსვლას სიკვდილის ბოლო წუთამდე ელოდებოდნენ (მილერი 1849 წელს გარდაიცვალა). მგზნებარე ადვენტისტების დიდი ნაწილი პირგამეხებულ ათეისტად იქცა. და, აი, ასპარეზზე გამოჩნდა ფეიქარი **ხირამ ედსონი**, რომელმაც თარიღს – 1844 წლის 22 ოქტომბერი – სხვა შინაარსი და დატვირთვა შესძინა; დაიწყო მტკიცება, ამ დღეს ქრისტემ „ზეციური ტაძრის საკურთხეველი“ დატოვა და იგი დედამიწისაკენ მოემართება, ჩვენ კი მოთმინების მოკრეფა გვმართებსო.

ადვენტისტების სულიერ ცხოვრებაში უდიდესი როლი **იოსებ ბაიტმა** (1792-1872) შეასრულა, რადგან მან შაბათის უქმობის ძველი აღთქმისეული ტრადიცია განაახლა და წესდება შეიმუშავა. ამ წესდების საფუძველზე აღნიშნულ მიმდინარეობას ოფიციალურად „მე-7 დღის ადვენტისტები“ ეწოდა. მათ „პროსპექტში“ ნათქვამია: „ჩვენ გვწამს ახალი აღთქმის მოწმობა იმის თაობაზე, რომ იესო ქრისტე კვლავ მოვა – ერთდროულად და ყველასათვის ხილულად. ჩვენ არ ვიცით, როდის მოხდება ეს, მაგრამ გვჯერა, რომ უკვე ახლოსაა ეს დღე“. მართალია, კონკრეტულ თარიღს ადვენტისტები აღარ ასახელებენ, მაგრამ დღესაც ამტკიცებენ, რომ ცის კაბადონზე საამისო ნიშნები ჩანს.

ადვენტისტების მოძღვრებას დიდი კვალი ცოლ-ქმარმა **ჯეიმს და ელენე უაითებმა** დააჩნიეს. ისინი ამტკიცებდნენ, რომ გამოეცხადათ ანგელოზი და იმოგზაურეს სხვადასხვა პლანეტაზე. დაწვრილებით აღწერეს, თუ რა ნახეს იუპიტერზე, სატურნზე. იქ სამოთხე სუფევსო...

ელენე უაითმა დაწერა წიგნი „დიადი ბრძოლა ქრისტესა და სატანას შორის“ (თარგმნილია ქართულად და გამოცემულიც), რომელშიც ვრცლად წარმოაჩინა ადვენტისტთა რწმენის საფუძვლები. აქ უმთავრესი ადგილი კვლავ მეორედ მოსვლის მოტივს ეკუთვნის; ქრისტე გამოგვეცხადება ძალიან მალე და დამყარდება სასუფეველი. თარიღი დაკონკრეტებული აქაც არაა.

„მე-7 დღის ადვენტისტობა“ ძველ რჯულზე დაფუძნებული ქრისტიანობაა.

რადგან ღმერთმა მეშვიდე დღეს დაისვენა, ადვენტისტები შაბათს უქმობენ და ღვთისმსახურებას ამ დღეს ასრულებენ. შაბათს ისინი საარსებო პროდუქტებსაც არ ყიდულობენ, არც წიგნებს. ამიტომ მათ „მე-7 დღის ადვენტისტები“ ეწოდებათ.

ღვთისმსახურების დროს ადვენტისტები ურთიერთსიყვარულისა და მორჩილების ნიშნად ერთმანეთს ფეხებს ბანენ. ისინი ყურადღებას კვების რეჟიმზე ამახვილებენ; მოითხოვენ „სანიტარულ რეფორმას“, რაც რაციონიდან ღორის ხორცის, ყავის, კაკაოსა და მისთანათა ამოღებას გულისხმობს; მაგარი სასმელები სასტიკად აკრძალულია.

ადვენტისტებს საიქიო ცხოვრებაზე თავისებური რწმენა აქვთ. ისინი უარყოფენ ჯოჯოხეთის არსებობას და ქადაგებენ ცოდვილი სულების გაქრობას, არარაობად ქცევას. საიქიოში ადგილი მხოლოდ სამოთხისათვისაა, რომლის ბინადარნი მართალი ადვენტისტები არიან.

ადვენტისტები ორ ნაწილად არიან გაყოფილი. პირველს შედარებითი ლიბერალიზმი ახასიათებს და მისი მიმდევრები თავიანთ თავს ოფიციალურ და ღია ეკლესიას უწოდებენ. მეორე რადიკალურობით გამოირჩევა. მისი მიმდევრები თავიანთ თავს საზოგადოებისა და სახელმწიფოსაგან განყენებულად მოიაზრებენ. საქართველოში ორივე მიმართულება არსებობს.

„მე-7 დღის ადვენტისტები“ საქართველოში პირველად 1904 წელს გამოჩნდნენ. მათ თბილისში მცირერიცხოვანი თემი ჩამოაყალიბეს, რომელიც რუსულენოვანი იყო. ცნობილი არაა, ეს თემი სახელმწიფოსა და საზოგადოებისადმი ლიბერალური იყო თუ რადიკალური. საბჭოთა პერიოდში ორივე მიმართულება არსებობდა და დღესაც არსებობს.

„მე-7 დღის ადვენტისტთა“ ეკლესია, რომელსაც ისინი „მსოფლიო ეკლესიას“ უწოდებენ, დაყოფილია დივიზიონებად ტერიტორიის მიხედვით. დივიზიონები, თავის მხრივ, – უნიონებად (გაერთიანებად). საქართველო კავკასიის უნიონში შედის. კავკასიის უნიონი – ევრაზიის დავიზიონში. კავკასიის უნიონის ცენტრალური შტაბ-ბინა როსტოვში მდებარეობს.

ოფიციალურ ადვენტისტთა თემები საქართველოს ბევრ რეგიონში არსებობს. მათი წევრების რიცხვი 350-ს უდრის. თანამგრძნობ-მოარულებიანად – 500-ს. თბილისში ორი ეკლესიაა.

საქართველოს ადვენტისტთა გაერთიანების პრეზიდენტი არის საქართველოში ერთერთი უხუცესი ადვენტისტი **პეტრე ლაგუტოვი**, გენერალური მდივანი – **გრიგოლ წამალაშვილი.** იგი, ამასთანავე, ნაძალადევის ეკლესიის ხუცესიცაა.

რადიკალური ფრთის მიმდევრები თვლიან, რომ მათ რეფორმა მოახდინეს. ამიტომ მათ **ადვენტისტ-რეფორმატორებს** უწოდებენ. ისინი აქტიურები საბჭოთა პერიოდში იყვნენ, რადგან მოღვაწეობის ძირითად მიზანს საბჭოეთის სატანური არსის მხილება და პროპაგანდა წარმოადგენდა. მათ ძლიერი თემები სოხუმსა და თბილისში გააჩნდათ. ცხოვრობდნენ კონსპირაციულად; ქადაგებდნენ ინდივიდუალურად და თავშეკავებულად, თუმცა რადიკალურად და ექსტრემისტულად, რის გამოც სდევნიდნენ და აპატიმრებდნენ. დღეს მათი რიცხვი შემცირებულია და დაახლოებით 50-ს აღწევს. იკრიბებიან ოჯახებში. აქვთ გასაიდუმლოებული შინაგანაწესი.

რეფორმატორების რიცხვი და გავრცელების არეალი არა მარტო საქართველოში, არამედ ყველგან მცირეა. მათი ეკლესიები 36 ქვეყანაშია, ლიბერალებისა კი - 200-მდე ქვეყანაში. საქართველოში ადვენტისტთა რიცხვი 400-ს აღწევს.

„იეჰოვას მოწმეები“

ეს კონფესია ჩვენში **იეღოველების** სახელითაა ცნობილი. „იაჰვე“, რომლის დამახინჯებული ფორმა „იეღოვაა“, ძველებრაული სიტყვაა და ღვთის ერთ-ერთი სახელია. ნიშნავს: „მყოფს“, „არსებულს“, „ჭეშმარიტს“. მაშასადამე, იაჰვე ეპითეტია, რომელიც შემდეგ გასუბსტანტივდა და ღვთის საკუთარ სახელად, ეთნონიმად იქცა. „იეჰოვას მოწმეებს“ სწამთ, რომ იაჰვე ღვთის უცვალებელი სახელია და იგი დღესაც ამ სახელით უნდა მოვიხსენიოთ.

XIX საუკუნის 70-იანი წლების დასაწყისში ამერიკაში, პენსილვანიის შტატის ქალაქ ალებსინში, „ბიბლიის მკვლევართა საზოგადოება“ ჩამოყალიბდა, რომლის ხელმძღვანელი მეწარმე **ჩარლზ ტეის რასელი** გახლდათ. 1879 წელს დაარსდა ჟურნალი „საგუშაგო კოშკი“, რომელმაც ხსენებული საზოგადოების გააქტიურებას სტიმული მისცა და სათავე ახალ რელიგიურ მიმდევრობას დაუდო. საზოგადოება 1884 წელს რეგისტრაციაში იქნა გატარებული და პრეზიდენტად რასელი აირჩიეს. 1909 წელს „საგუშაგო კოშკის“, როგორც საზოგადოების, მთავარი სამმართველო ნიუ-იორკში, ბრუკლინში, გადაიტანეს. 1931 წელს „ბიბლიის მკვლევარებმა“ „იეჰოვას მოწმეთა“ სახელი შეიძინეს და სამოღვაწეო ასპარეზი მსოფლიო მასშტაბით გააფართოვეს. ისინი **რასელისტებისა** და **რუტერფორდისტების** სახელითაც არიან ცნობილი (ჯოზეფ ფრანკლინ რუტერფორდმა 1916 წელს რასელი შეცვალა).

„იეჰოვას მოწმეთა“ არსებითი ნიშანი ქუჩა-ქუჩა და კარ-კარ სიარულია. ისინი ესაუბრებიან ყველას, ვინც გაუჩერდებათ; ურიგებენ ლიტერატურას და, ვისაც ინტერესს შენიშნავენ, შეკრებებზე ეპატიჟებიან. მათ პრაქტიკაში უდიდესი ადგილი ე.წ. შტუდიებს ანუ ბიბლიის შესწავლას უჭირავს. აწყობენ რეგიონალურ, რესპუბლიკურ და საერთაშორისო კონგრეს-კონფერენციებს. გამოირჩევიან აქტიურობით.

“იეჰოვას მოწმეები“ უარყოფენ სამების დოგმატს და აღიარებენ ერთ ერთსახოვან ღმერთს, რომელსაც დაჟინებით იაჰვეს, უფრო გავრცელებული ვარიანტით – იეჰოვას უწოდებენ; იესო ქრისტეს მიიჩნევენ ღვთის მხოლოდშობილ ძედ და პირველქმნილებად; უარყოფენ სულიწმიდის პიროვნულობას და მას „ღვთის უხილავ ქმედით ძალას“ უწოდებენ; არ სჯერათ სულის უკვდავება, სამოთხისა და ჯოჯოხეთის არსებობა; სწამთ, რომ დაარსდება იაჰვეს სამეფო, რომელშიც 144.000 რჩეული დამკვიდრდება და უკვდავებას ეზიარება. მათ ეახლებათ უამრავი ქვეშევრდომი, რომლებიც უკვდავნი იქნებიან, მაგრამ მაინც ქვეშევრდომები. ისინი უარს ამბობენ ცეცხლსასროლ იარაღზე და ალტერნატიულ სამხედრო სამსახურს მოითხოვენ. ერიდებიან სისხლის გადასხმას და ა.შ.

„იეჰოვას მოწმეთა“ თეოლოგიაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ბრძოლას ქრისტესა და ლუციფერს შორის. უკანასკნელი ადამიანთა მეთვალყურე იყო, მაგრამ ამპარტავნების სენი შეეყარა და ზეციურ მამასთან გათანაბრება მოისურვა. მან აცდუნა ადამი და ევა და,

რადგან ღვთის უძლურების ილუზია შექმნა, ყოვლისშემოქმედს ომი გამოუცხადა. ეს ომი დღემდე გრძელდება. მან უმძაფრესი სახე მას შემდეგ მიიღო, რაც სატანის ამქვეყნიური სამეფო – საბჭოთა კავშირი და სოცბანაკი – შეიქმნა. 1918 წელს დედამიწაზე იესო ქრისტე დაბრუნდა და აღნიშნული ომის ახალი ფაზა – არმაგედონი – დაიწყო. მისი მიზანი ყველა სატანისეული სახელმწიფოს დამსხვრევაა, რის შედეგადაც მოისპობიან ურწმუნონი და შეიქმნება ერთიანი, თეოკრატიული, „იეჰოვას მოწამეთა" ღვთაებრივი სახელმწიფო; შეიმუსრება ლუციფერი და მისი არმია.

„იეჰოვას მოწმეთა" რიცხვი, 1996 წლის მონაცემებით, ხუთ მილიონს აღწევს. მათი ორგანიზაციები დღეს ოფიციალურად თუ არაოფიციალურად და მეტნაკლები წარმატებით მსოფლიოს თითქმის ყველა სახელმწიფოში მოქმედებს.

საქართველოში ამ მიმდინარეობის ისტორია 1953 წლიდან იწყება. სხვადასხვა დროს და სხვადასხვა რეგიონში ქადაგებდნენ ვალენტინა მიმინოშვილი, რომელსაც იეჰოვას მოწმეები ნაცისტურ საკონცენტრაციო ბანაკში გაუცვნია, ძმები გუდაძეები (ციმბირიდან 1962 წელს დაბრუნებულები), ვლადიმერ გლადიუკი (რომელიც ვითომ სამუშაოს საძებრად, სინამდვილეში კი გალის რაიონში სამისიონეროდ შევიდა) და სხვანი. 1970 წელს ენგურჰესზე თორმეტი პროზელიტი (ახლადმოქცეული) მოინათლა, რაც უშიშროების სამსახურს შეუმჩნეველი არ დარჩენია და მქადაგებელთა წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმეებიც აღიძრა. ამის მიუხედავად, 1973 წლის 19 აგვისტოს იეჰოვას მოწმედ სოხუმში 45 კაცი მოინათლა. მათი მიმდევრები 1976 წელს თბილისშიც გაჩნდნენ და მალე დედაქალაქი ქართველი იეჰოველების ცენტრად იქცა.

„საქართველოს იეჰოვას მოწმეთა კავშირი" (ეს მათი ოფიციალური სახელწოდებაა) დღეს, მესვეურთა თქმით, 15000-ს მონათლულ წევრს აერთიანებს, თანამგრძნობ-თანამდგომელებიანად კი – 40000-ს. ისინი თითქმის ყველა რაიონში გვხვდებიან. ცენტრალური ოფისი თბილისში აქვთ. იქ უხუცესები და ზედამხედველები პერიოდულად იკრიბებიან და საჭირბოროტო საკითხებზე მსჯელობენ. კავშირის თავმჯდომარის მოვალეობას ამჯერად **ბადრი კოპალიანი** ასრულებს. აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის საკრებულოებზე თბილისის იურისდიქცია არ ვრცელდება. საკრებულოებს სპეციალური სახლები, ე.წ. სამეფო დარბაზები, საქართველოში არ აქვთ, რის გამოც მოწმეები კერძო ბინებში იკრიბებიან.

თავი 2
არაქრისტიანული რელიგიები

იუდაიზმი

იუდაიზმი ანუ, ძველი ქართულით, **ჰურიაება** ებრაელთა ნაციონალური კონფესიაა. ითვლება, რომ მას დასრულებული სახე რაბინმა **მოსე მაიმონიდმა** ჩვ.წ. XII ს-ში მისცა. თუმცა შემდეგაც განიცადა ცვლილება.

ძველი აღთქმა საერთო პირველწყაროა როგორც ქრისტიანთა, ისე იუდეველთათვის, მაგრამ მის დედააზრს თითოეული სხვადასხვანაირად აცნობიერებს. ეს პირველ რიგში გამოსყიდვის დოგმატის მიმართ ითქმის. იუდაიზმში არეკლილია ებრაელთა ეროვნული თვალსაზრისები და ინტერესები. მისთვის უცხოა „რჩეული ერის“ სიმბოლური გაგება; ამ ცნების განვრცობა და გაღრმავება უნივერსალურობამდე, ე.ი. ეროვნული ზღუდეების მსხვრევა და „რჩეული ერის“ ქვეშ ყოველი ნათელღებული და მირონცხებული პიროვნების მოაზრება.

ძვ.წ. 929 წელს, მეფე სოლომონის შემდეგ, ისრაელის ერთიანი სამეფო დაიშალა. წარმოიშვა ორი სახელმწიფო: ისრაელი და იუდეა. უკანასკნელი, ძირითადად, იუდას ტომს აერთიანებდა, სადაც დავითის შტოდან უნდა დაბადებულიყო ეროვნული გმირი, მხსნელი, მესია (ცხებული). ამდენად, ებრაელები, დამპყრობთაგან დევნილნი და შევიწროებულნი, მესიისაგან ელოდნენ და ელიან ეროვნულ ხსნას – ერთიანი, ძლიერი სამეფოს აღდგენას. მხსნელი კი (გავიხსენოთ წინასწარმეტყველება და აღთქმა) მართლაც იუდას ტომიდან უნდა გამოსულიყო. ამიტომ ეწოდა ებრაელთა რელიგიას **იუდაიზმი.**

533 წელს, ბაბილონის ტყვეობიდან დაბრუნების შემდეგ, ებრაელებმა იერუსალიმში იაჰვეს სადიდებლად სოლომონის ტაძარი აღადგინეს, დააწესეს დღესასწაული ხანუკა (“სატფურება“, “განახლება“) და ჩამოაყალიბეს ახალი რელიგიური თემი. წინამძღვრებმა ამ თემში არ შეიყვანეს ისინი, ვინც ტყვეობაში არ იყვნენ ნამყოფი და პალესტინაში დარჩნენ. შეიძლება ითქვას, რომ ამ თემის წიაღში მიიღო იუდაიზმმა, როგორც რელიგიურმა სისტემამ, ჩამოყალიბებული სახე.

ახალი რელიგიური თემის გარეთ დარჩენილმა ებრაელებმა **სამარიელთა** სექტა შექმნეს, რომელიც დღესაც არსებობს.

ამის შემდეგ ებრაულ საზოგადოებაში კონფლიქტი კიდევ უფრო გაღრმავდა. იგი გადაიზარდა რელიგიურ ანტაგონიზმში. ეროვნული სხეული დაიყო და დაქუცმაცდა. იუდაიზმის შიგნით (ძვ.წ. II ს-ში) **ფარისეველთა** და **სადუკეველთა** რელიგიურ-პოლიტიკური პარტიები წარმოიქმნა, რომლებმაც თორის (ხუთწიგნეულის) მცნებების ახლებური გააზრება სცადეს. ფარისეველთა და სადუკეველთა არსებითი ნიშანი იყო რჯულის კანონების ზედმიწევნითი, პედანტური დაცვა, ყურადღების გადატანა სარწმუნოების გარეგან მხარეზე.

ძველი წელთაღრიცხვის დასასრულსა და ახალ ერაში რამდენიმე სექტა ჩამოყალიბდა, მათ შორის – **ნაზორეველთა** სექტა, რომელიც მკვდარი ზღვის სანაპიროებზე მოქმედებდა. მას ესეელთა თემსაც უწოდებდნენ, სადაც, სავარაუდებელია, აღიზარდა იოანე ნათლისმცემელი. ამ სექტის წევრები არ ჭამდნენ მცენარეულ საკვებს. გავიხსენოთ, რომ იოანე ნათლისმცემელიც მხოლოდ ველურ თაფლსა და კალიებს (მკალს) ჭამდა. მათ მდიდარი ლიტერატურული მემკვიდრეობა დარჩათ, რომელთა ფასი თანამედროვე მეცნიერებისათვის განუზომელია.

1947 წლის გაზაფხული ჩვენი საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი არქეოლოგიური აღმოჩენით აღინიშნა. მკვდარი ზღვის აუზში, იორდანეს უდაბნოში, იერუსალიმის აღმოსავლეთით, ყუმრანში, ერთი ბედუინი, როდესაც დაკარგული თხის საძებრად დაეხეტებოდა, წააწყდა უძველეს სამალავს. იგი მოთავსებული იყო მღვიმეში, რომელიც რამდენიმე დარბაზს შეიცავს. დარბაზები სავსე იყო სხვადასხვა დანიშნულების საგნებით – საყოფაცხოვრებო და საკანცელარიო ნივთებით, რომელთაგან თვალს ხვდებოდა ეტრატის გრაგნილთა სიმრავლე. ბედუინი მიხვდა, რომ ბედმა გაუღიმა და ეს ამბავი მეზობლებს ახარა. გაირკვა, რომ იმ რაიონის მკვიდრნი კლდის ნაპრალებში თურმე ადრეც პოულობდნენ ხელნაწერებს, რომელთაც ფეხსაცმელში ჩასაფენად ხმარობდნენ. ახლა კი იგრძნეს, რომ მათი მეშვეობით შესაძლებელია გამდიდრება და აღმოჩენის თაობაზე ადგილობრივ სასულიერო პირებს აცნობეს. საქმეში მალე მეცნიერები და სახელმწიფოთა მეთაურებიც ჩაერიენ. დაიწყო მანუსკრიპტთა შესყიდვა კოლოსალურ ფასებში – დოლარებზე, რამაც ბედუინთა ენთუზიაზმი გააცხოველა და პირველს სხვა არანაკლებ საყურადღებო აღმოჩენები მოჰყვა. 10 წელიწადს გრძელდებოდა გათხრები. გამოვლინდა 10.000 ფრაგმენტი 400-მდე ნაწარმოებისა. მათ მეცნიერულ შესწავლაში მონაწილეობა მიიღეს მსოფლიოს საუკეთესო სპეციალისტებმა. ისინი მივიდნენ დასკვნამდე: აღნიშნული დასახლების პატრონი იყო ხალხი, რომელიც ისტორიაში ცნობილია **ესეელთა (ესეველთა)** სახელით. სავარაუდებელია, რომ მათი ცენტრი იყო ყუმრანში. ისინი იქ სახლობდნენ ძველი წელთაღრიცხვის 150 წლიდან ახალი ერის 70 წლამდე. სექტა სიმკაცრით გამოირჩეოდა. ამას ადასტურებს მათი ბიბლიოთეკა და იქ აღმოჩენილი „თემის წესდება". ესაა საკმაოდ ვრცელი ტექსტი, რომელიც ეხება სექტის ორგანიზაციას და მისი წევრების უფლება-მოვალეობას, მათ რელიგიურ რიტუალებს და შეიცავს სისხლის სამართლის კოდექსს. ეს დოკუმენტი ადასტურებს ჩვ.წ.I ს-ის ებრაელი მწერლების იოსებ ფლაბიუსისა და ფილონ ალექსანდრიელის უწყებებს ამ „უცნაური ხალხის" ცხოვრებასა და ზნე-ჩვეულებებზე. ფილონი ამბობს, რომ ესეელნი მიეკუთვნებიან ებრაელ ერს; ისინი არიან ოთხასზე მეტი; ცხოვრობენ სოფლებში და ერიდებიან ქალაქებს; დასაქმებულნი არიან ხელოსნობის იმ დარგებით, რომელთაც არაფერი აქვთ საერთო ომთან. მათ არ ჰყავთ მონები და არ გააჩნიათ საკუთარი სახლები. სამაგიეროდ აქვთ საერთო საწყობები და სალაროები, აქვთ საერთო ტანსაცმელი, საერთო საკვები... ისინი იცავენ მამა-პაპათა კანონებს. ამ კანონებს მათ გამუდმებით უქადაგებენ. მათი ცხოვრების წესებს სამი ძირითადი საფუძველი განაპირობებს: ღვთის სიყვარული, სათნოების სიყვარული და ქველმოქმედება. განსხვავებით თავიანთი წინაპრებისაგან, ღვთისმსახურებისას „ცხოველებს კი არ სწირავენ ღმერთს, არამედ განიწმენდენ სულს"...

ზოგიერთი ცნობის თანახმად, ესეელნი (ანუ იგივე ნაზორეველნი) უბიწოდ ცხოვრებას ეწეოდნენ: არ ჰქონდათ ოჯახები. საბოლოოდ გარკვეული არაა, თუ რა იყო სექტის ასე სწრაფად გადაშენების მიზეზი. ცხადია ერთი: ამ განშტოებამ ქრისტიანულ მოძღვრებასა და ეკლესიას გარკვეულწილად ნიადაგი შეუმზადა, რაზეც მიგვანიშნებს იოანე წინამორბედის ქადაგება: „განმზადენით გზანი უფლისანი და წრფელ-ჰყენით ალაგნი მისნი“ (მათე 3:3).

ჩვ.წ. VIII ს-ში ერაყში, სირიასა და პალესტინაში წარმოიშვა **ყარაიმთა** სექტა, რომელიც უარყოფდა ოფიციალური იუდაიზმის მრავალ დებულებას. მათ შორის მესიის მოვლინებისა და მკვდართა აღდგომის დოგმატებს. ამდენად, ეს მიმდინარეობა თითქმის მთლიანად მოსწყდა და ჩამოშორდა იუდაისტურ რელიგიას, რადგან უარყო ამ რელიგიისათვის მთავარი და სპეციფიკური – მესიის რწმენა.

იუდაიზმის ისტორიაში თვალსაჩინო როლი შეასრულა **კაბალამ.** ესაა წიგნი, რომელ-საც საფუძვლად დაედო რელიგიური ზეპირგადმოცემები. ამაზე მიანიშნებს თვით ტერ-მინი – კაბალა (ებრ. კაბ. „გადმოცემა“). ეს წიგნი თარიღდება XIII-XIV სს-ით. მას ახასიათებს მისტიციზმი და ზოგიერთი თეოლოგიური საკითხების თავისებური ინტერპრეტაცია. მის მიმდევრებს სწამთ სულების გარდასახვის შესაძლებლობა (მეტემფსიქოზი), რის გამოც, როგორც ამბობენ, კაბალისტური მისტიკა იქცა ჯადოქრობისა და მაგიის იარაღად.

კაბალის ზეგავლენით XVIII ს-ში პოლონეთსა და რუსეთში, შემდეგ კი დასავლეთ ევროპასა და აშშ-ში აღმოცენდა იუდაიზმის ახალი მიმდინარეობა – **ხასიდიზმი** (ებრ. ღვთისმოსავი). მისი ძირითადი მიზანი იყო და არის იუდეური ღვთისმსახურების რეფორმა, რიტუალების რიცხვის შემცირება. სამაგიეროდ – ყურადღების გადატანა თითოეული პი-როვნების როლსა და ადგილზე სამყაროში, სულიერსა და ზნეობრივ სრულყოფაზე. ხასი-დიზმის მამათმთავრად ითვლება მოხეტიალე მკურნალი ისრაელ ბენ ელიეზერი ანუ ბეშტი (1700-1760). იგი არ უარყოფდა წიგნიერ სიბრძნეს, ებრაელთა ათასწლოვან ტრადიციებს და რელიგიურ რიტუალებს, მაგრამ ამბობდა, რომ ხასიდის ღვაწლი უფრო აღმატებულია, ვიდრე თალმუდის წესების გულმოდგინედ შესრულება, რადგან პირველი ეფუძნება შინა-გან რწმენას და სინდისს, მეორე – კანონს; პირველს წარმართავს სიყვარული, მეორეს – შიში და მოვალეობა. მკვლევრები აღნიშნავენ, რომ ხასიდთა მოძღვრების ზოგიერთი დეტა-ლი ეხმიანება იმ ჭეშმარიტებებს, რომლებიც ქრისტიანობის, როგორც უნივერსალური რელიგიის საფუძველშია ჩადებული. ეს არცაა გასაკვირი, თუ გავითვალისწინებთ ტერტუ-ლიანეს სიტყვებს, რომ ადამიანის სული დაბადებით ქრისტიანია. მართლაც, ხასიდების რელიგიური ინტუიცია გასაოცარი გამჭრიახობით ჩასწვდა ღვთის ინკარნაციის (განსხე-ულების) დოგმატის სიღრმეს. ამას ცხადყოფს „ხასიდური სწავლანი“, რომელიც ქართულ ენაზე თარგმნა და კომენტარები დაურთო ზურაბ კიკნაძემ (ჟურნ. „რელიგია“, 1992, N 6). იქ ვკითხულობთ: თუ გვინდა ვიხსნათ ლაფში ჩავარდნილი ადამიანი, საკმარისი არ არის ხელის გაწვდენა. მხსნელი თავადაც უნდა ჩავიდეს ორმოში, ლაფში; მხსნელმა თავის თავზე უნდა იტირთოს ის სიბინძურე, რომელიც დაგროვდა ადამს აქეთ ამ წუთისოფელში... ვფიქრობთ, ჩვენი მკითხველებისათვის ამ შეგონების აზრი გამჭვირვალეა.

იუდაიზმის პირველწყარო, თორასა და ძველი აღთქმის სხვა წიგნებთან ერთად, არის

თალმუდი. „თალმუდი“ ებრაული სიტყვაა და ნიშნავს „შესწავლას“. თალმუდი აერთიანებს იუდაისტურ ღვთისმეტყველებას, საღვთისმსახურო პრაქტიკას და სამართალს. თალმუდი, ფაქტობრივად ძველი აღთქმის ეგზეგეზა ანუ თარგმანებაა ფართო და მრავალმხრივი პროფილით. თალმუდი თაობიდან თაობას ზეპირად გადაეცემოდა. შემდეგ კი დაიწყეს მისი ჩაწერა, რასაც სათავე ფარისევლებმა და სადუკეველებმა დაუდეს. მისი სრულყოფის პროცესი 7-8 საუკუნის მანძილზე მიმდინარეობდა და დასრულებული სახე V ს-ში მიიღო. ასე შეიქმნა ვეებერთელა კრებული, რომელიც იყოფა 6 განყოფილებად და 63 ტრაქტატად. მხოლოდ მასზე დაყრდნობითაა შესაძლებელი იუდაისტური რელიგიის არსში გარკვევა.

იუდაიზმი მონოთეისტური რელიგიაა; აღიარებს ერთადერთ ღმერთს, – სამყაროს შემოქმედს, რომელსაც მრავალი ეპითეტით ვუხმობთ: **იაჰვე** (დამახინჯებული ფორმაა „იეღოვა“), **ადონაი, ელი, საბაოთ** და სხვა. იუდაიზმის თანახმად, ღმერთი არის არა მხოლოდ ერთი, არამედ – ერთსახოვანიც. ებრაელთათვის მიუღებელია ერთარსება-სამების რწმენა. მათ დაუშვებლად მიაჩნიათ აგრეთვე ღვთის განკაცების საიდუმლო.

იუდაისტური მოძღვრების ძირითადი დოგმატები რაბინმა მოსე მაიმონიდმა რეზიუმეს სახით წარმოადგინა (ქრისტიანული „რწმენის სიმბოლოს“ მსგავსად). მას ეწოდება „რწმენის 13 სიმბოლო“. ესენია: 1. არსებობს ღმერთი, რომელმაც შექმნა სამყარო; 2. ის ერთია; 3. ის უსხეულოა; 4. ის მარადიულია; 5. უნდა ვილოცოთ მხოლოდ მასზე; 6. ღვთიური გამოცხადებანი ჭეშმარიტებაა; 7. მოსე ყველაზე დიდი წინასწარმეტყველია; 8. თორა, ე.ი. ბიბლიის პირველი ხუთი წიგნი, ღმერთმა უკარნახა მოსეს; 9. მოსეს კანონის შეცვლა სხვა კანონით არ შეიძლება; 10. ღვთიური განგება მართავს სამყაროს; 11. არსებობს კეთილისათვის ჯილდო და ბოროტისათვის სასჯელი; 12. ისრაელში მოვა მესია; 13. მკვდრეთით აღდგომა ჭეშმარიტებაა.

როგორც ვხედავთ, აქაა რწმენა, რომ მესია ანუ ცხებული (ე.ი. ქრისტე) მოვა ისრაელში. ეს აზრი ორმხრივადაა საყურადღებო. პირველი – იგი მიანიშნებს იუდაიზმის ნაციონალურ ხასიათზე: მესია იხსნის მხოლოდ და მხოლოდ ებრაელთა მოდგმას; მეორე – მესია თითქოს ჯერ არ მოსულა: „რჩეული ერი“ მას ელოდება დღეს და ყოველ დღე. სწამს, რომ იგი იქნება დავით-იესეს ძის შთამომავალი, „იესეს ყლორტი“ – ბენ იშაი. „რატომ არ მოდის ბენ იშაი?“ – სწუხდა ესპანეთის გალუთში (გადასახლებასა და ლტოლვილებაში) მყოფი ებრაელი პოეტი XI საუკუნისა. თუმცა, ქრისტიანთა რწმენით, „ბენ იშაი“ დიდი ხნის მოსული, ჯვარცმული და მკვდრეთით აღმდგარი იყო.

იუდეველების ანუ, ძველი ქართულით, ჰურიების (ებრაელების) საერთო რიცხვი ბოლო მონაცემების მიხედვით 20 მილიონს აღემატება. მათგან ყველაზე მეტი ისრაელსა და აშშ-ში ცხოვრობს, თუმცა ებრაელებს დიასპორები მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში აქვთ.

საქართველოში ებრაული დასახლებების ისტორია, ქართლის ცხოვრების მიხედვით, ძვ.წ. VI ს-იდან, ნაბუქოდონოსორის მიერ იერუსალიმის დალაშქვრის ხანიდან, იწყება. მეტნაკლები მასშტაბის შემოსახლებებს შემდეგშიც ჰქონდა ადგილი. განსაკუთრებით ახ.წ. 70 წლის ახლო ხანს, როდესაც რომაელებმა იუდეველთა აჯანყება სისხლში ჩაახშვეს, იერუსალიმი წარტყვევნეს და სოლომონის ტაძარი ნაცარტუტად აქციეს. წმ. ნინო,

როდესაც ქართლში შემოვიდა, თავიდან ებრაელთა ბაგინში (სინაგოგაში) ცხოვრობდა და მისი ქადაგების შედეგად პირველად ებრაელები გაქრისტიანდნენ (მღვდელი აბიათარი, სიდონია და სხვ.). ძველი წერილობითი წყაროები და უკანასკნელი ხანის არქეოლოგიური აღმოჩენები (სამარხები და ეპიგრაფიკული ძეგლები) ჩვენს ისტორიაში მათ აქტიურ მონაწილეობაზე მეტყველებს. ებრაელები საქართველოს სხვადასხვა რაიონში კომპაქტურად სახლდებოდნენ და, როგორც წესი, ქალაქური ტიპის დასახლებებს უყრიდნენ საფუძველს. ისინი ვაჭრობდნენ, მოგზაურობდნენ და ექსპორტ-იმპორტს მისდევდნენ, რითაც ჩვენი ქვეყნის გარესამყაროსთან ურთიერთობის გაღრმავებას უწყობდნენ ხელს. ამ ფაქტს კი, თავის მხრივ, წვლილი საქართველოს ცივილიზებულ მსოფლიოსთან კულტურულ ინტეგრაციაში შეჰქონდა.

ქართველმა ებრაელებმა შემოქმედებითი უნარი მეცნიერების, ხელოვნებისა, ლიტერატურისა და სპორტის ასპარეზზეც გამოავლინეს. მათი ძველი სინაგოგები, საფლავთა კომპლექსები თუ ხელნაწერები (მათ შორის ლაილაშის X ს-ის თორა) როგორც ებრაული, ისე ქართული კულტურის ისტორიის შემადგენელი ნაწილებია.

ებრაელთა დასახლებები საქართველოს ბევრ რაიონში გვხვდება. მათი ქართული დიასპორა ადრე მრავალრიცხოვანი და ღონიერი იყო, მაგრამ მას შემდეგ, რაც სსრკ-დან ებრაელთა დეპორტაცია დაიწყო, საქართველოში იუდაიზმის მიმდევართა რიცხვი ერთობ შემცირდა და დღეს 10.000-ს არ აღემატება. ყველაზე დიდი სინაგოგა (საკრებულო) თბილისისაა, შემდეგ – გორის, ქუთაისის, რუსთავის, ბათუმის, ახალციხის, ონის და ა.შ.

ებრაელობა დღეს ლოცვისა და რჯულისმიერი ცხოვრების სტილის მიხედვით ძირითადად ორ ნაწილადაა გაყოფილი: **სეფარადებად და აშქენაზებად**. სეფარადებად აღმოსავლური წესის ებრაელები იწოდებიან, აშქენაზებად – დასავლური წესისანნი. ქართველი ებრაელების დიდი ნაწილი (80%) თავის თავს სეფარადად თვლის. ისინი ძირძველი ქართულენოვანი ებრაელები არიან. აშქენაზები XIX ს-ში გადმოსახლდნენ რუსეთიდან, პოლონეთიდან და დასავლეთ ევროპის სხვა ქვეყნებიდან. საქართველოში მათ უფრო რუსულენოვან ებრაელებად იცნობენ.

ისლამი

VII ს-ის 20-იან წლებში არაბეთის ნახევარკუნძულზე ჩამოყალიბდა ახალი რელიგიური სისტემა სახელწოდებით ისლამი, – **მაჰმადიანობა, მუსლიმანობა.** ესაა სინკრეტული რელიგია, სხვადასხვა კონფესიის შერწყმის შედეგად აღმოცენებული მოძღვრება და კულტი. პირველ რიგში აქ იგულისხმება იუდაიზმისა და ქრისტიანობის გავლენა, რადგან ბიბლიის კვალი, რაშიც დავრწმუნდებით, შესამჩნევია მაჰმადიანთა აზროვნებისა და ყოფაცხოვრების ყოველ ნაბიჯზე.

VII ს-ის პირველ ნახევარში არაბეთის ნახევარკუნძული წარმოადგენდა თითქმის ყველა აღმოსავლური სარწმუნოების თავშესაყარს; აქ ბატონობდა წარმართობა, რომელიც წარმოდგენილი იყო როგორც ადგილობრივი, ისე ირანიდან და რომის იმპერიიდან შემოტანილი

კულტებით. არაბეთში გადასახლებულთა შორის იყვნენ ებრაელები და ქრისტიანები, უმეტესად – მწვალებელნი, განკვეთილნი საეკლესიო კრებათა და დევნილნი მართლმადიდებელ იმპერატორთა მიერ. როგორც ამბობენ, იქ სარწმუნოებათა და კონფესიათა ქაოსი იყო. მით უმეტეს, რომ ნახევარკუნძულზე არ არსებობდა ცენტრალიზებული სახელმწიფო და თითქმის არ ვრცელდებოდა რომელიმე ქვეყნის გავლენა. იმხანად ყველაზე მეტად იქ ყურეიშელთა ტომი დაწინაურდა, რომელიც უპირატესად პატივს მიაგებდა ღვაებას **ალლაჰი**. უნებლიედ გვახსენდება ებრაელთა უზენაესი ღმერთის ერთ-ერთი სახელი ელი, ელოჰიმ. საქმე ისაა, რომ ებრაელი ხალხი და მათი რელიგია არაბებისათვის ძველთაგანვე იყო ცნობილი. გასათვალისწინებელია, რომ ორივე სემიტი ხალხია და, მაშასადამე, მათ ენებს საერთო ფუძე აქვთ. არაბთა ტომებმა ებრაელებისაგან ისტორიული კონტაქტის შედეგად შეითვისეს ბიბლიური რჯულის ზოგიერთი ელემენტი, რაც უნდა ასახულიყო ყურეიშელების კულტმსახურებაშიც, კერძოდ კი ღვთაების სახელსა და შინაარსში – ალლაჰი. არაბეთის ნახევარკუნძულზე, ძირითადად ბიბლიური გადმოცემის საფუძველზე, აღმოცენდა რჯული, რომელიც გააფორმა და გაავრცელა მუჰამედმა ანუ მაჰმადმა (აქედან, – მაჰმადიანობა, მახმადიანობა).

ვეყრდნობით გამოკვლევებს: მიულერი, მაჰმადი და მისი მოღვაწეობა, დ. უზნაძის რედაქციით, ქუთ. 1914; მისივე, ისლამი და არაბთა სახელმწიფო, ქუთ. 1914 (ერთვის დ. უზნაძის წერილი: ხალიფატის წარმოშობა და განვითარება); ა. მასსე, ისლამი (ისტორიული ნარკვევი), მოსკოვი, 1963.

მუჰამედი 570-632 წლებში ცხოვრობდა. იგი ყურეიშელთა ტომიდან, ჰაშიმის გვარიდან იყო. დაიბადა და აღიზარდა ქალაქ **მექაში**, რომელიც არაბეთის საკულტო ცენტრად ითვლებოდა წმიდა ტაძრის – ქააბას გამო. ეს იყო პანთეონი, – სინკრეტული სალოცავი, რომელსაც თითქმის ყველა სარწმუნოების წარმომადგენელი აკითხავდა. წარმართებთან ერთად იქ შეხვდებოდით იუდეველებს და ქრისტიანებსაც კი. მათ ყურადღებას იპყრობდა ტაძრის უმთავრესი სიწმიდე – შავი ქვა (არაბ. ჰაჯარ ალ-ასვად), რომელსაც სასწაულმოქმედ ძალას მიაწერდნენ. ლეგენდის მიხედვით, იგი ალაჰმა უბოძა ადამს. ადამის შვილმა მისთვის ააგო პირველი ტაძარი, რომელიც წარღვნის შემდეგ განაახლეს „ალაჰის მეგობრებმა“ – აბრაამმა და ისმაილმა. ბუნებრივია, რომ ამ სალოცავს არ აკლდა თაყვანისმცემელთა რიცხვი. მათ შორის აქტიურობდა ვაჭარი მუჰამედი, რომელსაც რთული ცხოვრების გზა განევლო. იგი, ღარიბი ვაჭრის – აბდალაჰის – შვილი, ადრე დაობლებულა და ბავშვობა მოჯამაგირეობაში გაუტარებია. იყო მწყემსი, შემდეგ – ქარავნის გამყოლი (აქლემთა გამრეკავი). მერე მდიდარი ქალი – ჰადიჯა – შეირთო და გახდა ვაჭარი. ჰადიჯა ვაჭრის შვილი იყო და, ორი ქმრის გარდაცვალების შემდეგ, თავადაც ვაჭრობას მიჰყო ხელი. მუჰამედმა და ჰადიჯამ უმწიკვლო ოჯახი შექმნეს და სავაჭრო ოპერაციებს ერთობლივად აწარმოებდნენ. მისტიკოსი ვაჭარი ხშირად ისმენდა ებრაელი და ქრისტიანი სასულიერო პირების ქადაგებებს.

მუსლიმანთა რწმენით, მუჰამედს 610 წელს ეუწყა ზეციური სიბრძნე, რომელსაც იგი

სხვათ გადასცემდა. თანდათან, მოძღვრის ქადაგებათა შესაბამისად, ეს სიბრძნე ეტრატზე, პალმის ფურცლებსა და თუ ქვის ფილებზე გადაიტანეს მისმა წერა-კითხვის მცოდნე მიმდევრებმა. ასე შეიქმნა **ყურანი**, რაც არაბულად „კითხვას“ ნიშნავს. მუჰამედის სახელი კი მოციქულის პატივით შეიმოსა.

პირველ ხანებში წარმართები მუჰამედის ქადაგებას ნაკლებ ყურადღებას აქცევდნენ, მაგრამ შემდეგ სერიოზული ზომები მიიღეს. ახალი რჯულის მოძღვარმა დროზე შეიტყო მოსალოდნელი საფრთხე, დატოვა მექა და მოწაფეებთან ერთად იასრიბში გადაიხვეწა, რომელსაც „წინასწარმეტყველის ქალაქი“ – მადინა რასულ ალაჰ, შემოკლებით – **მედინა** ეწოდა. გადმოცემის მიხედვით, მედინაში **გადასახლება ანუ ჰიჯრა** მოხდა 622 წელს. ამ ფაქტს მუსლიმანები დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ, რადგან მიიჩნევენ ისლამის პირველ ტრიუმფად. ეს წელი მათი ერის (წელთაღრიცხვის) დასაწყისად იქნა აღიარებული.

მედინაში ახალი სარწმუნოების მიმდევართა რიცხვი სწრაფად გაიზარდა. მათ იქ ააგეს სალოცავი სახლი – **მეჩეთი** და განაჩინეს რელიგიური განგება. ამის შემდეგ მუჰამედი, ახალი სახელმწიფოს დამაარსებელი და სარდალი, დაბრუნდა და 630 წელს, ჰიჯრიდან 8 წლის შემდეგ, ზარ-ზეიმით შევიდა მექაში, დაამყარა იქ ხელისუფლება და გარდაიცვალა მედინაში 632 წელს. გვიანდელი ცნობის თანახმად, მუჰამედი იერუსალიმსაც სწვევია და წმიდა ადგილები მოულოცავს. ამიტომ აღნიშნული ქალაქები – მექა, მედინა და იერუსალიმი – მუსლიმანთა უდიდესი საკულტო ცენტრებია.

ისლამის გავრცელების მისია იკისრეს მუჰამედის მოწაფეებმა და მიმდევრებმა, მეტადრე – ხალიფებმა. მათ დიდ წარმატებას მიაღწიეს. ეს რელიგია მალე გაბატონდა არაბეთის ნახევარკუნძულზე და მის ფარგლებს გარეთაც – აზიისა თუ აფრიკის მრავალ ქვეყანაში, აგრეთვე კავკასიის დიდ ნაწილში.

ისლამის პირველწყაროა ყურანი. ხშირად მას მუსლიმანურ ბიბლიას უწოდებენ, რაზეც მეტყველებს მეორე სახელი – ქითაბ (არაბ. „წიგნი“).

ისლამური ღვთისმეტყველების თანახმად, ყურანი ბიბლიისაგან – ძველი და ახალი აღთქმისაგან – განცალკევებით კი არ დგას, არამედ მისი სრულყოფილი სახეა. ყურანი არის ზეცის წიგნი, რომელიც ებოძა ყველა ღირს წინასწარმეტყველს: ადამს, ნოეს, აბრაამს, მოსეს, იესო ქრისტეს და, რა თქმა უნდა, წინასწარმეტყველთა გვირგვინს – მუჰამედს. აქ, ცხადია, ყურანის ანუ ქითაბის ქვეშ მოაზრებულია უზენაესი სიბრძნე ანუ საღმრთო წერილი ზოგადად. მუსულმანები ფიქრობენ, რომ ყველა ბიბლიური წიგნი, თორა თუ სახარება (ინჯილი) ჩვენამდე შერყვნილი სახითაა მოღწეული. ყურანი არის ერთადერთი, რომელიც სრულყოფილად შეიცავს ჭეშმარიტებას. ხილული ყურანი, მუსლიმთა თქმით, მხოლოდ ასლია ციური ყურანისა, რომელიც დედამიწაზე მთავარანგელოზმა გაბრიელმა ჩამოიტანა, მიმადლა რჩეულთა რჩეულს – მუჰამედს, ვინაც ჩაიწერა მსახურთა მეშვეობით. მუსლიმთა რწმენით, ყურანი ღვთის შემეცნების გზაზე საბოლოო ნაბიჯია და მსგავს ღვთიურ გამოცხადებას ადგილი აღარ ექნება.

ყურანი დაწერილია გარითმული პროზით. შედგება 114 თავისაგან, რომელთაც არაბულად **სურები** ეწოდება. თითოეული სურა გულისხმობს გამოცხადებას ანუ ხილვას, რაც

წინასწარმეტყველს მიემადლებოდა ხოლმე ექსტაზური ლოცვების ჟამს. სურებს საკუთარი სახელები (სათაურები) აქვთ. ისინი დაყოფილია მუხლებად ანუ ლექსებად (აიებად). სულ 6211 ლექსია. მათგან ზოგიერთი, მაღალმხატვრული სახეებისა და ღრმააზროვნების გამო, მსოფლიო პოეზიის შედევრადაა აღიარებული. აქ ისლამური ღვთისმეტყველება და მსოფლგაგება გაცხადებულია ძირითადად და არსობრივად. თხრობა შეგონებითი ხასიათისაა. ჭარბობს სენტენციები და ალეგორიები, საღვთისმეტყველო და ზნეობრივი შინაარსის მოწოდებები.

ყურანი მოკლებულია სიუჟეტს. ამიტომ იქმნება შთაბეჭდილება, რომ იქ სხვადასხვა აზრები და ლეგენდარული ამბები, ამა თუ იმ პერსონაჟის ისტორია გადმოცემულია უსისტემოდ, ლოგიკური კავშირის, ქრონოლოგიური თანმიმდევრობისა და რაიმე გეგმის გარეშე. ყურანი იზიარებს ბიბლიურ უწყებას სამყაროსა და საზოგადოების თავგადასავალზე, სამყაროს ექვს დღეში შექმნაზე, სამოთხეზე, პირველცოდვაზე, მსოფლიო წარღვნაზე, პატრიარქებზე, რჩეულ ერზე, წინასწარმეტყველებზე, იესო ქრისტესა და მოციქულებზე, მეორედ მოსვლასა და მკვდართა აღდგომაზე. ასე რომ, საღმრთო ისტორიის გამეორების აუცილებლობა ქითაბის წინაშე თითქოს არც დგას. ეს ისტორია არეკლილია მის სტრიქონებსა და სტროფებს – აიებს – შორის. ძველი და ახალი აღთქმის ამა თუ იმ პასაჟს შეხვდებით ყურანის ყოველ გვერდზე. სხვა საკითხია, თუ რამდენად ზუსტად და ობიექტურადაა წარმოდგენილი და გაშუქებული მუსლიმანთა პირველ წიგნში ბიბლიური მოტივები. ფიქრობენ, რომ მუჰამედი უშუალოდ არ იცნობდა საღმრთო წერილს. მან ძველი და ახალი აღთქმის თქმულებანი ან ებრაელებთან და ქრისტიანებთან საუბრისას, ან ზეპირსიტყვიერი გადმოცემებიდან შეითვისა. ქრისტიან ინფორმატორებად კი, უპირატესად, მექაში მცხოვრები ერეტიკოსები უნდა ვიგულვოთ.

მუჰამედი ფიქრობს, რომ ქრისტიანებმა ვერ გაიგეს სწორად და დაამახინჯეს იესოს მოძღვრება. სავალალოა, რომ ისინი არ ცხოვრობენ მათივე მასწავლებლის მცნებათა შესაბამისად, ყოველ ნაბიჯზე არღვევენ რჯულს და შეურაცხყოფენ უდიდესი წინასწარმეტყველისა და მოციქულის – იესო ქრისტეს (ისა ფეიღანბარის) – სახელს. ამდენად, მუჰამედი აკრიტიკებს არა ქრისტეს და მის სახარებას, არამედ ქრისტიანებს, მათ მოძღვრებას და ზნე-ჩვევებს.

მუჰამედმა უარყო ქრისტიანული დოგმა სამების შესახებ. მაგრამ ირკვევა, რომ მას მცდარი წარმოდგენა ჰქონდა ამ საკითხზე. კერძოდ, მისთვის უცხოა ცნება ერთარსებასამება. იგი ყოველთვის სამ ღმერთზე, სამ ღვთაებაზე ლაპარაკობს. ესენია: მამა, იესო და მარიამი. უნდა ვიფიქროთ, რომ მუჰამედი ქრისტიანული მოძღვრების შეფასებისას განიცდიდა იმ სექტის გავლენას, რომელსაც ღვთისმშობელი ღვთის რანგში აჰყავდა, ანდა მის კულტს ერთობ ზრდიდა. ყურანის განმცხადებელი უარყოფდა არა მხოლოდ მარიამის, არამედ მისი ძის – ქრისტეს – ღვთაებობას. მისი არგუმენტებია: 1. იესოსა და მარიამს ახასიათებდათ ყველა ის მოთხოვნილება, რაც ბუნებრივია ადამიანისათვის; 2. იესო არაა ყოვლისშემძლე. აქაც სავარაუდებელია, რომ მექელი ვაჭარი მონოფიზიტების გარემოცვაში ცხოვრობდა და მათი მოძღვრების მიხედვით სჯიდა ქრისტოლოგიის კარდინალურ

საკითხებს; არ ითვალისწინებდა მართლმადიდებლურ მოძღვრებას, რომ ქრისტე ბუნებით არა მხოლოდ ღმერთი, არამედ ადამიანიცაა.

ყურანი გამსჭვალულია მარიამისადმი უდიდესი პატივისცემით, თუმცა ქრისტიანებს საყვედურობს, იგი ღმერთად რად შერაცხეთო. ამაში, ცხადია, ბრალი მიუძღვის სექტანტთა იმ წრეს, რომელშიც ახალი რელიგიის ქადაგი ტრიალებდა და, მისდა უნებურად, სამების დოგმატზე მცდარი შეხედულება უყალიბდებოდა.

არასახარებისეული და ეკლესიის მიერ შეუწყნარებელი აპოკრიფების ბეჭედი აზრის აგრეთვე აიებს ქრისტეს შობის შესახებ. მე-19 სურა გვამცნობს: როდესაც მოახლოვდა ჟამი, მარიამი განერიდა საზოგადოებას და წავიდა „აღმოსავლეთ ადგილას“. ღმერთმა გაუგზავნა მას თავისი სული (რუხ), რომელმაც სრულყოფილი ადამიანის სახე მიიღო... მარიამს ტკივილები პალმის ხესთან მიიყვანს. იგი კვნესის და იტანჯება. ამ დროს ქვემოდან (მუცლიდან) შემოესმება ხმა, რომელიც ამხნევებს და ხალხთან წასვლას ურჩევს. პალმის ძირიდან ანკარა წყარო ამოხეთქავს, ხოლო პალმა ნაყოფს მისცემს მარიამს. როცა მარიამი დაბრუნდება ბავშვით, მას ლანძღავენ როგორც მეძავს, მაგრამ ყრმა ლაპარაკს დაიწყებს და ხალხს დაარწმუნებს თავის ღვთაებრივობაში. ორიენტალისტთა აზრით, აშკარაა მუჰამედზე იუდაური კრიტიკის გავლენა, რომელიც ცელსიუსს აქვს დაფიქსირებული და რომელიც მარიამს აღწერს როგორც ფეიქარ ქალს, რომელსაც ეყოლა შვილი გაქცეული რომაელი ჯარისკაცისაგან. ამ გადმოცემის თანახმად, მარიამმა ჩუმად იმშობიარა სადღაც ტრიალ მინდორში. უცნობი იუდეველი ავტორის მიერ მოგონილი ეს ისტორია მარიამისა და მისი ძის კომპრომეტაციას ისახავდა მიზნად. თუმცა მუჰამედი აკრიტიკებს და სასტიკად გმობს მათ, ვინც მარიამ ქალწულის მშობიარობის ამბავს ეჭვის თვალით უყურებს, იუდაური ჭორის გავლენას მაინც განიცდის.

მუჰამედი თვლის, რომ იესო ღვთის სულისაგანაა ნაშობი. იგი არის „ალაჰის“ სიტყვა და სული. ღმერთი ანგელოზების მეშვეობით თავის სულს, ანუ შთაგონებას, უგზავნის კაცთაგან მას, ვისაც გამოირჩევს. ამ სულს დამოუკიდებელი სუბსტანცია ენიჭება, რომელიც ადამიანში რჩება როგორც მასზე ღვთის ზემოქმედების პროდუქტი. ასე შეიქმნა ადამი, – ღვთის ნებისა და სულის ერთჯერადი მობერვის შედეგად. ადამის მსგავსად კი – ქრისტე. განსხვავება ისაა, რომ პირველს არ ჰყავს ხორციელი დედა. სხვა მხრივ კი ერთიც და მეორეც ადამიანია, ღვთის მიერ შექმნილი და მოვლენილი.

იესო ქრისტეს ქვეყნად მოვლინების მიზეზს ყურანი შემდეგნაირად ხსნის: ვინაიდან მოსეს რჯულს ყავლი გაუვიდა, საჭირო გახდა მისი რეფორმა. ეს მისია დაეკისრა მარიამის ძეს, რომელიც ეუბნება ებრაელებს: „დავამტკიცებ ჭეშმარიტებას, რაც მოგეცათ ჩემამდე რჯულში (იგულისხმება მოსეს კანონები) და დავრთავ ნებას ზოგიერთი რამისა, რაც იყო აკრძალული თქვენთვის“. „ნების დართვა“ აქ ზნეობრივ თავისუფლებას უნდა გულისხმობდეს. ესაა კანონისადმი მონური მორჩილების შეცვლა სიყვარულის დაუწერელი კოდექსით, რაზეც მიუთითებდა მოციქული პავლე. ამიტომაა, რომ, სხვა წინასწარმეტყველებთან შედარებით, იესოს მორალური სახე ყურანში ვრცლადაა წარმოდგენილი. იგი საკუთარი მაგალითებით აძლევს ხალხს ზნეობრივი ცხოვრების გაკვეთილს. იესო არის წმიდა და

უმანკო, როგორც უწინასწარმეტყველეს მარიამს. იგი ამასთანავე იქმს სასწაულს, რათა მოციქულებსა და მოწაფეებს შორის განამტკიცოს რწმენა.

მუჰამედისა და, შესაბამისად, ისლამისათვის უცხოა გამოსყიდვის ქრისტიანული დოგმატი. მისი მოძღვრების მიხედვით ყველა თავის თავზე აგებს პასუხს. ამიტომ, ყურანის თქმით, იესო სოფლის მხსნელი და მაცხოვარი კი არა, – წინასწარმეტყველია. იგი გაკვირვებულია ქრისტიანების რწმენით მესიის ჯვარზე სიკვდილის შესახებ და ამბობს: როგორ დაუშვებდა ღმერთი ასეთი წინასწარმეტყველის სიკვდილს და ისიც სხვათა ცოდვების გულისათვის?

მუჰამედმა იცის, რომ იესოს სიკვდილის გამო „კამათობს წმ. წერილის ხალხი“.

მან სცნო საყოველთაო და მიღებული ფაქტი ქრისტეს ამაღლებისა. თუ მისი სიკვდილის ფაქტსაც სცნობდა, მაშინ მკვდრეთით აღდგომაც უნდა მიეღო, რაც იესოს ღვთაებობის დამამტკიცებელი საბუთი იქნებოდა. ამიტომ მან გაიზიარა ზოგიერთი მწვალებლის თეორია და განაცხადა: იესო ქრისტე არ მომკვდარა, მის მაგივრად სხვა (სვიმონ კვირინელი) გააკრეს ჯვარზე, ხოლო თავად ზეცად ამაღლდა ენოქისა და ელიას მსგავსად; პირდაპირ შევიდა სამოთხეში, სადაც ჯერჯერობით, საყოველთაო აღდგომამდე, მხოლოდ წინასწარმეტყველები და მოციქულები არიან. მუჰამედს სწამს, რომ იესო ქრისტე კვლავაც მოვა დედამიწაზე, „როცა დადგება საათი“ ქვეყნიერების აღსასრულის და განკითხვისა. ეს დრო ხალხისათვის უცნობია. ადამიანები მხოლოდ ნიშნებით მიხვდებიან მის მოახლოებას. ჯერ გაქრება რწმენა კაცთა შორის და გამრავლდება ცოდვა. აქედან გამომდინარე – შუღლი, ჭირი და ომები. მაშინ გამოჩნდება ორი მეომარი ერი – გოგი და მაგოგი, რომელთა შეტაკების დროს განადგურდება კაცობრიობა. მერე აღდგება საოცარი ცხოველი, რომელიც აღნიშნავს მორწმუნეთ და ურწმუნოთ, მაშინ მოვა ქვეყნად იესო და ყველა ირწმუნებს მას.

მუსლიმანები და ქრისტიანები ერთხმად აღიარებენ, რომ მესია არის ღვთის სიტყვა. უთანხმოება მდგომარეობს იმაში, რომ იესო ქრისტე, ისლამური ღვთისმეტყველების (ქალამის) თანახმად, შექმნილია, ხოლო ყურანი მარადიული და შეუქმნელი. ასე რომ, ისლამი უპირისპირდება ეკლესიის მრწამსს, რომელიც გვამცნობს: ღვთის სიტყვა არის „შობილი და არა ქმნილი“. ამ საკითხში მუჰამედი და მისი მიმდევრები არიოზის პოზიციაზე დგანან (იხ. ზემოთ). ეს თვალსაზრისი კი, ბუნებრივია, ქრისტიანთა მძაფრ რეაქციას იწვევდა; ამტკიცებდნენ, რომ ყურანი არ არის ღვთის სიტყვა, მითუმეტეს – შეუქმნელი; მარადიული ღვთის ჭეშმარიტი სიტყვა არის მისი მხოლოდშობილი ძე.

ირკვევა, რომ სწორედ იესო ქრისტეს დაუსაბამობისა და მარადიულობის დოგმატს ასაბუთებდა მეფე დავით აღმაშენებელი ისლამის აპოლოგეტთა წინაშე (იხ. გ. ჯაფარიძე, რაზე ეკამათებოდა დავით აღმაშენებელი განჯის ყადის? „რელიგია“, 1993, N 3-4).

ისლამი, რომელიც არაბული სიტყვაა და **მორჩილებას** ნიშნავს, მონისტური რელიგიაა; აღიარებს ერთსახოვან ღმერთს. იგი მკვეთრად დაუპირისპირდა პოლითეიზმს. მან ქრისტიანული ტრიადა სამ ღმერთად მოიაზრა და უარყო იგი. ყურადღება შეაჩერა ებრაულ თეოლოგიაზე, რაც გახდა წყარო მისი მრწამსის ძირითადი ფორმულისა, შაჰადისა: „ლა

ილაჰა ილლა-ლ-ლაჰუ ვა მუჰამადუ რასულუჰუ“ (არ არს ღმერთი გარდა ალაჰისა და მუჰამედია ალაჰის მოციქული).

ისლამი, როგორც ყველა რელიგია, ორი ნაწილისაგან შედგება: დოგმატიკა (ანუ მოძღვრებითი მხარე) და კულტი, ე.ი. ღვთისმსახურება. მოძღვრება ხუთ ელემენტს შეიცავს: 1. ერთი ღმერთის, ალაჰის რწმენა; 2. ანგელოზების რწმენა; 3. საღვთო წერილის ანუ ყურანისა და წინასწარმეტყველთა სხვა წიგნების რწმენა; 4. საყოველთაო აღდგომისა და უკანასკნელი სამსჯავროს რწმენა და 5. ბედისწერის რწმენა. ყურანი ასე აყალიბებს ისლამის ძირითად დოქტრინას: „მორწმუნენო, იწამეთ ღმერთი, მისი მოციქული, წიგნი, რომელიც მას მოუვლინა; მის უწინარეს მოვლინებული წერილი. ვისაც არა სწამს ღმერთი, მისი ანგელოზები, მისი წიგნები, მისი მოციქულები და უკანასკნელი დღე, ღრმა ცდომილებაშია“. როგორც ქრისტიანული ღვთისმეტყველება ემყარება ნიკეა-კონსტანტინოპოლის რწმენის სიმბოლოს, ისლამური მოძღვრებაც გამომდინარეობს ზემოაღნიშნული ხუთი დებულებიდან, – ისლამის ხუთი მცნებიდან.

ეს მოძღვრება წარმოდგენილია წიგნებში, რომლებიც VIII-IX სს-ში შეიქმნა არაბულ ენაზე. მათგან, ყურანის გარდა, აღსანიშნავია **სუნა** და **შარიათი.** „სუნა“ ნიშნავს „გადმოცემას“, განმარტებას. მუსლიმანთათვის ესაა “სულისმარგებელი კრებული“, სადაც ასახულია მუჰამედისა და სხვა პირველმუსლიმანთა ცხოვრება, როგორც ეტალონი შემდგომი თაობებისათვის. დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე „შარიათს“, რაც არის კანონთა კოდექსი, ე.ი. მუსლიმანთა რჯულის კანონი.

სუნას შექმნის მიზეზი ასეა ახსნილი სპეციალურ ლიტერატურაში: ყურანის ბევრი ადგილი ბუნდოვანია და ორაზროვანი. მათგან ზოგიერთის მნიშვნელობა გასაგები იქნება იმ შემთხვევაში, თუ გვეცოდინება: რა გარემოებაში ებოძა მუჰამედს ესა თუ ის „გამოცხადება“, როგორ ესმოდა მას ყურანის ესა თუ ის ადგილი, ვინ და რა იგულისხმება კონკრეტულ შემთხვევაში ამა თუ იმ ფრაზის მიღმა. ამის გამო მუსლიმანი ღვთისმეტყველები თავიდანვე აგროვებდნენ ცნობებს წინასწარმეტყველის ცხოვრებისა და მოღვაწეობის დეტალებზე. მათთვის პირველწყარო იყო ზეპირგადმოცემა, რომელიც თვითმხილველთა ბაგეთაგან მომდინარეობდა. ერთ-ერთ სარწმუნო ინფორმატორად ითვლებოდა მუჰამედის საყვარელი ცოლი აიშა, რომლის ნაამბობს სუნიტებისათვის (იხ. ქვემოთ, გვ. 188) დიდი ფასი აქვს.

ისლამურ კულტმსახურების ძირითადი ელემენტებია რწმენის ფორმულა (შაჰადი), ლოცვა, მარხვა, მოწყალება ანუ ქველმოქმედება (ზაქათი) და პილიგრიმობა (ჰაჯი) ანუ სალოცავად მოგზაურობა მექასა და მედინაში. ლოცვას, როგორც წესი, წინ უძღვის მოსამზადებელი საფეხური – განბანა. დაწესებულია დღეში ხუთგზის ლოცვა: დილით – მზის ამოსვლამდე, შუადღისას, ნაშუადღევს, საღამოს და დაღამებისას (დაწოლის წინ). ყოველი ლოცვა იწყება ზემოაღნიშნული ფორმულით: „არ არს ღმერთი...“ ამ ფორმულას მუსლიმანი წარმოთქვამს ყველგან, ყოველ მნიშვნელოვან მომენტში, მათ შორის – სიკვდილის წინ. ლოცვის დროს შაჰადი რამდენჯერმე მეორდება.

მუსლიმანები ვალდებული არიან შეინახონ რამაზანი და გადაიხადონ დღესასწაულები. რამაზანი დაწესებულია მუსლიმანური მთვარის კალენდრის მე-9 თვეს, რაც მოძრავია და

სხვადასხვა დროს მოდის. ამ დროს მორწმუნენი მზის ამოსვლიდან მზის ჩასვლამდე არაფერს ჭამენ, არც სვამენ, არც იბანენ და არც სქესობრივ ცხოვრებას ეწევიან.

ისლამს აქვს დღესასწაულთა მდიდარი ციკლი. „დღესასწაულის“ არაბული სახელი – „ყიდუნ“, რომლის ძირი „დაბრუნებას“, „განმეორებით გაკეთებას“ ნიშნავს, – ნათლად გამოხატავს სამახსოვრო დღეთა პერიოდულად აღნიშვნის რელიგიურ არსს. მისი მიზანი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, არის ადამიანთა სულსა და გულში იმ მადლის შენარჩუნება, რასაც გულისხმობს სათაყვანებელი დღე და ამბავი. მუსლიმებისათვის ასეთი დღეებია: ურაზა-ბაირამი (გაზაფხულის მარხვის დამთავრების ანუ გახსნილების დღე), ყურბან-ბაირამი (ურაზა-ბაირამიდან 70 დღის შემდეგ: ესაა მსხვერპლშეწირვის დღე, – კლავენ ცხოველებს), მავლიდი – მუჰამედის დაბადების დღე, მიჰრაჯი – მუჰამედის ზეცად ამაღლების დღე, შაჰსეი-ვაჰსეი ანუ აშურა და სხვა. უკანასკნელი სამგლოვიარო დღესასწაულია, რითაც მუსლიმები იხსენიებენ მუჰამედის შვილიშვილის – ჰუსეინის – მოწამებრივ ღვაწლს. ესაა რელიგიურ-სამგლოვიარო ცერემონიალი, რასაც ახლავს თვითგვემა: მორწმუნეები დანებით ისერავენ ტანს, იბორკავენ ხელ-ფეხს, იცემენ მჯიღს და მოსთქვამენ – „შაჰ ჰუსეინ, ვაჰ ჰუსეინ!“

მუსლიმანთა საზოგადოება დაარსების პირველი ასწლეულიდან ორ ნაწილად: **სუნიტებად** და **შიიტებად** გაიყო. სუნიტები თავს თვლიან „სუნას“ – მუჰამედისა და მისი მოწაფეების ცხოვრების ამსახველი წიგნის – მიმდევრებად. იგი ისლამის ძირითადი მიმართულებაა და ითვლება ორთოდოქსულად. მიჩნეულია, რომ სუნიზმი, შიიზმთან შედარებით, დემოკრატიული, ლმობიერი, შემწყნარებელი და სწავლა-განათლების პატივისმცემელი კონფესიაა. შიიტების პარტია (არაბ. შია-სექტა, პარტია, მიმდევართა ჯგუფი) შეიქმნა არაბთა სახალიფოში VII ს-ის შუა წლებში, როგორც ერთ-ერთი პოლიტიკური დაჯგუფება. იგი, სუნიტებისაგან განსხვავებით, კანონიერ ხალიფად (იმამად) მხოლოდ მუჰამედის ასულის ფატიმასა და მისის მეუღლის ალის შთამომავლებს თვლიდა და მათი უფლებების დასაცავად გამოდიოდა. ეს პარტია პოლიტიკურ სარბიელზე დამარცხდა, მაგრამ გადაიზარდა რელიგიურ-პოლიტიკურ მიმართულებად. ისინი ჯიუტად აღიარებდნენ ალისა და მისი შთამომავალი 12 იმამის (ალიდების) კანონიერ ხელისუფლებას და უკანონოდ აცხადებდნენ არაბეთის პირველ ხალიფებს – აბუ ბაქრის, ომარს, ოსმანს და სხვათ. ამ უკანასკნელთა გვერდით მუჰამედის საყვარელი ცოლი აიშა იდგა. ალის მიმდევრებმა (შიიტებმა) არ ირწმუნეს „სუნა“ და სუნიტებს გაემიჯნენ. ანტაგონიზმმა სუნიტებსა და შიიტებს შორის მწვავე ხასიათი მიიღო, რაც არაერთხელ გადაზრდილა რელიგიურ ომებში.

ისლამის ისტორიაში, აღნიშნული მიმდინარეობების გარდა, ცნობილია სექტები, რომელთაგან ზოგი მნიშვნელოვნად განსხვავდება კანონიკური, ოფიციალური და ტრადიციული ისლამისაგან როგორც გარეგნულად, ისე შინაარსით. ამ სექტათა შორის ყველაზე ძველია **ხარიჯიზმი**, რომელიც, უპირველეს ყოვლისა, მიმართული იყო ხალიფების განუსაზღვრელ უფლებათა წინააღმდეგ. მას ჰქონდა ლოზუნგი ხალიფების დემოკრატიულად არჩევითობის თაობაზე. ქადაგებდა ზნეობისადმი მეტი ყურადღების გამოჩენას, რიტუალების შემცირებას, პიროვნების ღირსებას, არჩევანის თავისუფლებას და ა.შ.

აღმოსავლეთის რელიგიურ და პოლიტიკურ სარბიელზე თვალსაჩინო როლი შეასრულეს შიიზმის განშტოებებმა: **ისმაილიტებმა, მუთაზილიზმმა** (რაც განდგომას, განმხოლოებას ნიშნავს), **აშარიზმმა** (დამფუძნებელი აბუ-ალ-ჰასან აშარი) და სხვამ, რომელთაც, შესაძლებელია, ისლამური პროტესტანტიზმი ვუწოდოთ, რადგან ეწინააღმდეგებოდნენ ოფიციალურ კულტმსახურებას. ზოგი მეტ სიმკაცრეს მოითხოვდა, ზოგი – პირიქით, ქადაგებდა თავისუფლებას დოგმატიკისა და რიტუალების თვალსაზრისით. მათი შეხედულებით, რელიგიაში მნიშვნელობა აქვს შინაგანს, მისტიურ მხარეს. წეს-განგებანი და ყოველდღიური ცხოვრების მოთხოვნილებანი უბრალო ფორმალობაა. ისინი საჭიროა მხოლოდ მდაბიოთათვიმს, რომელთაც ძალა არ შესწევთ შეიგნონ მათი სიმბოლური მნიშვნელობა. ამდენად, ისლამურ სექტებში თავი იჩინა ინდივიდუალურმა მისტიკამ.

მკითხველთა ყურადღებას ისმაილიტებზე შევაჩერებთ.

ისმაილიტთა სექტა წარმოიშვა VIII ს-ის 60-იან წლებში და დღესაც არსებობს. ისინი თვლიან, რომ იმამების ხაზი წყდება არა თორმეტზე (როგორც შიიტებს მიაჩნიათ), არამედ შვიდზე. საგულისხმოა ისტორიული ფაქტი: დაახლოებით 760 წლის მეექვსე იმამმა – ჯაფარ სადიკმა – მემკვიდრეობა წაართვა თავის შვილს – ისმაილს, რადგან სპირტიანი სასმელებისაკენ მისწრაფება შეამჩნია. ჯაფარის თქმით „ღვთიური თვისებების მატარებელ იმამს ლოთობასთან არაფერი საქმე აქვს“. შიიტების უმრავლესობამ გაიზიარა იმამის გადაწყვეტილება. უმცირესობამ კი გაილაშქრა ამ მოქმედების წინააღმდეგ და შექმნა სექტა, რომელიც გამოირჩეოდა ლიბერალობით, კერძოდ, ალკოჰოლთან დამოკიდებულების საკითხში. ამ სექტამ შეიმუშავა რელიგიურ-ფილოსოფიური სისტემა, რომელიც ეფუძნებოდა ანტიკური მოაზროვნეების – პლატონისა და არისტოტელეს – იდეებს, აგრეთვე – ნეოპლატონიზმს. დანერგა ყურანის ალეგორიულად გააზრების ტრადიცია და მოითხოვა თავისუფლება ცხოვრების სხვადასხვა უბანზე. XI-XII სს-ში ისმაილიტებს გამოეყვნენ ჯგუფები, რომელთაგან ჩვენს ყურადღებას განსაკუთრებით **ისმაილიტ-მულიდების ანუ ასასინების ორდენი** იპყრობს.

„ვეფხისტყაოსნის“ ზოგიერთი მკვლევრის წინაშე წამოიჭრა საკითხი: სწორუპოვარ პოემაში ქაჯებისა და მათი ციხე-სიმაგრის ქვეშ ხომ არ იგულისხმებიან ისმაილიტ-ასასინები და მათი ქალაქი ალმუთი? ამ კითხვას დადებითი პასუხი გასცა აკად. კ.კეკელიძემ (იხ. გამოკვლევა – ავტორი ვეფხისტყაოსნისა და დრო მისი დაწერისა, ეტიუდები..., XII). მანვე მიმოიხილა პრობლემის ისტორიული ფონი, რაც მრავალი კუთხითაა საინტერესო.

მულიდები ანუ მოლიდები წარმოადგენდნენ ისმაილიტების ერთ-ერთ შტოს. ეს, თავდაპირველად სარწმუნოებრივი სექტა, შემდეგში იქცა სამხედრო-პოლიტიკურ ორგანიზაციად, რომელიც ჩამოყალიბდა 1081 წლის მახლობლად. იგი გასაიდუმლოებული საზოგადოება იყო და, ცხადია, განცალკევებული დანარჩენ მაჰმადიანთაგან. მიუვალ მთებში, სალ კლდეებსა და ნაპრალებში, ასასინებს ჰქონდათ ციხე-სიმაგრეები, საიდანაც ავრცელებდნენ თავიანთ გავლენას. ცენტრად სექტისა, სადაც ცხოვრობდა მათი მეთაური, ითვლებოდა ალმუთი (რაც „არწივის ბუდეს“ ნიშნავს. ამის გამო ქართულ წყაროებში მულიდები „ალმუთელებად“ იწოდებიან). ეს იყო ციხე-ქალაქი ჩრდილოეთ სპარსეთში, ყაზვინის მახ-

ლობლად, გაშენებული ციცაბოებსა და ნაპრალებზე, რომელშიაც შესვლა გვირაბებითა და ხვრელებით შეიძლებოდა მხოლოდ. სელჩუქიანთა სულთანებმა მთელი თავიანთი ღონე და ენერგია შეალიეს მას, მაგრამ აღებით მაინც ვერ აიღეს, იმდენად ძლიერი და მიუვალი იყო ის. ძლიერების ძირითადი მიზეზი კი ის იყო, რომ ასასინები, დარწმუნებულნი იმაში, რომ ემსახურებიან ღვთის საქმეს, არ ერიდებოდნენ არავითარ ხიფათს და განსაცდელს, სიხარულით ეგებებოდნენ სიკვდილს. ამასთანავე, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ისინი, ორდენის წევრები, ფლობდნენ მეომრისათვის უდიდეს ძალას და ხელოვნებას, რასაც აღწევდნენ საგანგებო წვრთნის, ფიზიკური და ფსიქოლოგიური, სპორტულ-რელიგიური, ასკეტური მომზადების შედეგად. მათ შეთვისებული ჰქონდათ გაუჩინარების ფანდები, რასაც საიდუმლოდ ინახავდნენ. ამის წყალობით ასასინები მეტად მოხერხებული ადამიანები იყვნენ: არ იყო ისეთი დაბრკოლება, რომელიც მათ არ გადაელახათ მიზნის განხორციელებისას; არ იყო ისეთი საქმე, რომელიც მათ არ სცოდნოდათ მოწინააღმდეგეთა ბანაკიდან; არ იყო ისეთი საჯარო ადგილები და დაწესებულება, სადაც ისინი შეუმჩნევლად, როგორც უხილავი სული და გრძნეული არსება, არ შეპარულიყვნენ და ისიც არა მარტო ღამით, არამედ დღისითაც. ისინი მიდიოდნენ შორს, ცხრა მთას იქით, რათა სასიკვდილო დანა ჩაეცათ ძლევამოსილი მტრისათვის მისი ჯარის თვალწინ, ძლიერ სულთანისათვის ფხიზელი დარაჯებით გარშემორტყმულ სასახლეში, გავლენიანი მოხელეებისათვის მათ გარშემო შემოკრებილი მდივნების წრეში. ალმუთელები თავზარს სცემდნენ მთელი აღმოსავლეთის მეფე-ბატონებს და ჯვაროსან რაინდებს... და მაინც ქართველთა, მონღოლთა და სპარსთა შეერთებულმა ლაშქარმა, უდიდესი ძალისხმევის შედეგად, შვიდწლიანი დაუცხრომელი და სისხლიანი ბრძოლების შემდეგ, 1256 წლის 24 ნოემბერს, შემუსრა ალმუთი და გააქარწყლა მითი მისი უძლეველობის შესახებ.

მულიდების უცნაურ ორდენსა და „ქაჯთა სამეფოს“ შორის მსგავსება შესამჩნევია.

მკვლევარებს გამოაქვთ დასკვნა, რომ ისლამი და ისლამური სამყარო არ არის ერთსახოვანი. იქ, სხვა რელეგიების მსგავსად, განირჩევა ორი მხარე – ეგზოთერული (გარეგანი) და ეზოთერული (შინაგანი). პირველი გულისხმობს მასებისათვის, ე.ი. მარტივმორწმუნეთათვის განკუთვნილ კულტსა და დოგმას, მეორე კი – მისტიურ მოძღვრებას, თვითშემეცნების გზით პიროვნების ინიციაციას ანუ სულიერ ზეაღსვლას. ამის საუკეთესო მაგალითია სუფიზმი.

სუფიზმი არის საერთო სახელი მისტიურ-ასკეტური სექტებისა, რომლებიც ჩაისახა ისლამის წიაღში. მისი უდიდესი წარმომადგენელი და თეორეტიკოსია **ალ-ღაზალი.** მან არაბულ ენაზე შექმნა ტრაქტატები, რომლებშიც წარმოდგენილია პიროვნების სულიერი სრულყოფის სისტემა. შეიძლება ითქვას, რომ სუფიზმი არის ისლამის ეზოთერული მხარე. მისი არსებითი ნიშანია პიროვნებაში აბსოლუტის აღმოჩენა და ინდივიდის ერთყოფა უზენაესთან. იქ მასწავლებლებს ერქვათ შეიხები, მწირ-მოძღვრებს კი – დერვიშები, მოწაფეებს – მიურიდები. პიროვნება სრულყოფის გზაზე გადიოდა სამ ძირითად ეტაპს: 1) ტარიკათი ანუ „გზა“. ეს ნიშნავს მოწაფის დადგომას მართებულ გზაზე. იგი გულისხმობს გარკვეული წესების დაცვას და რიტუალების შესრულებას, მისტიურ სავარჯიშოებს. მათი

თავყრილობა ხშირად მუსიკისა და როკვის ფონზე მიმდინარეობდა; 2) ჰაკიკათი ანუ ჭეშმარიტება. აქ მოწაფე უკვე თვალს უსწორებს ჭეშმარიტებას. გარკვეული აზრით, ესაა ტარიკათის შედეგი, როდესაც მიურიდს ეხსნება სულიერი მზერა და უფაქიზდება ცნობიერება. ასე რომ, ჰაკიკათი საკმაოდ მაღალი დონეა; 3) საბოლოო ეტაპი, რასაც ცოტანი თუ აღწევენ, არის ფანა ანუ დანთქმა. იგულისხმება უნივერსალურ გონთან აბსოლუტური ერთიანობის დამყარება. თეოზისის ანუ განღმრთობის ამ სტადიაში პიროვნება ქრება და მთლიანად ერწყმის აბსოლუტს.

სუფიზმის ფილოსოფიურ საფუძველს ნეოპლატონიზმი წარმოადგენდა, რომელმაც სრულყოფილი სახე მე-3 ს-ში პლოტინის მიერ მიიღო. მისი მოძღვრების თანახმად, ყოფიერება წარმოადგენს ღვთის ემანაციას (გამოშვებას, შეიძლება ითქვას – გამოსხივებას), რომელიც, მანძილის გამო, თანდათან კლებულობს და უხეშდება. მაგალითად: სხივი, რაც უფრო შორდება საწყისს, ფერმკრთალდება და ბოლოს წყვდიადში ქრება. ასევე, – საფეხურიდან საფეხურამდე სუსტდება ღვთაებრივი ემინაციის ძალა. ბოლოს იგი მატერიის, ხილული სამყაროს, ხორცის სახით გვევლინება. ამიტომაც, ქვეყანა დეგრადაციის შედეგია. მაშასადამე, ჩვენი სისხლი და ხორცი, როგორც მატერიალური სამყაროს ნაწილი, არის წყვდიადი, სრული გაუხეშება, ბოროტება. აქედან გამომდინარეობს დასკვნა: თუკი გსურს, თავი დააღწიო ბოროტებას, მოიძულე ხორცი და გრცხვენოდეს მისგან. მხოლოდ ექსტაზი, სულის აღტყინება, სხეულის საპყრობილედან გათავისუფლება მიგვაახლებს უზენაეს იდეალს, აგვამაღლებს ტრანსცენდენტურ სინამდვილემდე და დაგვნთქავს მარადიულ ნათელში. ეს რთული პროცესია, რომელიც ადამიანმა სულის განწმენდით (კათარზისით) უნდა დაიწყოს. შემდეგი საფეხურია ასკეტობა, ვნებათაგან განდგომა, ხორცის ნაჭუჭში მყოფობის დროს იმავე ხორცისადმი ზიზღისა და ომის გამოცხადება. ინიციაციის გზა მარად ზეაღმავალია.

სუფიზმი გავრცელდა თითქმის ყველა მუსლიმანურ ქვეყანაში. ვინაიდან იგი მწიგნობრული და ინტელექტუალური სისტემა იყო, დადებითი გავლენა იქონია კულტურაზე. მეტადრე კლასიკურ სპარსულ და თურქულ პოეზიაზე, რომლის სახელოვანი წარმომადგენლები არიან: ჯალალ ედ-დინ რუმი, ომარ ხაიამი, ჰაფეზი, ნიზამი განჯელი, აბდულ-რაჰმან ჯამი და სხვა.

საქართველოში ისლამის გავრცელება არაბობის ხანიდან (VII-IX სს-იდან) დაიწყო. როგორც იოანე საბანისძე გვაუწყებს, ჩვენი თანამემამულეების ნაწილი, ზოგი ნებით, ზოგი ძალით, ზოგი ცდუნებით, ზოგი ანგარებით, ზოგი „სიყრმესა შინა უმეცრებით“ მუსლიმანი ანუ, ძველი ქართულით, სარკინოზი, ისმაიტელი გახდა. სამხრეთ საქართველოს (აჭარის, ტაო-კლარჯეთისა და მესხეთ-ჯავახეთის) ისლამიზაციას ადგილი XVI-XVII სს-ში ჰქონდა. ქართველი მუსლიმანების რიცხვს ის კახელებიც შეემატნენ, რომლებიც შაჰ-აბასმა ირანში გადაასახლა და მათი შთამომავალნი დღესაც იქ ცხოვრობენ (ფერეიდნელი ქართველები), პოლიტიკური, ეკონომიკური თუ სხვა მოტივებით ისლამს ზოგჯერ ჩვენი ხალხის ელიტარული ნაწილის წარმომადგენლებიც აღიარებდნენ. შემორჩენილია ქართველთა გამაჰმადიანების ოსმალური წესის ტექსტი (იხ. ჩვენი სახელმძღვანელო „რელიგიის კარიბჭე“, გვ. 336-337).

ასე რომ, საქართველოს გეოგრაფიული და ისტორიული პირობების გამო ისლამურ სამყაროსთან ინტენსიური ურთიერთობა ჰქონდა, რამაც კვალი ქართული კულტურის ისტორიასა და ეთნოგრაფიულ ყოფაშიც დატოვა. „ოქროს ხანას“ და აღორძინების პერიოდში (XI-XIII და XVI-XVIII სს.) ქართულ ენაზე ისლამური სიტყვაკაზმული მწერლობის თითქმის ყველა პირველხარისხოვანი ძეგლი ითარგმნა. უეჭველია, რომ გამუსლიმანებული ქართველებიდან შემოქმედებითი უნარით არა ერთი და ორი პიროვნება გამოირჩეოდა. მათგან ზოგი მშობლიურ ენაზე აგრძელებდა მოღვაწეობას (მაგალითად, XVII ს-ის ისტორიკოსი ფარსადან გორგიჯანიძე), უმრავლესობა კი სხვაენოვან გარემოს შეესისხლხორცა. მათი სახელების გამოვლენა და წარმოჩენა ჩვენი აღმოსავლეთმცოდნეების კვლევა-ძიების საგანია.

გამუსლიმანებული ქართველები, შუასაუკუნეობრივი ეროვნულ-პოლიტიკური ხედვისა და მენტალიტეტის თანახმად, ქართველებად აღარ ითვლებოდნენ. თანამედროვე ცნობიერებით, ეს გაუგებრობაა და ამ გაუგებრობისაგან ჩვენი ხალხი მთლიანად გათავისუფლებული დღესაც არაა, რაც აზიანებდა და აზიანებს ეროვნული ერთიანობის იდეას. ამ იდეის მიხედვით ქართველი ერი – ქრისტიანიც და მუსლიმანიც – არის ერთიანი და განუყოფელი. თუ გვინდა გავუფრთხილდეთ მას, პატივი უნდა ვცეთ თითოეულის სინდისს და სარწმუნოებას კეთილმორწმუნე დავით აღმაშენებლის მსგავსად.

მაგალითად ჩვენი ქვეყნის ახლო წარსულიდან საქართველოს დამფუძნებელი კრების ოფიციალური განცხადებაც გამოგვადგება:

„... ნურავინ იფიქრებს, რომ სარწმუნოება ხელს შეუშლის ქრისტიან და მაჰმადიან ქართველების ერთობას. რჯული რჯულია, მაგრამ სისხლი და ეროვნება კიდევ სხვაა. ჩვენ მაჰმადიან ძმებს რჯული აერთებს სხვა მაჰმადიანებთან, მაგრამ ენით, სისხლით, იერით ქრისტიან ქართველებთან არიან... ქრისტიანი ქართველები არ ვიცნობთ მაჰმადის სარწმუნოებას და ბევრს ჰგონია, რომ იგი საერთოდ განათლებისა და დაწინაურების წინააღმდეგია. ეს მართალი არაა. არაბები და სპარსელები მაჰმადიანები არიან, მაგრამ ერთ დროს თავის განათლებით ევროპის ყველა ერზე მაღლა იდგნენ. თვითონ მოციქული მაჰმადი ქრისტიანების სახარებას დიდად აფასებდა და ამბობდა – სახარება ღვთისგან მოვლენილი წიგნიაო. მაჰმადის ყურანში ბევრია ქადაგება სიყვარულისა და კეთილი საქმეების და ყოველი ქრისტიანი ქართველი ყოველთვის პატივს უნდა სცემდეს მაჰმადის რჯულს, რომლის აღმსარებელია მრავალი მილიონი სხვადასხვა ხალხი და რომელსაც მისდევს ჩვენი ღვიძლი ძმებიც. მაჰმადის რჯული ჩვენი ძმების რჯულია და მუდამ განსაკუთრებულის ყურადღებით უნდა ვეპყრობოდეთ მას. პატივს უნდა ვსცემდეთ ყოველი ადამიანის რჯულს, მით უფრო ძმისას.

უნდა გავიმეოროთ კიდევ ერთხელ: რჯული სხვადასხვა გვაქვს მაჰმადიან და ქრისტიან ქართველებს, მაგრამ ორივენი ერთი საქართველოს შვილები ვართ. ერთი ენა, ერთი სისხლი, ერთი ხასიათი გვაქვს. ჩვენი ძალა შეერთებაშია. ბედნიერებას მხოლოდ ერთობა და ძმობა მოგვიტანს.

არავინ უნდა დაივიწყოს ეს. ამისათვის უნდა ვმუშაობდეთ ყველა“ („მაჰმადიანი ქართველები“, ტფ. 1920, გვ. 15-16).

საქართველოში დღეს ისლამს ნახევარ მილიონზე მეტი მოქალაქე აღიარებს. აჭარელი და აფხაზი მუსლიმანები სუნიტები არიან. მათი ზუსტი რიცხვი ცნობილი არაა. აღმოსავლეთ საქართველოში, აზერბაიჯანელთა შორის, შიიზმია გავრცელებული. თბილისის მეჩეთი აღმოსავლეთ საქართველოს მუსლიმანთა ცენტრად ითვლება. იქ აღმოსავლეთ საქართველოს მთავარი მოლა და ახუნდი (ზედამხედველი) მსახურობს (ბ-ნი ალი ალიევი). თბილისის მეჩეთში შიიტები და სუნიტები ერთად ლოცულობენ, რაც იშვიათობაა.

მუსლიმთა კომპაქტური დასახლებები ყვარლის, ლაგოდეხის, თელავისა და ახმეტის რაიონებშიც გვხვდება. ისინი დაღესტნელები (ლეკები) და ქისტები არიან. მათი სარწმუნოება სუნიტურია, რადგან ისლამი კავკასიაში თურქეთიდან, სუნიტების ქვეყნიდან, შევიდა, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, დაღესტნურ-ჩეჩნურ-ინგუშური ისლამისათვის ნიშანდობლივია სუფიზმის, კერძოდ, ტარიკათიზმის (იხ. ზემ.) გავლენა და სუნიტურ-სუფიური პრაქტიკის მთის ადათ-წესებთან შეხამება.

თანამედროვე საზოგადოების მძაფრ ინტერესს პანკისის ხეობის (ახმეტის რაიონის) ქისტები იწვევენ. ეთნიკურად და ენობრივად ისინი ჩეჩნების მონათესავე ტომია და XIX ს-ის შუა წლებამდე ახლანდელი ჩეჩნეთის ტერიტორიაზე სახლობდნენ.

ჩეჩენ-ქისტები უფრო მეტად სოფლურ (პაგანიზებულ) ქრისტიანობას მისდევდნენ, თუმცა ჩანს, რომ ადრე იქ ეკლესიურ-კანონიკური ქრისტიანობაც საკმაოდ ფესვგადგმული ყოფილა. როდესაც ჩრდილო კავკასიას რუსეთის ჯარები მოადგნენ, ადგილობრივმა ტომებმა ყურადღება ისლამის მიმართ გაამახვილეს, რადგან მისი დროშის ქვეშ ეროვნული თავისთავადობის შენარჩუნებას და რუსებისაგან თავის მოზღუდვას ცდილობდნენ. 1785 წლის გაზაფხულზე ჩეჩნეთში შეიხი მანსური, ადრინდელი, მწყემსობისდროინდელი სახელით, – უშურმა, გამოჩნდა. რუსების წინააღმდეგ მან ჰაზავათი (საღვთო ომი) გამოაცხადა და მხარის ისლამიზაციის პროცესი გააქტიურა. ქისტები, რომლებიც პანკისის ხეობაში XIX ს-ის 20-30-იან წლებში ჯგუფ-ჯგუფად ჩამოსახლდნენ, მეტწილად ქრისტიანები იყვნენ. გაშენდა სამი სოფელი, რომელთაგან ერთში, დუისში, მუსლიმანები ცხოვრობდნენ, ორში, ჯოყოლოსა და ომალოში – ქრისტიანები. უცნაურია, რომ ისინი, თითქმის მასობრივად, XX ს-ის შუა წლებში, კომუნისტური რეჟიმის პირობებში, გამუსლიმანდნენ. მათ შორის ისლამის, უფრო ზუსტად, – სუნიზიმის ის სახეობა დაინერგა, რომელიც XIX ს-ის 60-იან წლებში ჩეჩენთა რელიგიურმა ლიდერმა **შეიხმა ქუნთ-ჰაჯიმ** ჩამოაყალიბა. მას **ზიკრულლახი** ანუ, მეორენაირად, **ზიქრიზმი** ეწოდება. „ზიქრ“ არაბული სიტყვაა და „ხსენებას“ ნიშნავს. იგულისხმება უფლის მოუკლებელად გახსენება და მისი სახელის „ალლაჰის“ მუდმივი განმეორება.

ზიკრულლახი, იგივე ზიქრიზმი, რომელსაც **ქუნთ-ჰაჯის მიმდევრობასაც** უწოდებენ, სინკრეტული კონფესიაა, – სუნიზმისა და აღმოსავლური მისტიციზმის კონგლომერატი. იგი შეხამებულია ადგილობრივ კოლორიტთან და ტრადიციებთან და მთის ქრისტიანული წეს-ჩვეულებების მიმართაც (საკლავის დაკვლა, სანთლის დანთება, ჯვარ-ხატებში სიარული) ლოიალობით გამოირჩევა. მას ექსტაზური რიტუალები და ლოცვები ახასიათებს, რაც მამაკაცთა რიტუალურ წრებრუნვებში, მძაფრ მედიტაციებსა და ეგზალტაციებში გამო-

იხატება. განსაკუთრებით საინტერესოა ნაზმები (გალობანი), რომელსაც ქალები მისტიური გზნებით და თავდავიწყებით ასრულებენ.

ქისტების უმრავლესობა, 4000-მდე, ქუნთ-ჰაჯის მიმდევარია. მათ სულიერ ლიდერს იმამი ეწოდება. ამ თანამდებობაზე დღეს იდრიზ ციციაშვილია. არიან სხვა წესის მუსლიმანებიც. მათგან ყველაზე მეტად ვაჰაბიტები აქტიურობენ.

ვაჰაბიზმი ისლამური პროტესტანტიზმია. იგი XVIII ს-ის შუა წლებში საუდის არაბეთში აღმოცენდა. სახელწოდება დამაარსებლის მუჰამედ იბნ აბდ ალ-ვაჰაბის გამო შეიძინა. ვაჰაბი თავის მოძღვრებასა და რელიგიურ პრაქტიკას „სუფთა ისლამს“ უწოდებდა და რწმენის ერთადერთ წყაროდ ყურანს მიიჩნევდა. იგი ყოველგვარი სიახლის დანერგვის წინააღმდეგ გამოვიდა. მან გაილაშქრა ტრადიციული ისლამის წინააღმდეგ, რომელიც, მისი აზრით, ისეთ ელემენტებს შეიცავს, რაც ყურანში მოცემული არაა. ვაჰაბმა მსოფლიოს ისლამიზაციის იდეა წამოეყენა, რაც მისმა მიმდევრებმა აიტაცეს და მეზობელ ქვეყნებშიც დანერგეს.

ვაჰაბიტთა ცნობიერებაში წამყვანი ადგილი **ჯიჰადს** უჭირავს. ესაა ომი ურწმუნოებისა და ურწმუნოთა წინააღმდეგ. ისინი ქმნიან თანამოაზრეთა თემებს – ჯამაათებს, რომლებსაც ცხოვრების მკაცრი რეგლამენტი აქვთ. ჯამაათი უპირისპირდება ისლამურ, მაგრამ ღია საზოგადოებას, რომელიც საერო კულტურაზე, ზოგად განათლებაზე, ხელოვნებაზე, სპორტზე უარს არ ამბობს. ჯამაათის წევრებს რჯულისადმი ტოტალური მორჩილება და საბრძოლო მზადყოფნა ევალებათ, – მათი სპორტი ომი და საომარი ხელოვნების დაუფლებაა. ვაჰაბიზმი საუდის არაბეთის ოფიციალური რელიგიაა.

ჩრდილოეთ კავკასიაში ვაჰაბიზმი არაბული ქვეყნებიდან შემოსულმა მუჯაჰედებმა შემოიტანეს. მათგან ყველაზე ცნობილი იორდანელი არაბი ხატაბი იყო (რუსეთის საინფორმაციო წყაროების თანახმად, იგი დაიღუპა), რომელმაც „სუფთა ისლამი“ ჩეჩენ მეომრებს შორის წარმატებით გაავრცელა. მათი მეშვეობით კი იგი პანკისის ხეობაში გადმოინერგა.

ამჯერად, 2002 წლის ივლისისათვის ზეპირი და არაზუსტი ინფორმაციის თანახმად, პანკისელი ვაჰაბიტების რიცხვი 500-ს აღემატება. ისინი, ქუნთ-ჰაჯის მიმდევრებისაგან განსხვავებით, ადგილობრივ ისლამურ-ქრისტიანულ ტრადიციებს გლობალურად უპირისპირდებიან. ამის ნიშანი ბალთაგორის წმ. გიორგის სალოცავის (ძველი ბაზილიკის) აფეთქებაა, რაც, ხალხში მოარული ხმების თანახმად, ვაჰაბიტების ნამოქმედარია. ისინი შეიარაღებულები არიან. მათი ორგანიზაციის სტრუქტურა გასაიდუმლოებულია.

ზოროასტრიზმი

ჩაისახა და აღმოცენდა სპარსეთში. ამის გამო მას ხშირად **ფარსიზმსაც** ეძახიან. მისი დამაარსებელია **ზოროასტრი** ანუ **ზარათუშტრა**. ამ სახელისგანაა წარმომდგარი ტერმინი – **ზოროასტრიზმი**.

ზარათუშტრა ცხოვრობდა და მოღვაწეობდა ძვ.წ. VII-VI სს-ში. იგი იყო მაზდეანი ანუ ღვთაება **აჰურამაზდას** ერთგული მსახური. ასე რომ, **ზოროასტრიზმი მაზდეანობის მემკვიდრეა.**

მაზდეიზმი ერთ-ერთი უძველესი **დუალისტური რელიგიაა.** სახელწოდება დაკავშირებულია უზენაეს და კეთილ ღვთაებასთან – აჰურამაზდასთან. იგი გავრცელებული იყო სპარსელთა წინაპრებს – არიელებს შორის. მის დოგმატებსა და ღვთისმსახურების წესებს საბოლოო სახე ზარათუშტრამ (ბერძნული წარმოთქმით – „ზოროასტერ“) მისცა, რისთვისაც უკანასკნელს მოიხსენიებენ რეფორმატორად და წინასწარმეტყველად. მან დაწერა **გათების** ანუ საგალობლების კრებული, რომელიც შესულია აღნიშნული რელიგიის ფუძემდებელ წიგნში – **ავესტაში** (გათების კრებული ქართულად თარგმნა პროფ. გიორგი ახვლედიანმა. დაიბეჭდა 1979 წელს). „ავესტა“ დაწერილია ძველი ირანული ენის ერთ-ერთ დიალექტზე. მისი პირვანდელი სრული ტექსტი არ გადარჩენილა: როგორც ვარაუდობენ, ნაწილი განადგურდა ალექსანდრე მაკედონელის მიერ ირანის დაპყრობის დროს, ნაწილი მოისპო ირანში ისლამის შემოჭრის შედეგად.

გარკვეულია, რომ ეს წიგნი იქმნებოდა და ივსებოდა ათასზე მეტი წლის განმავლობაში (ძვ.წ. IX – ახ.წ. III). მასში წარმოდგენილია ლოცვები (იასნები) და საგალობლები (გათები); ჩამოყალიბებულია ზოროასტრიზმის არსი.

უზენაესი ღვთაებაა **აჰურამაზდა** ანუ **ორმუზდი.** მას დასაბამიდანვე უპირისპირდება და ებრძვის **არიმანი** – ბოროტებისა და წყვდიადის მეუფე. ბრძოლა სიკეთესა და ბოროტებას შორის განუწყვეტელია. ეს ჭიდილი კი, თავის მხრივ, მსოფლიოს განვითარებისა და ცივილიზაციის საფუძველს წარმოადგენს, რადგან სიკეთე უძლეველია. აჰურამაზდას გვერდით კეთილი ძალები დგანან. ესენია: მისი შვილი **მითრა**, რომელიც ციდან ქვეყნად ჩამოვიდა და კაცის სახე მიიღო. აგრეთვე კეთილი ანგელოზები, ე.წ. **იაზატები**. ხოლო არიმანთან ბოროტი სულები – **დევები** არიან, იგივე დემონები და ეშმაკები. აჰურამაზდას სიმბოლოა **ცეცხლი**. იგი ასახიერებს ღვთის სამართალს. ამიტომაც, ქადაგებდა ზარათუშტრა, ადამიანმა პატივი უნდა მიაგოს ცეცხლს, როგორც მართლმსაჯულების ამქვეყნიურ სახეს. ცეცხლი ადამიანს უნდა ახსენებდეს ზეციურ სამსჯავროს და იქ ჩაუქრობელ ალს, რომ იყოს ფხიზლად, – არ გადაიქცეს გეენიის ტყვედ. აქედან წარმოდგება **ცეცხლთაყვანისმცემლობა.** მაზდეანურ ტაძრებში, საკურთხევლის წინ, ჩაუქრობლად ენთო კოცონი, რასაც მორწმუნენი სასოებით ემსახურებოდნენ. პიროვნების უზენაესი ვალია, გააკეთოს არჩევანი სიკეთის სასარგებლოდ, თითოეულმა ჩვენგანმა მონაწილეობა უნდა მიიღოს ბოროტების შემუსრვის საქმეში. ზარატუსტრა ამბობდა: ბოროტების დაძლევის საშუალებაა „კეთილი აზრი“, „კეთილი სიტყვა“, „კეთილი საქმე“.

წუთისოფელში კაცობრიობას შემწედ და ხელისამპყრობელად ეგულვება მითრა (ზოროასტრიზმის განშტოებაა **მითრაიზმი**). იგი, აჰურამაზდას მეორე პირი, შუამავალია ღმერთსა და ადამიანს შორის და იცავს სამყაროს მზის, მთვარისა და ვარსკვლავების დახმარებით. მითრა გუშაგივით დგას სინათლესა და სიბნელეს – აჰურამაზდასა და არიმანს შორის და თეთრცხენებიანი ეტლით დაქრის ზღვასა და ხმელეთზე დევ-ქაჯების შესამუსრავად. მისი პირდაპირი და ძირითადი მისიაა კანონისა და წესრიგის დაცვა; მოიხსენიება ეპითეტებით: „ათასყურიანი“, „ათასთვალიანი“, „უსამართლოთა დამსჯელი“, დოვლათისა და ნახირის, ძალაუფლებისა და ნაყოფიერების მბოძებელი. ნათქვამია, რომ „ზეციურ არსე-

ბათა შორის მითრა პირველი თანამგზავრია უკვდავისა და სწრაფმავალი მზისა და თავისი მოწყალე თვალით ზეციდან უმზერს არიელთა სადგომებს, ანაყოფიერებს მათ მიწას და საქონელსაც ვრცელ საძოვრებს აძლევს“. მითრა ძლიერი მხედარია და მხედართა მფარველიც: „მითრა ვერცხლის ჩაფხუტიანი მხედარია, ტანზე აცვია ოქროს აბჯარი, ჰკიდია გამგმირავი ხანჯალი, ხელში უჭირავს გრძელი მახვილი და თეთრ ცხენზე ზის“.

ზარათუშტრას მოძღვრების თანახმად, მითრას მეოხებით საბოლოოდ მაინც დაითრგუნება ბოროტება და ქვეყნის დასასრულის ჟამს ადამიანები თავ-თავიანთ სხეულთან ერთად მკვდრეთით აღდგებიან: დამყარდება ცათა სასუფეველი.

საისტორიო წყაროები ადასტურებს, რომ ზოროასტრიზმი ერთ დროს საქართველოშიც იყო გავრცელებული. ეს ბუნებრივია, თუ გავითვალისწინებთ, რომ აღნიშნული სისტემა საუკუნეთა მანძილზე სპარსეთის სამეფო დინასტიების – აქემენიდებისა და სასანიანების – ოფიციალური კონფესია იყო. ჩვენს ქვეყანას პოლიტიკურად, ეკონომიკურად და კულტურულად ძველთაგანვე მჭიდრო კავშირი ჰქონდა მეზობელ ქვეყნებთან. მათ შორის, აღმოსავლეთის ცივილიზაციებთან და ცხადია, ეგრისისა და იბერიის სამეფოებშიც შემოაღწევდა ორმუზდისა და მითრას კულტები, ე.ი. ცეცხლთაყვანისმცემლობა. ამას ადასტურებს ჩვენამდე მოღწეულ ლიტერატურულ ძეგლთა შორის უძველესნი – წმ. შუშანიკის, წმ. ევსტათისა და წმ. აბიბოს ნეკრესელის „წამებანი“. მეტადრე „შუშანიკის წამება“, სადაც ნათქვამია, რომ ქართლის ერთ-ერთმა გავლენიანმა პიტიახშმა – ვარსქენმა – აღიარა “არტოშანი (ე.ი. ცეცხლი) და შეერთო იგი უღმრთოთა“. „მოქცევაი ქართლისაი“ გვამცნობს, რომ წმიდა ნინომ მცხეთის მახლობლად, მთაზე, იხილა კერპები. მათ შორის უპირატესი – არმაზი, რომელსაც ემოსა მხედრის ატრიბუტები: „აჰა, დგა კაცი ერთი სპილენძისაი და ტანსა მისსა ეცვა ჯაჭვი ოქროსაი და თავსა მისსა ედგა ჩაფხუტი ოქროისაი. და სამხარნი ესხნეს... და ხელსა მისსა აქუნდა ხრმალი ლესული“. საფიქრებელია, რომ ეს იყო აჰურამაზდას ძის – მითრას – ქანდაკება. მართლაც, მითრა ყველა, დღემდე აღმოჩენილ, ბარელიეფზე წარმოდგენილია როგორც მხედარი. მას ასხია სამხარე, თავზე ახურავს ჩაფხუტისებური ქუდი და ხელში უჭირავს ალესილი ხანჯალი, რითაც ის ხარს ჰკლავს (ამის გამო მითრა ესპანელი ტორეადორების სათაყვანებელი ღვთაება იყო). მე-5 ს-ის სომეხი ისტორიკოსი მოსე ხორაენელიც ადასტურებს, რომ ქართველები თურმე, ადრე, აჰურამაზდას ანუ ორმუზდს დილაადრიან თავიანთი სახლების ბანიდან თაყვანს სცემდნენ. „ქართლის ცხოვრებაშიც“ ვკითხულობთ, რომ V ს-ის შუა წლებში არჩილ მეფემ დასვა ეპისკოპოსი, სახელით მობიდანი, რომელი იყო „მოგვი უსჯულო და შემშლელი წესთა... რომელი ფარულად წერდა წიგნებს ყოვლისა საცთურისაო“. ფიქრობენ, რომ მობიდანი შეფარვით მაზდეანობის პროპაგანდას ეწეოდა.

მითრაიზმის კვალი, ისტორიულ-ლიტერატურული ტექსტების გარდა, გამოვლენილია ძველ ქართულ ონომასტიკონშიც (საკუთარ სახელებში): მითრიდატე, მირდატ („მითრას ბოძებული“), მირიან („მითრასეული“) და სხვა. აგრეთვე – ეთნოგრაფიაში. დასავლეთ საქართველოში – სამეგრელოს, სვანეთსა და გურიაში – შემორჩიენილია წეს-ჩვეულება, რომელსაც მისრობა (მირსობა) ეწოდება. ესაა დიდმარხვის წინა დღეებში, ყველიერის

ორშაბათამდე, ღორის დაკვლა, რომელსაც გარკვეული რიტუალი ახლავს. ამ დროს „მირსას“, როგორც სინათლის ღვთაებას, ხალხი თვალის ჩინსა და გამჭრიახობას შესთხოვს.

მკვლევრები „მისრას“ სპარსული „მითრას“ ქართულ ვარიანტად მიიჩნევენ (იხ. ს. მაკალათია, მითრას კულტი საქართველოში, საქართველოს მუზეუმის მოამბე, 1926, N 3). გამოთქმულია ვარაუდი, რომ სპარსული რელიგიის გავლენა ქართველ მოსახლეობაზე IV ს-ის შემდეგაც გრძელდებოდა. მის აღმოსაფხვრელად დიდი შრომა გაწიეს სირიელმა მამებმა VI ს-ში.

ზოგიერთი ქრისტიანი ღვთისმეტყველი და რელიგიათა მკვლევარი ფიქრობს, რომ მაზდეანობა და მითრაიზმი ქრისტეს ქვეყნად მოსვლას მისტიურად, დაფარულად წინასწარმეტყველებდა და მარადიული ქრისტეს განკაცებას მოასწავებდა. იგი ამით კაცობრიობას უბიწოდ შობის, ჯვარცმისა და მკვდრეთით აღდგომის საიდუმლოებათა საიდუმლოსთან მისაახლებლად ამზადებდა. მას შემდეგ კი, რაც წინაგანგებულებამ ხორცი შეისხა და დედამიწაზე მხსნელი მოვიდა, ზარათუშტრას მოძღვრებამ მისია ამოწურა და რამდენიმე საუკუნის განმავლობაში არსებობას ინერციით განაგრძობდა.

დღეისათვის იგი შეცვლილი სახითაა შემორჩენილი ინდოეთსა და ირანში: ინდოეთში – **ფარსების სექტა,** ირანში – **გებრებისა**. ზოროასტრიზმის ელემენტებს შეიცავს აგრეთვე იეზიდების რელიგიური რწმენა და პრაქტიკა.

იეზიდები

იეზიდები ანუ, როგორც თავიანთ თავს უწოდებენ, **ეზდიები** ეთნიურად და ენობრივად ქურთები არიან. მათგან მხოლოდ რელიგიით განსხვავდებიან, რის გამოც ცალკე ეთნოსს შეადგენენ. მათი რელიგია სინკრეტულია, ახლოს დგას ზოროასტრიზმთან, მაგრამ, ამავე დროს, მასში ქრისტიანობის, იუდაიზმისა და ისლამის ელემენტებიცაა ასახული. იეზიდთა რელიგიის ფუძემდებლად ითვლება **შეიხი ადი** (XII ს.), რომელსაც წინასწარმეტყველს უწოდებენ.

იეზიდები აღიარებენ ერთ ღმერთს და თაყვანს სცემენ ამომავალ მზეს, რომელიც, მათი რწმენით, ღვთის ამქვეყნიური ხატია. თაყვანს სცემენ აგრეთვე ვარსკვლავებს, მთვარეს და ცეცხლს. მათი მთავარი დღესასწაულია „მზის დაბადება“, რომელიც 20 დეკემბერს აღესრულება. მორწმუნეთა საზოგადოება ორ კასტადაა გაყოფილი – საეროდ (მიურიდებად) და სასულიერიროდ. სასულიერო წოდება იერარქიულია: არიან **ფირები** და არიან **შეიხები.**

იეზიდების რელიგიის ძირითადი ლიტერატურული წყაროებია: „გამოცხადების წიგნი“ („ეჯილვა“) და „შავი წიგნი“ („მასხავი რაში“). თუმცა ფირებისა და შეიხების უმრავლესობას რჯული და ღვთისმსახურების წესები არა წიგნებით, არამედ ზეპირმეტყველების გზით აქვს შეთვისებული. თითოეულ ოჯახს თავისი ფირი და შეიხი ჰყავს. საკულტო ნაგებობები, შეიხ ადის ტაძრისა და მისი საფლავის გარდა (ერაყი, ლალეში), იეზიდებს არა აქვს.

საქართველოსა და სომხეთში ქურთ-იეზიდები 1875 წლის ახლო ხანს თურქეთიდან გადმოსახლდნენ, მეორე ნაკადი კი 1917-1918 წლებში შემოვიდა. საქართველოში მათი რიცხვი დღეს 30000-ს აღწევს. აქვთ სათვისტომო და კულტურის ცენტრი.

ვედები, ბრაჰმანიზმი და ინდუიზმი

ინდუიზმი ჩამოყალიბდა ინდოეთის ნახევარკუნძულზე. მას სინკრეტულ რელიგიას უწოდებენ, რადგან ფიქრობენ, რომ იგი შეიქმნა ირანულ-სირიული და ინდოეთის ადგილობრივი კულტების შერწყმის შედეგად. აბორიგენების ძველი რელიგია თანამედროვე მეცნიერებაში ცნობილია **ვედების** სახელით. იგი იყო პოლითეისტური, მაგრამ, არიელთა ზეგავლენითა თუ შინაგანი პოტენციის წყალობით, ძ.წ. II-I ათასწლეულების მიჯნაზე მონოთეიზმში გადაიზარდა, თუმცა მრავალღმერთიანობის ელემენტები შეინარჩუნა. თანდათან გამოიკვეთა ბრაჰმას კულტის პრიმატი და, შესაბამისად, – **ბრაჰმანიზმი**, რომლის წიაღშიც, ერთი მხრივ, წარმოიქმნა დამოუკიდებელი კონფესია – **ბუდიზმი**, ხოლო, განვითარებისა და სრულყოფის მომდევნო ეტაპზე (ა.წ. VI-VII სს-ში), – რთული რელიგიური სისტემა, რომელიც დღეს **ინდუიზმის** ანუ **ჰინდუმატას, ჰინდუსამაიას, ჰინდუ დჰარმას** სახელითაა ცნობილი. ამდენად, ვედები და ბრაჰმანიზმი ინდუიზმის წინა საფეხურებია.

ინდოელთა ფუძე რელიგია მოიცავდა მაგიასა და მსხვერპლშეწირვას, მრავალრიცხოვან ლეგენდებს, მითებს სხვადასხვა ღმერთზე, რიტუალებს, ლოცვებსა და საგალობლებს, რომელთაც თანდათან იწერდნენ. ასე შეიქმნა **ვედა,** რაც სანსკრიტზე ცოდნას ნიშნავს.

ვედა ინდური ლიტერატურის უძველესი ძეგლია. იგი აერთიანებს საკულტო-საღვთისმეტყველო ლიტერატურას, უმთავრესად – ჰიმნების კრებულებს. ამიტომაც იხმარება ფორმა – **ვედები**. ესაა ქვემოდასახელებული წიგნების ერთობლიობა:

1. **ოთხი ვედა,** სხვაგვარად – სამჰიტა: ა) ყველაზე არქაული და მნიშვნელოვანია **რიგვედა** (ქებათა ცოდნა). დაწერილია სხვადასხვა სალექსო საზომით და დაყოფილია 10 ციკლად (მანდალად). აქაა ათასზე მეტი ქება ანუ ჰიმნი ღვთაებათადმი. შედგენილია დაახ. 3000 წლის წინათ. ქართულად თარგმნილია ორი ქება – „დასაბამი ნივთთა“ და „ცისა და დედამიწისადმი („არმაღანი“, თბ., 1965); ბ) **სამავედა** (სიმღერათა ვედა. სამან-სიმღერა). იგი საინტერესოა ინდური მუსიკის ისტორიის თვალსაზრისით, რადგან შეიცავს სანოტო ნიშნებს; გ) **იაჯურვედა** (სამსხვერპლო ვედა); მსხვერპლშეწირვის დროს წარმოსათქმელი ფორმულები და ლოცვათა ტექსტები, ხშირად – პროზაული, რომელსაც კომენტარების სახე აქვს; მოგვიანებით მათთ დაემატა – დ) **ათჰარვავედა**: შეიცავს მაგიურ ფორმულებს და შელოცვებს ლექსად და პროზით; გამოირჩევა ხალხური ხასიათით.

შედარებით გვიანაა შექმნილი:

2. **ბრაჰმანა** (ახსნა); 3. **არანიაკა** (ტყის წიგნი); 4. **უპანიშადები** (კომენტარები)

და ბოლოს, დანართის სახით, 5. **სუტრა** (სიტყვასიტყვით: ძაფი, სამართი, თარგი).

პირველი ოთხი – სამჰიტა, ბრაჰმანა, არანიაკა და უპანიშადები – მიჩნეულია ღმერთის – ბრაჰმას – სიტყვად, მის ღვთაებრივ გამოცხადებად. მათ ეწოდება **შრუტი** (მოსმენილი, გაგონილი) საპირისპიროდ **სუტრასი**, რომელიც არის პოლიტიკური ხასიათის ტექსტებისა და კანონთა კრებული.

ვედების გვერდით დგას „მაჰაბჰარატა“ (დიდი ბჰარატა), – ვრცელი პოემა, რომლის ფასი ინდოელთა სულიერი კულტურისათვის განუზომელია. ამას ცხადყოფს ინდოეთის რესპუბლიკის სახელი ჰინდი ენაზე – ბჰარატა.

„მაჰაბჰარატა“ გვამცნობს ისტორიულ, ძვ.წ. XI-X სს-ის, ამბავს – ძალაუფლებისათვის ბრძოლას ბჰარატთა გვარის ორ შტოს – პანდავებსა და კაურავებს, ე.ი. პანდუსა და კურუს შთამომავლებს შორის. ეს იყო სასტიკი ომი, რასაც აურაცხელი მსხვერპლი მოჰყვა. სისხლმა დააფიქრა საზოგადოება და გააღვივა მშვიდობისა და სათნოების იმპულსი; შერიგების, პატიების, შეწყალების, საღმრთო ვალის შეგნებისა და გათავისების სულისკვეთება, რაც არის ძირითადი სათქმელი აღნიშნული ძეგლისა ზოგადად და, კერძოდ, რამდენიმე ჩართული ეპიზოდისა, რომელთაგან ზოგს დამოუკიდებელი ნაწარმოების სახე აქვს. ასეთებია: „რამაიანა“, „ბჰაგავატგიტა“, „სავიტრი“ და სხვა (სამივე თარგმნილია ქართულ ენაზე და გამოქვეყნებულია კომენტარებით).

თეოლოგიურ-ფილოსოფიური თვალსაზრისით გამოირჩევა „ბჰაგავატგიტა“, რომელშიც წარმოდგენილია მეეტლისა და სარდლის – კრიშნასა და არჯუნას – დიალოგი. კრიშნა ღმერთია, მოვლენილი დედამიწაზე პანდავების ნათესავად, მეგობრად და სამხედრო მრჩევლად, მათი გამარჯვების საწინდრად. ამკობს ეპითეტები: ბრძენი დამრიგებელი, მეომარი, ბოროტ სულთა დამმარცხებელი, ღვთაებრივი მწყემსი. ლეგენდები მის სიყვარულზე მწყემსი გოგონებისადმი უძველესი დროიდან შესულია ინდურ ლიტერატურასა და ხელოვნებაში. მისი სიტყვა – „ბჰაგავატგიტა“ (ღვთაებრივი სიმღერა) – ფილოსოფიური პოეზიის შედევრია მსოფლიო მასშტაბით.

განხილულ წყაროებზე დაყრდნობით შეიქმნა საღვთისმეტყველო-ფილოსოფიური ტრაქტატები, რასაც, ჩვეულებრივ, ვედებს ურთავდნენ. აქედან წარმოდგა სახელწოდება **ვედანტა**, რაც სანსკრიტზე ნიშნავს „ვედას დასასრულს“. ამავე სახელით ცნობილია აგრეთვე ინდუსთა ექვსი მთავარი სკოლიდან ერთ-ერთი, რომელსაც შემაჯამებელი სახე ჰქონდა, რადგან იქ ყველაზე საფუძვლიანად დამუშავდა აღნიშნული რელიგიის საკითხები. ამ სკოლის მიერ ჩამოყალიბებული მოძღვრება, სახელდებული ვედანტად, ითვლებოდა და ითვლება ინდუიზმის ორთოდოქსულ მიმართულებად. მას უწოდებენ „მიმანზას“ (გულმოდგინედ გამოკვლეულს) და აღიარებენ ავტორიტეტად. მისი შექმნის ზუსტი თარიღი ცნობილი არაა. ეს უნდა მომხდარიყო ბუდას შემდეგ, რადგან უძველეს ვედანტურ ძეგლში „ბრაჰმა-სუტრა“ გვხვდება პოლემიკა ბუდისტებთან გარესამყაროს რეალურობის თაობაზე.

ვედანტა, როგორც ფილოსოფიურ-თეოლოგიური სისტემა, არის ვედას თეორია. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, – ვედანტა არის ინდუიზმის „ცოდნის წყარო“, მისი თეოლოგიის ჯამი, ვედებში წარმოდგენილი სიბრძნის მეცნიერულ ენაზე გადმოცემა, სრულყოფაში მოყვანა. უდიდეს წარმომადგენლებად ითვლებიან **ბადარაიანა** და **შანკარა** (ანუ შანკარა აჩარია). უკანასკნელი ცხოვრობდა დაახ. VIII ს-ში ქ.შ.

ვედანტა გვამცნობს (ვსარგებლობთ ვლადიმერ სოლოვიოვის სტატიით ბროკჰაუზ-ეფრონის ენციკლოპედიიდან):

ჭეშმარიტი მოძღვრებისა და მსახურების, ე.ი. რელიგიის, საფუძველთა საფუძველია **გამოცხადება** (შრუტი), და **გადმოცემა** (სმრიტი). გამოცხადება, რაზეც მივანიშნებდით, დაუნჯებულია ვედებში. მაშასადამე, ვედა, მაღალი აზრით, შექმნილია ქვეყნის უწინარეს

(ყურანის მსგავსად) უზენაესი არსის მიერ. ისტორიულ ხანაში იგი მხოლოდ ჩაიწერეს წმიდა და ბრძენმა კაცებმა. მათვე შეთხზეს მისი პირველი კომენტარები – უპანიშადები, რომლებიც ცნობილია ვედას ფილოსოფიურ ნაწილად და წარმოადგენს ხიდს ვედასა და ვედანტას შორის. გამოცხადების სადარი ავტორიტეტითაა შემოსილი საღმრთო გადმოცემა, რაზეც აგებულია მანუ "სამართლის წიგნი) და **მაჰაბჰარატა,** მეტადრე – მისი თეოსოფიური ეპიზოდი ჰაგავატგიტა. გადმოცემა ემსახურება გამოცხადების შემეცნებასა და შევსებას, მის უკეთ გაგებას (აქ სრული ანალოგიაა ქრისტიანულ საღმრთო წერილსა და საღმრთო გადმოცემასთან).

თუმცა გამოცხადებული სიბრძნე დაუნჯებულია ვედებში, მართებული შემეცნების მისაღწევად საკმარისი როდია საღმრთო წერილის სწავლა. საჭიროა წინაპირობები: 1) მარადისობისა და წუთისოფლის ერთმანეთისაგან გარჩევა; 2) გარეგან ჯილდოსა თუ გასამრჯელოზე უარის თქმა სააქაოსა და საიქიოში; 3) ე.წ. ექვსი ნიჭის ანუ ტალანტის, გნებავთ – სახსრის ფლობა: სულიერი სიმშვიდე, ზომიერება, განდეგილობა, მოთმინება, გულისხმიერება, რწმენა; 4) სწრაფვა ხსნისაკენ.

მართებული შემეცნების მეოხებით ვეზიარებით ადამიანთა და ღვთაებათა უზენაეს იდეალს – ჭეშმარიტებას, რომელიც გამოითქმის სამი ფორმულით: 1) არსებობს ის, მხოლოდ ერთი, – სხვის გარეშე; 2) ესაა – შენ; 3) მე თავად ვარ ბრაჰმა. აი, ინდუსთა რწმენისა და ფილოსოფიის რეზიუმე, რომელიც გვამცნობს: ხილული და არახილული სამყარო, მიკროკოსმოსი და მაკროკოსმოსი არსობრივად ერთი და იგივე რეალობა. უფრო ზუსტად – ერთი სინამდვილის ორი გამოვლინება. მათი ურთიერთმიმართება ასე გამოითქმის: ეს ქვეყანა და აქაური ფერადოვნება არის მაია, ილუზია. მისი ხილვა და განცდა „უვიცობის" (ავიდიას) შედეგია. ვინც განიკურნება უვიცობისაგან, თვალს გაუსწორებს ჭეშმარიტებას:. ჭეშმარიტების მეცანი კი ყველგან და ყველაფერში ჭვრეტს ერთს, რადგან მისი სული (ატმანა) არის მსოფლიო სულის ანუ უმაღლესი ღვთაების (პარამა-ატმანას) ნაწილი, ხოლო მიზანი – მასთან ერთყოფა, **სამადჰი,** რომელიც ითარგმნება „დანთქმად" (იგულისხმება – უფლის წიაღში დამკვიდრება). რაც მეტად აღწევს თავს პიროვნება მაიას (მოჩვენებით სინამდვილეს), მით მეტად ერწყმის უზენაეს არსს, რომლის მთავარი სახელია ბრაჰმა.

ბრაჰმა არის სამყაროს სული, რომლისგანაც შედგება ყოველი და რომელიც ყველგან სუფევს რეალურად და არსობრივად. იგი გვაუწყებს: „მე ვარ დაუშრეტელი თესლი ყოველივე არსებულისა. მე ვარ სინათლე, ნაყოფთა სიტკბო, ყვავილთა სურნელი, მამაკაცთა სიცოცხლის ძალა, ბრძენთა ცოდნა, გულადთა ძალგულოვნება, მისტიკოსთა აღმაფრენა, თავშეკავების უნარი ასკეტთა". ბრაჰმა იხილვება ყოველ საგანში, წუთისოფლის ნებისმიერ მოვლენაში: ქვაში, ხეში, ცხოველში, ცხადია – ადამიანში, ქარსა თუ მზეში, ომსა თუ ქორწილში. აქედან გამომდინარეობს მისი ეპითეტებისა და სიმბოლოების სიმრავლე. მეტადრე – საკულტო ხელოვნების თავისებურება, ინდუსთა ტაძრების მრავალგამოსახულებიანი ბარელიეფები. შეიძლება ვიფიქროთ, რომ იქ უამრავი ღმერთია, მაგრამ თევზების, გველების, ყვავილებისა და სხვათა სახით მორწმუნე თაყვანს სცემს ბრაჰმას, რომელმაც მიიღო ეს დროებითი და ილუზიური ფორმები. ამდენად, ბრაჰმა სამყაროშია და სამყარო

ბრაჰმაში. ესაა პანთეისტური თვალსაზრისი, რასაც ეფუძნება ინდუსთა კოსმოლოგია. ერთ-ერთ წიგნში ნათქვამია: "ბრაჰმას თავი ცას ებჯინება, მისი თვალები მზე და მთვარეა, მისი სუნთქვა ქარია და დედამიწა – მისი საძირკველი".

ბრაჰმა მარტო არ არის: სუფევს ორ თანაარსთან – **ვიშნუს** (ვედების მიხედვით, რუდრასა) და **შივასთან** - ერთად. ესაა ტრიმურტი, რაც ერთარსება-სამების ქრისტიანულ დოგმატს მოგვაგონებს.

ტრიმურტი სანსკრიტზე ნიშნავს სამსახოვნებას, სამგვამოვნებას, ტრიადას (ტრი – სამი, მურტი – სახე, ხატი, სხეული). ამ ტერმინით აღინიშნება სამი ღმერთის – ბრაჰმას, ვიშნუს (იგივე რუდრას) და შივას – ერთიანობა, ერთება. ე.ი. ტრიმურტი არის ერთი და იგივე ღვთაების სამი გამოვლინება, სამი სხვადასხვა ფორმა, სამი გვამი. მაჰაბჰარატას დამატებაში – გარივანშაში – ვკითხულობთ: „ის, ვინც არის ვიშნუ, არის იმავდროულად შივა; ის, ვინც არის შივა, არის ბრაჰმა. არსებით ერთია, მაგრამ სამი ღმერთია: შივა, ვიშნუ, ბრაჰმა". ტრიმურტი აერთიანებს სამ კოსმიურ პრინციპს – შემოქმედებას, ნგრევას და შენარჩუნებას: შემოქმედია ბრაჰმა, დამანგრეველი – შივა. ხოლო მცველი ანუ შემანარჩუნებელი – ვიშნუ. სამივე არსებობს ერთ ღვთაებაში და თითოეული – სამებაში.

ტრიმურტს გამოსახავდნენ სამთავიან არსებად: შუაში ბრაჰმა, მარჯვნივ ვიშნუ და მარცხნივ შივა.

სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ შუა საუკუნეებში ტრიმურტის იდეა თანდათან დაკნინდა. ბრაჰმას სახელი თითქმის მთლიანად დაივიწყეს. სამების დანარჩენი წევრები კი – შივა და ვიშნუ – ცალცალკე აღზევდნენ უზენაესი ღვთაების რანგამდე. მათგან თითოეულს თაყვანისმცემლები გამოუჩნდნენ რამდენადმე განსხვავებული კულტმსახურებით: ინდუსები გაიყვნენ. ასე ჩამოყალიბდა ორი მიმართულება: შივაიზმი და ვიშნუიზმი, თუმცა მათ შორის არსებითი სხვაობა არაა და ანტაგონიზმიც არ შეიმჩნევა. აღსანიშნავია ისიც, რომ ინდოთა სიტყვიერებასა თუ სახვით ხელოვნებაში ვხვდებით არაერთ თეონიმს, – ღვთის სახელსა თუ სახეს. ესენია ღმერთები და ნახევარღმერთები: ინდრა (ცისა და ამინდის მმართველი, ძლევისა და გამარჯვების წყარო), იამა (სიკვდილისა და სულეთის მეუფე), სურია (მზის ღვთაება), სომა (მთვარისა), ვარუნა (წყალთა მფლობელი), კუვერა (სიმდიდრისა), მარუტი (ქარისა) და სხვა. განსაკუთრებით – კრიშნა (ვიშნუს მეცხრე ხორცშესხმა ანუ ინკარნაცია; მწყემსი, მწყემსების მფარველი) და რამა (მეფეთა იდეალი, ვიშნუს უკანასკნელი გარდასახვა დედამიწაზე). მათი რიცხვი, ერთი წყაროს მიხედვით, უდრის ოცდაცამეტს („რამაიანა", თბ., 1951, გვ. 20). აქ თითქოს საქმე გვაქვს პოლითეიზმთან. სინამდვილეში კი თითოეული არის ან ვიშნუს, ან შივას ინკარნაცია თავთავიანთი ფუნქციის მიხედვით. უკანასკნელნი – ვიშნუ და შივა არიან კოსმიური ერთის – ბრაჰმას, ყოვლის მიზეზისა და მიზნის, საწყისთა საწყისის, შემოქმედის ორი სხეული, ორი პირი, ორი ატრიბუტი, ორი ძალა: შემანარჩუნებელი და დამანგრეველი. მათი ერთადყოფნა და თანადგომა არის სამყაროს მარადიულობის, სიკვდილ-სიცოცხლის მონაცვლეობის საფუძველი. ვუხმობთ რა ზემოჩამოთვლილთაგან რომელიმეს, ვუკავშირდებით უზენაეს ერთს, რომელმაც შექმნა ყოველივე ცისქვეშეთსა თუ ზესთასოფელში.

კოსმიური შესაქმე „რიგვედაში“ აღწერილია ასე (თარგმანი გ. ახვლედიანის. – „არმაღანი“, თბ., 1965, გვ.9):

„მას შინა არა იყო რა: არც ყოფნა და არც არყოფნა.
არ იყო სივრცე, არც სააქაო, არც საიქიო...
რით იფარვოდა ყოველივე, ან რა იძვროდა?
ვინ ფლობდა წყალს და უფსკრულ სიღრმეთ?
არ იყო მაშინ არც სიკვდილი და არც სიცოცხლე.
არ იყო მაშინ დღისა და ღამის სხვადასხვაობა.
მხოლოდ **სუნთქავდა თავისთავად ერთი, ურხევი...**
არარა იყო თვინიერ მისა...
მაშინ პირველად გაჩნდა სურვილი,
პირველი თესლი აზროვნებისა...
ვინ უწყის ნამდვილ, ვის ძალუძს ახსნა,
ვითარმედ იშვა ქმნილება იგი?
ღმერთნი ქმნილების აქეთ არიან,
ვინ იტყვის, ვით წარმოიქმნენ თვითონ იგინი“?

მაშასადამე, თავდაპირველი ერთის, „თავისთავად მსუნთქავი და ურხევი“ არსების სურვილისამებრ შეიქმნა არახილული და ხილული სამყარო.

ხილული სამყარო არსებით ასეთია: ქმნილებები დახარისხებულნი არიან ზეაღმავალი კიბის მსგავსად. ღმერთი წუთისოფლის ყოველ საგანში სუფევს სხვადასხვა დოზით, ყველაზე მეტად კი – ადამიანში. ამიტომაც ითვლება პიროვნების, ინდივიდის, ე.ი. „მეს“ სული უზენაესი არსის – ღმერთის – ნაწილად, მის ანასხლეტად. აქედან ცხადია ყოველი სულდგმულის იდეალი – განიცადოს სამადჰი და დაუბრუნდეს პირველ საწყისს. ეს მარტივად არ ხდება: უზენაესთან მისაახლებლად სულს მომზადება სჭირდება. მან უნდა გაიაროს განწმენდისა და გაუმჯობესების ვრცელი გზა. ამისათვის ერთჯერ დაბადება არ კმარა. პიროვნება დედამიწას ევლინება სხვადასხვა დროს და აღნიშნული გზაც რამდენიმე ცხოვრების ჯაჭვისაგან შედგება. ამას გვაუწყებს მოძღვრება კარმასა და სამსარაზე. ესაა მეტემფსიქოზი ანუ რეინკარნაცია. ე.ი. ხელახალი განსხეულების, სულების გარდასახვის რწმენა და თეორია.

კარმა სიტყვასიტყვით ნიშნავს „საქმეს“, „მოქმედებას“, ითარგმნება „მისაგებელად“, „საზღაურად“, „სანაცვლოდ“, შეიძლება გავიზიაროთ „ბედადაც“. რელიგიური ასპექტით კარმა არის კეთილი და ბოროტი საქმეების ჯამი, რასაც წუთისოფლის სტუმარი ყოველ ნაბიჯზე დაატარებს როგორც ტვირთს ჟამითიჟამად ჩადენილი ცოდვებისა თუ მომუშაკებული მადლის მიხედვით. კარმაზეა დამოკიდებული ადამიანის ბედი, მისი მომავალი. ამიტომაც, ბუნებრივია, ადამიანი ცდილობს პირადი კარმის გაუმჯობესებას, ტვირთის შემსუბუქებას. ბოლოს კი – უღლის, ე.ი. კარმის თავიდან მოშორებას, მოსპობას, რადგან იგი ქვეეზიდება სულს და ატყვევებს დედამიწაზე.

კარმა არის მიზეზი იმისა, რომ ადამიანი დაქვემდებარებულია **სამსარას** (გამოითქმის

„სანსარად“). ეს სიტყვა სანსკრიტზე ნიშნავს „მოგზაურობას“. მოცემულ შემთხვევაში – სულის მოგზაურობას სხეულიდან სხეულში, არსებიდან არსებაში. ე.ი. სამსარა არის ახალ-ახალ დაბადებათა, ახალ-ახალ გარდასახვათა, განსხეულებათა წრებრუნვა.

რით შეიძლება დავაღწიოთ თავი სამსარას? – წუთისოფლის უკეთურებათა დათრგუნვით, განწმენდით, განსპეტაკებით და ამაღლებით შევძლებთ რეინკარნაციის ჯაჭვის გაწყვეტას და მსოფლიო სულთან მიახლებას, მის წიაღში დანთქმას – სამადჰის. არსებათაგან ამ იდეალის სრულყოფა მხოლოდ ადამიანს, ზეაღმავალი კიბის უმაღლეს საფეხურზე მდგომს, ძალუძს. ამასთანავე – არა ყველას, არამედ – ბრაჰმანთ, თანაც ღირსეულ ბრაჰმანთ.

ვინ არიან ბრაჰმანები?

ინდუსთა რწმენით, ღმერთებმა საზოგადოება დაყვეს **ვარნებად,** ანუ, ევროპული ტერმინით – **კასტებად**. „ვარნა“ ნიშნავს ფერს.

კაცობრიობა შედგება ოთხი ფერის ანუ ვარნისაგან: **ბრაჰმანების, ქშატრიების, ვაიშიების და შუდრებისაგან**. მათგან თითოეულს საკუთარი ფუნქცია, ღირსება და წარმომავლობა აქვს. ამის თაობაზე ვედებში ნათქვამია (იხ. „სავიტრი“, შესავალი, თარგმანი და კომენტარები ე. ალექსიძისა, თბ., 1986, გვ. 5). ბრაჰმანები შეიქმნენ ბრაჰმას ბაგეთაგან, ქშატრიები – ხელებისაგან, ვაიშიები – თეძოებისაგან და შუდრები – ფეხის ტერფებისაგან. ასე რომ, უმაღლესი ფენა ბრაჰმანთა ვარნაა. ის ემსახურება ღმერთებს. მისი წევრები არიან წმინდა გონებისა და საქმის ერთგულნი. მათი ნიშანია **სატტვა** – წმიდა საქმე, სულიერი სიწმიდე, ხოლო სიმბოლო – თეთრი ფერი; ქშატრიები მეომართა კლასია, რომელთაც აგრეთვე მიეკუთვნებიან მეფეები (რაჯები) და სეფეკაცები. მათი ნიშანია **რაჯას** – გზნება, ვნება, სწრაფვა, ფერი – წითელი; ვაიშიები საშუალო ფენის წარმომადგენლები არიან – ხელოსნები, მიწათმოქმედნი, მეჯოგეები და ვაჭრები. ამ ვარნაში არეულია ბრაჰმანებისა და ქშატრიების ნიშნები და მათი ფერიც ყვითელია (წითელისა და თეთრის ნარევი ძველინდოელთა წარმოდგენით); უქვემოესი კასტაა შუდრები – მოჯამაგირენი, რომელთა ფერი არის შავი, – სიბნელის, უმეცრების, ტამასის (პრაკრიტის, ე.ი. ბუნების უმდაბლესი თვისების) სიმბოლო.

ვარნა შთამომავლობითი ინსტიტუტია: ადამიანი, დაბადებული რომელიმე ვარნაში, რჩება ამ ვარნის წარმომადგენლად სიცოცხლის ბოლომდე. თუ რომელ ვარნად უნდა მოევლინოს დედამიწას კონკრეტული სული, განაპირობებს წინარე ცხოვრებაში ჩადენილი საქმეების შედეგი, ე.ი. კარმა. ვინც წესიერ, ღვთისმოსაწონ ცხოვრებას ეწევა, შემდეგი განსხეულება უმაღლეს ვარნაში აღესრულება. ხოლო უღირსი – მდაბალი ადამიანი ქვემო რანგს დაუბრუნდება, ანდა სულაც ცხოველად ან ჭიად მოევლინება ქვეყანას.

ითვლება, რომ ვარნების რწმენა საზოგადოებაში ამყარებს თანხმობასა და წესრიგს, რადგან მოქალაქეებს მორჩილებასა და პასუხისმგებლობას შთააგონებს. ამ ცნებებზეა დაფუძნებული **დჰარმის პრინციპი,** რაც ინდუსთა ეთიკის ამოსავალი წერტილია. დჰარმა არის სამართლიანობის პრინციპი და შესაბამისად: მისი წესი, კანონი, ადათი, მოვალეობა, ზნე და ჩვეულება დჰარმად იწოდება, რაც ნიშნავს აგრეთვე უმაღლეს ჭეშმარიტებას. კურუს ველი – კურუქშეტრა, სადაც გაიმართა ზემოხსენებული ბრძოლა, გააზრებულია

დჰარმის, ე.ი. ღირსების, მოვალეობისა და კანონის ველად. სარდალ არჯუნას ანუ, თარგმანებით, – „ნათელს“, „დილის რიჟრაჟს“, აღარ სურს ომი, რადგან მოწინააღმდეგეთა ბანაკში თვის სისხლსა და ხორცს ხედავს: ბიძაშვილებს, მეგობრებსა და მასწავლებლებს. მეეტლე კრიშნა ანუ „შავი“, რომელიც ღვთაება ვიშნუს ინკარნაცია ე.ი. ღმერთია ხორცშესხმული, ამცნობს მას საღმრთო ველის – დჰარმის – აღსრულების აუცილებლობას. ომი გარდაუვალია, რადგან პრობლემის მშვიდობიანად მოგვარების ყველა საშუალება ამოიწურა: კაურავების ჯიუტობას და თავხედობას საზღვარი აღარ აქვს. ამის გამო ღმერთი თვალშეუდგამი კანონიერების საფუძველზე აღნიშნულ შემთხვევაში აკურთხებს ძალის დემონსტრაციას და კაცთმოყვარეობის მოტივით ხმალდაშვებული რაინდიც კვლავ აღიგზნება, აღიჭურვება და გაირჯება დიახაც რომ ერისა და მოყვასის საკეთილდღეოდ, ბოროტების დათრგუნვისა და სიკეთის ძლევამოსილებისათვის, ურჩთა მოთვინიერებისა და დაფიქრებისათვის, ყველგან და ყველაფერში დჰარმის დანერგვისათვის.

ამა ქვეყნის მოქალაქეობრივი ასპარეზიც დჰარმის ველად მოიაზრება. თითოეულ პიროვნებას საკუთარი დჰარმა აკისრია იმ კასტის შესაბამისად, რომელშიც იშვა. ყველამ უნდა მოიხადოს ვალი ღვთისა და კაცის წინაშე, – გაუმჯობესდეს ზნეობრივად და დაიცვას რჯული.

ინდუსთა ღვთისმსახურები იწოდებიან ქურუმებად ან **ბრაჰმანებად**. თემის წინამძღვარი და მასწავლებელია **გურუ.** წუთისოფლის ხმაურს განდეგილ-განმხოლოებული მორწმუნეები, ე.ი. ბერები და მონაზვნები, ცხოვრობენ აშრამებში (მონასტრებში), რომლებსაც ქალაქის ან სოფლის გარეთ, უფრო ხშირად – ტყეებში აგებენ. ცნობილია მოხეტიალე ღვთისმსახურების ანუ, ჩვენებურად, მწირმონაზვნების ინსტიტუტიც. ბევრ საკულტო წესს ოჯახის უფროსი ასრულებს საოჯახო საკურთხევლის წინაშე.

ინდუსთათვის დამახასიათებელია ანიმიზმი, წინაპართა კულტი, ფეტიშიზმი, მაგია. თაყვანს სცემენ წმიდა მთებს, მდინარეებს (განსაკუთრებით – განგის), მცენარეებს (მაგ. ლოტოსს), ცხოველებს (მაიმუნს, სპილოს, გველს, მეტადრე – ძროხას).

ამბობენ, რომ გამოირჩევიან რჯულშემწყნარებლობით. თუმცა რელიგიური შეხლა-შეტაკებები არც მათთვისაა უცხო. განსაკუთრებით ბოლო დროს – სიქებთან, რამაც მნიშვნელოვანწილად განაპირობა ინდოეთის ისტორიის სამარცხვინო ფურცელი: პრემიერ-მინისტრის, ინდირა განდის მკვლელობა.

ინდუსთა საერთო რიცხვი 2000 წლის მონაცემებით 859 მილიონამდე აღწევს.

სიქიზმი ინდუიზმის განაყოფი კონფესიაა (ბუდიზმის მსგავსად). აღმოცენდა პენჯაბში საპროტესტო-რეფორმატორული მოძრაობის შედეგად, რომელიც მიმდინარეობდა XV-XVI სს-ში **გურუ ნანაკის** მეთაურობით (ტერმინი წარმოდგება სიტყვისაგან სიქ, რაც ჰინდი ენაზე მოწაფეს ნიშნავს). მისი არსებითი ნიშნებია: მკვეთრი მონოთეიზმი, ვარნების უარყოფა, სოციალური თანასწორობა, გამარტივებული კულტმსახურება, განსაკუთრებული ტანსაცმელი და მოშვებული წვერი. აღიარებს ინდოეთის მოსახლეობის 1,8%. მცირე მრევლი აფრიკაშიც ჰყავს, საერთო რიცხვი დაახლოებით 10,4 მილიონია.

ბუდიზმი

ბუდიზმი გავრცელებულია აღმოსავლეთ აზიაში, მაგრამ მიმდევარნი თითქმის ყველა კონტინენტზე ჰყავს. წარმოიშვა ძვ.წ. VI-V სს-ში ჩრდილოეთ ინდოეთში. მისთვის ნიშანდობლივია ძველი და შემდგომდროინდელი სინკრეტიზაცია სხვადასხვა სისტემასთან – ბრაჰმანიზმ-ინდუიზმთან, დაოიზმთან, ძენიზმთან და ა.შ., რის გამოც ბუდიზმის თავდაპირველი სახე ადვილად გაითქვიფა ადგილობრივ კულტებში. უკანასკნელთ კი, თავის მხრივ, ახალი გეზი და ორიენტაცია მისცა. ასე მოხდა იმიტომ, რომ ბუდიზმს, როგორც სისტემას, არ ახასიათებს მონოლითურობა, დოგმატიზმი. არ გააჩნია წეს-განგების დადგენილი სახე ანუ ტიბიკონი. ვისაც ბუდისტურ ქვეყნებში უმოგზაურია, ამბობს, რომ არამცთუ ოლქებსა და ქალაქებს, არამედ სოფლებსა და უბნებსაც კი ერთმანეთისაგან შესამჩნევად განსხვავებული კულტმსახურების ტრადიცია აქვს. ასე რომ, ეს რელიგია, დღიდან დაარსებისა, განიცდის ცვალებადობას და ჩვენს დროში წარმოდგენილია ნაირგვარი ფორმით. მიუხედავად ამისა, მას აქვს ძირითადი და უცვალებელი იდეებიც. მათგან უმთავრესია ხსნის იდეა და მისი რეალიზაციის სპეციფიკური გზა.

ბუდიზმს ზოგჯერ ათეისტურ რელიგიას უწოდებენ და არცთუ უსაფუძვლოდ. ბუდისტებისათვის უცხოა პიროვნული ღმერთის რწმენა. მათი რელიგია არც მონოთეისტურია, არც პოლითეისტური და არც პანთეისტერი. ისინი ყურადღებას არ ამახვილებენ სამყაროს შემქმნელის, მფარველისა და განმგებლის შესახებ. ღმერთი, მათი გაგებით, განუსაზღვრელობაა, ოკეანეა, საიდანაც გამოსხლტა ადამიანი და სადაც უნდა დაბრუნდეს მისიის აღსრულების შემდეგ. ბუნებრივია, ასეთ ღმერთს – ნების, ფიქრისა და სურვილის არმქონე არსებას (უფრო სწორად, არარსებობას) – ვერ ვიგულვებთ მხსნელად. გზა ხსნისა პიროვნებამ თვითონ უნდა მოძებნოს. ესაა ცხოვრება ბუდას მოძღვრების კვალდაკვალ.

ბუდა ცხოვრობდა VI ს-ში ქრისტემდე. იგი იყო ინდოეთის ერთ-ერთი ტომის, შაკიების, უფლისწული, გაუტამას გვარიდან. მისმა დედამ – მაიამ (მაჰა-მაიამ „დიდმა მაიამ“) შვილის დაბადებამდე სიზმარში თეთრი სპილო იხილა, რომელიც ფერდში შეუვიდა. სიდჰარტაც, ასე დაარქვეს ბავშვს, დედის ფერდიდან დაიბადა. დედა კი გარდაიცვალა. სასწაულებრივი შობა დამახასიათებელია განსაკუთრებული მომავლისა და დანიშნულების პიროვნებისათვის. ასეთი იყო სიდჰარტა, რაც ნიშნავს „მოწოდების აღმსრულებელს“. მოგვებმაც უწინასწარმეტყველეს მამას: შენი შვილი მეფე გახდება, ოღონდ არა ამა ქვეყნისაო. მშობელი, ამის გამგონე, დაიზაფრა, რადგან არ სურდა, რომ მემკვიდრე რელიგიურ მოღვაწეობას შედგომოდა და ამქვეყნიურ დიდებაზე უარი ეთქვა. იგი შვილს ფუფუნებაში – საგანგებოდ მოწყობილ სასახლესა და ბაღნარში ზრდიდა, გარესამყაროსაგან იზოლირებით; ცდილობდა, მომავალ მეფეს ცხოვრების ჭირვარამი და ჩრდილოვანი მხარეები არ ეხილა, წუთისოფლის ხმაურს მის ყურამდე არ მიეღწია, რომ მისგან განშორების სურვილი არ გასჩენოდა. მიუხედავად ამისა, სიდჰარტა თავს ბედნიერად ვერ გრძნობდა. ხშირად განმარტოვდებოდა, დაჯდებოდა სადმე კუნჭულში და მიეცემოდა ფიქრებს. მამას არ ეამა ეს ფაქტი. იფიქრა: შვილი განდეგილად არ წავიდესო და სასწრაფოდ შერთო მშვენიერი ასული – იასიდორი.

მაგრამ მოხდა საბედისწერო რამ: 29 წლის იყო უფლისწული, როცა ინება და მსახურთან

ერთად სრა-სასახლის გალავანს გადააბიჯა. სიდჰარტამ ოთხი „სიახლე“ იხილა, რამაც შეძრა იგი და შეცვალა მისი ცხოვრება. მას ჯერ საზარლად დაწყლულებული, სნეული ადამიანი შემოეყარა, მერე კი – წელში მოხრილი, ღრმად მოხუცი კაცი; ნახა შრომისაგან ილაჯგაწყვეტილი, მშიერი და დაგლახაკებული არსება; წააწყდა სამგლოვიარო პროცესიას, და ბოლოს დაინახა მძიმე ფიქრებში ჩაფლულ-ჩაძირული მოხეტიალე განდეგილი.

ჰკითხა მსახურს მიხრწნილ მოხუცზე: ნუთუ ასეთი დაიბადაო? – არა, ის ისეთივე ახალგაზრდა და აყვავებული იყო, როგორც შენ; მერე ბევრია მაგისთანაო? – ბევრი, ჩემო ხელმწიფევ, ასეთია ცხოვრების კანონი, ყველანი უნდა დავბერდეთო; მეცო? – დიახ, ჩემო ხელმწიფევ, შენც!

... და უფლისწულმა იმავე ღამით დატოვა სასახლე, ახალგაზრდა ცოლი, თოთო ვაჟი და განმხოლოვდა საზოგადოებისაგან; იწყო ფიქრი, თუ როგორ უნდა დაეხსნა თავი ადამიანს ბოროტებისა და სატანჯველისაგან. შვიდი წლის მანძილზე სიდჰარტა გაუტამა ამაოდ თრგუნავდა ხორცს, ამაოდ გვემდა საკუთარ სხეულს, რათა გამოესყიდა თავისი უზრუნველი და ფუფუნებიანი ცხოვრება სასახლეში; ამაოდ უკირკიტებდა წმიდა წიგნებს ამ წუთისოფლის საიდუმლოს ამოსახსნელად. ასე უშედეგოდ გრძელდებოდა თვითგვემა...

და, აი, ერთი მდინარის ნაპირას, **ბოდჰის ხის ძირას**, იგი გასხივოსნდა: გამოეცხადა ოთხი ჭეშმარიტება. აქ დაერქვა მას ბუდჰა („გასხივოსნებული“). მისი პირველი ზრახვა იყო ხალხისათვის გაეცხადებინა ეს ჭეშმარიტებანი, როგორც წამალი ტანჯვისა. მაგრამ ბოროტი სული, მარა, შეუჩნდა მას და ყოველმხრივ – ათასგვარი ხიბლებით, მუქარებით, დაშინებებით – ცდილობდა აეძულებინა სიდჰარტა უფლისწულყოფილი, აწ უკვე ბუდჰა ანუ „გასხივოსნებული“, უარი ეთქვა ამ განზრახვაზე, იმ მოწოდებაზე, რისთვისაც მოევლინა იგი წუთისოფელს. ბუდამ დაძლია ცთუნებანი და შიშები, ავსულისაგან მოვლენილი, და თავისი მოძღვრების ქადაგებას შეუდგა (გავიხსენოთ მათეს სახარებიდან, როგორ გამოსცდიდა ეშმაკი იესოს უდაბნოში ორმოც დღეს, რათა დაებრკოლებინა იგი). მისი პირველი მსმენელები იყვნენ ხუთი ადამიანი და ორი ირემი. ქადაგება ასე დაიწყო: „ბჭენი ხსნისა დაე განცხადდეს სუყველასათვის! ადამიანებო, განიხვენით ყურნი თქვენი და მისმინეთ მე: გზა ხსნისა ნაპოვნია! მე გმოძღვრავთ თქვენ და, თუ ჩემი სწავლის თანახმად იცხოვრებთ, მიიღებთ იმას, რის გულისთვისაც კეთილშობილნი ჭაბუკნი ტოვებენ სამშობლოს და მიდიან უცხო ქვეყნებში გასანათლებლად. თქვენ პირისპირ იხილავთ ჭეშმარიტებას“.

ჭეშმარიტება არის ოთხი:

1. **არსებობს ტანჯვა**. ყველაფერი ტანჯვაა წუთისოფელში. მთელი სიცოცხლე გადის მორალურ, სულიერ ან ფიზიკურ ტანჯვაში. დაბადება არის ტანჯვა, სნეულება არის ტანჯვა, სიყვარული არის ტანჯვა, სიყვარულის საგანთან განშორება არის ტანჯვა, სიყვარულის ვერმიხვდომა არის ტანჯვა, სიბერე, სიკვდილი არის ტანჯვა...

2. **არსებობს ტანჯვის მიზეზი**. ეს არის წყურვილი ყოფნისა, არსებობისა, სიცოცხლისა, რასაც ადამიანი მიჰყავს დაბადებიდან დაბადებისკენ. ტანჯვას იწვევს სურვილები, ვნებები, სწრაფვანი სურვილთა დასაკმაყოფილებლად და სხვა.

3. **არსებობს განკურნება**: გათავისუფლება ყოველი სურვილისგან.

4. **არსებობს გზა განკურნებისა და ხსნისა,** რომელიც რვა საფეხურისგან, ბილიკისაგან შედგება: ა) მართალი სარწმუნოება ანუ რწმენა, რომ სიცოცხლე ტანჯვაა; ბ) მართალი განზრახვა, რათა მოვიქცეთ ამ ოთხი ჭეშმარიტების შესაბამისად; გ) მართალი სიტყვა ანუ მართალი განზრახვის გამოხატვა მართალი სიტყვით; დ) მართალი საქმე ანუ მართალი ქცევა, როგორც მართალი სიტყვის რეალიზაცია, რათა ერთი იყოს სიტყვა და საქმე იმ ოთხი ჭეშმარიტების შესატყვისად; ე) მართალი ცხოვრება: არავის ავნო, არ მიაყენო ზიანი ცოცხალ არსებას; ვ) მართალი სწრაფვა: მისწრაფებანი, ტენდენციები იმ ოთხი ჭეშმარიტების კვალდაკვალ; ზ) მართალი მეხსიერება: ადამიანს სულმუდამ უნდა ახსოვდეს, თუ კიდევ რა რჩება გაუკეთებელი ჭეშმარიტი ცხოვრების გზაზე; ც) მართალი თვითდაუნჯება: მეხსიერებაში, ხსოვნაში აღარ უნდა ინახებოდეს მიწიერი ცხოვრების შთაბეჭდილებები, რადგან მიწიერი ცხოვრება ილუზიაა.

ტანჯვათა მოსპობის გზა მოიცავს აგრეთვე ხუთ მცნებას: 1. არ მოკლა არც ერთი კაცი, არც ერთი ცხოველი, არც ერთი ცოცხალი არსება; 2. არ მოიპარო; 3. არ იმრუშო; 4. არ იცრუო; 5. არ ილოთო!

მხოლოდ აღნიშნულ ჭეშმარიტებათა და მცნებათა მეოხებით აღწევს ადამიანი ნირვანას.

ნირვანა არის სრული სიმშვიდე: არა სიცოცხლე, არა სიკვდილი, არამედ – თავისებური ყოფნა, უფრო – ზეყოფნა, როცა ყოველი შეგრძნება ნულოვან წერტილშია მოქცეული.

პირველი მოკვდავთაგან, ვინც მიაღწია ნირვანას, იყო ბუდა, რომელიც ისე არ მომკვდარა, როგორც მოკვდავნი კვდებიან. ორმოცი წლის ხეტიალისა და ჭეშმარიტებათა ქადაგების შემდეგ, ოთხმოცდახუთი წლის ასაკში, იგი წავიდა ნირვანაში, რასაც ბუდისტები ამგვარად სახელდებენ: **მაჰა-პარი-ნირვანა** ანუ „დიდი გადასვლა ნირვანაში“. გადმოცემით, ბუდას ასე მიუმართავს თავისი მოწაფეებისთვის: „ახლა კი, ბერებო, მეტს ვერაფერს გეტყვით, გარდა იმისა, რომ ყოველი ქმნილება დასაღუპავად არის განწირული. მთელი ძალით ესწრაფეთ ხსნას“.

ხსნა სწორედ ნირვანაშია. იქ წყვეტს მოქმედებას კარმისა და სამსარის კანონი. გავიხსენოთ: იმის მიხედვით, თუ რას იქმოდა პიროვნება სააქაოში, განისაზღვრება მომავალი. ზნეობრივი ცხოვრების ხარისხი განაპირობებს ხელახალი დაბადების სახეს. ჩვენ, წინარე ცხოვრებაში მოპოვებული მადლის კვალდაკვალ, შეიძლება დავიბადოთ მცენარედ, ცხოველად, უმაღლესი ან უმდაბლესი კასტის ადამიანად. იდეალი კი დაბადება-სიკვდილთა ციკლიდან გასვლა და ნირვანას მიღწევა, ე.ი. ბუდად („გაღვიძებულად“, „გასხივოსნებულად“) გარდასახვაა.

ისმის კითხვა: ყველას შეუძლია ნირვანაში გადასვლა, მისი მიღწევა? ამ საკითხში ბუდისტები გაყოფილი არიან ორ დიდ შტოდ. ესენია: 1. **ჰინაიანა** ანუ „ვიწრო გზა ხსნისა“ („ვიწრო ეტლი“), რომლის თანახმად ყველა ვერ მიაღწევს ნირვანას, მას მხოლოდ რჩეულნი მიაღწევენ და 2. **მაჰაიანა** ანუ „ფართე გზა ხსნისა“ („ფართო ეტლი“), რომელიც აღიარებს ორ პრინციპს: ა) ყველა ადამიანს შეუძლია ნირვანას მიღწევა ანუ ბუდად ქცევა, რადგან ყველა ადამიანშია ერთგვარი კოსმიური სუბსტანცია — **ბუდდჰატა და** ბ) არსებობენ **ბოდჰისატვები**, რომლებიც ნებასყოფლობით გადადებენ ნირვანაში გადასვლას, რათა

წუთისოფელში დარჩენით შემწეობა გაუწიონ სხვებს ტანჯვისგან ხსნაში, კარმის გაუმჯობესებაში, სამსარისაგან თავის დაღწევასა და, საბოლოოდ, ნირვანის მიღწევაში. მათი ეს აქტი – ნირვანაზე უარის თქმა სხვათა გადასარჩენად – უდიდეს თავგანწირვად ითვლება.

ნირვანას, ცხადია, სამსარის ნასკვის გახსნის შემდეგ ვეზიარებით. იდეალთან წუთისოფელში ყველაზე ახლოს ასკეტები დგანან. ისინი არიან ბერები, რომლებმაც ამა ქვეყნის ყველა ცდუნებაზე გაიმარჯვეს და ამაღლდნენ. ბერები ქმნიან საძმოს – მონასტერს – და დებენ აღთქმას, რომ დაიცავენ არა მარტო ზემოჩამოთვლილი მცნებებს, რაც ერისკაცებსაც მოეთხოვებათ, არამედ – დანარჩენ ხუთსაც. ესენია: 1. მარხვა (შუადღის შემდეგ), 2. გართობა-სანახაობებზე (ცეკვაზე, სიმღერაზე, თეატრზე) უარის თქმა; 3. მორთვა-მოკაზმულობაზე ხელის აღება; 4. მდიდრული საწოლის უარყოფა და 5. ოქრო-ვერცხლის საჩუქრად მიღება.

ბუდიზმი პასუხს არ ცემს კითხვაზე, როგორ წარმოიშვა სამყარო. ყველაფერი, რაც არსებობს, მუდამ არსებობდა, ყველაფერი მუდმივ ცვალებადობაშია. სამყარო მხოლოდ ილუზიაა. ერთადერთი რეალური, ჭეშმარიტი არსებობა აქვს ნირვანას, რისკენაც უნდა მიისწრაფოდეს ადამიანი.

ბუდისტები მიზანშეწონილად არ თვლიან ფიქრს იმაზეც, თუ რა ელის ადამიანს სიკვდილის შემდეგ. მათი თქმით, ეს შემეცნების წყურვილია, რაც იწვევს ტანჯვას. უნდა ვიცოდეთ ერთი რამ: თავიდან რომ ავიცილოთ გარდასახვათა წრებრუნვა, ვიცხოვროთ ბუნებასთან შეთანხმებით. ყველაფერში საჭიროა ზომიერება. უნდა ვიმოქმედოთ გონივრულად, ყოველთვის შევინარჩუნოთ სულიერი სიმშვიდე. უნდა შევეგუოთ, რომ ყოველივე წარმავალია. ჩვენი ერთადერთი საზრუნავია: გავიუმჯობესოთ კარმა, რათა მომავალში უფრო და უფრო მაღალი რეგისტრის არსებად მოვევლინოთ წუთისოფელს. ბოლოს კი – ვძლიოთ იგი, ვძლიოთ სამსარა და მივეახლოთ ნირვანას. ბუდა გვასწავლის: „მწუხარების სამეფოში ნირვანა არ არსებობს, ნირვანა მწუხარების უარყოფაა. მე, გაუტამა, ზნეობის თვითგაუმჯობესებას ვწირავ ჩემს თავს, რათა უმაღლეს ზნეობრივ სიმშვიდეს, ნირვანას მივაღწიო“.

ბუდიზმში, ქრისტეს მოძღვრების მსგავსად, უარყოფილია ბოროტების წინააღმდეგ ბოროტებითვე ბრძოლა, ორივეგან უმაღლესი ზნეობრივი პრინციპია მტრის სიყვარული („გიყვარდეთ მტერნი თქვენნი“, მათე 5:44). ბუდისტურ წიგნებში ვკითხულობთ: „ვაი იმას, ვინც ძალადობას ძალადობით ებრძვის!... მტრობა არასოდეს მოსპობილა მტრობითვე, არამედ სიყვარულით... ნუ გვძულს, ვისაც ვეზიზღებით. მოვიკლათ გულში მტრობის გრძნობა... განრისხება სიკეთით დაამარცხე, ბოროტება – სიქველით“. სხვაგან: „მან გამლანძღა, მცემა, მტანჯა!... ვინც ასე ჰგოდებს, მტრობის გრძნობა დაიხშოს გულში, რადგან მტრობა მტრობითვე ვერ მოისპობა. მისი ძლევა არამტრობით თუ შეიძლება. ამგვარი წესია უკუნისიდან“.

რა გზით დავძლიოთ წუთისოფელი?

ერთი ბუდისტური იგავი გვიამბობს:

ახალგაზრდა, ლამაზ და მდიდარ ქალს – კასაგოტამის – მოულოდნელად გარდაეცვალა მხოლოდშობილი ძე. დედამ ფიქრადაც არ გაიკარა ჩვილის სიკვდილი. მკერდზე მიიკონა

იგი და კარ-კარ სიარულს შეუდგა: ავადაა ბალღი და წამალი შემაწიეთო. მხოლოდ ბუდა თუ გიშველისო, – უთხრა ერთმა ბერმა. სასოწარკვეთილმაც არ დააყოვნა... კარგიო, უთხრა ბუდამ, მხოლოდ მდოგვის მარცვალი მომიტანე იმ ოჯახიდან, სადაც არავინ მომკვდარა. კასაგოტამი დავალების შესრულებას შეუდგა, მაგრამ ამაოდ, რადგან ყველა ოჯახს ჰყავდა მკვდარი: ზოგი შვილს მისტიროდა, ზოგი დედ-მამას, ზოგი მეგობარს. პასუხიც ასეთი იყო: ცოცხლები ცოტანი არიან, მკვდრები ბევრიო. მაშინ გაშუქდა მშობლის გონება და მოიწმინდა ცრემლი, რადგან დარწმუნდა, რომ მკვდარი იყო მისი ვაჟი, გოდება კი – უქმი, მწუხარება – უგუნურება. ბუდამაც უთხრა: უგუნურებაა გიყვარდეს ის, რაც წარმავალია, რაც ჩვენს ხელთ არ არის და რაც საპნის ბურთივით იკარგება... ახალგაზრდა ქალმა შეიგნო ჭეშმარიტი სიცოცხლის არსი.

მართალია ბუდიზმი ინდოეთში წარმოიშვა, მაგრამ უფრო ფართო გავრცელება ამ ქვეყნის გარეთ ჰპოვა, განსაკუთრებით ჩინეთში, ჩინეთის გზით კი იაპონიაში, კორეაში, შორეული აღმოსავლეთის ბევრ სხვა ქვეყანაში. ბუდიზმის ძლიერი კერა არსებობდა ტიბეტში, სადაც ტიბეტურ ენაზე შეიქმნა უმდიდრესი ბუდისტური ლიტერატურა. ტიბეტის გავლენით ბუდიზმი მონღოლებს შორისაც გავრცელდა. ამ მოძღვრებით დაინტერესებული არიან თანამედროვე ანთროპოსოფები. მათი თეორია ძირითადად ეფუძნება რწმენას კარმასა და სამსარაზე.

ბუდისტების საერთო რიცხვი დღეს 359 მილიონს აღწევს.

„კრიშნას ცნობიერება“

XX ს-ის 60-იან წლებში ამერიკისა და ევროპის მრავალ ქვეყანაში გავრცელდა რელიგიურ-თეოსოფიური სისტემა, რომლის მიმდევარნი **კრიშნაიტებად** ან **ვაიშნავებად** იწოდებიან.

მათი კონფესიის ისტორია ასეთია.

ინდოეთში გურუმ მოწაფეს, პროფესიით ქარხნის მენეჯერს, უთხრა: წადი ამერიკაში და იქ ინდუსთა ღმერთის – კრიშნას – მოძღვრება, კონკრეტულად, – უფალ ჩაიტანიას ეპისტოლე გაავრცელეო.

დავალება შესრულდა.

გურუ შრიალა ბჰაქტისიდდჰანტა სარასვატი გოსვამი მაჰარაჯა პრაბჰუპადა იყო, შემოკლებით **სარასვატი გოსვამი**, ინდოეთში ცნობილი მეცნიერი და მრავალი ვედური ინსტიტუტის დამაარსებელი.

მოწაფე – **ბჰაქტივედანტა სვამი პრაბჰუპადა,** კრიშნას ცნობიერების საერთაშორისო საზოგადოების შემქმნელი – აჩარია.

სვამი პრაბჰუპადა დაიბადა კალკუტაში 1896 წელს. დაამთავრა ადგილობრივი უნივერსიტეტი, 1922 წელს გახდა ხსენებული გურუს მოწაფე და 1933 წელს ქ. ალაჰაბადში ინიცირებულ (ხელდასხმულ) იქნა ბრაჰმანად. გურუ „კრიშნას ცნობიერებაზე“ უამბობდა, პრაბჰუპადა ბეჯითად შრომობდა და დაწერა „ბჰაგავადგიტას“ კომენტარები. 1950 წელს მან თავი დაანება სამენეჯერო საქმიანობას, მიატოვა ცოლი, ხუთი შვილი და განეშორა ყოველ-

დღიურობას, რათა რელიგიური რუდუნებისათვის შეეწირა სიცოცხლე. დასახლდა წმიდა ქალაქ ვრინდავანში. ეწეოდა სამეცნიერო და ლიტერატურულ საქმიანობას. 1965 წელს ჩავიდა ამერიკაში. იქ მან, ინდოელი წმინდანის სამოსელში გამოწყობილმა, ყოველგვარ მატერიალურ სახსარს მოკლებულმა, დაიწნო კრიშნას მოძღვრების ქადაგება. იმედგაცრუებული, საპყარი და ნარკომანი ხილხის დიდმა ნაწილმა მას მოუსმინა. მათ 1966 წლის ივნისში „კრიშნას ცნობიერების საერთაშორისო საზოგადოება“ დააარსეს, რომელმაც სამოღვაწეო ველი მსოფლიო მასშტაბით გააფართოვა.

პრაბჰუპადამ 12 წლის განმავლობაში 14-ჯერ შემოუარა მსოფლიოს. ქადაგებდა და ლექციებს კითხულობდა. იყო მოსკოვშიც, სადაც შეიძინა თანამოაზრეთა ჯგუფი. მათ 1978-80 წწ-ში ორგანიზაციები ჩამოაყალიბეს მოსკოვში, პეტერბურგში, კიევში, ტალინში, ერევანში, თბილისსა და სოხუმში. თაოსნობის ინიციატორები – რიცხვით 50 – საბჭოთა კანონმდებლობით გაასამართლეს და დასაჯეს. დევნა პერესტროიკამდე გაგრძელდა.

„კრიშნას ცნობიერების საერთაშორისო საზოგადოება“ დაარსების დღიდანვე ამერიკასა და ევროპაში ინტენსიურ მუშაობას შეუდგა. დააარსა ასობით ტაძარი, აშრამი და სკოლა. მათ შორისაა აღნიშნული საზოგადოების თბილისის ფილიალი – ვედური კულტურის ცენტრი, რომელიც 1986 წელს შეიქმნა (რეგისტრირებულია 1992 წლიდან). მას აქვს აშრამი (კელიები) ერთგულთათვის და ტაძარი – ძირითადი ღვთისმსახურებისათვის. ანალოგიური ცენტრები მოქმედებს სოხუმში, ქუთაისსა და ბათუმში. ქართველი კრიშნაიტები, რელიგიურ და საგამომცემლო-ლიტერატურულ საქმიანობასთან ერთად, ეწევიან ქველმოქმედებას: ხსნიან უფასო სასადილოებს. აფხაზ სეპარატისტებთან ომის დროს გაჭირვებულთათვის საკვები მიჰქონდათ.

„კრიშნას ცნობიერებას მინდობილნი“, აშრამის მკვიდრნი, განსაკუთრებული რეჟიმით ცხოვრობენ: დილის 4.30-ზე იწყება მსახურება – მანგალა არატი (ცისკრის თაყვანისცემა), „ჰარე კრიშნა – მაჰამანტრას“ ინდივიდუალურად კრიალოსანზე განმეორება (ჯაპა მედიტაცია), რასაც მოსდევს ღვთაებათა მისალმება, დიდი სულიერი მოძღვრის – შრიალა (სვამი) პრაბჰუპადას – გახსენება და ლექცია. ესაა მათი წმიდა წერილის – „შრიმად-ბჰაგავატამის“ – კითხვა-კომენტირება, ე.ი. შტუდირება. შემდეგ მიირთმევენ პრასადს (წყალობას) ანუ უფალ კრიშნასადმი შეთავაზებულ საჭმელს. ეწევიან ვეგეტერიანულ ცხოვრებას, მაგრამ ჩაი, ყავა, ალკოჰოლი, თამბაქო აკრძალულია. დაგმობილია აზარტული თამაშობები. დაწესებულია სქესობრივი ცხოვრების მკაცრი რეგლამენტი. ატარებენ სპეციალურ სამოსელს. შუბლზე თიხის ხსნარისაგან დასმული აქვთ ნიშანი. იპარსავენ თმას (გარდა კოწოლისა). დააქვთ პატარა ნაჭრის აბგები.

„კრიშნას ცნობიერება“ დაფუძნებულია ვედურ ლიტერატურაზე, ძირითადად კი – „ბჰაგავატგიტაზე“. სვამი პრაბჰუპადას თქმით, რადგან „არ არსებობს განსხვავება კრიშნასა და მის სიტყვებს შორის, „ბჰაგავატგიტა“ ისეთივე თაყვანისცემას იმსახურებს, როგორსაც თავად უფალი კრიშნა, რამეთუ ორივე აბსოლუტურია“. გვმართებს, გავიხსენოთ, რომ კრიშნა, ძველინდური ტრადიციით, ვიშნუს ხორცშესხმა და გარდასახვაა. აქედან დასკვნა: კრიშნა და ვიშნუ ერთი და იგივეა, – ერთი ღმერთის ორი სახელი. ამიტომ მისი თაყვანისმცემლები კრიშნაიტებადაც იწოდებიან და ვაიშნავებადაც.

მიუხედავად იმისა, რომ კრიშნაიტების მოძღვრება ვედანტას ეყრდნობა, თვითშეგნებით იგი დამოუკიდებელი კონფესიაა. მის დამაარსებლად ითვლება **ჩაიტანია მაჰაპრაბჰუ**, უზენაესი უფლის კრიშნას ინკარნაცია, ე.ი. უფალი ჩაიტანია, რომელიც, კრიშნას ცნობიერების თანახმად, იგივე უფალი კრიშნაა. იგი XV ს-ში ცხოვრობდა, ქადაგებდა ბენგალიაში. მას ლიტერატურული მემკვიდრეობა არ დაუტოვებია, მაგრამ უფლებამოსილებით აღჭურვა მოწაფეები, ჩაეწერათ სიტყვიერად ჩამოყალიბებული მოძღვრება. ასე გაფორმდა რელიგიური სისტემა, რასაც ახალ ეპოქაში მსოფლიო მასშტაბი შრილა პრაბჰუპადამ შესძინა.

ჩაიტანია-პრაბჰუპადას მიმდევრებს სწამთ:

კრიშნა უზენაესი პიროვნებაა; თავდაპირველი უფალი, მიზეზთა მიზეზი. ყველაფერი მას ეკუთვნის და ემორჩილება; ყველა ნახევარღმერთი: ბრაჰმა, შივა, ჩანდრა, ვარუნა და სხვ. მისი მსახურები არიან. კრიშნას ჰყავს ურიცხვი პირადი ექსპანსია, რომლებიც არ განსხვავდებიან მისგან. ესენია: ვიშნუ, ნარაიანა, დამოდარა, ვამანა და სხვ. კრიშნა ყოველი ცოცხალი არსების გულში იმყოფება ზესულის სახით. მისი ცნობიერება თვლემს ნებისმიერი ადამიანის გულისა და გონების წიაღში. კაცის მიზანია მოიძიოს, გამოაფხიზლოს და ააღორძინოს ეს ცნობიერება. კრიშნა მატერიალური სამყაროს მიღმა, სულიერ სამყაროში, პლანეტა ვრიშნალოკაზე იმყოფება, მაგრამ ენერგიებით ყველგანაა. ცოცხალი არსებები მისი მარადიული მსახურები არიან, მაგრამ მასთან სხვადასხვა სახის ურთიერთობა აკავშირებთ: შეიძლება იყვნენ ნეიტრალურნი, შეიძლება – მსახურები, მეგობრები, ან შეიძლება მასთან მშობლის ან სატრფოს დამოკიდებულება იქონიონ. სიყვარული იმასაც კი ავიწყებინებს მათ, რომ კრიშნა ღმერთია. თავი რომ დავაღწიოთ სამსარას ანუ სიკვდილ-სიცოცხლის ბორბალს და სულიერ სამყაროში დავბრუნდეთ, უნდა მივენდოთ კრიშნას, გავხდეთ მისი მსახური. მაშინ მატერიალური ენერგია, გნებავთ, – კარმის კანონი, ვეღარ მოახდენს სამსარაზე გავლენას და აღარ მოგვიწევს წუთისოფელში შემოსვლა. ეს იდეალი და სრულყოფის გზა გვამცნო თავად კრიშნამ **ბჰაქტის** ანუ სიყვარულის იოგას სახით, რაც გულისხმობს ღვთის სათნო ცხოვრებას ანუ მისი მცნებების კვალდაკვალ სვლას. ესენია: ღვთის სიტყვის სმენა, მის შესახებ ბაასი, მისი სახელის გალობით განდიდება, ვედრება და თაყვანისცემა, ქველმოქმედება, განდეგილობა, სულისა და გონების განსპეტაკება, რასაც თან სდევს მატერიალურ სურვილთაგან თავის დაღწევა, ფუფუნების, დიდების, სახელოვნების არად ჩაგდება. სამაგიეროდ – ღვთის სიყვარულის განვითარება და სამადჰი.

ბჰაქტის ანუ ღვთაებრივი სიყვარულის აღზრდისა და განვითარების საუკეთესო საშუალებაა **მაჰამანტრა**, ე.ი. დიდი მანტრა. „მანტრა“ სანსკრიტზე ნიშნავს მარცვალს, სიტყვას, ფრაზას, „მაჰამანტრა“ – დიდ, ზებუნებრივ სიტყვას, რომელსაც მისტიური და შთამაგონებელი ძალა აქვს. იქ, მინდობილთა რწმენით, არეკლილი და კოდირებულია აღნიშნული მოძღვრების სიღრმე. იგი მედიტაციის (სულიერი ჭვრეტის) საშუალებაა. მისი დახმარებით – ამ საგალობლის მარადის და „მოუკლებლად“ წართქმით – ინდივიდი მაღლდება წარმავალ სინამდვილეზე, აღწევს ექსტაზს და ნავარდობს წმიდა სულების სამფლობელოში ზეციურ პლანეტებს შორის.

მაჰამანტრას თავისუფლების ანუ, ძველი ქართულით, გახსნილების დიად საგალობელს უწოდებენ:

„ჰარე კრიშნა, ჰარე კრიშნა,
კრიშნა კრიშნა, ჰარე ჰარე,
ჰარე რამა, ჰარე რამა,
რამა რამა, ჰარე ჰარე“.

„ჰარე“ ნიშნავს უფლის ენერგიას, კრიშნა და რამა კი უფლის, ღმერთის სახელებია (იხ. ზემ.). მათი წარმოთქმით მლოცველი იმოსება ღვთის ენერგიით, რითაც, შეიძლება ითქვას, თრგუნავს მაიად წოდებულ სამყაროს და შინაგან „მეს“ ამავე ენერგიის წყაროსთან აზიარებს. ეს წყარო კი ყველაზე ცხოვლად კაცთა წინაშე კრიშნასა და რამას სახით გაცხადდა. ამიტომაც ერთგულები ცხოვრებისა და შრომის ყოველ მონაკვეთზე წარმოთქვამენ მაჰამანტრას. ატარებენ კრიალოსნებს (ფსკვნილს), რომლის 108 კვანძი ასახიერებს კრიშნას 108 შეყვარებულ მწყემს ქალს. თითოეულ მძივთან იგალობება „მაჰამანტრა“. ამტკიცებენ, როდესაც პიროვნება ამგვარად ადიდებს ღვთაებრივ სახელს, თავისუფლდება ტკივილისაგან და განიცდის ექსტაზს ანუ აღტაცება-აღფრთოვანებას. ჩნდება ცეკვის მოთხოვნილება. ხშირად კი, თუ სათანადო პირობებია, – მარშისა ინსტრუმენტებით, სიმღერითა და როკვით ქუჩებსა და ბუნების წიაღში. ესაა **კირტანა**, სიტყვასიტყვით – გალობა. ამ რიტუალის საფუძველიაო, გვასწავლის პრაბჰუპადა, არჯუნას სიტყვები უზენაესი ბრაჰმანისადმი – კრიშნასადმი: „სამყაროს უხარია შენი სახელის მოსმენა და ყველა შენ შემოგნატრის!“

ბოლო წლებში ქართველი კრიშნაიტების აქტიურობა შემცირდა.

ბაჰაიზმი

„ბაჰაის სარწმუნოება“ ახალი ეპოქის ნაყოფია. მისი სამშობლო ირანია, დამაარსებელი – **ბაჰა-ულა.** სახელი არაბულია და „ღვთის დიდებას“ ნიშნავს.

ბაჰა-ულა XIX ს-ის შუა წლებში ცხოვრობდა. იგი მუსლიმანი იყო, მაგრამ ქრისტიანული და სხვა მონოთეისტური ლიტერატურით დაინტერესდა და მოწიფულ ასაკში საკუთარი რელიგიურ-თეოლოგიური სისტემა შეიმუშავა, რომელსაც **ბაჰაი** („დიდება“) ეწოდა, მის მიმდევრებს კი **ბაჰაელები**.

ხელისუფლებასა და მოლებს ახალი მოძღვრების ანტიისლამური ორიენტაცია შეუმჩნეველი არ დარჩენიათ. ბაჰა-ულა და ბევრი მისი თანამოსაგრე დააპატიმრეს. ბაჰა-ულა ყველაზე მკაცრ საპყრობილეში დაამწყვდიეს და სასტიკად გაუსწორდნენ, მაგრამ ბაჰაელთა რიცხვის შემცირება ვერ მოახერხეს და არც ბაჰა-ულას შეუწყვეტია საქმიანობა. იგი სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსვლიდან ორმოცი წლის შემდეგ, 1892 წელს, გარდაიცვალა. დაკრძალულია წმიდა მიწაზე, ისრაელში, ქ. ბაჰდჟიში. მისი საფლავი ბაჰაელების სათაყვანებელი ადგილია.

ბაჰაელები თვლიან, რომ ახალ მოძღვრებას და მის მქადაგებელს ღმერთმა წინამორბედი

დაახვედრა. მისი სახელია **ბაბი**, რაც არაბულ ენაზე **კარს** ნიშნავს. მის მიზანს და მისიას ბაჰაელები იოანე ნათლისმცემლის მიზანთან და მისიასთან ათანაბრებენ და ამბობენ: რამდენიმე წლის წინათ, ვიდრე ბაჰა-ულა თავის საღვთო მისიას გააცხადებდა, ღმერთმა მახარებელი მოავლინა, რომელსაც მისთვის გზა უნდა მოემზადებინა და კარიბჭის ფუნქცია შეესრულებინა. ბაბი ქადაგებდა: „ვადასტურებ, რომ ღვთის აღთქმული დღის განთიადი დადგა... მიწიერი სურვილებისაგან განწმინდეთ გულები და ანგელოზებს დაემსგავსეთ, რათა აღთქმას ეზიაროთ, ვინაიდან ღვთის გამოცხადების შეცნობა მხოლოდ განწმენდილ გულებს ძალუძთ“. ცნობილია ბაბის ეპისტოლე, რომელმაც ირანში საკმაო პოპულარობა მოიხვეჭა. ავტორი შეიპყრეს და თებრიზში გადაასახლეს. იქ 1850 წელს დახვრიტეს და გვამი თხრილში ჩააგდეს, მაგრამ მოწაფეებმა ამოიღეს, შეინახეს, რამდენიმე წლის შემდეგ წმ. მიწაზე გადაასვენეს და ქარმელის მთაზე დაკრძალეს.

ბაბისა და ბაჰა-ულას იდეები მათმა მოწაფეებმა გაავრცელეს. ამ საქმეში ყველაზე დიდი წვლილი ბაჰა-ულას უფროს ვაჟს **აბდულ-ბაჰას** მიუძღვის. სიკვდილის წინ მამამ იგი „აღთქმის ცენტრად და თავისი მოძღვრების ერთადერთ განმმარტებლად“ გამოაცხადა. ფიქრობენ, რომ ამით („ერთადერთ განმმარტებლად“ გამოცხადებით) რელიგიის დამფუძნებელს სამომავლოდ აზრთა სხვადასხვაობისა და უთანხმოებებისათვის საფუძველის გამოცლა ჰქონდა ჩაფიქრებული. შესაძლებელია ასეც იყოს, რადგან, როგორც ბაჰაელები ამტკიცებენ, მათ შორის სექტანტურ დაყოფას და განხეთქილებას დღემდე ადგილი არ ჰქონია.

აბდულ-ბაჰამ მამის ხვედრი გაიზიარა. იგი დიდხანს იჯდა სატუსაღოში, მაგრამ ირანის შაჰმა, რომელსაც ჰუმანიზმსა და ცივილიზაციაზე პრეტენზია ჰქონდა, აბდულ-ბაჰა გაათავისუფლა და საზღვარგარეთ წასვლის საშუალება მისცა. მან, ხანდაზმულობის მიუხედავად, ევროპისა და ამერიკის კონტინენტები შემოიარა და მიმდევართა შესამჩნევი რიცხვი შეიძინა. ასე რომ, ბაჰაელთა სარწმუნოებას საბოლოო სახე აბდულ-ბაჰამ მისცა.

ბაჰაელთა რწმენით ღმერთმა სამყარო სიყვარულით შექმნა და ადამიანები იმდენად უყვარს, რომ მათთან აღთქმა ანუ ხელშეკრულება დადო. ხელშეკრულება კი ორმხრივ ვალდებულებას გულისხმობს, რის გამოც ღმერთი ჩვენ ობლად არ გვტოვებს და თავის ნებას და განზრახვას გვატყობინებს. როდესაც კაცობრიობა გზიდან გადაუხვევს და სულიერად ავადდება, ღმერთი დედამიწაზე თავისი ნების წარმომჩენსა და განმცხადებელს გზავნის. იგი ადამიანებს ღვთის სიტყვას და განზრახვას აუწყებს. ამგვარი განმცხადებელი ძველ დროში ქრისტე იყო, ახალ დროში კი – ბაჰა-ულა. ერთიც და მეორეც, ბაჰაელთა თქმით, ისე არეკლავენ ღვთის სახეს, როგორც გაპრიალებული სარკე მზის სხივებს. თუ გვინდა შევიმეცნოთ ღმერთი და გავიგოთ მისი ნება, ქრისტეს და ბაჰა-ულას უნდა მოვუსმინოთ. ღვთის ნება კი ერთი მწყემსის ერთ სამწყსოში კაცობრიობის გაერთიანებაა.

თვალის ერთი გადავლებაც საკმარისია, რომ შევნიშნოთ – ბაჰაის სარწმუნოების არსებითი ნიშანი რასათა და ტომთა ერთიანობისაკენ, კაცობრიობის ერთიანობისკენ მოწოდებაა. ბაჰაელთა იდეალი კაცობრიობის ერთი სარწმუნოების ორბიტაში გაერთიანება და ამ სახით ღვთის სასუფევლის დედამიწაზე დამკვიდრებაა. ეს სარწმუნოება არის ბაჰა-ულას

მოძღვრება, რომლის თანახმად კაცთა მოდგმა მშვენიერი ბაღის მსგავსია, სადაც სხვადასხვა ფორმისა თუ სურნელის ყვავილები ხარობენ. მშვენიერების საწინდარი სწორედ ყვავილების სიმრავლე და მრავალფეროვნებაა. კაცობრიობის ხიბლიც რასათა და ტომთა ნაირგვარობაა. „ადამიანებო, თქვენ ერთი ხის ნაყოფები და ერთი ტოტის ფოთლები ხართ!“ – ქადაგებს ბაჰა-ულა.

ბაჰაელთა ღვთისმსახურების მთავარი მომენტი ყოველდღიური ინდივიდუალური ლოცვაა. ლოცვა შესაძლებელია ყველგან, რადგან ღმერთი ყველგანმყოფია: საგანგებო შენობები საჭირო არაა. მთავარი აქცენტი პიროვნების გაუმჯობესებაზე უნდა იქნას გადატანილი, უნდა აიკრძალოს მაგარი სასმელები და უაზრო გართობები, რათა საზოგადოებაში მშვიდობამ და ჰარმონიამ დაისადგუროს. ბაჰა-ულას მოძღვრება „ახალ მსოფლიო წესრიგს“, ახალი ქვეყნის მშენებლობას გულისხმობს.

ბაჰაელებს დადგინებული სასულიერო პირები არ ჰყავთ. თითოეული საკრებულო ყოველწლიურად ირჩევს ცხრა პიროვნებას, რომლებიც „ადგილობრივ სასულიერო კრებულს“ ქმნიან. მათ სპეციალური სკოლები არა აქვთ. რჯულში განსწავლა ურთიერთკონტაქტის შედეგად ხდება.

ბაჰაიზმი სინკრეტული (გაერთიანებული) რელიგიაა. როგორც თეორიის, ისე პრაქტიკის თვალსაზრისით იგი ქრისტიანობის, იუდაიზმის, ისლამისა და ზოროასტრიზმის კონგლომერატად წარმოგვიდგება.

საქართველოში, თბილისში, 1993 წლიდან „ბაჰაის სასულიერო ასამბლეა“ მოქმედებს, რომელიც ქვეყნის მასშტაბით 500-მდე მოქალაქეს აერთიანებს.

იოგა

თანამედროვე საზოგადოების დიდი ნაწილის თვალში იოგა ნიშნავს ფიზიკური ვარჯიშების კომპლექსს, რომელიც ემსახურება ჯანმრთელობას, სულისა და სხეულის ჰარმონიას. ასეცაა, მაგრამ ეს მაინც გარეგანი მხარეა. შეიძლება ითქვას, – მეორადი მნიშვნელობა. სინამდვილეში კი, მილიონობით ადამიანისათვის აღმოსავლეთში, იოგა არის ცხოვრების გზა, რომელიც შთაგონებული და გასხივოსნებულია ფილოსოფიური და რელიგიური იდეებით, კერძოდ, ბუდიზმისა და ინდუიზმის თეოლოგიით, კულტით, ეთიკით.

აქედან ცხადია, რომ იოგა, როგორც რელიგიურ-ფილოსოფიური სისტემა, ჩაისახა და აღმოცენდა აღმოსავლეთში, ინდოეთში, იქაური რელიგიების წიაღში. იგი ერთ-ერთია ინდოეთის ექვსი ფილოსოფიური სკოლიდან (ვედანტას მსგავსად). ფუძემდებლად ითვლება ბრძენი **პატანჯალი** (ძვ.წ. II ს.). ამის გამო იოგას პატანჯალის სისტემასაც უწოდებენ, რომლის თანახმად ჭეშმარიტების შემეცნებისა და პრაქტიკული გამოყენებისათვის აუცილებელია ნათელი გონება, სულისა და სხეულის განწმენდა.

სიტყვა „იოგა“ მომდინარეობს ზმნის ძირიდან „იუჯ“, რაც სანსკრიტზე ნიშნავს „ერთად შეკონვას“, „შეუღლებას“, გადატანით – კავშირს, ჯგუფს, ჯამს. იგულისხმება კავშირი აბსოლუტთან: პიროვნული, კონკრეტული „მე“-ს ზიარება უზენაეს „მე“-სთან.

ამრიგად, ცნება იოგა დაკავშირებულია რელიგიურ იდეალებთან, კათარზისთან (განწმენდასთან), ფიზიკურ და სულიერ ქმედებასთან, ვარჯიშთან, რომლის რეგლამენტი საუკუნეთა მანძილზე ვითარდებოდა და მდიდრდებოდა.

ასე რომ, დღევანდელობის თვალით, იოგა რელიგიურ-ფსიქოლოგიური და ფსიქო-ფიზიკური ვარჯიშების საერთო სახელია, რომელთაც აქვთ პირდაპირი ან ირიბი კავშირი ინდურ-ტიბეტურსა და ჩინურ სამყაროსთან. ამდენად, გამოიყოფა ორი ძირითადი მიმართულება: ტიბეტური იოგა (ბუდიზმი) და ჩინური იოგა (დაოიზმი).

არსებობას იოგას უამრავი სახე ანუ, როგორც ხშირად იტყვიან, – ბილიკი, რომელთაც მივყავართ იდეალთან, ღვთაებრივ სინდისთან, სამადჰისთან. უკანასკნელი გულისხმობს საბოლოო კავშირს ღმერთთან და ყოველივე ღვთაებრივთან.

ეს ბილიკებია: 1. „ჟნანა იოგა“ – კავშირი ცოდნით, შემეცნებით; 2. „ბჰაქთი იოგა“ – კავშირი სიყვარულით; 3. „კარმა იოგა“ – კავშირი მსახურებით, საქმით; 4. „მანტრა იოგა“ – კავშირი სიტყვით; 5. „ჰათჰა იოგა“ – კავშირი სხეულის კონტროლით; 6. „რაჯა იოგა“ – კავშირი გონებრივი კონტროლით. მათგან ყველაზე გავრცელებული და პოპულარულია **ჰათჰა იოგა** და **რაჯა იოგა**. თუმცა სხვა გზებიც არ არის იგნორირებული და დავიწყებული. ბევრი სრულყოფილი **იუგის** ანუ იოგური ცხოვრების მისაღწევად თითქმის ყველა აღნიშნულ გზას მიჰყვება.

იოგა ქადაგებს თვითგანწმენდის რვა საშუალებას: 1. იამა – თავის შეკავება ანუ დათმენა ცოდვებისა: სიცრუის, ქურდობის, მრუშობის, ძუნწობის; 2) ნიამა – კულტურა, რაც გულისხმობს სულიერი და ფიზიკური ცხოვრების დახვეწას, სხეულის მოვლას, სისუფთავეს, კვების რეჟიმს. აგრეთვე, – აკლიმატიზაციის უნარის შეძენას; 3) ასანა – ფიზკულტურა ჯანმრთელობისათვის, მეტადრე – ნერვული სისტემისათვის; 4) პრანაიამა – სუნთქვითი სისტემის მოწესრიგება; 5) პრატიაჰარა – ემოციების დაძლევა; 6) დრაჰანა – ყურადღება; 7) დჰიანა – ჭვრეტა და 8) სამადჰი – გონების კონცენტრირება რაიმეზე (ყურადღების დაძაბვა).

ამტკიცებენ, რომ მაღალი რანგის იოგები განსაკუთრებულ ძალას იძენენ. შეუძლიათ მხეცების მოთვინიერება, ნივთების სურვილისამებრ გაჩენა (დემატერიალიზაცია და რემატერიალიზაცია), წინასწარმეტყველება, დახშულ ოთახში შესვლა, სტიქიონთა – წყლის, ცეცხლის, ჰაერისა და მიწის – დამორჩილება, ტელეპატია, ტელეკინეზი და სხვა. თუმცა სასწაულმოქმედებას, რასაც ზოგი ჯადოსნობად ნათლავს, ერთგული იოგები უკიდურეს შემთხვევაში მიმართავენ. მათი უზენაესი მიზანია თვითკონტროლის დახვეწა და ამ გზით საზოგადოების გაჯანსაღება. ეს სულისკვეთება მსჭვალავს ახალი დროის თეორეტიკოსების – რამა კრიშნას, ვივეკანანდას და იოგანდანდას – შემოქმედებას.

იოგა ასწავლის: ღმერთი არის ბუნებაში და ბუნება – ღმერთში. ამდენად, მეცნიერებაში მიღებული კლასიფიკაციის თანახმად, ესაა პანთეისტური მოძღვრება, ვინაიდან იქ აბსოლუტს, ე.ი. მსოფლიო სულსა თუ კოსმიურ ძალას იაზრებენ სამყაროს მსგავს არსებად და ყოველივე ხილულისაგან განუყოფელ სუბსტანციად.

საინტერესოა იოგას დამოკიდებულება ქრისტიანობასთან. მათი აზრით, ქრისტეს ცხოვ-

რება არის ძვირფასი მაგალითი ჩვენთვის, მაგრამ ქრისტე არ არის უნიკალური: ქრისტიანობა ღვთაების ანუ აბსოლუტის მიერ შთაგონებულ მოძღვრებათაგან ერთ-ერთია. გვახსენდება რამა კრიშნას სიტყვები: "არ დაგავიწყდეს არასდროს, როგორც დიდ ადამიანს, რომ ქრისტე, კრიშნა და ბუდა უნაპირო ოკეანის ტალღებია და შენ თავად ხარ ოკეანე"...

იოგას მეთოდები გამოიყენება მედიცინაში. დღეს თბილისსა და საქართველოს სხვა კუთხეებშიც მოქმედებს ჰათჰა-იოგას სისტემის მოყვარულთა ჯგუფები, რომელთა კლინიკებში მკურნალობენ სხვადასხვა სახის შინაგან თუ ფსიქონერვოლოგიურ დაავადებებს.

თავი 3
კონფესიათა ურთიერთობა საქართველოში

მონოკონფესიური და მონოეთნიური სახელმწიფო არ არსებობს, არც ერი (ამ სიტყვის თანამედროვე პოლიტიკის გაგებით). ამიტომ ეროვნებათა და აღმსარებლობათა ურთიერთობის პრობლემა ყველა ქვეყნის წინაშე დგას, რადგან რელიგიურობის კულტურა ანუ რწმენის ექსპრესიის (გამოვლინების) ნორმები, ისე როგორც ურთიერთობათა სხვა ფორმები, დახვეწილი და სრულყოფილი არსად არაა. ასე იყო ძველად და ასეა ახლა. სათანადო მაგალითები წინამდებარე წიგნშიც მოიპოვება. მკითხველი, ალბათ, იმ ბუნებრივ ფაქტსაც შენიშნავდა, რომ გამონაკლისი არც საქართველოა.

საისტორიო წყაროები, როგორც ქართული, ისე ბერძნული, ლათინური და სომხური, მოწმობს, რომ რელიგიურ ნიადაგზე დაპირისპირებებს აქაც ჰქონდა ადგილი. ცნობილია, სხვადასხვა დროს და სხვადასხვა საზოგადოებრივ გარემოში, შეხლა-შემოხლანი მონოფიზიტებსა და დიოფიზიტებს, მართლმადიდებლებსა და კათოლიკებს და სხვებს შორისაც როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში.

რელიგიური თუ ნებისმიერი სხვა სახის ანტაგონიზმი თუმცა წუთისოფლის განუყრელი ნაწილია, მან საქართველოში ბოლო დროს განსაკუთრებით მძაფრი ხასიათი გამოავლინა, რაზეც საინფორმაციო საშუალებები თითქმის ყოველ დღე იტყობინებიან. შემაშფოთებელია არა ის, რომ ჩვენს პოლიტიკურ ელიტაში, ინტელიგენციასა თუ სასულიერო უწყებაში ექსტრემისტული ძალები არსებობენ და მუშაობენ, არამედ მათი გავლენა მოსახლეობის არც თუ უმნიშვნელო რაოდენობაზე. ერთი შეხედვით ეს არალოგიკური და პარადოქსულია, თუ ჩვენი ქვეყნის კონსტიტუციას, დემოკრატიულ სტრუქტურას და, ამასთანავე, ჩვენი საზოგადოებრიობის დიდი ნაწილის პრეტენზიებს გავითვალისწინებთ ქართველი ერის ცივილიზებულობაზე, ჰუმანურობასა და ტოლერანტობაზე. იმპერიული და ტოტალიტარული რეჟიმის შემდგომდროინდელ პერიოდში განვითარებულმა მოვლენებმა მსგავს პრეტენზიებს საფუძველი გამოაცალა და დაგვანახა, რომ ქართველი ერი ისეთივე ერია, როგორც ნებისმიერი სხვა. აბსურდია, რომელიმე ერის, მათ შორის ქართველი ერის, ბუნებაში განსაკუთრებული ღირსება ან განსაკუთრებული უღირსება ეძებო. ამ მხრივ ერებს შორის განსხვავება არაა. კარგ ან ცუდ თვისებას ესა თუ ის ერი, უფრო სწორად, – ერის გარკვეული ნაწილი, კონკრეტული გარემოებებისა და მიზეზების შესაბამისად ავლენს. ერი გაქვავებული მოცემულობა როდია. იგი შედგენილია პიროვნებებისა და ინდივიდებისაგან და იმავე მასშტაბის ცვალებადობას ექვემდებარება, რა მასშტაბის ცვალებადობაც პიროვნებამ და ინდივიდმა შეიძლება განიცადოს. პიროვნება ის არსებაა, რომელიც იცვლის ხასიათს, თვისებებს, ზნეს; უმჯობესდება ან უარესდება. ყველაფერს, ცხადია, მიზეზი აქვს. თუკი ქართველი ერი, დავუშვათ, წარსულში მართლაც განსაკუთრებით ჰუმანური

და რჯულშემწყნარებელი იყო, ხოლო დღეს ამ თვისებებს ვეღარ ამჟღავნებს, ეს, ერთი მხრივ, სამარცხვინოა, რადგან საქმე რეგრესთან გვაქვს, და, მეორეს მხრივ, ეგევე ფაქტი მიზეზების ძიებისაკენ გვიბიძგებს.

სირთულეები, რასაც საქართველო დღეს შინ თუ გარეთ აწყდება, ბევრწილად სარწმუნოებრივ ნიადაგზეა აღმოცენებული. არასამართლებრივი და არასახელმწიფოებრივი ცნობიერება, რასაც ჩვენს საზოგადოებაში ღრმად აქვს ფესვები გადგმული, ყველაზე ცხადად სინდისის თავისუფლებისადმი მოსახლეობის დიდი ნაწილის დამოკიდებულებაში ვლინდება. ეს ნაწილი თავს მართლმადიდებლობაზე დებს, მაგრამ მისი აზროვნებისა და გემოვნებისათვის მართლმადიდებელი სარწმუნოება რეალურად ერთობ უცხო და შორეულია. მართლმადიდებელი სარწმუნოების არსებითი ნიშანი პიროვნების სინდისის (მსოფლმხედველობის) და ნების თავისუფლება გახლავთ. ეკლესია იმით განსხვავდება სექტისაგან, რომ იქ, სექტაში, ვიმეორებთ, მეტ-ნაკლები დოზით, ტოტალიტარიზმი ბატონობს, რომელიც პიროვნების ყოველმხრივ შთანთქმას ლამობს. თუ ეს არ მოხერხდა, ე.ი. ინდივიდი კოლექტივს თუ გლობალურად არ შეერწყა, მას გააძევებენ. ეკლესიის წევრთა წინაშე, სახეობრივად რომ ვთქვათ, სრულყოფილებასთან ზიარების იერარქიული კიბეა, რომლის საფეხურებზე ისინი ნებაყოფლობით დგებიან (ჯერ ერი, მერე ბერი). იძულება თუ დაკაბალება ღვთის ნებას ეწინააღმდეგება. ღმერთმა ადამიანს არა მარტო არჩევანის უფლება, არამედ არჩევანის გაკეთების, ნაბიჯის დამოუკიდებლად გადადგმის ანუ ამ უფლების რეალიზაციის საშუალებაც დაუტოვა, რასაც სამოთხის შუაგულში ორი ხის არსებობა ადასტურებს. ესაა იმის მიზეზი, რომ კათოლიკე ეკლესიაში პიროვნებებთან მიზანმიმართული ანუ ინდივიდუალური მისიონერობის, ინდივიდების სულიერ სამყაროზე ზედამხედველობის და კარ-კარ ქადაგების ჩვეულება დანერგილი არ არის. თითოეული ადამიანი ჭეშმარიტებას თავისუფალი სინდისისა და ნების შედეგად უნდა ეზიაროს. დამუნათება, – რატომ შეიცვალე მსოფლმხედველობა, რატომ გახდი ამა თუ იმ აღმსარებლობის მიმდევარი! – თავისუფლების ბიბლიურ გაგებას ეწინააღმდეგება. მართლმადიდებლობით გაამაყებული ჩვენი მოსახლეობა, უფრო ხშირად „შავი სამყაროს“ წარმომადგენლები ან ამ სამყაროსაკენ მიდრეკილი პიროვნებები ცნობიერად თუ ქვეცნობიერად დღეს ამ ჭეშმარიტების წინააღმდეგ გამოდიან და ეს ფაქტი ზემოაღნიშნული ვითარების ერთ-ერთი მიზეზია. სხვადმადიდებლების ლანძღვა და ალაგ-ალაგ მუშტიკრივით ანგარიშსწორება უკვე იშვიათობა აღარაა.

მეორე მიზეზი ქართველი ერისა და მართლმადიდებელი ეკლესიის იდენტიფიკაციის მცდელობა გახლავთ. როგორც ეკლესიოლოგიური, ისე ანთროპოლოგიური და პოლიტოლოგიური თვალსაზრისებით რომელიმე ერის რომელიმე, მით უფრო, მსოფლიო რელიგიასთან გაიგივება სრული ნონსენსია. ერი და ეკლესია ჰეტეროგენული ანუ წარმოშობით სხვადასხვა მოვლენებია. პირველი ამქვეყნიური და წუთისოფლისეულია, მეორე – მარადიული და ზეეროვნული; პირველი ხალხთა ისტორიულ ერთიანობას გულისხმობს, რომელშიც გენეტიკას, ე.ი. ჯიშსა და ჯილაგს გარკვეული წილი აქვს, მეორე – ხალხთა რწმენისმიერ ერთიანობას, რომელიც მადლით და ღირსებით ყველა ერს ათანაბრებს და აიგივებს

(შდრ. 1 კორ. 12:13; გალ. 3:28; კოლ. 3:11). ერისა და ეკლესიის იდენტიფიკაცია, როგორც უკვე აღვნიშნეთ (იხ. გვ. 87), არის ეკლესიოლოგიური ერესი (ფილეტიზმი ანუ მეტომეობა) და დროა ხმამაღლა ითქვას, რომ მართლმადიდებლობის დამჩემებელ ქართველებსა და მათ სულიერ მამებს შორის დღეს ამ ერესის მომძლავრება შეინიშნება. უნდა ვაღიაროთ, რომ ლოზუნგი „ქართველი ერი და მართლმადიდებელი ეკლესია ერთია!“ არის სექტანტური, ანტიპატრიოტული და ანტიმართლმადიდებლური აზროვნების ნაყოფი. აქედან ერთი ნაბიჯია ქართველი ერის დაქუცმაცებამდე და საქართველოს დაშლამდე. თუ ქართველი ერი და მართლმადიდებელი ეკლესია ერთი და იგივეა, არამართლმადიდებელი ქართველები – მუსლიმანები, კათოლიკები, პროტესტანტები, მარგინალები, მართლმადიდებლობის დამჩემებელი არამართლმადიდებელი მოსახლეობა, რომლის რიცხვი დიდზე დიდია, და ბოლოს ათეისტები, ქართველები აღარ ყოფილან. ამ შინაარსის ლოზუნგებით სპეკულაცია ეკლესიის საზღვრებს შლის, ხოლო სახელმწიფოს კატასტროფით ემუქრება, რომ ნებსით თუ უნებლიეთ რელიგიურ-ნაციონალურ ექსტრემიზმს მწვანე შუქი ენთება.

არსებობს მესამე მიზეზიც, – ჩვენი საზოგადოების სხვადასხვა ფენაში გამჯდარი აზრი და თავდაჯერება “უცხო რელიგიებისა და სექტების“ არნახულად მომრავლების შესახებ. გაზეთ “ალიას“ თუ დავუჯერებთ (თ. რუსიტაშვილის კორესპონდენცია), ჩვენი თანამემამულეების მეოთხედი უკვე გასექტანტებულა (2000, 8-9. I, N 3). ვრცელდება ხმა, თითქოს, საქართველოს ზოგიერთ რაიონში, მაგალითად კასპში, „იეჰოვას მოწმეები“ მოსახლეობის 30%-ს შეადგენენ. ხშირად გაიგონებთ: „თუ ასე გაგრძელდა, მართლმადიდებლობა ჩვენს ქვეყანაში მალე რელიგიურ უმცირესობად მოგვევლინება“, „ნახევარი საქართველო ლამის იეღოველი გახდა“ და ა.შ. თუკი ეს ხმები ნაწილობრივ მაინც შეესაბამება სინამდვილეს, საქართველოში ყოველი მეორე თუ არა, ყოველი მეოთხე, მეხუთე, მეათე, ოცდამეათე მაინც იეჰოვას მოწმე, ანდა რომელიმე სხვა დენომინაციისა თუ სექტის მიმდევარი უნდა იყოს.

მიმოვიხედოთ მეზობლებში, უბნებში, სამსახურებში, სასწავლებლებში და დავსვათ კითხვა: მართლა ასეა?

მოვუხმოთ ფაქტებს:

საქართველოს სახეზე მყოფი მოსახლეობა (აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონების გარეშე), სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის უკანასკნელი, 2001 წლის, მონაცემების მიხედვით, 4 452 100 ანუ ოთხი მილიონ ოთხასორმოცდათორმეტი ათას ას სულს შეადგენს.

საქართველოს მოსახლეობის რელიგიურობის ნიშნით აღწერის შედეგები ჯერჯერობით ცნობილი არაა. ჩვენი გამოკითხვების თანახმად (იხ. ზემოთ თავ-თავის ადგილზე), არამართლმადიდებელ ქრისტიანთა და არაქრისტიანთა დემოგრაფია საქართველოში დღეისათვის ასე გამოიყურება:

№	დასახელება	რიცხვი	მოსახლეობის %
1.	„სომხური სამოციქულო ეკლესია“	200 000	4,0
2.	კათოლიკე	50 000	1
3.	ლუთერელი	700	0,01
4.	ბაპტისტი	6000	0,1
5.	ორმოცდაათიანელი	5000	0,1
6.	დუხობორი	1500	0,03
7.	მალაკანი	2000	0,04
8.	მე-7 დღის ადვენტისტი	400	0,0
9.	იეჰოვას მოწმე	15000	0,3
10.	„ხსნის არმია“	800	0,02
11.	„ახალსამოციქულო ეკლესია“	700	0,01
12.	სხვადასხვა დასახელების ჯგუფები	მაქს. 300	0,0
13.	იუდეველი	10 000	0,2
14.	მუსლიმანი	500 000	11,2
15.	იეზიდი	30 000	0,7
16.	კრიშნაიტი	200	0,0
17.	ბაჰაიტი	500	0,01
	სულ	**823100**	

მაშასადამე, დღეისათვის საქართველოში 823100 არამართლმადიდებელი ცხოვრობს. ეს რიცხვი ქვეყნის მოსახლეობის 18,5%-ს შეადგენს.

ის პროტესტანტული და მარგინალური ეკლესიები ანუ ის დენომინაციები და სექტები, რომლებიც ჩვენს მასმედიაში, აგრეთვე საერო და სასულიერო ოფიციალური პირების მიერ ხშირად ერისთვის საშიშ ძალებად ინათლებიან – ბაპტისტები, ორმოცდაათიანელები, ადვენტისტები, იეჰოველები, ხსნის არმიელები, კრიშნაიტები, ბაჰაიტები, ახალმოციქულები და სხვადასხვა წვრილ-წვრილი ჯგუფები – ქვეყნის მოსახლეობის 0,6%-ს შეადგენს ანუ ერთ პროცენტსაც ვერ აღწევს.

საქართველოს მასშტაბით ეს უმნიშვნელო რიცხვია და რეალური ძალა არ გააჩნია. ამ (და თუნდაც მეტი) რაოდენობის ულტრაპროტესტანტებსა და მარგინალებს საერთო ეროვნულ კულტურასა და ტრადიციულ ნორმებზე გავლენის მოხდენა, რომც უნდოდეთ, არ ძალუძთ.

ხმაურისა და ალიაქოთის, ლამის ისტერიის საფუძველს არც ტენდენცია იძლევა. ჯერ

ერთი, „საშიში“ დენომინაციები და სექტები საქართველოში დაკომპლექტებულია არა მართლმადიდებელი მრევლის (ყოფილი მართლმადიდებელი მორწმუნეების) ხარჯზე, არამედ, და ეს მკაფიოდ უნდა ითქვას, – ცარიელი ადგილიდან მოსულებით ანუ იმ ადამიანებით, რომლებიც ადრე ათეისტები, ნიჰილისტები, სარწმუნოებისადმი ინდიფერენტულად განწყობილები იყვნენ. ასე რომ, კორექტირებას მოითხოვს განცხადება: „სექტები მრევლს მართლმადიდებელ ეკლესიას სტაცებენ“. რაც შეეხება ჩვენს ქვეყანაში მართლმადიდებელთა რაოდენობას, ვითარება, რა მასალებზეც ხელი მიგვიწვდება, შეიძლება ითქვას, იდეალურია. არსად, არც ერთ ქვეყანაში, მორწმუნე მართლმადიდებლად თავს მოსახლეობის იმდენი პროცენტი არ აღიარებს, რამდენიც საქართველოში. ვინც მართლმადიდებელ ეკლესიებში წირვა-ლოცვაზე დადის, დაგვეთანხმება, რომ ტაძრების უმრავლესობა მლოცველებს ვეღარ იტევს.

რელიგიათა კვლევის ინსტიტუტთა მონაცემებით, მსოფლიოში მორწმუნეთა რიცხვი კლებულობს. საქართველოში პირიქით, არნახულად იზრდება. 1978 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ღვთისმორწმუნედ თავს სტუდენტობის 1 პროცენტი თვლიდა, 2000 წელს კი თავი მორწმუნედ 88,8%-მა გამოაცხადა, 6,2%-მა – არამორწმუნედ, ხოლო 5%-ს პასუხის გაცემა გაუჭირდა. მორწმუნეთა უმრავლესობა – 97,5% – მართლმადიდებელია, დანარჩენი, ე.ი. 2,5% ისლამის, იუდაიზმის, კათოლიციზმისა და ბაპტიზმის მიმდევრები არიან (თ. ფანჯიკიძე, როგორა გვაქვს საქმე ღმერთთან. – გაერთიანებული სამეცნიერო კონფერენციის მასალები, თბ., 2001, გვ. 62).

იმ პრობლემისათვის, რაზეც ვსაუბრობთ, ყველაზე მნიშვნელოვანი მართლმადიდებელთა რიცხოვნობის ერთობ მაღალი მაჩვენებელია – 97 პროცენტზე მეტი. მართალია, ამ შემთხვევაში ლაპარაკი სტუდენტთა შეზღუდულ კონტინგენტზეა, მაგრამ ჩვენს გარემომცველ ვითარებას თუ ფხიზლად დავაკვირდებით, დავრწმუნდებით, რომ აღნიშნული შედეგები ქვეყნის სარწმუნოებრივი რეალობისაგან დიდად არ განსხვავდება. ვისაც დღევანდელი ვაჭრობის ქსელისათვის თვალი შეუვლია, დაგვეთანხმება, რომ თუ რამეზეა მოთხოვნილება, ესენია მართლმადიდებლურ-საღვთისმსახურო ლიტერატურა, სალოცავი საგნები, სამარხვო საჭმელები და ა.შ.

ხელისუფალთა, პოლიტიკოსთა და ქვეყნის ჭირისუფალთა შეშფოთებას უნდა იწვევდეს არა ქართველი მართლმადიდებლების რაოდენობა (ვიმეორებთ, ამ მხრივ ტენდენცია იდეალურია), არამედ ის მზვაობრობა, არაიურიდიული ქმედება და ცნობიერება, რომელსაც ჩვენი მოქალაქეები, კერძოდ, სახელმწიფო მოხელეები და, წარმოიდგინეთ, იურისტები ამჟღავნებენ. საუკეთესო მაგალითად, ბევრ სხვა მაგალითს შორის, დიდუბე-ჩუღურეთის ერთი გახმაურებული და გაჭიანურებული სასამართლო პროცესი გამოგვადგება. ლაპარაკია „მართლმადიდებელ მშობელთა კავშირის“ სარჩელზე სასკოლო სახელმძღვანელოს („რელიგია და კულტურა“) და დამხმარე სახელმძღვანელოს („რელიგიის კარიბჭე“) წინააღმდეგ. საჩივარს სარწმუნოებრივი შინაარსი ჰქონდა, – ამ წიგნებში რჯულის საკითხები არაადეკვატურადაა გაშუქებულიო. ფაქტი, რომ მოსამართლეებმა თავიანთ თავს მსგავსი სარჩელის განხილვის უფლება მისცეს, სავალალო და საგოდებელია, რადგან საქმე

სამართლებრივი ცნობიერების გაუკუღმართებასა და რეგრესთან გვაქვს. ჩვენი სასამართლო ვერ დგას იმ სიმაღლეზე, რა სიმაღლეზეც რომის სასამართლო ჯერ კიდევ 2000 წლის წინათ იდგა. საილუსტრაციოდ „მოციქულთა საქმეების“ ერთი ეპიზოდის გახსენებაც საკმარისია (18:12-17). ებრაელებმა პავლე მოციქულის წინააღმდეგ სასამართლოში სარჩელი შეიტანეს, – „ეს კაცი არწმუნებს ხალხს, რომ რჯულის საწინააღმდეგოდ ეთაყვანონ ღმერთს“. პროკონსულმა, რომელსაც სახელად გალიონი ერქვა და მოსამართლის მოვალეობასაც ასრულებდა, განცხადების ტექსტი მოისმინა, თავი გადააქნია და თქვა: ვინაიდან ამ კაცს კანონის საწინააღმდეგო საქმე არ ჩაუდენია ანუ, ჩვენი სიტყვებით რომ ვთქვათ, არ მოუპარავს, არ მოუკლავს, ბოროტი ხულიგნობა არ ჩაუდენია, სახელმწიფოს წინააღმდეგაც არ გაულაშქრია, მისი რელიგიური აზრები და საქმეები სასამართლო მოსმენასა და განხილვას არ ექვემდებარებაო. პასუხმა მომჩივანები ვერ დააშოშმინა, რის გამოც გალიონი იძულებული გახდა, რომ ისინი სასამართლოდან კინწისკვრით გამოეყარა. კარგი იქნება, თუკი ჩვენი მოსამართლეები, პროკურორები და ადვოკატები ბიბლიიდან ამ და ბევრ სხვა მსგავს ეპიზოდეს გულდასმით წაიკითხავენ და პროფესიულად გააანალიზებენ.

ნაციონალურ-ფილეტური ემოციები, რომელმაც ბოლო ათწლეულში ჩვენი საერო და სასულიერო ელიტის შესამჩნევი ნაწილი მოიცვა, ქსენოფობიასა და ანტისექტანტურ ისტერიას კვებავს. გაისმის მოწოდებები და მოთხოვნები მართლმადიდებლობის სახელმწიფო რელიგიად და ქვეყნის იდეოლოგიად გამოცხადების, „მოძალებულ სექტათა“ კანონის ძალით ალაგმვის და საამისოდ საგანგებო სპეცსამსახურის შექმნის შესახებ. ვრცელდება ხმები (რაზეც ჟურნალისტები ხშირად საპატრიარქოს პრესცენტრს იმოწმებენ), რომ დედაქალაქსა და მის შემოგარენში „სატანისტები მომძლავრდნენ და რიტუალური მკვლელობებიც გახშირდა“. გაზეთ „ახალი საქართველოს“ მტკიცებით (2002, 24. II-2. III, №4), „ამა თუ იმ სექტის წევრების მიერ მასობრივი მკვლელობის ფაქტები რეალურად გვაყენებს ოკულტური პოლიციის შექმნის აუცილებლობის წინაშე“ (ლ.ჯაშის კორესპონდენციიდან). სამართალდამცავი ორგანოები ამ შემთხვევაშიც დუმილს ამჯობინებენ, რაც საზოგადოების ეგზალტირებულ ნაწილს აღაგზნებს. მათთვის ყველა არამართლმადიდებელი სექტანტია და, მაშასადამე, პოტენციური მკვლელია, სატანისტია. მსგავსი თავდაჯერებები უბრალო დეზინფორმაცია არაა, არამედ – საზოგადოებისა და სახელმწიფოსათვის საშიში ცრუმორწმუნეობა. ბულვარულ პრესას სალაპარაკო ეძლევა.

რადიკალურ ზომებზე, „ოკულტურ პოლიციაზე“ ფიქრის საბაბს, ჟურნალისტების პროპაგანდით, მართლმადიდებელთა ხარჯზე სექტანტების რიცხვის ზრდა იძლევა. მონაცემები, რაზეც ჩვენ ხელი მიგვიწვდა და რაშიც ეჭვის შეტანის საფუძველი არა გვაქვს, ვიმეორებთ, განსხვავებულ სურათს გვთავაზობს.

საქართველოში როგორც მორწმუნე მართლმადიდებელთა, ისე მართლმადიდებლობის დამჩემებელთა რიცხვი დღითიდღე იზრდება. რაც შეეხება სხვადმადიდებლებს, საქართველოში ისინიც არიან. მათი საერთო რიცხვი ასე თუ ისე, მეტ-ნაკლებად, მაგრამ მაინც, ასევე იზრდება და შესაძლებელია, მეტადაც გაიზარდოს გარესამყაროსთან საქართველოს

კომუნიკაციების გაფართოების კვალდაკვალ. ეს დემოკრატიული და ღია საზოგადოების პრინციპია. ადგილი აქვს კონკურენციას: ცარიელი სივრციდან, ყამირი მიწიდან და დაუმუშავებელი ვენახიდან გაურკვეველი რელიგიური ორიენტაციის პიროვნებათა გამოყვანის მცდელობას. გაიმარჯვებს ის, ვინც დაუხნავ, დაუთესავ და გაუმარგლავ ველებს უკეთეს მეურნედ გამოუჩნდება; ადამიანებთან ურთიერთობაში ვინც მეტ დახვეწილობას გამოიჩენს, ახსნა-განმარტების ისეთ ფორმებს მოძებნის, რასაც მოციქული გვთავაზობს და რაც ამ წიგნის ეპიგრაფადაა წამძღვარებული; ვინც თანამედროვე პრობლემებს გაითვალისწინებს და, რაც მთავარია, ვინც უკეთეს ზნეობრივ სამყაროს და სულისკვეთებას გამოავლენს. მეურნეს სიდინჯე, გონიერება, კოლეგიურობა და იმ საგნის სიყვარული მოეთხოვება, რასაც ემსახურება. სარწმუნოება სინდისის საქმეა და სათუთი სფერო. მართლმადიდებელი ეკლესიის ხელში ორიათასწლოვანი სამოძღვრო პრაქტიკა, გამოცდილება და უმდიდრესი საღვთისმეტყველო ტრადიციაა. როგორც სახელმწიფოს, ისე, პირველ რიგში, ეკლესიის უმთავრესი მიზანი, ვფიქრობთ, ამ ტრადიციის სიღრმისეულად გააზრება და მის არსებასთან ზიარება უნდა იყოს, რათა ერშიც და ბერშიც, ვიმეორებთ, საღმა სარწმუნოებამ ანუ სარწმუნოებრივმა კულტურამ, სიყვარულის, მშვიდობისა და სათნოების სულმა დაისადგუროს.

„სახარებისეული ცნობიერების რეციდივები ქრისტიანთა შორის ხშირად იჩენს თავს. კერძოდ, — განყენებული სპირიტუალიზმი, ავტორიტარული მოუთმენლობა, მაგიური მოწესეობა. ეს გასაგებია: 2000 წელი ძალიან ცოტაა იმისათვის, რომ კაცობრიობამ ცრუმორწმუნოება გადალახოს და ღვთის გზაზედ დადგეს. ეს გზა აბსოლუტური და ამოუწურავია...

ცუდია, როცა ტაძარი ცარიელია. უფრო ცუდია, როდესაც ტაძარი სავსეა, მაგრამ სულისაგან დაცლილია“.

დეკანოზი **ალექსანდრე მენი**

ძირითადი ლიტერატურა:

1 ეპისტოლე აღმოსავლეთის კათოლიკე ეკლესიათა პატრიარქებისა მართლმადიდებლური რწმენის შესახებ. – „საღვთისმეტყველო კრებული“, 1988, №3

2 ზ. კიკნაძე, ეკლესია გუშინ, ეკლესია ხვალ, თბ., 2002

3 ზ. კიკნაძე, საუბრები ბიბლიაზე, თბ., 1989

4 ზ. კიკნაძე, შობიდან შობამდე, თბ., 1997

5 ე. ნადირაძე, მსოფლიოს რელიგიები, თბ., 1996

6 ნ. პაპუაშვილი, რელიგიის კარიბჭე, თბ., 1996

7. მ. სონღულაშვილი, ბიბლიური მოთხრობები, თბ., 1999

8 თ. ფანჯიკიძე რელიგიის ისტორიის საგნის არსი და სტრუქტურა (ავტორეფერატი), თბ., 1993

9 À. Ìåíú, Èñòîðèÿ ðåëèãèè, ò. 1 Ì., 1998; ò 2, Ì., 1998

10. Ïðàâîñëàâíàÿ Áîãîñëîâñêàÿ Ýíöèêëîïåäèÿ, ïîä. ðåä. À. Ï. Ëîïóõèíà, ò. 1-6

11. Ï. Ñâåòëîâ, Çíà÷åíèå êðåñòà â äåëå Õðåñòîñî (îïèò èçúÿñíåíèå äîãìàòà èñêóïëåíèÿ), Êèåâ, 1993

12. Í. Ñìåëçåð, Ñîöèîëîãèÿ, Ì., 1998

13. À. È. Îñèïîâ, Îñíîâíîå áîãîñëîâèå, Ì., 1994

14. Òîëêîâàÿ Áèáëèÿ èëè êîìåíòàðèè íà âñå êíèãè ñâ. Ïèñàíèÿ, Ñòîêãîëüì, 1987

15. Õîðîùåãî äåðæèòåñü. Öåðêâè è ðåëèãèîçíûå îáüåäèíåíèÿ â Ðîñèéñêîé äåðæàâå, Ñîâåòñêîì Ñîþçå è íåçîâåñèìèõ ãîñóäàðñòâàõ, âîçíèêøèõ ïîñëå ðàñïàäà, Õàðüêîâ, 1999

16. Ýíöèêëîïåäè÷åñêèé ñëîâàðü, èçäàòåëè Ô. À. Áðîêãàóç è Ì. À. Åôðîí, ò 1-86

17. Bibeltheulugisches Worterbuch, Herausgegeben von I. B. Baur.

ამა თუ იმ კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით
გამოყენებული ლიტერატურა მითითებულია შესაბამის ადგილზე.

Nugzar Papuashvili

WORLD RELIGIONS IN GEORGIA

Summary

Due to its location at the crossroads of West and the East, Georgia has always represented a place where different religions and cultures came in close contact with each other. This statement is confirmed by a number of Greek, Roman and Armenian historians as well as Georgian scriptures of early mid centuries. According to them, this part of the Caucasus has always been a very eclectic religious entity. Most important cultures existing in the region were locally emerged cults of stones, trees, forests or mountains as well as Greek-Roman Eastern-Mesopotamian polytheist religions as well as Judaism and Zoroastrism.

In 20s and 30s of the 4th century AD, Christianity received the status of the national religion in Georgia; however, other denominations did not cease their existence immediately. Moreover, since mid 7th century Islam started to spread through Georgia and the entire Caucasus. A considerable part of the population converted into Islam, though the majority still adhered to the Eastern Orthodox Christianity.

Religious life of Georgia was heavily influenced by events that took place in the Eastern Roman Empire — the Byzantine — and the Western Europe. Historical sources indicate that in the medieval period various denominations such as Monophysitysm, Nestorianism, Monothelytism etc. were active on the Georgian territory. Interestingly, the Roman Catholic Church had a very significant influence on the history of Georgian culture and identity. Its missioners practiced and propagated Catholicism in Georgia since 13th century. In the Early 19th century, Lutheran Germans, who were resettled to Georgia by the Tsarist Russia, were actively engaged in the cultural and economic life of the country.

It can be suggested that the world religions that had existed in different forms in Georgia before, still continue to exist today. For example, about 300,000 of Georgia's citizens are Iezids, with religious roots in Zoroastrism.

Georgian culture itself, an indispensable entity of the world culture, is a result of a Christian, more concretely, the Orthodox Christian belief and tradition. The religion and literal practice has had enormous influence not only on the religious but also on

civic history and contemporary life. While nobody questions the latter statement, it should also be acknowledged the role of non-Christian in the formation of the Georgian culture. Thus, culture of non-Christian ethnic Georgians as well as that of non-Georgians but residents (or citizens) of Georgia has always been part of the broader Georgian culture.

Today, in addition to Orthodoxy, 17 denominations of Christian and non-Christian character are represented in Georgia. According to the available data, the number of followers of these denominations constitutes 823,100 i.e. 18,5% of the entire population.

Following the collapse of the Soviet Union, there has been a widespread and intense activism dedicated to defining identity of the Orthodox Christian Church as well the Georgian nation itself. Slogans like “Orthodoxy is the religion of all Georgians”, “The Orthodox Church and the Georgian nation is the same” became popular. According to the same logic, not following the Orthodoxy meant not being Georgian. In Christian theology, such attitude is described as phyletism — a phenomenon denounced by number of Church congresses and labeled as heresy. However, in contemporary Georgia, “Ecclesiastic nationalism” is clearly a characteristic of number of representatives of the Georgian public as well as religious establishment. Unfortunately, the above slogans have been successfully portrayed as truly Christian, and have brought some serious religious excesses and even violence. With the pathos of Orthodox fundamentalism, pogroms on some Orthodox, Jehovah witnesses, Baptists, Pentecostals have become frequent. Such facts inevitably discredit not only the Orthodox Church but also the state itself.

One could think that the ruling elite of Georgia do not realize the importance of such facts as a political threat to the country. Law enforcement agencies are keep silence, and sometimes even promote acts of violence. Even some MPs label Jehovah’s witnesses, Baptists and similar denominations as forces that pose danger for the nation. Disinformation about their huge, and clearly overblown, numbers is being spread throughout the population. Reality, however, shows the opposite picture: according to the information found (through interviews of the leaders of these denominations) the number of so-called sects in Georgia does not exceed 0.6% of the total population. Thus, anti sect hysteria in Georgia has no tangible ground.

This book intends to review principal issues of theory and practices of different religious organizations active in Georgia. Particular focus falls on Christian denominations. The author attempts to describe internal and external nature of each denomination and focus on key aspects of their importance. Looking at different religious organizations from this perspective will promote and cultivate the reader’s impulses of tolerance and respect towards them.

შინაარსი:

შესავალი 3

„რელიგია“ (3-5), რწმენა (5-6), სული (7), სული და სხეული (7-8),
ღმერთი (8-12), რელიგიის წარმოშობა (12-13),
რელიგიათა კლასიფიკაცია (13-15), რელიგიური ორგანიზაციები (15-17),
საქართველო რელიგიების გზათშესაყარზე (18),
რელიგია დღევანდელ საქართველოში (19).

თავი 1. ქრისტიანობა 20

ზოგადი მიმოხილვა (20-21), პირველწყარო (21-23)

საღვთო წერილი 23-33

საყოველთაო ინტერესი (23), სახელწოდება (23-24),
შემადგენლობა, შინაარსი, ავტორები (24-25),
ძველი აღთქმის არაკანონიკური წიგნები (26),
ახალი აღთქმა (26), როდის შეიქმნა კანონი? (26-28),
ბიბლიოლოგიის საკვანძო საკითხები (28-29),
ხელნაწერები, აღმოჩენები, დასკვნები (30-31),
ბიბლიის ქართული თარგმანი (31), ბიბლიის ენა (32-33),
ბიბლია და სტამბა (33).

საღვთო ისტორია 33-59

ძველი აღთქმა (33-56), ახალი აღთქმა (56-59)

ღვთისმეტყველება და ღვთისმსახურება 59-81

ღვთისმეტყველება (59-75), ღვთისმსახურება (75-81)

მართლმადიდებლობა 81-88

ზოგადად (81-83), სტრუქტურა და კანონიკური წყობა (83-85),
სქიზმატური ეკლესიები (85-88)

საქართველოს ეკლესია 88-96

დენომინაციები ეკლესიათა ერთიანობის ხანაში 96-134

გნოსტიციზმი და მანდეიზმი (98-100), ორიგენიზმი (100-103),
არიანობა (103-106), ნესტორიანობა (107-111),
მონოფიზიტობა და სომხური ეკლესია (112-121),
მონოთელიტობა და მარონიტები (121-128), ხატბრძოლობა (128-134)

ეკლესიათა გაყოფა 134-145

კათოლიკობა და კათოლიკური ეკლესია საქართველოში 145-152

რეფორმაცია და პროტესტანტობა 152-169

ისტორია და ძირითადი მიმართულებები (152-154),
ანგლიკანური ეკლესია (154-156),
ლუთერელები და მათი ეკლესია საქართველოში (156-162),
ბაპტისტები (162-165), ევანგელისტ-ორმოცდაათიანელები (165-167),
„ხსნის არმია“ (167-168), „ახალსამოციქულო ეკლესია“ (168-169)

მარგინალური ეკლესიები 169-176

დუხობორები და მალაკნები (170-172),
„მე-7 დღის ადვენტისტები“ (172-175), „იეჰოვას მოწმეები“ (175-176)

თავი 2. არაქრისტიანული რელიგიები 177

იუდაიზმი 177-181

ისლამი 181-194

ზოროასტრიზმი და იეზიდები 194-197

ვედები, ბრაჰმანიზმი და ინდუიზმი 198-207

ბუდიზმი 205-209

„კრიშნას ცნობიერება“ 209-212

ბაჰაიზმი 212- 214

იოგა 214-216

თავი 3. კონფესიათა ურთიერთობა საქართველოში 217

გამოყენებული ლიტერატურა 225

ინგლისური რეზიუმე 226-227

CONTENTS

INTRODUCTION **3**

Religion (3-6), Faith (5-7), Soul and Body (7-8), God (8-12),
Birth of Religion (12-13), Classification of Various Religions (13-15),
Religious Organizations (15-17), Georgia on Religious Crossroads (18),
Religion in Today's Georgia (19)

CHAPTER 1. CHRISTIANITY **20**

Overall Summary (20 – 21), First Sources (21 – 23)

Divine scripture **23 - 33**

Public Interest (23), Title (23-24), Structure, Content and Authors (24-25),
Non-Canonical Books of the Old Testament (26), New Testament (26),
When Was the Law Formed? (26-28), The Basic Questions of the Biblical
Science (28-29), Scriptures, Discoveries, Conclusions (30-31),
Georgian Translation of the Bible (31), Biblical Language (32-33),
Print and History of Bible (33).

Divine History **33-59**

Old Testament (33-56), New Testament (56-59)

Theology and Divine Service **59-81**

Theology (59-75), Divine Service (75-81)

Orthodoxy **81-88**

General Overview (81-83), Structure and Canonical Order (83-85),
Scismatic Churches (85-88),

Georgian Church **88-96**

Denominations at Age of United Church **96-134**

Gnosticism and Mandeizm (98-100), Origenizm (100-103),
Arianizm (103-106), Nestorianizm (107-111),

Monofizitizm and Armenian Church (112-121),
Monothelitizm and Maronits (121-128), Iconoclasm (128-134)

Separation of Church **134-145**

Catholisism and Catholic Church in Georgia **145-152**

Reformation and Protestantism **152-169**
History and Main Directions (152-154), Anglican Church (154-156),
Lutherans and their Church in Georgia (156-162), Baptists (162-165),
Evangelist-Pentecostal (165-167), „Salvation Army“ (167-168),
„New Testament Church“ (168-169)

Marginal Churches **169-176**
Duxobors da Malakns (170-172), „The 7th Day Adventists“ (173-175),
„Jehovah's Witnesses“ (175-177)

CHAPTER 2. NON-CHRISTIAN RELIGIONS **177**

Judaism **177-181**

Islam **181-194**

Zoroastrism and Yezidism **194-197**

Vedas, Brahmanizm and Hinduism **198-204**

Buddhism **205-209**

Krisnaism **209-212**

Baha **212-214**

Yoga **214-216**

CHAPTER 3. THE RELATIONSHIP AMONG CONFESSIONS IN GEORGIA **217**

Key Literature **225**

English Summary **226-227**

წიგნი გამოცემულია
თავისუფლების ინსტიტუტის
მიერ

თბილისი 380008, გრიბოედოვის 23; ტელ.: 93 66 15; ფაქსი: 93 67 84; ელ-ფოსტა:liberty@liberty.ge